საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

ი. მ. კაჭარავა

ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1962

ნაშრომში განხილულია ქართული რევოლუციუ-
დემოკრატიული ისტორიული აზრის ჩამოყალიბებისა
და განვითარების ისტორია. კრიტიკულადაა გარჩეული
XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის
იდეური მიმდინარეობანი, რომელთა წინააღმდეგ
ბრძოლაში იკაფავდა გზას მარქსიზმი საერთოდ და
მარქსისტული ისტორიოგრაფია განსაკუთრებით.
დასასრულ, ნაჩვენებია ქართულ მარქსისტულ-
ლენინურ ისტორიოგრაფიაში საქართველოს XIX და
XX საუკუნეთა ისტორიის გაშუქების თანამედროვე
მდგომარეობა.

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნის დანიშნულებაა გააშუქოს საქართველოში მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩასახვისა და განვითარების პროცესი და ჩვენი ქვეყნის XIX და XX საუკუნეთა ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა.

საქართველოში მარქსისტული ისტორიოგრაფიის ჩასახვისა და განვითარებისათვის ხელსაყრელ იდეურ გარემოს ჰქმნიდა თერგდალეულთა სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულება, რევოლუციურ დემოკრატიზმზე დაფუძნებული. მაგრამ ხელსაყრელ იდეურ გარემოსთან ერთად არსებობდა მტრული იდეური გარემოც, რომელიც გაძლიერდა, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-90-იან წლებიდან, როდესაც ყალიბდებოდა ჩვენში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგია. ამ მტრულ იდეოლოგიასთან ბრძოლით იკაფავდა გზას მარქსისტული ისტორიოგრაფია საქართველოში.

ისტორიული კვლევა-ძიების მარქსისტულად გამართვისათვის ერთგვარ საცდელ მოედანს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია. პირველად აქ, ისტორიის ამ მონაკვეთის გაშუქებისას სცადეს მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენება. ეს ცდა წარმატებით დამთავრდა, საფუძველი ჩაეყარა მარქსისტულ ისტორიოგრაფიას საქართველოში. ამით წელგამართული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია გაბედულად შეიჭრა საქართველოს შორეული ისტორიის მაშინ ჯერ კიდევ წყვდიადით მოცულ ლაბირინთში და წარმატებით აამეტყველა ქართველი ხალხის დიადი წარსულის ამსახველი ყვითელი ფოლიანტები.

ჩვენი მიზანია, ამ წიგნში ვაჩვენოთ ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის არა მარტო მიღწევები, არამედ მისი ზოგიერთი ნაკლოვანებაც, ე. ი. მივაწოდოთ მკითხველს საბჭოური ისტორიული მეცნიერების მოკლე ისტორია. უნდა აღინიშნოს, რომ მეტად რთული და ძნელია საერთოდ მეცნიერების ისტორიის, კერძოდ კი ისტორიული მეცნიერების ისტორიის შექმნა. მაგრამ გან-

საკუთრებით რთული და ძნელი აღმოჩნდა გადმოგვეცა საქართველოს XX საუკუნის შესახებ ისტორიული აზრის განვითარების ისტორია. ამას ართულებს ისიც, რომ ამ პერიოდის მკვლევართ რატომღაც დიდხანს არ მიაჩნდათ საჭიროდ ისტორიული კვლევა-ძიების საერთო სფეროში წინამორბედ მკვლევართა მეცნიერული დამსახურების შეფასება. წინამორბედ მკვლევართა მემკვიდრეობის ობიექტურად მეცნიერული შეფასება კი სავალდებულოა ყველა მეცნიერისათვის. მაგრამ იგი ყველაზე უფრო საჭიროა და, მაშასადამე, სავალდებულო საქართველოს XX საუკუნის ისტორიის მკვლევართათვის, რადგან კვლევის ამ უბანზე თავს იყრის იმდენი მოარული დებულება და ფრაზა, რომ მკვლევარი ხშირად ჰკარგავს საკუთარ სახეს, და ამიტომ ყველა ისტორიკოსი აქ ერთმანეთსა ჰგავს. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია აღნიშნულ უბანზე ისტორიოგრაფიული მუშაობის მხოლოდ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებით. ამ საქმეში გვსურს ჩვენი მცირედი წვლილიც იყოს შეტანილი წინამდებარე ნარკვევით.

სკკპ XX და XXII ყრილობათა გადაწყვეტილებებით, კერძოდ, პიროვნების კულტის კრიტიკით დაიწყო ახალი ეტაპი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. გაბედულად იქნა დაგმობილი მეცნიერული აზრის შეზღუდვა, რომელმაც მალე სათანადო შედეგებიც მოგვცა—დღის სინათლე იხილა მრავალმა გამოკვლევამ სწორედ პარტიის XX ყრილობის შემდეგ. ჩვენი მიზანია გავაშუქოთ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების ეს ახალი ეტაპი.

გარდა ამისა წინამდებარე ნარკვევის მიზანია ამხილოს თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გამოლაშქრება ქართული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ. რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები (ა. მაზური, მ. ლასხაური და სხვ.) ქართული და, საერთოდ, მთელი საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის სახელის გასატეხად მიმართავენ ცალკეულ მკვლევართა შრომებიდან მეცნიერულად სუსტი და გაუმართავი, დაუსაბუთებელი ადგილების ციტირებას, და, ბოლოს, მათ გამოცხადებას მთელი საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევად; ცალკეულ მკვლევართა შეცდომებს, რაც თავის დროზე საბჭოთა პრესაშიც იყო გაკრიტიკებული, თავს ახვევენ მთლიანად ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას. ამიტომ წინამდებარე ნარკვევში ყურადღება გამახვილებულია ცალკეულ მკვლევართა არა შემთხვევითი ხასია-

თის დაუსაბუთებელ დებულებებზე, არამედ მათი გამოკვლევის ძირითად დასკვნებზე, რაც ასე თუ ისე გაზიარებულია ისტორიულ მეცნიერებაში; შემთხვევითი დებულებანი, რომლებიც ისტორიული აზრის განვითარების ძირითად კანონზომიერებას არ არღვევენ, წიგნში უყურადღებოდაა დატოვებული, ხოლო ისეთნი, რომლებიც ასე თუ ისე ახდენენ რაიმე გავლენას ავტორის აზრთა მსვლელობაზე, განხილულია სათანადო სქოლიოებში. ამ გზით შევეცადეთ წინამდებარე ნარკვევში გვეჩვენებინა ქართული ისტორიული აზრის განვითარების მაგისტრალური ხაზი, საერთო კანონზომიერების დამრღვევ, შემთხვევით გარემოებათაგან თავისუფალი.

წინამდებარე ნარკვევში ყველა ნაშრომი ვერაა ერთნაირი სისრულით განხილული, ზოგიერთთა მიმართ ანოტირებული ბიბლიოგრაფიით დავკმაყოფილდით, მაგრამ ამ ნარკვევს საერთოდ ბიბლიოგრაფიული სისრულის პრეტენზიაც არა აქვს.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ და მადლობა მოვახსენოთ ჩვენს მეგობრებსა და კოლეგებს, რომლებმაც პატივი დაგვდეს და დახმარება გაგვიწიეს ჩვენი ნარკვევების მომზადებასა და გამოქვეყნებაში: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებს: ა. კუპრავას, ბ. პლიევს, მ. ჯიჯეიშვილს — ბიბლიოგრაფიული მასალების მოწოდებისათვის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებს: გ. მარგიანსა და გ. ღამბაშიძეს—უცხოური წყაროების თარგმნისა და ბიბლიოგრაფიული მასალების მოწოდებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკათა თანამშრომლებს: ნ. სტეფანიშვილს, ე. წერეთელს, ა. ვათეიშვილს, ნ. ნიჟარაძეს და ვ. ბერიძეს—ბიბლიოგრაფიის, საჭირო ლიტერატურისა და პერიოდიკის დაუბრკოლებელი მოწოდებისა და კეთილი გულისხმიერებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებს გ. გოგიავას და დ. კეკელიძეს — წყაროების შემოწმებისა და ციტატების შედარებისათვის, აგრეთვე უკანასკნელი კორექტურის წაკითხვისათვის.

ნაწილი პირველი

მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის სათავეებთან საქართველოში

თავი პირველი

რევოლუციურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფია

ისტორიოგრაფია. რომელსაც საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს, მუდამ აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მოწინავე უბანს წარმოადგენდა ყოველთვის. რომანტიზმიც კი, რომელმაც ფეხი მოიკიდა ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად, არ წარმოადგენდა ისტორიოგრაფიის ცხოვრებიდან, თანამედროვეობიდან გაქცევის შედეგს, იგი უფრო პროტესტი იყო ქართველი ხალხის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გაუქმებისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების შედეგად იბადებოდა ახალი საქართველო. ისტორიოგრაფიასაც გაუჩნდა ახალი საზრუნავი, უკვე საკმარისი აღარ იყო მხოლოდ პროტესტი, ამასთან ერთად საჭირო იყო მოქმედება, ხელის შეწყობა ახალი საქართველოს დაბადებისა და დავაჟკაცებისათვის. ეს ისტორიული აუცილებლობა კარგად დაასაბუთა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით პროგრესული საზოგადოებრივი აზრის დიდმა მებაირაღტრემ ილია ჭავჭავაძემ.

ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს საუკეთესო მერმისისათვის აქტიური მებრძოლი, ძველი საქართველო მისთვის განვლილი ეტაპი იყო, ილიას დროშა იყო ბრძოლისა და მოქმედების პროგრესული დროშა, რომლის გარშემოც დაირაზმა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოების ყველა პროგრესული მოღვაწე. ილია და მისი თანამოაზრენი სათავეში ჩაუდგნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, წარმატებით უწყობდნენ ხელს ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას ბურჟუაზიულ ერად.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებისა და ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბების ერთ-ერთ საშუალებად თერგდალეულებს მიაჩნდათ ხალხში ეროვნული სიამაყის გრძნობის აღზრდა, ეროვნული მთლიანობის შეგნების გაღვივება. აქ ისტორიას უდაოდ დიდი როლის შესრულება შეეძლო. და, სწორედ ამიტომ იყო, რომ „...ისტორიოგრაფიული მუშაობა უფრო ფართოდ გაიშალა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს პროცესი დაკავშირებული იყო, პირველ რიგში და განსაკუთრებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ზრდასთან"[1]. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიას ძნელად დასაძლევი დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ, ეს იყო რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელსაც ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება კარგს ვერაფერს უქადდა, ამიტომ, თუ შეიწყნარებდნენ რაიმე ისტორიულ თხზულებას, მხოლოდ პანეგირიკულს. აი, რას წერდა სერგეი მესხი საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების პირობების შესახებ: „1900 წლის შემდეგ ჩვენი ისტორიის დაწერა ხელრიანად და პატიოსნად არ მოხერხდება, ცენზურა ნებას არ მისცემს, მმართველობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვისას, რომელშიც ყველა იმის მოქმედებისა და განკარგულებების (საქართველოში) ქება არ იქნება, რომელშიაც გამოთქმული არ იქნება აზრი, რომ რუსეთთან შეერთებით საქართველოს ბედნიერი და ნეტარი ცხოვრება მიენიჭაო, — და ამისთანა ისტორია სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს..."[2] „ჩვენი ისტორია ჯერ არ დაწერილა, — წერდა ი. ფანცხავა (ფხა), —ამას თავისი გასამართლებელი საბუთებიც აქვს. ისტორიის კვლევასა და ძიებას მუყაითი, დამჯდარი და გამუდმებული მშვიდი კაბინეტური შრომა უნდა. ასეთი შრომისათვის კი ჩვენი ცხოვრება როდია მოწყობილი. ამისათვის არც შეძლება, არც გარემოება და არც ნიეთიერი მდგომარეობა ხელს არ გვიწყობს, ჩვენ გვმართებს მხოლოდ იმ იმედით ვისულდგმულოთ, იმიტომ ვიშრომოთ და ვიჯაფოთ, რომ პირუთვნელი ისტორიის შემდგენელს ნიადაგი დაუმზადოთ"...[3] ასეთ-

---

[1] ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე (აკად. ნ. მარის სახ. ენისა, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. XXVII).

[2] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, თბილისი, 1903, გვ. 143—144.

[3] ი. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, თხზულებანი, ფოთი, 1903, გვ. 218.

მა პირობებმა მართლაც შეზღუდა ისტორიული კვლევა-ძიების ამოცანა ისტორიული წყაროების შეგროვებითა და, უკეთეს შემთხვევაში, კომენტატორული მოღვაწეობით[4]. ქართული ისტორიული წყაროებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში გაძლიერდა[5], მაგრამ ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო ქართული ისტორიოგრაფია დიდხანს დარჩა წყაროების შეგროვებისა და შესწავლის ეტაპზე, იგი „ნიადაგს უმზადებდა პირუთვნელი ისტორიის შემდგენელს".

საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგა დ. ბაქრაძემ. მან 1870 წლის 20 ნოემბერს ღია წერილით მიმართა ქართველ საზოგადოებას „მამულის ისტორიის" აუცილებელი საჭიროების გამო. იგი წერდა: „ყოველი ხალხი, რომელიც განათლების გზას დასდგომია, იმას ცდილობს, რომ თავისის მამულის ისტორია იქონიოს. ისტორია გვიჩვენებს, საზოგადოდ, რა გვარი ცხოვრება ჰქონიათ აშა და ამ ტომის წინაპართ, რა ყოფილა მიზეზი იმათის კეთილდღეობისა, იმათის დამცირებისა. თვითეულს ტომს თავისი ისტორია უნდა ჰქონდეს უკეთესს საკითხავ წიგნად და ხელთ-მძღვანელად. გამოკვლეული არის, რომ წარსულ დროზეა მჭიდროდ დამყარებული აწინდელი დრო. ვინც ძველის დროს ამბები არ იცის, იმან ახალის დროს მნიშვნელობა არ იცის. ჩვენ ჩვენს ენაზე ჩვენი ისტორია არა გვაქვს, — ისტორია ისე დაწერილი, როგორც ახლანდელი დრო და საზოგადოება მოითხოვს. ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული სვე და ამისათვის გულგრილად შევცქერით აწინდელს ჩვენს მდგომარეობას და საზოგადო კეთილდღეობას"[6].

დ. ბაქრაძის აზრით, „მამულის ისტორია" ქართველი ხალხისათვის აუცილებელია, რადგან, ჯერ ერთი, თანამედროვეობის გაგება შეუძლებელია წარსულის, ისტორიის ცოდნის გარეშე; მეორე, ისტორიული მეცნიერება მხოლოდ და მხოლოდ დროებისა და საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და, ბოლოს, წარსულის უცოდინარობის გამო ქართველობა გულგრილად შესცქერის თანამედროვეობას. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს რომ, დ. ბაქრაძეს ისტორიუ-

---

[4] იხ. ს. ჯანაშია. დასახელებული ნაშრომი, გვ. XXVII.

[5] იხ. დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, თბილისი, 1884, გვ. 2.

[6] დ. ბაქრაძე, საქართველო, რვეული პირველი, 1871.

ლი მეცნიერება „მხოლოდ ისტორიული მეცნიერებისათვის“ კი არ აინტერესებს, არამედ იგი მას სჭირდება როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი საიმედო იარაღი, მას ცხოვრებისეული დანიშნულება აქვს დიდი ქართველი მეცნიერის აზრით.

დ. ბაქრაძემ ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1888 წელს გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის პროგრამა. რასაც გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც „ივერიის“ მეთაურის სახით დაბეჭდა ცნობილი სტატია „ერი და ისტორია“. ამ სტატიამ თავიდანვე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება. აქ გაშუქებულია ისტორიისა და ისტორიული მეცნიერების რიგი კარდინალური საკითხი, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ისტორიული მეცნიერების განვითარებისა და ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებენ გასული საუკუნის 80—90-იან წლებში ილია ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალეულები[7], რაც გამოწვეული იყო 80-იანი წლებიდან რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებით. ქართველი ხალხის ეროვნული კულტურისა და ეროვნული მთლიანობის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მძაფრი იერიში მიიტანა ცარიზმმა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ბრძოლის საშუალებად მან კიდევ უფრო მეტად მოიმარჯვა მისი ტრადიციული იარაღი — დაპყრობილი ერებისა და ხალხების ძალდატანებით გარუსების პოლიტიკა.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი თერგდალეულთა ბანაკიდან, ისე როგორც შემდეგში არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი „საქართველო“-„ცნობის ფურცლიდან“, წარმოადგენდნენ ქართული ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველები ობიექტურად იყვნენ ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგები მისი აღმავლობის პერიოდში, მეორენი კი როგორც ობიექტურად. ისე სუბიექტურადაც იყვნენ ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგები იმპერიალიზმის პერიოდში, როდესაც მას არაფერი გააჩნდა პროგრესული და რევოლუციური[8]. ამ გარემოებამ განსაზღვ-

---

[7] იხ. ა. იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 43.

[8] ამ ნაშრომში ჩვენ მიზნად არ ეისახავთ თერგდალეულთა ideოლოგიის კლასობრივი ბუნების გარჩევას. აეტ.

რა მათი დამოკიდებულება თანამედროვეობის, აწმყოს მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობისადმი. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი წარსულის ცოდნას განიხილავდნენ არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც ერთ-ერთ საიმედო იარაღს აწმყოს მეცნიერული შესწავლისა და მისი რევოლუციური გარდაქმნისათვის. არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი კი უარყოფდნენ, უკეთეს შემთხვევაში საეჭვოდ ხდიდნენ, „აწმყოს მეცნიერულ შემეცნებას[9] და, მაშასადამე, მისი რევოლუციური გარდაქმნის შესაძლებლობასაც. ამიტომ პირველები ისტორიულ მეცნიერებაში იყვნენ რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლები, ხოლო მეორენი, თავიანთი დისტანციის თეორიით, რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენლები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ რამდენიმე ამონაწერი: „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, — წერდა ილია 1862 წელს, — როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო. ან წარტოლვილ ქეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ქეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედ... სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი“[10]. აქ დიდმა ილიამ გენიალურად გადმოსცა სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულება ხელოვნებისა და სინამდვილის, ცხოვრებისა და მეცნიერების ურთიერთობის შესახებ. მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრების ახსნისა და „გასამჯობინებელ“ ღონისძიებად მიაჩნდა ილიას, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს

[9] იხ. ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 138.

[10] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 68.

„წარტოლვილ ჭეშმარიტებათა“ ძიებაც. წარსულის ცოდნა, „წარტოლვილ ჭეშმარიტებათა“ ძიება, ილიას აზრით, უნდა ეხმაურებოდეს თანამედროვეობას, პასუხს უნდა აძლევდეს თანამედროვეობის საპირბოროტო საკითხებს, მან მასებს უნდა აუხილოს თვალი, ნათლად აჩვენოს თანამედროვეობის წყლულები და მათი განკურნების საშუალებანი, მან ცნობიერებაში უნდა მოიყვანოს, შეხედულებათა სისტემათ უნდა ჩამოაყალიბოს ხალხის განცდები და სურვილები ცხოვრების „გაუმჯობესებისაკენ“ მიმართული. ამისათვის სჭირდებოდა წარსულის ცოდნა თერგდალეულთა სახელოვან პლეადას. თანამედროვეობა, თანამედროვეობა და თანამედროვეობა, სხვა ყველაფერი მისი გაუმჯობესებისა და რევოლუციური გარდაქმნისათვის! ასეთია ქართველ სამოციანელთა სამოქმედო დევიზი.

ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი დიმიტრი ბაქრაძე, ეხებოდა რა საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნის აუცილებლობას, 1870 წელს წერდა: „ჩვენ ჩვენს ენაზე ჩვენი ისტორია არა გვაქვს, — ისტორია ისე დაწერილი, როგორც ახლანდელი დრო და საზოგადოება მოითხოვს“[11]. დიდ მეცნიერს ვერ წარმოედგინა მეცნიერული ისტორია ისე, თუ იგი არ იქნებოდა „ახლანდელი დროისა და საზოგადოების“, თანამედროვეობის ინტერესთა შესაბამისი, ამიტომ სამოციანელთათვის ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველი ნაწარმოები თუ მიღწევა ფასდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად პასუხობდა იგი „ახლანდელი დროისა და საზოგადოების“ ინტერესებს. ამიტომ მოსწონდა დ. ბაქრაძეს ტ. გრანოვსკი, რომელიც ევროპის საშუალო საუკუნეთა ისტორიის ლექციებს ისე კითხულობდა, რომ მსმენელთ თვალებს უხელდა თვითმპყრობელურ რუსეთში არსებული რეჟიმის სისაძაგლეზე. ამიტომ გრანოვსკის ლექციებს უაღრესად გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე. საქართველოს სწორედ ასეთი ისტორიის შექმნაზე ოცნებობდა დიდი მეცნიერი, ილიასა და აკაკის მეგობარი და თანამებრძოლი დიმიტრი ბაქრაძე.

აკაკი წერეთელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა თანამედროვეობის, აწმყოს მეცნიერულ შესწავლას. 1881 წელს, მიმართავდა რა არქეოლოგთა V კონგრესის მონაწილეებს, აკაკი წერეთელი ამბობ-

---

[11] დ. ბაქრაძე, საქართველო, რვეული პირველი, 1871.

და: „მეცნიერნო! დღეს თქვენ მოსულხართ მისთვის, რომ გაჩხრიკოთ ნანგრევები, ამოიღოთ იქედან ის ნაშთები და ზე-მიჰფინოთ მათ შუქი მეცნიერებისა! დიდია თქვენი ის ღვაწლი, მაგრამ მაგაზედ ნაკლები არაა ჩვენი მადლობა! მარტო ამ[illegible], აძ ეოთითა[illegible] არ თავდება თქვენი სამსახური: თქვენ დღეს მაგალითს აძლევთ სხვებს, რომ იმათაც შეისწავლონ და გამოიკვლიონ ჩვენი აწმყო ისეთივე გულისმოდგინებით და სიყვარულით, როგორითაც თქვენ იკვლევთ წარსულს; და ეს აუცილებლად საჭირო არის, დღეს, თითქმის გამოუკვლეველისა და უცნობის ჩვენის ქვეყნისათვის"[12].

ამრიგად, ქართველი ხალხის დიადი ბერმისისათვის თავდადებულმა მებრძოლებმა კარგად იცოდნენ, რომ „ყოველივე ის, — კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით თუ ვიტყვით, — რაც ჩვენი ქვეყნის აწმყოს არ ეკორესპონდირება, სავსებით ამაო ხარჯვაა ენერგიისა და ქაღალდისა"[13].

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა თერგდალეულებმა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას სასტიკი ომი გამოუცხადეს. ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მოუწოდეს ლიტერატურას, ხელოვნებას, პუბლიცისტიკასა და მეცნიერებას. განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრებოდა ისტორიულ მეცნიერებას ხალხის ეროვნული თვითცნობიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი სამოციანელები ისტორიული მეცნიერების მომარჯვებით არა მარტო ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცებას უწყობდნენ ხელს, არამედ წინ სწევდნენ და ავითარებდნენ ისტორიულ მეცნიერებას, განსაზღვრავდნენ მის საგანსა და ამოცანებს, მეთოდსა და მეთოდოლოგიას, იძლეოდნენ კონკრეტ-ისტორიული საკითხების ბრწყინვალე გადაწყვეტის ნიმუშებს რევოლუციურ-დემოკრატიზმის პოზიციებიდან.

ისტორიული მეცნიერების რაობისა და დანიშნულების შესახებ ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი 60-იანი წლების მთელი რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის საერთო ნაყოფია. ილია ჭავჭავაძის

---

[12] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. [illegible], [illegible] 136

[13] გაზ. „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ა ზ ე თ ი", 1962 წლის 8 ივნისი, № 23.

აზრით, ისტორია არის „მთხრობელი იმისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“[14]. მაშასადამე, ისტორიული მეცნიერება მოგვითხრობს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. „რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედებითი ძალი, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ერთს ნამოქმედს სხვა სამოქმედო საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ჰშობს, მეორე მესამეს და ეგრე გაებმის ხოლმე ის ფერადი გრეხილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას“[15]. „აღდგენა ისტორიისა, ილიას აზრით, ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“[16]. ილიას მიერ ისტორიული მეცნიერების ამ განმარტებიდან გამოდის, რომ ისტორია კანონზომიერი, ბუნებრივ-ისტორიული პროცესია, ამიტომ არა მარტო წარსულისა და აწმყოს შემეცნებაა შესაძლებელი, არამედ შესაძლებელია მომავლის მეცნიერული განჭვრეტაც. ამით ილია ჭავჭავაძე უპირისპირდება სუბიექტივიზმსა და ისტორიის შესახებ მეცნიერების შესაძლებლობის ნეოკანტიანურ უარყოფას. ამასთან ერთად საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე, წინააღმდეგ განვითარების მეტაფიზიკური თეორიისა, საინტერესო ნიმუშს გვაძლევს განვითარების დიალექტიკური გაგებისას. 1862 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია წერდა: „გული სხვა რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევნო წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და

[14] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებული, ტ. V, გვ. 207.
[15] იქვე, ტ. VI, გვ. 205.
[16] იქვე, ტ. V, გვ. 243—244.

სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი"[17].

ი. ჭავჭავაძე, და საერთოდ ყველა თერგდალეული ერთხმად აღიარებდა ერისათვის ისტორიული მეცნიერების დიდი საზოგადოებრივ აღმზრდელობით მნიშვნელობას. ისტორიულ მეცნიერებას, ისტორიულ ჭეშმარიტებათა დადგენასა და გამომზიურებას განიხილავდნენ არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც საშუალებას ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძებისა და შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხში ეროვნული სიამაყის გრძნობის, კეთილშობილური პატრიოტიზმის აღზრდისათვის. ყოველივე ამას მოითხოვდა საქართველოს მაშინდელი მძიმე მდგომარეობა, როდესაც ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა გამძაფრებით უტევდა ყოველივე ქართულს, ყოველივე ეროვნულს. საჭირო იყო შეტევაზე გადმოსული მტრისათვის ეროვნულად კონსოლიდირებული ხალხის დაპირისპირება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება. მოვუსმინოთ თვითონ ილიას ისტორიის მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხალხი, რომელსაც საკუთარი ისტორია არ შეუმუშავებია, ილიას აზრით, „უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომ ესეთი ხალხი ბევრად არ გამოირჩევა პირუტყვთაგან... ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში"[18]. მაგრამ „თუ ესეთი არა, — განაგრძობს ილია, — ბევრათ მეტი არ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ"[19]. ამიტომ დაასკვნიდა დიდი ილია: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა..."[20]

ილია ჭავჭავაძე ისტორიული მეცნიერების აღმზრდელობით მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ იგი „სწურთნის ერსა, ზრდის, და

---

[17] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1933, გვ. 58.

[18] ი ქ ვ ე. გვ. 240.

[19] ი ქ ვ ე.

[20] ი ქ ვ ე, გვ. 239.

დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ"[21].

ვაჟა-ფშაველამ, ისე როგორც ილია ჭავჭავაძემ და ყველა თერგდალეულმა, ისტორიული მეცნიერების დანიშნულება ერის თვითშეგნებისა და თავისუფლების იდეას დაუკავშირა[22]. დ. ბაქრაძის ყარდაცვალებასთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველა დიდი მეცნიერის დამსახურების შესახებ წერდა: დ. ბაქრაძემ „მკერდ-ხავსიან საქართველოს წარსულს მოჰფინა ნათელი, რომელმაც აღზარდა ჩვენში ეროვნული თავის ცნობა, თავის ვინაობის შეგნება; გაგვიღვიძა იმედი მომავლისა და ჩვენს ფრთებ შეკვეცილს ეროვნულს გრძნობას ფრთები შეასხა"[23]. ამრიგად, XIX საუკუნის 60-იანი წლების „სახელოვანნი მამულიშვილნი, ყველაზე უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ", და კიდეც მიაღწიეს მას, მოძალადეებმა ერს ვერ დაავიწყეს თავისი წარსული და ვერ დაუკარგეს მომავლის რწმენა და იმედი.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აკად. ი. ჯავახიშვილის ერთ დებულებას, რომელიც ეხება ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ისტორიული მეცნიერებისადმი. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „...ჩვენს დაუვიწყარს მოამაგეს (ილია ჭავჭავაძეს, ი. ჯ.) საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონების თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა"[24]. ამ დებულების გაზიარება შეუძლებლად მიგვაჩნია, როგორც ზევით ვნახეთ, ილიას უტყუარი და „პირუთვნელი" ისტორია სჭირდებოდა და აინტერესებდა არა თავისთავად, არამედ სწორედ „ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგად". ივანე ჯავახიშვილს, როგორც საფიქრებელია, აღნიშნული დებულების ჩამოყალიბებისას სურდა ილია ჭავჭავაძე დაეპირისპირებინა გიორგი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილისათვის, რომლებიც ერთ დროს „ადვოკატური გამოსარჩ-

---

[21] ი. ჭავჭავაძე, სრული კრებული, ტ. V, გვ. 243.

[22] იხ. პ. გუგუშვილი, ვაჟა-ფშაველას სოციოლოგიურ შეხედულებათა შესახებ (ტურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1961, № 7, გვ. 57).

[23] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 178—179.

[24] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბილისი, 1938, გვ. 4.

ლების“ პრინციპით მოითხოვდნენ ისტორიის წერას, რისთვისაც ი. გოგებაშვილი სამართლიანად გააკრიტიკა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა სპეციალურ გამოკვლევაში „მამულიშვილობა და მეცნიერება“. გ. წერეთელმა, „მოინდომა თავისი თანამემამულენი გამოეღვიძებია, — წერდა ი. ფანცხავა, — ამისათვის კი საუკეთესო მასალას წარმოადგენს ისტორია და ამ ისტორიიდან ამოღებული წასაბაძ გმირების ყოფა-ცხოვრების აღწერილობა“[25], მაგრამ, როგორც ივივე ავტორი შენიშნავს, გ. წერეთელი ისტორიულ სინამდვილეს ასცდა და მოგვცა რიგ შემთხვევებში ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ტენდენციური შეფასება, რაც ი. ფანცხავას მიუღებლად მიაჩნდა, „ისტორია, მისი აზრით, პირუთვნელი, პირდაპირი და მართალი უნდა იყოს“[26]. ხოლო გ. წერეთლის ზოგიერთ ისტორიულ გამოკვლევას, როგორც თვითონ გიორგი წერდა, „სამეცნიერო საფუძველი კი არა აქვთ, მაგრამ... მათი კითხვა თვალს აუხელს ბევრ ჩვენებურ მკითხველს“[27]. ისტორიულ მეცნიერებაზე ი. გოგებაშვილისა და გ. წერეთლის ცალმხრივი შეხედულებიდან შორს იდგა ილია ჭავჭავაძე, რისი აღნიშვნაც სურდა ივანე ჯავახიშვილს პირველ რიგში.

ისტორიულმა მეცნიერებამ რომ შეასრულოს თავისი საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება, მას უნდა გააჩნდეს კვლევის რეალური საგანი, რომელიც უნდა მოიცავდეს ერის ცხოვრების არსებით მხარეს. თერგდალეულები აქაც აღმოჩნდნენ ეპოქის მეცნიერულ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე. მათ მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრეს ისტორიის, როგორც მეცნიერების საგანი.

ქართველმა სამოციანელებმა, ისე როგორც რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა, ერთხმად აღიარეს ხალხი და მისი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება ისტორიული მეცნიერების საგნად.

1866 წელს გაზეთ „დროებაში“ ცნობილმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა სერია წერილებისა საერთო სათაურით — „ისტორიული მოძრაობა განათლებისა“. აქ მან მეცნიერული სიზუსტით დაახასიათა ისტორიოგრაფიის მაშინდელი განვითარების დონე საერთოდ, დასახა ისტორიული კვლევა-ძიების კონკრეტული გეგ-

---

[25] ი. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, თხზულებანი, გვ. 217.

[26] ი ქ ვ ე.

[27] გაზ. „დ რ ო ე ბ ა“, 1871 წლის 18 ივნისი, № 24.

მა და მიმართულება კერძოდ. დ. ბაქრაძემ აღნიშნა ადრინდელი ისტორიოგრაფიის შემდეგი ძირითადი ნაკლოვანებანი: 1. გატაცება მხოლოდ და მხოლოდ დინასტიებისა და ომიანობის ისტორიით[28]. 2. ხალხის ისტორიის უგულვებელყოფა[29], 3. ხსტორიულ პიროვნებათა როლის გაზვიადება[30] და, ბოლოს, 4. შოვინიზმი[31].

დ. ბაქრაძე, აკრიტიკებდა რა ადრინდელ ისტორიოგრაფიას აღნიშნული ნაკლოვანებებისათვის, მტკიცედ დადგა რუსეთისა და ევროპის მოწინავე ისტორიული აზრის პოზიციებზე. მას ახალი დროის ისტორიკოსისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ღრმა მეცნიერული მომზადება და ფართო განათლება. „ჩვენი დროის ისტორიკოსი, — წერდა დ. ბაქრაძე, — ძალიან მომზადებული და განვითარებული კაცი უნდა იყოს. იმას უნდა ესმოდეს თითქმის ყოველივე სამეცნიერო საგნები, რომელნიც ისტორიაში უნდა გამოიხატებოდნენ"[32], ე. ი. არა მარტო მსოფლიო ისტორია, არამედ ისტორიული მეცნიერების ყველა დამხმარე დისციპლინაც.

დ. ბაქრაძე აღიარებდა, რომ საზოგადოებაში, ისე როგორც ბუნებაში, მოქმედებდნენ ობიექტური კანონები, რომელთაც ემორჩილება როგორც ერთი, ისე მეორე[33]. ამიტომ, მისი აზრით, „ყოველივე ეს ისტორიკოსს მხედველობაში უნდა ჰქონდეს. იმან უნდა წარმოგვიდგინოს მთელი ხალხის ცხოვრების თვისება, უჩვენოს გავლენა სხვა და სხვა კანონებისა და შემთხვევების ხალხის ხასიათზედ, იმის ყოფაცხოვრებაზედ". აქ ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყუ-

---

[28] „ჩვენი წინაპრები თავიანთ მოთხრობაში გვიამბობდნენ მხოლოდ ომიანობას, ჩამოსთვლიდნენ დინასტიებს და თუ რომელიმე ხელმწიფე სხვებში უფრო გამოიჩენდა თავს, მაშინ დიდის დაწვრილებით აგვიწერდნენ, თუ რამდენ ომში გაიმარჯვა იმან" (გაზ. „დ რ ო ე ბ ა", 1866 წ. 17(29) ივნისი, № 16).

[29] „ხალხის ცხოვრების წარმოდგენა... საჭიროდ არ მიაჩნდათ. ასე იყო როგორც ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე მთელს ევროპაში" (ი ქ ვ ე).

[30] „კერძოობით პირებს, რაც უნდა მაღლა იდგნენ ივინი, ის მნიშვნელობა აღარ აქვთ ახლანდელ ისტორიაში, როგორც უწინ" (ი ქ ვ ე).

[31] „ყველა ისტორიკოსის მემამულე მეფეები და თვით ხალხი, რა საკვირველია, სხვებზედ უპირატესნი იყვნენ ნიჭით, ეაეკაცობით და ყოვლის თვისებით" (ი ქ ვ ე).

[32] გაზ. „დ რ ო ე ბ ა", 1866 წლის 17(29) ივნისი, № 16.

[33] საზოგადოებასა და ბუნებაში ობიექტური კანონების არსებობასა და მათ შეცნობადობას აღიარებს ან. ფურცელაძეც. იგი შესაძლებლად თვლის საზოგადოების შესახებ მეცნიერების გადაქცევას ისეთივე ზუსტ მეცნიერებად როგორიცაა ბიოლოგია, ასტრონომია და სხვ. (იხ. ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი" № 1, 1872 წ.).

რადღება, ჯერ ერთი, დ. ბაქრაძეს „კანონებში“ ესმის „გარეგანი და ზნეობითი კანონნი“. „გარეგანი“ კანონი კი ბუნების კანონია, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა საზოგადოებაზე. აქედან გეოგრაფიული გარემოს როლის გაზვიადება, რასაც თავი ვერ დააღწია ევროპისა და რუსეთის მაშინდელმა პროგრესულად მოაზროვნე თითქმის ვერც ერთმა ისტორიკოსმა და სოციოლოგმა. გარდა მარქსიზმის ფუძემდებლებისა. „ვერც ერთი ადამიანი, — წერდა დ. ბაქრაძე. — ვერც ერთი ხალხი ვერ აიცილებს გავლენას კლიმატისას, საქმლისას და სხვა შემთხვევებისას, რომელშიაც ის მოძრაობს“. მეორე, აქ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ დ. ბაქრაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა გაამახვილა ყურადღება „მთელი ხალხის ცხოვრებაზე“, „ხალხის ხასიათზედ, იმის ყოფაცხოვრებაზედ“. რამდენიმე წლის შემდეგ, 1873 წელს. დ. ბაქრაძე ამ საკითხს კვლავ შეეხო. რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში წარდგენილ მოხსენებაში იგი წერდა: „ამჟამად, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიჩნეულ უნდა იქნას არა აღწერა გარეგან მოვლენათა და არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ ნამდვილი და საფუძვლიანი დასურათება ხალხის შინაგანი ცხოვრებისა, მისი ეკონომიური და სოციალური ყოფისა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს შედგენილი, როცა გაგებული და გამორკვეული იქნება შინაგანი ცხოვრების ყველა მხარე. ძველ საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესახებ ჩვენ მაინც და მაინც არა ვიცით რა. მათზე ჩვენ ან ცოტა გვაქვს მონაცემები, ან სულ არა: ქრონიკები უმთავრესად ეხებიან მის საგარეო მოვლენებს, საქართველოზე მტრის დაცემას და მის განდევნას. შინაგან ცხოვრებას ისინი ან დუმილით უვლიან გვერდს ან გაკვრით ეხებიან“[34].

აქ, როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძემ კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ეპოქის პროგრესული ისტორიული აზრი ისტორიაზე საერთოდ, და ისტორიულ მეცნიერებაზე კერძოდ, რაც მაშინდელ რუსეთსა და საქართველოში დიდ მეცნიერულსა და მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა.

---

[34] ციტირებულია ა. კ ი კ ვ ი ძ ი ს ნაშრომიდან—XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება (იხ. „მ ა ს ა ლ ე ბ ი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 29. თბილისი, 1951, გვ. 4).

დ. ბაქრაძემ ჩამოაყალიბა ისტორიული კვლევა-ძიების კონკრეტული პროგრამა, რომელიც პასუხობდა თავისი დროის პროგრესული მეცნიერების მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ მას არასოდეს არ უღალატნია ქართული ისტორიული წყაროების შეფასების დროს ზომიერების გრძნობისათვის[35]. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დ. ბაქრაძის მსოფლმხედველობა რეფორმიულიერ-დემოკრატიზმითაა გამსჭვალული. ამიტომ არ იქნებოდა მართებული დ. ბაქრაძე გამოგვეცხადებინა ინგლისელი ჰენრი ტომას ბოკლის პოზიტივიზმის მიმდევრად მხოლოდ გეოგრაფიული გარემოს როლის გაზვიადებული შეფასებისა და მის მიერ ბოკლის მომხიბლავი ენის მაღალი შეფასებისათვის. გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების განვითარებაზე მეტ-ნაკლებად ყველა რეფორმიულიერ-დემოკრატი, მათ შორის ქართველი სამოციანელებიც ზომაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ[36], მაგრამ არავის მოსვლია აზრად მათი პოზიტივისტებად გამოცხადება. მსოფლმხედველობრივად რა უნდა ჰქონოდა საერთო ჩვენს ისტორიკოსს ბოკლთან, რომელიც მთელ თავის ენერგიას სწირავდა ბურჟუაზიული წყობის შე-

---

[35] ვერ გავიზიარებთ პროფ. ა. კიკვიძის დებულებას, იმის შესახებ, რომ დ. ბაქრაძე „ქართლის ცხოვრებას“, თითქოს ერთიანად საგარეო უთიერთობის ამსახველ ქრონიკებად, საქართველოს თავდაცვითი ბრძოლის ისტორიად აცხადებდეს (იხ. ა. კიკვიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 4). ამის მსგავსს დ. ბაქრაძესთან ვერაფერს ვხახავთ, პირიქით, იგი წერს მხოლოდ იმაზე, რომ ქართული წყაროები „უმთავრესად ეხებიან მის (საქართველოს, ი. კ.) საგარეო მოვლენებს“, „შინაგან ცხოვრებას ან დუძილით უელიან გვერდს ან გაკვრით ეხებიან“.

[36] „მეცნიერებისაგან დამტკიცებული კეშმარიტებაა,—წერდა სერგეი მესხი, —რომ ყოველი ხალხის ენა, ჩვეულება, ხასიათი და მთელი ცხოვრება იმ ბუნებაზედ არის დამოკიდებული, რომელშიაც ეს ხალხი ცხოვრობს... გარემო ბუნება თავის ბეჭედს ადებს ყოველი ხალხის ენას, ხასიათს, ჩვეულებას და საზოგადო ცხოვრებას. აქედან წარმომდინარეობს სხვადასხვა ხალხოსნობა და ამ ბეჭდის აღმოხოცვა შეუძლებელია; მაშ აგრეთვე შეუძლებელი უნდა იყოს ერთი ხალხის მიერ მეორის გადაკეთება“ (გაზ. „დ რ ო ე ბ ა“, № 35, 1872 წ.). ამ უკანასკნელი დებულების დასაბუთებისათვის დასჭირვებია ს. მესხის გეოგრაფიული გარემოს როლის გაზვიადება, ასეთივე მიზნით არა ერთი უცხოური იდეის პროპაგანდისტებად მოგვლინებია წარსულში ბევრი გამოჩენილი ქართველი პატრიოტი მოღვაწე. „კაცის გაუმჯობესებაში, — წერდა ა. ფურცელაძე,—უპირავს დიდი ადგილი საზრდოს, ჰავას, ბუნების სანახაობას, ეთნოგრაფიულს და გეოგრაფიულს გარემოებათ“ (ტურ. „შ ნ ა თ ო ბ ი“, № 3, 1871 წ.).

ლამაზებას, მის შინაგან წინააღმდეგობათა მიჩქმალვას და, რაც მთავარია, ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის გამართლებას, მაშინ, როდესაც დ. ბაქრაძე გამოდის კაპიტალიზმის მკაცრი კრიტიკით, რაც 60-იანი წლების საქართველოში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. „ჩვენ რას ვხედავთ ცივილიზაციით მოქადულს ევროპაში? — კითხულობდა დ. ბაქრაძე, და თვითონვე პასუხობდა: — დიდძალი მუშა ხალხი პირუტყვულ მდგომარეობაშია". „კაპიტალისტი მტერია მუშა ხალხისა, — განაგრძობს იგი, — ის არ უნდა იყოს. როდესაც მუშა ასოციაციების შუამავლობას მიჰმართავს, მაშინ კაპიტალისტი დაჰკარგავს თავის ძალას, შრომა მონობისაგან გამოვა. თავისუფალი გახდება და თვითონვე შეიძენს კაპიტალს"[37]. რაც შეეხება ბოკლის უნარს მკითხველისათვის მიმზიდველად წერისას, ამას არა მარტო დ. ბაქრაძე აღიარებს, არამედ ზოგი სხვაც. ინტერესმოკლებული არ იქნება ამის შესახებ მოვუსმინოთ ი. ფანცხავას (ფხას). იგი წერდა: „საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ბოკლის მეოხებით ბევრი პარადოქსი გავრცელდა საზოგადოებაში. ასეთი გავრცელება ბოკლის აზრებისა, მგონია, უმთავრესად, შედეგია ბოკლის ლაზათიანის, და წარმტაცი ენისა. აქ საზოგადოება გაიტაცა ფორმამ, გარეგნობამ და შინაარსი კი დაავიწყა[38]. სხვა შეცდომები ბოკლისა რომ არ მოვიგონოთ, ისიც კმარა სანიმუშოდ, რომ ბოკლი უარყოფს მორალის ზრდას და განვითარებას"[39]. ასე რომ. ბაქრაძის გატაცება ბოკლის წერის მიმზიდველი მანერით არ კმარა იმისათვის, რომ ბაქრაძე ბოკლის თანამოაზრეთ გამოვაცხადოთ. მთელი თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით დ. ბაქრაძე უფრო გრანოვსკის თანამოაზრეა, ვიდრე სხვა ვინმესი. აი რას წერდა ტ. ნ. გრანოვსკის შესახებ 1858 წელს დ. ბაქრაძე: „გრანოვსკი შეირიცხა ევროპიელთ პირველთ ისტორიკებთ რიცხვში. მისის თხზულებით ყმაწვილთ კაცთ შეუძლიანთ შეიტყონ, რა არის ისტორიული ხელოვნება და კარგად ისწავლონ წერა. გრანოვსკი არა წერს აჩქარებით: ზედმიწევნითი ცოდნა წყაროებთა და

---

[37] გაზ. „დ რ ო ე ბ ა", № 17, 1866 წლის 24 იენისი. პროფ. მ. დუმბაძეს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ აქ ყურადღება არ იყოს „გამახვილებული კლასობრივი ბრძოლის თეორიის თვალსაზრისით" („დიმიტრი ბაქრაძე", გვ. 30), ეს თვალსაზრისი აქ არის, მაგრამ არ არის კლასობრივი ბრძოლა მარქსისტული გაგებით, და ამას ვერც ვუსაყვედურებთ დ. ბაქრაძეს.

[38] ასე დაეშართა დ. ბაქრაძესაც.

[39] ი. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, თხზულებანი, გვ. 23—24.

იძათი წესში მოყვანა შეადგენენ მისს პირველ საქმეს, და ამისთვის ის წერს საფუძვლიანად. ენა გრანოვსკის არის მარტივი და ამასთანავე სავსე მიმზიდავის მხატვრობითა.. ყოველთ ისტორიულთ პირთ და ისტორიულთ შემთხვევათ გამოხატავს ცხოვლად და ამით აღვიძებს მკითხველის გონებაში უეჭვოს თანხმობას და მკითხველის გულში სრულს მონაწილეობას"[40]. თუ ასეთი რამ საკმარისია ბაქრაძის დასაკავშირებლად ბოკლის პოზიტივიზმთან, რატომ არ უნდა იყოს ივივე საკმარისი საფუძველი მსოფლმხედველობრივად ბაქრაძის დასაკავშირებლად გრანოვსკისთან, რომელიც რუს განმანათლებელთა წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ ვერ შესძლო რევოლუციურ-დემოკრატიზმამდე ამაღლება; მიუხედავად ამისა, იგი განსხვავებით ბურჟუაზიული ლიბერალებისა, უფრო თანმიმდევრულად ებრძოდა ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას. იგი თავის საჯარო ლექციებში ოსტატურად იყენებდა ევროპის შუა საუკუნეთა მოვლენების მხატვრულ გაშუქებას რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის მხილებისათვის. რუსეთში ისტორიული მეცნიერების ამოცანასაც ამაში ხედავდა იგი. ისტორიული მეცნიერება მისთვის იყო იარაღი საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლაში[41]. ამიტომ აძლევდნენ ჰეტად მაღალ შეფასებას რუსი რევოლუციონერი დემოკრატები ტ. ნ. გრანოვსკის მოღვაწეობას[42]. აი ვისი თანამოაზრე შეიძლება იყოს დ. ბაქრაძე. მისი იდეური ნათესაობა ტ. გრანოვსკისთან აშკარაა. ბაქრაძე თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილებით რიგ შემთხვევებში გრანოვსკიზედაც მაღლა დგას. იგი სამართლიანადაა მიჩნეული ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეთა ერთ-ერთ თანამებრძო-

---

[40] ჟურნ. „ოისკარი", წიგნი VI, 1858, გვ. 63—64. ტ. ნ. გრანოვსკის ენის შესახებ ა. ჰერცენიც წერდა: «Его речь была сторога, чрезвычайно серьезна, исполнена силы, смелости и поэзии, которые мощно потрясали слушателей, будили их» (А. Герцен, Полное собрание сочинений и писем, т. 13, 1919 г., стр. 114).

[41] Большая Советская Энциклопедия, изд. второе. т. 12, вз. 447.

[42] ყოველივე ზემო აღნიშნულის გამო ვერ გავიზიარებთ პროფ. ვ. დუმბაძის მოსაზრებას დ. ბაქრაძისა და ბოკლის იდეური ნათესაობის შესახებ (იხ. ვ. დ უ მ ბ ა ძ ი ს, „დიმიტრი ბაქრაძე", ბათუმი, 1950, გვ. 138, 139, 155).

ლად[43], ე. ი. პროგრესულ, რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნედ[44].

ისტორიის შემოქმედია ხალხი და იგი, ამიტომ ისტორიული მეცნიერების საგანიც რომ უნდა იყოს, ეს აზრი ილია ჭავჭავაძემ პირველად გამოსთქვა 1872 წელს დავით ერისთავისადმი მიწერილ ბარათში. იგი წერდა: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტეინავ და განკითხვა არსით არის"[45]. ეს აზრი მან უფრო დასაბუთებული სახით გამოთქვა 1880 წელს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში — „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ", სადაც წერდა: „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა"[46].

ანტონ ფურცელაძემ 1867 წელს ჟურნალ „ცისკარში (№ 1) გააკრიტიკა ქართული მატიანეები იმისათვის, რომ იქ მიჩქმალული

---

[43] იხ. ა. კ ი კ ე ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1.

[44] მიუხედავად ამისა, გაკვირვებას იწვევს პროფ. მ. დუმბაძის განცხადება იმის შესახებ, რომ „...ბაქრაძე და მისი თანამოღვაწეები ჯერ კიდევ რჩებოდნენ თავადაზნაურული, ბატონყმური საქართველოს შვილებად" (დასახელებული ნაშრომი, გვ. 30), რაც ეწინააღმდეგება იმავე ნაშრომში ავტორის არა ერთ სწორ მოსაზრებას.

[45] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები, I, იოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ზოხუმი, 1949, გვ. 34—35.

[46] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 201.

წოდებათა, კლასთა ბრძოლა. 1884 წელს კი „თამარ ღაზნელში“ ქართულ მატიანეთა შესახებ იგი ამბობდა:

> ჩვენთ მატიანეთ დამწერელნი ყურს არ უგდებდნენ
> არცა ხალხსა და არცა ხალხის ყოფა-ფხოვრებას:
> ისინი მარტო მეფეთა და სარდალთ იცნობდნენ
> და აგვიწერდნენ მათს ომებს და მათ ამხედრებას[47].

ილია ჭავჭავაძის, ანტონ ფურცელაძისა და სხვათა მიერ ქართულ მატიანეებში დანახულ ნაკლს ვაჟა-ფშაველა ხედავდა არა მარტო „ჩვენს ისტორიაში“ არამედ ყველა ხალხის ისტორიაში გარკვეულ ეტაპზე. „ყველა ხალხების მემატიანენი, — წერდა იგი 1886 წელს,—გზას უჭცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას, მათ ჩვეულებას და სხვადასხვაგვარ ცხოვრების ავკარგიანობას“[48]. ასეთივე შეხედულებისა იყო ხალხზე როგორც ისტორიის შემოქმედზე და ამდენად ისტორიული მეცნიერების საგანზე გიორგი წერეთელიც. „...განა ერის ან კაცობრიობის ისტორიის ცოდნა მისი მეფეების ნომენკლატურის ცოდნას შეადგენს?—კითხულობდა გ. წერეთელი და თვითონვე პასუხობდა:—ერთი დრო იყო, როცა ისტორია მარტო მეფეთა და მთავართა ტახტზე ასვლა-ჩამოსვლის ამბავი ეგონათ; ყოველდღიური ცხოვრება, ავი და კარგი უბრალო ადამიანისა, მისი ჭირი და ლხინი ჩრდილში იყო მიყენებული... დრონი იცვალნენ და შეხედულებაც ისტორიაზე მასთან ერთად შეიცვალა“. ისტორიის საგნად დღეს აღიარებულია „ერის ფესვებისა და ძირების ცხოვრების მიმდინარეობა“[49].

ქართველ სამოციანელთა მისწრაფება, შეესწავლათ ხალხის, როგორც ისტორიის შემოქმედის ისტორია, უპირველესად ყოვლისა ნიშნავდა მწარმოებელი საზოგადოების, მშრომელი ხალხის ისტორიის შესწავლას. მათი აზრით, ერის ისტორია მშრომელი ხალხის, მისი

---

[47] ა. ფ ურ ცე ლ ა ძ ე, თამარ ღაზნელი, 1884, გვ. 10. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ მატიანეთა პირველი კრიტიკოსია დ. ბაქრაძე და არა ა. ფურცელაძე, როგორც ეს ჰგონია ვ. ვ ა ხ ტ ა ნ ი ა ს (იხ. მისი წიგნი „ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა“, თბილისი, 1958, გვ. 124).

[48] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 8.

[49] იხ. მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 192.

სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ისტორია უნდა ყოფილიყო. რადგან „ჩინოვანი და მდიდარი, ილია ჭავჭავაძის აზრით, ერი არ არის“[50], ამიტომ ისტორიული მეცნიერების საგანი უნდა იყოს უმთავრესად მდაბიო, მშრომელი ხალხი. „მე ხალხს ვეძახი დაბალ წრეს, — წერდა აკაკი წერეთელი, — იმ წრეს, რომელსაც ნიადაგი არ გამოსცლია ფეხ-ქვეშ“[51]. სწორედ ეს „დაბალი ხალხია“, აკაკის აზრით „ეროვნების ფესვი“[52]. ვაჟა-ფშაველას ქართველი ერის ცხოველმყოფელობის ნამდვილ ძალად მდაბიო ხალხი, მშრომელი მასები მიაჩნდა, ის „ერის ნივთიერი სიმდიდრის შემოქმედია და ფეხიც არ მოუსხლეტია, მაგრად იდგა სამშობლო მიწა-წყლისა და მამა-პაპის კერაზედ“[53]. ს. მესხს ისტორია აინტერესებდა, როგორც მშრომელი, მდაბიო მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ისტორია[54].

მდაბიო, მშრომელი ხალხის ისტორიის შექმნა, ქართველი სამოციანელების აზრით, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავდა მათი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების მეცნიერულ შესწავლა-გამოკვლევას. ხალხის, ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ისტორიის აუცილებლობაზე პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძემ მიუთითა 1866 წელს, შემდეგ, რუსეთის სამეცნიერო აკადემიისადმი წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც 1878 წელს გამოაქვეყნა კიდეც[55]. ეს ქართველი ისტორიკოსის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს[56]. მართალია, მან პირველმა გაამახვილა ყურადღება ერის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლის აუცილებლობაზე, მაგრამ ამ მიმართულებით მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის თითქმის არაფერი გაუკეთებია[57]. ამ მხრივ, არამც თუ მაშინ, არამედ რევოლუციის შემდეგაც დიღხანს არაფერი გაკეთებულა. მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებიდან გადაიდგა პირველი ნაბიჯები ისტორიაში მშრომელი

---

[50] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 182.

[51] ა. წერეთელი, თხზულებანი. ტ. VI, გვ. 142.

[52] იქვე.

[53] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 235.

[54] მ. გაფრინდაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 328.

[55] იხ. „Археологическое путешествие по Грузии и Аджаре, СПб., 1978.

[56] იხ. ა. კიკვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4, 12.

[57] იხ. მ. დუმბაძე, დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 139.

მასების როლისა და მათი ცხოვრების სოციალ-ეკონომიური პირობების შესასწავლად. ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიას ამ უბანზედაც გარკვეული მიღწევები მოეპოვება, ამიტომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. პ. კიმისა და პროფესორ ა. ვ. ფადეევის საყვედური თუ ძალიან არა, ოდნავ დაგვიანებული მაინც არის[58].

ამრიგად, ჯერ კიდევ დ. ბაქრაძის მიერ დაყენებული ამოცანა, ხალხისა და მისი სოციალური და ეკონომიური ცხოვრების ისტორიის შესწავლის აუცილებლობის შესახებ, გადაწყვიტა მხოლოდ მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ, მიუხედავად ამისა საკითხის დაყენებაც კი დიდ ღვაწლად ჩაეთვლება ღვაწლმოსილ ისტორიკოსს— დ. ბაქრაძეს. ამიტომ ვერ გავიზიარებთ არა ნაკლებ ღვაწლმოსილი ისტორიკოსის აკად. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ დებულებას: „საქართველოს ისტორიის ასეთ გაშუქებაშიაც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა"[59]. ასეთივე აზრი განავითარა პროფ. ვ. გაბაშვილმაც[60]. როგორც ცნობილია, ილიამ „ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა" 1887 წელს[61]. ეს მხოლოდ ფორმალური სიზუსტისათვის, თორემ აღნიშნული აზრი, არსებითად ჩვენი და რუს სამოციანელთა იდეური საგანძურიდანაა და, რამდენადაც ილია ჭავჭავაძე და დ. ბაქრაძე ქართველ სამოციანელთა ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენლები იყვნენ, ის-

---

[58] აღნიშნული ავტორები წერდნენ: „Не достаточно раскрыта до сих пор и роль народных масс в сооружении древних оросительных систем Закавказья... в создании величественных архитектурных памятников ...Ани и Мцхета. О Давиде Строителе в книгах по истории Грузии сказано, к сожалению, значительно больше нежели о подлинных строителях выдающихся сооружений той эпохи, чей труд оплодотворял каменистую землю Кавказа и служил оплотом могущества и процветания царства Багратидов» (М. П. Ким, А. В. Фадеев, Об основных проблемах отечественной итсории, Жур. «Вопросы истории» № 2, 1961 г., стр. 20).

[59] ი. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. გვ. 8—9.

[60] იხ. Очерки истории исторической науки в СССР, т. II, стр. 756.

[61] იხ. ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებული, ტ. V, გვ. 202.

ტორიული აზრის განვითარების ისტორიისათვის სრულიად არაა გადამწყვეტი, თუ რომელმა მათგანმა წამოაყენა იგი პირველად.

ისტორიაში ხალხის როლისა და მნიშვნელობის შესწავლის აუცილებლობის აღიარება ბუნებრივად ბადებდა საკითხს ისტორიაში პიროვნების როლის შესწავლის შესახებაც. ქართველმა სამოციანელებმა. განავითარეს რა ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისი, მოგვცეს მისი მეცნიერული გადაწყვეტის ბრწყინვალე მაგალითები.

თერგდალეულთა თვალსაზრისი ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ, ისე როგორც რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისიც, გასაოცრად უახლოვდება საკითხის მარქსისტულ-მატერიალისტურ გადაწყვეტას. თერგდალეულთა შეხედულება ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ერთ-ერთი სერიოზული მონაპოვარია, რომელიც 60-იანი წლების იდეურ მემკვიდრეობას ამშვენებს.

თერგდალეულებმა კარგად იციან, რომ დიდი ისტორიული პიროვნება, გენიოსი სხვებზე ადრე ხედავს, სხვებზე შორს იხედება და სხვებზე ღრმად სწვდება ისტორიული განვითარების შინაგან კანონზომიერებას, ამიტომ იგი თამამად მიდის წინ, გზას უნათებს ხალხს თავისი „ჭკუის სხივებით“ და ამიტომაც ხალხი მას აღიარებს ბელადად. მაგრამ დიდი ისტორიული პიროვნება, გენიოსი, ბელადი „ციდან არაა ჩამოსული“, იგი თვით ცხოვრების შვილია, ცხოვრების მომწიფებულ ამოცანათა მხოლოდ სხვაზე უკეთ ამომკითხველი, ამიტომ არა მარტო იგი ასვამს თავის დაღს ცხოვრებას, არამედ ცხოვრებაც ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, ზედაჭდევს მას, თავის შვილს ეპოქის დაღს როგორც ცუდს, ისე კარგს. მოვუსმინოთ თვითონ ილიას. აი, რას წერდა იგი 1862 წელს: „შორს მხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამით ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდან იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე

მას. რაც თვითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგმდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს, თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგომელ დუღილშია ამოუგდია ზედაპირზედა. — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინაც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს"[62].

დიდი ისტორიული პიროვნება, გენიოსი, ილიას აზრით, მხოლოდ მაშინ იბადება, როდესაც მოითხოვს მას ცხოვრების საჭიროება. დიდი ისტორიული საქმე, დიდი ისტორიული ამოცანა ითხოვს „ძლიერ ხელს" და ასეთიც ჩნდება ცხოვრებაში. იგი ახალს კი არ ჰქმნის, ისტორიის მსვლელობას მიმართულებას კი არ უცვლის, არამედ იგი ხალხზე ადრე ხედავს მას, რაც უნდა მოხდეს, სხვაზე ადრე და სხვაზე უკეთ ამბობს იმას, რაც ისტორიამ, ცხოვრებამ უნდა აუწყოს ხალხს. „თუ აქამდის არ გამოჩნდა იგი (გენიოსი, დიდი პიროვნება „ძლიერი ხელი", ი. ქ.), იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო, — წერდა ილია, — გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავისი ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა... თავის გამჭრიახ თვალით თავიდან ბოლომდინ განსჭვრიტავს. გაანათლებს... და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველ ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილ გზასა და ღონისძიებასა, — ერთის სიტყვით ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა..."[63]

ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა კარგად იციან, რომ ისტორიას ქმნის ხალხი და არა დიდი ისტორიული პირი, გენიოსი. ადამიანებს ხშირად ეჩვენებათ, რომ ისტორიას ჰქმნის დიდი ისტორიული პიროვნება, გენიოსი, რადგან ის „ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველი და განმახორციელებელია". დიდი ისტორიული პიროვნებანი „ამის გამო თითქოს შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ის-

[62] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 57.
[63] იქვე, გვ. 61.

ტორიასა"[64]. მართალია, „მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი არიან, ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა სრულობა, დიდბასიათობა"[65], მაგრამ ამასთან ერთად ილიამ ისიც კარგად იცის, რომ ყველა ისტორიულ პიროვნებას ერთნაირად როლი შესწევს ეროვნული „ქვეყნიერ ღერძი" ატრიალოს, იგი ზოგს „ემარჯვება", ზოგს კიდევ — „ემარცხება"[66], ე. ი. დიდ ისტორიულ პიროვნებას შეუძლია დააჩქაროს ისტორიული განვითარება, ან შეანელოს იგი, მაგრამ მას ვერასდროს დიდი ხნით ვერ შეაჩერებს. „ისტორიული ჭეშმარიტებაა, — წერდა სერგეი მესხი, — რომ ერთს განკერძოებულ კაცს, რომელსამე ხალხის ცხოვრების არც ერთ წერტილზე გაჩერება ან უკან დაწევა შეუძლიან და არც მაინც და მაინც ერთობ წინ წაწევა. ხალხის ცხოვრება მუდამ წინ მიისწრაფვის, მუდამ წარმატებაში შედის; განკერძოებულ კაცს, თუ ის ბოროტია და გარემოება წყალობს, ხალხის ცხოვრების მხოლოდ დროებით ზიანი, იმის ვნება შეჩერება შეუძლია; თუ ის პირი კეთილი და გენიალურია, შეუძლია მხოლოთ, ამავე ბედნიერ გრემოებათა წყალობით, ცოტაოდენი ბიჯი წინ წაადგმევინოს"[67].

სერგეი მესხზე მთელი ათი წლით უფრო ადრე ასეთივე აზრი ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ განავითარა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. მან, უარჰყო რა ისტორიაში გამოჩენილ ადამიანთა როლის გაზვიადება, აღნიშნა: „კერძოობით პირებს, რაც უნდა მაღლა იდგნენ იგინი, ის მნიშვნელობა აღარ აქვთ ახლანდელს ისტორიაში როგორც უწინ... იმათი ღირსება ის არის, რომ ისინი მოწინავე პირნი არიან. თუ საზოგადოებაში ესა და ეს იდეები ჯერ არ არის, იმას არც ეყოლება ამ იდეების წარმომადგენელი, მოწინავე. და როდესაც არის, თუ არ როსტომი, არჩილი მაინც მოწინავეთ გამოჩნდება. — ეს უეჭველია"[68]. ყოვე-

---

[64] ი. ჭავჭავაძე. ნაწ. სრული კრებული, ტ. V, გვ. 207.
[65] იქვე, ტ. VII, გვ. 107.
[66] იქვე.
[67] გაზ. „დროება", 1876 წლის 30 მაისი, № 53.
[68] გაზ. „დროება", 1866 წლის 17(29) იელისი, № 16.

ლოვე ეს, ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს თავის ეპოქის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიულ მოაზროვნეთა დონეზე აყენებს. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ დ. ბაქრაძის შრომები დასაყრდენად გაიხადა ქართველ სამოციანელთა ბრწყინვალე პლეადამ დიდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში[69].

დიდ ისტორიულ პიროვნებათა როლს საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი სისრულითა და ზედმიწევნილობით განსაზღვრავდა გიორგი წერეთელი 1899 წელს. იგი წერდა: „ყველა კაცი და განსაკუთრებით ის, ვინც გარემოების ძალით საზოგადოების მეთაურად გამოდგარა, ყველაზე პირველი შვილია თავისი ერის და საზოგადოებისა... იმას შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს ამ საზოგადოების გულისწადილი, ამ საზოგადოების, ანუ კლასის ინტერესები. ის მაშინ ხდება და მხოლოდ მაშინ მისი დროშის მატარებელი, როდესაც თავისი საზოგადოების ანუ რომელიმე კლასის გულისწადილს, მის ინტერესებს, სრულათ შეიგნებს და ამ ინტერესებისათვის დაიწყებს ბრძოლას. მას ექომაგება. ასე ყოფილა ყოველ დროს, ასეა მთელ განათლებულ ქვეყნებში, ასეა ჩვენშიც. ყოველი საზოგადო მოღვაწე მხოლოდ მაშინ მოიმკის საზოგადოების სიმპათიას და მაშინ შეიკრებს გავლენის ძალას, როცა ის ხდება ნამდვილი გამომეტყველი და წარმომადგენელი საზოგადოების, ანუ რომელიმე კლასის ინტერესისა"[70]. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-მატერიალისტურ გაგებასთან[71], და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ამ დროს ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ, რუსულს რომ თავი დავანებოთ, ქართულ ენაზედაც არსებობდა მარქსისტული ლიტერატურა, პირველ რიგში აქ აღსანიშნავია გ. პლეხანოვის ნაშრომი[72].

ქართველმა სამოციანელებმა ისტორიულ მეცნიერებაში კვლევა-ძიების ერთადერთ ჭეშმარიტ მეთოდად აღიარეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. „ამ მეთოდმა, — წერდა ილია, — სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეც-

---

69 იხ. ა. კიკვიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

70 „ქალი", 1899 წლის 14 მარტი, № 11.

71 იხ. მ. გაფრინდაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 192.

72 იხ. ჟურ. „მოამბე", 1890, №№ 9, 10.

ნიერება, რომელიც, სადაც საჭიროა, ამ მეთოდს არ ხმარობდეს, ამ მეთოდით ბევრ წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა. ბევრი დაფარული გამომზეურდა"[73]. მეცნიერულ კვლევა-ძიებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟა-ფშაველა სწორ მეცნიერულ მეთოდს. ასეთ მეთოდად მასაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მიაჩნდა. იგი წერდა: „ცხადია ყველასათვის, თუ რა მნიშვნელობაცა აქვს მეთოდს სამეცნიერო მოვლენათა გასაგებ-შესაგნებად. მეთოდი სასწორია, საზომი, რომლითაც უნდა აიწონოს და გაიზომოს ასაწონი და გასაზომი. ხშირად შეიძლება, რომ ეს საზომი ყალბი იყოს და მაშინ სანდობი არ არის ამგვარის სასწორ-საზომით აღებ-მიმცემი კაცი. ყალბს მეთოდზედაც სწორედ ესევე უნდა ვსთქვათ. რამდენს უშლიდა ძველს მეცნიერებს და მწიგნობრებს ამ ნამდვილ მეცნიერული მეთოდის უქონლობა... რა სანდობია თუნდ გულუბრყვილო მემატიანე, რომელიც ერთთავად ზეცა-ღმერთს აბრალებდა ქვეყნის თავზე მოვლენილს უბედურებას; სიმშილობა, სნეულება ან მტრისაგან ქვეყნის აოხრება ცოდვათა ჩვენთა მოგვივლინესო, იტყოდა, დასწერდა და, სრულიად დაკმაყოფილებული იმით, რომ მიზეზი აღმოაჩინა, დაასვენებდა ბატის კალამს"[74].

გ. წერეთელიც ისტორიულ-შედარებით მეთოდს იყენებდა წარსულის ფაქტებისა და მოვლენების შესწავლისას[75].

ქართველი სამოციანელები უარყოფდნენ უცხოურობისადმი, უცხოური იდეებისა და თეორიებისადმი ბრმა მიმბაძველობას. ისინი მოითხოვდნენ კრიტიკულ გასინჯვას ყოველი ახლად მოვლენილი აზრისას, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი. „განა კონტებმა, კანტებმა და სპენსერებმა რომ სისულელე წამოროშონ...,— წერდა ვაჟა-ფშაველა, — ჩვენ იმათი პირიდან ამოსული ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ?!"[76] არა მარტო აზრებისა და იდეების კრიტიკული გასინჯვა მიაჩნდათ საჭიროდ, არამედ თვით საბუთებისა და წყაროების შემოწმებაც. „ჯერ საბუთების შეგნებაა საჭირო და მერე აზრი თავისთავად დადგინდება, — წერდა იგივე ვაჟა, — ხოლო მაშინ შე-

---

[73] ი. ჭავჭავაძე. ნაწ. სრული კრებული, ტ. V, გვ. 20.

[74] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. V, 1961, გვ. 98.

[75] გ. წერეთელი, ჩვენი ძველი გმირები, 1898, გვ. 111; ფ. მახარაძე. გ. წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი („ჯ.ვალი", 1900, № 3).

[76] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ტ. VII, გვ. 180.

იძლება დასკვნის გამოყვანა. მაშასადამე, ჯერ საბუთები და მერე დასკვნა"[77], ან აი, კიდევ რას წერდა იგი: „როცა თეორეტიული სჯაა საჭირო, უნდა ვიხელმძღვანელოთ მეცნიერულის მეთოდით, საღის მოსაზრებით, იმ მასალის გარკვევა-გაჩხრეკით, რაც ხელში გვექნება და რაც უსათუოდ საჭიროა ნამდვილის გამოსარკვევად"[78]. ამრიგად, ვაჟა-ფშაველა, ისე როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყველა პროგრესულად მოაზროვნე, მოითხოვს მეცნიერულ, თეორიული აზრის შემოქმედებით განვითარებას, რაც გამორიცხავს დოგმატიზმსა და მონურ მორჩილებას უცხოური აზრებისა და იდეებისადმი.

ქართველ სამოციანელთა სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობის აღიარება. ეს პრინციპი ბრწყინვალე მხატვრული ფორმით ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ, იგი წერდა: „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარც გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა"[79]. ამით ილიამ აღნიშნა: ჯერ ერთი, ის, რომ მეისტორიე არ არის გულცივი მეთვალყურე, თუ აღმწერი ისტორიული მოვლენების, არამედ იგი „განმკითხავია", შემფასებელია და, ამდენად ვალდებულია საკუთარი თვალსაზრისი, კონცეფცია გააჩნდეს ისტორიულ მოვლენებზე, როგორც ვაჟა-ფშაველა მიუთითებდა, „თეორეტიული სჯა, მეცნიერება" მხოლოდ ფაქტების „გარკვევა-გაჩხრეკის" შემდეგაა შესაძლებელი; მეორე, ის, რაც ილიამ გვანიშნა, მიგვითითებს იმაზე, რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე. ილია ჭავჭავაძის მიერ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ასეთი ისტორიული შიდგომა და მისი დამკვიდრება ქართულ ისტორიოგრაფიაში გზას უკაფავდა საქართველოში ისტორიის შესახებ მეცნიერების შექმნასა და განვითარებას. ქართულ ისტორიოგრაფიას ამიერიდან საშუალება ეძლეოდა თავი დაეღწია შემთხვევითობათა ქაოსისაგან, ყოვლად უაზრო შეცდომათა გროვისაგან, რაც

[77] ვაჟა-ფშაველა, ტ. V, 1961, გვ. 98.
[78] იქვე, ტ. VII, გვ. 222.
[79] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 66.

არც თუ ისე ცოტა იყო ისტორიული ქრონიკებისა და „ქართლის ცხოვრების“ სქემით შეთხზულ ისტორიულ ლიტერატურაში.

ასეთია მოკლედ ქართველ სამოციანელთა შეხედულება ისტორიული მეცნიერების დანიშნულებაზე, მისი საგნისა და კვლევა-ძიების მეცნიერული მეთოდის შესახებ, რაც მეთოდოლოგიურად რევოლუციურ-დემოკრატიზმს ემყარება.

* * *

საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებისა და სრულყოფისათვის თერგდალეულთა ბრძოლა წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ისტორიული მეცნიერება თერგდალეულთათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა არა თვითმიზანს, არამედ საშუალებას ქართველ ხალხში ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არა მარტო წარმატება, არამედ, საერთოდ მისი დაწყებაც კი.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული მოძრაობის მეთაურთა ეროვნული და სოციალური პროგრამის ხასიათზე. XIX საუკუნის საქართველოში, ისე როგორც შემდეგშიც თითქმის ყველა საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობა მიზნად ისახავდა ორი ძირითადი პრობლემის — **სოციალურისა და ეროვნული პრობლემის** გადაწყვეტას

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის პერიოდია. რუს ხალხთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირის შედეგად საქართველო ჩაება პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში. სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა ბურჟუაზია. ახალმა კლასმა XIX საუკუნის 60-იან წლებში „ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი“ წამოაყენა. ამ პერიოდში ახლის მესიტყვედ გამოდის ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი — თერგდალეულები. ისინი რუსეთის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და პროგრესული აზ-

როვნების, აგრეთვე ქართული დემოკრატიული იდეებისა და პატრიოტიზმის დიად ტრადიციებზე აღიზარდნენ.

თერგდალეულები იყვნენ ჩვენი ქვეყნის პეშმარიტი განმანათლებლები. თერგდალეულებზე შეიძლება ზუსტად გავიმეოროთ ის, რასაც ვ. ი. ლენინი ამბობდა რუსეთის დიდ განმანათლებლებზე. ჯერ ერთი, ისინი გამსჭვალულნი იყვნენ. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „მძაფრი მტრობით ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში". მეორე, მათ ახასიათებდათ „მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა", ე. ი. ქვეყნის კაპიტალისტურად განვითარებისა და, მესამე, „ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა.. ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისათვის ხელის შეწყობისა"[50]. ამრიგად, თერგდალეულთა მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ეპოქის ძირითადი პროგრესული პრობლემების—ბატონყმობის ლიკვიდაციის, ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისა და ქართველი ერის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს წარმატებით ემსახურებოდა. ასეთი იყო ზოგადად შინაარსი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა ეროვნული და სოციალური პროგრამისა საქართველოში. ვნახოთ, თუ რაში მდგომარეობდა იგი უფრო კონკრეტულად.

ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე ბრძოლა მისი გადმონაშთების წინააღმდეგ საგლეხო რეფორმის შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად წარმოადგენდა XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შინაარსს. ამ დიდ პროგრესულ მოძრაობას სათავეში ედგნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვა თერგდალეულები.

თერგდალეულები გამსჭვალულნი იყვნენ „მძაფრი მტრობით ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში". საქართველოში თერგდალეულე-

---

[50] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 626—627.

ბის გამოსვლამდეც ქონდა ადგილი ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ლიტერატურულ აქტებს, მაგრამ ეს უფრო გაბედულ და კეთილშობილ ადამიანთა გალაშქრება იყო პიროვნების დამამცირებელი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, ვიდრე იდეური და პოლიტიკური მოძრაობის გამოხატულება. ნამდვილი იდეური და პოლიტიკური მოძრაობა ბატონყმობის წინააღმდეგ საქართველოში იწყება პეტერბურგიდან ილია ჭავჭავაძის დაბრუნების შემდეგ. ამაში ეჭვის შეტანას შეუძლებელს ხდის ი. ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა ლიტერატურული მოღვაწეობისა და პრაქტიკული საქმიანობის ზოგადი გაცნობაც კი, რაც ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა მიერ ჩინებულადაა შესრულებული.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოში იწყება ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა ილია ჭავჭავაძე. იგი სამწერლო მოღვაწეობას იწყებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც ბატონყმობის სუსხით იყო ჯერ კიდევ გათოშილი საზოგადოებრივი ცხოვრება. მიუხედავად ამისა ილიამ, ისე როგორც დ. ჭონქაძემ, ხმამაღლა განაცხადა პროტესტი ადამიანობის დამამცირებელი, სამარცხვინო ინსტიტუტის წინააღმდეგ. 1858 წელს „გუთნის დედაში" დემოკრატიული თავისუფლებათათვის მებრძოლმა პოეტმა ბულის ტკივილით აღნიშნა:

> რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მკრელი,
> თუ სიმართლისთვის დამიჭრუნგდება?

ბატონყმობის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა შეუძლებლად მიაჩნდა ილიას თვითმპყრობელური რეჟიმის ვითარებაში, როდესაც პროგრესული აზრის ჯალათი — ცენზურა და ჟანდარმი შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ. ილიას ყველა სიავისა და უბედურების სათავედ, სრულიად სამართლიანად, მიაჩნდა თვითმპყრობელობა. მისი განადგურების გარეშე ილიას ვერ წარმოედგინა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლება, ამიტომ მან „ქართველის დედაში" (1858 წ.) თამამად აღმართა სოციალური თავისუფლების დროშა, დროშა ძმობის, ერთობისა და თავისუფლების! ილიასათვის ძმობა და ერთობა არა მხოლოდ მიზანია, არამედ საშუალე-

ბაკაა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც აშკარად გამოხატა მან ლექსში—„ჩემი თარიარალი" (1858 წ.).

ილიამ „აირდილში" გახსნა ფრჩხილები დევიზისა—„ძმობა, ერთობა, თავისუფლება!" და გვამცნო, რომ მისი რეალური შინაარსია: „შრომის ახსნა" და ეროვნული თავისუფლება, რომლისაკენაც მიმავალ გზაზე ურჩხულივით დგას თვითმპყრობელობა, „ცარი" და მის დაუმარცხებლად ილიას არ სწამდა ნამდვილი მძობა, ერთობა და თავისუფლება.

ილია ჭავჭავაძემ „აირდილში" მაღალ მხატვრულ სახეებში გვიჩვენა ეპოქის მაჯისცემა, სწორად განსჭვრიტა მომავალი, სამშობლოს კეთილდღეობა და აყვავება უწინასწარმეტყველა მას. „შრომა", ილიას აზრით, „აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა", მაგრამ „ოღვეულა მისი ბორკილი და დასამსხვრევად გამზადებულა".

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,

შრომის ახსნისათვის, მისი განთავისუფლებისათვის „მედგრად იბრძვის" „კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი" გვაუწყებს ილია, ამიტომ:

ეეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,

. . .

და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

ამის შემდეგ, ილიას აზრით, ამ ქვეყნად დამყარდება „შრომის სუფევა" მისი ჭეშმარიტი ძლიერებით, ქვეყნად განმტკიცდება სიყვარული და მშვიდობიანობა, ცხვარი და მგელი ერთად დაიწყებს ძოვას და არ იქნებიან უქმ სიტყვებად „ძმობა, ერთობა, თავისუფლება". აქ ილიამ კვლავ გამოამეღავნა „იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მის ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისათვის ხელის შეწყობისა".

ილიას და მის თანამებრძოლთ არა მარტო სურვილი, არამედ საკმაო ძალაც აღმოაჩნდათ ბატონყმობის გაუქმებისათვის ხელის შეწყობად. მათი ლიტერატურული მოღვაწეობა არა მარტო ასახავ-

და გლეხობის ანტიბატონყმურ სულისკვეთებასა და განწყობილებებს, არამედ იგი მათ შეგნებულ და ორგანიზებულ ხასიათს აძლევდა, იდეოლოგიურად ამზადებდა „შრომის ახსნას“, „შრომის სუფევას“ და. ამრიგად, ხელს უწყობდა ანტიბატონყმური საზოგადოებრივი აზრის შემდგომ განმტკიცებას. მასების რევოლუციურ განწყობილებათა შემდგომ აღმავლობას და. საბოლოო ანგარიშში, რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას საგლეხო რეფორმის წინ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილიას მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში შექმნილ ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არიან: „გუთნის დედა“, „ქართველის დედას“, „დაე თუნდ მოვკვდე“ (1858 წ.), „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“, „ნანა“, „ელეგია“, „მტკვრის პირას“, „დაკარგული ედემი“ (1859 წ.), „ქართველის დედა“, „კაკო ყაჩაღი“, „მესმის, მესმის სანატრელი“, „იანჩარი“, (1860 წ.), „გაზაფხული“ (1861 წ.) და სხვ.

დიდი ილიას ამ უკვდავ ქმნილებებში არა მარტო სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გაისმის მძლავრი პროტესტი, არამედ აქ კიდევ უფრო მკვეთრად სჭექს ილიას ომახიანი ხმა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგაც. ილიას შემოქმედებაში თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივი; პოეტისათვის, როგორც ცნობილია, განუყრელია ორი დიდი იდეა — ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა[81]. აღსანიშნავია, რომ ილია ქართველი ხალხის ეროვნულ ვანთავისუფლებას უკავშირებდა ხალხის. გლეხობის სოციალურ განთავისუფლებას, პირველი მეორის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა, ეს იყო ახალი სიტყვა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში რომ სთქვა დიდმა ილიამ. ის, რაც 1832 წლის შეთქმულებთან და ნ. ბარათაშვილთან ბუნდოვნად მოჩანდა, ილიამ მკვეთრად გამოსახა და თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამას საფუძვლად დაუდო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ მომზადებას ვხედავთ ილიას ზემოთ დასახელებულ ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში. განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ

---

[81] იხ. პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე(ნარკვევი), თბილისი, 1957, გვ. 73.

ალმავლობასთან დაკავშირებით ილიამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია სრულყოფილად ჩამოაყალიბა „მგზავრის წერილებში“.

„მგზავრის წერილებთან“ დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ნ. ბარათაშვილის „ბედის ქართლისაში“, როგორც ეს პირველად აკად. ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, ორი პრინციპია დაპირისპირებული—მშვიდობა და თავისუფლება: მეფისა და მსაჯულის პაექრობაში მშვიდობის პრინციპს იცავს მეფე—ერეკლე მეორე, თავისუფლებისას კი მსაჯული, სოლომონ ლიონიძე. „მგზავრის წერილებში“ ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ ილიას თავისუფლების პრინციპის დამცველად, დამასაბუთებლად მოხევე გამოყავს, თვითონ კი მშვიდობის პრინციპის დამცველის როლში გამოდის. მაგრამ პოეტის სიმპათიები იხრება მოხევისაკენ, რომელმაც გამოსთქვა მთელი ჩვენი ინტელიგენციის ეროვნული პროგრამა, რომლის საფუძველზედაც ერთიანდებოდნენ ისინი გასული საუკუნის სამოციან წლებში. „მიგიხვდი, ჩემო მოხეევ, — მიმართავს ილია მას, — რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო»— სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამოირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის!...“[82] და ილია ღაებრუნდა თავის მიწა-წყალს ამ პასუხის მოსამზადებლად. და, თუ მართალია ის ჰიპოთეზა (მე იგი ჯერ ასეთად მიმაჩნია), რომელსაც პ. რატიანი გვთავაზობს, იმის შესახებ, რომ ილია პეტერბურგიდან საქართველოში რევოლუციური ცენტრის დავალებით დაბრუნდა აქ ანტიბატონყმური რევოლუციის მოსამზადებლად[83], მაშინ ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, თუ როგორ ფიქრობდა ილია ქართველი ხალხის ეროვნულ განთავისუფლებას სოციალურ რევოლუციასთან კავშირში.

ი. ჭავჭავაძე, იცნობს რა ქართლის ბედის გადაწყვეტის ბარათაშვილისეულ შეფასებას, იზიარებს მას, წინაალმდეგ შემთხვევაში გაუგებარი დარჩებოდა ნ. ბარათაშვილთან ილიას დამოკიდებულების ხასიათი, შემდეგ გრიგოლ ორბელიანისა და ი. აბხაზის კამათში ვრი-

---

[82] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 187.

[83] პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბილისი, 1962, გვ. 126.

გოლ ორბელიანის მხარე დაუჭერია, რომ მოხევეს ათქმევინა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო". „დროთა ბრუნვამ სხვისი მაყურებლად გაგვხადა, — წერდა შემდეგ ილია, — სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წაწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუ კი სადმე არის ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთიანობაშია"[84], ან კიდევ: „გვეყო ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. — წერდა ილია, — ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვეთ... სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ.. თუ ამ გზაზედ მიმავალთ ხელი შეუწყვეთ, — არ გავა ათი-თხუთმეტი წელიწადი, რომ ჩვენი დავრდომილი ქვეყანა სახეს შეიცვლის"[85]. აი, მთელი პროგრამა ქართველი ხალხის განთავისუფლებისა ეროვნული ჩაგვრისაგან, საქართველოს კვლავ „აღყვავებისა".

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ სხვა თერგდალეულებთან ერთად ჩამოაყალიბა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების პროგრამა, **რომელიც საფუძვლად დაედო გასული** საუკუნის 50—60-იან წლებში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას[86]. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა — რა საშუალებით ფიქრობდნენ თერგდალეულები მაშინ თავიანთი პროგრამის განხორციელებას? პასუხი ერთია: — მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური გზით! ასეთ პასუხს ეთანხმება დღეს ქართველ მკვლევართა უდიდესი უმრავლესობა.

ილია ჭავჭავაძეს თავისუფლების მოპოვებისათვის აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია „ხალხის ახვირთება", „ხალხის აღდგომა", ხალხის „მოქმედება" და არა თავისუფლების როგორც მოწყალების გა-

[84] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 582.

[85] იქვე, გვ. 683.

[86] ვერ გავიზიარებთ პ. ინგოროყვას დებულებას იმის შესახებ, თითქოს „ილიამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია: ახალი შინაარსი მისცა მას" (დასახელებული წიგნი, გვ. 69. ხაზგასმა ჩემია, ი. ჯ.). ვამბობთ, რომ აღნიშნული იდეოლოგია ილიამდე არსებულა, ილიას მისთვის მხოლოდ ახალი შინაარსი მიეცა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმოშვა თავისი იდეოლოგია, ამ მოძრაობამდე იგი არ არსებობდა. სინამდვილეში, ილია გახდა ამ მოძრაობის ბელადი და იდეოლოგი.

მოთხოვა მთავრობისაგან. „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია“ ამბობს ილია[87]. „მგზავრის წერილებში“ მან უფრო დააკონკრეტა ეს საკითხი. იგი მიმართავს ოავის მკითხველებს: „სიტყვამ «რევოლუცია» არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს“[88]. ნ. ნიკოლაძეც მხარს უჭერდა რევოლუციას, როდესაც მოითხოვდა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების“ ძირფესვიან გარდაქმნას[89] არც სერგეი მესხი და გიორგი წერეთელი ყოფილან რევოლუციის პრინციპულად წინააღმდეგნი[90]. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სვანეთის 1875 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით ს. მესხი ამბობდა: „მაგრამ ეს ერთი მუჭა ხალხი რას გააწყობს! მაინც არა უშავს რა: სისხლის დაღვრა ხანდისხან კარგია ხალხისათვის“[91]. „რევოლუცია მაშინ არის მისატევებელი, — წერდა გ. წერეთელი, — როდესაც ხალხს სხვა ღონისძიება აღარა დარჩენია-რა, რომ ცუდი წესდებულებისაგან თავი იხსნას... მაშინ პასუხისმგებლად ქვეყანა კი არ ხდება, ორამედ ის უგუნური უფლება, რომელიც ამის მეტს საშველს არ აძლევს ქვეყანასა“[92].

ამრიგად, თერგდალეულთა უახლოესი ამოცანა იყო ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მიზანი—დემოკრატიული (რასაკვირველია, ბურჟუაზიული) წყობილება, ბრძოლის საშუალება—არსებული წყობილების რევოლუციური გარდაქმნა შეიარაღებული ბრძოლის გზით.

თერგდალეულები გასული საუკუნის 80-იან წლებამდე რჩებოდნენ რევოლუციონერ-დემოკრატებად[93]. მათ საგლეხო რეფორმა და მისი შედეგები შეაფასეს რევოლუციურ-დემოკრატიზმის თვალსაზრისით და გააკრიტიკეს მისი მებატონური ხასიათი. ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ რეფორმის მომზადების პერიოდში თავგამოდებით იბრძოდა გლეხების მიწიანად განთავისუფლებისათვის, ნამდვილი თავი-

---

87 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957, გვ. 108.

88 იქვე. გვ. 174.

89 იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, 1932, გვ. 214—244.

90 მ. გაფრინდაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 306.

91 ციტირებულია მ. გაფრინდაშვილის დასახელებული ნაშრომიდან. გვ. 315.

92 გ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 253—254.

93 იხ. კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბილისი, 1926, გვ. 141, 145, 146.

სუფლებისათვის, მებატონე-მემამულეთა აღვირახსნილობის ასალავ-მავად. მან ამ დიდ საქმეს კინაღამ სიცოცხლეც კი შესწირა. გამხეცებული თავად-აზნაურობა პოეტს მოკვლით ემუქრებოდა, მაგრამ მას თანამოაზრე ახალგაზრდობა და მათი სახით მთელი ხალხი იცავდა განწირული კლასის გაბოროტებისაგან, ისე როგორც მაქსიმ გორ-კის იცავდა ქართველი რევოლუციური ახალგაზრდობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

ილია ჭავჭავაძეს „ბატონყმობა სწამდა მავნებელ მოვლენად, — წერდა დიდი პოეტი და მოქალაქე ვაჟა-ფშაველა, — და კიდე-ვაც აღუდგა მას წინ; ბატონყმობა საქართველოს დაღუპავსო ქადა-გებდა („რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", „ვლახის ნა-ამბობი", „კაცია-ადამიანი?!"), გადავარდა ბატონყმობა. ილია ჩვენის ცხოვრების მაჯისცემას ფხიზლად თვალყურს ადევნებდა, კარგად იცნობდა, როგორც გლეხკაცობას, ისე თავადაზნაურობას. ბ ა ტ ო ნ-ყ მ ობ ის გ ა დ ა ვ ა რ დ ნ ა მ ი მ ე დ ი ა რ გ ა უ მ ა რ თ-ლ ა"...[84] ამ სიტყვებით ვაჟა-ფშაველა გვაცნობს საგლეხო რეფორმი-სადმი არა მარტო ილიას დამოკიდებულებას, არამედ საკუთარ დამოკიდებულებასაც. ასე აკეთებს აკაკი წერეთელიც. როცა გვაცნობს გ. ერისთავის დამოკიდებულებას რეფორმისადმი, აი, რას წერდა აკაკი წერეთელი საგლეხო რეფორმისადმი გ. ერისთავის და-მოკიდებულების შესახებ: „უკანასკნელ დროს, ბატონყმობის გაყ-რაზედ მოსწრაფებულმა ხმებმა სადღესასწაულოდ გამოიხმო ახალ-გაზრდობა და ყველა მოწინავე პირები, მაგრამ თ. გ. ერისთავი კი, თითქოს, მონაწილეობას არ იღებდა ამ სიხარულში, როგორღაც და-ღონებულად იყო და ეს, ცოტა არ იყოს, რომ გასაკვირველად მიიჩ-ნიეს ზოგიერთებმა. მაგრამ ნამდვილი მიზეზი კი სულ სხვა იყო: პო-ეტს უნდოდა ენახა ბატონყმობის გაყრა ისე, რომ შემდეგისათვის სა-ჭირბოროტო და საჩხიკინო აღარა დარჩენილიყო-რა და რადგანაც წი-ნანიშნები სულ სხვას უქადდნენ, ის თავისებური სიცილით, ნაღვლი-ანად ამბობდა ხოლმე: «ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილას კი

---

[84] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, ტ. V, 1961, გვ. 241 (ხაზგასმა ჩე-მია, ი. კ.).

აღრჩობსო» და ეს ნაღველი საფლავში თან ჩაიტანა ორი თვის წინეთ გლეხების განთავისუფლებამდე"[95].

აკაკი წერეთელმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ უფრო ნათლად გამოხატა, როცა თქვა: „სახელით ყველაფერი კარგი იყო. მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა... მაგალითად რა ბატონყმობის მოსპობა იყო, ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს ახრჩობდა-ღლეტდა. რაღა ნაყოფს გამოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო"[96].

გიორგი წერეთელი აღნიშნავდა საგლეხო რეფორმის ერთ-ერთ დადებით მომენტს — გლეხის მიერ პიროვნული თავისუფლების მიღებას, მაგრამ იგი წუხდა იმის გამო, რომ ეს თავისუფლება რეფორმის სხვა უარყოფითმა მომენტებმა თანდათანობით შეზღუდეს. „გლეხს დაუბრუნდა თავისუფლება — წერდა გ. წერეთელი, — მაგრამ აქაც ზნეწამხდარმა თავადაზნაურობამ ისე წაიყვანა კანცელარიებში გლეხთა განთავისუფლების საქმე, რომ მაინც ახალი მონობის ბორკილი არ შეხსნია ხალხს. ხალხი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ერთი-ორად დაბეგრდა და ამას გარდა მიწის საკუთრებაც დაკარგა"[97].

საგლეხო რეფორმის ყველაზე მკაცრი კრიტიკა მოგვცა ბ. ნიკოლაძემ, მან მაშინვე გაილაშქრა საგლეხო რეფორმის მეპატრონეური ხასიათის წინააღმდეგ გერცენის „კოლოკოლის" ფურცლებიდან. „ახალი კანონმდებლობანი, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა საბოლოოდ ისპობაო", მიზნად ისახავენ მხოლოდ ახლანდელი, „status quo"-ს განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძველის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას, რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებელი დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ... ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწაზე დასახლებული გლეხები... რეფორმა ამით დამთავრდა. რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ეს მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება... მაშასადამე, თუ მთავრობამ ამ მხრით ვისიმე მდგომარეობა გაა-

---

[95] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. VI, 1948, გვ. 83.
[96] ი ქ ვ ე, ტ. IV, 1948, გვ. 69.
[97] გაზ. „დ რ ო ებ ა", 1875 წლის 14 იანვარი, № 10.

უმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხებისა, არამედ უფრო თავადაზნაურობისა... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდათ მძარცველობისა და ყაჩაღობის, სოყალბისა და დანაშაულობის დაკანონება"[98]. ასე მკაცრად საგლეხო რეფორმის მებატონური ბუნების მხილება იშვიათად შეგვხვდება მთელ რევოლუციურ-დემოკრატიულ პუბლიცისტიკაში. მაშასადამე, საგლეხო რეფორმას სრულიად არ დაუკმაყოფილებია თერგდალეულები, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ[99], პირიქით, მან გამოიწვია მათ მხრივ მკაცრი კრიტიკა და სასტიკი პროტესტი. იმავე რევოლუციური აღგზნებით ებრძოდნენ თერგდალეულები ბატონყმობის ნაშთებს საქართველოში, როგორც თვით ბატონყმობას. მაგრამ ეს ბრძოლა თანდათან ცხრება გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან; რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით პირველ ადგილზე წამოსწიეს მათ, თერგდალეულებმა ეროვნული საკითხი და ეროვნული მეობის დაცვის ინტერესებმა ისინი „საერთო ნიადაგზე" კლასთა თანამშრომლობის აღიარებამდე მიიყვანა[100]. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავეცნოთ თერგდალეულთა შეხედულებებს კლასებზე და კლასთა ბრძოლაზე, შემდეგ კი ასევე მოკლედ განვიხილოთ მათი შეხედულებანი ერზე, ეროვნულ თავისუფლებაზე და ეროვნულ ურთიერთობაზე.

საზოგადოების კლასობრივი დანაწილებისა და კლასობრივი ბრძოლის აღიარება XIX საუკუნის 60-იან წლებში საერთოდ დიდ დამსახურებად არავის ჩაეთვლება, მაგრამ რამდენადაც საქმე გვაქვს საქართველოსთან, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი ბატონყმობისა და წოდებრიობისათვის, ამდენად ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა შეხედულებების გაცნობა კლასებზე და კლასთა ბრძოლაზე.

---

[98] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 177, 179—180.

[99] ს. ხუნდაძე, 70-იანი წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციის პროგრამა (იხ. წიგნში ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1932, გვ. X); В. Н. Габашвили. Историография Грузии (в кн. „Очерки истории исторической науки в СССР, т. II. М., 1960, გვ. 752).

[100] შდრ. პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობა ისტორიიდან, თბილისი, 1962, გვ. 372; ე. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, 1962, გვ. 72.

ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა უმეტესი ნაწილი თერგდალეულთა დამოკიდებულებას კლასობრივი ბრძოლისადმი განიხილავს აბსტრაქტულად. ჩვენის აზრით აღნიშნული საკითხისადმი თერგდალეულთა დამოკიდებულება არ შეიძლება განხილულ იქნეს დროის მომენტის გათვალისწინების გარეშე. თერგდალეულების თვალსაზრისი კლასებზე და კლასთა ბრძოლაზე განხილულ უნდა იქნეს კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში.

თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იდგა თავისი ეპოქის, თუ მარქსისტული არა, ყოველშემთხვევაში ბურჟუაზიული სოციოლოგიის დონეზე მაინც. იგი აღიარებდა საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას („ზოგიერთი რამ", 1876 წ.) და კლასობრივი ბრძოლის არსებობას არა მარტო ევროპაში, არამედ საქართველოშიაც. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს სოციალურ თემატიკაზე, განსაკუთრებით 80-იან წლებამდე, მის მიერ შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია. მათ შორის ყურადღებას იპყრობს „აჩრდილი", „გლახის ნაამბობი", „კაკო ყაჩაღი", „გუთნის დედა", „ნანა", „ჩემი თარიარალი", „მესმის, მესმის სანატრელი" „გაზაფხული", „მუშა", „კაცია ადამიანი?!", „1871 წელი, 22 მაისი", და სხვ.

ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ შესძლებდა XIX საუკუნის საქართველოში სოციალური ბრძოლის ისტორიის ისე სრულიად და ამომწურავად გაშუქებას, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე აღწევს თავისი მხატვრული ნაწარმოებებით. ილია ჭავჭავაძეს საქართველოში კლასობრივი ბრძოლა რომ ვერ დაენახა ვერ შექმნიდა აღნიშნულ კლასიკურ ნაწარმოებებსაც, რომლებმაც უდიდესი გამარეგოლუციურებელი გავლენა მოახდინეს ქართულ საზოგადოებაზე გასულ საუკუნეში, მისი რეზონანსი 1905—1907 წლების რევოლუციის ქარიშხლიან დღეებშიც იგრძნობოდა საქართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები ჩაგვეთვალა დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მოწაფეებად და თანამებრძოლებად, შეუძლებელი იქნებოდა თერგდალეულთა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის გამოცხადება გასული საუკუნის 60—70-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატად. წარმოუდგენელია პოლიტიკური მოღვაწე იბრძოდეს დემოკრატიის ინტერესების დასაცავად, ბრძოლის იარაღად რევოლუციას ირჩევდეს და ამავე დროს კლასთა ბრძოლას ვერ ხედავდეს და საერთოდ, უარყოფდეს მის საჭიროებას. ასეთი რამ სოციალურ მოძრაობათა ისტორიას არ ახსოვს

არც ერთ ქვეყანაში. ამიტომ ორში ერთი—ან ილია ჭავჭავაძე საქართველოში ვერ ხედავდა ანტაგონისტურ კლასებსა და კლასთა ბრძოლას და, მაშინ იგი თავიდანვე ლიბერალი ყოფილა და სულ დიდი—რეფორმატორი, ან იგი საქართველოში ხედავდა ანტაგონისტურ კლასებსა და მათ შორის ბრძოლასაც, მაშინ იგი დემოკრატიის დამცველი და რევოლუციონერია. საშუალო ხაზი აქ არ შეიძლება იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ილიას როგორც ლიტერატურული, ისე პრაქტიკული მოღვაწეობა 60—70-იან წლებში. მაგრამ 80-იანი წლებიდან ილიას შემოქმედებაში პირველ პლანზე ეროვნული საკითხი იწყებს წამოწევას. ეს დაკავშირებულია ამ დროს ცარიზმის მიერ რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებასთან. „ჩვენ ეხლა ისეთ გარემოებაში და ხალხში ვცხოვრობთ, — წერდა სერგეი მესხი, — რომ ერთ მოდგმას, ერთ თაობას ბევრის გაკეთება არ შეუძლია, თუ ჩვენ ჭკვიანად ვიმოქმედეთ, ძმურად მოვკიდეთ საქმეს ხელი და ენერგია ვიხმარეთ, ამ თვით გარუსებისაგან რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და ქართველობა — ისიც ბევრი იქნება. თუ ჩვენ მოვახერხებთ ცოტათი მაინც გაცხოველებას ჩვენი საზოგადოების და ლიტერატურისას თუ ამ საზოგადოებაში ოდესმე განთავისუფლების აზრი დავთესეთ,... ისიც ბევრია, ისიც საკმაო"[101]. ამიტომ თუ 80-იან წლებამდე ილიას ლიტერატურული პროდუქცია უმთავრესად სოციალურ თემატიკას ასახავდა, 80-იანი წლებიდან კი უმთავრესად ეროვნულ თემატიკას ასახავს. ერის ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად მდგარი პოეტი ვერ კმაყოფილდება მხატვრული სიტყვით, და მოუხმობს ისტორიულ მეცნიერებასა და პუბლიცისტის ბასრ იარაღს, იგი უმთავრესად პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევა[102]. ამ პერიოდში ილიას შემოქმედების თემატური რკალი მოიხაზა ისეთი მხატვრული და პუბლიცისტურ-მეცნიერული ნაწერებით, როგორიცაა მაგალითად: „დიმიტრი თავდადებული", „განდეგილი", „ბაზალეთის ტბა", „ერი და ისტორია", „აი ისტორია", „სომეხთა მეცნიერნი ანუ ქვათა ღაღადი" და სხვ. ამ პერიოდში სოციალურ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივი".

„ოთარაანთ ქვრივი" მხატვრული დასაბუთების ცდაა კლასთა თანამშრომლობისა, „საერთო ნიადაგის" თეორიისა, რომელსაც ქა-

[101] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, 1950, გვ. 103.

[102] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ილია ჭავჭავაძე (ნარკვევი), თბილისი, 1957, გვ. 128.

დაკვებდა ილია 80-იანი წლებიდან. ილია ჭავჭავაძე რომ კლასობრივი ბრძოლის არსებობას უარყოფდეს, რომ მას ვერ ხედავდეს, მაშინ იგი ვერც „ჩატეხილი ხიდის" პრობლემას დააყენებდა, „საერთო ნიადაგის" შექმნაზე, უკეთ, მის გამოძებნაზე, თავს არ შეიწუხებდა, რადგან ერთიან საზოგადოებაში ადამიანთა ჰარმონიული თანამშრომლობა ისედაც იქნებოდა უზრუნველყოფილი. „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ საზოგადოება გათიშულია ანტაგონისტურ კლასებად, რაც ილიას აზრით მავნებელია, მაშინ, როდესაც ერის საფრთხე მოელის გარეშე ძალისაგან. ამიტომ ილია ხედავს რა სოციალური საკითხი ასე თუ ისე გადაიჭრა, მთავლ ყურადღებას მიმართავს ეროვნული ინტერესების დაცვისაკენ. აქ მას სჭირდება ერის ერთიანობა, რომ ერის დაქსაქსვით მტერმა არ ისარგებლოს, ამიტომ იგი საზოგადოებრივ კლასებს მოუწოდებს „საერთო ნიადაგზე" თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს ა კ ე ნ და არა შ ე რ ი გ ე ბ ი ს ა კ ე ნ, როგორც ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი ფიქრობს. ანტაგონისტურ კლასთა შერიგება რომ შეუძლებელი იყო, ამას ილია კი არა, არჩილ ჯორჯაძეც კი სცნობდა. კლასობრივი თანამშრომლობა, როგორც ტაქტიკური ღონისძიება, ილიას სრულიად განსახორციელებელ ღონისძიებად მიაჩნდა თანამშრომლობისათვის „საერთო ნიადაგის" არსებობის პირობებში. სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორი იყო ილია ამ შემთხვევაში, ჩვენ კი არ ვასამართლებთ, არამედ ვაფასებთ მოღვაწის დამსახურებას, მის სუბიექტურ მისწრაფებებსა და მოღვაწეობის ობიექტურ შედეგებს. მართალი იყო გ. წერეთელი, როდესაც „ჩატეხილი ხიდის" გამთელებას თვლიდა „კეთილშობილურის გულისწადილის ნაყოფად" და არა „ნამდვილი ცხოვრების სურათად"[103].

„საერთო ნიადაგზე" კლასობრივი თანამშრომლობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად აკაკი წერეთლის მიერ ქართული ბატონყმობის, რუსულ ბატონყმობასთან შედარებით, ლმობიერი ხასიათის დასაბუთება[104]. აკაკიმ საზოგადოება, ერი მცენარეს შეადარა 1894 წელს. მისი აზრით, ისე როგორ მცენარეს გააჩნია ფესვები, შუა ტანი და შტოები ასეთივეა საზოგადოება, ერი. „ყოველი ერი სხვადასხვა წოდებად იყოფა, — ამბობდა აკაკი, — იმას აქვს თავი-

[103] „ك ვ ა ლ ი", 1894 წლის 23 იანვარი, № 5.

[104] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, გვ. 502; ტ. VII, გვ. 516, 518.

სი დაბალი, შუათანა და მაღალი ტანი...[105] აკაკის აზრით, როგორც მცენარისათვის „თავი და თავი ძალა" ფესვებია, ისე ერისთვისაც „თავი და თავი ძალა" მოსახლეობა ხალხია. მშრომელი გლეხობაა. 1911 წელს აკაკიმ კვლავ მოიგონა მცენარის მაგალითი და სთქვა: „..სამივე ნაწილი ხის თანასწორად საჭირო ყოფილან, რომ ხემ იხაროს და ერთმანეთთან მედიდურობა არა ჰმართებსთ.

ასეთივეა ეროვნების ხეც. ყოველი ერი შესდგება დაბალის, შუათანა და მაღალი წოდებისაგან. ისინი ერთმანეთის შეკავშირებით შეადგენენ ერთ რომელიმე ერს... თქვენს ერთ მთლიანობას, — მიმართავს აკაკი გლეხობას, — სამივე ნაწილი შეადგენს და ამიტომაც უნდა იყოთ ერთმანეთთან შეკავშირებული „ძმობით", „ერთობით" და „სიყვარულით" და არა ერთიმეორის მტრობით, დაუნდობლობით და მედიდურობით"[106].

ამრიგად, თერგდალეულთა ძირითადი შემადგენლობა კლასთა ბრძოლას ხედავდა საქართველოს სინამდვილეში, და გასული საუკუნის 80-იან წლებამდე კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის გზით ცდილობდა სოციალური საკითხის გადაწყვეტას და. მაშასადამე. თვით ეროვნული კითხვის გადაწყვეტასაც. მაგრამ 80-იანი წლებიდან კონკრეტ-ისტორიული პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, თერგდალეულები კლასთა თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ ჩრდილოეთიდან ნიაღვარივით მოგორდნილ გამარუსებელ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

თერგდალეულთა ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული მეობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის თავიდანვე ემყარებოდა ეროვნული თავდაცვის ჯანსაღ იდეოლოგიას. ამ იდეოლოგიაში ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ნატამალიც არ იყო, იგი გამსჭვალული იყო დიდი ჰუმანური და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი იდეებით, რევოლუციურ-დემოკრატიზმის იდეებით. ამის ნათელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ თერგდალეულთა შეხედულებანი ერზე და ეროვნულ ურთიერთობაზე, პატრიოტიზმზე.

თერგდალეულთა შეხედულება ერის შესახებ, მართალია, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ერის მეცნიერულ განსაზღვრას, მაგრამ ის

[105] იქვე, გვ. 514.

[106] ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 608, 609.

მთელ რიგ მომენტებს, ერს რომ ახასიათებს, სწორედ განსაზღვრავს. ილია ჭავჭავაძეს ერის დამახასიათებელ ნიშნებად მიაჩნია ენის, სარწმუნოების, გვარტომობისა და ისტორიის ერთობა. მაგრამ ილიას ეს უკანასკნელი ერის კონსოლიდაციისათვის მაინც ყველაზე არსებითი ნიშანი ჰგონია, რადგან სხვა ნიშნები „ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა", ე. ი. ერთობა სვე-ბედისა. მოვუსმინოთ თვითონ ილიას: „ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთი ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს ულელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია"[107]. ილია, როგორც ვთქვით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ისტორიულ ერთობას", ამიტომ ერი, ილიას აზრით, ეს არის „კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთხორც მკვიდრთა"[108]. მაგრამ ერის არსებით ნიშნად ილიას მიაჩნია ეროვნული ენა. „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, — წერდა ილია, — მისი გული და სული — ენაა"[109]. რაც შეეხება ისტორიული სვე-ბედის ერთობას, ილია მას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას ერის კონსოლიდაციის საქმეში.

გ. წერეთელმა ერის განსაზღვრაში ტერიტორიისა და გეოგრაფიული გარემოს მომენტიც შეიტანა. „ნაცია ან ერთი ტომის ხალხი, — წერდა იგი, — ეწოდება იმ ნაწილს კაცობრიობისას, რომელიც ცხოვრობს ერთს რომელსამე მხარეში... იმყოფება რამოდენიმე ათასი წლობით ერთსა და იმავე ბუნების გავლენაში. ამის გამო იმას მიუღია შესაფერი აგებულება, ჭკუა-გონება და... ენა"[110]. ამიტომ „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, — წერდა ილია, — თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა სწრაფვა, თავისი ღირსება. ამეების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა"[111]. აქ, ილია გასაოცრად ახლოს აღმოჩნდა საკითხის მარქსისტულ გაგებას-

[107] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 309.
[108] იქვე, გვ. 418—419.
[109] იქვე, ტ. IV, გვ. 107.
[110] გ. წერეთელი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 303.
[111] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 418—419.

თან. როგორც ცნობილია, „ყოველ ერს, სულ ერთია დიდია ის თუ პატარა, გააჩნია თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ გააჩნია. ეს თავისებურებანი წარმოადგენენ იმ წვლილს, რომელიც შეაქვს თითოეულ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში და რითაც ავსებს და ამდიდრებს მას"[112]. ამიტომ ილია და თერგდალეულები მტკიცედ იდგნენ ერისა და ეროვნული კულტურის სადარაჯოზე, ისინი თანაბარი ძალით ებრძოდნენ როგორც უთვისტომო კოსმოპოლიტიზმს, ისე ნაციონალიზმსა და დიდმპყრობელურ შოვინიზმს.

მეფის ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ საქართველო ისტორიული განვითარების ახალ ფაზაში შედიოდა, ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევა და ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება ხელს უწყობდა საქართველოს ეკონომიურ გაერთიანებას, რაც თავის მხრივ აჩქარებდა ეროვნული თვითცნობიერების განვითარებას, ქართველი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას, ამიტომ „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელს თავის გულთმიმზიდველ და ღიდებულ მნიშვნელობითა"[113]. ქართველი ხალხი, თითქოს ხანგრძლივი ძილისაგან იღვიძებდა, ძალას იკრებდა, ემზადებოდა ახალი ცხოვრებისა და დიდი ბრძოლისათვის საკუთარი ეროვნული მეობის, საკუთარი კულტურის დასაცავად. „აღდგენილმა მამულმა, — წერდა ილია, — დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნეს"[114].

ქართველი ხალხის „წარსულის, აწმყოსა და მერმისის" „კვლევასა და გამოძიებას" სამოციანი წლებიდანვე ხელი მოჰკიდეს თერგდალეულებმა. წარსულის შესწავლით ისინი ზრდიდნენ ხალხში ეროვნული სიამაყის გრძნობას, ჯანსაღ პატრიოტიზმს, აწმყოს შესწავლით — ხალხს უჩვენებდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის გზებს, მის მოსპობის გზებსა და საშუალებებს, ხოლო მომავლის შესახებ ხალხს უნერგავდნენ გამარჯვების რწმენას. „ჩემო კარგო ქვე-

---

[112] გაზ. „პ რ ა ვ დ ა", 1948 წლის 13 აპრილი.
[113] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ნაწ. სრული კრებული, ტ. IV, გვ. 249.
[114] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 91.

ყანა რაზედ მოგიწყენია!"... — მიმართავდა ილია საქართველოს და უნერგავდა დიადი მომავლის რწმენას, როცა ეუბნებოდა: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია". აკაკის საქართველო კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანად ჰყავდა წარმოდგენილი და მის გამომხსნელ გმირს სიკვდილამდე მოელოდა იგი. მას ეძახდა პოეტის „ჩანგი და ნაღარა", „ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი და ამირანი აუშვას... მოგევლინებათ ახალ მოდგმისაგანო", მიმართავდა აკაკი მის პატივსაცემად შეკრებილ ხალხს.

XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენცია, თერგდალეულები ხალხში ნერგავდნენ, აღვიძებდენ და ზრდიდნენ პატრიოტიზმის ჭეშმარიტად კეთილშობილურ გრძნობებს:. „...მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია, — აფრთხილებდა დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი თანამემამულეთ, — მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზს კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვნევს დამჩაგვრელს ხეებს, რომელიც დიდხანს იზრდება და როდესაც დასრულდება, თვალსაც ააჭებს, გულსაც ახარებს და ქვეყანასაც ასაზრდოებს". „პატრიოტიზმი, — დასძენდა იგი, — არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი"[115]. იმისათვის, რომ ამ ძვირფას გრძნობას ქართველთა შორის ფესვები ღრმად გაედგა, ტანი თვალშეუდგამ სიმაღლემდე აეყარა, ფრთები ფართოდ გაეშალა და ისეთი ნაყოფი გამოეღო, რომლითაც დაამდებოდა მრავალჭირნახული ქართველი ხალხის მშფოთვარე ცხოვრება, ქართველი მოწინავე ინტელიგენცია არ ზოგავდა არც გამოცდილებას, არც ენერგიას, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვდა სიცოცხლესაც კი.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა ქართული სკოლისათვის, დედა-ენის აღდგენისათვის, ქართული პრესისათვის, ქართული თეატრისათვის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის აღდგენისათვის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებისათვის, პატრიოტიზმის ძალუმი გრძნობის გამოღვიძებასა და გაფურჩქვნას ემსახურებრდა.

---

[115] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 110—111.

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც XIX საუკუნის მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, პატრიოტიზმს საფუძვლად უდებდა კაცობრიობისადმი, მისი საუკეთესო მერმისისადმი სიყვარულს. ქართველი ხალხის და მისი მოწინავე ინტელიგენციის ღრმა რწმენით, ჭეშმარიტი მამულიშვილია ის. ვინც ემსახურება სამშობლო ქვეყნის წინსვლას, მის პროგრესს, ვინც თავისი ერის მოძმეა „ჭმუნვასა და სიხარულში", ვისაც ერის წყლული თავის წყლულად მიაჩნია და „მის ბედით და უბედობით" ედაგება „მტკიცე გული", „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება. ვინც თავ-გამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია. ვისაც დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვით, ხარობს მისი ლხენით, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე"[116].

ქართველი ხალხის პატრიოტიზმი, მისი მოწინავე ინტელიგენციის ეროვნული პროგრამა კაცთმოყვარული, დიადი საკაცობრიო იდეალებით განირჩეოდა ყოველთვის[117]. „სხვაგან ბევრგან ვხედავთ პატრიოტებსა, — წერდა 1882 წელს ი. გოგებაშვილი, — რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზედ აშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება. პრუსიის პატრიოტს ტრეჩიკეს რომ კითხო, რასა სთვლის საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისათვს, გიპასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმსხვრევასო". „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისაა, — განაგრძობს ი. გოგებაშვილი, — სხვა გვარის ხასიათისაა: ივი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავისი თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენი უფლებისა, ეროვნებისა, ოვითმმა-

---

116 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 111.
117 იხ. ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი", 1942, № 10. გვ. 113—116.

რთველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლია სიცოცხლე და ადამიანური არსებობა"[118].

„ძალიან საქებია, რასაკვირველია, როცა კაცი თავის ხალხის ერთგულია; — წერდა ს. მესხი, — როცა ვინმე ცდილობს, რომ თავის თანამემამულეთა რიცხვი გაამრავლოს და გააძლიეროს. მაგრამ ამისთანა კაცმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს თავის ხალხის გაძლიერება და გამრავლება სხვა ხალხის ხარჯით არ მოხერხდება"[119].

„დიდი ქართველი პატრიოტი აკაკი წერეთელი 1873 წელს, განმარტავდა რა პატრიოტიზმს, წერდა: „პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი იმ კაცს, ვისაც თავის სამშობლო, მამული უყვარს — მიუხედავად პირადი სარგებლობისა, ჩვენი ახალთაობა (თერგდალეულები, ი. კ.) სწორედ იმ გვარი პატრიოტია... ვისაც თავისი თავი არ უყვარს, იმას სხვისი სიყვარულიც არ შეუძლია, ვისაც თავისი სამშობლო სძულს, სხვა ხალხის სიყვარულს განა მოაბერხებს, თუ რომ მართლა კაცია? და თუ პირუტყვია, მაშინ კი ერთი იქნება სადაც საკვებს იშოვნის, იქ მიეჩვევა და აქ ჩვენც აღარას ვეტყვით..."[120] აკაკი, ილაშქრებდა რა უთვისტომო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ 1910 წელს წერდა: „სულით და გულით ქართველი ვარ. პატრიოტი. სამშობლოს კეთილწარმატება მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვანს მსოფლიოს. სიტყვა „პატრიოტი" ღღეს ზოგიერთებისავან საკიცხავ სიტყვად არის გადაქცეული. იმათ პატრიოტობა შოვინიზმი ჰგონიათ, როდესაც ამ ორ სიტყვას შუა დიდი ზღვარია და ერთმანეთში საერთო არა აქვთ რა! — სასწორმხედველო პატრიოტობას უტყუარი ბუნება მოითხოვს და თვალდამდგარ შოვინისტობას კი — ეგოიზმი, უმართლო თავმოყვარეობა... ვისაც სამშობლო არა სწამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანშობილი არ უყვარს და თავს მითი მართლულობს, რომ მე გაურჩევლად მთელი მსოფლიო მწამს და მთელი კაცობრიობა განურჩევლად მიყვარსო, ის შემცდარია!... სამშობლო დედასავით უნდა უყვარდეს ყველას და რა გინდ სნეულ-დავარდნილიც იყოს დედა, შვილს არა აქვს უფლება ზურგი უჩვენოს და მია-

---

[118] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 112.

[119] გაზ. „დროება", 1876 წლის 25 თებერვალი, № 20.

[120] ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 624—625.

ტოვოს...“[121] „ვინც თავისს პატარა ერს არ ემსახურება, — წერდა აკაკი, — ის ვერც კაცობრიობას გამოადგება, თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება“[122].

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პატრიოტიზმი შორს იყო ყოველივე რესტავრატორული მისწრაფებათაგან. იგი ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციურ რომანტიზმს. „ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, — წერდა ი. გოგებაშვილი, — პატრიოტობა და უკანდახევის სურვილი, ძველი წეს-წყობილების აღდგინების წადილი, ახალი აზრების და მიმართულებების უარჰყოფა ერთად არიან შეკავშირებულნი, ერთმანეთზედ გადაბმულნი... ჩვენში ამგვარ პატრიოტებს წამლათაც ვერ მოსძებნით. ძველებურის საქართველოს აღდგენა, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის დაწყობილებათა რესტავრაცია სიზმრადაც აღარავის ეჩვენება. უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულ დროდ, რომლის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ჩავლილი წყლის უკუმოქცევა: ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედებისა და ნატვრისა, მოქცეულ უნდა იქმნას არა უკან... არამედ წინ“[123]. ეს ყველა თერგდალეულის საერთო თვალსაზრისი იყო[124]. ამის გამო ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1858 წელს განაცხადა:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ეარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს..

ქართველი ხალხისა და მისი ინტელიგენციისათვის ყოველთვის უცხო იყო ბრმა პატრიოტიზმი, რომელიც ადვილად გადადის დაუმსახურებელ ყოყოჩობასა და სხვა ერებისადმი უპატივცემლობაში.

---

121 ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 596.
122 ი ქ ვ ე, ტ. VI, გვ. 465.
123 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 113—114.
124 ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. VII. გვ. 615.

ჩვენი ინტელიგენციის პატრიოტიზმი სიყვარულის დამაბრმავებელ სენს ახლოსაც არ იკარებდა, იგი თავიდანვე კრიტიკულად იყო განწყობილი. „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, — წერდა ილია, — სიცუდე კი ყველგან საზიზღარია. ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვას, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულის გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირის უკანაო“[125]. ასეთივე თვალსაზრისს ავითარებდა სერგეი მესხიც. იგი 1876 წელს „დროებაში“ წერდა: „ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირთ, რომელნიც ყოველგვარ თავის ხალხის ჩვეულებას, ხასიათს და სხვა, რაც უნდა უგუნური, უაზრო და მავნებელი იყოს, მაინც და მაინც აქებენ, ადიდებენ და ცდილობენ, რომ ყველა ესენი უკუნითი-უკუნისადმე წმინდათ და ხელუხლებლად დაცულნი იყვნენ. მეორეს მხრით, არც იმ პირთ ვეკუთვნით, რომელნიც, თითქო წარმატებისა და ცივილიზაციის სახელით, უარჰყოფენ ყველაფერს თავის ხალხისას, უარჰყოფენ ამ ხალხის ყველა განსაკუთრებულ, ნაციონალურ ხასიათსა, ჩვეულებასა“...[126] ს. მესხისათვის ეს არ ნიშნავდა საქართველოსათვის ჩინური კედლის შემოვლების, „მაგრამ რაკი ცარიზმის დამქაშები გადაგვარებას გვიქადიან, — წერდა ს. მესხი, — „დროება“ ჰფიქრობს, რომ ამისთანა დროს ყოველი ქართველი ქართველობის დარაჯად იდგეს, რომ იცავდეს მცირეც არის ქართველობის თვისებათა და განსხვავებას, თუ ესენი საზოგადოების მავნებელნი არ არიან...“[127]

ქართველი ინტელიგენციის პატრიოტიზმი, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული თვითმყოფობისა და მისი კულტურის დაცვისაკენ, მოთმინებას აკარგვინებდა ქართველი ხალხის მტრებს და ათასგვარი ცილისწამებით ცდილობდნენ რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების ამხედრებას ქართველებისა და საქართველოს წინააღმდეგ. ქართველი პატრიოტები ასეთ შემოტევასაც წარ-

---

[125] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 69.
[126] გაზ. „დროება“, 1876 წლის 15 აგვისტო, № 86.
[127] გაზ. „დროება“, 1876 წლის 17 სექტემბერი, № 99.

მატებით იგერიებდნენ. „ეროვნულს პრინციპს, ეროვნულ მიმართულებას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკური სეპარატიზმთან... — წერდა ი. გოგებაშვილი თავის რჩეულ პედაგოგიურ და პუბლიცისტური ნაწერების წინასიტყვაობაში 1901 წელს, — ისტორიის მსვლელობამ აუცილებელი გახადა იყოს საქართველო განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური: საკუთარი ენით, კულტურით, თვითმმართველობით. ამიტომ ქართველებს სეპარატიზმს დააბრალებს მხოლოდ მტერი, ცილისმწამებელი, პროვოკატორი, გამსჭვალული ბოროტი წადილით — გაძლიერებინოს ქართველების წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებანი". შოვინიზმი და სეპარატიზმი ქართველი ხალხისათვის საზიანოდ მიაჩნდა ვაჟა-ფშაველასაც. მას რუსეთ-საქართველოს მომავალი დამოკიდებულება შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი: „საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგას გვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე..."[128]

ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი XIX საუკუნის 60-იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგით იბრძოდნენ. მხარს უჭერდნენ რუსეთიდან გამოყოფას, მაგრამ 80-იანი წლებიდან ისინი უარყოფენ რუსეთიდან საქართველოს გამოყოფას, თანდათანობით ხელს იღებენ დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგზე. ეროვნულ საკითხში ქართველი ინტელიგენციის, უმეტესად თერგდალეულთა, შემობრუნება ორი გარემოებით მაინც აიხსნება: ჯერ ერთი, 80-იანი წლებიდან გაძლიერებული შემოტევა ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და რეაქციის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა არა მარტო დამოუკიდებლობის მედროშეებს, არამედ საქართველოს ეროვნულ ინტერესებსაც, იგი კიდევ უფრო დააჩქარებდა და გააძლიერებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას საქართველოში; მეორე გარემოება, რომელმაც ქართველ ინტელიგენციას შეაცვლევინა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ აღებული კურსი, მდგომარეობს იმ ცვლილებებში, რომელიც მოხდა რეფორმის შემდეგდროინდელ რუსეთსა და საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა

[128] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. V, 1961, გვ. 266.

კარგად დაინახეს, რომ რეფორმის შემდგომი რუსეთი „სწრაფად წავიდა წინ“ და „სულ უფრო და უფრო მზარდ დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაზე“[129].

საქართველოს ეკონომიურმა განვითარებამ რეფორმის შემდეგ თანდათან გასდო ხიდი ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და რუსეთს შორის, ეკონომიურად და პოლიტიკურად დააკავშირა ეს წრეები მოწინავე და პროგრესულ ბურჟუაზიულ რუსეთთან, რის გამოც შეუძლებელი იყო თერგდალეულებს — პროგრესული ბურჟუაზიის ამ იდეოლოგებს არ გადაესინჯათ თავიანთი ეროვნული პროგრამა. ხელი არ აეღოთ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის იდეაზე. მაგრამ რუსეთიც იყო და რუსეთიც[130]. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს გამოყოფისა პროგრესული, დემოკრატიული, იგივე ბურჟუაზიული რუსეთიდან, რაც შეეხება თვითმპყრობელურ რუსეთს, მის დაუძინებელ მტრად რჩებოდა ილია სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ქართველმა პროგრესულმა ინტელიგენციამ კარგად იცოდა, რომ „არის ორი რუსეთი, ერთი მტრობისა, — მეორე ერთობისა და კულტურისა. ერთი ამკვიდრებს ერებს შორის უთანხმოებას და შუღლს, მეორე აშენებს ერთა სოლიდარობას, სამართლიანი ურთიერთობის საკურთხეველს და სჭედავს ძმობისა და ადამიანობის ოქროს გვირგვინს“. ამიტომ „ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერთან, —წერდა აკაკი წერეთელი, — მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, ჯომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ .ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად“.

აი, როგორ განასხვავებდა ქართველი ინტელიგენცია მოწინავე და პროგრესულ რუსეთს თვითმპყრობელური რუსეთისაგან. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ იყო თავისუფალი სეპარატისტული ტენდენციებისაგან XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი საქართველოში[131]. სეპარატისტული ტენ-

---

129 იხ. პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური ძიღვაწეობის ისტორიიდან, თბილისი, 1962, გვ. 393.

130 ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 233.

131 იხ. შ. დავითაშვილი, ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 40; ი. ჯაბადარი, მოგონება, ჟურ. „Былое“, 1907, №28, გვ. 2

დენციები გამოამჟღავნეს მხოლოდ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ხალხისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ, რასაც გულისტკივილით თვითონვე აღიარებდნენ შემდეგში[132].

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია ხალხთა შორის კულტურული კავშირ-ურთიერთობის განვითარებისათვის რომ იბრძოდა ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს რუსეთის გამოჩენილი ადამიანებისადმი პატივისცემა და სიყვარული, რომლითაც გამოირჩეოდა ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის. აგრეთვე ქართველი ახალგაზოდობის ლტოლვა რუსული-კულტურის კერებისაკენ, რუსული კულტურისა და მეცნიერების ღაუფლებისაკენ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე არა ერთხელ აღნიშნავდა რუსული კულტურის. რუსული ენისა და რუსული მეცნიერების მნიშვნელობას ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებისა და აყვავებისათვის [133]. მაგრამ რუსი ხალხისადმი სიყვარული, რუსული კულტურისადმი სიყვარული XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციისათვის არ ნიშნავდა საკუთარი ხალხისა და კულტურის მოძულებას, მათ უპატივცემლობას, მათ მიმართ უზრუნველობას. პირიქით, „ჩვენ გვინდა ცოცხალ-ვიყოთ, — წერდა სერგეი მესხი, —ჩვენის ენით, ჩვენის ხასიათით, ჩვენის ჩვეულებით, ჩვენის ქვეყნით... ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთ ხალხად, რომელსაც თავისი საკუთარი სახე, თავისი განსხვავებული ტიპი, შეხედულება აქვს... მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დავიცვათ ისე და იმ გვარად, როგორც ახლა არის; არა; მომავალმა ყველაფერს თავის წარმატებისა და წინსვლის ბეჭედი უნდა დაასვას“[134].

თერგდალეულები არა მარტო რუს ხალხთან მეგობრობას ჰქადაგებდნენ, არამედ ყველა ხალხთან, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიის ხალხებთან მეგობრობას აფასებდნენ დიდად. „ჩვენ რუსები, ქართველები, სომხები ვინ გაგვყო, ვინ გაგვაცალკევა; —

---

[132] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 219.

[133] იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 285; ტ. IX, გვ. 82; ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 378—379.

[134] გაზ. „დ რ ო ე ბ ა“ 1879 წლის 1 იანვარი, № 1.

წერდა სერგეი მესხი, — თითოეულს ჩვენგანს რასაკვირველია, რომ ერთი ბედი გვაქვს, ერთი ნატვრა და სურვილი უნდა გვქონდეს"[135]. გიორგი წერეთელს ამიერკავკასიის ხალხებისათვის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა მეგობრობისა და კავშირის განმტკიცება. აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები, გიორგი წერეთლის აზრით. „ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან"[136].

ასეთია მოკლედ თერგდალეულთა შეხედულება ერზე, ეროვნულ ურთიერთობაზე, ხალხთა მეგობრობაზე და პატრიოტიზმზე. იგი ის ჯანსაღი იდეური საფუძველია, რომელზედაც ემყარება თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა, და ამავე დროს იგი ქართველთა ეროვნული მოწყობის გეგმაცაა, რომლისათვისაც მთელი ნახევარი საუკუნე იბრძოდნენ თერგდალეულები. ამიტომ იყო, რომ ნაროდნიკული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ეროვნული ნიჰილიზმი და რეაქციული ინტელიგენციის რენეგატული გამოხდომა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა თერგდალეულთა მხრით.

1872 წლის გაზეთ „კავკაზის" დამატებად გამოვიდა გიორგი კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის (მუხრან-ბატონის) წიგნაკი «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц», რომლის ავტორიც სულით და ხორცით მიეყიდა მეფის თვითმპყრობელობას, და შემდეგ, ქართველი ერის გაყიდვასაც ცდილობდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ბაგრატიონ-მუხრანსკი თავის ბროშურით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პატარა, წვრილ-წვრილი ეროვნული ერთეულების შემდგომი არსებობა უაზრობაა, ისინი უნდა გაითქვიფონ დიდ ხალხებში, სახელმწიფოებრივად გაერთიანებულ მსხვილ ერებში.

გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ეს გამოხდომა არ იყო შემთხვევითი. იგი არ იყო შემთხვევითი არც ავტორისათვის და არც მეფის თვითმპყრობელობის, მაშინდელი პოლიტიკური კურსისათვის. ბაგრატიონ-მუხრანსკი წარმოადგენდა მაშინდელ საქართველოში თვითმპყრობელობის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ერთგულ ლაქიას. მისი უაქტიურესი მონაწილეობით 1871 წელს იმპერატორისადმი მისართ-

[135] გაზ. „დ რ ო ე ბ ა", 1877 წლის, № 199.
[136] გაზ. „დ რ ო ე ბ ა", 1879 წლის 21 იანვარი, № 16.

მევი ადრესიდან ამოიღეს მოთხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, მის ნაცვლად კი შეიტანეს მოთხოვნა კადეტთა კორპუსის გახსნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სასტიკად გაკიცხა იგი ილია ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“, რომელიც ხელნაწერის სახით გავრცელდა ხალხში. ილიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის თავის „გამოცანებში“ უწოდა „განს გამდგარი“, „ჭკუით და გულით მოცვეთილი“, რომელიც „ქვეყანაზედ უქმად გდია“[137]. მაგრამ თვითმპყრობელობისათვის იგი უქმად არ ყოფილა. თვითმპყრობელობისათვის იგი თავს არ ზოგავდა; ჯერ როგორც სენატორი, შემდეგ კი როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი და, ბოლოს, რუს ასიმილატორთა საამებლად, „ლიტერატურულ“ საქმიანობასაც მიჰყო ხელი. მას სხვა უფრო დიდი დანაშაულიც მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე. მან რუსეთის იმპერატორს მიმართა წერილობით: თქვენ გაიღეთ ფული (რაოდენობას არ ასახელებდა) ქართველ თავადაზნაურობისათვის და ჩვენ დავაჩქარებთ, უზრუნველვყოფთ ქართველების ასიმილაციას, მის გათქვეფას რუს ხალხშიო. ილია ჭავჭავაძემ ეს, რასაკვირველია, არ იცოდა, იგი ნათელი გახდა, ახლახან აღმოჩენილი დოკუმენტებით[138].

გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ბროშურის გამოქვეყნება შემთხვევითი არ იყო აგრეთვე იმიტომაც, რომ მეფის თვითმპყრობელობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მახვილი ჩაეცა. მათ ციხის შიგნიდან გატეხვა სცადეს. ქართველი ერის მესაფლავედ ქართველივე გამოიყვანეს. მაგრამ რენეგატი და გამყიდველი მალე ამხილეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა. 1872 წლის 1 სექტემბრის წერილში დიდი ილია დუშეთიდან წერდა პეტრე უმიკაშვილს: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: «Лишь право сильного раб свято почитает» მაგ ბროშურის საპასუხოდ აი რა დავწერე და გთხოვ „დროებაში“ დააბეჭდი-

---

[137] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 35.

[138] ვ. რ ა ტ ი ა ნ ი, რომელმაც აღნიშნული დოკუმენტები გამოაქვეყნა, ალბათ გამოაქვეყნებს მათ, რითაც აშკარას გახდის ქართველი ხალხის წინაშე „დამსახურებას“ იმ ადამიანისას, რომლის ნეშტიც ქართულ მიწას აბარია სვეტიცხოველის ტაძარში, ვახტანგ გორგასალის, ერეკლე მეორისა და სხვა ქართველ პატრიოტთა ნეშტთან ერთად.

ნო"[139]. წერილს ერთვოდა ლექსი „რჩევა", სადაც სასტიკად იყო გამათრახებული გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. აღნიშნული ლექსი, თანახმად ავტორის სურვილისა, დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში" იმავე წლის 8 სექტემბერს (№ 25), მცირე შემოკლებით. ილია მუხრანსკის მისამართით წერდა:

...მერე ბრძნობით შეიმოსე, დიდთა უკმეე, სხვათ არა,
და იქადაგე: — „წესია, რომ დიდმა ულაპოს პატარა".
დიდნი ხომ დაგიჯერებენ, აბა უარს რად იტყვიან?!
პატარებს ჯანიც გავარდეს, დიდნი მადლს გადაგიხდიან![140]

გაზეთ „დროების" იმავე ნომერში, სადაც ილიას „რჩევა" დაიბეჭდა, გამოქვეყნდა სერგეი მესხის კრიტიკული შენიშვნები მუხრანსკის წიგნაკის გამო[141]. მუხრანსკის წიგნაკის „აზრი ის არის, — წერს ს. მესხი,—რომ კაცობრიობის ყოველ-მხრივი ბედნიერებისა და წარმატებისათვის აუცილებლათ საჭიროა, პატარა ხალხებმა დაჰკარგონ თავიანთი საკუთარი ხალხოსნობა, თავის ენა, ჩვეულება და განსაკუთრებული ცხოვრება და დიდს ხალხებს შეუერთდნენო...

ყოველი ხალხის განმაცალკევებელი არის ენაო და ამიტომ პირველათ წვრილი ხალხების ენა უნდა „გაუქმდეს" და მერე ისინიც შეუერთდებიან დიდ ხალხებსაო... რადგან წვრილი ხალხების ენებს არ შეუძლიათ მთელი კაცობრიობის ორგანოთ შეიქმნენ, ამის გამო ისინი უნდა გაუქმდნენ და თვითონ წვრილი ხალხები თავის-თავისა და საზოგადოთ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის, უნდა სამუდამოთ გაქრენ და აღიხოცონ დედა-მიწიდანაო". ამის შემდეგ ს. მესხი მწარედ დასცინის და მკაცრად აკრიტიკებს აღნიშნული წიგნაკის ავტორს, რომელსაც „ერთი კალმის მოსმით სურს შესცვალოს ხალხის ხასიათი, ჩვეულება, ცხოვრება; — შენიშნავს ს. მესხი, — სურს წაართვას მას მშობლიური ენა, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასია კაცისათვის და რომლის წართმევა თითქმის სიცოცხლის წართმევას უდრის!"... საერთოდ, რომ ითქვას, „ძალდატანებით გაკეთებულ საქმეს, — განაგრძობს ს. მესხი, — არასოდეს მკვიდრი საძირკველი და

---

[139] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. წერილები, I, ი. ბ ო ცვ ა ძ ი ს რედაქციით, სოხუმი, 1949, გვ. 40.

[140] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 100.

[141] სერგეი მესხის წერილის შემოწმებული ტექსტისა და ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ დოცენტ ი. ლ. ბ ო ცვ ა ძ ე ს.

დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. თუ არ ძალ-დატანებით, თუ არ გასაკიცხავი საშუალების შემწეობით, ხალხი არასოდეს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამგვარათაც დაკარგულის აღდგენას ყოველთვის ეცდება"[142]. „დროებამ" ბაგრატიონ-მუხრანსკის წინააღმდეგ გამოაქვეყნა მახარობელი ხუკუას წერილიც, რომელშიაც გაკიცხულია მუხრანსკი, როგორც თავისი ერის მოღალატე[143]. მრავალი სხვა ცნობილი ქართველი და სომეხი მოღვაწე გამოეხმაურა ბაგრატიონ-მუხრანსკის წიგნაკს და ერთხმად დაგმეს იგი, როგორც რენეგატული და მტრული გალაშქრება ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ყველა პატარა ერის წინააღმდეგ[144]. ბაგრატიონ-მუხრანსკის წიგნაკს კმაყოფილებით შეხვდა მხოლოდ რუსული გაზეთები. გაზეთი „გოლოსი" 1872 წლის 170-ე ნომრის მოწინავეში, მუხრანსკის წიგნაკზე დაყრდნობით შეეცადა დაესაბუთებინა აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიაში საჭირო არაა ადგილობრივი ენების სწავლება. „გოლოსმა" სპეციალური წერილიც კი მოათავსა თავის ფურცლებზე მუხრანსკის წიგნაკის შესახებ, სადაც ეს წიგნაკი მეცნიერების უკანასკნელ სიტყვადაა მიჩნეული. ამის გამო აღშფოთებული ქართველი ჟურნალისტი ლ. ზურაბისშვილი მუხრანსკის ბროშურას უწოდებს „სწავლაში კოპლობისა და უმეცრების ნაყოფს"[145].

გაზეთ „დროების" ფურცლებზე მუხრანსკისა და მისი ტიპის „მოღვაწეთა" წინააღმდეგ გალაშქრა [illegible] შერეთელმაც. „ზოგიერთები შეცდომით ფიქრობენ, — წერდა ავტორი, „მოგეიანებით, 1862 წელს, — რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება რომელიმე ხალხს შეკავშირ-შეთვისება, როდესაც ის დაივიწყებს დედა-ენას, დაკარგავს თავის წარსულს, უარჰყოფს მომავალს და აწმყოს აუკუღმართებსო... მაგრამ ვინ არ იცის, რომ ხალხი ამ გვარად გადასხვარჯულებული მკვდარია და აღარავის აღარად არგია!... დრო არის, რომ ამ უკუდო საპოლიტიკო აზრს ბოლო მოეღოს და უფრო სწორ გზას დავადგეთ... ნუ თუ საჭიროა ჩვენი ზნეობრივად დაცემა და გადარჯულება, რომ ვისმე ძმობა-ამხანაგობა გაუწიოთ? ჩვენ არა გვგონია, და ვინც წი-

[142] გაზ. „დროება", 1872 წლის 8 სექტემბერი, № 35.

[143] იქვე, 1872 წლის 11 სექტემბერი, № 38.

[144] იქვე, 1872 წლის 17 ნოემბერი, № 45.

[145] იქვე, 1872 წლის 1 დეკემბერი, № 47.

[145] გაზ. იქვე, 1872 წლის 1 დეკემბერი, № 47.

ნააღმდეგსა ჰფიქრობს, ის ვერ უნდა იყოს გამჭრიახი მამულისშვილი თავის ქვეყნისა"[146]. ასევე გმობდნენ მუხრანსკის, ვოსტორგოვისა და სხვათა საქციელს ანტონ ფურცელაძე[147], გ. ქიქოძე[148] და სხვ.

საქართველოს ისტორიის საკითხების გარშემო თერგდალეულებს, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძეს, სერიოზული ბრძოლის წარმოება მოუხდათ ნაროდნიკული ისტორიოგრაფიის (ზ. ჭიჭინაძე, ი. ჯაბადარი და სხვ). წინააღმდეგ ნაროდნიკი ისტორიკოსები ვერ ხედავდნენ ქართველი ხალხის წარსულში პროგრესულ განვითარებას, უარყოფდნენ კულტურულ ღირებულებათა მნიშვნელობას ისტორიისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა მიერ იყო უმეტესად შექმნილი და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად ნაროდნიკულმა ისტორიოგრაფიამ შეასრულა ერთგვარად დადებითი როლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. მის შემდეგ, რაც დ. ბაქრაძემ და ი. ჭავჭავაძემ პირველებმა დააყენეს ისტორიული მეცნიერების წინაშე ხალხის როლისა და ეკონომიური წყობის შესწავლის ამოცანა, ნაროდნიკი ისტორიკოსები იყვნენ პირველები, რომლებმაც პრაქტიკულად მოჰკიდეს ხელი ამ დიდი ამოცანის შესრულებას. მათ, თუ მთლიანად ვერ შეასრულეს აღნიშნული ამოცანა, ერთგვარი წვლილი მაინც შეიტანეს მის პრაქტიკულ გადაწყვეტაში, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ისტორიული მეცნიერების განვითარების მაშინდელი დონე.

ქართველმა ნაროდნიკ-ისტორიკოსებმა პირველებმა სცადეს წინ წამოეწიათ ხალხის მასები (გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები) და სახალხო გმირები (გიორგი საკაძე და სხვ.). მაგრამ ამავე დროს ერის მთელი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა უარჰყვეს, რადგან მათ ვერ შესძლეს მის შემომქმედთა შორის მშრომელთა წვლილის დანახვა. საქართველოს ისტორიისადმი ასეთი ცალმხრივი და ნიჰილისტური დამოკიდებულებისათვის ქართული პრესა მკაცრი კრიტიკით შეხვდა ნაროდნიკულ ისტორიოგრაფიას. ილია ჭავჭავაძემ პირველმა გაილაშქრა ზ. ჭიჭინაძის („სანდალას"), ივ. ჯაბადარის („ნარდონის") და სხვათა წინააღმდეგ, მან დაჰგმო საქართველოს წარსუ-

---

146 ა. წ ე ბ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 299.

147 იხ. ვ. ვ ა ხ ა ნ ი ა, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1958, გვ. 93.

148 იხ. „გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ს ა უ ნ ჯ ე", გვ. 40.

ლის ნიჰილისტური გაშუქება. სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ეროვნული ნიჰილიზმი ფართო მასებს რომ ღაუფლებოდა, იგი ძირს გამოუთხრიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯანსაღ იდეოლოგიას. ამიტომ ილია ჭავჭავაძის გამოსვლას ივ. ჯაბადარისა და სხვა ნიჰილისტების წინააღმდეგ ჰქონდა არა მარტო და არა იმდენად მეცნიერული ინტერესები და მნიშვნელობა, რამდენადაც დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

ივ. ჯაბადარის ნიჰილისტური სტატიები იბეჭდებოდა ჟურნალ „სეევერნი ვესტნიკის“ 1886 წლის ნომრებში, საერთო სათაურით „წერილები საქართველოს შესახებ“. ამ სტატიებში გაჟალბებულია საქართველოს ისტორიული წარსულის მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი, მაგრამ, რაც მთავარია და რის წინააღმდეგაც ამხედრდა არსებითად ქართული საზოგადოებრივი აზრი, ჩვენი გაგებით, უნდა იყოს დრეპერის თეორიის პროპაგანდა ერის სიბერისა და კვდომის შესახებ. „რას გვიქვიან ერის სიბერე? ან, როგორ შეიძლება, რომ „ინტენსიურმა ცხოვრებამ“ ერი ძალღონისაგან დასცალოს? — კითხულობდა ჯაბადარის ლოღიკით გაკვირვებული ილია და თვითონვე პასუხობდა, — სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია“. „ინტენსიურ ცხოვრებას“ ერი მიჰყავს არა დაძაბუნებისაკენ, არა დაუძლურებისაკენ, როგორც ამას ფიქრობდა ჯაბადარი და მისი უცხოელი ჭკუის მასწავლებელი, არამედ პირიქით, „ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელი ჯაფით, გარჯითა და მსნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაზოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონისღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგია ფარი და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში“[148]. „ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი; — დასცინის

[148] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 318.

ილია ჯაბადარს, — კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარ ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო, რაღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არა იმავე ინტენსიურ ცხოვრებისათვის"[149]. ი. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით ერის, და თვით კაცობრიობის პროგრესის სათავე სწორედ „ინტენსიური ცხოვრებაა", „შემოქმედების წყურვილი და ნიჭია"[150] და არა ღონის შენახვა და უმოქმედობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა დაუნდობელი ომი გამოუცხადეს ერის დაბერებისა და კვდომის თეორიას. იგი ნიჰილისტებისა და კოსმოპოლიტების ხელით წყალს უშვებდა თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წისქვილზე. დრეპერის რეაქციული თეორია ერის დაბერებისა და კვდომის შესახებ ჯერ კიდევ 1872 წელს გააკრიტიკა ანტონ ფურცელაძემ და აღნიშნა „დრეპერი თავის უმთავრეს საგანში არის საშინლად შემცდარი"[151]. საინტერესოა ვაჟა-ფშაველას შეხედულება ერის დაბერებისა და კვდომის თეორიაზე. „ქართველი ერი დაბერდაო, ამისთანა აზრი განა ჭკუისა და ცოდნის ნაყოფია? — კითხულობდა აღშფოთებული ვაჟა და თვითონვე პასუხობდა,—სრულიადაც არა. მაშ რისა, ან ვისი ბრალია? ჯერ ერთი, იმისა, რომ ყველაფერი, რასაც წიგნიდან ამოიკითხავს კაცი, დაიჯერებს აუწონ-დაუწონავად და მეორეც იმისა, წაკითხულს სწორედ ვერ გაიგებს. მოგეხსენებათ, მეცნიერმა ოგიუსტ კონტმა, ერის სიცოცხლე შეუდარა ადამიანის სიცოცხლეს და თქვა — ერი იმავე ხანებს გამოივლის სიცოცხლისას, რასაც ადამიანი თავის გაჩენის დღიდგანო, ე. ი. სიყმაწვილეს, სიჭაბუკეს, დავაჟკაცებას და სხვადასხვა, ხოლო კონტს არსად არ უთქვამს, რომ აუცილებლად, უსათუოდ ყველა ერს სიბერე და სიკვდილი მოელისო. კიდევაც რომ ეთქვა, განა უნდა დავიჯეროთ? განა კონტებმა, კანტებმა და სპენსერებმა რომ სისულელე წამოროშონ, ვინაიდგან კაცნი ვართ, რის გამოც ბევრჯერ შევცდებით და მოვტყუვდებით, ჩვენ იმათ პირიდგან ამოსული ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ?!

---

149 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 318.
150 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია
151 ეურნ. „მნათობი", 1872 წელი, № 1.

განა სპენსერი არ მოტყუვდა ადამიანის სხეული საზოგადოებრივ სხეულს რომ შეადარა და შეუბადლა, რათა გაემართლებინა. პირნათ-ლად ვამოეყენა ქვეყნის თვალში მონარქიული ბურჟუაზიული წესწყობილება? („საფუძვლები სოციოლოგიისა"), მაგრამ არც ჩკუა-გონების პატრონმა ნასწავლმა არ მიიღო ეს შებადლება ბაჯალ-ლო ოქროო. ბოლოს იპრიანმა ღმერთმა და ოთხონ სპენსერმაც სხვა თავის თხზულებაში („განვითარება პოლიტიკურ დაწესებულებათა") უარყო ეს აზრი.

ერის სიბერეს ღა სიკვდილს ისინი დაიჯერებდენ მარტო, ვინც ცხოვრების პირობების გარეშე სხვა რაღაც უხილავს ძალას ჰხედა-ვენ... რატომ ღრმად არ უნდა ვიყვნეთ დარწმუნებულნი, რომ ერი მუდამ ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებელის თვისებისანი არიან? რომელ ერსაც ეს კარგად ესმის და სასიცოცხლო პირობებს იცავს, ინახავს, იგი მუდამ ცოცხალი, ბედნიერი, ჯან-ღონით სავსეა, იმას არც სიბერე შოეკიდე-ბა არც სიკვდილი"[152]. ერის სიბერისა და კვდომის თეორიას ვაჟამ „ლაყე და შხამიანი აზრი" უწოდა.

ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის შრომებში ბურჟუაზიუ-ლი ნაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული მახვილი ხშირად უფ-რო შორს ხვდებოდა, ვიდრე საჭირო იყო: იგი გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიუ-ლი ინტელიგენციის თავზე ხშირად ტრაექტორიით გადადიოდა და გასული საუკუნის 60—70-იანი წლების იდეური ბრძოლის მესვეურ-თა თავზე იმტვრეოდა. მართალია, ეს ნაკლი არ შეინიშნება ი. ბ. სტალინის შრომებში, მაგრამ მან თავის სტატიაში — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" გვერდი აუარა 60—70-იანი წლების იდეური მიმდინარეობისაღმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების გარკვევას. აღნიშნული სტატიის დასაწყისშივე ვკითხულობთ, რომ „სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამო-დიან ბრძოლის მოედანზე, — ყველა კლასს კი თავისებურად ესმის «ნაციონალური საკითხი». მაგრამ კითხვა იბადება: როდის წამოაყენა „თანამედროვე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ... ბურჟუაზიის ნაციო-ნალური საკითხი" ჩვენში? აღნიშნული სტატიის მიხედვით იგულისხ-მება, — მაშინ, როდესაც „ბრძოლის მოედანზე გამოდის" ბურჟუა-

[152] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. V, 1961, გვ. 166—167.

ზია. ბურჟუაზია კი, როგორც ცნობილია, „ბრძოლის მოედანზე გამოდის“ გასული საუკუნის 60—70-იან წლებში, სწორედ მაშინაა ჩვენი ბურჟუაზია „ნორჩი“ და არა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი „ნაციონალ-დემოკრატების პირით ატიტინდა დამოუკიდებელ საქართველოზე“. იმის გამო, რომ ი. ბ. სტალინმა გვერდი აუარა 60—70-იანი წლების იდეური მიმდინარეობის შეფასებას, აღნიშნულ სტატიაში დაშვებულ იქნა რიგი უზუსტობა: ჯერ ერთი, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ქართველი ბურჟუაზია უკვე აღარ არის „ნორჩი“, მეორე, „დამოუკიდებელ საქართველოზე“ ალაპარაკდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში თერგდალეულები, მესამე, ეროვნულ-დემოკრატები და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები ძალიან მალე გამოეთხოვენ „დამოუკიდებელ საქართველოს“ იდეას და დაკმაყოფილდნენ ნაბოძები ავტონომიით თვითმპყრობელური რუსეთის ფარგლებში. ყოველივე აღნიშნულის გამო ი. ბ. სტალინის სტატიაში, სადაც მოცემულია ეროვნული საკითხის ისტორიის პერიოდიზაცია, მხოლოდ დასახელებულ იქნა სამი პერიოდი — თავადაზნაურული, ბურჟუაზიული და პროლეტარული, მაგრამ ნაციონალური კითხვის ბურჟუაზიულმა პერიოდმა სრული დახასიათება ვერ ჰპოვა, რატომღაც ავტორმა მხვდველობიდან გაუშვა ისეთი დიდი ისტორიული მოვლენა. როგორიც იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამ მოძრაობისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების გარკვევას, როგორც აღვნიშნეთ, გვერდი აუარა. ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი მტერს—ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს ეძებდა შორს, როცა ისინი უფრო ახლოს, ცხვირწინ იყვნენ, თუნდაც იგივე ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების სახით. მაგრამ ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ქართველ მარქსისტთა პირველი თაობა, თუნდაც ფ. მახარაძე სუსტად ებრძოდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, არა, მაგრამ როდესაც ისინი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების ბანაკში აქცევდნენ ილია ჭავჭავაძესა და სამოციანელთა სხვა წარმომადგენლებს, ამით მარქსისტულ-ლენინურ ეროვნულ პროგრამას უდაოდ ჩრდილს აყენებდნენ, მათი გამოსვლა ხშირად ეროვნული ნიჰილიზმის იერს ღებულობდა. ეს კი ხელს უშლიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და პროლეტარულ-რევოლუციური მოძ-

რაობის გაერთიანებას. ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის ბელადები ხშირად უნდობლად უყურებდნენ სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ პროგრამას, უფრო ზუსტად, იმ პროგრამას, რომელსაც მარქსისტულად ასაღებდა ქართველი სოციალ-დემოკრატების მემარჯვენე ფრთის ზოგი წარმომადგენელი და ზოგიც ნიჰილისტურად განწყობილი სოციალ-დემოკრატი.

ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრენი ეკონომიური მატერიალიზმის პროპაგანდით და ისტორიული აუცილებლობის ფატალისტური გაგებით, ისე როგორც ეროვნული ნიჰილიზმით შეპყრობილი სოციალ-დემოკრატები სერიოზულ ზიანს აყენებდნენ მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიას საქართველოში. პირველები წყალს უშვებდნენ სუბიექტური იდეალიზმისა და ვოლუნტარიზმის წისქვილზე, ხოლო მეორენი — ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წისქვილზე, ორივე ერთად კი ხელს უშლიდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რადგან ერთიცა და მეორეც მარქსიზმად ასაღებდა ეკონომიურ მატერიალიზმსა და ეროვნულ ნიჰილიზმს. ასეთი „მარქსიზმის" წინააღმდეგ გამოსვლა ისეთი ავტორიტეტებისა, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, სერიოზულ დარტყმას წარმოადგენდა უკვე ნამდვილი მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიისათვის. ილია ჭავჭავაძემ თუმცა თავიდანვე იცოდა, რომ ჟორდანია არ იყო ნამდვილი მარქსისტი[153], მაგრამ მუშებმა და გლეხებმა კი ეს გვიან გაიგეს, ამიტომ ჟორდანიასა და ნიჰილისტების ყოველი მარცხი დემოკრატიულ-პატრიოტულ ინტელიგენციასთან ბრძოლაში თვით ინტელიგენციისა და ხალხის თვალში სოციალ-დემოკრატიისა და მარქსიზმის დამარცხებად გამოიყურებოდა.

1903 წელს აკაკი წერეთელი გამოხატავდა დემოკრატიულ-პატრიოტული ქართველი ინტელიგენციის თვალსაზრისს მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიაზე. როდესაც წერდა: „მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისევლობასა და მეზვერობას და ჩვენი თანაგრძნობაც მაოკეს იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულიად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ აგორებდნენ უფსკრუ-

[153] იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 6. 1955, გვ. 243, 258, 266.

ლისაკენ"[154]. აკაკის მესამე დასელთა სოციალურ პროგრამასთან არაა-ფერი ჰქონია სადაო, მაგრამ „წარსულის უარყოფა", ეროვნული ნი-ჰილიზმი კი არაფრად მოსწონს. რომ ეს არა, მათი — დემოკრატი-ულ-პატრიოტული ინტელიგენციის თანაგრძნობაც მესამე დასელთა მხარეზე იქნებოდაო, ევარწმუნებს აკაკი. „ის გზა, — განაგრძობს აკაკი, — რომელსაც დღეს ისინი (მესამე დასელები — ი. კ.) ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის. საკრამ გზაზე დაფიქრებასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინდახე-დულობა ეკრძალება. თვარა თავაღებულად ლაჯუნი ადვილად სადმე ჩაკვრეფენს ფეხს"[155]. და მართლაც, გამართლდა აკაკის სიტყვა ის „მარქსისტებზე", რომელიც ის ეპრძოდა. ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის ეპოქაში, როდესაც ხალხი ეროვნული თა-ვისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის შეუძლებელია მას უქადაგო ხელის აღება ყოველივე იმაზე, რაც პროგრესულია, კულტურულად ღირებული და მაღალი წინათაობათა მემკვიდრეობა-ლან. უქადაგო და უხეიროდ განუმარტო ხალხს ერების ისტორიული ბედი უსასრულოდ შორეულ მომავალში, უწინასწარმეტყველო მას სხვა დიდ ერებში გათქვეფის აუცილებლობა, რაც ვერ გაითვალის-წინა ზოგიერთმა მარქსისტმა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. და ფეხი ჩაჰკრა ეროვნული ნიჰილიზმის მორევში, რა-თაც ზიანი მიაყენა მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიას.

ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტები ამოეფარენ ილიასა და აკაკის დიდ სახელს და მათაც მოითხეს ხელი მარქსისტების შეცდომებზე[156]. აი, როგორ გამოიყენა იგი ბურჟუაზიული ნაციონალის-ტების ერთ-ერთმა ლიდერმა მარქსიზმის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ საქართველოში: „ღვეს კი ქართული ეროვნების უარმყოფელნი, — წერდა არჩილ ჯორჯაძე 1908 წელს, — გაბატონებულ ეროვნებას უწყობენ ხელს და ამაყობენ კიდეც, დიდებულ საქმეს ვარიგებთო. დეე, დაი-

---

[154] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 578—579.

[155] ი ქ ვ ე.

[156] ამ ხასიათის შეცდომათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ფ. მახარაძის მიერ დაკავებული პოზიცია იმ დავაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ი. ჭავჭავაძესა და ივ. ჯაბადარს შორის გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (იხ. ჟურნ. „ჩ ე ნ ი წ ყ ა რ ო", № 8(18), 1913 წლის 12 მაისი).

ღუპოს პატარა ერი, ოღონდ სხვა, დიდ კულტურის წარმომადგენელი ერი წარმოსდგეს ამ პატარა ერთა გათქვეფიდანაო"[157]. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ცნობილი მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ ნაციონალური ნიჰილიზმი მხოლოდ ენებს სოციალიზმის საქმეს და ხელს უწყობს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს[158].

ამრიგად, ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის მიერ ეროვნულ საკითხში დაშვებულმა მემარცხენული ხასიათის შეცდომებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დემოკრატიული ინტელიგენციის დიდი ნაწილის გადასვლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა რიგებში. ეროვნულ საკითხს, თუ ყოველთვის არა, ხშირად შეუსრულებია ქართველი ინტელიგენციისათვის წყალგამყოფის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში[159].

---

[157] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი. წიგნი I, გვ. 64.

[158] იხ. გაზ. „ალავდა", 1918 წლის 24 მაისი, № 101.

[159] ჩვენ აქ ვერ შეეხებოდით იმ კონკრეტ-ისტორიული საკითხების გარჩევას, რომელთაც ქართველ სამოციანელთა ნააზრევში ჰპოვეს საინტერესო გადაწყვეტა რევოლუციურ-დემოკრატიზმის პოზიციებიდან. ისინი საკმარისადაა გარჩეული ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია; ა. კიკვიძე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება; ა. იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები; დ. ჩიკვეტაძე, აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები; ვ. დონაძე, ნ. ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი და სხვ.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩასახვა და განვითარება

§ 1. იდეური გარემო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

საქართველოში მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩასახვისა და განვითარებისათვის, როგორც ზევით ვნახეთ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში უკვე არსებობდა ხელსაყრელი იდეური გარემო. იგი შექმნეს, ერთის მხრივ, ქართველ სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა და, მეორეს მხრივ, ქართველ რევოლუციონერ-ნაროდნიკთა ისტორიული კონცეფციის პროგრესულმა ელემენტებმა და, ბოლოს, რაც მთავარია, მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელებამ საქართველოში. მაგრამ გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაიშალა მწვავე ბრძოლა სამოციანელთა პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული მემკვიდრეობის წინააღმდეგ. უკვე თანდათან ყალიბდებოდა არახელსაყრელი იდეური გარემოც მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. მაგრამ მის მავნე გავლენას მარქსისტულ-ლენინური იდეების ფართოდ გავრცელებამ, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გაფართოებამ ასევე თანდათანობით შეაკვეცა ფრთები. და ბოლოს, სრულიად გასწმინდა ნიადაგი მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩასახვისა და განვითარებისათვის საქართველოში.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული პრესის ფურცლებზედაც ჰპოვა გამოძახილი იმ ბრძოლამ, რომელიც გაიშალა რუსეთში ფილოსოფიურ-სოციოლოგიური საკითხე-

ბის გარშემო[1]. ქართული ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ინტელიგენცია თავის პოლიტიკური პროგრამის (ბურჟუაზიული ლიბერალიზმის) ფილოსოფიურ დასაბუთებას ცდილობდა ნეოკანტიანიზმით, ენერგეტიზმით, ემპირიოკრიტიციზმით და სხვა მოდური ფილოსოფიური იზმებით. ეს ცდა თავიდანვე წარიმართა მარქსიზმის, მისი ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლის ნიშნით. ამ ფილოსოფიურ შემოტევას, მიუხედავად ზოგჯერ თეორიული წაბორძიკებისა, საკადრის პასუხს აძლევდა ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მზარდი მარქსისტული მიმდინარეობა საქართველოში. ჟურნალ „მოამბემაც" კი გამოაქვეყნა მაშინ გ. პლეხანოვის შრომა ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ სათაურით „რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას ანუ ადამიანის მოქმედებას?"[2] ჟურნალმა „კვალმა" გამოაქვეყნა ფ. ენგელსის „ანტიდიურინგის" შესავლის თარგმანი სათაურით „დიალექტიკა და მეტაფიზიკა"[3]. იგივე „კვალი" ადრე აქვეყნებდა მთელ რიგ ადგილებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან"[4] და ა. შ. და. ბოლოს, ქართველ რევოლუციონერ მარქსისტთა პირველი თაობის თეორიული შრომები, „კვალში", „ბრძოლაში" და სხვა ბოლშევიკურ ჟურნალ-გაზეთებში რომ იბეჭდებოდა. წარმოადგენდა მარქსიზმის, მისი თეორიული საფუძვლების ბრწყინვალე დაცვასა და განვითარებას ჩვენი ქვეყნის კონკრეტ-ისტორიული პირობების შესაბამისად.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისის პირველ ათეულში ბურჟუაზიული ფილოსოფიური აზრის ტიპიური წარმომადგენელია არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც გაავსო ქართული პრესა ნეოკანტიანური, ბურჟუაზიული ფილოსოფიური იდეებით. ამ პერიოდში ბურჟუაზიულ-ფილოსოფიური აზრისაკენ იხრება ჟურნალი „კვალი" და ქართული სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ოპორტუნისტული ფრთა, ის მარქსიზმის ნაცვლად რეაქციულ იდეალისტურ ფილოსოფიურ

---

[1] იხ. ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 388.

[2] იხ. ჟურნ. „მ ო ა მ ბ ე", 1899 წლის №№ 9, 10.

[3] იხ. „კ ვ ა ლ ი", 1901 წლის №№ 31, 32.

[4] იხ. „კ ვ ა ლ ი", 1897 წლის № 48.

შეხედულებათა პროპაგანდას იწყებს[5]. ამიტომ ქართული მარქსისტული ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის წარმომადგენლებს თავიდანვე მოუხდათ ბრძოლა ორ ფრონტზე — აშკარა ბურჟუაზიულ, რეაქციულ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა და სოციალ-დემოკრატიის შიგნით ფილოსოფიური რევიზიონიზმის წინააღმდეგ[6].

მარქსიზმის, მისი ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ ი. ს. ფანცხავა (ფსა) გამოდის ჯერ კიდევ 1894 წელს[7]; მას ისტორიული მატერიალიზმი დაჰყავს ეკონომიურ მატერიალიზმამდე და შემდეგ, აკრიტიკებს რა ამ მოძღვრებას ცალმხრივობისათვის, თავის დასკვნებს ავრცელებს მთელ მარქსიზმზე, მის ფილოსოფიურ საფუძვლებზე. აი, ასეთი წარმოედგინა მაშინ ი. ფანცხავას მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც მისი გაგებით, იგივე ეკონომიური მატერიალიზმია: „თეორია ეკონომიური მატერიალიზმისა ჰგონებს, რომ ყოველგვარ ისტორიულ მოვლენაზე ზემოქმედება და გავლენა მხოლოდ ეკონომიურ ინტერესსა, კუბის მოთხოვნილებას აქვს... საზოგადოებასა და ისტორიაში თუ რაიმე ცვლილება ჰხდება — ეს ცვლილებაა ეკონომიური ურთიერთობისა. ჯერ ეს უკანასკნელი უნდა ძირეულად შეიცვალოს, რათა შემდეგ თანაბარი ცვლილება მოხდეს პოლიტიკურ განწყობილებაში; პოლიტიკურ ძალასა და ფორმას არავითარი დამოუკიდებელი გავლენა და ზედ მოქმედება არა აქვს ცხოვრებასა და ისტორიაში... მაგრამ თვით ეს ეკონომიური ურთიერთობა როგორ-ღა და რით იცვლება? ეს იცვლება თავის თავად, აუცილებლად სტიქიურად ჰხდება. ადამიანთა საზოგადოება ჯერ ერთნაირ ეკონომიურ ურთიერთობასა და განწყობილებას ექვემდებარება, ამის შემდეგ მეორე ნაირი უსათუოთ მოსდევს, მეორეს მესამე და ამ რიგათ. უნდა თუ არა, საზოგადოება მაინც ვერ აცდება ამ სხვა და სხვა საფეხურებს ეკონომიური განვითარებისას; საზოგადოებამ ეს საფეხურები აუცილებლად უნდა განვლოს. და ასი მორიგათ. დიდ-ბუნებოვანი და დიდებული ადამიანები ფიქციაა, მეტი არაფერი...“[8] ასეთი ცილისწა-

---

[5] იხ. ლ. გორგილაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 392.

[6] ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს მთლიანად ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა, ამიტომ ვარჩიეთ საზოგადოებრივი აზრის მოძღვაობის უმთავრესი მომენტები ისტორიული თანმიმდევრობით გაგვეშუქებინა. ა ვ ტ.

[7] იხ. „ქ ვ ე ლ ი“ 1894 წლის, №№ 49—51.

[8] ი. ს. ფ ა ნ ცხ ა ვ ა, თხზულებანი, 1903, ფოთი, გვ. 19.

მებით მარქსიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მის ფუძემდებელთა სიცოცხლეშიც კი გამოდიოდნენ, რასაც სათანადო პასუხი გასცა ფ. ენგელსმა. შემდეგ რუსმა ნაროდნიკებმა და რევიზიონისტებმა გამოიჩინეს ამ მხრივ თავი, ხოლო უკანასკნელად იგი ახალ აღმოჩენად წარმოადგინა აქ, საქართველოში ი. ფანცხავამ. მაგრამ სუბიექტური სოციოლოგებისაგან იმ განსხვავებით, რომ მან ერთგვარად „შეიწყალა" ეკონომიური ფაქტორი. „ეკონომიური ინტერესი რომ დიდი მოვლენისაა, — წერდა იგი, — ამას თქმა არ უნდა. მაგრამ თეორიის (ისტორიული მატერიალიზმის, ან მისი ნომენკლატურით — ეკონომიური მატერიალიზმის—ი. კ.) ნაკლულევანება ის არის, რომ იგი მხოლოდ ამ ინტერესს ხედავს, მის მნიშვნელობას აზვიადებს და სხვა ძალებს, რომელთა არა ნაკლები ზე-გავლენა და მოქმედება აქვთ საზოგადოებასა და ისტორიაში, არ ანიჭებს ასეთ მნიშვნელობას"[9].

მარქსიზმისა და მისი თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ ფანცხავასეული გამოლაშქრების საპასუხოდ ჯერ კიდევ 1899 წლის მაისში წერდა ალ. წულუკიძე: „...ისტორიის მატერიალისტურმა შეგნებამ მრავალი ფაქტორი ისტორიული პროცესისა უარჰყო და აღიარა ერთი ფაქტორი — საზოგადოების ეკონომიური შენობა. „ეს სრულიად არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთ ჩვენ უვიც პუბლიცისტებს ჰგონია, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას"[10].

1900 წელს მარქსიზმის, მისი ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ კვლავ გამოვიდა ვ. ჩერქეზიშვილი. მან კაპიტალის კონცენტრაციის მარქსისტული კანონის წინააღმდეგ გალაშქრებით სცადა ეჩვენებინა მარქსისტული დიალექტიკის უმწეობა და მეტაფიზიკური ხასიათი. ამ მიზნით მან კვლავ დღის სინათლეზე გამოათრია ვიქტორ კონსიდერანის „XIX საუკუნის დემოკრატიის მანიფესტი" და, ბოლოს, ბელგიის მაგალითზე შეეცადა ეჩვენებინა წვრილგლეხურ მეურნეობათა გამძლეობის უნარი და კაპიტალის კონცენტრაციის მარქსისტული თეორიის უსაფუძვლობა. „კაპიტალისტები ერთმანეთს არ ანადგურებენ, — წერდა ვ. ჩერქეზიშვილი, — წვრილი წარმოება ებრძვის და უმაგრდება მსხვილს, გლეხების გაბოგანოვებას, როგორც

---

[9] ი. ს. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, თხზულებანი, 1903, ფოთი, გვ. 19.

[10] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, ი. თ ა ვ ა ძ ი ს და ა. ქ უ თ ე ლ ი ა ს რედაქციით, თბილისი, 1943, გვ. 30.

ბუნების, სოციოლოგიისა და პროგრესის კანონს, ვერა ვხედავთ და ვერც დავინახავთ... ხალხთა ასეთი გაბოგანოვების „აუცილებლობა“ და სიკეთე ამ აუცილებლობისაგან წარმომდგარი მხოლოდ ნაყოფია დიალექტიკურ მეტაფიზიკოსთა ოცნებისა და სხვა არაფერი...“[11] აქ, ვ. ჩერქეზიშვილი ვერაფრით ვერ გასცილდა ჰერცს, დავიდს, ბულგაკოვს, რომლებიც უკვე საფუძვლიანად იყვნენ გაკრიტიკებულნი მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში. ამიტომ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ საკითხზე ყურადღების შემდგომი შეჩერება.

ჟურნალი «Образование» 1901 წლის მეორე ნომერში აქვეყნებს ს. შტეინბერგის სტატიას — „კანტის ფილოსოფია და ისტორიული მატერიალიზმი“. „ივერიის“ პუბლიცისტმა, „ფარმა“[12] აღნიშნული სტატია, მიიჩნია რა „ფრიად საყურადღებო წერილად“ გადმოსცა მისი შინაარსი თავისუფალი თარგმანით და ზოგიერთი კომენტარებით „ივერიის“ 1901 წლის 21 ივნისის ნომერში. „ფარის“ აზრით: „მარქსისტები, რომელნიც თავისს სწავლას კანტის ფილოსოფიას უახლოვებენ, სცდილობენ კრიტიკის ცეცხლის შეტანას თავისს მოძღვრებაში. ასეთებია მაგ. ვ ო ლ ტ მ ა ნ ი და ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი საზღვარგარეთ და რუსეთში კი — სტრუვე და ბერდიაევი... კანტის ფილოსოფია, რომლის დახმარებით იგი (იდეალიზმი) შეიძლება შერიგებულ იქნას ისტორიულ მატერიალიზმთან“[13]. ჩვენის აზრით, აქ საქმე გვაქვს ქართულ სოციალ-დემოკრატიის რიგებში ბერშტეიანული რევიზიონიზმის შეღწევის აშკარა ცდასთან.

მარქსიზმის, მისი ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ ნეოკანტიანური პოზიციებიდან გაილაშქრა არჩილ ჯორჯაძემ 1901 წელს სტატიებით: „ისტორიული მატერიალიზმის გამო“ და „კიდევ ერთი განყენებული საუბარი“. ა. ჯორჯაძემ თავისი მახვილი, უპირველესად ყოვლისა მიმართა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტური გადაწყვეტის წინააღმდეგ. იგი მან მოძველებულ, მეცნიერების მიერ უკვე უარყოფილ მოძღვრებად გამოაცხადა. ა. ჯორჯაძის აზრით, „მატერიის აღიარება ცხოვრების უტყუარ სინამდვილედ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, სიცოცხლის პირველყოფილ მიზეზად — მეცნიერებამ დოგმატურ აზროვნებად იცნო“. ასეთივე

[11] გაზ. „ი ვ ე რ ი ა“, 1900 წლის 28 ნოემბერი, № 258.

[12] ფ ა რ ი — ფ. მახარაძის ფსევდონიმია.

[13] გაზ. „ი ვ ე რ ი ა“, 1901 წლის 21 ივნისი, № 133.

დოგმატური აზროვნებაა, მისი აზრით, „ეკონომიური ურთიერთობის, ობიექტური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესის“ აღიარება კულტურის განვითარების მიზეზად და „უკანასკნელ საფუძვლად“[14].

მარქსიზმის მტრებს თავიანთი იერიში ყოველთვის მიპყონდათ და დღესაც მიაქვთ მისი თეორიული, ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ: ერთ შემთხვევაში, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დოგმატიკურ, მისტიკურ, მეტაფიზიკურ მოძღვრებად გამოცხადებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, მარქსიზმის სხვადასხვა რეაქციულ, იდეალისტურ ფილოსოფიით დასაფუძვლების საჭიროებისა და შესაძლებლობის მტკიცებით. ერთი სიტყვით, მარქსიზმის ყოველი ჯურის მტერი იმის ცდაში იყო, რომ მარქსიზმის ეკონომიური მოძღვრება და ფილოსოფიური მოძღვრება გაეთიშა, რათა ცალ-ცალკე ადვილად დაეძლიათ ორივე. საქართველოში ასე მოიქცა არჩილ ჯორჯაძე და მარქსიზმის სხვა მეტ-ნაკლებად გამოჩენილი მოწინააღმდეგე. ასე მაგალითად, ა. ჯორჯაძე ზემოთ აღნიშნულ სტატიაში წერდა: „...ისტორიული მატერიალიზმი ლ ო ღ ი კ უ რ ა დ არ არის დაკავშირებული მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასთან, ე. ი. სოციოლოგიაში შეიძლება კაცი მატერიალისტი იყოს, ეკონომიურ კითხვებში კი „მარქსიზმის“ წინააღმდეგი“[15], ან კიდევ „... შეიძლება ისტორიულ კითხვებში კაცი „იდეალისტი“ იყოს, ხოლო ეკონომიურ კითხვების გადაწყვეტაში კი „მარქსისტი“. მაშასადამე, პრინციპულად სრულიად დასაშვებია მარქსიზმის „ფილოსოფიური გაღრმავება“, „ფილოსოფიური გაღონიერება“ ყოველი ჯურის მოდური ფილოსოფიური იზმებით. აი როგორ უკაფავდნენ გზას ერთმანეთს მარქსიზმის წინააღმდეგ ფილოსოფიური რევიზიონიზმი და რეაქციული ფილოსოფია, არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ, საერთაშორისო მასშტაბითაც.

„ისტორიული მატერიალიზმი წმინდა ისტორიული კონცეფციაა და სოციოლოგიის ერთ ნაწილს შეადგენს, — წერდა ა. ჯორჯაძე, — „მარქსიზმი“ კი წმინდა ეკონომიური დოქტრინაა, რომლის არსებითი ხასიათი ორ დებულებაში გამოიხატება: ა) კაპიტალის კონცენტრაციაში და ბ) ზედმეტი ღირებულების თეორიაში. ყველა ეს ლ ო ღ ი კ უ რ ა დ არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ისტორიულ შე-

---

[14] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი, IV, გვ. 76, 78.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 76, 81.

ხედულებასთან. მართალია, მარქსი და მისი მიმდევარნი... სცდილობ-დნენ დაეკავშირებინათ წმინდა სოციოლოგიური პრობლემა ეკონომიურ მოძღვრებასთან...", მაგრამ „...მთელი ისტორიის შინაარსის დაკავშირება ეკონომიურ ურთიერთობასთან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ პრობლემად დარჩა სოციოლოგიურ ლიტერატურაში და ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ერთის მოვლენის განკერძოება და ამ განკერძოებულ მოვლენის დანარჩენ მოვლენათა პირველყოფილ მიზეზად ჩათვლა შეუძლებელია"[16]. გარდა იმისა, რომ აქ ყრუდაა მითითებული ეკონომიური მატერიალიზმისა და ისტორიული მატერიალიზმის იგივეობაზე, დამახინჯებულია მარქსიზმის მთელი შინაარსი, ბიჩქმალული და უარყოფილია ის ფაქტი, რომ მხოლოდ მარქსიზმმა აქცია მოძღვრება საზოგადოების შესახებ ნამდვილ მეცნიერებად, რომ მხოლოდ მან აიყვანა სოციოლოგია მეცნიერულ სიმაღლეზე.

ა. ჯორჯაძე, ისე როგორც მარქსიზმის ყველა მოწინააღმდეგე, კარგად გრძნობდა, რომ სოციოლოგია ნამდვილ მეცნიერებად აქცია მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გამოყენებამ საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროში. ამიტომ საქართველოში მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი (ვ. ჩერქეზიშვილი, ა. ჯორჯაძე და სხვ.) ილაშქრებდნენ არა მარტო მარქსისტული დიალექტიკის, არამედ ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის წინააღმდეგაც. ა. ჯორჯაძე ცდილობს „გასინჯოს" ის, „თუ რამდენად შესაწყნარებელია ისტორიულ მეცნიერებაში „დიალექტიკის" შემოღება და რამდენად მეცნიერულია მარქსისაგან მოწონებული ჰეგელის „დიალექტიკური მეთოდი"[17]. ა. ჯორჯაძე მივიდა „მეცნიერულ დასკვნამდე", იმის შესახებ, რომ შეუძლებელია დიალექტიკური მეთოდის გამოყენება საზოგადოებისა და ბუნების შესწავლის სფეროში. ჰეგელის დიალექტიკის შესახებ კი წერდა: „ჰეგელის" „დიალექტიკა" წმინდა მეტაფიზიკური ცნებაა, რადგან იგია განყენებულ, ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი აზრის განსაზღვრული განვითარება. აბსოლუტური იდეის არსებობის დამტკიცება იყო საჭირო და მერე შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, თუ რა რიგად და რა გზით ვითარდებოდა ეს იდეა. ამაშია ჰეგელის „დიალექტიკის" არა მეცნიერული ხასიათი"[18]. ჰეგელის დიალექტიკა, მი-

---

[16] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 79—80.

[17] ი ქ ვ ე, გვ. 81.

[18] ი ქ ვ ე. გვ. 82—83.

სი აზრით, „მეცნიერებაში ყოვლად გამოუსადეგი თეორიაა", ამიტომ იგი „ჰაეროვან აზროვნების სამეფოს ეკუთვნის"[19].

ა. ჯორჯაძე 1901 წელს აქვეყნებს სტატიას —„კიდევ ერთი გაუყენებული საუბარი (ობიექტივიზმი, აუცილებლობა, თავისუფლება"). ეს სტატიაც მიმართულია ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ. ა. ჯორჯაძე ნეოკანტიანური ფილოსოფიის პოზიციებიდან აკრიტიკებს ისტორიის მარქსისტულ გაგებას. „ორივე მოძღვრება (იდეალიზმი და მატერიალიზმი—ი. კ.) მეტაფიზიკური მოძღვრებაა — წერს ჯორჯაძე, — რადგან ერთის საგანი — აბსოლუტური სუბიექტივიზმია, ხოლო მეორესი — აბსოლუტური ობიექტივიზმი"[20]. ა. ჯორჯაძეს ამიტომ ორივე მიმართულება ფილოსოფიაში მიაჩნია ცალმხრივ „დოგმატურ მეტაფიზიკურ სისტემად". ამ „დოგმატურ მეტაფიზიკურ სისტემების" ცალმხრივობა, ჯორჯაძის აზრით, დასძლია კრიტიკულმა ფილოსოფიამ და გასწყვიტა მათთან „ყოველი კავშირი": ა. ჯორჯაძეს „ავიწყდება", რომ კანტმა თავისი კრიტიკული ფილოსოფიით საბოლოოდ თავი ამოყო იდეალიზმის ყველაზე ურეაქციულესი სისტემის — სუბიექტური იდეალიზმის ბანაკში, რაც ნეოკანტიანურმა ფილოსოფიამ, რომელმაც ჯორჯაძეც გაიტაცა, ყველასათვის თვალსაჩინოდ აქცია.

„კრიტიციზმმა", — წერს ა. ჯორჯაძე, — გამოარკვია ორი რამ; საგანი ანუ მოვლენა, რომელიც ზედაპირულად რომ შევხედოთ, ეითომ ობიექტურად არსებობს, თურმე ჩვენი წარმოდგენა ყოფილა. ამ მოვლენის მეორე მოვლენასთან დაკავშირებასაც ობიექტური ხასიათი არა აქვს, რადგან ეს დაკავშირება ის აუცილებელი პირობაა ურომლისოდაც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია საგანი.

ამრიგად, ჩვენი ცოდნა, სოციოლოგიურია ის, თუ ფილოსოფიური, ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს: იგი ეკუთვნის მოვლენათა სამფლობელოს; ამ სამფლობელოს თავის დღეში ვერ გადასცილდება და ამიტომ აბსოლუტურად ობიექტური არ არის"[21]. მაგრამ ჯორჯაძეს მარქსიზმის ბანაკიდან შეახსენეს: „თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენანი არ ექვემდებარებიან არავითარ კანონს, თუ ყოველივე ეს დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის სურვილზე,

---

[19] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 85.

[20] ი ქ ვ ე, გვ. 125.

[21] ი ქ ვ ე.

ამ შემთხვევაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას ეკარგება ყოველნაირი ნიადაგი“ (ფ. მახარაძე)[22]. ა. ჯორჯაძემ აქ გამოსავალი იმით „ნახა“, რომ აღიარა ყოველგვარი ადამიანური ცოდნის „ორგვარი ხასიათი“ — „სუბიექტურ-ობიექტური ხასიათი“, ვინაიდან, მისი აზრით, „საგანს იძლევა ცხოვრება“, ხოლო მას თავის ხასიათს აძლევს გონება (და არა სურვილი)“, ამის შემდეგ იგი აკეთებს დაჯერებულ დასკვნას: „ამრიგად ჩვენ ვნახეთ (!), რომ ბ. მახარაძის შიში, ვითომ სუბიექტივიზმის ჩარევით სოციოლოგიურ მეცნიერებას საფუძველი ეცლება, ტყუილი შიშია, რადგან ცოდნა და მეცნიერება ვერ მოიშორებს ამ სუბიექტურ ელემენტს, რადგან ეს ელემენტი ადამიანია თავის გონებით, ე. ი. ის აგენტი, რომელიც ყოველი ცოდნის პირობად და იარაღად ჩაითვლება. ...ცოდნა გონების კანონს ექვემდებარება, და ამ კანონებს შეაქვთ მრავალფეროვანი ცხოვრების მასალაში სისტემა, წყობა და რიგი. ეს არის ობიექტური მხარე ადამიანის ცოდნისა“[23]. ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი კანტიანური იდეალიზმის შემეცნების თეორიის ძირითადი პრინციპია: „მრავალფეროვანი ცხოვრების მასალაში“, რომელსაც გრძნობათა ორგანოები გვაწვდიან „სისტემა, წყობა და რიგი“ შეაქვს გონებას, მის კანონებს. ამ გზით შემეცნება თვითშემეცნებად იქცევა, ადამიანის გონება სუბიექტურ ნაპუპში ემწყვდევა და გზა ობიექტური სინამდვილისაკენ, კანონისა და კანონზომიერების შემეცნებისაკენ მოკვეთილი რჩება. მეცნიერება კი ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება, რადგან მეცნიერების საბოლოო მიზანი, როგორც ცნობილია, მოვლენათა შორის (სულერთია იგი ბუნების მოვლენა იქნება, თუ ისტორიის) კავშირურთიერთობის აღმოჩენაა, მათი მოძრაობისა და განვითარების კანონების აღმოჩენაა, ერთი სიტყვით ობიექტური სინამდვილის განვითარების კანონზომიერებათა აღმოჩენა და შესწავლაა. ამიტომ „ბ. მახარაძის შიში“ „ტყუილი შიში“ როდი ყოფილა! „სუბიექტივიზმის ჩარევით“ არა მარტო „სოციოლოგიურ მეცნიერებას ეცლება საფუძველი“, არამედ ყოველგვარ მეცნიერებას. მეცნიერების ყოველი შეზღუდვა კი გზას უხსნის რელიგიას, და ა. ჯორჯაძემ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისთვის ხელშემწყობის როლიც იკისრა.

---

[22] „ქ ვ ა ლ ი“, 1901 წლის 29 იელისი, № 31.
[23] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 126.

ფილოსოფიური რევიზიონიზმი მარქსისტული „კვალის“ ფურცლებზედაც იკიდებდა ფეხს „მესამე დასის“ მემარჯვენე, ოპორტუნისტული ფრთის წყალობით. „კვალის“ პუბლიცისტი ა. ჩხენკელი მკითხველს სთავაზობს „ორიოდე სიტყვას ნიცშეს ზნეობრივი ფილოსოფიის ღირსება-ნაკლულოვანებაზე“, სადაც ფრიდრიხ ნიცშეს ახასიათებს როგორც „დიდ ადამიანს“, იცავს მას „გადაჭარბებული“ საყვედურებისაგან. ერთი სიტყვით, ნიცშეანური ფილოსოფიის მარქსისტული ანალიზის ნიშანწყალიც კი არ არის ა. ჩხენკელის აღნიშნულ სტატიაში[24]. კიდევ უფრო შორს მიდის „კვალი“ და მისი რედაქცია, როდესაც ბეჭდავს „ъ“-ის[25] ბიბლიოგრაფიას ა. ბოგდანოვის წიგნზე «Познание с исторической точки зрения» (1901г.). ბიბლიოგრაფიის ავტორი ბოგდანოვის დამსახურებას ხედავს იმაში, რომ „მან პირველად ლოღიკურად დაუმორჩილა წმინდა ცნობიერების მეთოდები— და მათში მარქსის სოციოლოგიური მეთოდიც — ენერგიის პროცესს, როგორც ცნობიერების საერთო მეთოდს...“ ბიბლიოგრაფიის ავტორს ეს მიაჩნია ბოგდანოვის აზრის ორიგინალობად და „მარქსის მეთოდის“ წინ წაწევად „მონისტური განვითარების გზაზე“. „კვალის“ პუბლიცისტი ოსტვალდის ენერგეტიზმს უწოდებს „დღევანდელი მეცნიერების უძვირფასეს შენაძენს“, რომლითაც მას შესაძლებლად მიაჩნია „მარქსიზმის გაღონიერება“. ავტორი „მარქსიზმის გაღონიერების“ ბოგდანოვისეულ ცდას უპირისპირებს „მარქსიზმის კანტიზმით გაღონიერების“ სტრუვე-ბერდიაევისეულ ცდას და აშკარად ამჟღავნებს თავის სიმპათიებს პირველისადმი. „კვალის“ პუბლიცისტს ორივესთან საერთო ისა აქვს, რომ ის, ისე როგორც ბოგდანოვი და კანტიანელები, აღიარებს მარქსიზმის ფილოსოფიური „გაღონიერების“, შევსების საჭიროებასა და შესაძლებლობას. „თავიდანვე გეგელიანიზმის საღ ელემენტებზე დაფუძნებული სოციოლოგიური მოძღვრება მარქსისა,—წერდა „კვალის“ პუბლიცისტი,—თავისუფლად ეგუება თანამედროვე მეცნიერების მიმდინარეობას, რომელსაც ენერგეტიული მიმდინარეობა ეწოდება“[26]. ეს არის „...ოსტვალდის ენერგეტიკა, რომელიც

---

[24] იხ. „კ ვ ა ლ ი“, 1902 წლის 13 იანვარი, № 3.

[25] „ъ“- ი. ლუბინის ფსევდონიმია.

[26] „კ ვ ა ლ ი“, 1902 წლის 13 იანვარი, № 3.

მოდად იქცა წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, ე. ი. გზა აბნეული აგნოსტიციზმი, რომელიც ალაგ-ალაგ იდეალიზმში ვარდება"[27].

1902 წლის აპრილში „კვალი" ენერგეტიზმიდან პირს კვლავ ამკარა კანტიანობისაკენ იბრუნებს, როდესაც აქვეყნებს ივ. გომართელის სტატიას — „თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა? (ფსიქოლოგიური ეტიუდი)". ამ სტატიაში ივ. გომართელის „გზა აბნეული აგნოსტიციზმი", არამც თუ „ალაგ-ალაგ", არამედ მთლიანად, მთელი ფრონტით გადადის კანტიანურ იდეალიზმში. „ფილოსოფიურმა კრიტიციზმმა, — წერს ივ. გომართელი, — კანტის გზით გაანგრძო მუშაობა და დღეს ის აზრი, რომ ჩვენ არავითარი პირდაპირი საშუალება არა გვაქვს გარეშე ბუნების არსებობის დასამტკიცებლად, მეცნიერების ქვაკუთხედს შეადგენს. ყოველგან და ყოველთვის ჩვენ ვხვდებით მარტო ჩვენსავე წარმოდგენებს. ამიტომაც ჩვენ თავდაპირველად ვიცით მხოლოდ ფსიხიური მოვლენანი..." ავტორი მიხვდა, რომ ძალიან შორს შესტოპა და სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ამაოდ. „მკითხველი ნუ იფიქრებს — განაგრძობს ავტორი, — რომ მე ვქადაგებდე სპირიტუალიზმს. ბუნებაში მატერიის გარეშე არაფერი არ არსებობს, ხოლო ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ანუ საერთოდ ბუნება იმ სახით, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ნამდვილათ ჩვენ გარეშე არ არსებობს, ეს ბუნება მხოლოთ და მხოლოთ ჩვენი საკუთარი წარმოდგენაა, მარტო ჩვენ გონებაშია. აქედან ცხადია, რომ ჩვენ თავდაპირველათ ვიგნებთ ფსიქიურ მოვლენებს, მატერიალურ მოვლენათა არსებობა კი მხოლოდ შემდეგი დედუქციაა"[28].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ფართო გავრცელება ჰპოვა ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში სოციალურმა დარვინიზმმა. მან მომხრეები იშოვა ქართული ბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებშიც. მის ყველაზე პოპულარულ მომხრედ ითვლება ი. ფანცხავა[29].

ბურჟუაზიული სოციოლოგები, რომლებიც რესტავრაციის პერიოდის ფრანგი ისტორიკოსების შემდეგ, მარქსიზმის ტრიუმფ-

---

[27] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 290.

[28] „კ ვ ა ლ ი", 1902 წლის 17 აპრილი, № 15.

[29] იხ. ლ. გ ო რ გ ა ს ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 349.

ლური გავრცელების ეპოქაში, ვერ უარყოფდნენ რა საზოგადოების კლასებად გათიშვასა და გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლას, იძულებულნი იყვნენ დარვინის მიერ აღმოჩენილი ბუნების კანონები გავრცელებინათ საზოგადოებაზე, რათა მახვილი ჩაეცათ პროლეტარიატის დიქტატურის გარდაუვალობის მარქსისტული თეორიისათვის.

სოციალური დარვინიზმი სასტიკად გააკრიტიკეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, ამხილეს მისი კლასობრივი ბუნება და მეცნიერული უსუსურობა. კ. მარქსი, სასტიკად აკრიტიკებდა ლანგეს სოციალდარვინისტულ ცდას ბუნების კანონების გავრცელებისას საზოგადოების მიმართ. „ბ-ნი ლანგე, — წერდა მარქსი 1870 წლის 27 ივნისს კუგელმანს, — („მუშათა საკითხზე და სხვ.“ მე-2 გამოც.) ძლიერ მაქებს... იმ მიზნით, რომ თავისი თავი დიდ ადამიანად წარმოადგინოს. საქმე ის არის, რომ ბ-მა ლანგემ დიდი აღმოჩენა გააკეთა. მთელი ისტორია შეიძლება ერთად-ერთი დიდ ბუნებრივ კანონს დაუქვემდებაროთო. ეს ბუნებრივი კანონი გამოიხატება ფრაზით „Struggle for life“ — ბრძოლა არსებობისათვის (დარვინის გამოთქმა, თუ ასე ვიხმარეთ იგი, ცარიელ ფრაზად იქცევა), ხოლო ამ ფრაზის შინაარსს შეადგენს მალთუსის კანონი მოსახლეობის ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჭარბმოსახლეობის შესახებ. მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ ანალიზი გაეკეთოთ ამ „Struggle for life“-ს, როგორც იგი ისტორიულად გამოიხატა სხვა და სხვა საზოგადოებრივ ფორმაში, ის ღა დაგვრჩენია, რომ ყოველი კონკრეტული ბრძოლა გადავაქციოთ ფრაზად „Struggle for life“, ხოლო ეს ფრაზა მალთუსის ფანტაზიად მოსახლეობის შესახებ. უნდა ვაღიაროთ, ეს მეტად დამაჯერებელი მეთოდია... ყოყოჩა, ვითომდა მეცნიერული, გამოსადეგი ზვიადი უმეცრებისა და აზროვნების სიზარმაცისათვის“[30]. ვ. ი. ლენინი, გვიჩვენებს რა მარქსის მიერ ლანგეს გაკრიტიკების ნამდვილ საფუძველს, წერს: „მარქსის მიერ ლანგეს გაკრიტიკების საფუძველი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ლანგე სპეციალურად მალთუსიანობას აპარებდეს სოციოლოგიაში, არამედ იმაში, რომ საზოგადოდ ბიოლოგიურ ცნებათა გადატანა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში ფრაზაა“[31].

---

[30] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1947, გვ. 239.
[31] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 419.

საქართველოში სოციალური დარვინიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა ანტონ ფურცელაძე, მან გააკრიტიკა დარვინი იმისათვის, რომ მას ბუნებრივი შერჩევის ძირითად მიზეზად მიაჩნია შინასახეობრივი ბრძოლა არსებობისათვის. უარყო ბუნებისა და საზოგადოების კანონთა გაიგივება და დაგმო სოციალური დარვინიზმი[32]. საქართველოში სოციალური დარვინიზმის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე მ. წერეთელი. მან 1904 წელს ჟურნალ „მოამბეში" „სანგალას" ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია: „საზოგადოებრივი პრინციპი და არსებობისათვის ბრძოლა". მ. წერეთელმა გაილაშქრა, როგორც ამას ქვევით ენახავთ, არა საერთოდ ბიოლოგიურ, ბუნებისმეტყველურ ცნებათა და კანონთა საზოგადოებათმეცნიერების სფეროში გადატანის წინააღმდეგ, არამედ კონკრეტულად—არსებობისათვის ბრძოლის კანონის ადამიანთა საზოგადოების მიმართ გამოყენების წინააღმდეგ.

მ. წერეთელი უარყოფს არსებობისათვის ბრძოლის კანონის „ვიწრო აზრითა და აბსოლუტურად" გაგებას. მისი აზრით, არსებობისათვის ბრძოლა ბუნებაში არ სწარმოებს ერთი და იმავე სახის ინდივიდთა შორის. „ერთისა და იმავე სახის ინდივიდები ურთიერთს რომ ებრძოდნენ მუდმივად და განუწყვეტლივ, — წერდა მ. წერეთელი, — მაშინ პროგრესი კი არა, რეგრესით, ესე იგი, უკან-სვლით გამოიხატებოდა ცხოველთა უმეტესობისათვის ეს ევოლუცია, და სახეთა დაცვა და განგრძობა დედამიწაზედ შეუძლებელი იქნებოდა".

მ. წერეთელი უარყოფს არსებობისათვის ბრძოლას ერთი სახის შიგნით, მაშასადამე, ადამიანი, ადამიანთა საზოგადოება, როგორც ერთი სახის ინდივიდთა ასოციაცია გამორიცხავს არსებობისათვის ბრძოლას ინდივიდთა ან ამ ინდივიდთა ამა თუ იმ გაერთიანებას შორის. ამიტომ მ. წერეთლისათვის ყოვლად მიუღებელია „ახალი ფილოსოფოსების ცდა" ადამიანი დაუქვემდებარონ არსებობისათვის ბრძოლის კანონს. „ეკონომისტებმა კი, — განაგრძობს მ. წერეთელი, — რომელთაც ზოგჯერ უბრალო პოპულარულ წიგნებიდანა აქვთ შეთვისებული „ბუნების კანონები", ხერხიანად გამოიყენეს „ბიოლოგია" და „მეცნიერებისა" და „დარვინის" სახელით გააბეს ყვირილი: კაცთა საზოგადოებაში ძარცვა-გლეჯა, მტაცებლობა, ექს-

[32] იხ. ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1958, გვ. 86. 87, 111.

პლოატაცია და ჟლეტა ერთმანეთისა ეს „ბუნებრივი მოვლენა“, „ბუნების კანონი“ და „ძალთა თავისუფალი თამაშიო“ და სხვ. და ვითომცდა ამ „მეცნიერებისა“ და „ბუნებრივის აუცილებლობის“ სახელით ყოველივე საზიზღრობა გაამართლეს; ყოველივე არა მორალურს მორალური უწოდეს, მთლად შეჰბღალეს ყოველივე ”ეშმარიტი ცნება ”ეთიკისა, მაგრამ დამტკიცებით კი ვერა დაამტკიცესრა“[33]. სხვაგვარად, რასაკვირველია, არ შეეძლო შეეფასებინა სოციალური დარვინიზმი ჟურნალ „მოამბეს“ და მის პუბლიცისტს. ისინი ხომ კლასთა თანამშრომლობისა და „საერთო ნიადაგის“ თეორიის თავგამოდებული დამცველები იყვნენ საქართველოში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მ. წერეთელი საერთოდ არაა წინააღმდეგი ბუნებისმეტყველურ ცნებათა გამოყენებისა საზოგადოებათმეცნიერებაში. იმავე სტატიაში, სადაც იგი ილაშქრებს ადამიანთა საზოგადოების მიმართ არსებობისათვის ბრძოლის კანონის გამოყენების წინააღმდეგ, ამჟღავნებს მიდრეკილებას ოსტვალდის ენერგეტიზმისადმი, თავის სხვა, გვიანდელ შრომებში კი მის დაჯერებულ დამტკიცე მომხრედ მიაჩნია თავი. სრულიად სამართლიანად. ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ სტატიაში აი როგორ განმარტავს ადამიანთა საზოგადოებას და მის შინაგან სტრუქტურას: „საზოგადოება, რომელიც არსებობისათვის ბრძოლაში აუცილებელ წესად და გამარჯვების აუცილებელ პირობად გამხდარა სახეთათვის, არის ინდივიდუალურ ენერგიათა კრება, მათი კოორდინაცია... ინდივიდთა ენერგიის სხვა და სხვა კომბინაციები განსაზღვრავენ ეგრეთწოდებულ საზოგადოებრივ განწყობილებათა, რომელთა კრებულიც საზოგადოების სხვადასხვა ტიპებს შეადგენს“. როდესაც ადგილი არა აქვს „ერთის ენერგიის მეორის სასარგებლოდ და ეკონომიისათვის ხარჯვას, მაშინ საზოგადოების ფუნქცია ნორმალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში კი „თვით პრინციპი საზოგადოებრივობისა, — მ ი ნ ი მ უ მ ი ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ე ნ ე რ გ ი ი ს ხ ა რ ჯ ვ ი ს ა დ ა მ ა ქ ს ი მ უ მ ი მ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა თ ა დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ებ ი ს ა, — დათრგუნვილია, რადგან ინდივიდუალურ ენერგიათა კომბინაცია უვარგისია და ახლის კომბინაციის დადგენა აუცილებელი ხდება“[34]. მაგრამ როგორ უნდა დადგინდეს „ახალი კომბინაცია“, ამის შესახებ ავტორი

---

[33] ჟურნ. „მ ო ა მ ბ ე“, 1904, № XI, გვ. 19—20.

[34] ი ქ ვ ე, გვ. 21.

აღნიშნულ სტატიაში არ იძლევა პასუხს. აქ ამ საკითხზე გადმოცემული თვალსაზრისის ფართო დასაბუთებას იგი ცდილობს 1906 წელს გამოცემულ ნაშრომში „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია“.

მ. წერეთელი პირველი ქართველი პუბლიცისტი და მოაზროვნეა, რომელმაც ა. ბოგდანოვის ენერგეტიზმი დაუდო საფუძვლად საკუთარ სოციოლოგიურ შეხედულებას, ანარქისტულ თვალსაზრისს საზოგადოებასა და სახელმწიფოზე. ენერგეტიზმის დამსახურებად მ. წერეთელს მიაჩნია შეცვლა ევოლუციის ცნებისა, რომელიც მის შემდეგ „რაც ყველა ბუნების მოვლენათა განხილვა დაიწყეს ენერგეტიული თვალთახედვით“, აღარ წარმოადგენს, მისი აზრით, „რაღაც მეტაფიზიკურ ცნებას“, „ბუნების საყოველთაო კანონს“. იგი ფორმათა ცვალებადობის უბრალო პირობაა, ტრანსფორმაციის ერთი განსაზღვრული აქტის წინამორბედი პროცესია. ტრანსფორმაცია კი, მ. წერეთლის გადმოცემით, „შეიძლება ათასნაირი ხასიათის იყოს, ათასნაირ პირობათაგან გამოწვეული, ათასნაირ ძალთაგან შექმნილი“.

„და თანამედროვე ენერგეტიული მეცნიერებაც, — განაგრძობს მ. წერეთელი, — ასე აყენებს კითხვას: რა და რა ძალები, როგორი ოდენობის ენერგია მოქმედებდა და ვითარდებოდა, და როგორი მიმართულებით, როგორი ხასიათით, რომ ეს თუ ის ტრანსფორმაცია მოეხდინა განსაზღვრულ მოვლენათა დარგში? რა და რა ენერგიის მოქმედება და ამ მოქმედებათა რომელმა კომბინაციამ გამოიწვია ესა თუ ის მოვლენა და როგორი პირობებია საჭირო რომ ეს მოვლენა განავითარო და განაცდევინო მას შემდგომი ტრანსფორმაციები, ან სრულიად მოიშორო იგი თავიდან?“ ამ კითხვაზე მ. წერეთლის აზრით ენერგეტულმა მეცნიერებამ გასცა პასუხი. რადგან „აღმოჩნდა, რომ არიან იმგვარი მოვლენანი, და ნაწილნი ამ მოვლენათა, რომელნიც ნაყოფნი არიან ენერგიის ნელი მოქმედებისა, არიან იმგვარი მოვლენანიც, რომელნიც უფრო სწრაფ მოქმედებათა ნაყოფნი არიან, არიან მოვლენანი აგრეთვე ბევრ ძალთა სხვა და სხვა ხარისხის მოქმედებათა კომბინაციის ნაყოფნი და სხვ.“[35]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მ. წერეთელი პრინციპში არ იყო წინააღმდეგი საზოგადოებათმეცნიერების სფეროში ბუნების-

---

[35] Baton, სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია, თბილისი, 1906, გვ. 31.

მეტყველების ცნებათა გამოყენების. ეს უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდა მის წიგნში: „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია“. აქ ავტორი აიგივეებს „ადამიანთა ცხოვრების მოვლენებს“, ე. ი. სოციალურ მოვლენებს „ბუნების მოვლენებთან“. ამიტომ, მისი აზრით, ორივე ისინი თანაბრად ექვემდებარება ევოლუციის კანონს. მაგრამ საზოგადოებრივი მოვლენების ევოლუცია, „არ შეიძლება იყოს უსათუოდ მშვიდობიანი, უსათუოდ ძალდაუტანებელი, უსათუოდ არა-რევოლუციური“[36]. მაგრამ საზოგადოებრივ და ბუნებრივ მოვლენათა რევოლუციური თუ ნახტომისებური განვითარების შესაძლებლობის დაშვება (მხოლოდ როგორც შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს და არა როგორც კანონზომიერი პროცესისა), სრულიად არ ეწინააღმდეგება ბოგდანოვისეული ენერგეტიზმის ძირითად პრინციპებს.

ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა გაიგივეებაში უფრო შორსაც მიდის აღნიშნული წიგნის ავტორი. მისი აზრით, „საზოგადოებრივი ცხოვრების წესში“ ჰპოულობს თავის გამოხატულებას „ცხოველთა და ადამიანის სახეთა შენახვის კანონი“[37].

ბუნებისა და საზოგადოების კანონთა როგორც გაიგივება, ისე გათიშვა მარქსიზმ-ლენინიზმს მიაჩნია პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად. მ. წერეთელი კი შეეცადა ბუნებისა და საზოგადოების კანონთა არსებული ურთიერთობა აეხსნა საზოგადოებრივ მოვლენათა სპეციფიურობითა და ჩქარი ცვალებადობით. იგი წერდა: „ჩვენ თუ არ შეგვიძლია სწორ სოციალურ კანონზე მივუთითოთ, როგორც ეს ხდება ფიზიკაში და ქიმიაში, ამის მიზეზი მეთოდოლოგია კი არ არის, არამედ უაღრესი სირთულე სოციალურ მოვლენათა, მათი სპეციალობა და საშინელი სწრაფი ცვალებადობა“[38].

მ. წერეთელი ანარქიზმის ფილოსოფიურ დასაბუთებას ცდილობს აგრეთვე ბოგდანოვისეული ენერგეტიზმის თეორიით. „თანამედროვე მუშათა კლასს, — წერს მ. წერეთელი, — სამნაირი ენერ-

---

[36] იხ. B a t o n, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23—24.
[37] ი ქ ვ ე, გვ. 25—26.
[38] გაზ. „ა მ ი რ ა ნ ი“, 1908 წლის 8 მარტი, № 7.

გია აქვს: საწარმოო ენერგია, რომლითაც იგი მთელ სიმდიდრეს ჰქმნის, სოციალური ენერგიის წყაროს; გონებრივი, შემოქმედებითი ენერგია, — კომუნისტური იდეალი, — რომლითაც მან უნდა შეჰქმნას მომავალი ანარქიულ-კომუნისტური საზოგადოება; დამთრგუნველი ენერგია, რომლითაც უნდა განაბნიოს სახელმწიფო დაწესებულებებში დაგროვილი ანტისოციალური ენერგია, მოახდინოს ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია და გზა გაუწმინდოს თავის შემოქმედებითი ენერგიის მუშაობას"[39].

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა ბოგდანოვისეული ენერგეტიზმის თეორიას, წერდა, რომ „არაფერია ისე ადვილი, როგორც „ენერგეტიკული" ან „ბიოლოგიურ-სოციოლოგიური" იარლიყის დაწებება ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა კრიზისი, რევოლუცია, კლასთა ბრძოლა და სხვ., მაგრამ არაფერია აგრეთვე ისე უნაყოფოც, სქოლასტიკური და მკვდარი, როგორც ეს საქმიანობა"[40]. მართლაც, ენერგეტიკულ თეორიას, შეიძლება ითქვას, გარდა მ. წერეთლისა, თითქმის არავინ გამოხმაურებია საქართველოში, მას არავითარი სერიოზული შთაბეჭდილება არ მოუხდენია მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციაზე; ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ იგი საქართველოში დაგვიანებით გამოჩნდა; როდესაც მისი „მზე" რუსეთში უკვე ჩადიოდა, მაშინ იგი აქ ძლიერად ვერ ამობრწყინდებოდა. მაგრამ მიზანი ენერგეტიზმისა იქაც და აქაც ერთი იყო — ისტორიული მატერიალიზმის დასამარება. მაგრამ ენერგეტიზმისათვის ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა. საქმეს ვერ უშველა ბოგდანოვის გადასვლამ მახისტურ, სუბიექტურ იდეალიზმის ბანაკში. ამიტომ აცხადებდა ჟურნალი „ამომავალი მზე" და მისი პუბლიცისტი ი. გილი, რომ ემპირიოკრიტიციზმს „ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ თავისი დიდებული მისსია"[41]. „დიდებული მისიის" რა მოგახსენოთ, მაგრამ ემპირიოკრიტიციზმის ევოლუცია რომ გრძელდებოდა, ეს კი ფა-

---

[39] Bâton, დასახელებული ნაშრომი, გვ. 78

[40] ჩვენ ენერგეტიზმის მზის ჩასვლად მიგვაჩნია ა. ბოგდანოვის „ფილოსოფიურ ხეტიალში" „მესამე საფეხურის" დაწყება, როდესაც იგი ოსტვალდიდან მახისაკენ გადადის და ითვისებს სუბიექტური იდეალიზმის ძირითად დებულებებს (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 290—291). ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მისი ქართველი მიმდევარიც ფეხდაფეხ მიყვება მას ოსტვალდიდან მახისაკენ.

[41] ჟურნ. „ამომავალი მზე", 1909, №1.

ქტია. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ შემდეგს წერდა: „სწორი არ იქნებოდა ბოგ-დანოვის ფილოსოფია დამთავრებულ და უცვლელ სისტემად მიგვეჩ-ნია. ცხრა წლის განმავლობაში, 1899-დან 1908 წლამდე, ბოგდანოვმა თავის ფილოსოფიურ ხეტიალში ოთხი საფეხური განვლო. იგი თავ-დაპირველად „ბუნების მეტყველი“ მატერიალისტი იყო... მეორე სა-ფეხურია ოსტვალდის „ენერგეტიკა“,... ოსტვალდიდან... ბოგდანოვი მახისაკენ გადავიდა... მეოთხე სტადია წარმოადგენს ცდას — გადა-ლახოს მახიზმის ზოგიერთი წინააღმდეგობა, შექმნას ობიექტური იდეალიზმის მსგავსება“[42].

ჟურნალი „ამომავალი მზის“ პუბლიცისტს როდი ჩამორჩებოდა გაზეთ „მარცვალის“ პუბლიცისტი — იანგანი ემპირიოკრიტიციზმის იდეების პროპაგანდაში. მისი აზრით „ემპირიოკრიტიციზმის“ შექ-მნით „ფილოსოფიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ“, რადგან იგი „ამაღ-ლდა“, როგორც იდეალიზმზე, ისე მატერიალიზმზე, რომელთაც „მა-რცვლის“ პუბლიცისტი მეტაფიზიკურ სისტემებად თვლის[43].

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ქართულ პრესაში, ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოსვლის შემდეგაც კი, თითქმის არა აქვს ადგილი მეცნიერულად დასაბუთე-ბულ გამოსვლას სპეციალურად ენერგეტიზმისა და მახიზმის წინააღ-მდეგ. გაზეთი „ახალი აზრის“ პუბლიცისტი დეკლარაციული განცხა-დებით დაკმაყოფილდა იმის შესახებ, რომ „დღევანდელი მეცნიერუ-ლი გამოკვლევა ვერც ერთი მხრივ ვერ ამართლებსო ამ ენერგიულ მიმართულებას“[44]. კიდევ უფრო უკბილო იყო ამავე გაზეთის გამოს-ვლა მახიზმის წინააღმდეგ. „ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფო-სები კი გვარწმუნებენ — წერდა „ახალი აზრის“ პუბლიცისტი,— ობიექტი არ არსებობს სუბიექტური შეგრძნების გარეშეო. ეს აზრი, სხვათაშორის, სარჩულად უდევს მახის და ავენარიუსის სისტემას. ეხლანდელი ბუნებისმეტყველება ცხადზე უცხადესად გვიმტკიცებს, რომ ასეთი აზრი მოკლებულია ყოველივე საფუძველს“[45]. ასეთივე ხასიათის ორიოდე უღიმღამო სტატია შეიძლება კიდევ მოიძებნოს მაშინდელ ქართულ ლეგალურ პრესაში.

---

[42] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 290—291.

[43] გაზ. „მ ა რ ც ვ ა ლ ი“, 1910 წლის 27 იანვარი, № 2.

[44] გაზ. „ა ხ ა ლ ი ა ზ რ ი“, 1910 წლის 17 ოქტომბერი, № 13.

[45] ი ქ ვ ე.

მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჟურნალმა „ნობათმა". იგი 1906 წელს აქვეყნებს ვ. ჩერქეზიშვილის სტატიას „დიალექტიკური მეთოდი", სადაც ავტორი თავს ესხმის დიალექტიკურ მეთოდს, მას მეცნიერებისათვის მიუღებელ მეთოდად აცხადებს[46]. მეორე პუბლიცისტი „შ. გ." (შ. გოგელია) პირდაპირ წერს, რომ „დიალექტიკა, წინააღმდეგობა, უკუღმართობაა, ვერავითარ მონიზმს ვერ წარმოშობს და თუ წარმოშობა, მხოლოდ მკვდრად დაბადებულს წარმოშობს"[47].

შ. გოგელიას სტატია — „ეკონომიური მონიზმის კრიტიკა", რომელსაც „ნობათი" სამ (2, 4, 6) ნომერში ბეჭდავდა, თავიდან ბოლომდე ისტორიის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ იყო მიმართული. ავტორმა კარგად იცის, რომ ისტორიული მატერიალიზმის ამოსავალი წერტილი საზოგადოებრივი განვითარების კანონისა და კანონზომიერების ობიექტური ხასიათის აღიარებაა და, ამიტომაც მან თავისი მახვილი პირველ რიგში კანონისა და კანონზომიერების, მათი ობიექტური ხასიათის წინააღმდეგ მიმართა. „არ არსებობენ, — აცხადებს „ნობათის" პუბლიცისტი, — ბუნების არც ასტრონომიული „გარდაუვალი" „კანონები" და რკინის არც სპილენძის „კანონები", — არ არსებობს წესრიგი სამყაროში...", „...მარქსისტები გაიძახიან ერთ ხმაზე, რომ მარქსმა „ისტორიული" და „სოციოლოგიური" კანონები გამოიგონა და აღმოაჩინაო. მართალია თუ გამოიგონებს ადამიანი „კანონებს", თორემ არსად მსოფლიოს, ბუნების არცერთ კუნჭულში არავითარი კანონი არ არსებობს"[48]. აქ, ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიული მატერიალიზმისა და ისტორიული მეცნიერების წინააღმდეგ ნეოკანტიანურ, რიკერტიანულ გამოხდომასთან.

„ნობათის" პუბლიცისტის აზრით მარქსს, თურმე ერთმანეთში აურევია ისტორიის ფილოსოფია და ისტორია. მისი აზრით, „ისტორიის ფილოსოფია და ისიც ისეთი, როგორიც მარქსს აქვს არ არის საკმარისი ისტორიოგრაფიისათვის... მარქსის ისტორიული კონცეფ-

[46] იხ. ჟურნ. „ნობათი", 1906, № 4.

[47] ჟურ. „ნობათი", 1906, № 2 (ხაზგასმა ავტორისაა—ი. კ.).

[48] ჟურ. „ნობათი", 1906, № 2 (ხაზგასმა ავტორისაა—ი. კ.). ციტატის პირველ ნაწილს რედაქცია უკეთებს შენიშვნას: „ეს ჩვენი თანამშრომლის კერძო აზრია".

ცია მეტაფიზიკის უკანონო შვილია, რადგან ის არც წმინდა მეტაფიზიკაა, არც მეცნიერული, სოციოლოგიური მეთოდი და არც კონკრეტული ისტორიოგრაფიის საზოგადო და კერძო მოვლენათა ახსნა"[49]. ეურნალი „ნობათი" ასეთი დეკლარაციული განცხადებებით სავსე და არაფრის დამამტკიცებელ-დამასაბუთებელი სტატიით უმასპინძლდებოდა მკითხველებს თავის სამი ნომრის ფურცლებზე.

შ. გოგელია არა მარტო საერთოდ არაა ორიგინალური, არამედ აქაც, საქართველოშიც მასზე ადრე მ. საღარაძე მოგვევლინა რიკერტიანული ფილოსოფიის მესიტყვედ. „ისტორიულ კანონს კი არა აქვს ამ გვარი (როგორც ბუნების კანონს, ი. კ.) შეურყეველი მნიშვნელობა, — წერდა მ. საღარაძე, — რადგან ისტორიის ფაქტები, რომლებზედაც დაფუძნებული უნდა იყოს ისტორიული კანონი არასოდეს არ განმეორდებიან. და თუმც რაიმე კანონისებურს და შეუცვლელს ვხვდებით ისტორიულ პროცესში, ეგ თვით ისტორიისა კი არა, არამედ აზროვნების მსვლელობისა, სოციოლოგიისა და საპოლიტიკო-ეკონომიო კანონებათ უნდა ჩაითვალოს"[50]. ასეთივე სუბიექტივისტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს ავითარებდა სოციალისტ-ფედერალისტი ა. ჯაჯანაშვილი. „მტკიცება კანონის დამყარებისა, — წერდა იგი, — ისტორიულ მოვლენათა შორის როგორც ეს კანონი ბუნების მეტყველებს ესმის ყოვლად შეუძლებელი ხდებაო"[51]. ცოტა უფრო ადრე იგი მატერიას ფიქციად აცხადებდა[52].

სუბიექტური იდეალისტები, ილაშქრებდნენ რა ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ, ცილს სწამებდნენ მარქსიზმს, ბრალს სდებდნენ მას ისტორიულ ფატალიზმში, ისტორიაში პიროვნებისა და იდეათა როლის უარყოფაში და ა. შ. სუბიექტური იდეალისტები უარყოფდნენ ისტორიული კანონისა და კანონზომიერების ობიექტურ ხასიათს, ისტორიულ აუცილებლობას ფატალიზმად აცხადებდნენ და ნებისყოფის თავისუფლების აღიარებით გზას უკაფავდნენ აღვირახსნილ ვოლუნტარიზმს ფილოსოფიასა და პოლიტიკაში[53]. ისტორიულ მატერიალიზმის წინააღმდეგ ამ ლაშქრობაში ფილოსოფიურმა იდეალიზმმა გააერთიანა „ივერია"—„მოამბის" ჯგუფიდან ბურ-

[49] ეურ. „ნ ო ბ ა თ ი", 1906, № 6.

[50] მ. ს ა ღ ა რ ა ძ ე, ჩვენი ახალი თაობა, 1897, გვ. 100.

[51] გაზ. „ა მ ი რ ა ნ ი", 1908 წლის 25 აპრილი, № 43.

[52] გაზ. „ი ს ა რ ი", 1907 წლის 9 დეკემბერი, № 272.

[53] იხ. ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 126.

ჟუაზიულ-ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენტები, ანარქისტები და სოციალისტ-ფედერალისტები.

სუბიექტური იდეალიზმის ქართველი პროპაგანდისტების წინააღმდეგ სერიოზული იერიში მიჰქონდათ ქართველ მარქსისტებს[54], რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური მატერიალიზმის თეორიით, სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ რუსი მარქსისტების, განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის ტიტანური ბრძოლის მდიდარი გამოცდილებით.

სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ ლენინური არგუმენტაცია ძალაშია ქართველი და ყველა ჯურის და ქვეყნის სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგაც. როგორც ცნობილია, ყველა სუბიექტური ფილოსოფიის „ერთ-ერთი საყვარელი საბუთია“ — „იდეა კონფლიქტისა დეტერმინიზმსა და ზნეობას შორის, ისტორიულ აუცილებლობასა და პიროვნების მნიშვნელობას შორის“, მაშინ, როდესაც მათ შორის არავითარი კონფლიქტი არ არის და არც შეიძლება იყოს. ასეთ „წინააღმდეგობას“ სუბიექტივისტების გამოგონილად თვლიდა ვ. ი. ლენინი. სინამდვილეში „დეტერმინიზმის იდეა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას... ასევე ისტორიული აუცილებლობის იდეაც სრულიად არ უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში: მთელი ისტორია შესდგება სწორედ იმ პიროვნებათა მოქმედებისაგან, რომელნიც უეჭველად მოღვაწეები არიან“[55].

სუბიექტური ფილოსოფოსის — არჩილ ჯორჯაძის „ერთერთ საყვარელ საბუთის“ გამო, ალ. წულუკიძე „ოცნება და სინამდვილეში“ წერდა: „...ისტორიული პროცესის აუცილებლობა თავათ მიისწრაფვის პიროვნების „უაზრო და უმიზნო“ ცხოვრებისაგან განთავისუფლებისაკენ, მიისწრაფვის და გადაყავს იგი „აუცილებლობის

---

[54] ამ საკითხზე იხილეთ დაწვრილებით ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ი ს — „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1957; მ ი ს ი ვ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1961; შ. კ ი ლ ა ბ ე რ ი ა, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დაცვისა და განვითარების შესახებ საქართველოში, თბილისი, 1962.

[55] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 176.

სამეფოდან თავისუფლების სამეფოში"... თავისუფლებასა და აუცილებლობას შუა კი არავითარი წინააღმდეგობა არ არის, თუ აუცილებლობა შეგნებულია, თუ იდეალი ცნობიერია"[56]. ასეთია სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკა ალ. წულუკიძის „ოცნება და სინამდვილეში".

სუბიექტური იდეალიზმის დასაბუთებას ცდილობს არჩილ ჯორჯაძე თავის სტატიებში—„წერილები იტრიის წისქვილიდან" (1911 წ.). ამ სტატიებიდან ჩანს რომ მან, ისე როგორც რუსმა მახისტებმა ვერ გაიგო ფიზიკის კრიზისის მიზეზები და „მატერიის მცნება შერყეულიაო"[57] პირველმა განაცხადა საქართველოში. ამდენად „მატერიის მცნებასთან" დაკავშირებული ფილოსოფიური სისტემაც „შერყეულად" ჩასთვალა და მოინდომა მისი დასამარება. ა. ჯორჯაძემ, „დაასაბუთა" რა მატერიალიზმის დოგმატური ხასიათი, დაასკვნა, რომ „ჩვენი დროის ერთ-ერთი მონისტური სისტემათაგანი ენერგეტიკაა", „ენერგეტიკის დებულებანი, მისი აზრით, მკვიდრ საფუძველზედ არიან აგებულნი და რომ ენერგეტიკა ხსნის არა მარტო ორგანულ, არამედ არაორგანულ სიცოცხლის პროცესებსაც; და არა მარტო ხსნის, აერთებს კიდევაც ორგანულ და არაორგანულ ბუნებას ერთს პრინციპის საშუალებით"[58]. ამასთან ერთად ა. ჯორჯაძე ენერგეტიზმის სუსტ მხარედ თვლის ცდას ადამიანის ფსიქიკა განმარტოს საკუთარი პრინციპის მიხედვით, რადგან ენერგეტიზმს არ შეუძლია, მისი აზრით, ახსნას ადამიანის მოღვაწეობის ყოველი სულიერი აქტი, ეთიკა, ესთეტიკა და სხვა მისთანანი[59]. ენერგეტიზმის მარჯვნიდან გაკრიტიკებით ა. ჯორჯაძემ მიგვითითა იმ ხიდზე, რომლითაც ფილოსოფოსი ენერგეტიზმის გავლით უნდა მისულიყო მახიზმის, სუბიექტური იდეალიზმის ბანაკში, მაგრამ თითონ ჯორჯაძე ამ ბანაკში აღმოჩნდა თავიდანვე, ენერგეტიზმის გარეშე. საერთოდ რომ ვთქვათ, ჯორჯაძის ფილოსოფიური კრედო კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა ვ. ი. ლენინის დებულებისა, რომ „ფილოსოფიური იდეალიზმი არის... გზა ხუცობისაკენ". მართლაც, ა. ჯორჯაძემ კანტიანურად გამიჯნა გონებისა და რგძნობის, მეცნიერებისა და რელიგიის,

---

[56] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 95.
[57] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 151.
[58] იქვე, გვ. 152.
[59] იქვე.

რწმენისა და ცოდნის სფერო, რითაც სცადა რელიგიისა და მეცნიერების შერიგება, პირველისათვის გამოეძებნა არსებობის საფუძველი. „აქვს თუ არა რელიგიას არსებობის საფუძველი — კითხულობდა არ. ჯორჯაძე და თვითონვე უპასუხებდა, — აშკარაა აქვს. აქვს იმიტომ, რომ ადამიანის გულის წყურვილს მეცნიერება ვერა ჰკლავს, რელიგია კი აწვდის მას „წყურვილის მოსაკლავ წყაროს. სხვა საკითხია, რა თვისებისაა ეგ წყარო, მოშხამულია იგი თუ წმინდა; თავი და თავი წყურვილის მოკვლაა. და ამას აღწევს რელიგია. ამიტომ უნდა გავუწიოთ მას ანგარიში და უფრო ახლო გავეცნოთ მის მოვლენას და მნიშვნელობას ადამიანის სიცოცხლეში“[60]. ამრიგად, ა. ჯორჯაძის ფილოსოფიური ევოლუციის მაგალითზე ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ მითითებულ იმ კანონზომიერების სისწორეში, რომლითაც სუბიექტური იდეალიზმი ლოღიკურად უნდა მივიდეს რელიგიის აღიარებამდე, მეცნიერებასთან შედარებით რელიგიის უპირატესობის აღიარებამდე.

ქართველ რევოლუციურ მარქსისტებს სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელს უშლიდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენელთა (ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ლ. დარჩიაშვილი და სხვ.), შემდეგში მენშევიკ-პუბლიცისტთა ფილოსოფიური „მოღვაწეობა“. ისინი უარყოფდნენ სუბიექტური ფაქტორის როლს ისტორიაში და აზვიადებდნენ ობიექტურ, ეკონომიური ფაქტორის როლს, რასაც ფატალიზმის აღიარებამდე ბიჯყავდა. ისინი ისტორიის გაგების საკითხში. ასეთი „მარქსისტები“ გამოულეველ საკვებს აძლევდნენ ყოველი ჯურის სუბიექტივისტებს მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ გამოლაშქრებისთვის, თუმცა მენშევიკურ ფატალიზმს მარქსიზმ-ლენინიზმთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამიტომ ქართველ რევოლუციურ მარქსისტებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა, ერთის მხრივ, სუბიექტურ-იდეალისტური შემოტევის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, „საკუთარი მარქსისტების“ წინააღმდეგ.

ასეთი იყო ზოგად ხაზებში ფილოსოფიურ, მეთოდოლოგიური საკითხებისადმი ქართული ინტელიგენციის ძირითადი ჯგუფების და-

[60] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 163.

მოკიდებულება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ახლა შევეხოთ ზოგიერთი კონკრეტულ-სოციოლოგიური და ისტორიული საკითხის გაშუქების მდგომარეობას აღნიშნულ ეპოქაში, რათა მივიღოთ ერთგვარად დასრულებული სურათი იმ იდეური გარემოსი, რომელშიაც ბრძოლით უხდებოდა გზის გაკაფვა მარქსისტულ-ლენინურ სოციოლოგიასა და ისტორიოგრაფიას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რუსული საზოგადოებრივი აზრის, თითქმის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო რუსეთის განვითარების ისტორიული პერსპექტივებისაკენ. რუსული საზოგადოებრივი აზრის მრავალი წარმომადგენელი თავს იმტვრევდა კითხვაზე — რუსეთის განვითარება რა გზით წარიმართება—საერთო ევროპული, ბურჟუაზიული განვითარების გზით, თუ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური გზით, ბურჟუაზიული წყობილებისათვის გვერდის ავლის გზით? XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ასეთივე კითხვები წამოიჭრა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშეც. რუსეთსა და საქართველოში ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერება საზოგადოებრივი აზრის განვითარებასაც იქაც და აქაც ერთი, საერთო კანონზომიერებით წარმართავდა.

საქართველოში კაპიტალიზმის გარდაუვალობისა და პროგრესულობის საკითხი ნაროდნიკულ მოძრაობასთან ერთად წარმოიშვა ჩვენში, მაგრამ ამ საკითხის გარშემო მწვავე კამათი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიშალა, რაც ქართველმა მარქსისტებმა 1894 წლის 7 მაისს ეგ. ნინოშვილის საფლავზე საქვეყნოდ წამოაყენეს თავიანთი პროგრამა. მას„ მერმე განვლო თითქმის ათმა წელმა,—წერდა ალ. წულუკიძე, — და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სალიტერატურო ისარი გადაატყდა ამ „პროგრამას“ და ჩვენს ცხოვრებაში. ეს იყო ხანა მწერლობის განცხოველებისა, ზრდისა და ვითარებისა. რუსეთში ამ დროს ორი საზოგადოებრივი მიმართულება სამკვდროსასიცოცხლოთ შებრძოლებოდენ ერთმანეთს და ამ ბრძოლის ნაპერწკლები ქართულ პრესასაც მოხვდა...“[61], მართალია ეს ნაპერწკლები ალათ ვერ იქცა, მაგრამ მაინც არ არის ინტერესს მოკლებული გავეცნოთ ამ ბრძოლას ზოგად ხაზებში.

---

[61] ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე. თხზულებანი, გვ. 86.

ქართველი ნაროდნიკ-პუბლიცისტები, წინააღმდეგ ჯერ ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და, ბოლოს, მარქსისტებისა, თავგამოდებით უარყოფდნენ მსოფლიო ისტორიული პროცესის ერთიანობას, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობასა და მის პროგრესულობას. „განა შესაწყნარებელია ის აზრი, — წერდა 1894 წელს ა. ნანეიშვილი (ა. ნა-ლი), ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, იმ ქვეყანაში, რომელიც იმაზე ცოტა მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მისს მკვიდრთ საკვებათ ჰყოფნის და რაც მოწევისთანავე იხარჯება?"[62].. ამ საკითხზე ერთი წლის შემდეგ, გაზეთ „ივერიისათვის" გ. ლასხიშვილის (ლალის) მიერ დაწერილ მოწინავეში შემდეგი იყო ნათქვამი: „ჩვენს ქვეყანაში დღეს კაპიტალისტური წეს-წყობილება არა თუ არ არსებობს, პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმის დამყარებას. პირველი გარემოება, რომელიც საჭიროა ამ წეს-წყობილებისათვის, არის კაპიტალისტთა არსებობა... ჩვენში კაპიტალის პატრონთა რიცხვი ძლიერ ნაკლებია და ფულიც მათ ხელში ცოტა ტრიალებს. ამას დამტკიცებაც არ უნდა, ისე ცხადია ყველასათვის... მეორე გარემოება..., უმიწაწყლო მუშათა რიცხვი აგრეთვე ცოტაა, როგორც კაპიტალისტთა... მაშასადამე, არც კაპიტალისტური წყობილება არსებობს"[63].

აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას იპყრობს ნ. ხიზანიშვილის (ნ. ურბნელის) გამოსვლა 1898 წელს „მოამბის" ფურცლებზე. ნ. ხიზანიშვილი თავის სტატიაში — „მესამე დასი და ბურჟუაზია" უარყოფს მსოფლიო ისტორიული პროცესის მთლიანობას. მისი აზრით, „ჩვენი საეკონომიო ცხოვრება სხვა გზას ადგია, სხვა -ეაიათისა და მიმართულებისაა", ვიდრე ინგლისისა თუ ევროპის ცხოვრება, ამიტომ „ევროპისა და კერძოდ ინგლისის საეკონომიო პროგრესი ბუნებრივი და აუცილებელი კანონი როდია ყველა ხალხისათვის". ამის გამო, მისი აზრით, საქართველო ვერ გაჰყვებოდა და არც გაჰყვა ევროპის გზას, კაპიტალისტური განვითარების გზას, ამიტომ „საქართველოს აწინდელი საეკონომიო მდგომარეობა სრულებითაც არ წარმოადგენს კაპიტალისტურ ხანას... საქართველოში რომ კაპიტალისტური ხანა არ არსებობს, დასასრულ, მტკიცდება იმითაც, რომ ჩვენ

---

[62] ჟურნ. „მ ო ა მ ბ ე", 1894, № 10, გვ. 126.
[63] გაზ. „ი ვ ე რ ი ა", 1895 წლის 16 თებერვალი, № 34.

არ მოგვეპოვება საქარხნო და სამრეწველო მუშა ხალხი, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი წოდება, რაზმი". მაშასადამე, რაკი საქართველოში მუშათა კლასი არ არსებობს, მარქსიზმი, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგია, როგორც „უცხოელი მოძღვრება" მიუღებელია და გამოუყენებელი საქართველოში, ასეთია ნ. ხიზანიშვილის აზრი. ეგეც რომ არ იყოს, ნ. ხიზანიშვილის აზრით, „მარქსიზმი ცალ-კერძო უკიდურესი და წრეს გადასული მოძღვრებაა"[64]. ამ მიმართულებით დამატებით მასალას მოგვცემდა ნ. ხიზანიშვილის პუბლიცისტური და სამეცნიერო მოღვაწეობის უფრო დაწვრილებითი განხილვა, მაგრამ აქ ამისათვის არც ადგილია და არც საშუალება[65].

საქართველოში კაპიტალიზმის გარდუვალობისა და მისი პროგრესულობის მომხრეებს უფრო ძლიერი და უფრო მრავალრიცხოვანი დასი აღმოაჩნდა. მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოში აღნიშნულ დასს მეთაურობდნენ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. ესენი იყვნენ პირველები, რომლებმაც შეამჩნიეს საქართველოს კაპიტალისტური გზით განვითარების ფაქტი და მიუთითეს კიდეც ბურჟუაზიის ხელმძღვანელ როლზე ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში[66]. ამათ არა მარტო „შეამჩნიეს" და „მიუთითეს", არამედ ხელს უწყობდნენ კიდეც თავიანთი პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობით ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. ამას ადასტურებს ცნობილი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის რ. ფანცხავას (ხომლელი) ჯერ კიდევ 1895 წელს „კვალში" გამოქვეყნებული სტატია „ზოგიერთი ფიქრი". რ. ფანცხავა აღნიშნავს, როგორც უდაო ფაქტს, „რომ ჩვენი ქვეყანა დღეს დაადგა გაევრო-

---

[64] ჟურნ., „ო ა მ ბ ე", 1898, № 11, გვ. 76—77, 79—82.

[65] განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. ხიზანიშვილის შრომები: ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი („ი მ ე დ ი", 1882, № 3), ძველი და ახალი თაობა („დროება", 1883, № 94), სოფლის თვითმმართველობაზე („დროება", 1883, №№ 162, 163), ჩვენი ცხოვრების ევოლუცია („ივერია", 1902, №№ 5, 6, 149), ცალკე წიგნი — „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო", თბილისი, 1894. დაუბეჭდავი ნაშრომი — „წოდებათა ისტორია საქართველოში" (საქ. ლიტ. მუზეუმი, კოლ. № 159—4) და სხვ. (იხ. ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩ ი ტ ა ი ა ს რედაქციით, თბილისი, 1940).

[66] იხ. ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 87.

პელების გზას, საწარმოო ძალის განვითარებას", და რომ ნიკო ნიკოლაძე ემსახურება პრინციპს, რომელიც არის: „ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური წეს-წყობილების პირ-წმინდათ შეთვისება, კაპიტალისტური წარმოების საქართველოში აყვავება, ბურჟუაზიის აღზრდა და განვითარება".

რ. ფანცხავა მიუთითებს კაპიტალისტურ წყობილებაზე როგორც ქართველი ერის მხსნელ ძალაზე. „სხვაზე ნაკლებ არც ჩვენ ვიცით ძალა კაპიტალიზმისა, — წერდა „კვალის" პუბლიცისტი, — და, ამიტომაც გვითქვამს წინათ წინააღმდეგ ქართველ მე-60 წ. ლიბერალთა და ტეტიათა მოტრფიალეთა და ახლაც ვიმეორებთ, რომ, თუ არ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანას და ერს სხვა ძალა ვერას უშველის". რ. ფანცხავას აზრით, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად: 1. საქართველო ეკონომიურად წინ წავა და მოღონიერდება, 2. ქართველი ხალხი გონივრულადაც დაწინაურდება, 3. აქტიურად ჩაებმება ივი პოლიტიკურ ცხოვრებაში და, ბოლოს, 4. საქართველოში ეროვნულ საქმეს ბურჟუაზია „გადაწყვეტს უფრო მარჯვედ და ხეირიანათ, ვიდრე ჩვენი ერის" რომელიმე სხვა საზოგადოებრივი ჯგუფი თუ „წრე". მაგრამ რ. ფანცხავას ამით სრულიად არ მიაჩნია ქართველი ხალხის ისტორიული პროგრესი ამოწურულად, ჩვენი ერის „უკეთესი და უმაღლესი მერმისი" მას წინ ეგულება. რ. ფანცხავას აზრით, რაკი კაპიტალიზმმა ფეხი შემოდგა ჩვენში, ბურჟუაზია ჩვენ დაუხმარებლადაც განვითარდება, იგი არ საჭიროებს ჩვენს დახმარებას და ვერც ვერავინ შეუშლის მას ხელს. მაგრამ ეს, მისი აზრით, იმას კი არ ნიშნავს ინტელიგენციამ გულზე ხელები დაიკრიფოს და ხალხის ინტერესებს არ ემსახუროს. რ. ფანცხავას ხალხის ინტერესებისადმი სამსახურად მიაჩნდა ხელშეწყობა არა ბურჟუაზიისადმი, რომელიც „უჩვენოთაც კარგად გაიკაფავს გზას", არამედ მხარდაჭერა იმ ნორჩი ძალისადმი, რომელიც „ბურჟუაზიის ზრდასთან, უჩინრად იბადება ღღეს ჩვენში, და რომლის ხელითა და მეოხებით უნდა დამკვიდრდეს, და განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე უკეთესი და უმაღლესი მერმისი ჩვენი ერისა"[67].

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ რ. ფანცხავას უტყუარი ისტორიული ალღო. საქართველოს ბურჟუაზიის რიგებში მან ჯერ კი-

[67] „კ ვ ა ლ ი", 1895 წლის 10 სექტემბერი, № 39.

დევ გასული საუკუნის 90-იან წლებში შენიშნა რეაქციულობისა და კონსერვატიზმის სიმპტომები. „მარქსი..., — წერდა რ. ფანცხავა, —, ერთ ადგილას (იხ. „Нищета философии“) პირდაპირ ამბობს, რომ ბურჟუაზიამ დაჰკარგა პირვანდელი მეთაურობისა და მებრძოლი ელემენტის ძალა და უფრო კონსერვატულს ნიადაგზე იკიდებს ფეხსო. შესაძლებელია, რომ საქართველოში, ვიდრე პროლეტარიატი თვალსაჩინოდ დაიწყებოდეს (დაეწყობოდეს—ი. კ.) და ქართველი მუშა გამოვიდოდეს საზოგადო ასპარეზზე, ჩვენებური ბურჟუაზია შეიქმნეს ცხოვრებაში „უძლიერესიც“ და მეთაურიც. მაგრამ ისიც ხომ შესაძლებელია, რომ საქართველოს ბურჟუაზიამ ევროპის თანამედროვე ბურჟუაზიას უფრო მიბაძოს, ვიდრე პირვანდელს და მებრძოლი ელემენტის, რევოლუციური ძალის მაგივრად, უკანასკნელი ლაქიობა და კონსერვატორობა გამოიჩინოს!...“[68] და მართლაც, საქართველოს ბურჟუაზიამ „ევროპის თანამედროვე ბურჟუაზიას უფრო მიბაძა“, „ვიდრე პირვანდელს“, მაგრამ მან „თანამედროვე ბურჟუაზიას“ მიბაძა უფრო გვიან, ვიდრე რუსეთის ბურჟუაზიამ, და ეს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კოლონიური მდგომარეობით უნდა აიხსნას.

რ. ფანცხავას (ხომლელის) ზემოთ გარჩეული სტატია, ჩვენი აზრით, სრულიად არ იძლევა საფუძველს მისი ავტორი ბურჟუაზიის მეხოტბედ მივიჩნიოთ იმ დროისათვის[69], პირიქით, ხომლელი კაპიტალიზმის აუცილებლობისა და პროგრესულობის დასაბუთებისა და მისი პერსპექტივების ანალიზში უფრო ახლო აღმოჩნდა მარქსიზმთან, ვიდრე იმ დროინდელი „ნაფიცი მარქსისტი“ ნოე ჟორდანია.

საქართველოში კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობასა და მისი პროგრესულობის აღიარებამ ბურჟუაზიის მეხოტბედ აქცია არა რ. ფანცხავა, არამედ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები.

„ივერია“, რომელიც ადრე უარყოფდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ფაქტსა და მის პროგრესულობას, 90-იანი წლების ნახევრიდან იგი უკვე ანგარიშს უწევს ფაქტიურ მდგომარეობას. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1897 წელს აღნიშნავდა მ. საღარაძე.

---

[68] „ქ ვ ა ლ ი“, 1895 წლის 10 სექტემბერი, № 39.

[69] ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ საკითხზე პროფ. ლ. გ ო ო რ გ ი ლ ა ძ ი ს თვალსაზრისს (იხ. მისი დასახელებული წიგნი, გვ. 348).

იგი წერდა: „ბ. ლალი, თუმცა კი ეთანხმება მესამე დასის მწერლებს კაპიტალისტური წეს-წყობილების აუცილებლობაში, მაგრამ მაინც იგი სხვანაირათ მარტავს თავის მსჯელობას... ლალი ამტკიცებს, რომ ჩვენი ეხლანდელი ცხოვრება ბევრს ხელშემშლელ პირობებს წარმოადგენს კაპიტალისტური წეს-წყობილების დამკვიდრებისათვის. ამ გვარი მოსაზრება ბ. ლალისა, სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს და ცხოვრების სინამდვილეზედაც არის დამყარებული[70]“. ამასვე ადასტურებს ნ. ხიზანიშვილი (პლებსი); „ჩვენი გაზეთი, — წერდა პლებსი „ივერიის შესახებ“, — არასოდეს წინააღმდეგი არ ყოფილა, რომ ქართველობა სასოფლო მეურნეობის გარდა, მრეწველობისა და აღებმიცემობის უღელშიც შეებას. ასეთი წინააღმდეგობა უადგილო და შეუსაბამოც იქნებოდა, რადგანაც დროთა ვითარება და ცხოვრების საჭიროება ცხადჰყოფს, რომ მეურნეობას გვერდით უნდა ეოუდგეს მრეწველობა და აღებმიცემობა... „ივერია“ ებრძოდა მხოლოდ იმ უკიდურესობას და წრეს გადასულ მოძღვრებას, რომელიც ერის ცხოვრების დასაბამად და დასასრულად საეკონომიო პრინციპს ჰხდდის და მარტო კაპიტალიზმის გაჩენასა და აღორძინებაში ჰპოვებს ქვეყნის ბედნიერებას“[71]. არსებითად ასეთივე აზრისა იყო ა. ჯორჯაძე, იგი წერდა: „1895 წლის „ივერიის“ ხელმძღვანელნი ლალი და ვ. წ. ამ დებულებას (საქართველოს კაპიტალისტური განვითარების შესახებ—ი. კ.) არ ეკამათებოდნენ. ისინიც აღიარებდნენ კაპიტალიზმის შემოსვლას ჩვენში, ხოლო მათი პოზიცია იყო სხვაგვარი და მათი საბუთებიც სხვანაირი. ხოლო ამ მწერლების აზრთა გაგებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ მარქსისტული ბანაკი ფაქტის და ტენდენციის აღიარებაზე არ გაჩერებულა... აქედან იწყება, როგორც აშკარა შემცდარ აზრთა ქადაგება, ისე კამათის გაცხოველება და გამწვავება“[72].

გ. ლასხიშვილი (ლალი) თავის სტატიაში — „უახლობელესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა“, რომელიც 1895 წლის მარტის ნომერში გამოაქვეყნა „ივერიამ“, ეხება ისტორიას იმ კამათისას, რომელიც გამოიწვია რუსეთის კაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის საკითხმა და აღნიშნავს, რომ დღეისათვის შეგროვდა

---

[70] მ. სადარაძე, ჩვენი ახალი თაობა, 1897, გვ. 97—98.
[71] გაზ. „ივერია“, 1901 წლის 13 სექტემბერი, № 198.
[72] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, გვ. 63.

მრავალი მასალა, რომელიც უტყუარად ამტკიცებს, რომ რუსეთის ეკონომიური დედა-ბოძი — საერთო მიწათ-მფლობელობა — ვერ გაუმაგრდა კაპიტალის ძალას და დღითი-დღე იშლება. აღნიშნულ საკითხზე რუსეთში გამართულ „დიდ პოლემიკაში“ „ივერიის“ პუბლიცისტის ყურადღება მიუქცევია პ. სტრუვეს წიგნს“, „რომელიც, — მისი აზრით, ნამდვილად უსურათებს მკითხველს კაპიტალიზმის ზრდას რუსეთში“. კაპიტალიზმის აუცილებლობისა და პროგრესულობის შესახებ ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის ბრძოლაში „ივერიის“ პუბლიცისტის აზრით „მართალნი ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარნი არიან“, აქ ის პირველ რიგში, როგორც სტატიის საერთო შინაარსი გვიჩვენებს, გულისხმობს პ. სტრუვეს.

„ივერიის“ პუბლიცისტი ხედავს, რომ რუსეთში იდეურსა და პოლიტიკურ ბრძოლას ხელს უშლის და აბრკოლებს „გარეშე გარემოება“, ერთი და იგივე „ზედშენობა“—თვითმპყრობელური რეჟიმი. „აი, ეს უკანასკნელი მდგომარეობა,—წერს „ივერიის“ პუბლიცისტი,—აერთებს დღეს .რუსეთის პარტიებს (ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს, ნაროდნიკობას და მარქსიზმს, ი. კ.) და ამ მხრით კანონიერი იქნება ვსთქვათ, რომ დღეს ბუნებრივს მოთხოვნილებას არ შეადგენს რუსეთის დასებად დაყოფა და სხვა და სხვა პროგრამის არსებობა“[74]. აქედან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ჯერ-ერთი, „ივერიას“ და მის პუბლიცისტს საჭიროდ მიუჩნევიათ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ყველა ოპოზიციური ჯგუფისა თუ იდეური მიმდინარეობისაგან ერთიანი ფრონტის შექმნა; მეორე, „ივერიის“ პუბლიცისტს სწორად შეუნიშნავს ის იდეური სიახლოვე, თუ ნათესაობა, რომელიც არსებობდა მაშინ 90-იანი წლების ნაროდნიკობას, ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა და სტრუვეს „ლეგალურ მარქსიზმს“ შორის, მესამე, ყოველივე აღნიშნულის გამო „ბუნებრივს მოთხოვნილებას არ შეადგენს, „ივერიისა“ და მისი პუბლიცისტის აზრით, რუსეთის დასებად დაყოფა და სხვადასხვა პროგრამის არსებობა“, მაშასადამე, კლასებისა და პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობა, მათი აზრით, „საერთო ნიადაგზე“ უნდა განხორციელდეს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ „ივერიას“ გ. ლასხიშვილის (ლალის)

---

[73] „Критические заметки к вопросу об экономическом развитии России“, СПб., 1894.

[74] გაზ. „ი ვ ე რ ი ა“, 1895 წლის 24 მარტი, № 65.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნება საჭიროდ მიუჩნევია; მეოთხე, „ივერიასა“ და მის პუბლიცისტს პირველ ამოცანად დაუსახავთ გაერთიანებული ძალებით თავის დაღწევა რუსეთის პოლიტიკური რეჟიმისაგან, თვითმპყრობელობისაგან, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას და, ბოლოს, მეხუთე, „ივერიას“ და მის პუბლიცისტს აურჩევიათ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. პრუსიული გზა, მემამულური მეურნეობის კაპიტალიზმთან მშვიდობიანად შეგუების, შეზრდის გზა[75].

ი. ფანცხავა (ფხა) აშკარად გამოდიოდა მარქსიზმის წინააღმდეგ[76], მაგრამ საქართველოს კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობისა და პროგრესულობის იდეას მხურვალედ უჭერდა მხარს. იგი 1895 წლის 25 ივნისს გაზეთ „კვალში“ წერდა: „აშკარა ფაქტათ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოების (კაპიტალიზმის, ი. კ.) გზას დაადგა და სრულიად ახალი მიმდინარეობა მიიღო. ეს გარემოება მომავლის დიდს იმედს იძლევა“[77]. მან თავის ადრინდელ სტატიაშიც აღნიშნა, „რომ ჩვენმა ცხოვრებამ ახალი მიმდინარეობა მიიღო და ერი ახალ გზაზე გამოიყვანა“[78].

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხს შეეხო აგრეთვე მ. საღარაძე. მან ჯერ კიდევ 1890 წელს გამოთქვა თავისი თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე წერილში „ქართველი სტუდენტების მიმართ“. იგი მან შემდეგში კიდევ უფრო განავითარა და ზუსტად ჩამოაყალიბა 1897 წელს გამოცემულ წიგნში — „ჩვენი ახალი თაობა“. აქ, ავტორი მოკლედ განიხილავს აღნიშნული საკითხისადმი სხვადასხვა იდეურ მიმდინარეობათა დამოკიდებულებას და აღნიშნავს: „მესამე დასის მწერლები ამტკიცებენ... რომ ჩვენში კაპიტალიზმი უთუოთ უნდა გავრცელდეს. ამათი მოწინააღმდეგენი „ივერიისა“ და „მოამბის“ პუბლიცისტები გაიძახიან, რომ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წესწყობილების დამყარება ყოვლად შეუძლებელიაო“[79]. და ბოლოს, გადმოსცემს რა საკუთარ თვალსაზრისს, წერს: „ჩვენი საზოგადო მოსაზრება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი ქვეყანა ადრე

---

[75] იხ. ლ. გორგილაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 358.
[76] იქვე, გვ. 348.
[77] ი. ს. ფანცხავა, თხზულებანი, გვ. 47.
[78] იქვე, გვ. 57.
[79] მ. საღარაძე, ჩვენი ახალი თაობა, 1897, გვ. 99.

თუ გვიან, ვერაფრის გზით ვერ ასცილდება კაპიტალისტურ წესწყობილებას. ასე რომ, ამ კითხვის გადაწყვეტაში ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მესამე დასის მწერლებს და ვუცხადებთ მათ ჩვენს თანაგრძნობას"[80]. მ. საღარაძე ისე „ეთანხმებოდა" და „უთანაგრძობდა" „მესამე დასელებს", როგორც სტრუვე — რუს მარქსისტებს და ლალი — ისტორიული მატერიალიზმის მიმდევართ, არც მეტი და არც ნაკლები.

ამ საკითხთან ერთად ქართული საზოგადოებრივი აზრის ცენტრში იდგა კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხი გასული საუკუნის 80—90-იან წლებში. ქართული საზოგადოების კლასობრივი დაყოფისა და კლასთა ბრძოლის უარყოფით ერთნაირად იყო გატაცებული ქართული ინტელიგენციის ლიბერალურ-თავადაზნაურულ და ლიბერალურ-ბურჟუაზიულ დასებში გაერთიანებულთა დიდი უმრავლესობა. ისინი არა მარტო თავიანთ პუბლიცისტურ,არამედ სამეცნიერო-ისტორიულ (ნ. ხიზანიშვილი) და მხატვრულ-ლიტერატურული (დ. მიქელაძე) შემოქმედებითაც ეწეოდნენ წოდებათა შერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ნიადაგზე ეროვნული აღორძინების იდეის პროპაგანდას[81]. დავით მიქელაძე 1893 წლის 25 ნოემბრის „ივერიის" მოწინავეში წერდა: „...თითონ პირობა დამოკიდებულებისა ბატონსა და გლეხს შორის რუსეთში და საქართველოში სულ სხვადასხვა ხასიათისა იყო. ჩვენში ბატონისა და გლეხის ოჯახი შეადგენდა ერთს საერთო ოჯახს; ბატონის ჭირი და ლხინი ისეთივე საგრძნობელი იყო გლეხისათვის, როგორც გლეხის მწუხარება და მხიარულება საგრძნობელი იყო ბატონისათვის... განწყობილება ბატონყმას შორის საქართველოში სრულიად არ მსგავსებია იმ მონურ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა რუსეთში. ერთის სიტყვით, ისტორიაცა და ხასიათიცა ჩვენის ხალხისა მრავალს საბუთს გვაძლევს იმისას, რომ წოდებათა შორის განხეთქილებას და განკერძოებას ჩვენში ნიადაგი არა ჰქონია და არც ექნება"[82]. ამის შემდეგ დ. მიქელაძემ დაწერა დრამა „ხაფანგი", რომელიც 1894 წელს დაიდგა. ამ დრამაში ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს საქართველოში წოდებათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის არსებო-

---

[80] მ. საღარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25, 106—107.
[81] იხ. ლ. გორგილაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 354.
[82] გაზ. „ივერია", 1893 წლის 25 ნოემბერი, № 255.

ბაში. ამის გამო იგი საფუძვლიანად გააკრიტიკა ჯერ კიდევ გ. წერეთელმა[83].

გ. ლასხიშვილი (ლალი) უარყოფდა კლასობრივ (დასობრივ) განკერძოებულობას და ბრძოლას მათ შორის. მისი აზრით ყველა დასს ერთი „ზედშენობა", „გარეშე გარემოება"[84] აწუხებს, ამიტომ უნდა შეიქმნას „საერთო ასპარეზი საერთო პოლიტიკური მოღვაწეობისათვისო"[85].

ნაროდნიკულად განწყობილი ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც იყო ვასილ წერეთელი („ვ.წ".), უარყოფდა საქართველოში კლასთა ბრძოლის შესაძლებლობასა და მის საჭიროებას, „კლასთა შორის ბრძოლა, — წერდა იგი 1895 წელს, — ჩვენში არ შეიძლება და არც საჭიროა"[86].

ი. ფანცხავამ (ფხამ) წოდებათა და კლასთა წარმოშობა ომიანობასა და დაპყრობას დაუკავშირა და ამით შეეცადა ექსპლოატაციისათვის გამართლება გამოეძებნა. კლასობრივ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას ეკონომიური საფუძველი გამოაცალა და შეეცადა კლასებისა და კლასობრივი ჩაგვრის წარმოშობა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პირობებით აეხსნა. „განაწილება ერისა ორ დიდ წოდებათ ეკონომიურ ვითარებას კი არ გამოუწვევია, — წერდა ი. ფანცხავა, — არამედ ომიანობამ და ბრძოლამ. მაშასადამე, თავის დაცვის მოთხოვნილებამ აწარმოვა და წარმოშობა"[87]. კლასთა „წარმოშობის" მსგავსი თეორია ჯერ კიდევ მარქსიზმის ფუძემდებლებმა გაანადგურეს თავის დროზე.

გ. წერეთელი, ნ. ჟორდანია და „მესამე დასის" მემარჯვენე ფრთა აღიარებდა კლასობრივ ბრძოლას, როგორც მიზეზს „ყოველივე ახლანდელი საზოგადოებრივი მოვლენისას" (გ. წერეთელი), მაგრამ ამაზე შორს ისინი არ მიდიოდნენ, არ მიდიოდნენ ისინი პროლეტარიატის დიქტატურის იდეის აღიარებამდე, ე. ი. ვერ მაღლდებოდნენ რევოლუციურ მარქსიზმამდე, პირიქით, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო-ეროვნულ მოქმედების აუცილებლობას ქადაგებდ-

---

[83] იხ. „კ ვ ა ლ ი", 1894 წლის 23 იანვარი, № 5.

[84] გ. ლასხიშვილი „ზედშენობაში", „გარეშე გარემოებაში", ჩვენის აზრით, გულისხმობდა მეფის თვითმპყრობელობას, ცარიზმს, ა ვ ტ.

[85] გაზ. „ი ვ ე რ ი ა", 1895 წლის 24 მარტი, № 65.

[86] გაზ. „ი ვ ე რ ი ა", 1895 წლის 11 აპრილი, № 74.

[87] ი. ს. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, თხზულებანი, გვ. 20.

ნენ. ჩვენ არ შეეუდგებით დასახელებულ ავტორთა შრომებიდან საკითხადო ადგილების მოტანას, მათი შრომები საერთოდ ფართოდაა ცნობილი მრავალი ხეირიანი თუ უხეირო კრიტიკოსის წყალობით.

XIX საუკუნის 80—90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის ის ზოგადი მიმოხილვაც კი, რომელიც შევეცადეთ მოგვეცა წინამდებარე ნაშრომში, გვავალებს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა: 1) გასული საუკუნის 80—90-იანი წლების მოღვაწეებმა უკუაგდეს ქართველ სამოციანელთა მემკვიდრეობის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები, ხელი ჩასჭიდეს და შედარებით განავითარეს მისი სუსტი მხარე, ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორია. 2) 80—90-იანი წლების მოღვაწეთა მემკვიდრეობაში არ შეიძლება მივჩქმალოთ საერთო დემოკრატიული ელემენტი, რომელიც ბუნებრივად მოსდგამს კოლონიური ქვეყნის ბურჟუაზიასა და მის იდეოლოგებს[88]. 3) XIX საუკუნის 80—90-იანი წლების იდეური მიმდინარეობანი, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ თვალსაზრისს იცავდნენ ქართველი ხალხის განვითარების ისტორიული პერსპექტივების შესახებ, კლასებისა და კლასთა ბრძოლის შესახებ და სხვ., მაინც ერთი მიზნისაკენ — „საერთო ნიადაგზე“ გაერთიანებისაკენ მიდიოდნენ, მიდიოდნენ სხვა და სხვა გზითა და განსხვავებული არგუმენტებით, ამიტომ ჰპოვეს მათ საერთო თავშესაფარი „იბერიისა“ და „დროების“ რედაქციებში.

XIX საუკუნის 50—60-იან წლებში, როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ქართველი სამოციანელები იდგნენ, ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ამოცანა ანტიბატონყმურ მოძრაობას უკავშირდებოდა.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იდეურ მოძრაობაში, როგორც ცნობილია, დომინანტობს ეროვნული კითხვა. იგი 80—90-იანი წლების ბევრი ქართველი მოღვაწისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არარის გამომჟღავნებული ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის შინაგანი წინააღ-

---

[88] შდრ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 52.

მდეგობანი, ჯერ კიდევ არ არის ცხოვრების სარბიელზე ახალი საზოგადოებრივი ძალა — მუშათა კლასი გამოსული, და ამდენად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა მესვეურები მაშინ ვერ ხედავდნენ სოციალური კითხვის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტის პრაქტიკულ ამოცანას. ასეთ პირობებში ეროვნული კითხვა კიდევ უფრო ხლართავდა და აჩლუნგებდა ისედაც დაუხვეწელ კლასობრივ წინააღმდეგობებს. ამ ეპოქის ქართველ მოღვაწეს ეროვნული კითხვის გადაწყვეტისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის საჭიროდ მიაჩნდა ყველა რეალური თუ პოტენციალური მებრძოლი ძალის გაერთიანება „საერთო ნიადაგზე", სხვა საშუალება, სხვა რეალური ძალა მას 90-იანი წლების მეორე ნახევრამდეც კი არ შეეძლო დაენახა საქართველოში. ამის გამო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანები სოციალური ამოცანებისაგან ჩამოშორებულ იქნა. გაჩნდა „საერთო ნიადაგის" თეორია. აღნიშნული ეპოქის ქართველი მოღვაწენი „საერთო ნიადაგზე" გაერთიანების აუცილებლობისა და შესაძლებლობის მტკიცებისათვის არ მოერიდნენ წარსულის იდეალიზაციას, კლასობრივი ბრძოლისა და კაპიტალიზმის პროგრესულობის უარყოფას, კლასობრივი თანამშრომლობის პროპაგანდას, საქართველოში მარქსიზმისათვის ნიადაგის უარყოფას, და ყოველივე ეს მათ სჭირდებოდათ „საერთო ნიადაგზე" კლასობრივი თანამშრომლობისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ და ასე სწამდათ მათ, და თუ ყოველივე ეს განუხორციელებელი სჩანდა და ობიექტურად განამტკიცებდა არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას, ივი მათ უბედურებად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ.

მაგრამ სულ სხვაა „საერთო ნიადაგის" თეორიის პროპაგანდა XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა საბოლოოდ რუსეთში გადმოინაცვლა, როდესაც კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობა არა თუ მთლიანად გამომჟღავნდა, არამედ უკიდურესობამდეც გამწვავდა ივი. ამასთან დაკავშირებით გამალებით ემზადებიან საზოგადოების ძირითადი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ამ ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის ცდილობენ შექმნან თავიანთი პოლიტიკური პარტიები ერთიანი პროგრამით, ერთიანი ტაქტიკით და ორგანიზაციით.

ასეთ ვითარებაში „საერთო ნიადაგის“ თეორიის ქადაგება ნიშნავს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივ თანამშრომლობის ქადაგებას, არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც ბურჟუაზიის, თანაც იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესების დაცვას, მისადმი შეგნებულ სამსახურს.

საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაწყებით, მარქსიზმის გავრცელებითა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნით დაიწყო ახალი, უფრო მაღალი ეტაპი ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. გასული საუკუნის 50—60-იანი წლების შემდეგ კვლავ დაუკავშირდა ერთმანეთს, ამჟამად სოციალ-დემოკრატიის წყალობით, ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ამოცანები, პირველი მეორის საფუძვლად და პირობად იქნა აღიარებული.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში „საერთო ნიადაგის“ თეორიის წამოყენება და ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების მიღწევა („ეროვნული ავტონომია“) თვითმპყრობელური რუსეთის ხახელმწიფოებრივ ჩარჩოებში, ნიშნავდა ნაბიჯის უკან გადადგმას, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ამოცანების კვლავ ერთმანეთისაგან მოწყვეტას, პირველი რიგის ამოცანების მიჩქმალვას, ბურჟუაზიის ინტერესებისადმი სამსახურს.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული ეროვნული ბურჟუაზია ცდილობს შეაკოწიწოს თავისი პოლიტიკური პარტია. ეს უმადური საქმე არჩილ ჯორჯაძემ იკისრა. იგი მომავალი პარტიის ეროვნული და სოციალური პროგრამით გამოვიდა ქართულ პრესაში 1901 წელს. ა. ჯორჯაძის პროგრამული გამოსვლა ამომწურავად დაახასიათა ალ. წულუკიძემ. ა. ჯორჯაძეს „... არ წარმოუთქვამს არავითარი ახალი აზრი, არ დაუწერია არავითარი ახალი გამოკვლევა, — წერდა ალ. წულუკიძე, — მან მხოლოდ მოიკრიბა რაც თქმულიყო, შეაზავა თავისებურად და ახალის პუბლიცისტის სახით მოგვევლინა 1901 წ. მისი ღირსება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მან ქართულ მწერლობაში პირველათ მოუყარა თავი მთელ მიმართულების გამომსახველ იქა აქ გაბნეულ აზრებს და ახლათ მომარჯვებული ძველი ინარეღით თვალსაჩინოთ გამოილაშქრა მტრის წინააღმდეგ“[89].

[89] ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 88.

გავეცნოთ მთავარ ხაზებში ა. ჯორჯაძის საპროგრამო წერილების შინაარსს.

ა. ჯორჯაძის აზრით, XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის წინაშე მრავალი საქირბოროტო საკითხი დგას, მაგრამ „ყველაზე მეტად ღირს-შესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და ახსნა ამავე დროს ახსნაა სოციალური საკითხისა". ა. ჯორჯაძე საქართველოში ხედავს ორ დასს, ერთს იგი უწოდებს „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს" და მათში გულისხმობს XIX საუკუნის 80—90-იანი წლების მოღვაწეებს, ხოლო მეორეში — „მესამე დასელებს". პირველი ჯგუფის იდეალი, მისი აზრით, ფეოდალური საქართველოა, ხოლო „მესამე დასი" საქართველოს ორ კლასად ჰყოფს და უარყოფს მათ შორის ყოველგვარ საერთო ინტერესებს. „მესამე დასი" იმის ცდაშია, რომ იდეოლოგიურად შექმნას განკერძოებული კლასები, რაც ჯორჯაძის აზრით ეწინააღმდეგება ქართველი ერის ნამდვილ ინტერესებს.

ა. ჯორჯაძე ამტკიცებს საქართველოს კაპიტალისტური გზით განვითარების პროგრესულობასა და აუცილებლობას, ამიტომ, მისი აზრით, შეუძლებელია უარვყოთ ერის ბურჟუაზიული განვითარების საჭიროება. მაგრამ „მესამე დასელმა" მარქსისტებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ ქართველ ერს მოელის ეროვნული გადაგვარება და ამიტომ „ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი", ე. ი. ეროვნული საკითხის მოგვარება უპირველესად ყოვლისა და, მხოლოდ შემდეგ შეიძლება სოციალური საკითხის მოგვარებაო, ამტკიცებდა ჯორჯაძე.

ა. ჯორჯაძის აზრით, არც ერთი დასი არ გამოხატავს ერის ნამდვილ ინტერესებს. იგი მოუწოდებს ორივე დასს „სინდისიერათ გადასინჯონ თავიანთი რწმენანი", მოუწოდებს მებრძოლ დასებს „საერთო შეთანხმებულ მოქმედებისათვის". მაგრამ ჯორჯაძემ იცის ანტაგონისტური ძალების შერიგება შეუძლებელია, რასაც ჩვენი მკვლევარები ხშირად უგულვებელჰყოფენ, „საერთო შეთანხმებულ მოქმედებისაკენ" მებრძოლ დასებს იმიტომ კი არ მოვუწოდებთ, ამბობდა იგი, „ვითომ გვინდოდეს შევარიგოთ შეურიგებელი, შევაერთოთ შეუერთებელი", არამედ მიუხედავად საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციისა, უნდა შევაერთოთ ქართული ინტელიგენციის ძალები ეროვნული კითხვის მოსაგვარებლად. ამ გზაზე ხელშემშლელ ფაქტორად იგი თვლის „რუტინას" და „დოქტრინას". ჯორ-

ჯაძის აზრით, რუტინა „დამდორებული წარსულის მემკვიდრეობაა", „რწმენაა, ვითომ ქართველ ერს რაღაც განსაკუთრებული თვისებები ჰქონდეს, მუხლის მოდრეკაა ყოველ შეცდომის წინაშე, ოღონდ კი ამ შეცდომას ნაციონალური ელფერი გადაჰკვროდეს". როგორც ეხედავთ, იგი, ილაშქრებს რა ნაციონალური შეზღუდულობის, ნაციონალურ განკერძოებულობათა პროპაგანდის წინააღმდეგ, ამავე დროს გმობს დოქტრინერობას, რაც, მისი აზრით, ნიშნავს ცდას „ამ ცხოვრების ძველთა ფორმათა ერთბაშად ბოლო მოუღოს, შემუსროს გარსი ძველის საზოგადოებისა და ძალად ჩასტიოს იგი პროკრუსტის სარეცელში... პირველია ნიშანი აზრის უმოძრაობისა, მისი შეჩერებისა, ხოლო მეორე ნიშანია მისი ნახტომებისა და სხვათა აზრთა გავლენის ქვეშ ყოფნისა, მათი ყურმოჭრილი ყმობისა".

ამრიგად, ა. ჯორჯაძე ქართულ საზოგადოებაში ხედავს ორ მთავარ ჯგუფს, დასს თუ ძალას. ერთნი, „განსჭვალულნი ცრუ ეროვნული აზრებით, ძველ წესწყობილების დარღვევაში ჰხედავენ დაკარგვას იმ აუცილებელ ცხოვრების პირობათა, ურომლოდაც ვითომც შეუძლებელი იყოს ხალხის წარმატება", მეორენი კი, „გატაცებულნი ევროპიდან გადმოტანილ დოქტრინულ თეორიებით და გახარებულნი იმით, რომ ჩვენ ცხოვრებაშიც იჩინეს თავი ევროპისათვის საზოგადო კანონად გადაქცეულ მოვლენათა, მიჰყვეს ხელი იდეოლოგიურ (ე. ი. მარქსისტული, ი. კ.) მცნების გავრცელებას... ხალხში..."

ა. ჯორჯაძე, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე, აღიარებდა საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას და აღნიშნავდა, რომ კლასების გაჩენას „თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს" და, რომ ისინი ერთმანეთისადმი „ეკონომიურ წინააღმდეგობაში" არიან. ამის (კლასობრივი დიფერენციაციის) შესახებ ი. ჭავჭავაძე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში წერდა: „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს — თავადი, გლეხსა ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხების — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან ერთს თესლზედ აღმოსულნი?... ...ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბით სწოვს, ნუთუ ესენი თვითეული

ცალკე და ყოველნიერ ერთად ქართველი ჰგონია ვისმე!"[90] ე. ი. ილიას აზრით სოციალურ დიფერენციაციას ხალხში ეროვნული ერთიანობაც დაუშლია.

ა. ჯორჯაძის აზრით, ისე როგორც ილია ჭავჭავაძის აზრით, დღეს საქართველოს, როდესაც ეროვნული გადაგვარების საფრთხე მოელის, ესაჭიროება ხალხის, საზოგადოების არა „დაყოფა და დაქუცმაცება", არამედ მისი „გამართლება და გაერთიანება". ა. ჯორჯაძე, ისე როგორც ი. ჭავჭავაძე, ამ „გამრთელება და გაერთების" „ჩატებილი ხიდის" გამრთელების საშუალებად თვლიდა ცოდნას, განათლებას, გონებას. მაგრამ საფუძველი ასეთი „გამრთელება-გაერთიანებისათვის"? მას ილიაც ეძებდა და „საერთო ნიადაგის" თეორიის ფუძემდებელმა მიაგნო კიდეც. მას, თუმცა იგი ა. ჯორჯაძესავით არ ჩამოუყალიბებია ფორმულის სახით, და ჯორჯაძესავით არც ნაციონალისტური ხასიათი მიუცია მისთვის. აი, რას წერდა ილია: „თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, სადაც მაგ თვითეულის (თავადის, აზნაურის, გლეხის, ვაჭრის, ი. კ.) გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის — მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი"[91]. ა. ჯორჯაძემ უპასუხა ილიას ამ მოთხოვნას, სულ სხვაა თუ რამდენად სწორად, მაგრამ მაინც უპასუხა, როცა მოხაზა ყველა კლასის ინტერესთა თითქოს „შესაყარი გზა", როცა თითქოს მოძებნა „საერთო ნიშანი" ყველა კლასის ერთიანი მოქმედების საერთო ნიადაგისათვის. ა. ჯორჯაძემ ერის „გამრთელებისა და გაერთების" საფუძვლად გამოაცხადა: ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა. ეს სამი საკითხი ჯორჯაძის აზრით, ჰქმნის ანტაგონისტური კლასების „საერთო მოქმედების ნიადაგს". ამ საერთო ერ-

[90] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1957, გვ. 455.
[91] იქვე, გვ. 456.

ოვნულმა ინტერესებმა უნდა დაავიწყოს მებრძოლ ძალებს კლასობრივი ინტერესები და წარმართოს მათი ძალები საერთო ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. ილიას საერთო ეროვნულ ინტერესად მიაჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება, ა. ჯორჯაძეს კი — ქართული ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერება და თვითმპყრობელური რუსეთის ფარგლებში საქართველოსათვის ავტონომიის მოპოვება.

ამის შემდეგ ა. ჯორჯაძე არჩევს საერთო მოქმედების საფუძვლებს ცალ-ცალკე, თავს არიდებს ერისათვის ენის მნიშვნელობის შესახებ ბანალური აზრების განმეორებას და მოკლედ აღნიშნავს, რომ „სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლდება", ამიტომ ყველა კლასი თანაბრად უნდა იყოს დაინტერესებული მშობლიური ენის შენარჩუნებაშიო. ქართული ეკონომია-მრეწველობის შექმნისათვის ა. ჯორჯაძის აზრით, „კაპიტალიზმის ზრდა განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი მიმართულება უნდა მიიღოს", ე. ი. ქართველი მუშა ქართველ კაპიტალისტს კი არ უნდა ებრძოდეს, არამედ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ამიტომ ქართველმა მშრომელმა ხალხმა თავისი კერძო კლასობრივი ინტერესები უნდა დაუქვემდებაროს საერთო ეროვნულ ინტერესებს, რითაც იგი დაამტკიცებს თავის ეროვნულ თვითცნობიერების სიმწიფეს[92].

მესამე საკითხი, რომელიც „მოქმედების საერთო ნიადაგის" აუცილებელი პირობაა, ესაა ქართველთა მიწა-წყლის ქართველთა ხელშივე შენარჩუნება. თავად-აზნაურობის გაღარიბება იწვევს მათი მამულების გადასვლას უცხო ტომის ფულიანთა ხელში, რაც, ჯორჯაძის აზრით ,დიდ საფრთხეს უქმნის ეროვნულ საქმეს. ამიტომ იგი მოითხოვს ყველა ღონისძიებით შენარჩუნებულ იქნას საქართველოს მიწა-წყალი, ადგილ-მამული ქართველთა ხელში.

ასეთია ჯორჯაძის აზრით, ის ძირითადი საკითხები, ამოცანები, რომლებიც დგანან ქართველი ხალხის, ქართველი ერის წინაშე, და რომლებმაც უნდა შეამჭიდროვოს ქართული საზოგადოებრივობის

---

[92] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე მ ამ ადგილს 1911 წელს დაურთო შენიშვნა: „ეროვნული მთლიანობა კლასთა ბრძოლის საჭირობას არ უნდა აქარწყლებდეს, რადგან ეს ბრძოლა წარმატების ერთი ფაქტორთაგანია" (იხ. თხზ. წ. IV, 1911, გვ. 9).

ყველა ელემენტი ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის. მაგრამ „თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროა, — წერდა ა. ჯორჯაძე, — რომ ჩვენ დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანოები ჰქონდეს ყველა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის“[93].

მაგრამ იბადება კითხვა: ვინ ჩაუდგება სათავეში ერის ინტერესებისათვის ბრძოლას, ვინ შექმნის „ერის საკუთარ ორგანოებს“, ვინ წარმართავს მას? ამ კითხვაზე ჯორჯაძის პასუხია:—ინტელიგენცია! „...მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ჩ ვ ე ნ დ რ ო მ დ ე ქართველ ინტელიგენციას ერთად-ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა, — წერდა ა. ჯორჯაძე, — ჩვენი ქვეყანა ახალ პოლიტიკურ პირობებში აეღორძინებინა, მისი ვინაობა შეექმნა, ლიტერატურის და საზოგადოებრივის მოღვაწეობის საშუალებით, ახალი აზრები, გრძნობები და ევროპიულ ცხოვრების ფორმები დაენერგა, აეშენებინა. ეს მიზანი ჯერ ნახევრადაც არ არის მიღწეული, ამისათვის თანამედროვე ქართველ ინტელიგენციის ძალ-ღონე ამავე მიზნისადმი უნდა იყოს მიმართული“[94]. ყოველივე ამის შესრულება შეუძლია ინტელიგენციას იმიტომ, რომ იგი კლასებზე მაღლა დგას და მხოლოდ ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს. ინტელიგენცია, ჯორჯაძის აზრით, არ შეადგენს წოდებას და კლასს, და თუ მას ოდესმე კასტური და წოდებრივი ხასიათი ჰქონდა ამის მიზეზი გონების განუვითარებლობა იყო და არა ის, თითქოს „არსებითი თვისება ინტელიგენციისა უთანასწორობის და უსამართლობის განმტკიცება იყო“. ამიტომ XIX საუკუნის ქართული ინტელიგენცია ემსახურებოდა ხალხს და არა წოდებას, მან შექმნა ახალი საქართველო. ამრიგად, „ინტელიგენცია ცხოვრების შეგნებაა, გონიერებაა და ამ შეგნების და გონიერების დაგვარად მოქმედება“[95].

ამრიგად, ა. ჯორჯაძე თავის საპროგრამო წერილებში, როგორც ვნახეთ, ვერ უარყოფს ქართული საზოგადოების კლასობრივ დანაწი-

---

[93] საყურადღებოა, რომ ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე მ ამ ადგილს 1911 წელს დაუთო შენიშვნა: „ეს აზრი მეცნიერულად არის დასაბუთებული Bâton-ის წიგნში „ერი და კაცობრიობა“ (იხ. თხზ., წ. IV, გვ. 11).

[94] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წ. IV, გვ. 29.

[95] ი ქ ვ ე, გვ. 31.

ლებას, კლასთა შორის არსებულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ წინააღმდეგობას, მაგრამ იგი „ჩვენს საზოგადოებაში“ ხედავს ისეთ მოვლენასაც, რომელიც ბადებს ნიადაგს დაპირისპირებულ კლასთა „საერთო პრაქტიკული მოქმედებისათვის“. ასეთ მოვლენად მას მიაჩნია „ეროვნული ერთობა“. „ჩვენს საზოგადოებაზე“ ასეთი შეხედულება სრულიად არ არის ახალი, იგი, როგორც ზევითაც ვნახეთ, უშუალოდ დაკავშირებულია 80—90-იანი წლების ლიბერალურ-პერეუაზიული ინტელიგენციის სახელთან. კლასობრივი დაპირისპირებისა და ეროვნული ერთობის „შეზავების“ საჭიროება და შესაძლებლობაც ჯორჯაძეზე ადრე გვამცნეს 80—90-იანი წლების მოღვაწეებმა. მაგრამ, თუ როგორ უნდა „შეზავდეს“ აღნიშნული ორი მოვლენა, ამაზე პასუხის გაცემა ა. ჯორჯაძემ იკისრა, „რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარ მოვლენისა — ერთის მხრით, ეროვნული ერთობისა, — მეორეს მხრით, თანამედროვე ეკონომიურ წინააღმდეგობისა, განხეთქილებისა? რანაირად შეზავდება ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება?“ — კითხულობდა ა. ჯორჯაძე და თვითონვე უპასუხებდა, — „ამ კითხვის გამოკვლევისათვის ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ ის, თუ რა არის ეროვნება“ და, ბოლოს, განმარტავს მას — „ეროვნება, ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან“[96].

ა. ჯორჯაძის აზრით, ერის ინტერესები გვიკარნახებენ, რომ დღეს საქართველოში „საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელება და გაერთება“[97]. ერის „გამთელება და გაერთება“, ა. ჯორჯაძის აზრით, შეუძლია ინტელიგენციას, „რომელიც ცხოვრების შეგნებაა, გონიერება და ამ შეგნებისა და გონიერების გვარად მოქმედება“, ე. ი. გონიერებას შეუძლია მოსპოს ის, რასაც „საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს“, „შეარიგოს, შეაერთოს საზოგადოების ის ელემენტები, რომელნიც ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ“. ალ. წულუკიძემ ყოველივე ეს სამართლიანად შეადარა რუსული ნაროდნიკობის, ლავროვისა და

[96] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 54.
[97] ი ქ ვ ე, გვ. 7.

მის მოწაფეთა ისტორიულ იდეალიზმს[98]. ა. ჯორჯაძის იდეურ ნათესაობას რუსულ ნაროდნიკობასთან აღიარებდნენ მისი მეგობრებიც[99].

ხალხის მიერ საერთო ეროვნული ინტერესების შეგნებას, ა. ჯორჯაძის აზრით, ინტელიგენციამ, საერთო იდეალებით შეკავშირებულ ინტელიგენტთა წრემ, ჯგუფმა, პარტიამ უნდა შეუწყოს ხელი. ამ მიზნით აყალიბებდა ა. ჯორჯაძე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას. ამ პარტიისა და მისი ფუძემდებლის პრაქტიკულ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია ამჟამად ჩვენს ინტერესებში არ შემოდის, იგი ისედაც საკმაოდ ცნობილია.

კლასობრივად გათიშული საზოგადოების „შეერთება და გამთელება", ეროვნული ერთიანობისა და კლასობრივ დაპირისპირებათა პრინციპების შეთანხმება, „შეზავება" ა. ჯორჯაძეს „ჩვენი დროის" ეროვნულ კითხვად მიაჩნია, ე. ი. მისთვის „ეროვნული კითხვა" მოიცავს „სოციალურ კითხვასაც", „ეროვნული კითხვის" გადაწყვეტა— „სოციალური კითხვის" გადაწყვეტასაც და არა პირიქით: ა. ჯორჯაძე ცდილობს „კერძო" კლასობრივი ინტერესები დაუმორჩილოს „საერთო ეროვნულ ინტერესებს და, ბოლოს, ინტელიგენციის დახმარებით მიიყვანოს ხალხის მიერ „ეროვნული ერთობის" შეგნებას, რომელიც, თურმე მოხსნის „კლასობრივ დაპირისპირებას", მოხდება ერის „შეერთება და გამთელება". ა. ჯორჯაძისათვის, როგორც იდეალისტისა და მეტაფიზიკოსისათვის, საზოგადოების, ერის განვითარების დამახასიათებელი წინააღმდეგობანი გარდამავალია, ხოლო ერთიანობა — აბსოლუტური. სწორედ ამისთვის აკრიტიკებენ ა. ჯორჯაძეს რევოლუციური მარქსისტები, და არა იმისათვის, რომ მან ანტაგონისტურად განწყობილ კლასთა შორის დაინახა „ეროვნული ინტერესების ერთობა", რასაც ხშირად მეტად გავულგარებული სახით წარმოგვიდგენენ. ანტაგონისტურ კლასებს შორის საერთო ეროვ-

[98] იხ. ალ. წ ე ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 88.

[99] მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ „ი. ჭავჭავაძის კულტურულ წრეში" 1914 წლის 21 მარტს წაკითხულ მოხსენებაში გრიგოლ ვეშაპელი ამბობდა: „...არჩილის თვალსაზრისი ისტორიის ფილოსოფიაში... უახლოვდება ევრეთწოდებულ სუბიექტურ შკოლას, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნი არიან რუსეთში პ. ლ ა ვ რ ო ვ ი და ნ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი. მათთან ერთად არჩილი აღიარებს ფსიქოლოგიურ და ეთიურ ფაქტორთა საჭიროებას ცხოვრების ფილოსოფიურ განმარტებაში" (გ რ ი გ ო ლ ვ ე შ ა პ ე ლ ი, არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი, გვ. 43).

ნული ინტერესები რომ არ არსებობდეს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა ფეოდალური საქართველოს სახალხო ომები უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ქართველი ხალხის XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რუსი ხალხის 1812 წლის სამამულო ომი, ევროპის ხალხების განმათავისუფლებელი ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, აზიისა და აფრიკის ხალხთა ანტიკოლონიური ომი ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ა. შ. მაგრამ სულ სხვა საკითხია, თუ ვინ უფროა ერთგული ეროვნული ინტერესების. როგორც ცნობილია, გაბატონებულ, ექსპლოატატორულ კლასებს ადვილად შეუძლიათ ხელი აიღონ ეროვნულ ინტერესებზე, თუ მათი კლასობრივი პრივილეგიები საფრთხეში აღმოჩნდება. ისტორიამ ამისი მრავალი მაგალითი გვიჩვენა. ეს ფაქტი კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნული ინტერესების ერთობა გარდამავალია, ხოლო კლასობრივი ანტაგონიზმი — აბსოლუტური, რა თქმა უნდა, მოცემულ, ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ფარგლებში.

ა. ჯორჯაძე ძალიან უკმაყოფილო იყო იმით, რომ იგი მარქსისტებმა რეაქციული ბურჟუაზიის (XX საუკუნეში რუსეთსა და საქართველოში ბურჟუაზია რეაქციულია უკვე) იდეოლოგად გამოაცხადეს. იგი უარყოფდა ბურჟუაზიის იდეოლოგობას და თავი მთელი ერის ინტერესების მოსარჩლედ მოჰქონდა. ეს ყველა ეპოქის და ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მიერ არა ერთხელ ნაცადი ხერხია, იგი ყოველთვის და ყველგან ერის ინტერესების „დამცველად" გვევლინებოდა, სინამდვილეში იგი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს მთელი ერის ეროვნულ ინტერესად ასაღებდა. ასე იყო საქართველოშიც. ამაში თვალნათლივ გვარწმუნებს ა. ჯორჯაძის მიერ ჩამოყალიბებული პროგრამული მოთხოვნების ზოგადი განხილვაც კი.

ა. ჯორჯაძე. მართალია, როდესაც საქართველოს სხვა და სხვა ნაპირა მხარეებში ხედავს კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის გადმონაშთებს, რაც საქართველოში კაპიტალიზმის ფართოდ გავრცელების სისუსტეზე მიუთითებს, მაშინ როდესაც კაპიტალიზმის განვითარების სიღრმისეული მოვლენებით საქართველო სრულიად არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს. „ჩვენი დროის ნიშანწყალი, — წერდა ა. ჯორჯაძე სტატიაში „ჩვენი ეკონომიუ-

რი პროგრამის გამო" — სწორედ ამ განკერძოების და განცალკევების დარღვევაშია, შრომის განაწილების გაფართოებაში, ძველი სამეფო-სამთავროთა მიჯნების გაუქმებაში, — ერთის სიტყვით, საქართველოს ნივთიერ გაერთიანებაში. ასე რომ, ჩვენი ეკონომიური პროგრამის დედა-აზრი — საქართველოს ეკონომიური გაერთიანება უნდა იყოს"[100], ე. ი. ა. ჯორჯაძის „ეკონომიური პროგრამის დედააზრია" კაპიტალიზმის არა მარტო სიღრმით, არამედ სიგანითაც განვითარება, მისი მთელი თავისი მოცულობით სრულყოფა-განვითარება. ამისათვის ა. ჯორჯაძეს საჭიროდ მიაჩნდა „მფარველობითი სისტემის გზაზე დადგომა". მაგრამ „საქართველოს ეკონომიური გაერთიანების" ეს ლონისძიება, რომელსაც ა. ჯორჯაძე სთავაზობდა თავის თანამოაზრეთ, სრულიად არ იყო აუცილებელი ღონიძიება სვანეთში, ხევსურეთში თუ სხვა განაპირა მხარეში კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისათვის. ამ ამოცანას არანაკლებ წარმატებით განახორციელებდა უცხო კაპიტალი, მისი შეპრა საქართველოს მთიანეთში. მაგრამ ა. ჯორჯაძეს ეს როდი აინტერესებს, მისი მისწრაფების საგანია ქართველი ვაჭრის, ქართველი მეწარმის გაღონიერება-გაძლიერება, უცხო კაპიტალის შეეიწროება-განდევნა საქართველოდან და, ბოლოს, „ეროვნული პრინციპით ხელმძღვანელობა თვითმმართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში"[101]. სწორედ ამიტომაც აკრიტიკებდნენ მას ქართველი მარქსისტები ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმისათვის.

ა. ჯორჯაძემ თავისი (უკეთ, თავისი კლასის) ეკონომიური პროგრამა საბოლოოდ ჩამოაყალიბა სამი ძირითადი მუხლისაგან: „პირველი მუხლი ჩვენი პროგრამისა, — წერდა იგი, — მფარველობითი სისტემის შემოღება ქართველ ვაჭრების გასამრავლებლად და გასამაგრებლად"... მეორე მუხლი ჩვენის პროგრამისა — „საჭიროება ნაციონალურ მრეწველობის წარმატებისა".. მესამე მუხლი ჩვენის ეკონომიურის პროგრამისა, ქართული მიწა-წყლის საკითხია"[102], ე. ი. მიწა უცხო-

---

[100] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 33.

[101] იქვე, გვ. 46.

[102] იქვე, გვ. 34.

ელთა ხელში არ უნდა გადავიდეს, იგი ქართველობას უნდა დარჩესო[103]. არსებითად ასეთივეა ა. ჯორჯაძის ეროვნული პროგრამაც. „ჩვენი ეროვნული პროგრამის შინაარსს, — წერდა იგი, — შემდეგი კითხვები შეიცავენ: 1. საჭიროება ენის დაცვისა, 2. ლიტერატურის და ხელოვნების საშუალებით ეროვნულ იდეალების შემუშავება და ეროვნულ გრძნობების ხალხში გაღვიძება, 3. ქართულ ეკლესიის დაცვით ძველ ტრადიციის განმტკიცება ხალხში (მამულისათვის თავდადება) და 4. ეროვნულ ნიადაგზე, არსებულ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრინციპით ხელმძღვანელობა თვითმმართველობის საარჩევნოებში და მრეწველობა-მეურნეობის კითხვებში“[104]. ქართული ნაციონალისტური ბურჟუაზიის ინტერესების უკეთ გამოხატვა შეუძლებელია, ვიდრე იგი ა. ჯორჯაძის ამ პროგრამაშია გამოხატული. ეს პროგრამა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების ამოცანას ისახავდა მიზნად. კაპიტალიზმის არა საერთოდ განვითარება აინტერესებს ქართული ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგს, არამედ მისი განვითარება მხოლოდ და მხოლოდ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი მიმართულებით.

საზოგადოებაში კლასთა ბრძოლა ჯორჯაძეს ერის ეკონომიური აღორძინება-განვითარება ხელშემშლელ ფაქტორად მიაჩნია. „საქართველოს ეკონომიური წარმატება, — წერდა იგი — ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში. — კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველს მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტოპის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებმიცემობის მონოპოლია“[105]. ამისათვის ქართველმა მშრომელმა ხალხმა თავისი კერძო კლასობრივი ინტერესები უნდა დაუმორჩილოს საერთო ეროვნულ ინტერესებს. მაგრამ როდის შეუძლია მშრომელ ხალხს ამის გაკეთება? მხოლოდ მაშინ, როდესაც, ჯორჯაძის აზრით, იგი ამაღლდება ეროვნული თვითშემეცნების დონემდე: აქ განუზომლად დიდი როლი ეკუთვნის

---

[103] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 47.
[104] ი ქ ვ ე, გვ. 46.
[105] ი ქ ვ ე, გვ. 8—9.

ქართულ ინტელიგენციას, როგორც ერის შეგნებულ ნაწილს, მან უნდა აამაღლოს მშრომელთა ეროვნული თვითშეგნება. საშუალება? „მოქმედების საერთო ნიადაგის“ გამოძებნა და მაზე ყველა ანტაგონისტური კლასის დარაზმვა, ასეთია ა. ჯორჯაძის აზრთა მსვლელობა.

ა. ჯორჯაძის პროგრამული სტატიების გამოქვეყნებით საქართველოში დაიწყო ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის აშკარა და ორგანიზებული იდეოლოგიური ბრძოლა. ამ ბრძოლის რეზონანსი. მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯაძის პროგრამა ჯერ კიდევ მაშინ გააკრიტიკეს რევოლუციურმა მარქსისტებმა, მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებამდეც კი იგრძნობოდა. ა. ჯორჯაძის კრიტიკოსთა შორის, ბირველ რიგში აღსანიშნავია თავის დროის ფრიად განათლებული მარქსისტი და დიდი რევოლუციონერი ალ. წულუკიძე, რომელმაც მოგვცა ჯორჯაძის პროგრამის პოლიტიკურად მახვილი და მეცნიერულად მეტად ღრმა და ამომწურავი კრიტიკა თავის ცნობილ ნაშრომში—„ოცნება და სინამდვილე“.

ალ. წულუკიძემ თავის ნაშრომში — „ოცნება და სინამდვილე“ დაასაბუთა: 1. რომ ა. ჯორჯაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სუბიექტური იდეალიზმია; 2. რომ ინტელიგენცია, რომელიც ჯორჯაძეს კლასობრივად გათიშული ერის „გამაერთიანებლად“ მიაჩნდა, „არ წარმოადგენს ერთ მთელს, განუყოფელ ჯგუფს“, ის თავისი შემადგენლობით სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასთა ინტერესების გამომხატველია; 3. რომ ა. ჯორჯაძე „ეროვნული ინტერესების სახით უმცირესობის, არა მწარმოებელთა ინტერესებს იცავს. სწორედ ეს ხდის ავტორის „ინტერესებს“ არა დემოკრატიულათ, არამედ ნამღვილ ბურჟუაზიულათ“. 4. რომ „მოპირდაპირე დასების საერთო მოქმედების ნიადაგი: ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში მერჩენა, საიმედო ნიადაგი ვერ ყოფილა“. ამრიგად, „პროგრამის უმთავრესი მეხლები ავტორს შეუგნებელი ჰქონია და ამიტომ მისი მსჯელობა ოცნებას წარმოადგენს, სინამდვილესთან არაეითარი კავშირი არა აქვს“[108].

ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის პროგრამული მოთხოვნილების განხორციელებისათვის „აუცილებლად საჭიროა, — წერდა ჯორჯაძე, — რომ ჩვენ დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანო-

[108] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 120.

ები ჰქონდეს". ამ „საკუთარი ორგანოს" შესახებ პირველად ალაპარაკდა ქართველ ნაციონალისტთა საზღვარგარეთის ჯგუფის გაზეთი „საქართველო". ამ გაზეთის პირველ ნომერში რედაქციამ გამოაქვეყნა „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ", სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი, ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ"[107]. თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1904 წლის 1 აპრილს, სოციალისტ-ფედერალისტების ჟენევის კონფერენციამაც უარჰყო სეპარატიზმი და განაცხადა „რომ განთავისუფლებულ საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წესწყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერაციულად შეკავშირებული"[108]. ასევე ერთი წლის შემდეგ, 1905 წლიდან საქართველოს ავტონომიაზე დაიწყეს წერა საქართველოს გაზეთებშიც, განსაკუთრებით „ცნობის ფურცელში" ქვეყნდებოდა აღნიშნულ საკითხზე გრ. რცხილაძის („გ. რ."), ს. ფირცხალავას („კალამის") და „განის" სტატიები.

საქართველოს ავტონომიის საკითხი თეორიულ-პუბლიცისტური განხილვის სფეროდან თანდათანობით გადაეიდა პრაქტიკული მოქმედების სფეროში. მისი სულისჩამდგმელი იყო თავადაზნაურობა და ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ხალხმა, მუშათა კლასმა და გლეხობამ არ მიიღო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა და მას ზურგი შეაქცია. არ. ჯორჯაძე ამას ხსნიდა სოციალ-დემოკრატიის გავლენით. „...რაც შეეხება ეროვნულ მოთხოვნას, სოციალურმა ინტერესმა ისე დაიმონა და შებოჭა ხალხის გონება (1905—1907 წლების რევოლუციის დროს, ი. კ.), რომ იგი სრულიად არ იყო მომწიფებული მის გულში"[109]. ასე იყო თუ ისე, მუშათა კლასს და გლეხობას საქართველოს ავტონომიის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ სურდა.

---

107 გაზ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო", 1903 წლის 1 მაისი, № 1.

108 იხ. ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა, პარიზი, 1904, გვ. 176—183.

109 ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი II, გვ. 211.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა, როდესაც სისხლს ღვრიდა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, მაშინ თავადაზნაურობა და ბურჟუაზიული ინტელიგენცია საქართველოს ავტონომიას მეფის ხელისუფლებისაგან გამოითხოვდნენ როგორც მოწყალებას. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება ნიკოლოზ მეორისადმი მიმართვაში წერდა: „მშვიდობიანი და კულტურული გახვითარება ქართველი ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარი კანონებით — მართვა-გამგეობისა“[110]. სოხუმის ქალაქის თავმა თავად ნ. ყ. თავდგირიძემ რუსეთის საერობო და სამოქალაქო წარმომადგენელთა ბიუროში წარადგინა მოხსენება. იგი მოითხოვდა განაპირა მხარეებისათვის თვითმართველობის მინიჭებას, კერძოდ საქართველოსათვის მოითხოვდა ავტონომიური მმართველობის უფლებას. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ავტონომიის აუცილებლობა დასაბუთებული იყო ქართველი ხალხის ისტორიული უფლებებით ავტონომიაზე[111]. ამავე საკითხის შესწავლის მიზნით ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია. კომისიის მიერ შედგენილი მოხსენებიდან სჩანს, რომ მისი ავტორები მხარს უჭერენ აგრეთვე რუსეთის იმპერიის დეცენტრალიზაციას და საქართველოსათვის ავტონომიის მოთხოვნას[112]. „...ყველა, ვინც ავტონომიის მოსარჩლედ გამოსულა, — წერდა ა. ჯორჯაძე, —. იხსენიებს საქართველოს ავტონომიურ უფლებებს და ზოგიერთი იმედსაც აცხადებს, რომ სხვათაშორის, ამ უფლებათა ძალითაც უნდა მიენიჭოს საქართველოს ავტონომია... 1783 წელს საქართველო საერთაშორისო ტრაქტატით შეეკვრა რუსეთს. ტრაქტატი არ აასრულეს. ვინ უნდა იყოს ამ უსამართლობის აღმდგენელი? პრინციპის მხრივ აშკარაა, იგი უნდა იყოს ერთა შორის არსებული და საგანგებოდ დაწესებული ორგანო — სამსჯავრო“[113]. ასეთი პრინციპით შეიარაღებულმა ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა 1907 წელს მემორანდუ-

---

[110] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წლის 2 აპრილი, № 2787.
[111] იხ. ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი 1, გვ. 223.
[112] იხ. იქვე.
[113] იქვე, გვ. 236—237.

მით მიმართა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას, მაგრამ საკითხი არც კი იქნა დაყენებული კონფერენციის განსახილველად. ამის გამო უცხოეთისათვის მიმართვას ა. ჯორჯაძე ყოვლად უსარგებლო საქმედ თვლის[114].

საქართველოს ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით სოციალისტ-ფედერალისტების 1907 წელს მიღებულ პროგრამაში წამოყენებულია მოთხოვნა: „ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობა. ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს უფლება აქვთ შეადგინონ დროებითი ან სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძლიერებლად"[115]. აქ გაზეთ „საქართველოს" მიერ წამოყენებულ პროგრამიდან უკანდახევასთან გვაქვს საქმე. იქ გარკვევით იყო ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამის შემდეგი ფორმულა: „საქართველოს ავტონომია, კავკასიის ფედერაცია და რუსეთის დიდი კონფედერაცია"[116]. მაგრამ როგორც თვითონ არჩილ ჯორჯაძეც აღნიშნავს, ჯერ კიდევ თვით გაზეთმა „საქართველომ" თანდათანობით უკანა რიგზე დააყენა ფედერაციისა და კონფედერაციის საკითხი და წინ წამოსწია საქართველოს ავტონომიის საკითხი. ამან სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამაში, როგორც ვნახეთ, სათანადო ასახვა ჰპოვა. მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ, თითქმის უცვლელად მიიღო გაზეთ „საქართველოს" სამი მთავარი დებულება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ესმოდა მას თითოეული მათგანი. ეს დებულებანია: „ავტონომიის ტ ე რ ი ტ ო რ ი ა, ის არის, სადაც ქართველები სახლობენ. ავტონომიური დაწესებულებანი დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ საფუძველზე შენდებიან. საქართველოს ავტონომია არის ავტონომია პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი და არა ადმინისტრატიული. სახელმწიფოებრივობა, დემოკრატიზმი, ტერიტორია — ამ ელემენტებისაგან შესდგება მომავალი ორგანიზაცია საქართველოს ავტონომიისა", წერდა ა. ჯორჯაძე 1909 წელს[117]. აი როგორ „დასძლია" სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ და მისმა ფუძემდებელმა არჩილ ჯორჯაძემ ის

---

114 ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 237.

115 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამა და წესდება, 1907, გვ. 7.

116 ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 198.

117 ი ქ ვ ე, გვ. 199.

„ცალმხრივობა“, რომელსაც ეს უკანასკნელი „ამჩნევდა“ „კვალსა“ და „ივერიას“. ამ „ცალმხრივობის“ შესახებ 1901 წელს ა. ჯორჯაძე წერდა: „...თუ „კვალს“ ჰქონდა ცალმხრივი დემოკრატიზმის ხასიათი, „ივერიას“ არა ნაკლებ ცალმხრივი პატრიოტიზმის დაღი ემჩნეოდა, და აი თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ დააყენა გამოსარკვევად მესამე კითხვა, ხალხისა და ეროვნების, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირება იყო საჭირო“[118]. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაისახა მიზნად „ახალმა ჯგუფმა“ „ახალმა პარტიამ“ — სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ, თუ როგორ გადასწყვიტა იგი მან, ამას თვალსაჩინოთ გვიჩვენებს მისი პროგრამა და პრაქტიკული მოღვაწეობა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ნაციონალურმა საკითხმა დიდი აქტუალობა შეიძინა საქართველოში. ამ პერიოდის შრომებში ა. ჯორჯაძე აყალიბებს თავის თეორიას ერის შესახებ, რომელსაც მან ჯერ კიდევ 1901 წელს ჩაუყარა საფუძვლები. 1901 წელს სტატიაში — „ეროვნული საკითხის განმარტების გამო“ ა. ჯორჯაძე წერდა: „ეროვნება, ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც ერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან... ოჯახების შეერთებიდან თან-და-თან თემი შესდგა, თემების შეერთებიდან — ხალხი და ხალხი ცნობიერების გაღვიძების წყალობით ერად იქცა. ასე რომ მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავისი ბალხსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე, ერი თვით მცოდნე ხალხია. ეროვნება — შეგნებაა ნათესავობისა და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის, შეგნებაა აგრეთვე იმ აზრისა, რომ ეგ კავშირი სხვა, უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლისათვის აუცილებელი და უსაჭიროესი იარაღია“[119]. ამრიგად, ა. ჯორჯაძის მიხედვით, გამოდის, რომ ეროვნება ისტორიული კატეგორიაა, რომელსაც ქმნის შეგნება იმისა, რომ „განსაზღვრულ ადამიანთა შორის“ არსებობს ნათესაური (ეთნიკური), ნივთიერი (ეკონომიური) და სულიერი (იდეური) კავშირი. ასეთი კავშირები „განსაზღვრულ ადამიანთა შორის“ შეიძლება ადრეც არსებობდეს თავდაცვის საჭიროებისათვის, მაგრამ „განსაზღვრულ ადამიანთა“ გაერთიანება — ხალხი იქცევა ერად, მხოლოდ

[118] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი IV, გვ. 160—161.
[119] ი ქ ვ ე, გვ. 54.

მის შემდეგ, რაც ის შეიგნებს ამ კავშირის არსებობას. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ შეიძლება „განსაზღვრულ ადამიანთა“ ჯგუფმა, ხალხმა შეიგნოს მათ შორის არსებული კავშირი, როგორ შეიძლება ხალხმა მიაღწიოს ეროვნულ თვითცნობიერებას? ამას ხალხი აღწევს საკუთარი ინტელიგენციის დახმარებით, ინტელიგენციას აქ გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ჯორჯაძე. მაგრამ მის შემდეგ, რაც, მას აქ, ქართველმა მარქსისტებმა რუსული ნაროდნიკობის სუბიექტური იდეალიზმი აღმოუჩინეს[120], და რაც ავტონომიის მოსაპოვებლად საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის აუცილებლობის დამტკიცება დასჭირდა, თავისი მზერა, იმედები ინტელიგენციიდან სახელმწიფოზე გადაიტანა, თუმცა ინტელიგენციისადმი ორიენტაციაზე საბოლოოდ მაინც არ აუღია ხელი.

1907 წელს ა. ჯორჯაძე გამოვიდა გაზეთ „ისარში“ წერილების სერიით, რომელსაც საერთო სათაურად ჰქონდა „ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო (სოციოლოგიური საუბარი)“. ამ სტატიებში ჯორჯაძე ამტკიცებს, რომ „ეროვნება ისახება და ჩნდება სწორედ იმ ხანაში, როდესაც საზოგადოება საგვარეულო წესს თავს აღწევს და როდესაც მყარდება და მკვიდრდება სახელმწიფო“. აქ, ჯორჯაძე უარყოფს სახელმწიფოსა და ეროვნებას შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, იგი წერს: „სახელმწიფო აშკარაა, ერთი იმ ძალთაგანი იყო, რომელმაც შობიერების ხანაში ბებიობის საქმე გაუწია ეროვნებას“[121]. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ხელს იღებს ამ დებულებაზე და წერს: „...არც ენას, არც რასას, არც საერთო თავგადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს სასწაული არ მოუხდენია არც ამ ელემენტებს, ერთად აღებულებს. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო სხვაგვარი ძალა. საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც ეათქვეფისა, ჩაკირვისა და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო“[122], და ბოლოს, დაასკვნის: „მე ვამბობ სახელმწიფომ შვა ერი“[123]. ა. ჯორჯაძის აზრით, ქართული „სახელმწიფო ორგანოები (მეფობა) ჰქმნიდა ქართულ ეროვნებას. მოისპო მეფობა, დაძაბუნდა, შეირყა ეროვ-

---

[120] იხ. ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 88.
[121] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 2.
[122] იქვე, გვ. 43.
[123] იქვე, გვ. 84.

ნებაც"[124]. აქედან, შეიძლება აზრი შეგვექმნას, თითქოს ქართული ეროვნების აღორძინებისათვის ჯორჯაძე ქართული მეფობის აღდგენას ითხოვდეს, ეს უსამართლობა იქნებოდა უდავოდ! აი, მოვუსმინოთ მას: „საქართველოს სახელმწიფოებრივობა იყო გამომსახველი, გამამტკიცებელი და მცველი დარაჯი ქართულ ეროვნებისა. მე-XIX საუკუნის დასაწყისში მოსპეს ეს ორგანო, მასაზრდოვებელი და მფარველი ამ ეროვნებისა. მოხდა გათიშვა ეროვნებისა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შორის. ამის შედეგი არაა მარტო დაძაბუნება და შესუსტება ქართულ ეროვნებისა, არამედ შემუშავება პირობებისა ეროვნების სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედამიწის ზურგიდან აღგვისა. ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, ეროვნული კულტურის აღორძინებისა და დაცვისათვის, საჭიროა იმ ორგანოსი, იმ ორგანიზაციის აღორძინება, რომელსაც ასის წლის წინად ძალ-მომრეობით მოუღეს ბოლო, საჭიროა ქართული სახელმწიფოებრივ პრინციპის გამოცოცხლება".

„აქედან გამომდინარეობს, — განაგრძობს ა. ჯორჯაძე, — ჩვენი მოთხოვნა ავტონომიისა, ავტონომიურ-დემოკრატიულ თვითმმართველობისა, რომელიც დღევანდელ პირობების მიხედვით ქართული სახელმწიფოებრივობის შინაარსად ჩაითვლება"[125]. ამ საკითხს იგი კვლავ დაუბრუნდა 1909 წელს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული სტატიით — „კამათის დასასრული". აქ მან, აკრიტიკებდა რა ერის „მარქსისტულ" თეორიას, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ეროვნულ საკითხზე ნ. ჟორდანიას თვალსაზრისს, მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი ერის წარმოშობისა და სახელმწიფოს როლის შესახებ ეროვნული თვითშემეცნების განვითარებაში. იგი წერდა: „ეროვნების ჩასახვისა და შემუშავების პროცესში სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მთავარი ადგილი უჭირავს. ეს აზრი განსაკუთრებით ნათლად მტკიცდება საქართველოს ისტორიის გათვალისწინებით. აქ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადაბმულნი... მთავარი ძალა ქართული ეროვნების ჩასახვისა და განვითარებისა ძველს დროში ერთმე-

[124] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 117.

[125] ი ქ ვ ე, გვ. 132 (ხაზგასმა ჩემია, ი. კ.).

ფობა იყო"[126]. როგორც ვნახეთ, ყოველივე ეს ა. ჯორჯაძეს დასჭირდა საქართველოს ავტონომიის აუცილებლობის დასაბუთებისათვის.

საქართველოს ავტონომია, ჯორჯაძის აზრით, აუცილებელი იყო იმ ალტერნატივის გამო, რომლის წინაშეც აღმოჩნდა საქართველო, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. „წინად იდგა პრობლემა, — წერდა ა. ჯორჯაძე, — ან გამუსულმანება, ან მფარველობა რუსეთისა. ახლა წარმოიშვა ახალი ზრუნვა და ახალი ფიქრი —ან გათქვეფა სლავიანთა ზღვაში და შთანთქვა საქართველოსი რუსეთის მიერ, ან ეროვნული კულტურის განვითარება და დაცვა ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ"[127]. ქართველი ხალხისათვის ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, იგი უარყოფდა ერის სიკვდილს, გადაშენების შესაძლებლობას. მისი აზრით, „ერი უძლურდება და კვდება არაბიოლოგიური კანონის ძალით, არამედ სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობის გამო", ამიტომ მისი აზრით, უნდა შეიცვალოს არსებული სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რისთვისაც „ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისის არსებობა-განვითარებისა"[128]. ამას წერდა იგი 1910 წელს, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მან ერთერთმა პირველმა გააკრიტიკა და დაგმო „ვეხის" მოღვაწენი და რეაქციის შემდეგდროინდელი დაცემულობის პერიოდის „ლიტერატურული საქმიანობა" (ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შესძლო და გააკეთა ეს მან)[129], მაშინ საეჭვოდ მოგვეჩვენება ა. ჯორჯაძის „დაცემულობის პერიოდის" პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ მოღვაწედ, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დასახვა.

საქართველოს, როგორც გასული საუკუნის, ისე მიმდინარე საუკუნის, თითქმის ყველა, მეტად თუ ნაკლებად გამოჩენილ საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი აღიარებს ერს როგორც ისტორიულ კატეგორიას. არჩილ ჯორჯაძე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერის წარმოქმნას ხალხში თვითცნობიერების განვითარებასა და ხასელმწიფო-

---

[126] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე. თხზულებანი, წიგნი II, გვ. 171.

[127] ი ქ ვ ე ., გვ. 226.

[128] ი ქ ვ ე ., გვ. 246—247.

[129] ი ქ ვ ე ., გვ. 191—198. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ა. ჯორჯაძის აზრთა მსვლელობის კრიტიკულად განხილვის პირობებში უფრო მარტივად გადმოცემა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით მისთვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობათა გამო. ა ვ ტ.

ებრივობის ჩასახვას უკავშირებდა. ი. ფანცხავა (ფხა) სამართლიანად აკრიტიკებდა ნოე ჟორდანიას, რომელიც წერდა: „ერი ისტორიის წინა დროებში გამოირკვა, ერის გაჩენის კითხვა რასის კითხვაა, რაიცა იკვლევა ანთროპოლოგიისა და ლინგვისტიკის მიერ. სოციოლოგია და ისტორია ამას ვერ მიწვდება, ვინაიდან ერი, ე. ი. ადამიანთა კრებული ერთი გვარტომობისა, ერთ ენაზე მოლაპარაკე გამოირკვა ისტორიის წინა დროს“[130]. ამის წინააღმდეგ ი. ფანცხავა წერდა: „ისტორიის წინა დროებში.. გამოირკვა ადამიანთა შეკრებულება, ეთნოგრაფიული გუნდი, რასა და არა ნაცია, და არა ერი“, რადგან „ნაცია მთლათ ერთიანათ ნაყოფია ისტორიისა“... „ეთნოგრაფიული გუნდი და რასა ერი როდია; ერთი ნაყოფია ისტორიის წინა დროებისა და გარეშე ბუნების ზედ-მოქმედებისა. ერი კი პირმშო შვილია ისტორიული ცხოვრებისა[131].

ქართული ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი მ. წერეთელი („Baton“) ერს შემდეგნაირად განმარტავდა: „ერი არის სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი (ტარდის სიტყვით), შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა — საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიაა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა“[132]. მ. წერეთლის აზრით, „ხალხი... ორგანული მასალაა ერის ორგანიზმის შესაქმნელად“, იგი „განსაზღვრულ პირობებში ჰქმნის დიდსა და რთულს, ცოცხალსა და მგრძნობიარეს, შეგნებულსა და მომქმედს სოციალურ ორგანიზმს, — ერს“[133]. აქ აშკარად სჩანს ავტორის თვალსაზრისი ერზე, როგორც ისტორიულ კატეგორიაზე, სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია თვით ერის რაობის განმარტება.

---

[130] „კვალი“, 1895 წლის 28 მაისი, № 23.

[131] ი. ფანცხავა, თხზულებანი, გვ. 96—97.

[132] Baton, ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით, თბილისი, 1910, გვ. 130—131.

[133] იქვე, გვ. 106.

ერის ეს განმარტება იმსახურებს მოწონებას „მარქსისტ“ აკ. ჩხენკელისას, რომელმაც მ. წერეთლის კრიტიკის სპეციალური წიგნი „ერი თუ კაცობრიობა“ მიუძღვნა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აკ. ჩხენკელისათვის „ერი არა მარტო ისტორიული კატეგორია არის, არამედ ის შედარებით ახალი დროის პირმშოცაა“, კაპიტალიზმის ეპოქის კატეგორიაა[134]. მაგრამ ერის თვით არსების განმარტებაში იგი ვერ გასცილდა ა. ჯორჯაძის, მ. წერეთლისა და სხვათა თვალსაზრისს. „თვითშეგნება, ინდივიდუალობა, რომელსაც იხსენიებს აგრეთვე ბ. „Bâton“ -იც თავის განსაზღვრაში, ყოველ სრულ ასაკიდან ერის აუცილებელი, თანდაყოლილი თვისებაა. — უამისოთ ერი ვერ ერობს.. ამრიგად, თავი და თავი ერში ფსიქოლოგიური მომენტია. ერი არის ისეთი სოციალური ორგანიზმი, რომლის ხორცშესხმულ არსებობას, ხელუხლებელ და განყოფილ ინდივიდუალობისას, ინსტიქტიურათ ზრძნობენ და ინტელექტუალურად სჭვრეტენ თვით მისი შემადგენელნი წევრნი“[135].

მ. წერეთელი, ისე როგორც ა. ჯორჯაძე, გადამწყვეტ როლს ხალხის ერად ფორმირებაში აკუთვნებს თვითშემეცნებასა და სახელმწიფოებრიობას. „როდესაც კი ხალხის სხვა და სხვა ნაწილები, — წერდა მ. წერეთელი, — პოლიტიკურად და სხვა მხრივაც დამოუკიდებელი, თითქმის ცალკე, მაგრამ მონათესავე სოციალური ორგანიზმები ერთდებიან ერთ დიდ სოციალურ ორგანიზმად — ერთის ენითა, სარწმუნოებითა, სამართლითა და პოლიტიკითა — მაშინ ხალხი ხდება ერად. იგი სახელმწიფო ორგანოების საშუალებით აარსებს ასეთს გაერთიანებულ საზოგადოებას; და მას შემდეგ მან კიდეც რომ დაჰკარგოს პოლიტიკური და იერიდიული ორგანო თავისი საზოგადოებისა, იგი მაინც ერად რჩება, რადგანაც ერთობა უკვე ჰქონია, იგი უკვე ყოფილა გაერთიანებული კონკრეტული სოციალური ორგანიზმი“...[136] როგორც ვხედავთ, ჯერ ერთი, ავტორის აზრით, როდესაც საზოგადოებაში მიღწეულია ენის, რელიგიის, სამართალისა და პოლიტიკის, ე. ი. სახელმწიფოებრიობის ერთობა, მაშინ ხალხი ხდება ერად; მეორე, რაკი ერი ერთხელ ჩამოყალიბდა,

---

[134] აკ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, ერი თუ კაცობრიობა, თბილისი, 1912, გვ. 22, 23.
[135] ი ქ ვ ე, გვ. 24.
[136] ამის აღიარება აუცილებელი იყო ქართული ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლისათვის.

მან კიდეც რომ დაკარგოს სახელმწიფოებრიობა, იგი მაინც რჩება ერად; მესამე, როგორც აქედან, ისე მ. წერეთლის წიგნის სხვა ადგილებიდან სჩანს, რომ იგი ერების განვითარების პერსპექტივას ისტორიზმის თვალსაზრისით ვერ განიხილავს, იგი ბოლომდე ვერ რჩება ისტორიზმის პოზიციაზე, მას ერი, რაკი იგი ერთხელ შეიქმნა, ამიერიდან მარადიულ კატეგორიად მიაჩნია. „როგორც რჯულსა და ენას, — წერდა მ. წერეთელი, — ისე ერთობ ეროვნულს, სოციალურ ინდივიდუალობას არ დაჰკარგავენ სხვადასხვა კონკრეტული საზოგადოებანი კაცობრიობისა. პირიქით, კიდევაც მეტი მრავალფეროვანება წარმოიშვის, და ამ მხრით კოსმოპოლიტია, ე. ი. ერთი საკაცობრიო საზოგადოება — აბსურდია და შეუძლებელი[137]. იგი, მ. წერეთლის აზრით, „სასურველიც არ არის"[138]. ასევე არა სასურველად და უტოპიად მიაჩნია მას ერთი საკაცობრიო ენის შექმნა. „ორიოდე პატარა ენის მოსპობის გამო, — წერდა მ. წერეთელი, — კანონად დასახვა საზოგადოდ ენათა შემცირებისა და ერთი ენის მომავალში გაჩენისა, — არა მეცნიერული და ბავშვური მსჯელობაა"... „ან იქნებ იმის იმედი აქვთ, — განაგრძობს ავტორი, — რომ ძალით გაამეფებენ ერთს რომელიმე ენას ქვეყანაზედ? — ეს პირდაპირ აბსურდია"[139].

მ. წერეთელი კოსმოპოლიტიზმის დაუძინებელი მტერია, იგი თავგამოდებულ ინტერნაციონალისტად წარმოგვიდგენს თავის თავს. მისი აზრით, ინტერნაციონალიზმი სასურველიც არის და შესაძლებელიც[140]. „ნამდვილი ინტერნაციონალიზმი,—წერდა მ. წერეთელი, — დღეს ვერ ასცილდება სახელმწიფოთა დაშლის და ერთა განთავისუფლების აუცილებლობის" ალიარებას. იგი აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატიას („დღევანდელ სოციალისტებს") სახელმწიფოსადმი მხარდაჭერისათვის, სახელმწიფოებრივი საზღვრების დაცვისათვის და „შოვინისტებსა და იმპერიალისტებს" უწოდებს მათ[141]. ამის შემდეგ მ. წერეთელი გადადის კონკრეტულად საქართველოს ისტორიული ვითარების განხილვაზე და აღნიშნავს, რომ „ქართველი ერი —ერთი დამონებული ერთაგანია. მისთვის უმთავრესი პრობლემა — თავი-

---

137 Bâton, ერი და კაცობრიობა, გვ. 190.

138 იქვე, გვ. 177, 191.

139 იქვე, გვ. 187, 139.

140 იქვე, გვ. 177.

141 იქვე, გვ. 370.

სუფლებაა, გარეგანი. ხოლო შინაგანი პრობლემა — სოციალიზმი, რამდენადაც საერთოდ ეს პრობლემა არსებობს და შესაძლებელია მისი განხორციელება.

მე პირადად შვილი ქართველის ერისა, ვაღიარებ, რომ ჩემი რწმენა ანარქიისა არა თუ არ ეწინააღმდეგება ქართველ ერის გარეგან თავისუფლებას, არამედ უკანასკნელი აუცილებელია პირველის განხორციელებისათვის; უამისოდ ფუჭია ჩვენი ანარქიზმი, სოციალიზმი და სხვა სოციალური იდეალები, რადგანაც ძალით გვართმევენ ეროვნულ სულსა და ლამის არის სრულიად ამოგვართვან"[142]. აქ, მ. წერეთელი, ისე როგორც ა. ჯორჯაძე, სოციალურ კითხვას განიხილავს როგორც ეროვნული კითხვისადმი დაქვემდებარებულ საკითხს. მისი აზრით, ერის დამოუკიდებლობის გარეშე „არავითარ იდეალს ჩვენთვის აზრი არა აქვს", მონობას დიდი არაფერი შეუქმნია, ეროვნულად თავისუფალი ხალხი სოციალურ კითხვასაც უკეთ გადაწყვეტს, სუვერენობა ერს უორკეცებს საკუთარი სოციალური შემოქმედების ნიჭს და ა. შ. ყოველივე ეს მარქსიზმისათვის ნიშნავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ამიტომ „ნაციონალიზმი ის საერთო ნიადაგი იყო, რომელსაც ქართველი ანარქისტებისა და ფედერალისტების კავშირი ემყარებოდა"[143].

მ. წერეთლის „ერი და კაცობრიობა" ერთი ძირითადი იდეის დასაბუთებას ემსახურება — ესაა ერების გაქრობის შეუძლებლობისა და მათი მარადიულობის აღიარება. მ. წერეთლისათვის კაცობრიობა განყენებული ცნებაა, ერი კი კონკრეტული. ამიტომ მისი აზრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კოსმოპოლიტიზმი შეუძლებელი უაზრობაა". მ. წერეთლის წიგნის ამ ძირითად იდეას „მარქსისტ კრიტიკოსმა" აკ. ჩხენკელმა სხვა ვერაფერი დაუპირისპირა გარდა შიშველი განცხადებისა: „ჩვენს დროში ბევრს აინტერესებს კითხვა — გაითქვიფებიან თუ არა ოდესმე ერნი კაცობრიობის დიდ ოკეანეში, ან სხვა სიტყვით — მოისპობიან თუ არა ოდესმე ერნი, როგორც ასეთნი? ბ. „Bâton"-ს ერთობ მწვავეთ ჩასწვეთებია ეს კითხვა გულის სიღრმეში, კაცობრიობა მას მოსჩვენებია რაღაც საშიშ ტარტაროზად, რომელიც ნთქავს ყველაფერს და მათ შორის ერსაც, ამიტომაც ასე ცხარეთ ეკვეთება იგი მას. დავამშვიდებ ავტორს, — ეს

---

[142] B â t o n, ერი და კაცობრიობა, გვ. 373.

[143] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 380.

კითხვა—აკადემიური ხასიათისაა და მისი თვით ცხოვრების მიერ გადაჭრა შორეულ მომავალს ეკუთვნის"[144]. ეს ვერაფერი პასუხია კაცისაგან, რომელიც თავისთავს მარქსისტად თვლიდა.

სახელმწიფოებრიობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხალხის ერად ფორმირებაში დიდ როლს აკუთვნებდნენ ქართველი პუბლიცისტები. ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ ერი არ წყვეტსო არსებობას სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, რაც ანარქიზმისათვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა, ამით ისინი კარგად ათავსებდნენ თავიანთ ეროვნულ პროგრამას ანარქიზმის ანტისახელმწიფოებრივ თვალსაზრისთან. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ ქართული ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის მ. წერეთლის (Bäton) შეხედულებას სოციალურ რევოლუციაზე, სახელმწიფოზე, კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურაზე.

1906 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში გამოვიდა ჩვენთვის უკვე ცნობილი მ. წერეთლის წიგნი: „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია". ავტორმა აქ „ანარქიზმის" ნიშანდობლივი ხასიათი ჩამოაყალიბა შემდეგი სამი ცნებით: ანარქიზმის იდეალია „კომუნიზმი და ანარქია. მისი საშუალება — ძალდატანებითი სოციალური რევოლუცია"[145]. მ. წერეთელმა მკაცრად გააკრიტიკა „მშვიდობიანი რევოლუციისა" და „პარლამენტარიზმის" მომხრეები, გაილაშქრა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. „როდესაც ესა თუ ის დაწესებულება ძალ-დატანებაზედ არ არის დამყარებული, — წერდა მ. წერეთელი, — მაშინ მისი მოსპობა რევოლუციით, ძალ-დატანებით. არ არის აუცილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი რევოლუცია აუცილებლად ძალ-დატანებითი უნდა იყოს. ამიტომაც არის აბსურდი სიტყვა — „მშვიდობიანი რევოლუცია", — იგი ისტორიული აბსურდია, სხვა არა იყოს რა"[146]. ამასთან დაკავშირებით იგი აკრიტიკებს „პარლამენტარიზმით" გატაცებულებს, ასეთ გატაცებას იგი „პარლამენტარულ კრეტინიზმს" უწოდებს. ამ ბრალდებას იგი უმთავრესად ედ. ბერნშტეინის მომხრე „მარქსისტებს" უყენებდა, როდესაც წერდა, რომ ბერნშტეინის მიმდევარი „სრულიად ჩაიფლა

[144] ა. ჩხენკელი, ერი თუ კაცობრიობა, გვ. 68.

[145] Bäton, სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია, თბილისი, 1906, გვ. 31.

[146] იქვე, გვ. 28.

კანონზომიერების უფსკრულში და საარჩევნო კენჭი ერთადერთი იარაღად აღიარა პრაქტიკულად, და ასე გასინჯეთ — თეორეტიულადაც, მრავალმა მათგანმა სოციალური რევოლუციის მოხდენისათვის"[147]. შემდეგ გადმოსცემს ანარქიზმის თვალსაზრისს და დაასკვნის: „აქედან ცხადად, ლოღიკურად გამომდინარეობს ჩვენი ტაქტიკის ნიშანდობლივი ხასიათი — ძალდატანებითი რევოლუცია და უარყოფა კანონიერებისა, პარლამენტარული კრეტინიზმისა..."[148]

ძალდატანებითი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მ. წერეთელი უარყოფდა სახელმწიფოს საჭიროებას, კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის შექმნის საჭიროებასა და შესაძლებლობას. „პროლეტარიატის დიქტატურა, — წერდა იგი, — პირდაპირი აზრით ყოველთ შეუძლებელია, რადგან დიქტატურის მომხრენი სახელმწიფოისტები არიან"[149]. ეს შეცდომა, პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნა, მისი აზრით, „თანამედროვე ეგრეთწოდებულ რევოლუციონურ ს. დ-ებმა (ე. ი. ბოლშევიკებმა, ი. კ.) მთლად გადმოიღეს უკრიტიკოდ და გადაუსინჯავად ბლანკისაგან"[150]. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი უნდა მოხდეს „ძალდამტანებელი თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაგივრად შექმნა იმგვარი ორგანიზაციისა, რომელიც დამყარებული იქნება თავისუფალ საზოგადოებრივობაზე, ნებაყოფლობით შეთანხმებაზე"[151]. ყოველივე ამას საფუძვლად ედო სახელმწიფოს წერეთლისეული გაგება. მას სახელმწიფო მიაჩნდა ერთი ეთნიკური ჯგუფის ბატონობად მეორეზე და არა კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციად[152]. ამ საკითხში იგი დიდად ჩამორჩა ა. ჯორჯაძეს, რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა როგორც კლასობრივი ბატონობის იარაღს[153].

ასე გვესახება მოკლედ და ზოგად ხაზებში ის იდეური გარემო, რომელშიაც ბრძოლით იკაფავდა გზას ისტორიული მატერიალიზმი და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

---

[147] Bâton, სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია, გვ. 5.

[148] იქვე, გვ. 20.

[149] იქვე, გვ. 45.

[150] იქვე, გვ. 46.

[151] იქვე, გვ. 19.

[152] იქვე, გვ. 92.

[153] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, გვ. 61.

§ 2. მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის სათავეებთან[154]

XIX საუკუნის 60—70-იანი წლების ქართულ პუბლიცისტიკას დიდად ჩამორჩა 80—90-იანი წლების პუბლიცისტიკა, იგი მაინც და მაინც არ ბრწყინავდა დიდი ნიჭისა და ერუდიციის, მეცნიერულად შეიარაღებული პუბლიცისტ-მოაზროვნეთა შემოქმედებით. ამას მაშინ ორი გარემოება მაინც განსაზღვრავდა. ჯერ ერთი, დიდი მესიტყვენი დიდ ეპოქას გააჩნია მხოლოდ, 80—90-იანი წლებში კი დიდი ამოცანები ასე თუ ისე გადაჭრილია, ახალი პროგრესული ამოცანები ჯერ კიდევ პრაქტიკულ აუცილებლობად არ გაუხდია ეპოქას, რის გამოც ქართული ინტელიგენციის ბევრი, სამოციანელებზე არანაკლებ ნიჭიერი წარმომადგენელი ვიწრო პრაქტიკული და ნაკლებად საჭირბოროტო საკითხების კვლევას ეწირებოდა, მათი ცოდნა და ლიტერატურული გამოცდილებაც ზოგჯერ ამაოდ იხარჯებოდა ზოგად თეორიულ და მეცნიერულ პრობლემების გადაწყვეტაზე. მეორე, ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი სრულიად არ იდგა თავის ეპოქის მეცნიერულ-თეორიულ ცოდნათა დონეზე. ვერ მოეძებნით ფილოსოფიისა და მეცნიერების ისეთ დარგს, რომლის გაშუქებისა და შესწავლისადმი ყურადღება არ გაემახვილებინოს მაშინდელ, 80—90-იანი წლების ქართულ პრესას, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ პრესის ფურცლებზე ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ერთ. [illegible]ოტად თუ ბევრად მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ფი[illegible]ოსოფიურ თუ სამეცნიერო ხასიათის ნაშრომს, მათ ყველას გამოუკ[illegible]ებლივ. ეტყობა ახალბედა ავტორის ხელი, ზოგჯერ ზერელობისა და დილეტანტობის დაღიც, რაც საბოლოო ანგარიშში. მაშინდელი ეპოქის საერთო ვითარებით უნდა აიხსნას. ჩვენში ახალ კლასს, ბურჟუაზიას არ შეუქმნია თავისი მძლავრი იდეოლოგია, უკეთ რომ ვთქვათ, არ ჩამოუყალიბებია იგი მეცნიერულად, როგორც ეს მან სხვაგან, ევროპასა და რუსეთში შესძლო; ამრიგად, ქართულ ბურჟუაზიას მაშინ ვერ აღმოაჩნდა თავისი მძლავრი იდეოლოგიური მესიტყვე; ასეთად, უფრო გვიან, მოევლინა მას არჩილ ჯორჯაძე და მისი ჯგუფი, მაგრამ მათ დაიგვიანეს და მალე იძულე-

---

154 სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, წინამდებარე ნაშრომის შემოკლების დროს ყველაზე მეტი შემცირება განიცადა ამ პარაგრაფმა. ავტორი.

ბულნი გახდნენ „სოციალისტურ“ დროშას ამოფარებოდნენ. ამიტომ ძირითადად მართალი იყო ალ. წულუკიძე, როდესაც ახასიათებდა გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იდეოლოგიურ ფრონტზე შექმნილ ვითარებას საქართველოში. ამ დროს „პატრიარქალური (ჩვენ დავუმატებდით, აგრეთვე ბურჟუაზიული. ი. კ.) წისწყობილებით შექმნილი იდეოლოგიური წარმოდგენები ბეუტავენ აქა-იქ, — წერდა ალ. წულუკიძე, — და ამ მბეუტავი ჭრაქის მატარებელნი არიან ჩვენი „ნაფიცი“ პუბლიცისტებიც“[155], ამიტომ ისინი „პატარა ცოდნით არიან აღჭურვილნი“[156]. მაგრამ. არა მარტო ესენი, არამედ საერთოდ „ჩვენისთანა განუვითარებელ ცხოვრებას, — აღნიშნავდა ალ. წულუკიძე, — რომელიც ცოტა ხანია რაც ახალ გზასდაადგა, დიდი ცოდნით აღჭურვილნი საზოგადო ცხოვრების მკვლევარნი არ მოეძებნება“. მაგრამ ალ. წულუკიძე სრულებით არ ჰკარგავდა იმედს, „ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, — წერდა იგი, — ჩვენც ახლო მომავალში გვეყოლება საზოგადო ცხოვრების რიგიანი ცოდნით შეიარაღებული მკვლევართა მთელი დასი“[157]. ეს „დასიც“, მართლაც მოგვეელინა „მესამე დასის“ სახით, მარქსისტ პუბლიცისტ-მოაზროვნეთა და საზოგადო მოღვაწეთა სახით.

საქართველოში მარქსისტულ-ლენინურ ისტორიულ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფეების შრომებმა[158]. მათი გავრცელება ნიშნავდა პროლეტარული იდეოლოგიის გამარჯვებას ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფდა მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების შექმნასა და შემდგომ განმტკიცებას.

---

155 ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 29.

156 ი ქ ე ე.

157 ი ქ ე ე.

158 ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცდა. უარყოს ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ა და მის მოწაფეთა შრომების მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის უშედეგოდ რჩება. მას ვერ შეელის საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიის გაყალბებაც კი, რასაც ესოდენ, უბოდიშოდ სჩადიან ბურჟუაზიული ისტორიკოსები, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთერთი ფრანგული ჟურნალის „Notes et études documentaires“, გამოლაშქრება 1957 წლის ოქტომბრის ნომრებში დაბეჭდილი სტატიით: „Apercie sur lévolution de la Conception de l'histoire en Union Sovietique“.

ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფეების შრომებს საქართველოში მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების ჩასაფუძვლებლად და განვითარებისათვის მარტო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ვ. ი. ლენინი და მისი მოწაფეები თავიანთ ბრავალრიცხოვან შრომებში, წერილებსა და სიტყვებში ეხებიან საქართველოს XIX და XX საუკუნის ისტორიის მრავალი ფუნდამენტალური საკითხის მარქსისტული ახსნისა და გაშუქების კლასიკურ ნიმუშს.

საქართველოში კ. მარქსი და მისი მოძღვრება საკმაოდ ცნობილი და პოპულარული გახდა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში[159], ხოლო ამას, სრულიად ბუნებრივად, 90-იან წლებში მოჰყვა პირველი მარქსისტული წრეებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება მარქსისტულ ლიტერატურაზე. ფართოდ გავრცელდა მარქსიზმის ფუძემდებელთა შრომები, მათ შორის კ. მარქსის: „კაპიტალი", „შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „დაქირავებული შრომა და კაპიტალი", „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში", ენგელსის — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ" და სხვა. ფართოდ გავრცელდა აგრეთვე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის შრომები (ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდეც კი). ასევე, გ. პლეხანოვის წიგნები: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა", „ჩვენი უთანხმოებანი", უფრო გვიან — „ისტორიაზე მონისტური თვალსაზრისის განვითარებისათვის" და სხვა.

ვ. ი. ლენინის შრომების გავრცელება საქართველოში იწყება დაახლოებით ამავე დროიდან — XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან. 1896—1897 წლებში არალეგალურად გავრცელდა აქ ლენინის შემდეგი შრომები: განმარტება „კანონისა ჯარიმების შესახებ", „ფრიადრიხ ენგელსი", „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნი სტრუვეს წიგნში" და სხვა. 1897 წლიდან საქართველოს ქართულ და რუსულ პრესაში სისტემატიურად გვხვდება მითითება ლენინის ცალკეულ შრომებზე[160].

---

[159] ს. გუგუშვილი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივებში 1898 წლამდე. თბილისი, 1956.

[160] ეს საკითხი სპეციალურად შესწავლილი აქვს ვ. ესაიაშვილს, თავის ნაშრომში „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები", თბ., 1959. გვ. 47—52.

საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდისათვის იყენებდნენ არა მარტო რუსულ ენაზე გამოსულ მარქსისტულ ლიტერატურას, არა-ჰედ თარგმნიდნენ მას და დიდი წარმატებითაც ავრცელებდნენ მოსახლეობაში. ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმატებით თარგმნიდნენ და ავრცელებდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინის და პლეხანოვის შრომებს.

ქართულ ენაზე ითარგმნა და არალეგალურად გავრცელდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", 1896 წელს ითარგმნა კ. კაუცკის „ჩვენი დროის ეროვნება", 1897 წელს მიხა ცხაკაიამ თარგმნა პოლ ლაფარგის ნაშრომი „მანქანის მნიშვნელობა" და სხვა.

1899 წელს ითარგმნა და გამოქვეყნდა გ. პლეხანოვის ნაშრომი „რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას. ანუ ადამიანის მოქმედებას"[161]. ქართულ ენაზე გამოქვეყნდა აგრეთვე გ. პლეხანოვის მეორე შრომა „როგორც ჰქუხს ისე არ წვიმს", რომელიც დაწერა ავტორმა ანარქისტების წინააღმდეგ ქართველი მარქსისტების თხოვნით[162]. ამის შემდეგ ქართველმა მარქსისტებმა ლენინის შრომების თარგმნაც მალე დაიწყეს[163]. ვ. ი. ლენინის შრომები დიდი წარმატებით ვრცელდებოდა საქართველოში. ლენინის პირველი მთარგმნელი იყო ფ. მახარაძე. მან თარგმნა ლენინის ნაშრომი „სოფლის ღარიბებს", რომელმაც დიდი გამარეკოლუციურებელი გავლენა იქონია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ი. ბ. სტალინის მიერ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შექმნილ ისეთ შრომებს როგორიც არიან: „რედაქციისაგან" (არალეგალური, სოციალ-დემოკრატიული გაზეთ „ბრძოლის" მოწინავე), „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები", „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა", „ანარქიზმი და სოციალიზმი?", „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" და სხვა.

---

161 იხ. ჟურ. „მ ო ა მ ბ ე", 1899, №№ 9, 10.

162 იხ. „ქ ვ ა ლ ი", 1901 წლის №№ 26, 27, 28.

163 იხ. Л. Чиковани, Ранные переводы марксистской литературы на грузинский язык (жур. „В о п р о с ы и с т о р и и К П С С", 1960 № 4).

ამასთან ერთად დიდმნიშვნელოვანია ა. წულუკიძის შრომები: „ოცნება და სინამდვილე", „ნაწყვეტი პოლიტიკური ეკონომიიდან", „ავტონომიის" შესახებ და სხვ. მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფ. მახარაძის შრომებმა: „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?", „ხალხური პოეზია და ბ-ნ მელიტონ კელენჯერიძე", „შინაური ვითარება საქართველოში XIX საუკუნეში" და სხვა. აღსანიშნავია აგრეთვე ლ. კეცხოველის „ასი წლის იუბილეს გამო" და მ. ცხაკაიას მოხსენება და გამოსვლები რსდმპ III ყრილობაზე.

საქართველოში მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 1905—1907 წლებში. ამ დროს ქართულ ენაზე დიდი ტირაჟით გამოდიოდა მარქსისტული ლიტერატურა. 1905 წელს ბათუმში გამოიცა კ. მარქსის ნაშრომი „ვაჭრობის თავისუფლება", რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა თბილისში გამოსცა ვ. ი. ლენინის შრომა, გაზეთ „ეპერიოდის" № 14-დან გადმოთარგმნილი—„რევოლუციონური დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობისა" და მისივე (რუსულიდან ფ. მახარაძის მიერ გადმოცემული) ნაშრომი „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობას". ამავე წელს გამოიცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", კ. ცეტკინის — „დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა" და სხვ.

1906 წელს ქართულ ენაზე გამოიცა კ. მარქსის „საქირაო შრომა და კაპიტალი", ა. ბებელის — „დედაკაცი", „კაცობრიობის იდეალი", „ქრისტიანობა და სოციალიზმი" და სხვ. ვ. ლიბკნეხტის —„რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს", „ჩვენი მიზანი" და სხვ. კ. ლიბკნეხტის — „ორი არსება", კ. კაუცკის — „ერფურტის პროგრამა", „ინტელიგენცია და პროლეტარიატი" და სხვ. პ. ლაფარგის — „ისტორიული იდეალიზმი და მატერიალიზმი" და ა. შ.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ორიგინალური მარქსისტული ლიტერატურა გამოირჩევა თავისი სიღრმით, მეცნიერული არგუმენტაციით, გულწრფელობითა და მებრძოლი სულისკვეთებით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ხალხზოგადოებრივი აზრის მარქსისტულ-ლენინური გზით წარმარ-

თვისათვის, პროლეტარული იდეოლოგიის გამარჯვებისათვის ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე.

მარქსისტული პუბლიცისტიკა და, საერთოდ, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული აზრი გახდა ახალი, მაღალი ეტაპი ქართული პუბლიცისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

ქართულ პრესაში მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დასაცავად და მისი პოპულარიზაციისათვის პირველი გამოვიდა ფილიპე მახარაძე. „ფილიპეს ლიტერატურული მოღვაწეობის სარბიელი, — წერს მისი ბიოგრაფი,—თავიდანვე ფართო იყო, იგი წერდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, გამოდიოდა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოსი, იგი იცავდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დებულებებს, დაუნდობლად ებრძოდა ყველას, ვინც თეოლოგიისა და იდეალიზმისაკენ იხრებოდა. ვინც ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდა საქართველოს ისტორიისადმი[164], ვინც უგულვებელყოფდა ქართულ კულტურას, ეროვნულ ენას“[165].

პირველი სტატია, რომელიც მიუძღვნა ფილიპე მახარაძემ მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების დაცვასა და პოპულარიზაციას იყო 1896 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებული სტატია — „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?“[166]. ეს სტატია მიმართული იყო ფრანგი კრიტიკოსის ბრიუნეტიერისა და მისი ქართველი თაყვანისმცემლისა და პოპულარიზატორის — კიტა აბაშიძის წინააღმდეგ. 1896 წელს გაზეთ „ივერიაში“ კიტა აბაშიძემ გამოაქვეყნა სტატია „ცხოვრება და ხელოვნება“[167], სადაც იგი ცდილობს გააცნოს ქართველ მკითხველს ფრანგი კრიტიკოსისა და ფილოსოფოსის ბრიუნეტიერის თვალსაზრისი მეცნიერებაზე, დაიცვას ის კრიტიკოსებისაგან, რომლებიც ბრალს სდებდნენ მას მეცნიერებისადმი მტრობაში და სხვ. იმავე წლის „კვალში“ დაიბეჭდა ფ. მახარაძის სტატია

---

[164] აქ ზოგიერთ შეცდომას ფ. მახარაძე მაინც ვერ ასცდა.

[165] ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1958, გვ. 21.

[166] იხ. „კ ვ ა ლ ი“, 1896 წლის №№ 13, 14, 15.

[167] გაზ. „ი ვ ე რ ი ა“, 1896 წლის №№ 42, 43.

„მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?“ ფ. მახარაძემ თავის სტატიაში ნათელჰყო ბრიუნეტიერის მიერ მეცნიერებისადმი წაყენებულ ბრალდებათა უსაფუძვლობა. „კვალის“ პუბლიცისტმა იმდროინდელ ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა მიღწევების განხილვის საფუძველზე დაამტკიცა, რომ „მეცნიერებამ შეგვისრულა არა მარტო ის დაპირებანი, რომლებსაც თავის დასაწყისში იძლეოდა, არამედ უფრო მეტი ისეთებიც, რომელზედაც მაშინ ფიქრი შეუძლებელი იყო“[168].

ფ. მახარაძის ეს სტატია ერთ-ერთი პირველი მარქსისტული სტატიაა, რომელიც ბრძოლას უცხადებს იდეალიზმსა და ხუცობას, იცავს მეცნიერებასა და აზროვნების დიალექტიკურ მეთოდს. ბრიუნეტიერის ცდამ გამოეცხადებინა მეცნიერება გაკოტრებულად იმის გამო, რომ მან ვერ გამოიცნო ბუნებისა და საზოგადოების განვითარების მთელი საიდუმლოება, ვერ მოგვცა ჰეშმარიტების ამომწურავი ცოდნა, კიტა აბაშიძის მიერ მისთვის მხარდაჭერის შემდეგაც, წარუმატებლად დამთავრდა. ფრანგი კრიტიკოსის ცდა — მეცნიერება შეეხლუდა რელიგიის სასარგებლოდ—რეაქციული და განწირული იყო. ყოველივე ეს ნათელჰყო ფ. მახარაძემ თავისი სტატიით.

ფ. მახარაძემ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან გააკრიტიკა ბრიუნეტიერის აზროვნების მეთოდი. მან დაასაბუთა, რომ ბრიუნეტიერი მეტაფიზიკოსია და, რომ, ამდენად მისთვის შეუძლებელია მეცნიერების მიღწევათა ნამდვილი დაფასება. ფ. მახარაძემ ქართველი მკითხველისათვის ცხადჰყო, რომ მეტაფიზიკური მეთოდი თანამედროვე პირობებში მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას და დაიცვა მარქსისტული დებულება მატერიალური სამყაროს მოვლენათა ძირის ურთიერკავშირისა და გაპირობებულობის შესახებ; მან აღნიშნა, რომ „უპირველესი პირობა მეცნიერული“ აზროვნებისა არის „განხილვა მოვლენათა ერთი მეორესთან დამოკიდებულებაში და ურთიერთობაში, ხოლო რადგანაც ეს ურთიერთობანი მუდამ იცვლებიან, ამიტომ ამ ცვლილებათა პირობების სისწორის განსაზღვრა შეადგენს იმ პირობას, ურომლისოდაც მეცნიერება შეუძლებელია“[169].

მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების დაცვისა და პოპულა-

---

168 ფ. მახარაძე. თხზულებანი, ტ. I, გვ. 124.

169 იქვე, გვ. 114.

რიზაციას ვხედავთ აგრეთვე ფ. მახარაძის სქელტანიან ნაშრომში: „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე“, რომელიც გამოვიდა 1897 წელს. ამ ნაშრომში ადგილი აქვს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის რიგ ძირითად დებულებათა არა მარტო მეცნიერულ გადმოცემასა და დაცვას, არამედ მის ბრწყინვალე გამოყენების ნიმუშსაც საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი რთული მოვლენების შეფასებასა და ახსნაში, როგორიცაა ლიტერატურა, ხელოვნება და ხალხური შემოქმედება. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ფ. მახარაძემ აღნიშნულ ნაშრომში გაილაშქრა ენერგეტიზმის წინააღმდეგაც. როგორც ცნობილია, ოსტვალდმა და სხვა იდეალისტებმა ენერგია მატერიას მოსწყვიტეს და დამოუკიდებელ სუბსტანციად გამოაცხადეს. ამის წინააღმდეგ ფ. მახარაძე წერდა: „არავინ იფიქროს, რომ ვითომც მატერია სხვა იყოს და ენერგია სხვა, ეს ორი მცნება ერთი და იგივე ა რ ს ე ბ ი ს გამომხატველია; მეცნიერებამ არ იცის არც მატერია უენერგიოთ და არც ენერგია უმატერიოთ“[170].

ისტორიული მატერიალიზმის დაცვისა და პოპულარიზაციისათვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ალ. წულუკიძის წერილების სერია — „საუბარი მკითხველთან“, რომლებიც 1899 წლის მაისსა და ივნისში ქვეყნდებოდა გაზეთ „კვალის“ ნომრებში. იგი თავისი მეცნიერული დონით გამოირჩევა ყველა იმ სტატიებისაგან, რომლებიც იბეჭდებოდა მაშინდელ ქართულ პრესაში. განსაკუთრებით საინტერესოა პირველი წერილი აღნიშნული სერიიდან, სადაც იგი გადმოსცემს მეცნიერების, მწერლობისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ისტორიას, სუბიექტური სოციოლოგიის კრიტიკას და სხვა. დანარჩენ წერილებში ავტორი იტალიელი მარქსისტის ა. ლაბრიოლას შეხედულებებს აცნობს ქართველ მკითხველს. აქ მეცნიერული სიღრმითა და თანამიმდევრობითაა გადმოცემული მარქსისტული მოძღვრება ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ.

ალ. წულუკიძე თავისი პირველი წერილით ამზადებს, წინასწარ ცნობებს აწვდის ქართველ მკითხველს ისტორიული მატერიალიზმის მთელი მწყობრი და თანმიმდევრული სისტემის გაგებისა და შეთვისებისათვის. ავტორი, უპირველესად ყოვლისა, აღნიშნავს საზოგადო-

[170] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ტ. V, გვ. 41.

ებრივი ყოფიერებისაგან საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამორჩენის ფაქტს. „რა თქმა უნდა, — წერდა ალ. წულუკიძე, —წარსული წესწყობილების სოციალური .ფსიქოლოგია უფრო დღეგრძელია თავის მშობელზე და ამიტომ მწერლობაც რამდენიმე ხანი ამ ფსიქოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება, სანამ ახალი საზოგადოებრივი განწყობილება სრულიად თვალსაჩინო ახალ სოციალურ სფეროს არ შექმნის“[171]. „ახალი სოციალური სფერო“ კი შემდგომ ასახვას იპოვის მწერლობაში, რადგან „მწერლობა სარკეა ცხოვრების“[172]. ალ. წულუკიძე საქართველოს ისტორიული განვითარების მაგალითზე ცხადჰყოფს აღნიშნულ დებულებას. იგი აღნიშნავს, რომ ნატურალური მეურნეობის ნანგრევებზე საქართველოშიაც აღმოცენდა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — კაპიტალიზმი. ამ საზოგადოებრივი წყობილების გარშემო უცხოეთში გამართულმა პოლემიკამ „ჩვენი პერიოდული გამოცემების ფურცლებზეც იჩინა თავი“[173], ე. ი. უცხოეთში და ჩვენში ცხოვრების ერთგვარმა მიმდინარეობამ გამოიწვია იქაც და აქაც საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი მიმდინარეობა, სხვა და სხვა შეხედულებათა ერთნაირი ჭიდილი. ერთი სიტყვით, ცხოვრება თვითონვე ჰქმნის აზრებს, იდეებს, ამ იდეებით აღჭურვილ ადამიანებს, თავის იდეოლოგებს. „ყველგან და ყოველთვის ასე იყო. — დაასკვნის ალ. წულუკიძე, — მეცნიერება ცხოვრებასთან ერთად იზრდებოდა. მეცნიერებას თვით ცხოვრება ჰქმნიდა და არა მეცნიერება ცხოვრებას“[174]. მაგრამ ალ. წულუკიძემ კარგად იცის. რომ მეცნიერება, ისე როგორც ცხოვრებაც, არ ვითარდება სწორხაზობრივად, განსაკუთრებით ეს ითქმის საზოგადოებათ-მეცნიერებაზე, რადგან „საზოგადო ცხოვრების კითხვები მეტათ რთული და მწვავეა; საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილს ის სხვადასხვანაირად ეინტერესება“[175].

ამიტომ ასეთი „ინტერესებით“, „იდეალებითა“ და „სურვილებით“ გატაცება საზოგადოებათმეცნიერებას ართმევს მიუდგომლობისა და ობიექტურობის ხასიათს. ამის გამო „უმეტესათ სურვილებით და იდეალებით გატაცებულნი მკვლევარნი, — წერდა ალ.

---

[171] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 28.
[172] იქვე, გვ. 29.
[173] იქვე.
[174] იქვე.
[175] იქვე, გვ. 30.

წულუკიძე, — საზოგადო მეცნიერებას სუბიექტურ ხასიათს აძლევ-დნენ და მით ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგს უკარგავდნენ"[176]. ეს „მრუდე გზა" მაგნედ მიაჩნია ავტორს ცხოვრებისა და მეცნიერებისათვის. ამით მან პირველმა აიმაღლა ხმა ქართველ მარქსისტთაგან სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ საქართველოში, სადაც, როგორც ვნახეთ, არც თუ ისე ცოტა მიმდევარი ჰყოლია სუბიექტურ სკოლას სოციოლოგიაში. ალ. წულუკიძე ასევე უარყოფს საზოგადოებათმეცნიერებაში ბურჟუაზიულ ობიექტივიზმს და აღიარებს მეცნიერების პარტიულობის პრინციპს. მან იცის, რომ „სურვილებს და იდეალებს ვერ განდევნით საზოგადომეცნიერებიდან, რადგან იგი სარკეა საზოგადოებრივი ჯგუფების, კლასიური ანტაგონიზმისა"[177].

საზოგადოებათმეცნიერებისათვის, კერძოდ ისტორიული მეცნიერებისათვის საკმარისი როდია „მარტო ისტორიული ფაქტების ცოდნა, მათი მწყობრათ და ლამაზათ მბობა. საჭიროა მეცნიერული მეთოდი, რომელიც ამ ფაქტებს რაიმე გარკვეულ ხასიათს მისცემს, მოვლენათა კავშირს იპოვის"[178]. ასეთი კავშირის აღმოჩენის გარეშე საზოგადოებათმეცნიერებას არ შეუძლია აღმოაჩინოს და დაასაბუთოს საზოგადოებრივი განვითარების კანონები და კანონზომიერებანი. „აი სწორეთ ამ კანონების დასადგენათ, — წერს ალ. წულუკიძე, — საჭიროა კვლევის მეთოდი, რომელმაც უნდა ჩამოასხას, აგოს მრავალგვარი ისტორიული ფაქტები ერთ მძივზე და საზოგადოებრივი განვითარების კანონი გვამცნოს"[179]. ეს საკითხი, აღნიშნავდა იგი, პრინციპიალურად გადაწყვიტა ისტორიულმა მატერიალიზმმა, როდესაც უარჰყო „მრავალი ფაქტორები ისტორიული პროცესისა" და „აღიარა ერთი ფაქტორი — საზოგადოების ეკონომიური შენობა"[180]. მაგრამ ალ. წულუკიძემ აქვე დაურთო შენიშვნა „ეს სრულიად არ ნიშნავსო, როგორც ზოგიერთ ჩვენს უვიც პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხო-

---

176 ალ. წ ულ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 30.
177 ი ქ ვ ე.
178 ი ქ ვ ე.
179 ი ქ ვ ე.
180 ი ქ ვ ე.

ლოთ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას"[181]. ამრიგად, „...კვლევის მეთოდი ნაპოვნია, სოციალური წყობილების მაჯისცემა აღნიშნულია და მეცნიერებას მხოლოთ დარჩენია ისტორიული წყაროების ახალი შემუშავება, ე. ი. მისი საქმეა აწ ამ მეთოდის საშუალებით ისტორიულ ფაქტებს ის ქერქი მოაძროს, რომელიც შემოხვევია გარს თავის წინსვლის განვითარების დროს"[182].

ასეთი შესავლის შემდეგ ალ. წულუკიძე ქართველ მკითხველს აცნობს ა. ლაბრიოლას წიგნის „ისტორიული მატერიალიზმის" ძირითად დებულებებსა და საერთო შინაარსს. ამას, სრულიად სამართლიანად დიდმნიშვნელობას აძლევდა თვით სტატიების ავტორიც. ამ მნიშვნელობის შესახებ იგი წერდა: „ეს წიგნი (ა. ლაბრიოლას აღნიშნული წიგნი, ი. კ.) სხვა ამგვარ წიგნებთან ერთად ბევრად გაუადვილებს ქართველ მკითხველს საზოგადო ცხოვრების მოვლენას მეცნიერული თვალით შეხედოს, ღრმათ ჩაუკვირდეს და მით შეძლება მიეცეს ზოგიერთ ტრადიციულ შეხედულებას თავი დააღწიოს. საგანს თავისი ნამდვილი სახელი უპოვნოს და ჩვენი „ნაფიცი" პუბლიცისტების გონებრივ მონობიდან განთავისუფლდეს. ეს კი აუცილებელ მოსამზადებელ „განსაწმენდელს" შეადგენს იმისათვის, ვისაც სურს ნამდვილ მეცნიერებას ცოტათი მაინც დაუახლოვდეს, გარემო სოციალური პირობები გამოარკვიოს და ბნელი გაინათოს"[183].

მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების დაცვისა და პოპულარიზაციისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალ. წულუკიძის წერილების სერიას საერთო სათაურით — „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", რომლებიც „კვალში" ქვეყნდებოდა 1897 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. ამ წერილების „შესავალში" მან გაილაშქრა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ისტორიული აუცილებლობის უარყოფა გზას უხსნის სუბიექტივიზმს, პიროვნების როლის გაზვიადებას ისტორიაში. ამასთან დაკავშირებით მან მოგვცა დიდ ისტორიულ პიროვნებათა როლის მარქსისტული განმარტება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი და ფრიად საჭირო იყო მაშინდელი ქართული სინამდვილისათვის, სადაც დიდი ხმაური და განგაში იყო ატეხილი, ვითომდა მარქსიზმის

[181] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 30.
[182] იქვე, გვ. 31.
[183] იქვე.

მიერ პიროვნების როლის უარყოფისა და ბრმა ფატალიზმის დამკვიდრების გამო. აი, რას წერდა ალ. წულუკიძე: „რა რომ აუცილებლობის კანონს უარვჰყოფთ და კერძო ადამიანის გონებრივ ძალას მივანიჭებთ ყოვლად შემძლებლობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, მაშინ მთელი ჩვენი მყობადი შემთხვევას უნდა შევადაროთ და ველოდოთ რომელიმე გენიოსის მოვლინებას, რათა ტანჯული ცხოვრება გაგვიუმჯობესოს და მთელი ისტორიული ჩარხი თავის ნებაზე შეატრიალ-შემოატრიალოს; მაგრამ, საბედნიეროთ ჩვენდა და სამწუხაროთ ამ აზრის მქადაგებელთა, ეს ასე არ არის. ყოველი გენიოსი მხოლოდ მაშინ გენიოსობს, როცა სოციალური პირობები ეთანხმება მის მოქმედებას, მისწრაფებას, ხელს უწყობს მისი აზრის განხორციელებას. ეს კი მაშინ შეიძლება, თუ გენიოსის აზრი თვით ცხოვრების აზრია, ე. ი. თუ მისი იდეალი თანამედროვე ცხოვრების პირობების აუცილებელი შედეგია; დიად ნიჭს შეუძლია მხოლოთ ამცნოს საზოგადოებას მისი ნამდვილი გზა და კვალი, გამოურკვიოს იმ ელემენტების ვითარება, რომელიც აუცილებლათ განსაზღვრულ მომავლისაკენ მიისწრაფვის.. .ამნაირათ, სოციალური პირობები შობს გენიოსებს, ჰქმნის მეცნიერებას და ზრდის ადამიანის გონებას“[184].

ამრიგად, ფ. მახარაძისა და ალ. წულუკიძის აღნიშნული სტატიებისა და შრომების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მათში: 1. სწორადაა განსაზღვრული საქართველოს ისტორიული განვითარების ხასიათი და პერსპექტივა; 2. სწორადაა განსაზღვრული საქართველოში სოციალური ურთიერთობისა და, კერძოდ, კლასთა ბრძოლის განვითარების ხასიათი და ეტაპი; 3. ძირითადად სწორადაა მოხაზული საზოგადოებათმეცნიერების, კერძოდ ისტორიული მეცნიერების ამოცანები და მეთოდი, მისი განვითარების პერსპექტივები; 4. სუბიექტური სოციოლოგია და ბურჟუაზიული ობიექტივიზმი გაკრიტიკებულია ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან, აღიარებულია მეცნიერებათა პარტიულობის პრინციპი; 5. დასაბუთებულია გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქვეყნად არსებული იდეური ატმოსფეროს, რომელსაც ჰქმნიდნენ თავადაზნაურულ-ლიბერალური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და ლიბერა-

[184] ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 47-48.

ლურ-ნაროდნიკული მიმდინარეობანი, მარქსისტული დაძლევის აუ-ცილებლობა.

XX საუკუნე, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დაიწყო ბურ-ჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის აშკარა პოლიტიკური და იდეო-ლოგიური ბრძოლის გაჩაღებით: მტკიცდებიან მუშათა სოციალ-დე-მოკრატიული ორგანიზაციები, ჰქმნიან თავიანთ ხელმძღვანელ-პარ-ტიულ ცენტრებსა და ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთს — „ბრძოლას“, ძლიერდება მასობრივი აგიტაცია და შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოწოდება თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წი-ნააღმდეგ, ძლიერდება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდა რევიზიონიზმისა და ყოველი ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ქართველი ბურჟუაზიაც ირაზმება, ახდენს მთელი თავისი სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაციას, ბურჟუაზიული ინ-ტელიგენციის ერთი ჯგუფი საზღვარგარეთ აარსებს გაზეთ „საქარ-თველოს“, მეორე ჯგუფი კი საქართველოში —„ცნობის ფურცელს“, ა. ჯორჯაძე იწყებს ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიის შეკოწიწე-ბას, გამოდის პროგრამული წერილების სერიით, ომს უცხადებს მარ-ქსიზმს, მის ფილოსოფიურ საფუძვლებს — დიალექტიკურ და ის-ტორიულ მატერიალიზმს.

პირველი ისევ ფილიპე მახარძე გამოვიდა მარქსიზმის ფილო-სოფიური საფუძვლების დასაცავად. მან პირველმა გაილაშქრა ა. ჯორჯაძის სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ თავისი სტატიით— „ისტორიული მატერიალიზმი“, რომელც 1901 წელს იბეჭდებოდა „კვალის“ ნომრებში.

ა. ჯორჯაძის აზრით, როგორც ზევითაც ვნახეთ, ისტორიული მა-ტერიალიზმი დამნაშავეა სამ მომაკვდინებელ ცოდვაში: 1. ისტორი-ული მატერიალიზმის მიხედვით „ცხოვრების პროცესი ობიექტუ-რია, ე. ი. უაზროა“ და ინტელიგენციას არა სთხოვს რჩევა-დარიგე-ბას; 2. ისტორიული მატერიალიზმი, როგორც ისეთი მცნება, „რო-მელიც ადამიანის გამოცდილების გარეშე არის“, მეტაფიზიკური სწავლაა და არა მეცნიერული; 3. ისტორიულ მატერიალიზმს ლოდი-კური კავშირი არა აქვს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასთან“.

ფ. მახარაძემ, წინააღმდეგ ა. ჯორჯაძისა, ცხადჰყო ქარ-თველი მკითხველისათვის, რომ „ცხოვრების პროცესის“ ობიექტური ხასიათის უარყოფა ძირს უთხრის არა მარ-ტო მეცნიერებას საზოგადოების შესახებ საერთოდ, არა-

მედ, ძირს უთხრის სუბიექტივიზმის საყვარელ იდეასაც პიროვნების თავისუფლებისა და ისტორიაში მისი გადამწყვეტი როლის შესახებ. ფ. მახარაძემ ცხადჰყო, რომ „ცხოვრების პროცესის“ ობიექტური ხასიათის აღიარება არის „ერთადერთი შესაძლებელი მეცნიერული განმარტება“. ამიტომ, როდესაც ა. ჯორჯაძე უარყოფს „ცხოვრების პროცესის“ ობიექტურ ხასიათს, და როდესაც „ცხოვრების პროცესს“ აცხადებს ადამიანთა ნება-სურვილზე დამოკიდებულ მდგომარეობად, მაშინ იგი მეცნიერებიდან სდევნის ობიექტივიზმს და მის ნაცვლად იქ ამეფებს „უკიდურეს სუბიექტივიზმს“. „ეს უდრის საზოგადოებრივი მეცნიერების სრულიად გაუქმებას, ლიკვიდაციას,—წერს ფ. მახარაძე, — მართლაც, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოვლენები არ ექვემდებარებიან არავითარ კანონს, თუ ყოველივე ეს დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის სურვილზე, იმ შემთხვევაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ეკარგება ყოველგვარი ნიადაგი; მასში ყოვლად შეუძლებელი ხდება არა რაიმე სისტემის შეტანა, არამედ უბრალო წესრიგის დამყარებაც კი“[185]. ამით ფ. მახარაძემ არა მარტო ა. ჯორჯაძეს გაუსწორა ანგარიში, არამედ მთელ ნეოკანტიანურ სოციოლოგიასაც გასცა საკადრისი პასუხი.

არჩილ ჯორჯაძეს „ცხოვრების პროცესის“ ობიექტური ხასიათის უარყოფა დასჭირდა პიროვნების თავისუფლების დასაბუთებისათვის, ისტორიაში მისთვის გადამწყვეტი როლის მინიჭებისათვის, მაგრამ, როგორც ფ. მახარაძემ გვიჩვენა, მან სრულიად საწინააღმდეგოს მიაღწია. ასე მაგალითად, პიროვნების მოქმედება, თუ არაფრითაა შეზღუდული, მაშინ არაა გამორიცხული, რომ მან დღევანდელი თავისი ნამოქმედარი თვითონვე მოშალოს ხვალინდელი დღის მოქმედებით. ან „სხვისი მოქმედება შვრება ამ სიკეთეს, მაშინ აბა რაღა მნიშვნელობა ან ფასი უნდა ჰქონდეს ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას საზოგადოებისათვის?“ — კითხულობს ფ. მახარაძე, და უპასუხებს — „არაფერი!“, ამიტომ „უმჯობესია გულზე ხელებდაკრეფილები შევყურებდეთ მომავალს, ვიდრე რაიმე ვიმოქმედოთ“. მხოლოდ ასეთ დასკვნამდე შეუძლია მიგვიყვანოს ჯორჯაძის ფილოსოფიამ. ამრიგად, დაასკვნის ფ. მახარაძე: „ჯორჯაძემ უარყო ობიექტივიზმი“, რათა ფართო სარბიელი მიენიჭებინა პიროვნებისათვის და ნაცვლად ამისა მიაღწია იმას, რომ პიროვნებას დაუკარგა ყოველგვარი

---

[185] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 63.

მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში"[186]. ამიტომ თავიდანვე საფუძველს მოკლებულია ჯორჯაძის „თეორია" ხალხის შესახებ როგორც „უგნურ, ბრიყვ ბრბოზე, რომელსაც „გონიერი" ინტელიგენცია საითკენაც სურს, იქით აქნევინებს თავს"[187]. ამრიგად. „მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება" სრულიად არ წარმოადგენს „გონიერ ადამიანთა სურვილების განხორციელებას", როგორც ეს ჰგონია არ. ჯორჯაძეს. მაგრამ ისტორიული მატერიალიზმი სრულიად არ უარყოფს პიროვნებისა და იდეების როლს ისტორიაში, რასაც ცილისმწამებლურად მიაწერდნენ მას ყველა ჯურის იდეალისტები.

ფ. მახარაძემ და სხვა ქართველმა მარქსისტებმა საკმარისად დაასაბუთეს აგრეთვე მარქსის ეკონომიური მოძღვრებისა და ისტორიული მატერიალიზმის ლოღიკური კავშირი, როდესაც დაიცვეს და განავითარეს მარქსისტული მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შესახებ, კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესის კანონზომიერი ხასიათის შესახებ, მისი შეცნობადობისა და სხვათა შესახებ. „ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, — რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელია მომავლის შეცნობა, — წერდა ფ. მახარაძე, რადგან იგი აუცილებელი შედეგია წარსულისა და აწმყოსი"[188]. აქედან გამომდინარეობს, რომ მეცნიერების არსებობა საზოგადოების შესახებ ისევეა შესაძლებელი, როგორც ბუნების შესახებ. რადგან „ცხოვრების პროცესის ობიექტური განმარტება, რომელსაც იძლევა ისტორიული მატერიალიზმი, შეადგენს საზოგადოებრივი მეცნიერების არსებობის ერთადერთ საფუძველს, ურომლისოდაც მისი არსებობა ყოველად წარმოუდგენელია"[189].

არჩილ ჯორჯაძის სუბიექტური, ნეოკანტიანური იდეალიზმის მეცნიერულსა და შედარებით ამომწურავ კრიტიკას გვაძლევს ალ. წულუკიძე თავის კლასიკურ ნაშრომში — „ოცნება და სინამდვილე". აქ ავტორმა სისტემატური სახით დაალაგა არჩილ ჯორჯაძის

---

[186] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 64.
[187] იქვე, გვ. 59.
[188] იქვე, გვ. 65.
[189] იქვე, გვ. 66.

მთელი პროგრამული „კრედო" და ცალ-ცალკე, მუხლობრივად გაკრიტიკა და დაარღვია იგი. ამასთან ერთად ბრწყინვალედ დაიცვა და განავითარა მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. ჩვენ აქ არ შევუდგებით აღნიშნულ ნაშრომში ალ. წულუკიძის მიერ ფილოსოფიური პრობლემების მარქსისტული გაშუქების დახასიათებას, რადგან იგი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანადაა დახასიათებული ქართულ ფილოსოფიურსა და ისტორიულ ლიტერატურაში. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ალ. წულუკიძის ნაშრომი „ოცნება და სინამდვილე" ერთადერთი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა, რომელმაც არა მარტო ამხილა ქართული ბურჟუაზიის პოლიტიკური პროგრამის ანტიხალხური და ანტიისტორიული ხასიათი, არამედ განსაზღვრა საქართველოს პროლეტარიატის ისტორიული როლი და ამოცანები XX საუკუნის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, არა მარტო დაიცვა მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლები, არამედ სუბიექტური სოციოლოგიის ღრმა მეცნიერული კრიტიკით გაამდიდრა მარქსისტული ფილოსოფიის არსენალი და, მაშასადამე, კიდეც განავითარა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

ალ. წულუკიძის „ოცნება და სინამდვილის" შემდეგ ქართულ მარქსისტულ ლიტერატურას შეემატა ი. ბ. სტალინის მარქსისტული, ფილოსოფიური ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?". „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" იბეჭდებოდა ქართულ ბოლშევიკურ გაზეთებში: „ახალი დროება", „ჩვენი ცხოვრება" და „დრო"-ში 1906 წლის დეკემბრიდან, ვიდრე 1907 წლის აპრილამდე, ჩათვლით.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, როგორც ცნობილია, მეტად გააქტიურდნენ ანარქისტები. ისინი აშკარად გამოდიოდნენ მუშათა კლასის არა მარტო პოლიტიკური პარტიის — სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ, არამედ მისი იდეოლოგიის — მარქსიზმის წინააღმდეგაც, განსაკუთრებით იერიში მოჰქონდათ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ, კერძოდ კი პროლეტარიატის დიქტატურის იდეის წინააღმდეგ.

ანარქისტები, მათ შორის ქართველი ანარქისტები, თავგამოდებით ცდილობდნენ ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის კონსერვატიული ხასიათის დამტკიცებას, ჰეგელის დიალექტიკის მეტაფიზიკად გამოცხადებას და ა. შ. ასეთი ცილისმწამებლური ბრალდებებით

იყო სავსე ვ. ჩერქეზიშვილის, შ. გოგელიასა და სხვათა სტატიები გაზეთ „ნობათის“ ფურცლებზე. ყოველივე ამის მიზანი იყო სახელის გატეხვა დიალექტიკური მეთოდისათვის საერთოდ, მარქსისტულ-დიალექტიკური მეთოდისათვის კერძოდ. მაგრამ „ანარქიზმი თუ სოციალიზმში?“ გაკრიტიკებულ იქნა ანარქიზმი საერთოდ, ქართული ანარქიზმი კერძოდ. მასში დამტკიცებულია, რომ ის „დიალექტიკური მეთოდი“, რომელსაც ანარქიზმი ებრძვის არ არის მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, იგი მათივე ფანტაზიის შედეგია მარქსიზმისათვის სახელის გასატეხად გამოგონილი, წერილბურჟუაზიულ-მემარცხენული ფრაზეოლოგიით დამშვენებული.

ანარქისტები, მათ შორის ქართველი ანარქისტები, თავგამოდებით ცდილობდნენ ფოიერბახის მატერიალიზმის გაბიაბრუებას. მის დაყვანას მოლეშოტის მატერიალიზმამდე, ხოლო მარქსის მატერიალიზმის გამოცხადებას მის უშუალო გაგრძელებად. მაგრამ „ანარქიზმი თუ სოციალიზმში?“ საფუძვლიანად დამტკიცებულია, რომ ის მატერიალიზმი, რომელსაც ანარქიზმი ებრძვის არ არის მარქსისტული მატერიალიზმი, იგი მათივე ფანტაზიის შედეგია მარქსიზმისათვის სახელის გასატეხად გამოგონილი.

ანარქისტები, მათ შორის ქართველი ანარქისტები, თავგამოდებით ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატიისათვის სახელის გატეხვას: უარყოფდნენ მათ სოციალისტობას იმ მოტივით, რომ ისინი აღიარებდნენ პროლეტარიატის დიქტატურას და, მაშასადამე, ხახელმწიფოებრიობას არ უარყოფდნენ რევოლუციის შემდეგ. ანარქისტები უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურობასაც, რადგან სოციალ-დემოკრატები თითქოს უარყოფდნენ „ძალდატანებით რევოლუციას“, თითქოს „მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენებით“. ცდილობდნენ სოციალიზმის დამყარებას. ანარქისტებმა აქ ბერნშტეიანული და მენშევიკური ოპორტუნიზმის ტაქტიკური პრინციპები თავზე მოახვიეს რევოლუციურ მარქსიზმსაც და, შემდეგ, ადვილად გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. ანარქისტები სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბრალს სდებდნენ ბიუროკრატიზმში, მუშათა კლასზე საკუთარი დიქტატურისაკენ მისწრაფებაში. მაგრამ „ანარქიზმი თუ სოციალიზმში?“ საფუძვლიანად უკუგდებულია სოციალ-დემოკრატიის მიმართ ანარქისტული ბრალდებები და ნაჩვენებია, რომ „სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა სოციალისტუ-

რი რევოლუცია, სოციალისტური რევოლუცია კი პროლეტარიატის დიქტატურით უნდა დაიწყოს, ე. ი. პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალაუფლება, რომ მისი შემწეობით ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია მოახდინოს". ამ ნაშრომზე უფრო დაწვრილებით ჩვენ ვერ შევჩერდებით, მასზე ისედაც ბევრია დაწერილი ქართულსა და რუსულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობისა და მისი პროგრესულობის საკითხი, კლასთა ბრძოლის საკითხი ქართული პუბლიცისტიკისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ თავსატეხ პრობლემად იქცა, განსაკუთრებით ს. ჯიბლაძის მიერ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმული საპროგრამო სიტყვის შემდეგ. „გამოითქვა თუ არა ს. ჯიბლაძის მიერ კ. მარქსის შეურყეველი ჭეშმარიტება კაპიტალისტურ წარმოებაზე და მის განვითარებაზე, — წერდა ფ. მახარაძე, — ჩვენმა ყოყოჩ-ყოყოჩმა პუბლიცისტებმა მაშინვე მოიქციეს სახე განზე და მის მიგიერ, რომ რამენაირი, ცოტათ თუ ბევრათ, გამორკვეული და ნათლად დასახული აზრი გამოეთქვათ მარქსის საზოგადო თეორიის წინააღმდეგ, დაკმაყოფილდნენ დიდი ხნიდან სხვების მიერ წარმოთქმული დახავსებული და დამპალი სიტყვების განმეორებით"[190]. მაგრამ იგი როდი იყო, თეორიულ-მეცნიერულ დებულებათა მხოლოდ მშვიდი და მოსაწყენი „განმეორება", პირიქით, იგი კიაფობდა თავაწყვეტილი ბრძოლის ჩაუმქრალი ცეცხლით. ბრძოლის ექსტაზი კულმინაციურ წერტილს აღწევდა მუშათა კლასის მიერ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის დაწყებამდე. აქედან კი იწყება დამშვიდება მოკამათეთა, რამდენადაც საკამათო საკითხზე თვით ცხოვრებამ უპასუხა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ფაქტის, მისი გარდუვალობის დასაბუთებისადმია მიძღვნილი ალ. წულუკიძის წერილების სერია „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში", რომელიც 1898 წელს იბეჭდებოდა გაზეთ „კვალის" ოქტომბერ-ნოემბრის ნომრებში.

1895 წელს ჟურნალ „მოამბის" IV და V წიგნში დაიბეჭდა ლალიონის (არსენ მამულაიშვილის) მოთხრობა „ფირალი დაღლაძე". იგი, რატომღაც ყურადღების გარეთ დარჩა ლიტერატურულ კრიტი-

---

[190] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 46.

კას. ამ დროს ქართული პრესის ფურცლებზე გაცხარებული კამათი წარმოებდა საქართველოს ისტორიული განვითარების გზებისა და პერსპექტივების შესახებ, და მწერალი აღნიშნული მოთხრობით მონაწილეობდა ამ კამათში. ა. მამულაიშვილმა მბატვრული სიტყვით სცადა, და წარმატებითაც სცადა ეჩვენებინა მაშინდელი ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების სურათი. მას კარგად შეუნიშნავს „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ ნიკოს სახით, შეუნიშნავს ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც მაშინ გაჩაღებული იყო ჩვენს სინამდვილეში ახალი ცხოვრების წარმომადგენელსა და ძველი, დრომოჭმული ცხოვრების წარმომადგენელს შორის. მაგრამ ამის შემდეგ ავტორი „ცხოვრებას არ ეკითხება“ და ამიტომ აღნიშნული ბრძოლის დასასრული არაა ცხოვრებისეული. თუ აქამდე ავტორმა ცხოვრებისეული სურათების დახატვით გვიჩვენა, რომ საქაროველო კაპიტალისტური განვითარების ფერხულშია ჩაბმული, მოთხრობის ფინალით (განსაკუთრებით ნიკოს მოკვლით), გადაუხვია რა ცხოვრების კარნახს, ახალი, კაპიტალისტური წყობის აუცილებლობისა და გარდუვალობის აღიარებისაგან თავი შეიკავა, რაც ქართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელს — ალ. წულუკიძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. იგი წერდა: „ივანეს ბრძოლა სუსტი, უნაყოფო, მხოლოთ უკანასკნელი გაბრძოლებაა მომაკვდავისა. სულ სხვანაირად იბრძვის და მოქმედებს ნიკო კალაძე; დღევანდელი წეს-წყობილების შესაფერ იარაღს ხმარობს ცხოვრებაში. უეჭველია, ის იმარჯვებს და ავტორმა თუ ნიკო ფირალის მსხვერპლი გახადა, ეს ფაქტია, საზოგადო ცხოვრების შინაარსს დაშორებული. ჩვენის აზრით ლალიონს, რომ ამ ორ ტიპთა შორის ბრძოლა, რომლითაც თითქმის იწკება მისი მოთხრობა, ბოლომდის ლოგიკურად გაეტარებინა, არ აჰყოლოდა ფანტასტიურ გულისთქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დაჰკითხებოდა. იგი ნიკოს არ მოაკლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეარჩენდა. თუმცა აქ გამარჯვება მხოლოდ ფიზიკურია, მაგრამ მოთხრობა, რომელიც ამ ორ ტიპთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა ბოლოვდებოდეს, რითაც თვით ცხოვრებაში ბოლოვდება. თუმცა ამნაირი შემთხვევა შესაძლებელია ხშირათაც ხდებოდეს, მხოლოდ იგი მაინც არ არის დღევანდელი ჩვენი საზოგადოების კლასიური ბრძოლის დასკვნა: იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ სურათს არ წარმოად-

გენს"[191]. ამრიგად, ალ. წულუკიძემ აღნიშნა საქართველოში კაპიტალიზმის არა მარტო განვითარების ფაქტი, არამედ მისი გარდუვალობა და უძლეველობა ძველ, დრომოჭმულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ჭიდილში.

საქართველოს კაპიტალისტური განვითარების ფაქტი და ამ ფაქტის პროგრესული მნიშვნელობა აღნიშნა ფ. მახარაძემ თავის ისტორიულ გამოკვლევაში — „საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში", რომელიც იბეჭდებოდა „კვალის" 1900 წლის იანვრის ნომრებში. იგი წარმოადგენს პირველ მარქსისტულ მეცნიერულ გამოკვლევას, საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილს. ამ ნაშრომში ფ. მახარაძემ განიხილა XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება და სათანადო ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ: „ევროპიდან შემოტანილმა საქონელმა თანდათან შეასუსტა ადგილობრივი ნატურალური წარმოება; აღებ-მიცემობა და ვაჭრობა გაძლიერდა, ჩაისახა ბურჟუაზიული ურთიერთობათა საფუძველი, მაშასადამე, თვით ცხოვრებამ უჯარეა ბატონყმობა, ამას მოჰყვა მისი გაუქმება კანონით, მოისპო იურიდიულად"[192]. ეს დებულება ფ. მახარაძემ 1904 წელს კიდევ უფრო დააზუსტა, და აღნიშნა, რომ: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე იწყება ჩვენში ნატურალური მეურნეობის დარღვევის და გაქრობის ნელი პროცესი"[193].

საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების ფაქტს აღნიშნავდა დიდი ლენინის გამოჩენილი მოწაფე და თანამებრძოლი ლადო კეცხოველი თავის სტატიაში — „ასი წლის იუბილეის გამო". იგი წერდა: „რუსეთში კი ამ დროს (საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, ი. კ.) ვაჭრობა-მრეწველობა წამოჩიტებული იყო და ევროპის გავლენით და შინაური ცხოვრების საჭიროებით საოცარის სისწრაფვით იზრდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ამ ზრდის და ვითარების ისტორიაა. რკინისგზებმა, ფოსტა-ტელეგრაფებმა დასერეს და შეაერთეს ევროპელა სახელმწიფოს დაშორებული ადგილები ერთმანეთს და მასთან ერთად ჩვე-

---

[191] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 17—18.
[192] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 194.
[193] იქვე, ტ. V, გვ. 119.

ნი საქართველოც. გემებმა შავი და კასპიის ზღვები გააპეს და ორ ზღვათა შუა ხმელეთის მიუვალი მთები, სადაც მეფეები და მთავრები ომიანობის დროს მტრისაგან თავს იფარავდნენ, რკინისგზებმა გახვრიტეს და ახალმა „ვეპაშმა", მიაკივლა მიყრუებულ მიდამოებს, ბუნება და ადამიანები შეკრთენ, გამოიღვიძეს და თვალების ფშვნეტით ქართველი ჯერ შორიდან მიაჩერდა ამ ცხოველს და მერმე თვითვე შეაჯდა და გაჰყვა"[194]. ასე მხატვრულად, მაგრამ მეცნიერულად დაახასიათა ლ. კეცხოველმა საქართველოს კაპიტალისტურად განვითარება და მისი პროგრესული მნიშვნელობა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი პროგრესულობის საკითხს, და ამ საკითხის გარშემო ატეხილ დავას 1902 წელს კვლავ შეეხო ალ. წულუკიძე.

„ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, — წერდა ალ. წულუკიძე 1902 წელს, — განსაზღვრულ ისტორიულ კალაპოტში ჩადგა. ძველი ეკონომიური ურთიერთობა ძირიანად შეიცვალა და მედიდურად მთის წვერებიდან გადმომცქერალ კოშკში ჩაკეტილ მებატონის უფროსობა ახალმა წოდებამ დაიუფლა. ფეოდალის მაგიერ დღეს ცხოვრებას ბურჟუა მეთაურობს. ამ მეთაურობის ზრდა-განვითარება თვალსაჩინო ტენდენციაა თანამედროვე „ქართლის ცხოვრებისა"; მის წინააღმდეგ სამწერლო ასპარეზზე ბრძოლით მოქანცულნი ჩვენი პუბლიცისტები ხშირად თვითონვე უწყობენ ხელს საკუთარი ძალღონით ამ ვითარების დამკვიდრებას.. ამას ჯერ კიდევ 1894 წელსაც კარგად გრძნობდა ჩვენი პუბლიცისტი ბ. ნ. ნიკოლაძე, როცა „მოამბის" მე-VIII №-ში ამბობდა: „...ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორ-მასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო, დასი, ბურჟუაზია, ყოფილა და იქნება... „დღეს როცა შუათანა დასის ზრდა ჩვენში ყველასათვის ცხადზე უცხადესია, დროა გამოვარკვიოთ მისი მნიშვნელობა ჩვენ ცხოვრებაში, ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების ასაღორძინებლათ"[195]. საქართველოსათვის „შუათანა დასის" ან ბურჟუაზიის მნიშვნელობაზე სხვა და სხვა პასუხი გასცეს პროლეტარიატის იდეოლოგმა — ალ. წულუკიძემ და ბურჟუაზიის იდეოლოგმა — არ. ჯორჯაძემ. ა. ჯორჯაძის

[194] გაზ. „ბრძოლა", 1901 წლის სექტემბერი, № 1.
[195] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 77.

აზრით, ქართული ბურჟუაზია გააკეთებს ყველაფერს, რაც სხვაგან გაუკეთებია საერთოდ ბურჟუაზიას, უპირველესად ყოვლისა განავითარებს ენას, შექმნის მშობლიურ ლიტერატურას, განამტკიცებს ეროვნულ თვითცნობიერებას, ქართულ ნიადაგზე განავითარებს ვაჭრობასა და მრეწველობას და ა. შ. ამიტომ ასეთ ძალას, ჯორჯაძის აზრით, ყველამ, განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა და მიმართულებისა, განურჩევლად კლასობრივი კუთვნილებისა, უნდა შეუწყოს ხელი, აქედან იგი შეუდგა კლასთა „საერთო მოქმედების ნიადაგის" ძებნას. ალ. წულუკიძეს, ისე როგორც ყველა მარქსისტს, არ შეეძლო ბრძოლა არ გამოეცხადებინა „საერთო მოქმედების ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორიისათვის, ალ. წულუკიძემ, უწინარეს ყოვლისა, გვიჩვენა, რომ ჩვენი ბურჟუაზია XIX საუკუნის 80—90-იან წლებიდან უკვე ვერ გამოდგება ერის მეთაურად. „თუ ევროპაში ბურჟუაზია უდგა მეთაურად ეროვნულ ზრდას, — წერდა ალ. წულუკიძე.—ჩვენში ერის მეორე ნაწილი მეთაურობს"...[196], ეს „მეორე ნაწილია" — განაგრძობს იგი, — „მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტვირთი აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასაველეთელი თანამოძმეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები. თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმავითარებელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი ერის საკეთილდღეოთ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე და მან უნდა გააკეთოს „საერო" საქმე"[197].

ვ. ი. ლენინის წიგნის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", გამოსვლის შემდეგ[198], ქართველი მარქსისტებისათვის უკვე არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობისა და პროგრესულობის დასაბუთება. ვ. ი. ლენინის წიგნის მნიშვნელობა ქართველი მარქსისტებისათვის არა მარტო იმაშია, რომ მან ისინი შეაიარაღა ჭეშმარიტი მეთოდოლოგიით და აღნიშნული პრობლემის შესწავლა-გამოკვლევის მეცნ-

---

196 ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 79.

197 ი ქ ვ ე, გვ. 112.

198 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს წიგნზე— კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში რეცენზია დაიბეჭდა „კვალში" ჯერ კიდევ 1899 წლის 25 ივლისს.

ნიერული მეთოდიკით, არამედ იმაშიც, რომ ვ. ი. ლენინი უშუალოდ შეეხო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხს[199].

ამრიგად, რუს ხალხთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირის შედეგად, ქვეყნის შიგნით ახალ საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად საქართველო ჩაება პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში, შეიქმნა ისტორიული პირობები რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც უნდა გაეწია და გაუწია კიდეც ხელმძღვანელობა ქართველი ხალხის ჭეშმარიტად განმათავისუფლებელ მოძრაობას. აი, ამ ახალი ძალის — პროლეტარიატის დანახვა არ სურდათ, და ნაწილობრივ არც შეეძლოთ, გასული საუკუნის 80—90-იანი წლების ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს საქართველოში. ამ საკითხის გარშემოც მოუხდათ მარქსისტებს მათთან შეჯახება. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ფ. მახარაძის სტატია — „გაკვრით პასუხი", რომელიც 1895 წელს იბეჭდებოდა „კვალის" ნომრებში.

ფ. მახარაძის აღნიშნული სტატია აშუქებს არა მარტო კლასთა ბრძოლის საკითხს, არამედ კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი პროგრესულობის საკითხსაც, და ამასთან დაკავშირებით, იგი აკრიტიკებს ჩვენთვის უკვე ცნობილ ქართველ პუბლიცისტებს. ფ. მახარაძე სტატიის დასაწყისშივე ჰპირდება მკითხველს: „სხვათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთო იმ სავალალო კითხვას, თუ რა გზას ადგას დღეს ჩვენი ქართველობა, მთელი ქართველი ერი, ნეპსით, თუ უნებლიეთ. ყველა ლალები თუ ნალები აქ ნახავენ თავიანთ პასუხს დაწვრილებით და გარკვევით"[200]. მართლაც, ძირითადათ მართებულად შეასრულა თავისი დაპირება ფ. მახარაძემ. მან გააკრიტიკა ცნობილი ქართველი პუბლიცისტები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი პროგრესულობის უარყოფისათვის, საზოგადოების კლასებად დაყოფის, კლასობრივი ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფისათვის[201].

საქართველოში კლასთა ბრძოლის საკითხს შეეხო თავის შრომებში ალ. წულუკიძე. მან ჯერ კიდევ 1898 წელს გაამახვილა ყუ-

---

199 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703—704.
200 ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 47.
201 იქვე, გვ. 46—58.

რადღება ამ საკითხისადმი თავის სტატიაში — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში". 1899 წელს გ. წერეთლისადმი მიმართულ ღია წერილში და სხვა თავის ნაშრომებში, განსაკუთრებით კი „ოცნება და სინამდვილეში", სადაც მან ა. ჯორჯაძის კლასობრივი თანამშრომლობის „საერთო ნიადაგის" თეორია გაანადგურა და დაასაბუთა ანტაგონისტურ კლასთა ინტერესების შეუერიგებლობა, მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის აუცილებლობა და გარდაუვალობა. ამ ნაშრომზე დაწვრილებით არ ვჩერდებით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი 1902 წელს დაიწერა და მთლიანად გამოქვეყნდა 1903 წელს, როდესაც უკვე კამათი საქართველოში კლასობრივი ბრძოლის არსებობის შესახებ თვით ცხოვრებამ გადაწყვიტა დადებითად, ამას უკვე თვით ჯორჯაძეც ვერ უარყოფდა, იგი მოითხოვდა მებრძოლ კლასთა თანამშრომლობას „საერთო ეროვნულ ნიადაგზე". მეორეც იმიტომ არ განვიხილავთ „ოცნება და სინამდვილეს" დეტალურად, რომ მის შესახებ, როგორც ერთხელაც აღვნიშნეთ, ძალიან ბევრია დაწერილი ქართულ ფილოსოფიურსა და ისტორიულ ლიტერატურაში.

ალ. წულუკიძის ადრინდელი ნაშრომი — „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს" 1899 წლის 18 აპრილს გამოაქვეყნა გაზეთმა „ქვალმა". აქ ალ. წულუკიძემ აღნიშნა, „ის შეურყეველი ქეშმარიტება, რომ ყველა ერთა და საზოგადოებათა ისტორია (რასაკვირველია არა პირვანდელი ხანის) სხვა და სხვა ფორმის კლასთა ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს და ამ საზოგადო კანონისათვის ვერც ჩვენ დაგვიღწევია თავი, ჩვენი საზოგადოებაც დანაწილებულია სხვა-დასხვა ელემენტებათ, მასშიაც ვითარდება თანამედროვე კაპიტალისტური — კლასიური ანტაგონიზმი"...[202] ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ჩვენში „...ერის დანაწილება კლასიურ, დაუმთავრებელ, გამოურკვეველ პროცესს წარმოადგენს, სადაც კლასიური ინტერესები, ერთმანეთს მედგრათ და ღია სახით წინ არ აღუდგებიან"...[203], ან კიდევ „ჩვენში კლასიური ინტერესები, ვიმეორებ, —წერდა ალ. წულუკიძე, — ისეთი გამოურკვეველი და გაუშინჯავი რამ არის.

---

[202] ალ. წ ულ უ კ ი ძ ე, თბილისი, 1943, გვ. 25.
[203] ი ქ ე ე, გვ. 24.

ახლათ აღორძინებული კლასის წარმომადგენელთათვის, რომ ყოვლად შეუძლებელია ევროპის სრულიად გამორკვეულ, კრიტიკულათ მოაზრე და მომქმედ კლასთა წარმომადგენელთ შევადაროთ"[204]. ეს გარემოება ხშირად უგულვებელყოფილია ქართული საზოგადოებრივი აზრის ზოგიერთი მკვლევარის მიერ, რის გამოც მათ მექანიკურად გადმოაქვთ რუსეთსა და ევროპაში კლასობრივი ბრძოლის განვითარების ამა თუ იმ ისტორიული ეტაპისათვის დამახასიათებელი კანონზომიერება, ჩვენი ქვეყნის ცალკეულ ისტორიულ ეტაპზე კლასთა ბრძოლის განვითარების ამა თუ იმ დონის გაუთვალისწინებლად.

ალ. წულუკიძემ პირველმა გააკრიტიკა აღნიშნულ წერილში გიორგი წერეთლის ლეგალური მარქსიზმი. იგი სრულიად სამართლიანად ეკითხებოდა თავის ადრესატს: „მითხარით როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთის მხრით, ცნობილი მეცნიერის (კ. მარქსის, რედ. შენიშვნა) სწავლა კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახავთ და, მეორე მხრით, თქვენივე მფარველობითი კილო „ახლათ აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველის კლასის" შესახებ?!"[205]

ასეთი მდიდარი იდეური მემკვიდრეობის ათვისებამ საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასის მოწინავეთა რიგებში დააყენა. იგი რუსეთის მრავალეროვანი მუშათა კლასის რიგებში მტკიცედ დადგა საერთო პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა და ინტერნაციონალური დროშის ქვეშ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია მისი ჩასახვის პირველი დღიდანვე იზრდებოდა და მტკიცდებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, იგი მომწიფდა და დაეაქაცდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან თავიდანვე წინ წაიმძღვარა ნათელი შეგნება რუსეთისა და ამიერკავკასიის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ერთიანობისა და განუყოფელობის შესახებ. ამის შესახებ ჯერ კიდევ ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა" თავის საპროგრამო წერილში წერდა: „ქარ-

---

[204] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 27.
[205] იქვე.

თული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. იგი ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას"[206]. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უშუალოდ მივადექით ეროვნულ საკითხს, საკითხს, რომლის გარშემოც არა ნაკლები მწვავე ბრძოლა წარმოებდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ვიდრე ჩვენი ეპოქის ოციან წლებამდე.

ბოლშევიკური გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლის" სარედაქციო სტატია[207]—„როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" ერთადერთი პირველი სტატიაა ქართულ მარქსისტულ პრესაში, რომელიც მიეძღვნა ფედერალისტ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლას და რსდმპ ეროვნული პროგრამის განმარტებასა და დაცვას. ამასთან ერთად, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა იერიში მიიტანეს რსდმპ ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი მისი იმ ნაწილის (მე-3 მუხლის) წინააღმდეგ, სადაც პარტია მოითხოვს „ფართო ადგილობრივ თვითმართველობას; საოლქო თვითმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან თავისებური ყოფაცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ვინაობით". ამ მოთხოვნას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა დაუპირისპირეს რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს ფარგლებში საქართველოსათვის ავტონომიის მოთხოვნა, რომელზედაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი.

ქართველი ავტონომისტების წინააღმდეგ მეცნიერულად დასაბუთებული სტატიები გამოაქვეყნეს ქართველმა მარქსისტებმა ალ. წულუკიძემ, ფ. მახარაძემ და სხვ. ალ. წულუკიძის სტატია „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები" დაიბეჭდა ჟურნალ „მოგ-

---

[206] გაზ. „ბ რ ძ ო ლ ა", 1901 წლის სექტემბერი, № 1.

[207] იხ. გაზ. „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ რ ძ ო ლ ა", 1904 წლის 1 სექტემბერი, № 7.

ზაურის“ 1905 წლის 8 მაისის ნომერში. ალ. წულუკიძე აღნიშნავდა. რომ თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების დასამხობად საჭიროა სხვადასხვა ეროვნების მუშათა კლასის ორგანიზაციული გაერთიანება, რომ ასეთი გაერთიანება დღეისათვის მიღწეულია, „და აი სწორეთ ეხლა, — წერდა ალ. წულუკიძე, — როცა მას მეტი სიმტკიცე, ერთობა, ამოძრავება ეპირვება, გვეუბნებიან: განცალკეედით; დღეს, როცა საერთო იერიშით ციხე შენძრეულა, მხოლოდ არ დანგრეულა, გვირჩევენ: დაიშალენით; სწორეთ მაშინ, როცა იმის ზრუნვაში ვართ, რომ გავიმაგროთ მომავალი პოზიცია, ნანგრევებზე მეტი ძალა და გავლენა მოვიპოვოთ, სწორეთ მაშინ ამ ძალის და გავლენის მქონე ერთეულს არწმუნებენ: დაიქსაქსენითო“[208]. ამიტომ ასეთ დროს ავტონომიის მოთხოვნა ნიშნავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთიანი რევოლუციური ფრონტის დაშლას, წყლის მიშვებას მტრის წისქვილზე და თვითმპყრობელური რეჟიმის განმტკიცებას. მაგრამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ეს სრულიად არ აწუხებდათ. მათ სწამდათ თვითმპყრობელობის ხელიდან ავტონომიის მიღებისა და მისი შემდგომი შენარჩუნების შესაძლებლობა. ალ. წულუკიძემ მათ დაუმტკიცა როგორც ერთის, ისე მეორის შეუძლებლობა, მოაგონა რა ფინეთის ავტონომიის ბედი თვითმპყრობელობის ხელში. „აქედან ცხადია, — დაასკვნიდა ალ. წულუკიძე, — თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის, რაც მის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას. ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ ავტონომიის თხოვნა დღეს ამას ხელს უშლის და ამიტომ ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ“[209].

ფ. მახარაძემ თავის სტატიაში „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება“, რომელიც დაიბეჭდა „მოგზაურის“ 1905 წლის 5 ივნისის ნომერში, ავტონომიის მოთხოვნის მავნებლობის დასაბუთება დაუკავშირა არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის კრიტიკას. ფ. მახარაძემ ერთხელ კიდევ განუმარტა ქართველ მკითხველებს, რომ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიას არ გააჩნია

---

[208] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 257.
[209] იქვე, გვ. 258.

სერიოზული ნიადაგი; ფ. მახარაძემ დაასაბუთა, რომ ეროვნულ ენას, ტერიტორიას აქვს დიდი მნიშვნელობა ერისათვის, მაგრამ ისინი ვერ გამოდგებიანო კლასობრივი თანამშრომლობის „საერთო ნიადაგად". მაგრამ „ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, — წერდა ფ. მახარაძე, — რომ ჩვენ ვითომც უარვყოფდეთ ეროვნებას. ეშვს გარეშეა, რომ ქართველი ერი არსებობს ისე, როგორც არსებობს რუსი, ან სხვა რომელიმე ერი. მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მთავარ ძალას წარმოადგენს არა ეროვნული საკითხი, არამედ კლასთა ბრძოლა, არა ეთნოგრაფიული საგანი არამედ სოციალური საკითხი... როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადაწყდება ეროვნული კითხვაც"[210]. კითხვა იბადება—ვინ მოუღებს ბოლოს „დღევანდელ სოციალურ უბედურებას?" მარქსიზმ-ლენინიზმი უპასუხებს—მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატი! ვინ გადაწყვეტს „საბოლოოდ ეროვნულ საკითხს"?—პროლეტარიატი—უპასუხებს მარქსიზმ-ლენინიზმი. მაშასადამე, პროლეტარიატის ინტერესები არა მარტო კლასობრივი ინტერესებია, არამედ იგი ეროვნული ინტერესებიცაა. ამ დებულებას ივანე გომართლის ხელოვნებისაგან იცავდა ფ. მახარაძე თავის სტატიაში — „ხალხი და მუშათა კლასი", რომელიც „მოგზაურის" 1905 წლის 28 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა[211].

ბურჟუაზიული ნაციონალისტები, როგორც უკვე აღნიშნეთ, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდნენ ეროვნული კითხვის გადაწყვეტას და შემდეგ კი სოციალური კითხვისას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათ მიერ „გადაწყვეტილი" ეროვნული კითხვა ვერც სოციალური კითხვის გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს და ვერც ერის ინტერესების დაცვას. მათი ყბადაღებული „დეცენტრალიზაციის პრინციპი", „რომელსაც ისინი უპირისპირებდნენ სოციალ-დემოკრატიულ „ცენტრალიზაციის პრინციპს", წყალს ასხამდა არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ უფრო მეტი, თვითმპყრობელობის წისქვილზედაც. ასეთი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგაა მიმართული ფ. მახარაძის სტატია — „ეროვნული ავტონომია და მუშათა კლასი", რომელიც დაიბეჭდა „მოგზაურის" 1905 წლის 6 ნოემბრის ნომერში. აქ ფ. მახარაძე, აკრიტიკებდა რა ქართველ ავტო-

---

210 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 21, 23.
211 ი ბ ე ვ ე, გვ. 104—110.

ნომისტებს, წერდა: „შეცდომაა, როცა ყურებს გვიქედენ იმაზე ლაპარაკით, რომ ავტონომიის მოპოვება უფრო გაუადვილებს პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლასო. იმას კი არ ამბობენ, თუ როგორ უნდა დაუჯდეს პროლეტარიატს ავტონომიის მოპოვება, კაიც რომ მას ეს შეეძლოს. ჩვენ არც ის გარემოება გვაშინებს, როცა ავტონომიის მომხრეები ჩვენ ცენტრალისტებს გვიწოდებენ, და ადგილობრივი თვითმმართველობის მოწინააღმდეგეებათ გვსახავენ. ეს ისეთი ცილისწამებაა, რომელზედაც პასუხის გაცემა არც კია საჭირო“[212].

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ქართველმა მარქსისტებმა იმდენად ენერგიული ბრძოლა აწარმოეს ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში, რომ მის იდეოლოგებს, თუ პროპაგანდისტებს გამოჩენაც კი არ შეეძლოთ მუშებისა და გლეხების კრებებზე და მიტინგებზე. მათ არავინ უსმენდა. ამის შესახებ არა ერთხელ აღნიშნავდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები და მათი ლიდერები ჯორჯაძე და სხვები.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა საყოველთაო მოწონებითა და მხარდაჭერით სარგებლობდა მშრომელთა შორის. 1905—1907 წლების დიდი სახალხო რევოლუციის პერიოდში სოციალ-დემოკრატიის ეროვნულმა პროგრამამ უზრუნველჰყო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაერთიანება საყოველთაო სახალხო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობად. მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთამ — მენშევიკურმა პარტიამ ვერც ეროვნულ საკითხში დაიჭირა გამოცდა. უკან დაიხია პარტიის ეროვნული პროგრამიდან და თანდათან გადაბარგდა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის პლატფორმაზე. ამიერიდან ქართველ ბოლშევიკებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: ბრძოლა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, როგორც ცნობილია, თავის წარმოშობიდანვე (90-იანი წლების დამდეგი) უაღრესად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდნენ. „1903 წელს,

[212] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 63.

კავკასიის (საკუთრივ ამიერკავკასიის) ს.-დ. ორგანიზაციების პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიის კავშირს,—წერდა გაზ. „სოციალ-დემოკრატის“ პუბლიცისტი,— ორგანიზაციის აგების ინტერნაციონალური პრინციპი კვლავ აღიარებულ იქნა ერთადერთ სწორ პრინციპად. მას შემდეგ კავკასიის სოციალ-დემოკრატია იზრდებოდა ნაციონალიზმთან ბრძოლაში“[213]. კავკასიის სოციალ-დემოკრატია, განსაკუთრებით მისი რევოლუციური ფრთა მტკიცედ იცავდა რსდმპ II ყრილობის პროგრამას ეროვნულ საკითხში, მხოლოდ 1906 წელს, კავკასიის საოლქო კონფერენციაზე, პირველად წამოიჭრა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი. იგი წამოაყენა და მის დადებითად გადაწყვეტას მოითხოვდა „ქუთაისელთა პატარა ჯგუფი“. მაგრამ ეს საკითხი მაშინ სამარცხვინოდ ჩაიფუშა. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ არა მარტო ბოლშევიკები, არამედ მენშევიკები და მათი ლიდერი ნ. ჟორდანიაც. კონფერენციამ აღნიშნა, რომ „კავკასიის საოლქო თვითმმართველობა“ ეროვნული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაა და იგი და მხოლოდ იგი შეეფერება ბრძოლაში გაერთიანებული კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს.

ეს იყო 1906 წელს. მაგრამ დრო გავიდა. პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, რევოლუცია დამარცხდა, დაიწყო რევოლუციურ მოძრაობაზე გულის გატეხვა, საერთო ძალებისადმი რწმენის დაკარგვა, საერთო საკითხებმა გზა დაუთმო ეროვნულ საკითხებს, თითქმის მთელი ყურადღება აქეთ იქნა გადმოტანილი. ფრთა გაშალეს აშკარა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა, ქართული სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთაში დაიწყო მერყეობა. მას დიდი კმაყოფილებით მიეგება სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერი არჩილ ჯორჯაძე. ამ მერყეობისა და განხეთქილების დასაწყისად ჯორჯაძეს მიაჩნია 1908 წელი, კერძოდ ნ. ჟორდანიას შემდეგი განცხადება: — „პარტდადგენილებაში პოლიტიკური ავტონომია კატეგორიულად უარყოფილია, — წერდა ნ. ჟორდანია 1908 წელს, — როგორც საქართველოს, ისე კავკასიის, ხოლო კულტურულ ავტონომიაზე სიტყვაც არ არის შიგ. ასე რომ ეს საკითხი ჯერაც სადისკუსიოა“[214]. ესეც „დიდმნიშვნელოვან საქმედ“ მიაჩნია

---

[213] Газ. „Социал-демократ“, 12 (25) января 1913 г., № 30.

[214] გაზ. „ხ ო მ ლ ი“, 1908 წლის 2 მაისი, № 8.

პოლიტიკური ავტონომიის მომხრეს — ა. ჯორჯაძეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნ. ჟორდანიას აღნიშნულ განცხადებაში ხედავდა მხოლოდ და მხოლოდ „გაუბედავ ნაბიჯს პოლიტიკური დეცენტრალიზაციისაკენ“ გადადგმულს. ა. ჯორჯაძემ სწორად შენიშნა. რომ ნ. ჟორდანიას პოზიციიდან მიიღო სათავე ავტონომიის გარშემო ა. ჩხენკელის „რყევამ და ყოყმანმა“ და ლ. დარჩიაშვილის „გაბედულმა ნაბიჯმა“ „ალიონსა“ და „ჩვენს კვალში“[215]. გაზეთი „ალიონი“ გამოვიდა 1908 წლის 11 მაისს და პირველ ნომერშივე გაილაშქრა წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიული „მონასტრისა“, „რომლის ზღუდეთა შორის სჭკნება შემოქმედებითი ნიჭი, კვდება თავისუფალი აზრი და გაბედული ინიციატივა“. გაზეთი „ჩვენი კვალის“ დამსახურებას ჯორჯაძე იმაში ხედავს, რომ „მან ს.-დემოკრატიულ პრესაში პირველმა წამოაყენა გაბედულად საკითხი პოლიტიკური დეცენტრალიზაციის საჭიროების შესახებ“[216]. გაზეთები „ნაპერწკალი“ და „ხმალი“ ნ. ჟორდანიას იცავდნენ ლ. დარჩიაშვილისაგან. ეროვნული საკითხის გარშემო კამათში ჩაება ა. ჩხენკელი. „ბ-ნმა ჩხენკელმა ის სამსახური გაუწია ეროვნული პრობლემის გარკვევის საქმეს, — წერდა ა. ჯორჯაძე, — რომ ძირი გამოუთხარა ს.-დემოკრატიულ ეროვნულ პროგრამას, მან შეუძლებლად სცნო ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსება დღევანდელ პირობებში. და მანვე გადაჭრით წამოაყენა საქართველოს კულტურული ავტონომიის საჭიროების საკითხი“[217].

ასე თანდათან გაიკაფა გზა საქართველოში ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის იდეამ. მალე ლიკვიდატორთა კონფერენციამ 1912 წელს იგი პარტიის პროგრამულ მოთხოვნად გამოაცხადა და სათანადო დადგენილებაც კი მიიღო. ამრიგად, ის, რასაც 1906 წელს ქუთაისელ სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა, და რაც უარყოფილ იქნა ბოლშევიკებისა და მენშევიკების მიერ ნ. ჟორდანიას მონაწილეობით, პარტიული კანონის ძალა მიიღო ლიკვიდატორთა კონფერენციაზე რაღაც ექვსი წლის შემდეგ იმავე ჟორდანიასა და მისი პარტიის მონაწილეობით. ასე და ამრი-

---

[215] იხ. ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, გვ. 246.
[216] ი ქ ვ ე, გვ. 267.
[217] ი ქ ვ ე, გვ. 219—250.

ვად „ვლეხურმა ქუთაისმა თან გაიყოლია თბილისის „სოციალ-დემოკრატი ოქტიაბრისტები“[218].

ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ 1913 წელს გამოვიდა ჟურნალი „პროსვეშჩენიე“ ი. ბ. სტალინის სტატიით: — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მოკლედ, შეკუმშული სახით გადმოგვცემს ერისა და ეროვნული საკითხის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად თეორიულ დებულებებს, რომლებიც ავტორის მიერ დაკავშირებულია პარტიის პრაქტიკულ-პოლიტიკურ ამოცანებთან ეროვნული პოლიტიკის დარგში. აღნიშნულ ნაშრომში გაკრიტიკებულია ო. ბაუერისა და რ. შპრინგერის იდეალისტური კონცეფცია ეროვნულ საკითხში, მათი პროგრამული მოთხოვნა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისა და სხვ. გაკრიტიკებულია აგრეთვე ბუნდი, მისი ნაციონალიზმი, სეპარატიზმი, აგრეთვე კავკასიელი, კერძოდ, ქართველი ლიკვიდატორები, რომლებიც ნაციონალიზმის ჭაობში ჩაეფლენ რეაქციის შემდეგ, განსაკუთრებით 1912 წლიდან.

„მარქსიზმი და ნაციონალურ საკითხში“ არამარტო ბურჟუაზიული ერის განმარტებაა მოცემული, არამედ ახსნილია მისი, როგორც ისტორიული კატეგორიის ფორმირების ისტორიული პროცესი. კერძოდ, ქართველი ბურჟუაზიული ერის ფორმირების მაგალითზე. ამასთან დაკავშირებით გაშუქებულია რუსეთისა და საქართველოს კონკრეტული ისტორიის არაერთი საკითხი, რითაც ქართულმა მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ ერების ისტორიის, ეროვნული მოძრაობათა ისტორიის. კაპიტალიზმის ისტორიისა და სხვა მსგავს საკითხთა მეცნიერულ შესწავლაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ.

აღრე ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში ერების წარმოშობისა და განვითარების შესახებ ყველაფერი როდი იყო თავის

---

[218] 1914 წელს ქუთაისში გამოცემულ წიგნში ამ მოვლენას შემდეგ ახსნას აძლევდა ს. დ ა ნ ე ლ ი ა: Видя непригодность интернационализма для нашей среды, наиболее умные марксисты, сознавшись себе в этом стали искать новых путей для своей деятельности, совершая „персоценку ценностей“. Я имею в виду публицистов Д-ли—(Дарчиашвили—Ю. К.), Чхенкели и Наридзе (Н. Жордания—Ю. К.), (См. С. Д а р и а н и, Грузия, после 1905 года, Кутаис, 1914 г., стр. 22).

რიგზე. ასე მაგალითად, ცნობილი მარქსისტი ფ. მახარაძე სტატიაში „ჩვენი პუბლიცისტიკა და ეროვნება“, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა „კვალში“, აკრიტიკებდა ს. ფირცხალავას („კალამი“), სხვათა შორის, იმისთვისაც რომ იგი წერდა: „ერი და ეროვნება კულტურული მოვლენაა და ახალი ცხოვრების ნაყოფია“. ფ. მახარაძე ამის გამო შენიშნავდა: „მაშასადამე, ძველ დროში ერი და ეროვნება არ ყოფილა“...[219] მორიგ სტატიაში „ეროვნული კითხვა“, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა „კვალში“, წერდა: „ერი ისტორიის ნაწარმოებია. ისტორიას, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილებებს ქმნის ნივთიერი პირობები. ამის დაკვალად ეროვნულ ცნებას სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა შინაარსი აქვს. ველურობის ხანამ არ იცის ერი; იგი ისახება ეგრეთწოდებულ ბარბაროსობის დროს“[220]. ხოლო „თანამედროვე ერი ბურჟუაზიის პირმშო შვილია“[221]. მაგრამ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული წარსულთან, რადგან „ახალ ეროვნებათა ელემენტები ისევ ძველმა ისტორიამ გვიანდერძა; მაგრამ ახალი ერები გაჩნდნენ და გაიზარდნენ სულ სხვა პირობებში“[222]. როგორც ვხედავთ ფ. მახარაძე, სრულიად სამართლიანად, ერს მიიჩნევს ისტორიულ კატეგორიად, რომლის ელემენტები „ძველმა ისტორიამ გვიანდერძა“, მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმს ერები მიაჩნია არა უბრალოდ ისტორიულ კატეგორიად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიულ კატეგორიად. ფ. მახარაძე კი ერებს ჰყოფს ორ ჯგუფად — კაპიტალიზმამდელ ერებად და კაპიტალიზმის ეპოქის ერებად. აქ ხალხისა და ერის ცნებაა ერთმანეთში არეული. ამ საკითხს ფ. მახარაძე შემდეგში, რ ამდენადაც ვიცით, აღარ დაბრუნებია[223].

---

[219] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. თხზულებანი. ტ. IV. გვ. 6.

[220] ი ქ ვ ე. გვ. 9.

[221] ი ბ ი ვ ე. გვ. 12.

[222] ი ქ ვ ე. გვ. 10.

[223] ამიტომ ვერ დავეთანხმებით ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ი ს ბიოგრაფს იმაში, რომ აღნიშნულ სტატიაში 1902 წელს თითქოს „ფ. მახარაძე მარქსიზმის კლასიკოსების სახელმძღვანელო მითითებებზე დაყრდნობით არკვევდა ერის არსს, მის წარმოშობა-განვითარების პირობებს, მკაცრად აკრიტიკებდა ერის მეტაფიზიკურ გაგებას და ამტკიცებდა, რომ ერი ყალიბდება კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა ფეოდალიზმის ნგრევის შედეგად ბოლო ეღება თემების სამეურნეო გაუცალკევებას და ენის, კულტურისა და ტერიტორიის ერთიანობას თან ერთვის ხალხის ეკონომიური ცხოვრების ერთიანობაო“ (ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ციალიპე მა-

ფ. მახარაძემ სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მომხრეებს, და განსაკუთრებით ამ იდეის სულისჩამდგმელებს — ბაუერსა და შპრინგერს. ფ. მახარაძემ თავის სტატიაში — „ორიოდე სიტყვა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შესახებ", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სიმართლის ხმის" 1914 წლის თებერვლის ნომრებში საფუძვლიანად ამხილა შპრინგერი და ბაუერი. ფ. მახარაძე აკრიტიკებდა რა შპრინგერის წიგნს „სახელმწიფო და ნაცია", აღნიშნავდა, რომ ავტორი კლასთა თანამშრომლობის იდეას ჰქადაგებს. ამ იდეას ემსახურება ნაციონალურ-კულტურული ავტონომიაც. ამიტომ „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მომხრე, — წერდა ფ. მახარაძე, — ვალდებულია ნაციის ყველა კლასების მჭიდრო კავშირი და ძმური თანამშრომლობა იქადაგოს. უამისოდაც ეს ავტონომია კარგავს ფეხქვეშ ყოველივე ნიადაგს. ამიტომ რა არის არსებითად ნაციონალურ-კულტურული ავტონომია, თუ არა ლიბერალურ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი?"[224]

ფ. მახარაძე ო. ბაუერს უწოდებდა რევიზიონისტს, რომელმაც უარყო სოციალისტური რევოლუცია. რაც შეეხება ნაციონალურ საკითხს, იგი აქ კიდევ უფრო დაშორდაო მარქსიზმს, აღნიშნავდა ფ. მახარაძე. ნაციონალურ საკითხში ბაუერი ფ. მახარაძის აზრით „იდეალისტი და სპირიტუალისტია", რადგან ბაუერის განმარტებით ერი წარმოადგენს „...ხასიათის და სვებედის ერთობას... რა არის, მაშასადამე, ეს ნაციონალური ხასიათი თუ არა იგივე ნაციონალური სული, — ესაა ყველა ჯურის იდეალისტის ცხენ-ჯოხა"[225]. ამ სტატიაში საკმაო საფუძვლიანად იქნა აგრეთვე გაკრიტიკებული სოციალ-დემოკრატ ავტონომისტების წარმომადგენელი პ. საყვარელიძე („ნ. საქარელი"). იმის გამო, რომ პ. საყვარელიძეს გამოესარჩლენ გაზეთ „სიმართლის ხმიდან", ფ. მახარაძე იძულებული გახდა ისევ გამოსულიყო ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მომხრეთა წინააღმდეგ სტატიით — „კიდევ ნაციონალურ კულტურული ავტონო-

---

ხარაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, 1958, გვ. 31). აქედან გამოდის, თუ თქოს „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში" ფ. მახარაძის აღნიშნულ სტატიას „პირველი ადგილი" ეჭიროს, რაც ყალბ ილუზიას ჰქმნის.

[224] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 69.

[225] ი ქ ვ ე, გვ. 70.

შიის შესახებ", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ფიქრის" 1914 წლის მარტის ნომრებში. მან თავის სტატიაში, ამხილა რა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მავნე ხასიათი, დაასკვნა: „...ის, ვინც მართლა საქმით იცავს არა მარტო ჩამორჩენილ ნაციებს, არამედ საერთოდ ყველა ხალხთა პროლეტარიატის არსებით ინტერესებს, მისი თავი და თავი მოთხოვნა არის რაც შეიძლება სრული და ლოღიკურად გატარებული დემოკრატიზაცია მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებისა ყველა სფეროში და ყველა დარგში... ნაციონალურ-კულტურული ავტონომია მხოლოდ შეაფერხებს პროლეტარიატის კლასობრივ განვითარებას, იგი ხელს შეუწყობს არა მარტო დახავსებული იდეების და დრომოჭმულ მისწრაფებათა გამაგრებას,.. არამედ რამდენიმედ კიდევ უფრო დააბნელებს მის კლასობრივ შეგნებასაც"[226]. ასე წარმატებით იცავდა ფ. მახარაძე ბოლშევიკური პარტიის ეროვნულ პროგრამას, მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ეროვნული საკითხის შესახებ საქართველოში. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კავკასიელმა ლენინელებმა პარტიის ბელადის ყურადღება მიაქციეს ფ. მახარაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობას საქართველოში. 1913 წლის 24 აგვისტოს წერილში ვ. ი. ლენინი სთხოვდა ს. შაუმიანს მოეძებნა „კავკასიელი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ სტატიები ეროვნულ საკითხზე კავკასიაში"[227]. საპასუხო წერილში ს. შაუმიანი წერდა ვ. ი. ლენინს: „ეროვნული საკითხის შესახებ კავკასიაში და ბევრ სხვა საკითხში თქვენთვის ძვირფასი იქნებოდა კავშირის დაჭერა ფილიპე მახარაძესთან"[228]... 1914 წლის გაზაფხულზე ცნობილი ქართველი ბოლშევიკი მ. დავითაშვილი, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ვ. ი. ლენინთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, საქართველოში გზავნის ლენინის სტატიას „ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის შესახებ", რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ბოლშევიკებისათვის. ამასთან ერთად მ. დავითაშვილი წერდა მ. ტოროშელიძეს, რომ აღნიშნული სტატია მან ფ. მახარაძესაც გაუგზავნა. „თუ გინდა შენც მიწერე რომ უფრო ხალისიანად გამომეპასუხოს, მაგას დიდი მნიშვ-

---

[226] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 95.
[227] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 35, გვ. 99.
[228] იხ. ჟურნ. „Вопросы истории", 1956, № 8, გვ. 6.

ნელობა ექნება. კარგი იქნება ლადოსთან (ვ. ი. ლენინთან, ი. კ.) პირდაპირი მიწერ-მოწერა დავაყვერინოთ. მაგის პოზიციას ილიჩი აუცილებლად უნდა გაეცნოს რაც შეიძლება დაწვრილებით"[229].

ვ. ი. ლენინის დაინტერესება კავკასიით, მაშინ როდესაც მას ბრძოლა ჰქონდა გამართული ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან პარტიის ეროვნული პროგრამის დასაცავად, აიხსნება შემდეგი გარემოებით: ჯერ ერთი, ეროვნული საკითხი იმპერიაში ყველაზე მწვავედ იდგა ამიერკავკასიაში, მეორე, ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი მტერი ლენინურ ეროვნულ პროგრამას სწორედ ამიერკავკასიაში ჰყავდა, მესამე, იმპერიალისტური ომის წინ ეროვნული საკითხი ყველაზე მეტად გამწვავდა, აქ, ამიერკავკასიაში, და ბოლოს, მეოთხე, ფილიპე მახარაძეზე უფრო ღრმა მცოდნე ეროვნული საკითხისა მაშინ საქართველოში არავინ იყო[230]. ყოველივე ეს პარტიის ბელადსა და საქართველოს ბოლშევიკებს სერიოზულად აფიქრებდათ. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ქართველი ბოლშევიკებისაგან ეწერათ სტატიები პარტიის ეროვნული პროგრამის დასაცავად ან მისთვის გაეგზავნათ ყველა მასალა. ქართველ ბოლშევიკებს შორის მაშინ ეროვნული საკითხის სპეციალისტად, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ფ. მახარაძე ითვლებოდა. ამიტომაც იყვნენ ქართველი ბოლშევიკები ვ. ი. ლენინთან მისი დაკავშირებით დაინტერესებული.

ქართველ მარქსისტთა შორის პირველი იყო ფ. მახარაძე, რომელიც სპეციალურად სწავლობდა საქართველოს ისტორიის საკითხებს. იგი, არა მარტო კონკრეტულ ისტორიულ პრობლემებზე მუშაობდა, არამედ იკვლევდა ზოგად მეთოდოლოგიურსა და სოციოლოგიურ საკითხებსაც. ვერ ვიტყვით იგი ყველაზე თანაბარი სიძლიერით მუშაობდა, ანდა ყოველთვის უშეცდომოდ სწყვეტდა საკითხებს. მაგრამ, რაც მთავარია, იგი ძირითად ხაზებში მართებულ მარქსისტულ გაშუქებას აძლევდა მის მეცნიერული ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებს. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ ფ. მახარაძე შეცდომას უშვებდა ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში, არამედ გასაკვირი ის არის, რომ იგი ასე ცოტა შეცდომას უშვებდა, მაშინ, როდესაც ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის

---

229 ჟურ. „ისტორიის მატიანე", 1930, № 1, გვ. 341.

230. ნ. მახარაძე, ფ. მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1958, გვ. 59—62.

გამომეშავება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი საქართველოში მარქსიზმის კლასიკოსთა ყველა ნაშრომი. ამიტომ ჩვენ არ ვჩერდებით იმ ცალკეულ შეცდომებზე, რომლებიც აქა-იქ შეინიშნება მის შრომებში, განსაკუთრებით რომ ეხებიან საქართველოს ისტორიული წარსულის ზოგიერთი მომენტის შეფასებას, ან კიდევ ზოგიერთი კლასიკოსის ლიტერატურულ მემკვიდრეობათა შეფასებას და სხვა.

ფ. მახარაძეს არა ერთხელ აღუნიშნავს საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა, მისი სისტემატური და გეგმაზომიერი შესწავლის აუცილებლობა. „ჩვენი წარსული ყოფაცხოვრების შესწავლას, — აღნიშნავდა იგი, — თითქმის ყოველთვის ჰქონებია მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი“[231].

ფ. მახარაძემ სწორად შენიშნა ისტორიული მეცნიერების გამოცოცხლება XIX საუკუნეში, რაც ქართველი ხალხის ერად ფორმირების პროცესთან იყო დაკავშირებული უდაოდ. აქ, როგორც ადრე ვნახეთ, ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობამ, უაღრესად დიდი როლი შეასრულა. მათ ქართული ისტორიული მეცნიერება ძლიერ წასწიეს წინ და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩააყენეს.

„საქართველოს წარსული ცხოვრების და მწერლობის შესწავლის საქმეს, — წერდა ფ. მახარაძე, — რამდენიმეთ მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გაუღიმა ბედმა, მხოლოთ ამ უკანასკნელ ხანებში მიაგნეს ქართველი ხალხის ისტორიის და ლიტერატურის ნამდვილ წყაროებს. რითაც გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯი როგორც ერთის, ისე მეორის შესასწავლათ... იმ საერთო გაღვიძების დროს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიამაც საკმარისი ყურადღება მიიპყრო. პირველად აკადემიკოსმა ბროსსემ გამოაქვეყნა. საქართველოს ძველი მატიანე, წოდებული „ქართლის ცხოვრებათ“, რომელიც ამის შემდეგ დიდ ხანს ითვლებოდა ჩვენი ისტორიის დედა-ბოძათ. „ქართლის ცხოვრების“ გამოქვეყნებას მოყვა სხვა წყაროების გამოქვეყნებაც როგორც ისტორიის, ისე ძველი მწერლობის შესასწავლათ. ამ საქმეში დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის განსაკუთრებით დ. ბაქრაძეს, რომლის „ისტორია საქართველოსი“ საუკე-

[231] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. V, გვ. 4.

თესოთ უნდა ჩაითვალოს იმ ისტორიულ სახელმძღვანელოებში, რომლებიც აგებულია „ქართველის ცხოვრების“ გეგმაზე“[232]. მიუხედავად ამისა, ფ. მახარაძეს არ აკმაყოფილებდა ქართული ისტორიული მეცნიერების მაშინდელი მიღწევები. იგი მოითხოვდა ისტორიოგრაფიის ახალ, მატერიალისტურ, მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებას. იგი ,ისე როგორც ქართველი სამოციანელები, მთავარ ყურადღებას აქცევდა „ხალხის ცხოვრების“ მისი „ეკონომიური ვითარების“ შესწავლას. დღემდე კი, წერდა ფ. მახარაძე, „...როგორც მატიანე, ისე სხვადასხვა „ისტორიები“ ხალხის ცხოვრებას სრულიად უყურადღებოდ სტოვებს: ,იმათ თვალში სრულიად საკმარისია იმის აღნუსხვა, თუ როდის მეფობდა ესა თუ ის პირი, რამდენი ომი მოხდა ამა თუ იმ პირის მეფობაში და რამდენი ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი იქნა გაკეთებული. არსებითი მხარე ხალხის ცხოვრებისა, მისი ეკონომიური ვითარება, საზოგადოებრივი ურთიერთობა სრულებით არა სჩანს, თითქოს ყოველივე ეს ყურადღების ღირსი არც კი იყოს. ამნაირათ, ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრება, რომლის შესწავლამ უნდა გაგვითვალისწინოს მისი აწმყო და მომავალი, დღემდის სრულიად გამოუკვეველია“[233].

მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს ფ. მახარაძეს გამოთქმული საქართველოს კონკრეტული ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. იგია პირველი მარქსისტი ისტორიკოსი, რომელმაც მოგვცა საქართველოს XIX საუკუნის მთლიანი ისტორია. ფ. მახარაძემ პირველმა აღნიშნა საქართველოს რუსეთთან შეერთების როგორც უარყოფითი, ისე ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა, აგრეთვე საქართველოს რუსეთთან შეერთებაში რუსეთის დიპლომატიის როლი[234]. საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს, როგორც ცარიზმის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ძალმომრეობითი ლიკვიდაციის ფაქტს, აქედან გამომდინარე შედეგების — როგორც უარყოფითის, ისე ობიექტურად პროგრესულის მნიშვნელობას აღნიშნავდნენ მაშინ გაზეთები: „ისკრა“ და „ბრძოლა“, სადაც დაიბეჭდა ლ. კეცხოველის სტატია—„ასი წლის იუბილეის გამო“ და რსდმპ.

---

[232] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 249.

[233] ი ქ ვ ე, გვ. 250.

[234] ი ქ ვ ე, ტ. I, გვ. 309.

თბილისის კომიტეტისა და კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციები და სხვ.

რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, რევოლუციური მოძრაობის პერსპექტივებისა და ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის დახასიათება და ანალიზი მოცემულია გაზეთ „ბრძოლის" 1901 წლის მე-2 და მე-3 ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიაში — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები". საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ცალკეული საკითხების მარქსისტულ-ლენინური გაშუქებაა მოცემული სტატიაში — „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა", რომელიც გამოაქვეყნა ბოლშევიკურმა გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ" 1905 წლის 15 ივლისს. რუსეთისა და საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებათა მეცნიერული დახასიათებაა მოცემული გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში" 1905 წლის 15 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში — „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია" და ა. შ.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებს. ისინი არა მარტო მეცნიერული შრომის დონეზე დგანან, არამედ წარმოადგენდნენ პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროებს XIX და XX საუკუნეთა ისტორიის შესწავლისათვის.

ამრიგად, საქართველოში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში მარქსისტული ლიტერატურის გავრცელება და მარქსისტული იდეების პროპაგანდა წარმოადგენდა ისტორიის მატერიალისტური გაგების არა მარტო თეორიულ-მეცნიერულ დასაბუთებას, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენების კლასიკურ ნიმუშსაც. ამიტომ იგი, მარქსისტული ლიტერატურის გავრცელება და მარქსისტული იდეების პროპაგანდა, წარმატებით უკაფავდა გზას ისტორიულ მატერიალიზმს — მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძველს, ქმნიდა მყარ ნიადაგს მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. მაგრამ თვით მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების შექმნისა და გამართვის საქმე ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩებოდა.

ნაწილი მეორე

საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე

თავი პირველი

სამეცნიერო დაწესებულებანი და ისტორიული კვლევა-ძიების ორგანიზაცია[1]

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე შეუძლებელი იყო ფართო, გეგმაზომიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოში. აქ არ არსებობდა ცოტად თუ ბევრად გამართული სამეცნიერო დაწესებულება. მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში იყო მიმოფანტული. ბევრი მათგანი, მშობლიური ხალხის ისტორიისა და კულტურის სიყვარულით ანთებული, მხოლოდ პირადი ინიციატივით ეწეოდა დიდ შემოქმედებით მუშაობას ქართული მეცნიერების სარბიელზე. მაგრამ საკუთარ ეროვნულ ნიადაგს მოკლებული მეცნიერული აზროვნება, აზროვნება ხალხს, ცხოვრებას მოწყვეტილი ხშირად სუსტი და უღიმღამო, უნიათო იყო, იგი სულს ღაფავდა თვითმპყრობელური რეჟიმის მარწუხებში.

საქართველოში შედარებით ყველაზე მძიმე იყო პირობები ისტორიული აზრის, ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. მეფის თვითმპყრობელობას ყველაზე მეტად მოჰქონდა იერიში ქართული ენისა და ქართული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ; მისმა სატრაპებმა კარგად იცოდნენ ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობა ერისათვის, ხალხის ეროვნული კონსოლიდაციისათვის: — ქართული ისტორიოგრაფია ძირს უთხრიდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ასამარებდა დიდ და დამპყრობელ ერებში პატარა ერების გათქვეფის რეაქციულსა და რენეგატულ ცდას. ცარიზმის სატრაპებმა ასევე კარგად იცოდნენ, რომ ისტორიის სარ-

---

1 ძირითადად ვაშუქებთ საქართველოს ახალი ისტორიის შემსწავლელ სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას. • ე ტ.

ბიელიდან სწრაფად გამქრალა ხსენება ხალხისა, რომელსაც დაუ-ვიწყნია ეროვნული ენა და საკუთარი წარსული. ამიტომ მათი უხე-ში და ბინძური ხელი, უპირველესად ყოვლისა, სწვდა ჩვენი ერის ისეთ ფაქიზსა და წმინდათაწმინდა დედაბოძს, როგორიცაა ეროვ-ნული ენა და ეროვნული თვითშემეცნება. მაგრამ თავისი მეობისა-თვის საუკუნეობით მებრძოლმა ქართველმა ხალხმა არც მაშინ უღა-ლატა წინაპართა ანდერძს და ამ გამარუსებელ შემოტევას მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით უპასუხა, იხსნა ერ-თიცა და მეორეც.

დაპყრობილთა ისტორიას, როგორც ცნობილია, დამპყრობლე-ბი წერდნენ უმეტესად და ქართველი ხალხის „გაბედნიერებაც" მოისურვეს ცარიზმის სატრაპებმა, მათდა საამებლად გამოჩნდნენ დუბროვინები, ბუტკოვები ... რუსული ენითა და თვითმპყრობელუ-რი სულით საქართველოს ისტორიის შეთხზვის მოსურნენი. მაგრამ ქართველ სამოციანელთა სახელოვანმა პლეადამ მათ საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნის საკუთარი გეგმა დაუპირისპირა. გა-სული საუკუნის 80-იან წლებში დ. ბაქრაძემ შეიმუშავა და გამო-აქვეყნა საქართველოს ისტორიის შექმნის მეცნიერული პროგრამა. მას დიდი მოწონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, მის აზრთა მფლობელმა — ილია ჭავჭავაძემ მას სპეციალური პროგრამული წერილი — „ერი და ისტორია" უძღვნა. ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ა. ფურცელაძის და სხვათა მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებაში მნიშვნელო-ვანი ადგილი დაიკავა ისტორიულმა თემატიკამ. ამით საკადრისი პასუხი გასცეს მათ გარუსების ცარისტულ პოლიტიკას, ქართველ რენეგატებს და ეროვნული ნიჰილიზმით დაავადებულ ადამიანებს.

ეროვნული იდეალებისათვის გაჩაღებულ ამ დიდ ბრძოლაში ყოველთვის ყველაფერი როდი იყო ზუსტად მოზომილ-მოფიქრე-ბული. აქ ზოგჯერ ძნელი იყო საქართველოს წარსულის რომანტი-კული იდეალიზაციის თავიდან აცილება. მაშინ, როდესაც გააფთრე-ბული იერიში მოჰქონდათ ერისა და ყოველივე ეროვნულის წინა-აღმდეგ, წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია გვევლინებოდა, მხოლოდ, როგორც საპასუხო რეაქცია, მაგრამ მისი აღიარება პრინ-ციპად, როგორც ეს უკიდურესობაში გადავარდნილ ზოგიერთ ქარ-თველ მოღვაწეს ემართებოდა, ყოვლად გაუმართლებელი იყო. ამიტომ სრულიად მართალია აკად. ნ. ბერძენიშვილი, როდესაც აღ-

ნიშნავს: „ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით ხელოვნურად შეფერხებული ქართული საზოგადოებრივი განვითარება, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ჯანმრთელი და ნოყიერი ნიადაგი მისი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ნორმალური განვითარებისათვის. .კლასობრივი გადაშენების გზაზე შემდგარ თავადაზნაურთა შვილებთუ გადაგვარებული ჰეროსტრატები შეთანხმებულად უტევდნენ ქართველ ერს, მის ისტორიას და ცარიზმის აგენტებს მათ ბნელ საქმეში შველოდნენ. ასეთ პირობებში გასაგებია ამ დროის ქართველ პატრიოტ-ისტორიკოსთა მიდრეკილება წარსულის რომანტიკული იდეალიზაციისაკენ“[2].

წარსულის რომანტიკული იდეალიზაციის საცთურს ვერ ასცდა დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილიც კი. მან აკად. ნ. მარს ბრალი დასდო ანტიპატრიოტიზმში და მოითხოვა ისტორიის წერა „ადვოკატური გამოსარჩლების“ მეთოდით, ამას მოითხოვდა, ჩვენი სახელოვანი პედაგოგის აზრით, მამულის სიყვარული. მაგრამ იაკობ გოგებაშვილზე არა ნაკლებ პატრიოტმა, დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა არ აპატია მისთვის საყვარელ ადამიანსაც კი ასეთი შეცდომა და მკაცრად გააკრიტიკა იგი ამ მიზნით სპეციალურად დაწერილ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“. აი რას წერდა მაშინ ივ. ჯავახიშვილი: „გოგებაშვილისებური ისტორია უფრო ნაციონალური ხოტბაა, ვიდრე მეცნიერება. ამნაირი მიმართულება ისტორიას პირველ ხანებში, დასაწყისში ჰქონდა და ეხლა მე-20 საუკუნის დამდეგს ამ მიმართულების განახლება მგონი, რომ ძალიან დაგვიანებული უნდა იყოს... ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“[3].

[2] ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა, წარმოთქმული ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე 1958 წლის 28 ნოემბერს (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. II, 1961, გვ. 161).

[3] ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1904, გვ. 8—9.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ დიდმა პედაგოგმა, როგორც სჩანს, გაიზიარა დიდი მეცნიერის კრიტიკული შენიშვნები, რაზედაც მიგვითითებს ერთი ასეთი საყურადღებო ფაქტი: ი. გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოში შეტანილ დუტუ მეგრელის ერთ-ერთი ლექსიდან ორი სტრიქონი ამოიღო, ამის გამო ავტორმა პროტესტი განაცხადა. იგი ი. გოგებაშვილმა 1908 წელს შემდეგი პასუხით დაამშვიდა: „რაც შეეხება ორი სტრიქონის გამოტოვებას ბ-ნი დუტუს ლექსიდან, ეს იძულებული ვიყავი მომეხდინა შემდეგი მოსაზრებით. საღი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა, მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდარებს. ჩვენი კალმოსანი გამოტოვებულს სტრიქონებში საქართველოს ქვეყნის თვალად სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა"[4].

ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფია რევოლუციამდელ საქართველოში, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გზას იკაფავდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან, რენეგატობასთან, ნიჰილიზმთან და ნაციონალიზმთან გააფთრებული ბრძოლით თანამედროვე, მწყობრ მეცნიერული სისტემად ჩამოყალიბებისაკენ. ამ პერიოდში ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვლო ჭეშმარიტად დიდი და სახელოვანი გზა — ქართველ სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებიდან, ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიის ამ სათავიდან, დ. ბაქრაძისა და ი. ჯავახიშვილის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისებით — მარქსისტული ისტორიული მეცნიერებისაკენ.

ამიტომ ყოველად შეუწყნარებელი იყო საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელმაც კვლავ იჩინა თავი XX საუკუნის დასაწყისში, ამ შემთხვევაში ფ. მახარაძის შრომებში. 1904 წელს დაწერილ ნაშრომში ფ. მახარაძე წერდა: „ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური, რომ ქართულ ისტორიას ჯერ არ ყავს გამოჩენილი ისტორიკოსიო; მაგრამ ასეთი საყვედური, რამდენადაც მართალია, იმდენად იგი უსაფუძვლოა. და მართლაც, კარგიც რომ გვყოლოდნენ, რას იზამდნენ ჩვენში გიზო, ლუი-ბლანი, ტიერი, ბოკლი, ნიბური და სხვ.?... რომელი მოძრაობა, ან რომელი ისტორიული ცვლილება უნდა გაეხადათ მათ თავიანთი გამოკვლევათა საგნად, რაზე უნდა მიეპყრათ

[4] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, გვ. 243.

თავიანთი ყურადღება?... ჩვენი ხალხის წარსულმა არ იცის არავითარი პოლიტიკური გინდ წმინდა გონებრივი ხასიათის მოძრაობა"[5]. ასეთ ნიჰილისტურ გამოსვლას პირდაპირ პასუხობდა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1906 წელს პეტერბურგში გამოცემული ნაშრომი „Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке". სადაც საკმაოდ ნათლად და მეცნიერულადაა ნაჩვენები ქართველი ხალხის მრავალი პოლიტიკური და „წმინდა გონებრივი ხასიათის მოძრაობა".

ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1902 წელს გაილაშქრა პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრიდან აღმოსავლეთის (მათ შორის კავკასიის) ხალხთა ისტორიის აბუჩად აგდების წინააღმდეგ. ქართველ მეცნიერთა შორის პირველად ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა საჯაროდ, „რომ ისტორიის ფილოსოფიის მკვლევარნი თავიანთ თხზულებებში აღმოსავლეთს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე და საზოგადოდ ჩვეულებრივ აზრებს იმეორებენ ხოლმე". „აღმოსავლეთის ასე უყურადღებოდ დატოვებისა და აბუჩად აგდების" ერთ-ერთ მიზეზად ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია ის, რომ „ევროპის ხალხთა ისტორიის კვლევით გატაცებულ და გათამამებულნი, ეს მეცნიერები ეპვის თვალით უცქერიან, ათვალსწუნებული ჰყავთ აღმოსავლეთი... ცოტანი როდი არიან ისეთი ისტორიკოსები, რომელნიც აღმოსავლეთის წარსულის შესწავლას მაღლიდან დასცქერიან"... ივ. ჯავახიშვილი ჰკიცხავს იმ ყალბსა და მავნე ჰიპოთეზებს, რომელთა მიხედვით „დადგენილია სხვადასხვა მოდგმისათვის ათვისების, შემოქმედებითი უნარის და გონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი და ზღუდე, დადგენილია ამ მოდგმათა მორწმუნეობის ხარისხი და ხასიათი, გარკვეულია (უკეთ, — განსაზღვრულია, ი. კ.) ამა თუ იმ მოდგმის ხალხების ბუნებრივი, თანდაყოლილი მიდრეკილება ერთ წერტილზე გაყინვისა, უძრაობისა ან კიდევ მათი ლტოლვა-მისწრაფება პროგრესისა და სოციალური განვითარებისაკენ. გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა: ერთნი რატომღაც დაჩაგრულნი არიან განგებისაგან, მეორენი ვერ სცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების პრიმიტიულ ფორმებსა და გონებრივი განვითარების უსუსურ ყოფა-

[5] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. V, გვ. 102, 103, 105.

მდგომარეობას; მაშინ როდესაც ერთნი ყოველთვის გულგრილნი არიან რელიგიის მიმართ, მეორეთა ხვედრია, ბედისწერისაგან დადგენილი, შეუქმნან კაცობრიობას რელიგიები, მესამენი ბედისაგან გალაღებულ-გათამამებულნი არიან და მარტო მათ აქვთ მინიჭებული ძალა და ღონე მიაღწიონ უმაღლეს ყოველმხრივ განვითარებას". და ბოლოს დასძენს, რომ „მცდარია ან კიდევ გაზვიადებულია, აგრეთვე აზრი აღმოსავლეთის სულიერი კულტურის უძრაობისა და კარჩაკეტულობისა"[6].

აქ ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული და გაზიარებულია მისი ეპოქის მოწინავე და პროგრესული ისტორიული კონცეფცია, რაც ძირშივე უარყოფდა ყოველგვარ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ჩაგრულ და ისტორიულად ჩამორჩენილ ხალხთა წარსულისადმი: ახალგაზრდა მეცხიერი ისტორიკოსთა საყურადღებოდ ამბობდა: „ამრიგად, ორიენტალისტ-ისტორიკოსს არ შეუძლია იხელმძღვანელოს, არ ძალუძს გაიზიაროს დიდ არსებით შესწორება-დამატებათა გარეშე ის დებულებანი, რომელნიც წამოყენებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას. პირიქით, მის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რათა მან აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია შეისწავლოს ყოველგვარი, წინდაწინვე აკვიატებულ-აჩემებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე და სავსებით უეჭველ მონაცემთა მიხედვით, რაც კი მოპოვებულია მეცნიერული კვლევა-ძიების გზით"[7].

აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ „წინდაწინვე აკვიატებულ-აჩემებულ აზრ-შეხედულებათა" გასაბათილებლად მრავალი ფაქტი მოაქვს ივ. ჯავახიშვილს საქართველოსა და სომხეთის ისტორიიდან. იგი თვალსაჩინოდ ჰხდის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მტკიცებათა უსუსურობას აღმოსავლეთის ხალხთა უძრაობის, შემოქმედებითი უუნარობისა და სხვათა შესახებ.

ასეთი ისტორიული კონცეფციით შეიარაღებულ ქართველ ისტორიკოსთა მაშინდელ მცირე ჯგუფს ყოველი ჯურის ნიჰილისტთა ასალაგმავად აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა ქართველი ხალხის წარსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების, იდეური და პოლიტი-

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 389, 390, 391, 397.

[7] იქვე, გვ. 391.

ჯური ბრძოლის ამსახველ ფაქტობრივი მასალის ძიება და შეგროვება, მათი მეცნიერული შესწავლა და განზოგადება ჩვენი ისტორიის ახალი ფილოსოფიის დასადგენად. ამის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა 1905—1907 წლების რევოლუციის დროს და რევოლუციის შემდეგ. „და ჩვენმა სახელოვანმა პატრიოტებმა სწორად აუღეს ალღო ახალ დროს. ცარიზმის რეაქციის სულის შემხუთველ პირობებში მათ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ორგანიზაცია, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც მოწადინებული იყო შეესრულებინა დიდი მნიშვნელობის საქმე: — საქართველოს მეცნიერული ისტორიისათვის მასალის გამოვლინება და შეგროვება“[8].

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. საქართველოში ცოტად თუ ბევრად ორგანიზებულ მეცნიერულ კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაუყარა სწორედ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. „ეს იყო მაშინ ჩვენში, — როგორც აკად. კ. კეკელიძე ამბობდა, — უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტიც“[9]. ასეთივე მაღალი შეფასება მისცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობას აკად. ნ. ბერძენიშვილმა, იგი წერს:

„ცარიზმის რეაქციის სულისშემხუთველ პირობებში, ქართველი ერის უუფლებობისა და პატივაყრილობის ხანაში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ენთუზიასტებმა შეძლეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე წრეების ამოძრავება დიდი პატრიოტული საქმის შესასრულებლად. სისტემიანი, ხანგრძლივი და დაჟინებული მუშაობის შედეგად გამოვლინებულ იქნა საქართველოს ისტორიის დიდძალი მასალა. მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა რიგ მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს, მოეწყო მეცნიერული გამოფენა, გამოქვეყნ-

---

[8] ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა... (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. II, 1961, გვ. 162).

[9] კ. კეკელიძე, სიტყვა, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე 1958 წლის 28 ნოემბერს (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. V, ნაკ. II, 1961, გვ. 159).

და დიდი მასალა ისტორია-არქეოლოგიიდან, ეთნოგრაფია-ფოლკ-ლორიდან"[10].

ამრიგად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძირითადი მიზან-დასახულება საისტორიო მასალის შეგროვება იყო. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „საქართველოს მეცნიერული ისტორიისათვის მასალის გამოვლენა და შეგროვება" მთლიანად ჯერაც არაა დამთავრებული. ამიტომ საქართველოს ისტორიის მკვლევართ მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში დიდი და მძიმე სამუშაოს შესრულება უხდებოდათ: ჩვენი მდიდარი წარსულის ცალკეული ისტორიული ფაქტების დადგენა და შესწავლა, მრავალფეროვან მოვლენათა შორის ისტორიულ კავშირ-ურთიერთობის აღმოჩენა და ყოველივე ამის საფუძველზე განმაზოგადებელ ნაშრომთა შექმნა. ეს უკანასკნელი სამუშაო ქართველ ისტორიკოს-მკვლევართა მაშინდელ მცირე ჯგუფს ძირითადად შეუსრულებელი დარჩა, პირველი რიგის შრომატევად სამუშაოთა შესრულების სირთულისა და სიმძიმის გამო, და არა იმის გამო, რომ თითქოს ისინი გაურბოდნენ ან უარყოფდნენ განმაზოგადებელ შრომებს ან ისტორიის ფილოსოფიის შექმნას, როგორც ეს ეგონა ზოგიერთ ურა მარქსისტს მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში.

გ. ნათაძე ძირითადად სწორად ახასიათებდა ივ. ჯავახიშვილის ისტორიული კვლევა-ძიების მეთოდს, როდესაც წერდა: „ზუსტი კვლევა-ძიება, ნამდვილი ფაქტების გადარჩევა და დამტკიცება მრავალნაირი წყაროს ცნობების შედარების ნიადაგზე, დათარიღება, გენეალოგიური საკითხების გამორკვევა და სხვა ამგვარი ამოცანები ისე შეასრულა პროფ. ჯავახიშვილმა, რომ მისი მეოხებით, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, საქართველოს ისტორიული მეცნიერება ამ მხრივ ერთბაშად დასავლეთ ევროპის ისტორიული მეცნიერების სიმაღლეზე დადგა"[11]. მიუხედავად ამისა, 1936 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამართულ დისკუსიაზე კ. ორაგველიძე აკრიტიკებდა ივ. ჯავახიშვილს იმის გამო, რომ მას თითქოს „ისტორიული კვლევის დროს

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, ისტორია,... (იხ. წიგნში „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე", თბილისი, 1961, გვ. 501).

[11] გ. ნათაძე, საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები, ნაკვეთი I, თბილისი, 1931, გვ. 80—81.

არ მოსწონს თეორიული მსჯელობა, ზოგადი პრობლემების დაყენება", რომ იგი „ემპირიულ მასალებს შეისწავლის, მაგრამ აქ ანალიზს თან არ მოჰყვება სინთეზური მუშაობა და ეს არც საჭიროდ მიაჩნია ჯავახიშვილს"[12].

ივ. ჯავახიშვილი პრინციპში სრულიად არ უარყოფდა განმაზოგადებელი ნაშრომის აუცილებლობას ისტორიულ მეცნიერებაში, არ უარყოფდა იგი წერას ისტორიის ფილოსოფიაზე, ასეთი ფილოსოფიის შექმნის აუცილებლობას; პირიქით, იგი მას მიაჩნდა „ისტორიული მეცნიერების უზენაეს მიზნად". ამის შესახებ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი 1904 წელს წერდა: „თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენის მეცნიერების უზენაეს მიზანს"[13]. დაახლოებით ასეთივე აზრი განავითარა მან 1928 წლის 20 მაისს დაწერილ წინასიტყვაობაში „ქართველი ერის ისტორიისათვის". აი რას წერდა მაშინ უკვე ღვაწლმოსილი ისტორიკოსი:

„პირველი წიგნის შევსებისა და ახალი პრობლემების გაშუქების დროს გამოირკვა, რომ ამ წიგნში შეტანილი ახალი თვალსაზრისისა და ახლად წამოყენებული დებულებების დამაჯერებლობისათვის წყაროების ცნობებისა, აქამდე არსებული თეორიებისა და გაბატონებულ შეხედულებათა გათვალისწინება და კრიტიკული განხილვაა საჭირო. სჯობდა, რომ ეს წინასწარ ან ცალკე წიგნად, ან რომელსამე სპეციალურ სამეცნიერო ორგანოში გამოქვეყნებულიყო: მაშინ მკითხველს „ქართველი ერის ისტორიის" წაკითხვა უფრო გაუადვილდებოდა. მაგრამ ასეთი ქართული ორგანოს უქონლობამ და სპეციალური წიგნების გამოცემის სიძნელემ მთელი ამ წყაროთა მიმოხილვისა და კრიტიკული გაცხრილვის შემცველი ნაწილების ამ პირველ წიგნშივე შეტანა აუცილებელი გახადა. ამ გარემოებამ ისედაც ძნელი წასაკითხი წიგნი მეტისმეტად დატვირთა და მას საისტორიო გამოკვლევის ხასიათი მიანიჭა. მ ა გ რ ა მ ა დ-

---

[12] კ. ო რ ა ბ ვ ე ლ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1936, გვ. 14—15.

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1904, გვ. 10.

ვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას აკალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს. საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილებლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად წეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული... მომავალში კი ამ ისტორიის დამთავრების შემდგომ, ამაზე დამყარებული საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის გამოცემაც მაქვს განზრახული"[14]. ამ ამონაწერიდან ისტორიის საკითხებზე აღნიშნული დისკუსიის დროს მოჰქონდათ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ჩვენ მიერაა ხაზგასმული, ე. ი. ამახინჯებდნენ ავტორის თვალსაზრისს და უმართებლოდ აკრიტიკებდნენ ამ საკითხში მხცოვან მეცნიერს. მათ არ სურდათ დაენახათ დიდი მკვლევრისა და მოქალაქის დამსახურება ისტორიული მეცნიერებისა და ქართველი ხალხის წინაშე.

ივანე ჯავახიშვილმა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1902 წელს წამოაყენა მეცნიერული კვლევა-ძიების ფრიად გაბედული ვეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ისტორიის როგორც ნიჰილისტური, ისე „გაზვიადებულ-ადვოკატური" გაგების წინააღმდეგ ბრძოლას. ბრძოლას რასიზმის წინააღმდეგ ისტორიულ მეცნიერებაში. ისტორიული კვლევა-ძიების საფუძვლად ახალგაზრდა მეცნიერი, ნაცვლად რასობრივი დისკრიმინაციისა, მოითხოვდა „წოდებრივი და კლასობრივი ბრძოლის" აღიარებას. ამით ქართველი მეც-

[14] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 2 (ხაზგასმა ჩვენია, ი. კ.)

ნიერი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის კათედრიდან გაბედულად მოითხოვდა აღმოსავლეთის რიგ ხალხებისა და ერებისათვის, რეაქციულ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ ჩამორთმეულ მოქალაქეობრივი უფლებების დაბრუნებას.

ყოველივე ეს როდი იყო ივანე ჯავახიშვილისათვის შემთხვევითი. ახალგაზრდა მეცნიერის საზოგადოებრივი შეხედულებანი და ისტორიული კონცეფცია ყალიბდებოდა ქართველ სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიული და პატრიოტული იდეების გავლენით. როდესაც ილია ჭავჭავაძემ ქართულ ისტორიოგრაფიას დაუსახა გადაუდებელი ამოცანა:—წოდებრივ და კლასობრივ ურთიერთობათა ისტორიის, პოლიტიკურ და სოციალურ მოძრაობათა ისტორიის, ხალხის ისტორიისა და მისი ცხოვრების ეკონომიური საფუძვლის შესწავლა, — მას პირველი გამოეხმაურა ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. აღნიშნული საკითხების კვლევას მან მრავალი ფუნდამენტალური ნაშრომი უძღვნა: 1902 წელს — „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები“[15], 1904 წელს — „მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1905 წელს — „Государственный строй древней Грузии и древней Армении“, 1906 წელს — „Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке“, 1907 წელს — „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, 1908 წელს — „ქართველი ერის ისტორია“, წ. I, 1914 წელს —„ქართველი ერის ისტორია“, წ. II, 1916 წელს—„ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. 1919 წელს—„ქართული სამართლის ისტორია“, წ. I, და ა. შ.[16]

ამრიგად, „ივანე ჯავახიშვილმა, მისივე მოწაფის ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა... ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები... დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღქურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული აღღო, სანიმუშო, და მისაბაძი მეცნიერული სინიდისი, მუშაობით შეუნელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხის კეთილშობილი სიყვარული, —

---

[15] შესავალი ლექცია, წაკითხული ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში 1902 წლის 18 ნოემბერს („ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, 1960, გვ. 389—400).

[16] იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 1949, გვ. 12, 13.

ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა"[17].

* * *

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი, მძლავრი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით. ამასთან დაკავშირებით თანდათანობით შეწყვიტა მუშაობა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც კერძო სახსრებითა და ქველმოქმედების საფუძველზე არსებობდა[18]. ქართული უნივერსიტეტის გახსნა წარმოადგენდა ახალ ეტაპს საერთოდ ეროვნული კულტურის განვითარებაში, კერძოდ კი ქართული ისტორიოგრაფიის გეგმაზომიერ განვითარებაში.

თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ერთ-ერთი ძირითადი სპეციალობა იყო საქართველოს ისტორია, რომელსაც სათავეში ედგა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი. იგი „მეცნიერებას ემსახურებოდა არა მხოლოდ როგორც ისტორიკოსი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ აგრეთვე როგორც დიდი და ნაყოფიერი ორგანიზატორი ქართული საისტორიო მეცნიერებისა, ქართველთმცოდნეობისა"[19].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მკვიდრ ნიადაგზე დადგა თბილისის უნივერსიტეტის მუშაობა, გაიშალა და გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. დიდი სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა საქართველოს ისტორიის კათედრამ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა გადაიქ-

---

[17] ნ. ბერძენიშვილი, ქართული მეცნიერების პატრიარქი (აკად. ნ. მარის სახ. ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 266).

[18] ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე (იხ. „აკაკ. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 13).

[19] ვ. დონდუა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (იხ. ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1961, № 4, გვ. 7).

ცა ახალგაზრდა ისტორიკოს-სპეციალისტთა აღზრდის უმთავრეს კერად რესპუბლიკაში. ამის შემდეგ ქართველი ინტელიგენციის ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით საქართველოში მრავლად იქმნებოდა ახალი და ახალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და ორგანიზაცია.

1921 წლის შემოდგომაზე დაარსდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელიც ივ. ჯავახიშვილი იყო. 1922 წლის აპრილში შეიქმნა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველო, რომლის გამგებლობაშიც გადავიდა: 1. საქართველოს მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა, 2. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 3. მთავარი არქივი, 4. რევოლუციის მუზეუმი, 5. სამეგრელოს მუზეუმი, 6. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 7. საბჭოთა აღმშენებლობის მუზეუმი. 8. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, 9. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის სამეცნიერო-არქეოლოგიური ინსტიტუტი, 10. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება და სხვა. სულ 16 სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც დაექვემდებარენ ერთიან ხელმძღვანელობას. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია სამუზეუმო და საარქივო საქმის მოწესრიგებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წლის თებერვალში, საზღვარგარეთ გაქცევისას თან წაიღო ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის, საერთოდ ქართული ეროვნული კულტურის უძვირფასესი ძეგლები, რითაც დიდი ხნით შეაფერხა ქართული საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების შემდგომი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარება.

1922 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მშრომელებს დაუბრუნა იმპერიალისტური ომის დროს საქართველოდან ევაკუირებული მდიდარი ისტორიული არქივი. ეს იყო რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის ერთ-ერთი მორიგი გამოვლინება კულტურული თანამშრომლობის სფეროში.

1921 წელს, ხელისუფლების შეცვლის მომენტში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებთან დაცული არქივები, რომლებსაც სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდათ, განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მაგრამ საფრთხე თავიდან იქნა აცილებული მშრომელთა რევოლუციური დისციპლინისა და რევოლუციური კომიტეტის მიერ დროულად მიღებულ ღონისძიებათა შედეგად. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით „საარქივო საქმეთა რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ" მთავრობის დაწესებულებათა ყველა არქივი და მათში დაცული საქმეები გამოცხადდა ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის კუთვნილებად. საბჭოთა დეკრეტი საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ არა მარტო კერძო საკუთრებას სპობდა საერთო-ნაციონალური მნიშვნელობის არქივებზე, არამედ ბოლოს უღებდა საარქივო მასალებისადმი ვიწრო უწყებრივ მიდგომას, რითაც ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საბჭოური ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში უდიდესი გულისხმიერება გამოიჩინა ერის კულტურულ ღირებულებათა დაცვისა და პატრონობის საქმეში. მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის უნიკალური ძეგლები საჭირო ებდა ფაქიზ და გულთბილ მოპყრობას, სათუთად შენახვას. ქართველი ხალხის თვალშეუდგომი კულტურის ძვირფასეულობანი მიმოფანტული იყო სხვადასხვა მუზეუმსა, არქივებსა და წიგნთსაცავებში. საჭირო იყო მათი თავმოყრა, მეცნიერული კლასიფიკაცია, რის შემდეგ იგი გახდებოდა მშრომელთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი; იგი ხელს შეუწყობდა, ჯერ ერთი, ქართული საბჭოური კულტურის, კერძოდ ისტორიული მეცნიერების განვითარებას და, ბოლოს, იგი უაღრესად დიდ როლს შეასრულებდა მშრომელთა კულტურული დონის განუხრელ ამაღლებაში, ხალხის სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ყოველივე ამის გამო გასაგებია ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა საარქივო და სამუზეუმო საქმისადმი, რომელსაც იჩენდა კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება რევოლუციის პირველი დღეებიდანვე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით ჩატარდა სამუზეუმო საქმის რეორგანი-

ზაცია საქართველოში. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე თბილისში დაარსდა საბუნებისმეტყველო და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმები. ისინი შეიქმნენ არსებული სამუზეუმო ფონდების, ეკლესია-მონასტრებისაგან ჩამორთმეული სათანადო კოლექციებისა და საბჭოთა რუსეთიდან რევაკუაციის წესით ჩამოტანილი სამუზეუმო ღირებულებათა ბაზაზე. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი შევსებულ იქნა საქართველოს მუზეუმიდან გამოყოფილი საისტორიო-საარქეოლოგო და საეთნოგრაფო განყოფილების კოლექციებით და სხვ.[20]

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად ახალი ჰორიზონტი გადაიშალა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის. აქ უდიდესი როლი შეასრულა მარქსიზმ-ლენინიზმმა, როგორც გაბატონებულმა. იდეოლოგიამ; ამ დროს, ნ. ბერძენიშვილის თქმით, „...საბოლოოდ გამოეთიშა ისტორიოგრაფია პოეზიისა და საერთოდ მხატვრული შემოქმედების სფეროს"[21], მაგრამ მან მაშინვე როდი შესძლო საკუთარ ფეხზე დადგომა, იგი პირველ ხანებში პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში მოექცა და აქედან იკაფავდა გზას „დამოუკიდებლობისაკენ". ხოლო მის შემდეგ, რაც მარქსიზმ-ლენინიზმმა მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა და შეიქმნა ისტორიის დარგში სამეცნიერო კვლევა-ძიების ცენტრები, ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავი დააღწია პოლიტიკური მწერლობის მეურვეობას და მას გვერდში ამოუდგა, როგორც თანაბარი ძალის იარაღი ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. ზემოდ აღნიშნული პროცესი საქართველოში მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებამდეც კი გრძელდებოდა, ამას ნათელყოფს, თბილისის უნივერსიტეტისა და სხვა საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მაშინდელი მდგომარეობის მოკლე მიმოხილვაც კი.

საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით სო-

---

[20] იხ. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბილისი, 1958, გვ. 432—434, 504—505.

[21] იხ. „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე", თბილისი, 1961, გვ. 502.

ციოლოგიურ მეცნიერებათა სწავლების შემოღებას თბილისის უნივერსიტეტში. აქ 1922 წელს გაიხსნა სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი, მისი პირველი დეკანი იყო შ. ნუცუბიძე. ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები. ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ორ კურსს — საქართველოს ეკონომიურ ისტორიას და ქართული სამართლის ისტორიას, შ. ნუცუბიძე — სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას, მ. პოლიევქტოვი — ახალი ეპოქის სოციალ-ეკონომიურ ისტორიას, ა. ვაჩეიშვილი — სოციოლოგიას, ნ. ქოიავა — ეკონომურ მოძღვრებათა ისტორიას და ა. შ.

ისტორიული მეცნიერების შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სწავლების შემოღებას თბილისის უნივერსიტეტში. აქ 1925 წლიდან „დაიწყო მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სისტემატური სწავლება და, ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის იდეურ-თეორიული დონის მკვეთრად გაუმჯობესებას“[22].

რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სოლოვიოვის, ჩიჩერინისა და სხვათა სახელებთან დაკავშირებულ სახელმწიფოებრივ სკოლის თეორიებს. ამის გამო ქართველი ისტორიკოსები უგულვებელჰყოფდნენ საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორიის მეცნიერული შესწავლის საჭიროებას, რაკი მას (საქართველოს) არ გააჩნდა საკუთარი სახელმწიფოებრიობა. შეხედულებათა ამ მცდარ სისტემას პირველი მეცნიერული დარტყმა ივ. ჯავახიშვილმა აგემა, როდესაც მან სერიოზული გამოკვლევები უძღვნა საქართველოს ისტორიის სწორედ აღნიშნულ პერიოდს[23].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაიწყო საქართველოს ისტორიის XIX საუკუნის ისტორიის სწავლება და გაიშალა სათანადო საკვლევაძიებო მუშაობაც. XIX საუკუნის საქართველოს

---

[22] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, 1918—1948 წწ., თბ., 1948.

[23] იხ. И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПБ., 1906 г. აგრეთვე მისი სტატია „Грузия“ („Энциклопедический словарь“, т-ва „Бр. А и И. Гранат и К°“, 7-ое изд., т. XVII).

ეკონომიური განვითარების ისტორიის კურსის წასაკითხად მოწვეულ იქნა ფ. მახარაძე, ხოლო მუშათა მოძრაობის ისტორიისა და სოციალურ მოძღვრებათა ისტორიის კურსის წასაკითხად — ს. ხუნდაძე[24].

საქართველოს ისტორიისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს სწავლობდა რუსეთის ისტორიის კათედრა, რომელიც შემდეგ გადაკეთდა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრად. მას პირველ პერიოდში ხელმძღვანელობდა მ. პოლიევექტოვი, შემდეგ კი, 1941 წლიდან, — გ. ხაჭაპურიძე. ს. ხუნდაძემ, ფ. მახარაძემ, გ. ხაჭაპურიძემ, ალ. ფირცხალაიშვილმა და სხვებმა ხელი მოჰკიდეს საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის ცალკეული საკითხების დამუშავებას.

1931 წელს ფ. მახარაძემ შესცვალა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ამ კათედრას მისი დაარსების დღიდან განაგებდა. ეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობას იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებად მიაჩნდა.

საქართველოს ახალი ისტორიის სწავლების საქმე და ამ უბანზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა თანდათანობით იხვეჭდა მოქალაქეობრივ უფლებებს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ, რომელიც დაარსდა 1931 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით. მის შექმნას უშუალოდ ხელმძღვანელობდა საორგანიზაციო ბიურო ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის, გ. ნათაძის, მ. ტოროშელიძის, გ. დეედარიანისა და სხვათა შემადგენლობით[25]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მალე ახალი ისტორიის კათედრაც ჩამოყალიბდა, რომელსაც 1933 წლიდან ს. ხუნდაძე განაგებდა[26].

---

[24] გ. გ ა ბ ა ს ა ლ ი ა, თბილისის უნივერსიტეტი 1918—1948 წწ., თბილისი, 1948.

[25] ПАГФ ИМЛ, Ф. 14, оп I, ч. III, д. 3902, ф. 2-3.

[26] „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის თავზე“, თბილისი, 1957 წ., გვ. 24—25; იხ. აგრეთვე, ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1921—1946 წლებში“ (თ.ს.უ. შრომები, ტ. XVIII, 1946 წ.).

მიუხედავად აღნიშნულისა, მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლის საქმე, ისტორიულ მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საბოლოოდ განმტკიცების საქმე, ჯერ კიდევ არ იდგა დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე. „საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარა ისტორიულ ფრონტზე საჭირო მობრუნებაო" აღნიშნავდა თბილისის ისტორიკოს-მარქსისტთა საქალაქო კრება 1931 წლის დეკემბერს ფ. მახარაძის მოხსენების („ამოცანები ისტორიულ მეცნიერების ფრონტზე") გამო მიღებულ რეზოლუციაში[27]. გარდა ამისა ძალიან ვიწრო იყო წრე საკითხებისა, რომელთაც შეისწავლიდნენ ამ პერიოდში ქართველი ისტორიკოსები, და რაც მთავარია, თვით მეცნიერული პროდუქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იდგა მეთოდოლოგიურად გამართულ პოზიციებზე. ამიტომ საქართველოს ისტორიის შესწავლის ამ უბანსაც შეეხებოდა კ. ორაგველიძის განცხადება, რომელიც მან გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წელს საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამართულ დისკუსიის დროს. იგი ამბობდა: „მთავარი მიზეზი ისტორიის ფრონტზე ასეთი მდგომარეობისა (იდეოლოგიური ჩავარდნებისა, ი. კ.), როგორც რუწეთში, ისე განსაკუთრებით ჩვენში, მდგომარეობს იმაში, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი საფუძველი ისტორიკოსების კვლევისათვის"...[28]

საქართველოში ამ დროს, როგორც ცნობილია, არა მარტო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, არამედ მთელ იდეოლოგიურ მუშაობას ხელს უშლიდა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული კადრების მწვავე ნაკლებობა. საჭირო იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული ახალგაზრდა კადრების აღზრდა და მომზადება. ამ მიზნით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წლის იანვრის დადგენილებით ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, დირექტორად დამტკიცდა ფ. მახარაძე, სამეცნიერო საბჭოს წევრებად — ნ. მარი, მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი, კ. ორაგველიძე, ი. ვაშაყმაძე, კ. გორდელა-

[27] იხ. გაზ. „კომუნისტი", № 278, 1931 წლის 5 დეკემბერი.

[28] კ. ორაგველიძე, საქართველოს ისტორიის საკითხისათვის (მოხსენება, წაკითხული თ. ს. უ. ისტორიის ფაკულტეტის სხდომაზე 1936 წლის 23 მარტს) თბ., 1936, გვ. 56 (ხაზგასმა ავტორისაა — ი. კ.).

ძე, ა. ერქომაიშვილი, მ. ტოროშელიძე, ა. დუდუჩავა, გ. დევდარიანი, ზ. ჩახვაძე და სხვ.[28] ინსტიტუტის ამოცანას შეადგენდა სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება ეკონომიურ, ისტორიულ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში. ერთი წლის შემდეგ, 1932 წლის დეკემბერში მოხდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის რეორგანიზაცია, სსრ კავშირში არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის სამხარეო ინსტიტუტების ტიპის ინსტიტუტად — უმაღლეს პარტიულ სკოლად. მაგრამ ამასთან ერთად მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს დაეკვალა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის წარმოება ეკონომიკის, ისტორიისა და ფილოსოფიის დარგში[29].

საქართველოს ახალი ისტორიის, კერძოდ რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების ისტორიის მეცნიერულ შესწავლას უფრო ორგანიზებული სახე ეძლევა საქართველოში 1933 წლიდან, როდესაც თბილისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 14 აპრილის დადგენილებით[30], ჩამოყალიბდა ისტორიის ინსტიტუტი (ამჟამად სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი). იგი ჩამოყალიბდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან 1922 წლის დეკემბრიდან არსებულ პარტიის ისტორიის სექციის (პარტისი) ბაზაზე. ეს უკანასკნელი დიდსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ამსახველი მასალებისა და დოკუმენტების შეგროვებისა და პუბლიკაციისათვის, მას 1923 წლიდან გააჩნდა საკუთარი პერიოდული ორგანო— „რევოლუციის მატიანე", სადაც ქვეყნდებოდა მოგონებები და ისტორიული საბუთები, მაგრამ ჩვენი პარტიისა და რევოლუციის ისტორიის გაძლიერებული ტროცკისტული ფალსიფიკაციის პერიოდში, პარტიის ისტორიის სექცია და მისი ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე[31]. საბუთებისა და

[28] „ბოლ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1931 წლის 6 იანვარი.

[29] П\ ГФ ИМЛ. ф. 14. оп. 1, ч. III. л. 4259, л. 134.

[30] ПА ГФ ИМЛ. ф. 14. оп. 1, ч. III. д. 4237, л. 155-156.

[31] ჟურ. „რევოლუციის მატიანის" 1923 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა „პარტისის" მაშინდელი ხელმძღვანელის ს. თალაკვაძის სტატია—საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1870—1905 წლებში. ამ სტატიაში ს. თალაკვაძე საქართველოში მენშევიზმის გაძლიერების მიზეზად ასახელებდა ნ.

მოგონებათა პუბლიკაცია მარტო როდი იყო საკმარისი. ხშირად მოგონებებიც არ იყო სრულფასოვანი და სანდო.

ისტორიის ინსტიტუტმა თავიდანვე გაშალა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად, მარჯვედ ებრძოდა ისტორიის ტროცკისტული ფალსიფიკაციის ყოველგვარ ცდას.

ისტორიის ინსტიტუტმა, შემდეგში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა დიდი მუშაობა ჩაატარა ისტორიული საბუთების შეგროვებისა და პუბლიკაციის საქმეში. იგი საკუთარ ორგანოში ჟურ. „პროლეტარულ რევოლუციაში" აქვეყნებდა არა მარტო ისტორიულ საბუთებს, არამედ უმთავრესად მეცნიერულ ნარკვევებს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ცალკეულ საკითხებზე[32].

მარქსისტული ისტორიოგრაფია ამ დროს დიდ ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებასთან. მაგრამ ამ ბრძოლაში მარქსისტული ისტორიოგრაფია ე. წ. პოკროვსკის სკოლის გავლენით მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა: უგულვებელყოფდა ისტორიული მეცნიერების პოზიტიურ მასალას, ისტორიულ პერსპექტივას და სოციოლოგიური სქემებით კმაყოფილდებოდა. საქარ-

---

ჟორდანიას პირად თვისებებს და არა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას. იმავე ჟურნალის 1923—1924 წლების ნომრებში რ. კალაძე გამოვიდა წერილების სერიით — „მუშათა ქართელ ჟურნალ-გაზეთების ისტორია". აქაც ნ. ჟორდანიას ერუდიციითაა ახსნილი მენშევიზმის წარმოშობა და გაძლიერება საქართველოში. ბოლშევიკური ორგანიზაციების სისუსტის მიზეზად რ. კალაძეს მიაჩნდა ის, რომ „საქართველოს ბოლშევიკებს არ ჰყოლიათ ისეთი ბელადი როგორიც რუს ბოლშევიკებს". მაგრამ 1923—1924 წლებში მაინც უნდა სცოდნოდა ისტორიკოსს, რომ ვ. ი. ლენინი საქართველოს ბოლშევიკების ბელადიც იყო, და რომ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს იგი ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა მათი ჩასახვის პირველი დღიდანვე.

ჟურ. „რევოლუციის მატიანე" არ სჯერდება ს. თალაკაძის, რ. კალაძისა და სხვათა სტატიებს და 1924 წლის ნომრებში აქვეყნებს წერილებს, სადაც გაყალბებულია ბოლშევიკური პარტიის ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხი. ამიტომ ჟურ. „რევოლუციის მატიანის" რედაქცია და „პარტიისის" მაშინდელი ხელმძღვანელები სამართლიანად იქნა თავის დროზე გაკრიტიკებული ა. ერქომაიშვილის, გ. გაბისონიას, ი. მელქაძის, ნ. ღარიბაშვილისა და სხვათა შიერ (იხ. ჟურ. „ბოლშევიკი", 1932 წ., № 6—7).

[32] იხ. ჟურ. „ბოლშევიკი", 1943 წ., № 1.

თველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება, რომელსაც ფ. მახარაძე ხელმძღვანელობდა, ძირითადად პოკროვსკის სკოლის კონცეფციებს იზიარებდა. ეს ნათლად დაადასტურა ისტორიკოს-მარქსისტთა პირველმა საკავშირო კონფერენციამ, თუმფა ფ. მახარაძესა და მ. პოკროვსკის შორის იქ აზრთა ერთგვარ სხვადასხვაობამაც იჩინა თავი საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკვანძო საკითხზე[33].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე ამ დროს იღება ფრიად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა, როგორიცაა ზოგად ისტორიის საკითხების დამუშავებასთან ერთად, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა. კერძოდ, ქართველი ხალხის წარმოშობის, საქართველოს ტერიტორიაზე პირველყოფილ-გვაროვნულ საზოგადოების ისტორიის, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის, ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების, კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიის საკითხების შესწავლა[34]. რიგი ამ საკითხებისა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე წარმატებით გადაწყვიტეს ს. ჯანაშიამ[35], ფ. მახარაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, გ. ხაჭაპურიძემ და სხვ.

ისტორიული მეცნიერების, კერძოდ, მარქსისტული ისტორიოგრაფიის მძლავრი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებებს სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ: 1934 წლის 16 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნეს ცნობილი დადგენილება სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ; 1934 წლის 9 ივნისს გადაწყდა დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლებში სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის ელემენტარული კურსის შემოღება; 1934 წლის 14 აგვისტოს სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ და

[33] „Труды Первой Всесоюзной конференции историков-марксистов (28. XII—4. I. 1929 гг.)", т. I и II, М., 1930.

[34] იხ. ჟურ. „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ვ ო ა ვ ბ ე", № 1, 1961, გვ. 8—9.

[35] იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, თბ., 1960.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონეს ჟიურის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები სსრკ ისტორიისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ, ხოლო 1936 წლის 4 მარტს გაზეთ „პრავდამ" გამოაქვეყნა საკავშირო მთავრობის დადგენილება ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე კონკურსის გამოცხადების შესახებ[36]. საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის აღნიშნულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში არა მარტო ფართოდ გაიშალა ისტორიული კვლევა-ძიება, არამედ თანდათანობით დაძლეულ იქნა ბურჟუაზიული და სოციოლოგიური სკოლის გავლენა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა საქართველოს ისტორიის კაბინეტი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის საკითხების შემდგომ მეცნიერულ შესწავლას. გაუმჯობესდა საარქივო და სამუზეუმო მუშაობა. 1936 წელს თბილისში ჩამოყალიბდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ლიტერატურისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომლის მეცნიერ-კონსულტანტი იყო ივ. ჯავახიშვილი. 1941 წლიდან ცალკე გამოეყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, მისი პირველი დირექტორი იყო ს. ჯანაშია. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ მას ხელმძღვანელობს ნ. ბერძენიშვილი.

საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებს, გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ რიგი საკვლევო-სამეცნიერო კერებიც, როგორიცაა მაგალითად, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ისტორიული და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის სახელმწიფო არქივები, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტები და სხვ. საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს სწავლობენ აგრეთვე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სსრ კავშირის

[36] იხ. „მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი", თბ., 1936.

ხალხთა ისტორიის, საქართველოს ისტორიისა და სკკპ ისტორიის კათედრები.

საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში. ამ დროს „ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძირითადში გადალახა ბურჟუაზიულ-იდეალისტური გავლენები და საბოლოოდ დაადგა მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე მუშაობის გზას“[37]. ყოველივე ამას მალე სასურველი შედეგებიც მოყვა. 1943 წელს გამოვიდა ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით „საქართველოს ისტორია“ (სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მაღალი კლასებისათვის). მან სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ეს ნაშრომი წარმოადგენდა ქართული ისტორიოგრაფიის მთელი ოცი წლის მონაპოვართა მეცნიერულ განზოგადების შედეგს. მაგრამ მისი ნაკლი ის იყო, რომ იგი მხოლოდ XIX საუკუნემდე გადმოსცემდა ქართველი ხალხის ისტორიას[38]. იმ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო პირობები საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორიის განმაზოგადებელი კურსის შექმნისათვის. მაშინ კიდევ არ იყო აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხები მონოგრაფიულად შესწავლილი, რაც აფერხებდა „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს შექმნას, სადაც ქართველი ხალხის ისტორია დღევანდლამდე იქნებოდა მოტანილი. ყოველივე ეს გადაუდებლად მოითხოვდა ახალი კადრების აღზრდასა და მომზადებას.

მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო ისტორიკოსთა კადრების გაძლიერებული მზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოსა და სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრებზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტებში. თბილისის უნივერსიტეტის კათედრებზე მომზადდენ და დღეს ნაყოფდერ მუშაობას ეწევიან მეცნიერებათა დოქტორები ა. კიკვიძე, კ. გრიგოლია, ა. სურგულაძე, მ. გოცაძე და სხვ. მეცნიერებათა კანდიდატები — ზ. მშველიძე, გ. პაიჭაძე, ვ. მაჭარაძე, ს. ჩხარტიშვილი და სხვ. ი. ჯავახიშვილის სახელობის ის-

[37] „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის თავზე“, თბ., 1947, გვ. 17.

[38] Г. Джибладзе, Некоторые вопросы преподавания истории в средных школах (см. газ. „Заря Востока“, от 3-го июля 1958 г.).

ტორიის ინსტიტუტში მომზადებულთაგან ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან მეცნიერებათა დოქტორები: აკად. გ. მელიქიშვილი, ვ. გაბაშვილი. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ზ. ანჩაბაძე, ა. აფაქიძე, მ. დუმბაძე, თ. ყაუხჩიშვილი და სხვ.; მეცნიერებათა კანდიდატები — მ.-ლორთქიფანიძე, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე, ს. კალანდაძე, პ. რატიანი და სხვ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მომზადდენ და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან, მეცნიერებათა დოქტორები: ლ. გორგილაძე, ვ. ესაიაშვილი, ლ. ებანოიძე, ი. მელქაძე, გ. ჟვანია, ნ. ჩახვაშვილი; მეცნიერებათა კანდიდატები — პ. თავხელიძე, ს. სიმონგულოვი, ს. ბერიძე, ზ. გეგეშიძე და სხვები.

საქართველოში ისტორიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას: „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“: პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, დააყენა რა ისტორიული მეცნიერების წინაშე მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაშლის ამოცანები, თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „ისტორიულ მეცნიერებაში ანტიმარქსისტული დამახინჯებანი და ვულგარიზატორობა ბოლო დრომდე დაკავშირებული იყო პოკროვსკის ეგრეთწოდებულ „სკოლასთან“, რომელიც დამახინჯებულად განმარტავდა ისტორიულ ფაქტებს, წინააღმდეგ ისტორიული მატერიალიზმისა, აშუქებდა მათ, არა იმ პირობების თვალსაზრისით, რომელთა ვითარებაშიც მიმდინარეობდა ისტორიული მოვლენები, არამედ დღევანდელი დღის თვალსაზრისით, და ამით ამახინჯებდა ნამდვილ ისტორიას[39].

ნამდვილი ისტორიის ანტიისტორიული ფალსიფიკაცია, ისტორიის შეფერადების ანტიისტორიული ცდები, მისი მართლაც გადმოცემის ნაცვლად, იწვევდნენ მაგალითად, იმას, რომ ჩვენს პრო-

[39] ვ. ნ. პოკროვსკის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებაში ამ უკანასკნელ დრომდე ადგილი ჰქონდა რიგ უკიდურესობას, როდესაც მთლიანად უგულებელყოფილიყო ამ დიდი ისტორიკოსის მეცნიერული დამსახურება, ხელოვნურად აზვიადებდნენ მის ცალკეულ შეცდომებს და ამაოდ უკუგდებდნენ მის მეცნიერულ მემკვიდრეობას (იხ. ჟურ. „Коммунист“, 1962, № 4).

პაგანდაში პარტიის ისტორიას ზოგჯერ ხატავდნენ როგორც განუწყვეტელ გამარჯვებათა გზას, რაიმე დროებითს დამარცხებათა და უკანდახევათა გარეშე, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს და ამით ხელს უშლის კადრების სწორ აღზრდას"[40].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ და „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამ, მიუხედავად მისი რიგი სერიოზული ნაკლოვანებისა, უდავოდ გარკვეული როლი შეასრულა თავის დროზე საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისა და კერძოდ, ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების საქმეში. იგი, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მიუხედავად პიროვნების კულტის მავნე შედეგებისა, მთლიანად და საბოლოოდ, მტკიცედ და უყოყმანოდ დადგა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის ნიადაგზე. მარქსიზმ-ლენინიზმის მძლავრი თეორიული შუქით ნათელი მოეფინა ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს. ისტორიული მეცნიერება უკვე ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ შემეცნებითი ამოცანებით, როგორც ეს რეაქციისა და დეპრესიის ეპოქებში ემართებოდა მას, იგი ისევ იბრუნებს დიდ გამანთავისუფლებელ ეპოქათა დემოკრატიულ ტრადიციებსა და აღმზრდელობით ფუნქციებს, ავითარებს და აფართოებს რა მას, იგი კიდევ უფრო შორს მიდის, კეთილშობილურად ემსახურება საბჭოთა ახალგაზრდობისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების აღზრდას პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლასა და პოპულარიზაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელთა აღზრდისათვის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ამიტომ განსაკუთრებით სამამულო ომის პერიოდში გაძლიერდა ქართველ ისტორიკოსთა მეცნიერული ინტერესი არა მარტო შორეული წარსულისადმი, არამედ საბჭოთა საზოგადოების ისტორიის მიმართაც. საჭირო იყო საბჭოთა ადამიანებისათვის გვეჩვენებინა ისტორია დიდი ბრძოლისა და შრომისა, რომელიც დასჭირდა საბჭოთა ხალხს იმ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შესაქმნელად, რომელსაც წალეკვით ემუქრებოდა ფაშისტუ-

[40] „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" (საკ.კპ (ბ) ცკ. 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება, თბილისი, 1953, წ. გვ. 8—9.

რი აგრესია; საჭირო იყო საბჭოთა ადამიანებისათვის გვეჩვენებინა სოციალისტური წყობილების უპირატესობანი შედარებით კაპიტალისტურ რეჟიმთან, რომელიც ფაშისტურ ურდოებს მოქონდა ჩვენი ქვეყნისათვის, და აი, აქ, ასეთ პირობებში აუცილებელი გახდა საბჭოთა საზოგადოების მეცნიერული ისტორიის შექმნა, იგი არა მარტო დიდი მეცნიერული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა იყო, რომელიც წამოიჭრა ჩვენი ისტორიკოსების წინაშე დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე. მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა სამეცნიერო დაწესებულება, ან თუნდაც მცირე უჯრედიც კი, რომელსაც შესძლებოდა ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა. ასეთი სამეცნიერო უჯრედის ჩანასახი გახდა „სამამულო ომის ისტორიის სექცია". იგი შემდეგ პირობებში ჩამოყალიბდა:

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 16 თებერვლის დადგენილებით საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შეიქმნა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიისათვის მასალებისა და დოკუმენტების შეგროვების სექცია" ამ ცენტრალური სექციისათვის დახმარების აღმოსაჩენად საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო და საარაიონო კომიტეტებთან შეიქმნა შესაბამისი კომისიები, ხოლო მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებში გამოიყო რწმუნებულები.

სექციას დავალებული ჰქონდა გარდა სამამულო ომის ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვებისა, მონოგრაფიული ნაშრომების შექმნაც საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. სექციის ხელმძღვანელობა დაეკისრა გ. ხაჭაპურიძეს.

ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩასთვალა 1944 წლის ბოლოს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიისათვის მასალების შეგროვების სექციის" გადაცემა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის, 3 დეკემბრის დადგენილებით გააუქმა იგი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში. მის ნაცვლად ამავე დადგენილებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა „სამამულო ომის ისტორიის კომისია"[41].

[41] „სამამულო ომის ისტორიის კომისიის" შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარედ — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომი-

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1950 წლის 31 იანვრის დადგენილებით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი „სამამულო ომის ისტორიის კომისიის“, როგორც დამოუკიდებელი განყოფილების, გადაცემა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისათვის. ამავე დადგენილებით ეთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ ღონისძიებების დადასტურება. მინისტრთა საბჭომ დაადასტურა მეცნიერებათა აკადემიის აღნიშნული დადგენილება და „სამამულო ომის ისტორიის კომისიის“ ნაცვლად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა „საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის“ განყოფილება. განყოფილების ხელმძღვანელად არჩეულ იქნა აკადემიკოსი გ. ხაჭაპურიძე.

ამ დღიდან საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ მიიღო გეგმაზომიერი ხასიათი.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევები მიმდინარე საუკუნის 30—40-იან წლებში მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, რომ მისი განვითარება არ შეეზღუდა ხალხის მტრის ბერიას მანკიერ წიგნს—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ, თითქმის შეუძლებელი გახდა რაიმე დამოუკიდებელი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნება საქართველოს XIX და XX საუკუნის ისტორიის საკითხებზე. სასტიკად შეიკვეცა შემოქმედებითი კვლევა-ძიება ისტორიულ მეცნიერების ფრონტზე. ყველაფერი და ყოველივე აღნიშნული წიგნაკის მცდარ ისტორიულ-თეორიულ დოგმებს დაემორჩილა, ისტორიკოსებს დარჩენოდათ მხოლოდ ფაქტობრივი მასალის შეკრება აღნიშნული დოგმების შემაგრებისა და ილუსტრაციისათვის, დამოუკიდებელი ძიება, ახალი თეორიული და ისტორიული დასკვნები მარქსიზმ-ლენინიზმის შებღალვად იყო გამოცხადებული.

ტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში, მოადგილედ — აკად. გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, წევრებად — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. თ ა რ გ ა მ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ჩ ე რ ქ ე ზ ი ა, ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. მ ა ი ს ა ი ა, საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ბ. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი.

მაგრამ ისტორიულმა მეცნიერებამ მალე დააღწია თავი ამ სულისშემხუთველ გარემოებას. 1953 წლიდან დაგმობილ იქნა პიროვნების კულტი და ხალხის მტრის ბერიას წიგნაკი, როგორც მავნე, ანტიმარქსისტული და ანტიმეცნიერული. სკკპ XX ყრილობამ ამიერკავკასიისა და საქართველოს ისტორიოგრაფიის წინაშე დააყენა გადაუდებელი ამოცანა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური პარტიის მეცნიერული ისტორიის შექმნის შესახებ. ამით დამთავრდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მეორე პერიოდი და დაიწყო ახალი, მესამე პერიოდი.

საქართველოს ისტორიკოსებმა გაშალეს დიდი შემოქმედებითი მუშაობა ისტორიულ კვლევა-ძიების ხაზით. და მალე სასურველი შედეგიც მივიღეთ[42]. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს გ. მელიქიშვილის შრომები: „ნაირი ურარტუ" და „ურარტული ლურსმული წარწერები". ამ ნაშრომებისათვის ავტორს ლენინური პრემია მიენიჭა, რაც ქართული ისტორიოგრაფიის დიდ გამარჯვებას მოწმობს, ამის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის დიდმნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვლება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივის ნაშრომი: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1921 წწ.), ნაწილი პირველი", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივის ნაშრომები: საშუალო სკოლის პირველი და მეორე საფეხურისათვის „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან დღემდე, აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოს სამტომეული და ა. შ. გარდა ამ კოლექტიური ნაშრომებისა უნდა აღინიშნოს აგრეთვე ცალკეულ მეცნიერთა — გ. მელიქიშვილის, ი. ანთელავას, ლ. გორგილაძის, მ. დუმბაძის, ზ. ანჩაბაძის, ა. სურგულაძის, ი. ხუციშვილის, ვ. გაბაშვილის, ა. კიკვიძის, შ. მესხიას, დ. გვრიტიშვილის და სხვათა მონოგრაფიები.

---

[42]იხ. უ. სიდამონიძე, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდგომ პერიოდში (წიგნში: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია", თბილისი, 1962, გვ. 75—91).

თავი მეორე

ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის ეპოქის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში

საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერული გაშუქებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს ჯერ კიდევ ქართველ სამოციანელთა სახელოვანი პლეადის წარმომადგენლებმა — ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა და სხვებმა. მათი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური და ისტორიული, აგრეთვე ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის ნარკვევებში ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიზმის პოზიციებიდანაა გაშუქებული არა მარტო ზოგადი ისტორიულ-სოციოლოგიური პრობლემები, არამედ საქართველოს ახალი ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხიც, როგორიცაა მაგალითად, საქართველოს რუსეთთან შეერთება, 1832 წლის შეთქმულება, საქართველოს დამოკიდებულება რუსეთ-თურქეთის ომებისადმი, საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება, კაპიტალიზმის განვითარებისა და ახალი საზოგადოებრივი კლასების წარმოქმნის საკითხი, ეროვნული საკითხი, რუსი და კავკასიის ხალხებთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები და სხვა მრავალი. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, რევოლუციამდელმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შესძლო XIX და XX საუკუნეთა საქართველოს ისტორიის მთლიანი პროცესის მეცნიერული გაშუქება, სხვაგვარად შეუძლებელიც იყო ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ჩამორჩენილობისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის პირობებში.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არაერთი ნიჭიერი და თავდადებული ისტორიკოსი მკვლევარი ჰყოლია. მაგრამ

თითქმის ყველანი XIX საუკუნის ზღურბლზე ჩერდებოდნენ. მათი მეცნიერული ინტერესის სფეროში არ შედიოდა საქართველოს XIX საუკუნის, მით უფრო XX საუკუნის ისტორია. საქმეთა ასეთ ვითარებას ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაზღვრავდა შემდეგი გარემოება:

ჯერ ერთი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს ბატონობდა ის მცდარი თეზისი, რომელიც უარყოფდა ახლო წარსულისა და თანამედროვეობის ობიექტურ, მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობას, იგი საფუძვლად ედო ე. წ. „დისტანციის თეორიას“;

მეორე, რუსულ ისტორიოგრაფიაში მძლავრად წარმოდგენილ „სახელმწიფოებრივ სკოლას“ დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ ისტორიულ აზროვნებაზე, მას აქ სერიოზული მომხრეები ჰყავდა, ამიტომ წარსულში ქართველ ისტორიკოსთა უდიდესი უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი ისტორია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ე. ი. 1801 წლიდან. მათი აზრით, ერის ისტორია წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობისაკენ განვითარების ისტორიას და, ბოლოს, თვით სახელმწიფოს ისტორიას. ასე მაგალითად, XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიას განიხილავდა, როგორც ევოლუციას თემური წყობილებიდან სახელმწიფოებრიობისაკენ, ამაში ხედავდა იგი ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების საფუძველს[1]. მაგრამ საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და გამარჯვების შემდეგ აშკარა გახდა უსუსურობა როგორც „სახელმწიფოებრივი სკოლის“, ისე „დისტანციის თეორიისა“. ისტორიკოსებმაც თანდათანობით იბრუნეს პირი ქართველი ხალხის XIX და XX საუკუნეთა არა ნაკლებ მდიდარ და აღრანაკლებ საინტერესო ისტორიის მეცნიერული შესწავლისაკენ. საკვლევი ობიექტის პირველ მოსინჯვამაც კი ცხადი გახადა, რომ ქართველ ხალხს არ დაუკარგავს საკუთარი ისტორია, იგი მას შემოუინახავს რუსი ხალხის ისტორიასთან, თუმცა დიდად დაკავშირებული, მაგრამ ჯერ კიდევ თვითმყოფადი და ეროვნული. „მიუხედავად იმისა, — წერდა ერთ-ერთი უხუცესი საბჭოთა ისტორიკოსი გ. ნათაძე, — რომ საქართველომ სრულიად დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც განკერძოებულ საზოგადოებრივ

[1] იხ. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ნ. I, თბილისი, 1889, გვ. 111.

ორგანიზმს წარმოადგენდა, ამიტომ მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის განმავლობაში იგი თავისი ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების გზაზე მიდიოდა, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში არ ჰგავდა რუსეთს, რომლის ნაწილსაც ის შეადგენდა. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს თავისი ისტორია არ დაჰკარგვია, მას იგი ჰქონდა და საკმაოდ საინტერესოც"[2].

და ბოლოს, მესამე მიზეზი იმისა, რომ საქართველოს XIX-საუკუნის ისტორია, ვერ იქნა და ვერ გახდა მეცნიერული კვლევის ობიექტი, არის ის, რომ „ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა"[3]... ისტორიული კვლევა-ძიება უმთავრესად „მეცნიერების მოყვარულთა ხელში იყო"[4], საქართველოს ისტორიკოსები „...იძულებულნი იყვნენ საერთო პირობების გამო, ენციკლოპედისტები ყოფილიყვნენ — არქეოლოგები, არქეოგრაფები, ისტორიკოსები და ენათმეცნიერ-გრამატიკოსები, ერთდაიმავე დროს"[5]... ეს გარემოება დიდად აფერხებდა ისტორიულ კვლევა-ძიებას საქართველოში, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა ძირშივე ახშობდა ეროვნული თვითშეგნების განვითარების ყოველივე ცდას, ცხადი გახდება მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში არსებული დიდი ჩამორჩენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი დღეებიდანვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები ისტორიული მეცნიერების ფრონტზე არსებულ ჩა-

---

[2] გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, თბილისი, 1925, გვ. 125.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბილისი, 1938, გვ. 5.

[4] გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, თბილისი, 1925, გვ. 3.

[5] ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე (იხ. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. XIII).

მორჩენათა აღმოსაფხვრელად. როგორც ცნობილია, ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველი პერიოდი. (1921—1936 წწ.) ხასიათდებოდა მარქსისტი ისტორიკოსების გააფთრებული ბრძოლით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ. ამ დროს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ცნობილი რევოლუციონერისა და თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის ფ. მახარაძის მრავალრიცხოვანმა ნაშრომებმა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდა და იკვლევდა საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორიის პრობლემებს.

ფ. მახარაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა ისტორიკოსთა და ლიტერატურის მკვლევართა მთელი ჯგუფი, რომელიც მასთან ერთად ეწეოდა ბრძოლას XIX და XX საუკუნეთა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მარქსისტული თვალსაზრისით შესწავლისათვის. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე ცნობილი ისტორიკოსი გ. ვ. ხაჭაპურიძე, რომელიც არაერთ თავის ნაშრომში ეხებოდა XIX და XX საუკუნეთა ისტორიის რიგ აქტუალურ საკითხს.

ფ. მახარაძემ და მის ირგვლივ შემოკრებილმა მარქსისტმა მკვლევარებმა ბევრი რამ გააკეთეს საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერულად შესწავლისა და გააზრებისათვის. მათ უდავოდ სწორად დააყენეს და კიდევაც გადაწყვიტეს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგრამ რაც შეეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობისა და აზროვნების ისტორიის, განსაკუთრებით კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის საკითხებს, აქ. ფ. მახარაძემ და მისმა თანამებრძოლებმა დაუშვეს უხეში შეცდომები, რამაც დიდად შეაფერხა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ხალხსანური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ისტორიული როლის სწორი გაგება და დაფასება.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და მათ შორის ქართული ხალხის უდიდესმა, მსოფლიო-ისტორიულმა წარმატებებმა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, განსაზღვრეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა მიმდინარეობის დამარცხება და უზრუნველჰყვეს ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის არაჩვეულებრივად სწრაფი განვითარება მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან ძველი სკოლის ქართველი მეცნიერ-ისტორიკო-

სები გადმოდიან მარქსიზმის თვალსაზრისზე, იზრდება ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი ახალი კადრები და ფართოდ იშლება საკვლევაძიებო მუშაობა როგორც საერთოდ საქართველოს ისტორიის, ისე კერძოდ, XIX და XX საუკუნეთა ისტორიის შესასწავლად.

ამრიგად, XIX—XX საუკუნეთა ღრმად შინაარსიანი ისტორია გახდა ჩვენში ის საცდელი უბანი, სადაც ქართველ მკვლევარ-ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობა სწავლობდა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენებას. ამიტომ სრულიად მართალია აკად. ნ. ბერძენიშვილი როდესაც წერს: „...მარქსიზმმა თავდაპირველად ფეხი აიდგა ქართული ისტორიოგრაფიის XIX—XX საუკუნეთა უბანზე. XIX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობანი და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება მარქსისტ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოჰყვა და აქამდე ქართული ისტორიოგრაფიის შეუძრავ ყამირს მარქსისტული სახვნელი პირველად მოხვდა (ფ. მახარაძე, ს. ხუნდაძე, გ. ხაჭაპურიძე)“[6].

* * *

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობათა რღვევის ეპოქა მოიცავს XIX საუკუნის მთელ პირველ ნახევარს[7]. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია არ განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორაა ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ შესწავლილ-გაშუქებული XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხები როგორიცაა: 1. საქართველოს რუ-

---

[6] იხ. „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე“, თბილისი, 1961, გვ. 503.

[7] ჩვენ ვერ მივიღებთ „საქართველოს ისტორიის“ (ტ. I, 1958 წ.) ავტორების მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის მიწურულს. ავტორებს აქ, რატომღაც XIX საუკუნის პირველი მესამედი მოუქცევიათ „განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში“ და არა „ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის ხანაში“, რომელსაც ავტორები გულისხმობენ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. ასეთი პერიოდიზაცია გაუგებარს ხდის იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ, თვით ავტორებისავე მოწმობით (იხ. იქვე, გვ. 360—366), XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, ასევე გაუგებარი ხდება სოციალური შინაარსი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოში XIX საუკუნის 20—30-იან წლებში (იხ. იქვე, გვ. 428—435) და ა. შ.

სეთთან შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა, 2. ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის საკითხი და, ბოლოს, 3. სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია.

საქართველოს რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან მოვლენას რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული ცხოვრების სარბიელზე: საქართველომ ამიერიდან დააღწია თავი ირანულსა და თურქულ აგრესიას, რუსეთმა კი ამიერიდან ფეხი მოიკიდა რუსეთისა და აზიის შემაერთებელ ყელზე — კავკასიაში და საზღვარი დაუდო ინგლის-საფრანგეთის აგრესიულ მისწრაფებებს კასპიისა და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებისაკენ. ამიერიდან ერთიმანეთს დაუკავშირდა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული ბედი. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა ცხოველი ინტერესის საგანს სამეცნიერო-ისტორიულსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ამ საკითხის რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიასაც შევეხებით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, კერძოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში, უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი, რომლის პირველ, მეცნიერულად ჩამოყალიბებას ჩვენ ვუკავშირებთ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს. იგი ალ. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა იმ ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს 1837—1838 წლებში და რომელსაც ეწოდება: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე"[9].

[9] აღნიშნული „ნ ა რ კ ვ ე ვ ი" პირველად დამოწმებული აქვს ა. ხახანაშვილს („ქართველი სიტყვიერების ისტორია", 1913, გვ. 21). ზ. ჭიჭინაძემ იგი შეცდომით ლუკა ისარლიშვილის ნაწერების კრებულში („Письма о Грузии", 1899, გვ. 297) შეიტანა. „Кавказский сборник"-ის რედაქციამ იგი გარსევან ჭავჭავაძის მოხსენებად დასახა (ტ.III, 1902 წ., გვ. 1—25), მხოლოდ 1926 წელს პროფ. მ. პოლიევქტოვის მიერ იქნა მიკვლეული აღნიშნული მოხსენების დედანი ლენინგრადში. პროფ. მ. პოლიევქტოვმა იგი მაშინვე გამოუგზავნა თბილისში ი. გრიშაშვილს, რომლის მეცადინეობითაც დაიბეჭდა იგი ჟურ. „ქართული მწერლობის" 1926 წლის № № 4—5, 6—7 და ბოლოს, აღნიშნული „ნარკვევები" შეტანილ იქნა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში, რომელიც გამოვიდა ი. გრიშაშვილის რედაქციით 1940 წელს.

ალ. ჭავჭავაძის მიერ თავის „ნარკვევში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომელიც შემდეგში ისტორიული მეცნიერების არენაზე გამოჩნდა როგორც რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი, დამახასიათებელი იყო ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილისათვის 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ. ადრე კი ასეთი თვალსაზრისი ალ. ჭავჭავაძისათვის, რასაკვირველია, მიუღებელი იყო, მისი ადრინდელი პრაქტიკული მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება ამაში ეჭვს არ ბადებს.

მეფის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ალ. ჭავჭავაძე პირველი დაპატიმრების დროს, 1804 წელს, ჯერ კიდევ დაკარგული ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლის სულისკვეთებით წარმოგვიდგება. იგი ერთ-ერთ თავის ლექსში წერდა: „მას ვეკერეტ პატიმრად, ვის მონებს გული, მისთვის გლახ განწირული“[9]; ამ შემთხვევაში პოეტს პატიმრად საქართველო ჰყავდა წარმოდგენილი. მეორე ლექსში იგი იმედს გამოსთქვამს, რომ „ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების“[10], ე. ი. კვლავ იხილავს თავისუფალ საქართველოს. ასეთ ოპტიმისტურ განწყობილებას ინარჩუნებდა პოეტი 1804 წელს ციხეშიც კი. მაგრამ 1832 წლის მარცხმა და გადასახლებამ, აგრეთვე ახალი ხელისუფლების აქ დამკვიდრების ზოგიერთმა დადებითმა შედეგმა, მას, ისე, როგორც მრავალ მის თანამოაზრეს, ააღებინა ხელი რუსული მმართველობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე. ისინი, მათ მიერ განვლილი გზის კრიტიკული შეფასების შემდეგ, მივიდნენ გარკვეულ დასკვნამდე, რაც ალ. ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვებით გამოთქვა: „ვალსა საღმთოსა ვეძიებდით გზითა შემცდარით“[11], ე. ი. მათი აზრით, სამშობლოსადმი სამსახურის ის გზა, რომელიც მეფის რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას გულისხმობდა, შემცდარი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ იგი საჭირო არ იყო, არამედ იმიტომაც, რომ იგი შეუძლებელი, თავიდანვე განწირული იყო, რადგან „ვითარ განკვეთდნენ მკლავნი სუსტნი მას ზღვასა?“ მაგრამ „ცთომა ცოდვად არ მიგვითვალა მხედმან ზე-

---

[9] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1949, გვ. 34.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 60.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 76.

ნარითო"[12], აღნიშნავდა ალ. ჭავჭავაძე[13]. რუსთა მხედრობა, მოაწვა რა დარიალის კარს „შეიწრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი და ტინმან შარა გზათა ფართოთ განუღო კარი; ...განიბსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება"[14]. ასე ჩამოყალიბდა 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ეროვნული მრწამსი. მაგრამ ამ პერიოდის ნაწარმოებია აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე".

ალ. ჭავჭავაძემ საქართველოს ისტორიული ბედის გადაწყვეტა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას დაუკავშირა. მისი აზრით, აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ 1795 წელს გადაწყვიტა საქართველოს ბედი[15]. საქართველომ თვალნი თავისი მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს, რომელშიაც იგი წინადაც ჰპოებდა დასაყრდნობს. რუსეთის მონარქებმა სულდიდობა გამოიჩინეს და მას დახმარების ხელი გამოუწოდეს[16]. ალ. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის მფარველობა „აუცილებელი" იყო საქართველოსათვის, რადგან „საქართველო მაშინ ისეთს მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, რომელსაც ძლივსღა შეუძლია მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს"[17] და ამიტომ მას, ალ. ჭავჭავაძის აზრით, არ შეეძლო რაიმე წინააღმდეგობის გაწევა და იგიც დაემორჩილა გარდუვალ ბედს. ამის შემდეგ, ალ. ჭავჭავაძე ცდილობს დაუმტკიცოს ალექსანდრე პირველს ქართველი ხალხის ერთგულება. მეფის რუსეთის წინააღ-

---

[12] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 76.

[13] მართალია, ალ. ჭავჭავაძეს და მისი რანგის სხვა თავადიშვილთ „ცთომა ცოდვად" არ მიუთვალა „მხედმან ზენარით", მაგრამ ს. დოდაშვილს ხომ მიეთვალა „ცთომა ცოდვად"!. მეფის ხელისუფლება ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყოველთვის, როგორც ჩანს, ძალიან მახვილი სოციალური ინსტიქტებით ხელმძღვანელობდა.

[14] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 78.

[15] როგორც ჩანს, ნ. ბარათაშვილის მიერ შემთხვევით როდია დაკავშირებული „ქართლის ბედი" აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ფაქტთან.

[16] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით 1940, გვ. 243.

[17] • ქ ვ ე, გვ. 245.

მდეგ სახალხო აჯანყებებს, სამწუხაროდ, იგი ახასიათებს როგორც „ველური“ და „თავზე ხელ აღებული ბრბოს“ მოქმედებას[18]. ამ კონცეფციისათვის თითქოს არაფერი არსებითი არ მიუმატებიათ რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს — დუბროვინს, პოტოს, ბერჟეს, ბუტკოვსა და სხვებს.

ნ. დუბროვინი იყო მეფის არმიის გენერალი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი მდივანი აკადემიკოსი. იგი დაიბადა 1837 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც შექმნა ალ. ჭავჭავაძემ თავისი აღნიშნული „ნარკვევი“. დუბროვინი მუშაობდა ძირითადად ომების ისტორის შესწავლაზე. მისი შრომები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის საკითხებზე მიზნად ისახავენ ამ მხარის რუსეთთან შეერთებისა და აქ რუსული მმართველობის დამყარების ისტორიული აუცილებლობის დასაბუთებას[19].

საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე აღსანიშნავია აგრეთვე მეფის გენერლის ვ. პოტოს შრომები. პოტო დიდხანს მსახურობდა კავკასიაში, 1899 წლიდან სიკვდილამდე — 1911 წლამდე, იყო კავკასიის არმიის შტაბის სამხედრო-საისტორიო განყოფილების უფროსი. მის კალამს ეკუთვნის სამტომეული „Кавказская война“, მისი მონაწილეობითა და რედაქციითაა გამოცემული 1904 წელს „Утверждение русского владычества на Кавказе“. ეს წიგნი გამოიცა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავის აღსანიშნავად.

კავკასიის არქეოლოგიურ კომისიას დიდხანს ედგა სათავეში ადოლფ ბერჟე, რომლის რედაქტორობითაც გამოვიდა რამდენიმე ტომი „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებისა“. ბერჟემ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს უძღვნა სპეციალური გამოკვლევაც „Присоединение Грузии к России“ (1880 წ.). რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებზე ამაზე უფრო ვრცლად ვერ შევჩერდებით, რადგან „...არაფერი აქვთ საერთო ქართულ ისტორიოგრაფიასთან ბუტკოვს, დუბროვინს და

---

[18] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940. გვ. 246, 251.

[19] „Закавказье от 1803 г. по 1806 г.“, „Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России“, „1802 год в Грузии“ („Вестник Европы“ за 1868 г.)) „История войн и владычества русских на Кавказе“, т. I-VI (1871 г., 1886-1888 гг.).

სხვა მათ ძმებს (როგორც ფორმალურად, ისე არსებითადაც), მათი შრომა რუსულ ისტორიოგრაფიას ეკუთვნის, რომელნიც საქართველოს და მის ისტორიას რუსეთის იმპერიის საშენ მასალად უყურებდნენ"[20]...და რა გასაკვირია, რომ ისინი საქართველოს რუსეთთან შეერთებას განიხილავდნენ როგორც ისეთ აქტს, რომელიც გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებით და მეფის რუსეთის მიერ ქრისტიანული ხალხის მიმართ მფარველობის დაუცხრომელი სურვილით[21]. ოფიციალური ისტორიოგრაფია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლას განიხილავდა, როგორც „გაუგებრობას", როგორც „უმადურობას" ქართველების მხრივ. კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული ყოველი აჯანყების მიზეზს რომელიმე მოხელის ყოფაქცევაში ეძებდნენ და არა თვით სისტემის ბუნებაში[22]. ყოველნაირად ჩქმალავდნენ სოციალური კონფლიქტების გამოვლინების ფაქტებს და ა. შ.[23]

ქართული, ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი საქართველოს რუსეთთან შეერთებას განიხილავს როგორც ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი იურიდიული აქტების საფუძველზე ურთიერთობის გაფორმებას[24], რომელიც დაიწყო 1783 წელს ქართლ-კახეთისათვის, ე. ი. პრინციპში მთელი საქართველოსათვის, და დამთავრდა 1801 წელს.

მ. ხელთუფლიშვილი საერთაშორისო სამართლის ნორმების მომარჯვებით ერთმანეთს ადარებს 1783 წლის ტრაქტატსა და იმ-

---

[20] ნ. ბერძენიშვილი, ქართული მეცნიერების პატრიარქი. (აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 264).

[21] იხ. О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 году жур. „Историк-Марксист", 1940, № 3, стр. 57).

[22] იხ. ჟურ. „Русская старина", 1880, кн. VII, стр. 381.

[23] იხ. Н. Б. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-20 гг. („Материалы по истории Грузии и Кавказа", 1942, вып. III, стр. 14).

[24] М. В. Хелтупишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаис, 1901, стр. 74-80. მ. ხელთუფლიშვილმა ეს ნაშრომი პირველად დაბეჭდა ჟურნალში „Юридический Вестник", 1891 წლის №-7 და №-8 ნომრებში. ავტ.

პერატორისადმი საქართველოს მეფე-მთავართა „სათხოვრის პუნ-ქტებს". ასეთი შედარება, მისი აზრით, გვიჩვენებს „...как чистый вид протектората постепенно переходит в другой вид отношений, — в сюзеренитет, который, по определению международного права, есть ограниченный суверенитет одного государства над другим. Здесь уже Грузия является страной вассальной, а страны вассальные, как известно, стоят в большей зависимости к сюзеренному государству, чем страны охраняемыя — к охраняющему»[25]. ამრიგად, „სათხოვრის პუნქტებით" რუსეთის იმპერატორს ეკისრებოდა სიუზერენული სახელმწიფოს უფლება და მოვალეობანი, ხოლო ქართველ მეფეს — ვასალური სახელმწიფოს უფლება და მოვალეობანი. რამდენიმედ განსხვავებულ თვალსაზრისს იცავს ზ. ავალოვი (ავალიშვილი).

ზ. ავალოვი საქართველოს რუსეთთან შეერთებას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესების შესაბამის, აუცილებელ ღონისძიებად თვლიდა. იგი წერდა: «...Сама Грузия нуждалась в помощи России и, не удовлетворяясь протекторатом, искала более тесного единения... Не последовательныя усилия русской дипломатии, а настойчивое искание русского подданства со стороны грузинских царей повлекло за собой присоединение Грузии... Словом, идея присоединения принадлежит Грузии, ея царям; но как она будет присоединена, на это дала ответ Россия»[26]. აქ რატომღაც მიჩქმალულია მეფის რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები კავკასიასა და მის მომიჯნავე ქვეყნებში, მიჩქმალულია მეფის რუსეთის დიპლომატიის მთელი ვერაგობა და თვალთმაქცობა, რომელზედაც ჯერ კიდევ ფ. ენგელსი წერდა თავის დროზე[27].

ზ. ავალოვი საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე არკვევს რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წლიდან 1801 წლამდე ჩამოყალიბებული ურთიერთობის იურიდიულ ფორმებს და დაასკვნის: «Договорное отношение, определявшееся началами трактата 1783 г., уступило место оккупации, которая

---

[25] М. В. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаис, 1901, стр. 89.

[26] З. Д. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901, стр. IV.

[27] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинение, т. XVI, ч. II.

сопровождалась упразднением царской власти, носительницы политического бытия Грузии, затем, оккупация эта заменилась распространением русского государственного порядка на страну, т. е. инкорпорацией. Вот схема присоединения Грузии к России»[28].

რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებაზე, იურიდიული თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, ავალიშვილის აზრით, როდესაც ეს ხდება ორმხრივი თანხმობის შედეგად, რაც სათანადოდ იქნება გაფორმებული იურიდიული აქტებითა და საჯაროდ გამოცხადებული. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის დროს არ ყოფილა დაცული ამგვარი იურიდიული ფორმა, იგი არ გამოისახა სათანადო იურიდიულ აქტებში[29]. მაგრამ ავალიშვილის აზრით, სხვაგვარად შეუძლებელი იყო; ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეთა თვალსაზრისს ინარჩუნებდნენ, რაც ახალ ეპოქაში გამოუსადეგარი აღმოჩნდა. „მფარველობითი ურთიერთობას", ადრე თუ გვიან, 1801 წლის აქტამდე უნდა მიეყვანა საქართველო და, რაც უფრო ადრე მოხდებოდა ეს, მით უკეთესი იყოო, დაასკვნიდა ავალიშვილი. ამრიგად, ავალიშვილი უარყოფს საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების აქტს, რომელიც თითქოს სჯეროდა ქართველობას, მაგრამ პოლიტიკურად ამართლებს[30] 1801 წლის ცალმხრივ

---

[28] З. Д. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб, 1901, გვ. 243.

[29] იქვე. გვ. 197.

[30] ა. ჯორჯაძემ სპეციალური რეცენზია უძღვნა ავალიშვილის წიგნს, მას „კარგი წიგნი" უწოდა. მოიწონა მისი მეცნიერული დასკვნები, მაგრამ უსაყვედურა „სუბიექტური ელემენტის" გამო, რაც მისი აზრით, არღვევს წიგნის „სიმთელეს და ჰარმონიას", ამაში ხედავს იგი ავალიშვილის წიგნის სისუსტეს. ჯორჯაძე „სუბიექტურ ელემენტად" თვლის საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის პოლიტიკურ შეფასებას, რომელსაც იძლევა ავალიშვილი თავის წიგნში. ამის გამო ჯორჯაძე წერს: „ავტორი ისეა გატაცებული „რეალიზმით", რომ ამ რეალიზმს ანაცვალა სამართალიც.. ყოველივე დიდი, მძლავრი და გაბედული სიმპატიურია ავტორისათვის და ყოველი ნორჩი, თუნდაც სამართლიანი, წარმავალი და სუსტია მის თვალში"... (იხ. ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1911, გვ. 121).

აქტს. არსებითად ასეთივე თვალსაზრისს ავითარებდნენ ა. ხახანაშვილი[31], ა. ცაგარელი[32] და სხვები თავიანთ შრომებში.

ა. ხახანაშვილი, გარდა ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისისა, იცავდა აზრს იმის შესახებ, რომ საქართველო XVIII საუკუნის მიწურულში არ მდგარა ცნობილი ალტერნატივის წინაშე. იგი მაშინდელი საქართველოს აყვავებულ მდგომარეობაზედაც მოგვითხრობს. საქართველოს ყველა უბედურების მიზეზად, რომელიც კი თავს დაატყდა მას XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ა. ცაგარელი ასახელებს რუსეთთან დაახლოებას. სხვათა შორის ასეთივე აზრისა იყვნენ თავის დროზე ერეკლე II და გარსევან ჭავჭავაძე[33], აგრეთვე დავით ბატონიშვილი[34] და სხვა მისი დროის ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი. უფრო შორს მიდის ნ. ერისთავ-შერვაშიძე, იგი ქართველ მეფე-მთავართა მისწრაფებას რუსეთთან დაახლოებისაკენ ხსნის საქართველოს არა პოლიტიკური და ეკონომიური დაუძლურებით, არამედ იმ დიდი ამოცანებით, რომლებიც მაშინდელი საქართველოს წინაშე თითქოს იდგნენ. ერთერთ ამოცანად ერისთავ-შერვაშიძეს მიაჩნდა თურქეთის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციების საჭიროება[35].

საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის მეცნიერულ გაშუქებას სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ივანე ჯავახიშვილი. იგი ამ საკითხში ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გავლენას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, მან რიგი საკითხები მართებულად გააშუქა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, მან

---

[31] А. Хаханашвили, Столетняя годовщина присоединения Грузии к России (жур. „Вестник Европы", 1901 г.), кн. I, стр. 340-366).

[32] А. Цагарели, „Грузия", Энциклопедический словарь, т. IX[a]. 1893 г., стр. 795-801, изд. Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона.

[33] А. Цагарели, Грамоты..., т. I, 1891 г., т. II, 1902 г.

[34] დავით ბატონიშვილი წერდა: „წელსა 1783, ქ^ალს: უოა: შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქვეშე რუსეთისასა,... ამასა ზედა განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი, აღუწოდა ლეკთა, და იყო ოჯრება ქართლისა" (იხ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 16).

[35] Н. Эристав-Шервашидзе, Памятная записка о нуждах грузинского народа, М., 1906.

დაინახა და სათანადოდ დაასაბუთა არა მარტო საქართველოს მეფე-მთავართა მისწრაფება რუსეთთან დაახლოებისაკენ, არამედ მეფის რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების გაცხოველება, გაძლიერება საქართველოსა და კავკასიაში XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, მათი დაახლოების დადებით შედეგებს[36].

ივ. ჯავახიშვილი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს განიხილავდა როგორც ხელშეკრულებას „მფარველობითი მოკავშირეობის" შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ასე ესმოდა იგი ორივე მოკავშირესო, დასძენდა ავტორი. მაგრამ 1783 წლის ტრაქტატი, მისი აზრით, დაარღვია მეფის რუსეთმა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსათვის. ამას მოჰყვა, მისი აზრით, 1795 წლის 12 სექტემბერი, რამაც საბოლოოდ გადასწყვიტა „ბედი ქართლისა"[37].

„ქართული სამართლის ისტორიაში" ივ. ჯავახიშვილი, არჩევდა დავით ბატონიშვილის „სასამართლო წიგნებს" და ფაქტიურად უარყოფდა ცნობილი ალტერნატივის წინაშე მაშინ საქართველოს ყოფნას, როდესაც წერდა: „დავით ბატონიშვილის ორივე სასამართლო წიგნი ყურადღებისა და შესწავლის ღირსია: იგი ნამდვილად დაგვანახვებს, თუ რა და რა საგნებს აკვირდებოდნენ მაშინდელი მმართველი წრეები, რომელი მხარე უფრო საჭირბოროტო საქმედ მიაჩნდათ და დაუყოვნებლივ საჭიროდ სთვლიდნენ ძირითადი ცვლილება მოეხდინათ, ან არა და რა ახალი დაწესებულება შემოეღოთ? ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაიწყო რუსის მთავრობამ საქართველოში მოქმედება და რას აკეთებდა პირველ ხანებში. მეტად საინტერესო იქნება ეს რუსის მთავრობის ნამოქმედარი იმას შევადა-

---

[36] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, 1919.

[37] იხ. И. Д ж а в а х о в, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб., 1906, стр. 7.

როთ, რაც უეჭველია განხორციელებული იქნებოდა, თუ რომ საქართველოს სამეფოს არსებობა ძალმომრეობით არ მოესპოთ"[38].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც ქართველმა თავადაზნაურობამ იუკადრისა უბრალო ქვეშევრდომობა, მან „ფეოდალურ-მონარქიული" „ნაციონალური" მოძრაობის დროშა გაშალა რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ქართველი გლეხობა არ შეუერთდა ამ მოძრაობას, იგი იმყოფებოდა, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, «выжидательном положении, так как оно в глубине души еще надеялось на улучшение своего положения благодаря русским»...[39]

XIX საუკუნის 30-იანი წლების სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების მიზეზად. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა იმ გარემოებას, რომ გლეხს არ სურდა ებრძოლა საკუთარ მებატონესთან ერთად რუსული მმართველობის წინააღმდეგ, მისგან გლეხი ჯერ კიდევ მოელოდა ყმობისგან განთავისუფლებას. „Вот, если бы — წერდა ივ. ჯავახიშვილი — организаторы дворяне поняли всю серьезность грузинского крестьянского движения и смогли бы пойти ему навстречу, их замысел мог получить более реальную почву; но как раз этого не случилось»[40].

საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხმა პრინციპიალურად სწორი და მართებული შეფასება მიიღო ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის — დიდი ლენინის მოწაფეებისა და თანამებრძოლების შრომებში, რაც შედარებით ვრცლადაა განხილული ამ ნარკვევების პირველ ნაწილში. მათი პრინციპული ხასიათის დებულებანი და მოსაზრებანი საფუძვლად დაედო ქართულ საბჭ ურ ისტორიოგრაფიას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწ ლის საქმეში. ამის მიუხედავად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დიდხანს იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას.

---

[38] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 129, იხ. აგრეთვე გვ. 126, 127.

[39] И. Д ж а в а х о в, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб., 1906, стр. 12, იხ. აგრეთვე, Акты... т. II, стр. 303.

[40] ი ქ ვ ე, გვ. 29.

1928 წლის ბოლოსა და 1929 წლის დასაწყისში მოსკოვში შედგა მარქსისტ ისტორიკოსთა პირველი საკავშირო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა ფილიპე მახარაძის მოხსენება თემაზე: „საქართველო XIX საუკუნეში". თავის მოხსენებაში ფ. მახარაძემ აღნიშნა, რომ XVIII საუკუნეში საქართველო გამოუვალ კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდა, ერთადერთი, ყველაზე უკეთესი გამოსავალი ამ კრიზისიდან იყო რუსეთთან შეერთება. გლეხობა მძიმე ბატონყმური ტვირთით გატეხილი იყო და ამის გამო იგი პასიურად შეხვდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მაგრამ, როცა ახალი ტვირთი დააწვა, მან დაიწყო ბრძოლა არა მარტო მებატონეების, არამედ რუსეთის მმართველობის წინააღმდეგაც, აღნიშნავდა ფ. მახარაძე[41]. კონფერენციის მონაწილეებმა (მ. ნ. პოკროვსკი, ა. შესტაკოვი, ა. იოანისიანი და სხვ.) გააკრიტიკეს ფ. მახარაძის რიგი დებულებანი. მაგრამ ყველაზე მწვავედ გაკრიტიკებულ იქნა მახარაძე საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში.. მ. ნ. პოკროვსკიმ უსაყვედურა მახარაძეს იმისათვის, რომ მან თავის მოხსენების დასაწყისში ძალიან „რბილი ტონით" დაახასიათა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია. პოკროვსკი იდგა რა მეტაფიზიკურ თვალსაზრისზე, უარყოფდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას[42], და მხოლოდ და მხოლოდ მის უარყოფით მომენტებს ხედავდა[43]. მ. ნ. პოკროვსკის საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოჰყავდა ორი მეტად საინტერესო ფაქტი: ერთი, გენერალ ლისანევიჩის მკვლელობისადმი დეკაბრისტების დამოკიდებულების დახასიათებისათვის, ხოლო მეორე მ. ლერმონტოვის „მწირი"-დან. ორივე შემთხვევაში მ. ნ. პოკროვსკი კვლავ კმაყოფილდებოდა საკითხის ცალმხრივი გაშუქებით, უგულებელყოფდა აღმოსავლეთის მიმართ რუსეთის პროგრესულ, განმათავისუფლებელ მისიას, რაც ისტორიკოსს-მარქსისტს არ უნდა მოსვლოდა.

---

[41] იხ. „Труды первой Всесоюзной конференции Историков-марксистов", т. I, стр. 484-492.

[42] იქვე, გვ. 493.

[43] იქვე, გვ. 494.

მ. ნ. პოკროვსკის თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ა. შესტაკოვმა და სხვა ისტორიკოსებმა[44], სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, რადგან ამ დროს პოკროვსკი ითვლებოდა საბჭოთა კავშირში ისტორიული ფრონტის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ხელმძღვანელად და ყველაზე უფრო გამობრძმედილ მარქსისტად. მისი სიტყვები მარქსისტ ისტორიკოსებისათვის კანონის მნიშვნელობისა იყო, ამიტომაც შესძლო მან საკუთარი სკოლის შექმნა და ესოდენ მრავალრიცხოვან მიმდევართა გაჩენა[45].

მ. ნ. პოკროვსკიმ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ თავის სხვა ნაშრომებშიაც გადმოსცა. იგი ცარიზმის სწრაფვას საქართველოსაკენ რუსული საეკლესიო და სამრეწველო კაპიტალის აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებით ხსნიდა[46]. სხვაგან კიდევ ამისგან განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებდა, როდესაც წერდა, რომ საქართველო დაიპყრო არა ბურჟუაზიულმა, არამედ თავადაზნაურულმა რუსეთმაო[47]. გარდა ამისა პოკროვსკი ამტკიცებდა, თითქოს ამიერკავკასიის ეკონომიური დაპყრობა ცარიზმმა დაიწყო XIX საუკუნის მეორე ათეულ წლებში. ვ. ი. ლენინი დიდძალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ კავკასიის ეკონომიური დაპყრობა რუსეთის მიერ მოხდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური, მთლიანად კი ეს ეკონომიური დაპყრობა დღესაც არაა დამთავრებულიო[48].

ფ. მახარაძემ, როგორც სჩანს, მარქსისტ-ისტორიკოსთა კონფერენციის შემდეგ ნაწილობრივ შეცვალა თავისი „რბილი ტონი" და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაშუქების საკითხში პოკ-

---

[44] Труды первой Всесоюзной конференции Историков-марксистов, т. I, стр. 493.

[45] იქვე, გვ. 495.

[46] М. Н. Покровский, Внешняя политика... (сб. статьей 1914-1917 гг), стр. 153-161.

[47] М. Н. Покровский, Дипломатия и войны царской России в XIX столетии, стр. 184.

[48] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703

როვსკის „ტონი“ აიღო. აი, უკვე როგორ აშუქებდა იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს: «Установление русской власти в Грузии, — წერდა ფ. მახარაძე, — не было результатом решения одного человека; оно являлось исторической неизбежностью», აქედან გამომდინარე, იგი დაასკვნიდა: «...для тогдашней Грузии иного пути, кроме присоединения к России, не существовало; без этого ее ожидало лишь физическое вырождение...»[49].

ფ. მახარაძე საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დადებით შედეგად თვლიდა ძველი საქართველოს საზოგადოებრივ-უფლებრივი და ეკონომიური წყობის დასასრულის დასაწყისს. ამ თვალსაზრისით განხილულს — საქართველოს რუსეთთან შეერთებას ჰქონდა დადებითი შედეგი ქართველი ხალხისათვის, მაგრამ თავისთავად იგულისხმებაო, წერდა ფ. მახარაძე, «что такой взгляд отнюдь не означает оправдания насильственного захвата»[50].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საკავშირო მთავრობის მიერ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამოყოფილმა ჟიურიმ. 1937 წელს გამოქვეყნდა ჟიურის შენიშვნები და მითითებანი. აქ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოს გადასვლა რუსეთის პროტექტორატში, ხოლო უკრაინისა — რუსეთის უფლებაში, წარმოადგენდა ნაკლებ ბოროტებას; იმასთან შედარებით, რაც საქართველოს მოელოდა თურქეთის ან ირანის ხელში[51]. აქედან ორი ძირითადი დასკვნა მაინც გამოდის: ჯერ ერთი, საქართველოს გადასვლა რუსეთის პროტექტორატში არავითარ შემთხვევაში არ იყო აბსოლუტური სიკეთე, როგორც მას რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფია სახავ-

---

[49] Ф. Махарадзе, Грузия девятнадцатом столетии, 1933, стр. 7.
[50] იქვე, გვ. 9—10.
[51] იხ. Сб. „К изучению истории“, 1937 г., стр. 38.

და; მიუხედავად მისი ობიექტურად პროგრესული შედეგებისა, იგი იყო ბოროტება, თუმცა ნაკლები, მაგრამ მაინც ბოროტება; მეორი. აღნიშნული „ნაკლებ ბოროტებად" იგულისხმება 1783 წლის აქტი— გეორგიევსკის ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის, რომლითაც საქართველო გადადიოდა რუსეთის მფარველობაში, პროტექტორატში და არა 1801 წლის ცალმხრივი აქტი, რომლითაც საქართველო გადავიდა რუსეთის უფლებაში.

ჟიურის აღნიშნული შენიშვნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ გაუგებარი დარჩა ზოგიერთი ისტორიკოსისათვის[52]. მათ „ნაკლები ბოროტების" ფორმულა მიუყენეს 1801 წლის აქტს. ჟიურის 1801 წლის აქტი რომ ჰქონოდა მხედველობაში, მაშინ საქართველოზედაც ისე ჩაწერდნენ შენიშვნებში, როგორც ჩაწერილია უკრაინაზე, რომელიც გადავიდა რუსეთის უ ფ ლ ე ბ ა შ ი და არა პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა ტ შ ი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ნ. ბერძენიშვილმა დაუკავშირა ჟიურის აღნიშნული შენიშვნა 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას[53]. მაგრამ 1801 წელს მომხდარ ფაქტს — საქართველოს გადასვლას რუსეთის უფლებაში ჯერაც არ მიუღია ყოველმხრივი და ამომწურავი მარქსისტულ-ლენინური გაშუქება ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიის საკითხზე დღეს ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მკვლევართა დიდი უმრავლესობა[54] იმ აზრისაა, რომ XVIII საუკუნის მიწურულის საქარ-

---

[52] О. М а р к о в а, Присоединение Грузии к России в 1801 году (см. жур. «Историк-марксист», 1940 г. № 3).

[53] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 405—406. ეს წიგნი ხელნაწერის უფლებით ჯერ კიდევ 1940 წელს გამოქვეყნდა. იხ. აგრეთვე ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის (ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი", 1954 წ. № 6).

[54] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1958; Г. В. Х а ч а п у р и д з е, К истории Грузии первой половины XIX в., Тб., 1950. Я. З. Ц и н ц а д з е, Прогрессивное значение присоединения:

თველომ, მიუხედავად ერეკლე II-ის მრავალმხრივ ნაყოფიერი მოღვაწეობისა, ჩიხიდან თავის დაღწევა ვერ შესძლო; მას დამოუკიდებლობის დაკარგვა და ქართველ ხალხს ფიზიკური განადგურება მოელოდა. ამიტომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ რუსეთის ორიენტაციის მიღება ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში გამართლებულია და სრულ მოწონებას იმსახურებს. ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობის შესახებ და ა. შ.[55].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემაზე მომუშავე მკვლევარ-ისტორიკოსებმა უკანასკნელ პერიოდში სრულიად სამართლიანად შეიტანეს საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემაში დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხიც, რაც დიდხანს უგულებელყოფილი იყო როგორც რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიის, ისე ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ქართული ისტორიოგრაფიის მიერაც. ქართული ისტორიოგრაფიის აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისათვის გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის[56]. მათ შორის აღსანიშ-

---

Грузии к России (см. Труды объединенной научной сессии по общественным наукам, 29 марта — 2 апреля 1954 г. в Баку, Стенографический отчет), Баку, 1957; ი. ცინცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960; ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954 წ.; ალ. ფირცხალაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955 წ.; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, თბ., 1957; მ. ალექსიშვილი, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის, თბ., 1956; А. И. Брегадзе, О прогрессивном значении присоединения Грузии к России (Автореферат), 1955 წ. და სხვ.

[55] იხ. მ. დუმბაძე, საქართველოს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის პრობლემები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში (ხელნაწერი).

[56] მ. დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბილისი, 1957; ალ. ფირცხალაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955.

ნავია მ. დუმბაძის მონოგრაფია „დასავლეთი საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“. იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი, საჭიროდ მიგვაჩნია შედარებით უფრო დეტალურად გავაცნოთ მკითხველს მ. დუმბაძის აღნიშნული მონოგრაფია.

დასავლეთ საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია მდიდარია ფრიად მნიშვნელოვანი სოციალ-პოლიტიკური ხასიათის მოვლენებით. ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის ერთი ხელის დაკვრით მოხდა XIX საუკუნის დასაწყისს, დასავლეთ საქართველოში მას ნახევარსაუკუნეზე მეტი ხანი დასჭირდა. ამას მაშინ სამი გარემოება მაინც განაპირობებდა: ჯერ ერთი, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ 1801 წლის ისტორიული აქტი პრინციპულად სწყვეტდა არა მარტო საკუთრივ „ქართლის ბედს“, არამედ მთელი საქართველოს ბედსაც. მეორე, 1801 წლის ისტორიული აქტის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა შეერთება რუსეთთან მეფის ხელისუფლებას მიაჩნდა ხელსაყრელი დროისა და შესაფერი მომენტის საკითხად, და ამიტომ მაინცდამაინც არც ჩქარობდა. მესამე, მეფის რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში დამყარებულმა კოლონიურმა რეჟიმმა კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგეთა ბანაკი დასავლეთ საქართველოში. ყოველივე ამის შედეგად რუსეთთან დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა შეერთება ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაჭიანურდა. ქართველი ხალხის ფრიად დაძაბული ისტორიული ცხოვრების ეს მონაკვეთი დიდხანს რჩებოდა შეუსწავლელი. ჩვენი ისტორიკოსები კმაყოფილდებოდნენ მეფის რუსეთთან ცალკეულ სამეფო სამთავროთა შეერთების ისტორიის შესწავლით. მ. დუმბაძის მონოგრაფია კი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი გამოკვლევაა, რომელშიაც მთლიანი სახით შუქდება დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება და მისი სოციალურ-ეკონომიური განვითარება XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის გაშუქებისას ისტორიკოსები, ერთხელ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, 1801 წლის აქტის განხილვით კმაყოფილდებოდნენ. მ. დუმბაძის მო-

ნოგრაფიით აღნიშნული ტრადიცია საფუძვლიანად უარყოფილია. განსახილველი წიგნის ავტორი ცხადყოფს, რომ რუსეთთან შეერთების საკითხი მარტო 1801 წლის აქტის განხილვით კი არ ამოიწურება, არამედ საკმაოდ ხანგრძლივ, ნახევარსაუკუნოვან, ისტორიულ პროცესს მოიცავს. ეს ნახევარსაუკუნოვანი პროცესი, 1801 წლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა რუსეთთან შეერთებისა და მათი ავტონომიების გაუქმებაში გამოიხატა.

მ. დუმბაძე, გამოდის რა „ორი რუსეთის" შესახებ ლენინური დებულებიდან, მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენებს საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ შედეგებს. ამასთან ერთად, მ. დუმბაძის მონოგრაფიაში უარყოფილია, როგორც დიდმპყრობელური რუსული ისტორიოგრაფიის მიერ დამკვიდრებული შეხედულება იმის შესახებ, რომ ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამყარება და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია მოხდა ნებაყოფლობის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა მ. დუმბაძეს საქართველოსა და რუსეთის მაშინდელი მმართველი წრეების ვიწრო კლასობრივ-ეგოისტური ინტერესები, რომლებიც შორს იდგნენ ქართველი და რუსი ხალხების ეროვნული ინტერესებიდან, უფრო ნათლად გამოემჟღავნებინა.

მ. დუმბაძის მონოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია გადმოცემულია საქართველოს ადრინდელ ეპოქათა ისტორიასთან ორგანულ კავშირში. ეს გარემოება განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ იმის გამო, რომ დღემდის გამოქვეყნებულ შრომებში ქართველ და, ნაწილობრივ, მოძმე ხალხთა ისტორიკოსები XIX საუკუნის საქართველოს ისტორიას განიხილავენ წინამორბედ ეპოქებისაგან იზოლირებულად. საქართველოს 1801 წლის შემდგომ ისტორიას „ახალ" ისტორიად ნათლავენ. ეს მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. ისტორიის პერიოდიზაციისას ისტორიული ეპოქების მიჯნებად უმთავრესად უნდა ვიღებდეთ გარდატეხის მომენტს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში, წარმოების წესის განვითარებაში და არა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებს.

მ. დუმბაძე თავის მონოგრაფიაში მეცნიერული სიზუსტით გადმოგვცემს საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ

შედეგებს, აგრეთვე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მძიმე შედეგებსაც, რაც თავს დაატყდა, მხოლოდ მფარველის და არა ბატონის მაძიებელ ქართველ ხალხს.

ნ. ბერძენიშვილს ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთერთ სერიოზულ ნარკვევად მიაჩნია ნ. მახარაძის საკანდიდატო დისერტაცია „იმერეთის 1819—1820 წწ. აჯანყება", მაგრამ ამასთან ერთად მან აღნიშნა ზოგიერთი ნაკლოვანებანიც, ამ ნაშრომს რომ ახასიათებს. მათ შორის ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს აჯანყებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებისას ავტორის მიერ დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობასაც. ნ. ბერძენიშვილი წერს: „ამხ. მახარაძე ცარიზმის მიერ იმერეთის შეერთებაზე საუბრისას გაგვაცნობს სოლომონ II ბრძოლას მეფის რუსეთთან და მის ფრთებქვეშ შეფარებულ დადიანთან, გურიელთან, და ავტორი არ აღნიშნავს (უეჭველია, შეუსწავლელობის გამო), რომ იმერეთის მეფე დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და აქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოდა (ხოლო ცარიზმი კი დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას და აქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებას ისახავდა მიზნად)"... ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ სოლომონ II ბრძოლას ნ. მახარაძე არ განიხილავს, როგორც პროგრესულ მოვლენას; ნ. მახარაძეს, ნ. ბერძენიშვილის აზრით, უნდა ეჩვენებინა, რომ სოლომონ II არ ყოფილა „ოსმალოფილი", რომ ის იბრძოდა საკუთარი პოლიტიკისათვის უცხოელთა წინააღმდეგ. „ასეთ დებულების მიღებას, ავტორი დამეთანხმება,— განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი—ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა 1819—20 წლის აჯანყების გაგება-შეფასებისათვის (სოლომონის ბრძოლის ასეთ ხასიათს განზრახ ჩქმალავდნენ ცარიზმის ისტორიკოსები და „ოსმალოფილობის" მიჩემებით მკითხველი საზოგადოების თვალში მის გაშავებას ცდილობდნენ).

ამხ. ნ. მახარაძე სავსებით მართალია, რომ იმერეთის შეერთება და იქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმება მეფის რუსეთისათვის აუცილებელი იყო მას შემდეგ, რაც მან აღმოსავლეთ-საქართველო შეიერთა და იქ თავისი სისტემა შემოიღო; იმერეთი საქართველოს საკითხის ერთი უბანი იყო. ამდენადვე სოლომონის ბრძოლა იმერეთში უცხოთა პოლიტიკის დამკვიდრების, დამყარების

წინააღმდეგ... იმას ოდნავადაც არ ნიშნავს, თითქო ამით ქართველი ხალხი რუსეთთან კავშირს უარყოფდა და ერანს თუ ოსმალეთს ირჩევდა. არჩევანი რუსეთთან კავშირის სასარგებლოდ ქართველი ხალხისათვის ისევე გარდუვალი იყო, როგორც თვით „ქართველობის“ დაცვა (და სწორედ ამ „ქართველობის“ დაცვის მიზნით იმეორებდნენ ამ არჩევანს აგრე დაჟინებით უდიდესი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ორი საუკუნის მანძილზე).

ამ საკითხზე აქ არც ამდენს ვისაუბრებდით, რომ მის გაუთვალისწინებლობას თავი არ ეჩინა ამხ. მახარაძის მიერ 1819—20 წლის აჯანყების შეფასებაში“[57].

თანამედროვე რეაქციულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას განსაკუთრებით დიდი იერიში მოაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების მარქსისტულ-ლენინური გაშუქების წინააღმდეგ. ამ მხრივ ყველაზე მეტად „გამოიჩინა“ თავი მ. ლასხაურმა. მან ჟურნალ „კავკასიის მიმოხილვაში“ გამოაქვეყნა ვრცელი „ნარკვევი“ — „XIX—XX საუკუნეთა საქართველოს ისტორიის თანამედროვე საბჭოური ინტერპრეტაცია“[58]. ლასხაური ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსის მცდარ დებულებას თავს აბვევს მთლიანად საბჭოურ ისტორიოგრაფიას და ამის შემდეგ ომს უცხადებს მას, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამაოდ დაშვრა კრიტიკოსი, მან ვერაფერი დააკლო საბჭოურ ისტორიოგრაფიას.

მ. ლასხაური საბჭოური ისტორიოგრაფიის მომაკვდინებელ ცოდვად თელის საქართველოს რუსეთთან შეერთების ნებაყოფლობითი ხასიათის აღიარებას. მას რატომღაც ავიწყდება, უკეთეს შემთხვევაში, არ იცის, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ნებაყოფლობით ხასიათზე თითქმის ერთხმად მიუთითებდნენ სამოციანელთა ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენლები, ხოლო გასუ-

---

[57] აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 1942, ტ. XIII, გვ. 298.

[58] M. Lashauri, Current Soviet Interpretations of XIX-XX Century Georgian History („Caucasian Review“, № 3, 1956). მ. ლასხაურის ამ სტატიის შესახებ ვრცელი კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა ისტ. მეც. კანდიდატმა გრ. მარგიანმა, ამიტომ ჩვენ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით (იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებათმეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, № 1(7), გვ. 265—305 და № 2(8) გვ. 198—220).

ლი საუკუნის 80—90-იანი წლებიდან ამ თავლსაზრისს ასევე ერთხმად იზიარებენ ქართული ისტორიოგრაფიისა და პუბლიცისტიკის წარმომადგენლები, მათ შესახებ ჩვენ პირველ ნაწილში გვაქვს საუბარი. ასე რომ, საქართველოს რუსეთთან შეერთების ნებაყოფლობით ხასიათს აღიარებდა არა მარტო გ. ხაჭაპურიძე, რომელსაც გაშმაგებით თავს ესხმის ლასხაური. მაშასადამე, საბჭოური ისტორიოგრაფია აქ არაფერ შუაშია.

* * *

საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი ისტორიკოსები და ეკონომისტები. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ფ. მახარაძე. მან საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის შესწავლას დიდი ადგილი დაუთმო თავის ლიტერატურულსა და ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობაში. ფ. მახარაძემ პირველმა აღნიშნა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი[59].

საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის შესახებ მნიშვნელოვანი დაკვირვებანი აქვს ს. ხუნდაძესაც. იგი, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის საკითხებს ეხება თავის რამდენიმე ნაშრომში[60]. ს. ხუნდაძე, ისე როგორც ფ. მახარაძეც, XIX საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოში სწორად შენიშნავს ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და ახალი, სასაქონლო მეურნეობის განვითარების ისტორიულ პროცესს, მაგრამ აქ, ს. ხუნდაძის აზრით, ისტორიული პროცესის ძირითადი განმსაზღვრელი იყო არა ქვეყნის შინაგანი ვითარება, არამედ „გარეშე ძალის ჩარევა", მეფის რუსე-

---

[59] იხ. Ф. Махарадзе, Грузия в XIX столетии. Краткий исторический очерк, Тбилиси. 1933, стр. 73-78,. ფ. მახარაძის სხვა, ადრინდელ ნაშრომებზე ამ წიგნის პირველ ნაწილში გვქონდა საუბარი.

[60] იხ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, შესავალი წერილი, თბილისი, 1930; მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები, თბილისი, 1941; მ ი ს ი ვ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბილისი, 1949 და სხვ.

თი და მისი ბიუროკრატია. აქ საქმე გვაქვს საქართველოს შინაგანი საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესების მნიშვნელობის უგულ-ვებელყოფასთან[61].

საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია მრავალმხრივს, მეცნიერულ გაშუქებას ჰპოულობს გ. ხაჭაპურიძის შრომებში, თუმცა ისინი არ არიან ცალკეული შეცდომებისაგან თა-ვისუფალნი. გ. ხაჭაპურიძეს მდიდარი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე ნაჩვენები აქვს, რომ საქართველოში XIX საუკუნის პირ-ველ ნახევარში მიმდინარეობს ნატურალურ-ფეოდალური მეურნეობის რღვევა და სასაქონლო მეურნეობის განვითარება, რაც ეკონომიურად ამზადებდა ბატონყმობის ლიკვიდაციას[62].

საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში ფრიად დიდი და სერიოზული მუშაობა აქვს გაწეული პ. გუგუშვილს. მის მრავალრიცხოვან ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის შრომებში მეცნიერულად დასაბუთებულია და ნაჩვენები XIX საუკუნის პირ-ველი ნახევრის საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვი-თარების ისტორიული პროცესი. შ. ჩხეტია საქართველოში კაპიტა-ლისტური მრეწველობის სათავეს ხედავს XIX საუკუნის მეორე მე-ოთხედის ბოლოში, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში იგი, შ. ჩხე-ტიას აზრით, ჯერ კიდევ მანუფაქტურულის ან ნახევრად მანუფაქ-ტურული ხასიათის მატარებელია[63]. ა. კიკვიძე, აკრიტიკებს რა პ. გუ-გუშვილს, აგრეთვე არაპირდაპირ შ. ჩხეტიასაც, უარყოფს საქარ-თველოში კაპიტალისტური მანუფაქტურის არსებობას, რის მიზე-ზადაც ასახელებს საქართველოსა და კავკასიის კოლონიურ მდგო-მარეობას[64].

---

[61] შ. დუმბაძე, საქართველოს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის პრობლემები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში (ხელნაწერი).

[62] იხ. Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX в., Тбилиси, 1950, стр. 420-491.

[63] იხ. Ш. К. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, 1942, стр. 446.

[64] იხ. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954, გვ. 226—229.

მ. დუმბაძე და ზ. ანჩაბაძე 1954 წელს გამოქვეყნებულ თეზისებში აღნიშნავდნენ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების დაბალ დონეს რეფორმამდელ საქართველოში, რასაც რეფორმების წინ ბატონყმური მეურნეობის საერთო კრიზისის უარყოფამდე მიჰყავდა ისინი: „ახალ ეკონომიურ მოვლენათა (კაპიტალიზმის, — ი. კ.) განვითარება აქ ჯერ კიდევ არ იყო მისული სიმწიფის იმ დონემდის, როცა იწყება ძლიერი კონფლიქტი საწარმოო ძალების ზრდასა და გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობას შორის,— წერდნენ მ. დუმბაძე და ზ. ანჩაბაძე, — კაპიტალისტური ურთიერთობის საწყისები ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ახალ ეკონომიურ წყობად („უკლად"), რომელსაც უნდა დაეშალა ფეოდალური წესწყობილება და დღის წესრიგში დაეყენებინა მისი რევოლუციური დამსხვრევა, ან საფუძვლიანი გარდაქმნა"[65]. მ. დუმბაძესა და ზ. ანჩაბაძეს სათანადოდ არ გაუთვალისწინებიათ ს. ხუნდაძის, პ. გუგუშვილის და სხვათა გამოკვლევები და პუბლიკაცია, რომლებიც ნათელჰყოფენ XIX საუკუნის 50-იან წლებში ბატონყმური მეურნეობის კრიზისს[66]. მ. დუმბაძემ, როგორც სჩანს, შემდეგში, გააღრმავა რა ამ მიმართულებით მუშაობა, რამდენიმედ შეიცვალა აზრი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების მდგომარეობისა და დონის შესახებ[67], რამაც თავისი ასახვა ჰპოვა 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოში და მის მონოგრაფიაში—„დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში" (1957 წ.). ამ ნაშრომზე შეიძლება უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

---

[65] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში (თეზისები, ხელნაწერის უფლებით), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 7.

[66] იხ. Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, აქვე პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობა, გვ. XXII.

[67] ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე სამწუხაროდ კვლავ ძველ თვალსაზრისზე რჩება. მან ერევანში კავკასიის ხალხთა აგრარული ისტორიის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე სცადა აღნიშნული თვალსაზრისის განვითარება (იხ. ჟურ. „История СССР", 1962, № 3, გვ. 225).

მ. დუმბაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების გაშუქება. იგი მკაფიოდ გვიჩვენებს იმ ცვლილებებს, რაც განიცადეს საქართველოს საზოგადოებრივმა კლასებმა ცარიზმის ბატონობის დროს. ეს ცვლილებები უმთავრესად დაკავშირებული იყო ქართულ სათავადოთა სისტემის საბოლოო დაშლასთან. მ. დუმბაძე, მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევას და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვას ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის 30—50-იან წლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რატომღაც ერთ დაფაზე ათავსებს მათი ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით. მკვლევარის თვალს არ უნდა გამორჩენოდა ზოგიერთი თავისებურება, რომლითაც ხასიათდებოდა საქართველოს ორივე ნაწილის ეკონომიური განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალიზმის რღვევის ხიშნების გარკვევაში მ. დუმბაძე მეთოდოლოგიურად სწორ პოზიციებზე დგას. ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვის მთავარი ნიშანი ის კი არ არის, რომ ვაჭრობა ვითარდება და ცალკეული საფაბრიკო წამოწყებები ჩნდება, არამედ მთავარი აქ ის არის, რომ დამკვიდრდეს თავისუფლად დაქირავებული შრომა, ე. ი. წვრილმწარმოებელთა საწარმოო საშუალებათაგან გამოცალკევების პროცესის გაძლიერება და, საერთოდ, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მ. დუმბაძე, გამოდის რა ზემოთ აღნიშნულიდან, მთავარ ყურადღებას მიაქცევს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას, საბატონო მეურნეობის თვითკმარობისა და კარჩაკეტილობის რღვევას, ფეოდალური მიწათმფლობელობის კრიზისს, გლეხური ნადელების შემცირებას, დაქირავებული შრომის გამოყენების ჩანასახებს და ა.შ. ასეთი გზით საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის შედეგად ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა ლიკვიდაცია არა მარტო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, არამედ ქვეყნის ეკონომიური განვითარებითაც. ამის გამო მ. დუმბაძე წერს: „სამთავროების შეზღუდულ-ავტონომიურ არსებობას ახალ დროში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების

შედეგადაც თანდათანობით ეცლებოდა ძველი, დაშლა-დაქუცმაცებულობის მასაზრდოებელი ნიადაგი. სულ უფრო და უფრო მკვიდროვდებოდა საქართველოს ცალკეულ მხარეთა შორის კავშირი. ვითარდებოდა ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. სამთავროთა არსებობა არაფრით არ უწყობდა ხელს ასეთი ბრძოლის წარმატებას. ამიტომ ქართველი ხალხის შინაგანი მთლიანობისა და ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის თვალსაზრისით მათ საბოლოო გაუქმებას, ცარიზმის მიზნებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა"[68]. ვ. დუმბაძის აღნიშნულმა მონოგრაფიამ საერთოდ დადებითი შეფასება მიიღო სამეცნიერო ლიტერატურაში[69].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ჩასახვისა და განვითარების პროცესს გვიჩვენებს ი. ანთელავა სახაზინო გლეხთა ცხოვრების მაგალითზე[70]. ამ მხრივ საინტერესო მასალები და დაკვირვებანი აქვს ა. ფანცხავას[71].

საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია, მიუხედავად ისტორიკოსებისა და ეკონომისტების მიერ ზემოთ აღნიშნული ნაყოფიერი მუშაობისა, ჯერ კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებასა და შესწავლას, განსაკუთრებით მისი სოციალური ისტორია. ჩვენი ისტორიკოსები თუ ეკონომისტები კაპიტალიზმის განვითარების ხასიათისა და დონის დასადგენად როდი უნდა დაკმაყოფილდენ მხოლოდ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების დონის დადგენით, მხოლოდ ქართველი ვაჭრისა და ქართველი მრეწველის სტატისტიკური მაჩვენებლებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დღემდე უმთავრესად. კაპიტალიზმის განვითარების დონის დასადგენად მთავარია არა მარტო ის, თუ ვინ ჰყიდის, არამედ ისიც თუ ვინ ყიდულობს, არა მარტო ის — ვინ აწარმოებს, არამედ ისიც თუ

---

[68] ვ. დუმბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 410.

[69] იხ. ი. ანთელავას, ც. კალანდაძის, შ. ხანთაძის რეცენზია ჟურნალში „История СССР", 1959, № 6.

[70] იხ И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в., Сухуми, 1955.

[71] А. Я. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, Москва, 1957.

როგორ აწარმოებს. ყოველივე ამის გარკვევა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური ისტორიის მკვლევარისათვის აუცილებელია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დღემდე, სამწუხაროდ ნაკლები ყურადღება ექცეოდა გლეხობის სოციალური დიფერენციაციის საკითხს. ამ მხრივ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ახალგაზრდა ისტორიკოსებმა — დ. გოგოლაძემ, ე. ხოშტარიამ, ნ. როდონაიამ, აბ: სურგულაძემ და სხვებმა, რომლებმაც გვიჩვენეს კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების სიღრმისეული პროცესები საქართველოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რაზედაც უფრო დაწვრილებით შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

* * *

XIX საუკუნის დამდეგს საქართველო მოექცა რუსეთის უშველებელი იმპერიის ფარგლებში, რუსეთის ისტორიული განვითარების ორბიტში. ამასთან დაკავშირებით ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარება ამიერიდან რუსეთის ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერებას დაემორჩილა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ წარმოიშობოდა საქართველოში ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და იდეური მიმდინარეობა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გავლენით, განსაკუთრებით, დეკაბრისტული მოძრაობიდან დაწყებული, ვიდრე ჩვენს ეპოქამდე.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობანი საქართველოში ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ განხილულია, როგორც ადგილობრივი ხასიათის, გარეშე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა გავლენისაგან თითქმის თავისუფალი ისტორიული მოვლენა. ამ პერიოდში საქართველო სუსტად იყო დაკავშირებული რუსეთთან როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, ამიტომ მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობანი, თუ ასეთად ჩავთვლით ანტიბატონყმურსა და ანტიკოლონიურ გამოსვლებს, მთლიანად ლოკალური ხასიათისა იყვნენ.

ამ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა ისტორიის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდა ქართულ საბჭოურ

ისტორიოგრაფიაში ეკუთვნის გ. ვ. ხაჭაპურიძეს. მან ჯერ კიდევ 1932 წელს გამოცემულ წიგნში „გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში“ გააშუქა რიგი საკითხები აღნიშნული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში. გ. ხაჭაპურიძემ პირველმა აღნიშნა, რომ ქართველი გლეხობის ანტიბატონყმური გამოსვლები განუყრელად იყვნენ დაკავშირებულნი მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლასთან[72]. როგორც ცნობილია, რეაქციულ ქართველ თავადაზნაურობას არა ერთხელ უცდია გლეხთა კლასობრივი ბრძოლისათვის მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური ელფერი მიეცა, იგი მთლიანად მეფის რუსეთის წინააღმდეგ წარემართა და მოეხდინა საკუთარი პოლიტიკური ინტერესების რეალიზაცია. ეს მომენტი კარგად შეინიშნება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა აჯანყებაში.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის საკითხის ამგვარი გაშუქება მიუღებელი აღმოჩნდა. მისი ერთ-ერთი უახლესი წარმომადგენელი ლასხაური ზემოთ დასახელებულ „ნაშრომში“ უარყოფს საქართველოში XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა სოციალურ, ანტიბატონყმურ, ანტიმემამულურ ხასიათს. ამ მოძრაობის ერთადერთი მიზანი, მისი აზრით, იყო ბრძოლა მეფის რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. XIX საუკუნის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის დაყვანა მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალურ ხასიათის მოძრაობამდე, ნიშნავს ცალმხრივად და გაღარიბებულად წარმოადგინო ქართველი ხალხის ჭეშმარიტად გმირული ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, ეს ნიშნავს, აგრეთვე, ანგარიში არ გაუწიო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევებს[73] და მოურიდებლად ეწეოდე ისტორიის ფალსიფიკაციას ბინძური პოლიტიკური მიზნებისათვის.

---

[72] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, თბილისი, 1932, გვ. 26.

[73] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ., თბილისი, 1941; ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841; ე. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წელს, თბილისი, 1951; დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856—1857 წწ., თბილისი, 1957; შ. ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს (იხ. ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ო ა მ ბ ე, 1953 წ. № 7); მ ი ს ი ვ ე, გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში (იხ.

1832 წლის შეთქმულების ისტორია ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის. ამ შეთქმულების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც გ. გოზალიშვილმა 1832 წლის შეთქმულების შესახებ 1935 წელს გამოაქვეყნა სერიოზული გამოკვლევა დოკუმენტებითურთ („1832 წლის შეთქმულება"). გ. გოზალიშვილმა 1832 წლის შეთქმულებას მაღალი შეფასება მისცა და იგი დაუკავშირა იმდროინდელ ევროპაში გავრცელებულ პროგრესულ-ლიბერალურ იდეებსა და რუსულ დეკაბრისტულ მოძრაობას[74]. გ. გოზალიშვილის აღნიშნული გამოკვლევით დასაბამი მიეცა 1832 წლის შეთქმულების გაცხოველებულ შესწავლას. ბევრი დაიწერა, ბევრი ახალი მასალა და დოკუმენტი გამოქვეყნდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ. გოზალიშვილის უმთავრესი დებულებები ასე თუ ისე ძირითადად გაიზიარა თითქმის ყველა ავტორმა, მათ შორის, „საქართველოს ისტორიის" ზემოთ დასახელებული დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორებმაც.

1832 წლის შეთქმულებას რეაქციულ მოძრაობად თვლიან გ. ხაჭაპურიძე[75], ნაწილობრივ ა. კიკვიძე[76] და სხვები. ა. ქუთელია[77], მ. გოცაძე[78], პ. რატიანი[79] და სხვები 1832 წლის შეთქმულე-

---

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1957 წ.); ი. კაჭარავა, იმერეთის რუსეთთან შეერთების საკითხი ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში (იხ. თ. ს. უ. ბიბ. 1942 წ.); Н. Махарадзе, Восстание в Имеетии 1819-1920 гг. (См... Материалы... ч. III, 1942 г.); Г. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955; И. Антелава, Государственные крестьяне..., т.I, Сухуми, 1955, т. II, Тбилиси, 1962.

[74] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, თბილისი, 1935, გვ. 3.

[75] Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси, 1950, გვ. 373-374.

[76] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954, გვ. 158—190.

[77] ს. დოდაშვილი, ფილოსოფიის კურსი, ნაწ. I, ლოგიკა, ა. ქუთელიას წინასიტყვაობა, თბილისი, 1949 წ.

[78] მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1955; მისივე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, თბილისი, 1954.

[79] იხ. რეცენზია გ. ხაჭაპურიძის წიგნზე — К истории Грузии первой половины XIX века (აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1954).

ბაში ს. დოდაშვილისა და მისი ჯგუფის მოღვაწეობას ცალკე გამოყოფენ ფეოდალურ-რესტავრატორული ჯგუფის მოღვაწეობისაგან. 1832 წლის შეთქმულების ნამდვილი ხასიათის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" პუბლიცისტის სტატიას, რომელიც ქართველი ისტორიკოსების მიერ დიღხანს უყურადღებოდ იყო დატოვებული,—„როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა". აქ ავტორი ახასიათებს საქართველოს XIX საუკუნის პირველ მეოთხედის თავადაზნაურულ მოძრაობას, როგორც რეაქციულ მოძრაობას, მაგრამ აქვე გამოყოფს „ზოგიერთ შეთქმულებას", რაშიაც არ შეიძლება არ ვიგულისხმოთ 1832 წლის შეთქმულება. იგი წერს, რომ „ფეოდალურ-მონარქიულმა" ნაციონალიზმმა „ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია... ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში"[80]. ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე XIX საუკუნის 30-იან წლებში გამოდიან მონარქიული ნაციონალური კითხვის იდეოლოგები. ბრძოლის საშუალებად, ხალხის მასებთან კავშირს მოკლებულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ, შეთქმულების გზა აირჩია. შეთქმულებაში ჩაბმულ იქნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომლებსაც შეთქმულებაში შეჰქონდათ კონსტიტუციური და რესპუბლიკური მოძრაობის საკმაოდ ჯანსაღი ნაკადი დეკაბრიზმით გაცხოველებული. მიუხედავად ამისა, სოციალური საკითხი დაჩრდილა ნაციონალურმა კითხვამ. ნაციონალური საკითხის თავადაზნაურული გადაწყვეტის ცდამ და სოციალური საკითხის მიჩქმალვამ 1832 წლის შეთქმულებას ყველა გზა მოუჭრა ხალხისაკენ. ისინი იზოლირებულნი აღმოჩნდნენ.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა ისტორიასთან ერთად ამ მოძრაობათა ხასიათის საკითხი, მათი შეფასების საკითხიც იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. გ. ხაჭაპურიძემ XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა გამოსვლები დაახასიათა, როგორც ანტიბატონ-

---

[80] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", 1904 წლის 1 სექტემბერი, № 7.

ყმური და ანტიცარისტული, მათში იგი ვერ ხედავდა „ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის“ ნიშნებს[81]. ა. კიკვიძე XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში განასხვავებს ორ ნაკადს — გლეხურ მოძრაობას, რომელიც მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჰგონია და თავადაზნაურულ რეაქციულ მოძრაობას. აი რას წერს იგი ამის შესახებ: „ერთი მხრივ, გლეხთა ანტიბატონყმური, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და, მეორე მხრივ, თავადაზნაურობის რეაქციული მოძრაობა — ასეთია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შინაარსი საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“[82].

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში ქართველი თავადაზნაურობის მონაწილეობა რესტავრატორულ და რეაქციულ ბრძოლად მიაჩნია ნ. ბერძენიშვილს[83]. ამასთან ერთად, წინააღმდეგ ა. კიკვიძისა, სრულიად მართებულად ამტკიცებს ნ. ბერძენიშვილი, რომ იმ დროს გლეხური გამოსვლები „არაფერს ეროვნულ-განმათავისუფლებელს“ „არ გულისხმობდა“[84]. მართლაც, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ძირითად შინაარსს, თუ სახეში არ მივიღებთ თავადაზნაურულ-რესტავრატორულ მოძრაობას, წარმოადგენდა არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

თავადაზნაურულ-რესტავრატორულ მოძრაობას საფუძველი გამოეთხარა 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით. ამ დროიდან ქართველ თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი საბოლოოდ გამოეთხოვა სეპარატიზმის იდეას და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, გახდა მისი პოლიტიკის ერთგული და საიმე-

---

[81] გ. ხაჟაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, თბილისი, 1932, გვ. 28—29.

[82] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნე, თბ., 1954, გვ. 2.

[83] ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ა. კიკვიძის სადისერტაციო ნაშრომზე: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მე-XIX საუკუნეში“ (იხ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 469), აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ბერძენიშვილი რამდენიმედ განსხვავებულ თვალსაზრისს იცავდა 40-იანი წლების დასაწყისში (იხ. მისი რეცენზია ნ. მახარაძის სადისერტაციო ნაშრომზე, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1942 წ., გვ. 298).

[84] იქვე, გვ. 471.

დო გამტარებელი, ისეთი როგორიც იყო გ. ბაგრატიონ-მუხრანელი, ხოლო ქართველი თავადაზნაურობის საუკეთესო და პროგრესულად მოაზროვნე ნაწილმა, რომლის ტიპიური წარმომადგენლებიც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი, რუსეთის სახით დაინახა არა მარტო სამხედრო ბიუროკრატია, არამედ მაღალი პროგრესული კულტურაც.

პროგრესულ რუსეთთან თანამშრომლობაში ხედავდა იგი ქართველობის ხსნასა და აღდგენას. ალ. ჭავჭავაძის აზრით საქართველოს რუსეთთან შეერთებით „...ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუნიდ შევიდეს მათ შორის განათლება“. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე და გენ. ივანე აბხაზთან ცნობილი მოკამათე გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოს“ ავტორად გვევლინება. ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოეტური საშუალებებით ასახა თავის უკვდავ ქმნილებებში ჩვენი ქვეყნისა და მისი მოწინავე საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული გარდატეხა. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა „ბედი ქართლისა“. აქ პოეტმა ერთმანეთს დაუპირისპირა „ქართლის ბედის“ შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი, რომელიც დიდხანს ტრიალებდა ქართულ საზოგადოებაში რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე და შეერთების შემდეგაც. თითოეული თვალსაზრისის დამცველად პოეტმა ისეთი ავტორიტეტები გამოიყვანა, როგორიც იყვნენ ერეკლე მე-II და სოლომონ ლიონიძე. პირველი საქართველოს რუსეთთან დაკავშირების, მეორე კი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომხრეა. მაგრამ ეს როდია ყველაფერი. ფრიად მნიშვნელოვანია ის არგუმენტები, რომელთა მოშველიებითაც თითოეული მათგანი იცავს საკუთარ თვალსაზრისს, საკუთარ პოზიციას.

ამ გარემოებას პირველად აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება[85]. „ბედი ქართლისაში“, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, რუსეთთან კავშირს ერეკლე მეორე მოითხოვს, მხოლოდ მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, მშვიდობის მოპოვებისათვის. იგი მთელი პოემის მანძილზე ერთხელაც არ ახსენებს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს, მაშინ, როდესაც სოლომონ ლიონიძე, ასევე

---

[85] ამის შესახებ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა აღნიშნა პირველად „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს მაკეტის გარშემო 1956 წელს ისტორიის ინსტიტუტში გამართულ დისკუსიის შემაჯამებელ სიტყვაში.

ერთხელაც არ ახსენებს პოემის მთელ მანძილზე მშვიდობას და რუსეთთან კავშირს უარყოფს, მხოლოდ თავისუფლებისათვის, თავისუფლების შენარჩუნებისათვის. ასე ესმოდა პოეტს ერეკლესა და სოლომონის, თუ შეიძლება ითქვას, ეროვნული პროგრამის საფუძვლები. სხვა პროგრამისათვის მაშინ რეალური საფუძველი არ არსებობდა, პოეტი ამას აშკარად ხედავდა და ამიტომ ძას პოემაში არ ჰყავს პერსონაჟი, რომელიც ეროვნულ პროგრამას, ეროვნულ მრწამსს საფუძვლად დაუდებდა მშვიდობასა და თავისუფლებას. აქ თავი იჩინა პოეტის დიდმა ისტორიულმა ალღომ, რეალობის უტყუარმა შეგრძნებამ; მან კარგად დაინახა ძველი საქართველო, რომ იდგა ალტერნატივის წინ—მშვიდობა ან თავისუფლება. მას აქედან ერთ-ერთი უნდა აერჩია. ერეკლე მეორემ მშვიდობა აირჩია შემდეგში მტკიცე და მყარი თავისუფლების მოსაპოვებლად. პოეტი ერეკლს არჩევანს იწონებს, მაგრამ აქვე იძლევა მონარქიის გაბედულ კრიტიკასაც, როდესაც მეფე „ხალხის ბედს“ ისე „დამღერს“ ვითა კამათლებს. ხოლო ცოტა გვიან, ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი და მოწინავე ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება „ქართლის ბედისადმი“ უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“. იგი არამც თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ კიდევ უფრო ავსებს და აღრმავებს „ბედი ქართლისაში“ ჩამოყალიბებულ XIX საუკუნის პირველი ნახევრის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას შეერწყა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ აქ იჩენს თავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძეს შორის იდეური კავშირი და ნათესაობა, რაზედაც არა ერთხელ მიუთითებდა აკაკი წერეთელი.

თავი მესამე

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამარჯვებისა და განმტკიცების ეპოქის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში

საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამარჯვებისა და განმტკიცების ეპოქა თითქმის მთლიანად მოიცავს XIX საუკუნის მეორე ნახევარს. ამ ეპოქის საწყისად, როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ითვლება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

საქართველოს ისტორიკოსებმა და ეკონომისტებმა: ფ. მახარაძემ[1], გ. ხაჭაპურიძემ[2], პ. გუგუშვილმა[3], შ. ჩხეტიამ[4], ს. ბერაძემ[5], ზ. ვანეევმა[6], ა. ოლონეცკიმ[7] და სხვებმა თავიანთ მრავალრიცხოვან

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, გლეხკაცობის განთავისუფლება ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან, თხზ., კრებული, ტ. I, თბილისი, 1924; მ ი ს ი ვ ე, საგლეხო რეფორმა, თხზ. კრებული, ტ. III, თბილისი. 1926 წ.: 2. გ. ე. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, თბილისი, 1932; 3. პ. ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, ტ. I, 1949; ტ. II, 1956; ტ. III, 1959; 4. შ. ყ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950; მ ი ს ი ვ ე, ბრძოლა საგლეხო რეფორმის გარშემო აღმოსავლეთ საქართველოში (იხ. ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის "შ რ ო მ ე ბ ი, ტ. III, 1950); 5. ს. ბ ე რ ა ძ ე, Грузинская экономическая мысль в период кризиса крепостного хозяйства (см. в кн. „Из истории экономической мысли народов СССР", Соцэкгиз, 1961); 6. З. Н. В а н е е в, Крестьянский вопрос и крестянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956; 7. А. О л о н е ц к и й, Крестьянская реформа 1870 г. в Абхазии (см. Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 26, 1955).

გამოკვლევებში დაასაბუთეს: 1. საგლეხო რეფორმისათვის საქართველოში ხელსაყრელ სოციალ-ეკონომიური პირობების არსებობა XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან, 2. მებატონეთა მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის ბურჟუაზიული ხასიათი, 3. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის კავშირი საქართველოში გატარებულ გლეხთა რეფორმასთან, 4. საქართველოში რუსეთთან შედარებით აგრარული ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებული ხასიათი და, ბოლოს, 5. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის უსუსურობა საგლეხო რეფორმის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ქართულმა საბჭორუმა ისტორიოგრაფიამ წარმატებით დაძლია ბურჟუაზიული და ვულგარულ-სოციოლოგიური სკოლების ცრუმეცნიერული „თეორიები", საგლეხო რეფორმის გარშემო რომ ვითარდებოდნენ საქართველოში. აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია საგლეხო რეფორმის იდეალიზაცია, მისი დასახვა „დიად რეფორმად" და სხვა. საგლეხო რეფორმის ასეთ ლიბერალურ-ბურჟუაზიული შეფასების წინააღმდეგ გაბედულად გაილაშქრეს ჯერ კიდევ ქართველმა სამოციანელებმა, შემდეგ ქართველ რევოლუციონერ მარქსისტთა პირველი თაობის ბრწყინვალე პლეადამ, და ბოლოს, მთელმა მარქსისტულ-ლენინურმა ისტორიოგრაფიამ.

ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ უარყო აგრეთვე საქართველოში ბატონყმურ ურთიერთობათა ისტორიის დაყოფა ორ პერიოდად: საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და რუსეთთან შეერთების შემდეგ. აღნიშნული დაყოფა უფრო გარეგანი ნიშნის — ბატონყმობისადმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხასიათის მიხედვითაა გატარებული, ამდენად იგი ხელოვნურია, აღნიშნულ პერიოდებში ბატონყმობას, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ სისტემას არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ უარყო აგრეთვე საკაპრო კაპიტალის როლის გაზვიადება საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების საქმეში, უარყო საკაპრო კაპიტალის გამოცხადება XIX საუკუნის ნახევრის საქართველოსათვის „ცხოვრების მთავარ ფაქტორად". საკაპრო კაპიტალის როლის ასეთი გაზვიადება არაფერს ხსნიდა საგლეხო რეფორმისათვის საქართველოში სოციალ-ეკონომიურ პირობათა მომწიფების მეცნიერულად შესწავლის საქმეში, რადგან არა მარტო ვაჭრობა, არამედ სა-

ვაჭრო კაპიტალიც კაპიტალისტურ წარმოების წესზე უფრო ხნიერია"[8]. როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმისათვის სოციალ-ეკონომიური პირობები საქართველოში, როგორც რუსეთშიც, იქმნებოდა ახალი წარმოებით ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების შედეგად, ახალი საწარმოო ძალების განვითარების შედეგად, ამიტომ სწორედ ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების „მთავარი ფაქტორი" და არა სავაჭრო კაპიტალი. „სავაჭრო კაპიტალი. — წერდა კ. მარქსი, — მიმოქცევის სფეროშია ჩამაგრებული და მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საქონელთა გაცვლა-გამოცვლის მოსაშუალეობა გასწიოს"[9].

ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ უკუაგდო საქართველოში საგლეხო რეფორმის გარშემო წარმოებული ბრძოლის ლიბერალურ-ბურჟუაზიული შეფასება. ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია განიხილავდა საგლეხო რეფორმის გარშემო გაჩაღებულ მხოლოდ იმ „ბრძოლას", რომელსაც ადგილი ჰქონდა რეაქციონერ და ლიბერალ თავადაზნაურთა შორის. მაგრამ, როგორც ცნობილია, რეფორმის გარშემო ბრძოლის მთავარი ხაზი გადიოდა არა ლიბერალთა და რეაქციონერთა ბანაკებს შორის, არამედ მთელ გლეხობასა და მთელ თავადაზნაურობას შორის. ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ეს იყო უგულვებელყოფილი. ლიბერალთა და რეაქციონერთა შორის ბრძოლა, როგორც ცნობილია, სწარმოებდა დათმობათა სიდიდისა და ფორმისათვის, მაშინ, როდესაც გლეხობა იბრძოდა მთელი მიწისათვის და მთელი თავისუფლებისათვის. სწორედ ეს შეადგენდა ქართველ სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატთა სოციალური პროგრამის ძირითად შინაარსს[10].

---

[8] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 282.

[9] ი ქ ვ ე.

[10] ამის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ლ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს შრომები: „გლეხობის საკითხი XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში" (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მ ო ა მ ბ ე, 1960, № 2) და „ილია ჭავჭავაძე და საგლეხო რეფორმა საქართველოში" (იხ. ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი", 1959, № 8).

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოში საგლეხო რეფორმის ზოგიერთი მხარე და რეფორმის შემდეგდროინდელი აგრარული ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე გლეხთა ანტიკოლონიური გამოსვლებისა და აგრარული მოძრაობის თავისებურებანი. ამ ხარვეზების ნაწილობრივ ამოვსებას ისახავს მიზნად ი. ანთელავას[11], გ. ძიძარიას[12] და სხვათა მიერ გამოქვეყნებული შრომები.

ი. ანთელავას შრომებში კონკრეტ-ისტორიული მასალის საფუძველზე ნაჩვენებია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის შემდეგდროინდელი აფხაზეთის სოფელში, რომლის ძირითად მიზეზად ავტორი თვლის საგლეხო რეფორმის მებატონეთა მიერ გატარებას. ი. ანთელავა იკვლევს აგრეთვე ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობას რეფორმის შემდგომ პერიოდში და გვიჩვენებს, რომ 1900 წლის 1 მაისის „რეფორმას" არსებითად არავითარი ცვლილებები არ შეუტანია სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობის საქმეში. მთავრობას გლეხისათვის დამატებით მიწა არ მიუცია, მან ხელუხლებლად დასტოვა ფაქტიური მფლობელობა, გლეხი მიწის მესაკუთრედ არ უცვნია, მაგრამ სათანადო გადასახადი კი დააკისრა: რუსეთში კი, როგორც ცნობილია, სახელმწიფო გლეხი აღიარებულ იქნა მიწის მესაკუთრედ. ეს გარემოება, ავტორის აზრით, საქართველოს კოლონიური მდგომარეობით იყო გაპირობებული. სხვათა შორის, ამაშიც უნდა ვეძიოთ მიზეზი საქართველოში აგრარულ და, ბოლოს, გლეხურ რევოლუციური მოძრაობის იმ მკვეთრად გამოხატული მძაფრი ხასიათისა, რომელიც შეინიშნებოდა საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლის მთელ პერიოდში, თვით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდეც კი.

ამ კუთხით აგრარული ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ისტორია საქართველოს დანარჩენ მხარეებში, გარდა სამხრეთ-

---

[11] ი. ანთელავა, რეფორმის შემდეგდროინდელ აფხაზეთში აგრარული მოძრაობის ისტორიიდან (1870—1880 წწ.) (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. X, № 4, 1949); მისივე, Реформа поземельного устройства государственных крестян Закавказья в конце XIX века, Сухуми, 1952.

[12] Г. Г. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955.

ოსეთისა[13], ჯერ კიდევ არ არის საკმაო სისრულით შესწავლილი. ამიტომ „ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში საკმარისად არაა ნაჩვენები იმის მიზეზი, თუ რატომ მიიღო კლასობრივმა ბრძოლამ მწვავე ხასიათი და ამის შესაბამისად დიდი გაქანება რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში. შეუსწავლელია გლეხობის პოლიტიკური უუფლებობის საკითხი, რის გამოც დაუსაბუთებელი ჩანს გლეხობის მოთხოვნა სხვა წოდებებთან გათანასწორების შესახებ... შეუსწავლელია საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის თავისებურებანი, აგრეთვე ნაკლებადაა შესწავლილი ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი „სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების“ ის „განსაკუთრებული პირობები“, რომელზედაც ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითებდა ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკური პარტიის III ყრილობა“[14].

საქართველოში საგლეხო რეფორმის მომწიფებისა და მისი გატარების შედეგების მეცნიერული შესწავლის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების საკითხს. საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და მისი განვითარების ისტორიის ცალკეული საკითხები დიდი ხანია დგას ქართული ისტორიოგრაფიისა და ეკონომიური მეცნიერების ყურადღების ცენტრში.

საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ისტორიის მეცნიერული შესწავლის დარგში დიდი და ფრიადნაყოფიერი მუშაობა აქვთ გაწეული ქართველ ისტორიკოსებსა და ეკონომისტებს: ფ. მახარაძეს[15], ფ. გოგიჩაიშვილს[16], გ. ხაჭაპურ.ძეს[17], პ. გუგუ-

---

[13] См. З. Н. Ванеев, Крестянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956.

[14] ი. კაჭარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 1959, გვ. 3.

[15] ფ. მახარაძე, საქართველოს შინაური ცხოვრება XIX საუკუნეში, თხზ., ტ. I, 1924; მისივე, ამიერკავკასიის გლეხკაცობის მდგომარეობა, თხზ., ტ. III, 1926; მისივე, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XIX საუკუნეში, თხზ., ტ. VIII, 1932 და სხვ.

[16] Dr. P. Gogitschaischwili, Das Gewerbe in Georgien... Tübingen, 1901;

[17] Г. В. Хачапуридзе, Грузия во второй половине XIX века, (Журн. „Историк-Марксист“, 1940 г., № 8.

შვილს[18], შ. ჩხეტიას[19] და ა. ფირცხალაიშვილს[20]. ამ საქმეში დიდათ-მნიშვნელოვანი და სერიოზული წვლილი შეიტანა აგრეთვე რუსმა მეცნიერმა ვ. მოჩალოვმა[21]. მათ შექმნეს საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების ისტორიის შესახებ სერიოზული განმაზოგადებელი შრომები.

საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შესწავლის საქმეში ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიისა და ეკონომიური მეცნიერების მთავარი მიღწევაა: 1. დასაბუთება საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 2. უარყოფა „საქართველოში კაპიტალიზმის შემოვრისა", როგორც ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების ერთადერთი გზისა, 3. შესწავლა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სოფელში მიმდინარე სოციალური და ეკონომიური პროცესებისა, რომლებმაც გარდაუვალი გახადეს საგლეხო რეფორმების გატარება, 4. დადგენა კავშირისა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკასა და აგრარულ ურთიერთობას შორის საქართველოში და ბოლოს, 5. აღიარება საქართველოსა და რუსეთის ეკონომიური განვითარების საერთო კანონზომიერებისა.

ქართული ისტორიოგრაფიისა და ეკონომიური მეცნიერების მიღწევათა შემდგომი განვითარება, ცალკეული დებულებების შემდგომი დაზუსტება და დასაბუთება, ახალი მონაცემებით მათი გამდიდრება წილად ხვდა ქართველი ისტორიკოსებისა და ეკონომისტე-

---

[18] ვ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941.; მისივე, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, ტ. I, 1949, ტ. II, 1956, ტ. III, 1956; მისივე, Развитие промышленности в Грузии и Закавказье, т. I, 1957.

[19] Ш. К. Чхетия, Тифлис в XIX столетии, Тбилиси, 1950.

[20] А. Пирцхалайшвили, Города Закавказия.

[21] В. Д. Мочалов, Крестянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., Москва, 1958. ვ. დ. მოჩალოვი საფუძვლიანად იკვლევს ამიერკავკასიაში სავაჭრო მიწათმოქმედების წარმოშობასა და განვითარებას. მისი მონოგრაფია სწორად ასახავს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე ეკონომიურ პროცესებს ამიერკავკასიაში (იხ. ჟურ. „История СССР", 1959, № 4, გვ. 171—175).

ბის ახალგაზრდა თაობას. მათი მრავალი წარმომადგენელი ნაყოფიერად იღწვის მშობლიური ქვეყნის მეცნიერული ისტორიისათვის. მათ შორის აღსანიშნავია ნ. ტყეშელაშვილის[21a], გ. ბაქრაძის[22], ა. ფანცხავას[23], ე. ხოშტარიას და სხვათა გამოკვლევები, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ე. ხოშტარიამ თავის გამოკვლევაში, მდიდარი ფაქტობრივი მასალის მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე გვიჩვენა, რომ „საქართველოში შრომის საზოგადოებრივი განაწილება, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების საფუძველს[24], ვითარდება XVIII ს. ნახევრიდან და ძნიშვნელოვან დონეს აღწევს XIX ს. ნახევარში. ამ დროიდან მიწათმოქმედებიდან უფრო და უფრო გამოიყოფა დამმუშავებელი მრეწველობა, ფართოვდება გაცვლა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის“[25] და, ბოლოს, დაასკვნის ავტორი, რომ ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა მოამზადეს ნიადაგი საგლეხო რეფორმის გატარებისათვის საქართველოში.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში XIX საუკუნის 30—60-იან წლებში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა დ. გოგოლაძემ[26]. ნ. ნაცვლიშვილის გამოკვლევა კი წარმოგვიდგენს საინტერესო სურათს იმისას, თუ როგორ განიცდიდა მემამულური მეურნეობა კაპიტალის-

---

[21a] ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი, 1958.

[22] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии XIX веке, Тбилиси, 1958.

[23] А. Я. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, Москва, 1957.

[24] В. И. Ленин, Сочинения, т. 3, გვ. 17.

[25] Э. В. Хоштария, Наемный труд в Грузии во второй половине XVIII в. и в первой половине XIX (Автореферат), Тбилиси, 1955, გვ. 16. მისივე, დამუშავებული მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30—60-იან წლებში (ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. III, 1958).

[26] დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბილისი, 1959.

ტურ გარდაქმნას, ან როგორ ხდებოდა მეურნეობის ბატონყმური სისტემიდან თანდათანობით გადასვლა მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაზე საქართველოს ზოგიერთ მემამულურ მეურნეობაში[27], ე. ორჯონიკიძემ თბილისის გუბერნიის თელავის მაზრის 1821 და 1842 წლების კამერალური აღწერების გაანალიზების საფუძველზე გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გლეხები სპეციალურად იწყებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას გასაყიდად, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ბატონყმური მეურნეობის შემდგომ გახრწნას. სახელმწიფო გლეხებში, რომელთაც მიწა შეეძინათ, საგრძნობი ხდება კლასობრივი დიფერენციაციის ფაქტი, გაჩნდნენ კულაკური ელემენტები, რომლებიც ეწეოდნენ სოფლის ნახევარპროლეტარული მოსახლეობის ექსპლოატაციას და სხვ.[28] საქართველოს სოფლებში რეფორმის შემდგომ პერიოდში გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის ღრმადწასულ პროცესზე მიუთითებს ი. უთურაშვილი. მან თბილისის გუბერნიის გორის მაზრის მასალების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის აღნიშნულ მაზრაში კულაკურ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა 5—6 პროცენტს აღწევდა, ხოლო იმ გლეხურ კომლთა რაოდენობა, რომლებიც სოფლის პროლეტარებად და ნახევარპროლეტარებად არიან საგულისხმებელი და, რომლებიც უპირატესად საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობდნენ, აღწევდა 40—45 პროცენტს[29]. ასეთივე მოვლენები აღნიშნა აბ. სურგულაძემ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონის — კახეთის მიმართ თავის საკანდიდატო დისერტაციაში[30].

---

[27] ნ. ნაცელიშვილი, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბილისი, 1961).

[28] ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში (იხ. „მასალები, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 33, თბილისი, 1960 წ.).

[29] ი. უთურაშვილი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში (გორის მაზრის მასალების მიხედვით, თბილისი, 1957 წ.).

[30] აბ. სურგულაძე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქ. სოფლის მეურნეობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში (კახეთის მასალების მიხედვით), ბათუმი, 1959 წ.

საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილია, გარდა ზემო დასახელებული შრომებისა, ნ. როდონაიასა[31] და გ. მარგიანის გამოკვლევები[32].

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების მეცნიერული ისტორიის შექმნა წარმოუდგენელია ისე, თუ შესწავლილი არ იქნება ბურჟუაზიული ქალაქების წარმოშობისა და განვითარების ისტორია. ამ მხრივ ქართველ ისტორიკოსებს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ გაწეული. ზემოთ უკვე დასახელებულ ალ. ფირცხალაიშვილისა და შ. ჩხეტიას შრომებთან ერთად სპეციალურად აღნიშვნის ღირსია ვ. სიჭინავას გამოკვლევა ბათუმის შესახებ[33], ა. ბენდიანაშვილის გამოკვლევა თბილისის საქალაქო თვითმმართველობის შესახებ[34], გ. ნიკოლაიშვილის გამოკვლევა სამტრედიის შესახებ[35] და სხვა.

* * *

XIX საუკუნის საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია, სხვა საკითხებთან შედარებით, საფუძვლიანად არის შესწავლილი. საქართველოს ისტორიის ამ უბანზე სამკალიც უხვი იყო, მაგრამ არც მომკელი მოჰკლებია მას.

XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართვე-

---

[31] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა), თბილისი, 1961; მ ი ს ი ვ ე, მე-19 საუკუნის 70—80-იანი წლების თბილისის მრეწველობის ხასიათის საკითხისათვის (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. VI, 1961).

[32] გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ტყიბულის ქვანახშირის წარმოება XIX—XX სს. (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. VI, 1961).

[33] ვ. ს ი ჭ ი ნ ა ვ ა, ბათუმის ისტორიიდან (რუსეთის შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება 1878—1907 წწ.), ბათუმი, 1958.

[34] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875—1917 წწ., თბილისი, 1960.

[35] გ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ახალი ქალაქების წარმოქმნის ისტორიიდან ბურჟუაზიულ საქართველოში (ქალაქი სამტრედია 1870 — 1921 წწ.) ქუთაისი, 1957.

ლი მარქსისტების პირველი თაობის შრომები. ისტორიკოს-მკვლევართაგან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი და ფრიად ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული: ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, გ. გიორგაძეს, ს. ხუნდაძეს, ლ. გორგილაძეს, პ. რატიანს, კ. მეძველიას, ზ. შველიძეს და სხვ.

XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული[36]. მან თავისი მადლიანი კალმით არა ერთ სადაო საკითხს მოჰფინა მეცნიერული შუქი, რუსეთის პირველი რევოლუციის საკითხებსაც კი შეეხო და სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიიდან ქართველი ერის წარმოშობისა და აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას აშუქებს ს. ჯანაშია[37], ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიას აშუქებს გ. გიორგაძე[38]. გ. გიორგაძის წიგნი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, თავის დროზე დადებითი მოვლენა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ს. ხუნდაძე[39] მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლის, ნაროდნიკული მიმდინარეობისა და სოციალისტური მოძრაობის შესწავლის საქმეში, თუმცა მისი შრომები არ არიან ზოგიერთი შეცდომისაგან თავისუფალი.

საქართველოს XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთა („თერგდალეულთა") საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნება, მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყეს მისი შესწავლა-შეფასება, იგი ჯერ

---

[36] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб., 1906.

[37] ს. ჯანაშია, ქართველი ერის წარმოშობა ი. ბ. სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შესახებ (ს. გაზ. „Заря Востока" от 3 января 1945 г.); „გიორგი შერვაშიძე", 1946 (შესავალი წერილი).

[38] გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864—1905), თბილისი, 1928.

[39] ს. ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ორ ტომად. თბილისი 1929. მისივე, ქართული ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში და სხვ.

კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული, რის გამოც აზრთა დიდი სხვადასხვაობა კვლავ არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში „თერგდალეულთა" მოღვაწეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხველი, წინააღმდეგობრივ შეხედულებათა ჩამოყალიბება უმთავრესად განაპირობა სამოციანელთა შინაგანი წინააღმდეგობრივი ჰომენტების შემცველმა იდეურმა მემკვიდრეობამ, რაც მაშინდელი კლასობრივად დაუხვეწელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნაყოფია. ამიტომ კვლევა-ძიების დიალექტიკური მეთოდი ისტორიკოსის ხელში დიდად საიმედო არიადნას გრეხილია სამოციანელთა ნააზრევისა და მოღვაწეობის რთულ ლაბირინტში გზის გასაკვლევად. რევოლუციამდელი ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ბევრი წარმომადგენელი (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ნ. ხიზანიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ჟორდანია, ალ. ხახანაშვილი, კ. აბაშიძე, ა. ჯორჯაძე და სხვები), ვერ ფლობდა რა მეცნიერული კვლევა-ძიების დიალექტიკურ მეთოდს, ვერ გაერკვა „თერგდალეულთა" საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივ ბუნებაში. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკური მეთოდით შეიარაღებულმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ და ლიტერატურათმცოდნეობამ ნათელი მოჰფინა სამოციანელთა მემკვიდრეობის შეფასებაში ადრე სადაოდ ქცეულ მთელ რიგ საკითხებს, სამოციანელთა მემკვიდრეობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების გარკვევას. მაგრამ აქ, მთავარი და ძირითადი ჯერ კიდევ იწვევს დაფასა და კამათს. ამ დავამ სულ ცოტა სამი ძირითადი ეტაპი მაინც განვლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე. პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს პერიოდს მიმდინარე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან ოცდაათიანი წლების ნახევრამდე, ადგილი ჰქონდა სამოციანელთა მემკვიდრეობისადმი ვულგარიზატორულ, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლების ნახევრიდან ბოლო მოეღო სამოციანელთა მემკვიდრეობისადმი ვულგარიზატორულ-ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და დაიწყო ახალი, მეორე ეტაპი თერგდალეულთა, სამოციანელთა მემკვიდრეობის შეფასების საკითხში. იგი დაკავშირებულია ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი მკვლევარის სიმონ ხუნდაძის სახელთან.

მესამე, უკანასკნელი ეტაპი იწყება მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლებიდან. იგი აღინიშნა ქართველ სამოციანელთა იდეური მემკვიდრეობის შედარებით სწორ, მარქსისტულ-ლენინური შეფასების დამკვიდრებით.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის პირველ ეტაპზე (1921—1931 წწ.) გაბატონებულმა ვულგარულ-რაპულმა თვალსაზრისმა ხანგრძლივად შეაფერხა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის მეცნიერული ისტორიის შექმნა. ამ პერიოდის ისტორიკოს-მკვლევართა შორის ყველაზე უფრო გამოირჩევა ფ. მახარაძე თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით ქართული საზოგადოებრივი აზრის ისეთი წარმომადგენელთადმი, როგორიც იყვნენ თერგდალეულები. მან სამოციანელთა იდეური მემკვიდრეობის შეფასებაში დაუშვა სერიოზული შეცდომები[40].

ფ. მახარაძეს არასწორად ესმოდა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და გატარების ეპოქაში (1861—1905 წწ.) გლეხობისა და ბურჟუაზის როლი. ამით აიხსნება, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი იმათ, რომლებიც პრივილეგირებული კლასების წრიდან იყვნენ გამოსულნი, ის რეაქციონერებად და მონარქისტებად სთვლიდა[41]. გარდა ამისა, ფ. მახარაძე ვერ ხედავდა განსხვავებას ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს შორის, რის გამო დიდი ქართველი მწერლები და რევოლუციური დემოკრატები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და აგრეთვე მათი უახლოესი თანამებრძოლები მას ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად მიაჩნდა[42].

ფ. მახარაძისა და მისი სკოლის მკვლევართა შეხედულებებს 1921—1934 წლების პერიოდში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ იმ დროსაც იყვ-

---

[40] იხ. Н. Махарадзе, Ф. Е. Махарадзе, биографический очерк, Тб., 1960.

[41] იხ. მისი წერილი „მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში" რომელიც გამოქვეყნდა 1931 წელს და განმეორებით დაიბეჭდა 1932 წ. კრებულში „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში". (გვ. 38, 49).

[42] ი. ფ. მახარაძე, წერილები ნაციონალურ საკითხზე (თხზულებათა კრებული, ტ. IV, 1924).

ნენ საქართველოში მკვლევარები (კ. კაპანელი, ს. ხუნდაძე და სხვ.), რომლებიც არ იზიარებდნენ ფ. მახარაძის აშკარად შემცდარ თვალსაზრისს და ცდილობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე დაეყენებიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ცნობილი მკვლევარის სიმონ ხუნდაძის ნაშრომებმა, რომელთა დიდი ნაწილი მიეძღვნა რეფორმიანობის დემოკრატიის გამოჩენილ წარმომადგენელთა მოღვაწეობისა და აზროვნების შესწავლას.

1927 წელს გამოქვეყნდა ს. ხუნდაძის კაპიტალური ნაშრომები: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში" (ორ ტომად) და „ქართველი ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში", რომლებმაც უდავოდ წინ წასწიეს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმე.

ს. ხუნდაძემ თავის შრომებში საფუძვლიანად უარჰყო ის ვულგარულ-რაპული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვ.) რეაქციონერებად და მონარქისტებად იყვნენ მიჩნეულნი, და ჩამოაყალიბა ახალი კონცეფცია. ს. ხუნდაძის კონცეფციით იმ ეპოქაში, როდესაც დრომოჭმული ფეოდალური, ბატონყმური წყობილება ინგრევა და მის ნაცვლად ახალი, კაპიტალისტური წყობილება იმარჯვებს, პროგრესის მეთაური და ძველი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი ძალა არის აღმავალი კლასი—ბურჟუაზია, რომლის წარმომადგენლები (იდეოლოგები) დემოკრატები არიან. რაც შეეხება თავადაზნაურობას, ის ძველი წყობილების დამცველი რეაქციული ძალაა, მაგრამ მასში არის ერთი ნაწილი, რომელსაც ესმის ფეოდალური წყობილების დრომოჭმულობა და ცდილობს გარდაქმნას თავისი მეურნეობა კაპიტალისტურად, შეუგუოს იგი ახალ ბურჟუაზიულ ვითარებას, დაადგეს გაბურჟუების გზას. თავადაზნაურობის ეს პროგრესული ნაწილი მომხრეა ბატონყმობის მოსპობის, ოღონდ ქვეყნის განვითარების მესვეურობა კვლავ თავადაზნაურობას დარჩეს. ამის შესაბამისად ანტიბატონყმური იდეოლოგიის წარმომადგენლებიც, ს. ხუნდაძის აზრით, ორ ჯგუფად იყოფა: პროგრესული თავადაზნაურობის იდეოლოგებად —

ლიბერალებად და ბურჟუაზიის იდეოლოგებად — დემოკრატებად. პირველი ჯგუფის იდეოლოგად ს. ხუნდაძეს მიაჩნია ილია ჭავჭავაძე („პირველი დასი"), ხოლო მეორე ჯგუფის წარმომადგენლად გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე („მეორე დასი"). ორივე ეს ჯგუფი სამოციანი წლების დასაწყისში ერთიანი ფრონტით გამოდის ბატონყმობის წინააღმდეგ. მაგრამ 1869 წლიდან, როგორც ს. ხუნდაძე ფიქრობდა, „ი. ჭავჭავაძის და გ. წერეთლის სახით ერთი მეორეს დაუპირისპირდა თავადაზნაურობის ლიბერალური მსოფლმხედველობა და ბურჟუაზიის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი". ს. ხუნდაძის თვალსაზრისი საკმაოდ მწყობრი სისტემის სახით იყო გადმოცემული მის ძირითად შრომებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში ს. ხუნდაძისა და კ. კაპანელის[43] შემდეგ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის ახალგაზრდა წარმომადგენლებს — პ.

---

[43] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი. ქართული სელი ესთეტიკურ სახეებში. თბილისი, 1926. პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც ილია ჭავჭავაძე მიაკუთვნა რევოლუციონერ-დემოკრატთა ბანაკს იყო აწ განსვენებული პროფესორი კონსტანტინე კაპანელი. ეს გარემოება რატომღაც დიდხანს იყო მიჩქმალული ქართველი საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა მიერ. მას პირველად ყურადღება მიაქცია ვ. გაგოიძემ და სათანადო შეფასება მისცა მეცნიერის დამსახურებას. „...ილიას მსოფლმხედველობის კვლევა, — წერს ე. გაგოიძე. — ბევრ რამეში დღესაც ვერ გასცილებია იმას, რასაც ასე შესანიშნავად გამოთქვამდა ჯერ კიდევ 1926 წელს პროფ. კ. კაპანელი... მაშინ, როდესაც არამც თუ ვერ ბედავდნენ სიტყვას ილიას მსოფლმხედველობის რევოლუციური ხასიათის შესახებ, არამედ ილიას პროგრესულობაც ეკვს ქვეშ იყო დაყენებული, აი რას წერდა პროფ. კ. კაპანელი «იმ დროს (ე. ი 1858—1859 წწ. ვ. გ.). თვით რუსეთის ლიტერატურაში არა გვაქვს ჩვენ ისეთი გარკვეული რევოლუციურ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეები, როგორც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში"» მოყავს რა ილიას „აჩრდილიდან- ადგილი «მაშინ, მაშვრალო შენ განკაცდები» და ა. შ., აეტორი წერს «საკვირველია, რომ ამ სიტყვების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს აბრალებენ რეაქციონერობას; რა კაცს არ უნდა ყოფილიყო ილია კერძო ცხოვრებაში, ლიტერატურისათვის იგი წარმოადგენდა უდიდეს, უძლიერეს ღირებულებას სწორედ როგორც რევოლუციონერი». აქედან იგი აკეთებდა დასკვნას, რომ «ილია ჭავჭავაძე საქართველოში შრომის, სიმართლისა და რევოლუციის პირველი მოძღვარიაო»" (იხ. ვ. გ ა გ ო ი ძ ე. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1962, გვ. 39—40).

რატიანს, ლ. გორგილაძეს, ა. კიკვიძეს, გ. ზაქარიაძეს[44], ვ. გაგოიძეს და სხვ.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში უნდა აღინიშნოს პ. რატიანის ღვაწლი. მან ორი ათეული წლის მანძილზე რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა აღნიშნულ საკითხს. უკანასკნელად, თავისი ხანგრძლივი მუშაობის შედეგები შეაჯამა, რუსულ ენაზე მოსკოვში 1958 წელს გამოცემულ წიგნში: „Илья Чавчавадзе, философские и социально-политические воззрения" და „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან" (1962 წ.), ამათ გარდა პ. რატიანმა რამდენიმე შრომა მიუძღვნა XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზრის ისტორიას, კერძოდ კი თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გარკვევას. იგი ამ საკითხის უფრო სისტემატური სახით გაშუქებას ცდილობს 1958 და 1962 წლებში გამოცემულ „საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული მოვლენების შეფასების, კერძოდ კი 60-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის კლასობრივი არსის გაგებას სახელმძღვანელოში საფუძვლად უდევს თვალსაზრისი, რომელსაც ძირითადად თავის მონოგრაფიებში ავითარებდა პ. რატიანი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, რომ დასახელებულ სახელმძღვანელოებში დაძლეულ იქნა როგორც ფ. მახარაძის, ისე ს. ხუნდაძის ზოგიერთი ისტორიულ-თეორიული ხასიათის შეცდომა.

პ. რატიანის შეხედულებით ი. ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამებრძოლნი იყვნენ არა თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის; არამედ მშრომელი ხალხის, პირველ რიგში, გლეხობის იდეოლოგები; რომ სამოციანი წლების დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში იყო მთელი რუსეთის იმპერიის საერთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილი, ხოლო ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვა თერგდალეულები იყვნენ ამ მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი და, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი სა-

---

44 გ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბილისი, 1955.

ქართველოში; რომ სწორედ ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები წარმოადგენდნენ იმ დროშას, რომელიც თერგდალეულებმა აღმართეს. დახავსებული ფეოდალური ურთიერთობის და მისი დამცველების წინააღმდეგ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში; რომ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა განმათავისუფლებელ -იდეებს ჩვენში შეუერთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მთავარი ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე[45].

ქართული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არსებობს სხვა თვალსაზრისიც ქართველ სამოციანელთა იდეოლოგიის კლასობრივი ბუნებისა და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. ძირითადად ამ თვალსაზრისს ავითარებენ თავიანთ შრომებში ა. კიკვიძე[46], ა. ქუთელია[47], ლ. გორგილაძე[48], ამ სტრიქონების ავტორი[49] და სხვ. მათი აზრით ქართველი თერგდალეულების (პირველი -და მეორე დასის) მთელი ლიტერატურულ-მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა ობიექტურად ემსახურებოდა საქართველოს ბურჟუაზიულ განვითარებას. ისინი იბრძოდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ამ იდეის განხორციელება, რუსი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ნაციონალიზმის ნიშანწყალიც.არ იყო. ეს მოძრაობა მიმართული იყო ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი ხელს უწყობდა ქართველი ხალხის ერად ფორმირებას და მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის დარაზმვას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბა-

---

[45] იხ. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", № 22, 1961 წ. 26 მაისი.

[46] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს., ნაწ. II, თბილისი, 1959.

[47] ა. ქუთელია, ილია ჭავჭავაძე — რევოლუციონერ-დემოკრატი (იხ. ჟურ. „მნათობი", № 9, 1954 წ.), მისივე, Общественно политическая и философская мысль в Грузии (см. „Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР", т. II, Москва, 1956).

[48] ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1961.

[49] ი. კაჭარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 1959.

ტონყმობისა და შემდეგ, მისი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამდენად „თერგდალეულთა“ მიზანი იყო: თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული წყობილების დამყარება. მავრამ დემოკრატიული წყობილება, იგულისხმება უნდა ყოფილიყო მხოლოდ ბურჟუაზიული. სხვა საზოგადოებრივი წყობილების განხორციელების სურვილი „თერგდალეულთა“ პროგრამიდან არ სჩანდა და ისტორიულადაც სხვა რამ შეუძლებელიც იყო. ასეთი იყო მათი უახლოესი ამოცანა და საბოლოო მიზანი, ე. ი. ისინი ობიექტურად ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ. თუ „ბურჟუაზიას“ გავიგებთ ისტორიულად, მაშინ მათი გამოცხადება ბურჟუაზიის იდეოლოგებად არ ნიშნავს მათთვის ჩრდილის მიყენებას. აქ იბადება მეორე საკითხი. საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით ფიქრობდნენ „თერგდალეულები“ ქართველი ხალხისათვის ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვებას? დასახელებულ ავტორთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ „თერგდალეულები“ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე იყვნენ რევოლუციონერები, ისინი ეროვნული და სოციალური კითხვის სამართლიანი გადაწყვეტის ერთადერთ საიმედო გზად რევოლუციას აღიარებდნენ. მაგრამ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებამ, სამოღვაწეო ასპარეზზე მუშათა კლასის გამოსვლამ და სხვა მოვლენებმა, თავის დროზე აღმავალი კლასის იდეოლოგები და რევოლუციონერები, „საერთო ნიადაგის თეორიის“ სანაპიროზე გამორიყა, მათ კლასთა თანამშრომლობის პროპაგანდა დაიწყეს და ხელი აიღეს ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე. ასეთი პოზიცია, მარქსიზმის სრული გამარჯვების პერიოდში (1872—1904 წწ.) ტიპიურია ლიბერალიზმისათვის. ამ ეპოქის ლიბერალები „...ჰქადაგებენ სოციალურ ზავს... კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღებას“[50]. ამიტომ დასახელებული ავტორების უმრავლესობა XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეების ძირითად ჯგუფს 80-იანი წლების შემდეგ თვლის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მედროშედ საქართველოში.

საქართველოში ნაროდნიკული მოძრაობის ისტორიის შესახებ პირველი სერიოზული გამოკვლევა ეკუთვნის ლ. გორგილაძეს[51]. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნაროდნიკული მოძრაობის ისტორია

---

[50] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 707.

[51] იხ. ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ნაროდნიკობა საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 32, 1947 წ.

საქართველოში მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების ბოლომდე არ გამხდარა სერიოზული მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი. ადრე ქართველი ინტელიგენციის ბურჟუაზულ-ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილი (არჩ. ჯორჯაძე და სხვ.) ხელაღებით უარყოფდა ქართველ ხალხისანთა მოღვაწეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. მათი თვალსაზრისი დიდხანს ინარჩუნებდა ძალას ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში, ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ქართველ ხალხისნებს არ ჰყავდათ ასე თუ ისე გამოჩენილი იდეოლოგი საქართველოში, რომ მათ ზოგიერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს (ჯაბადარს, კეზელს და სხვ.) საკმაო დოზით მოსდგამდა ეროვნული ნიჰილიზმი, სხვათა შორის, ამის გამოც მხედრდებოდნენ მათ წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, რომ ქართველი ხალხისნები, ისე როგორც რუსი ხალხისნები, უარყოფდნენ საქართველოს კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობას, რის გამოც ქართველ სამოციანელებს აშკარა იერიში მიჰქონდათ მათ წინააღმდეგ და, ბოლოს, ქართველი ხალხისნები არსებული რეჟიმის გლეხური რევოლუციური გზით დამხობის თვალსაზრისს იზიარებდნენ, ამიტომაც უპირისპირდებოდნენ მათ ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ისინი ქართველ ხალხისნებს „რუსის უკუდო რევოლუციონერებს" უწოდებდნენ[52]. ყოველივე ამის გამო დიდბანს იჩქმალებოდა ქართველ ხალხისანთა მოღვაწეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრიდან გამოსულ მკვლევართა მიერ.

საქართველოში ხალხისნური მოძრაობის ისტორიას და, საერთოდ, XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის ცალკეულ საკითხებს რამდენიმე შრომა უძღვნა ზ. ლშავლიძემ[53]. მან დაადგინა, რომ საქართველოს ხალხისნური ორგანიზაციები სათანადო წესდებისა და პროგრამის მიხედვით მუშაობ-

---

[52] იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა", წიგნი I, თბილისი, 1935 წ. გვ. 511.

[53] ზ. მშველიძე, რევოლუციურ-ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, თბილისი, 1960; მისივე, ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში (იხ. თ.ს.უ. შრომები, ტ. 51, 1953); მიხეევ, Сотрудничество русских и грузинских революционных народни-

დნენ, რომ ისინი 70—80-იან წლებში იდეურად და ორგანიზაციულად მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ზ. შველიძის გამოკვლევიდან სათანადოდ არ სჩანს ქართველი ნაროდნიკები რუსული ნაროდნიკობის თუ რომელ მიმდინარეობასთან უფრო იყვნენ დაკავშირებულნი. მიუხედავად ამისა ზ. შველიძის გამოკვლევებმა უდაოდ წინ წასწიეს ნაროდნიკული მოძრაობის ისტორიის კვლევის საქმე საქართველოში.

XIX საუკუნის II ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას სწავლობენ ქართველი ეკონომისტებიც. მათ, უპირველესად ყოვლისა, აინტერესებთ ეკონომიური აზრის განვითარების ისტორია, მაგრამ თავიანთ კვლევაში საკითხთა უფრო ფართო წრეს მოიცავენ, ვიდრე ეკონომიური აზრის ისტორიის შესწავლა მოითხოვს. ქართველ ეკონომისტთაგან ამ მიმართულებით დიდს და ნაყოფიერ შრომას ეწევიან პ. გუგუშვილი, ვ. ბახტაძე[54], გ. მეგრელიშვილი[55], ე. ჩადუნელი[56] და სხვ.

საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას სწავლობენ ა. ქუთელია, ვ. გაგოიძე და სხვები. აღნიშნულ საკითხს ლიტერატურათმცოდნეებიდან სერიოზული გამოკვლევები მიუძღვნეს გ. აბზიანიძემ, გ. გაფრინდაშვილმა, ა. ნიკოლაძემ, ო. ლორთქიფანიძემ და სხვ.

ков в 70—86-их годов XIX века (см. жур. „Вопросы истории", 1957, № 12); მისივე, რუსეთის რევოლუციურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა და ქართველი ახალგაზრდობა (იხ. თ. ს. უ. შრომები, ტ. 87, 1960).

[54] В. С. Бахтадзе, Из истории общественно экономических взглядов грузинских шестидесятников, Тбилиси, 1954; его же, Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли 60—90 годы XIX в.

[55] გ. მეგრელიშვილი, ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, ტ. I და II, 1959—1960 წ. გ. მეგრელიშვილის გამოკვლევის ზოგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანება აღნიშნულია ალ. ბრეგაძის, ი. ნორაკიძის და ვ. ჩადუნელის რეცენზიაში (იხ. „სახ. მეც. განა. მოამბე, № 2, 1962).

[56] ე. ჩადუნელი, ჟურნალ „იმედის" საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებანი, თბილისი, 1961.

* * *

XIX საუკუნის 90-იანი წლების ისტორიამ თავიდანვე მიიპყრო ჩვენი ქვეყნის ისტორიკოს-მკვლევართა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღება. ამ პერიოდის მეცნიერული შესწავლის საქმეში მეტად დიდი მეცნიერული, მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის კაპიტალურ გამოკვლევას „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". როგორც ცნობილია, საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ემყარება საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის დეტალურსა და ხანგრძლივ შესწავლას. ვ. ესაიაშვილმა სათანადო დოკუმენტებით დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ „ლენინს საქართველოს რეფორმის შემდეგდროინდელი ეკონომიური მდგომარეობის გაცნობა და შესწავლა დაუწყია ჯერ კიდევ 1893—1894 წლებში". ვ. ესაიაშვილმა აგრეთვე სამართლიანად მიაქცია ყურადღება ვ. ი. ლენინის იმ დებულებას, რომლითაც კავკასია და, მაშასადამე, საქართველოც დახასიათებულია როგორც მეფის რუსეთის „ერთგვარი კოლონია"[57].

ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა ცარიზმის სოციალური და ნაციონალური პოლიტიკა საქართველოში[58], რითაც მიუთითა იმ რეალურ საფუძვლებზე, რომლებმაც განაპირობეს სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება საქართველოში. ვ. ი. ლენინმა პირველმა აღნიშნა საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ის განსაკუთრებული პირობები[59], რომლებმაც აგრეთვე განაპირობეს საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მტკიცე ორგანიზაცია და მასობრივი ხასიათი, მედგარი შეტევა და თავგანწირული ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის დაკვირვებანი და დებულებანი საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქებაში წარმოადგენენ ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფუძემდებლურ დებულებებს, XIX და XX სა-

---

[57] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 101.

[58] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 101.

[59] სკკპ რეზოლუციებსა, და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 101, თბილისი, 1940.

უკუნის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ამოსავალ პრინციპებს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ი. ლენინის კავკასიელმა მოწაფეებმა საქართველოს XIX და XX საუკუნის ისტორიის არა ერთი საკვანძო საკითხი გააშუქეს მარქსისტულ-ლენინური თვალთახედვით.

ამრიგად, ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიას, შეიძლება ითქვას, უკვე გაწალდული ჰქონდა გზა საქართველოს XIX და XX საუკუნის მეცნიერული შესწავლისათვის, აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული ეპოქის ცალკეული საკითხების შესწავლის საქმეს ივ. ჯავახიშვილმაც შეაშველა თავისი მადლიანი ხელი, ცხადი გახდება დიდი მნიშვნელობა იმ მეცნიერული მემკვიდრეობისა, რომელიც დახვდა ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიას ჩვენში, საქართველოში.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვა-განვითარების, 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიისა და საერთოდ, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ძირითადი მომენტი 1910 წლამდე ჩათვლით, პირველად ივ. ჯავახიშვილის შრომებში პოულობენ მეტნაკლებად მართებულ გაშუქებას[60].

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების ისტორიამ თავიდანვე გამოიწვია დავა საქართველოს ისტორიისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა შორის. ივ. ჯავახიშვილმა სწორად აღნიშნა ის ფაქტი, რომ ქართველმა ნაროდნიკებმა ვერ გაიყოლიეს ხალხი და რომ ეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შესძლო; სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში ჩაისახა 1893 წლიდან, ე. ი. „მესამე დასის“ ჩამოყალიბებიდან. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვას ივ. ჯავახიშვილი უკავშირებს ქვეყნის შინაგან სოციალ-პოლიტიკურ პირობებს. არ განიხილავს მას, როგორც უცხო მოვლენას, ჩვენს სინამდვილეში ნიადაგს მოკლებულსა და ხელოვნურად გადმონერგილს[61].

---

[60] იხ. Энциклопедический словарь, Т-ва „Бр. А. и И. Гранат и К-о“ 7-ое изд., т. XVII, გვ. 224.

[61] იხ. იქვე, გვ. 225.

ა. ჯორჯაძის თვალსაზრისით, საქართველოში სოციალისტური თუ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, მარქსიზმი წაიმოიშვა მისთვის ყოველგვარი იდეური და ობიექტურ-ისტორიული პირობების არსებობის გარეშე. ა. ჯორჯაძე XIX საუკუნის სამოციანელთა მოღვაწეობაში მხოლოდ ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს ხედავდა, უარყოფდა მათ იდეურ მემკვიდრეობაში რევოლუციური ტრადიციის ელემენტებს[63].

ა. ჯორჯაძე, ეხებოდა რა საქართველოში სოციალისტური მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების საკითხებს, აღნიშნავდა: „მკითხველი შეცდება, თუ იფიქრებს, რომ სოციალიზმი მესამოცე წლებიდან იკეთებს ფესვს ჩვენს მწერლობაში და რომ მასში უნდა ვეძებოთ მიზეზი ლიბერალ და დემოკრატ მესამოციანთა დამარცხებისა. ნამდვილად კი სოციალისტური აზროვნება და მიმართულება ჩვენს მწერლობაში ოთხმოცდაათიან წლებამდე ანგარიშში ჩასათვალავ მოვლენად არ ჩაითვლება. არც ნ. ნიკოლაძე, არც ვინმე სხვა ამ მიმართულების ბელადად არ გამხდარა“[64].

უფრო ცუდი შეხედულების იყო სამოციანელთა შესახებ „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთა ნ. ჟორდანიას მეთაურობით. ნ. ჟორდანია და მენშევიკები მათში ხედავდნენ რეტროგრადებს, თავადაზნაურობის იდეოლოგებს[65]. ამ საკთურს ვერ ასცდა ბოლშევიკი ფ. მახარაძეც[66]. ა. ჯორჯაძის აღნიშნული თვალსაზრისი გააკრიტიკა საქართველოს XIX საუკუნისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ს. ხუნდაძემ, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მეორე უკიდურესობაში გადავარდა.

ს. ხუნდაძე, აკრიტიკებდა რა ა. ჯორჯაძეს, წერდა: „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა 60-იანი წლებიდან არ იქნება სრული, თუ ამ ისტორიიდან ამოვშლით იმ ნაკადს, რომელიც ნაროდნიკული და სოციალისტური მიმდინარეობის სახით შემომდინარეობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ამ სოციალისტურ-ნაროდნიკულმა ნაკადმა ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმ-

---

[63] ა. ჯორჯაძე, თხზ. ტ. V, 1914, გვ. 180—181.

[64] იქვე.

[65] ნ. ჟორდანია, ქართული პრესა, 1900 წ.; „საქართველოს ს.-დემ. მუშ. პარტიის მოკლე ისტორია“, პარიზი, 1933 წ. და ა. შ.

[66] ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, ქუთაისი, 1904.

დინარეობასთან ერთად გააპოხიერა ჩვენი აზროვნება... ჩვენში მარქსიზმი 90-იან წლებში ქართველი ნაროდნიკების ბეჭებზე აღმოცენდა: 90-იანი წლების ქართული მარქსიზმი ისტორიულად და ლოგიკურად მოჰყვა 70—80-იანი წლების ქართველი ნაროდნიკების ნაყოფიერ რევოლუციონურ მუშაობას. მუშა ხელოსნებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. ისე, როგორც რუსეთში 80-იან წლებში, ჩვენშიაც მარქსიზმი 90-იან წლებში ნაროდნიკ-სოციალისტების მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე აღმოცენდა. ეს ისტორიული ფაქტია"[67].

მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობის საკითხში ისტორიული და პრინციპული ხასიათის შეცდომები დაუშვა ფ. მახარაძემ[68]. მან უყურადღებოდ დატოვა თავის ისტორიულ წერილებსა და მოგონებებში ის იდეური ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში, ჯერ კიდევ მისი ჩამოყალიბების პროცესში, რევოლუციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის.

ა. ჯორჯაძისა და ს. ხუნდაძის შეხედულებანი საქართველოში სოციალისტური მოძრაობისა და მარქსიზმის გავრცელების საკითხებზე მკვეთრ წინააღმდეგობას წააწყდა საბჭოთა ისტორიკოსების მხრივ, ჯერ კიდევ მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში, თუმცა იგი დინჯ მეცნიერულ არგუმენტაციის ნაცვლად კმაყოფილდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური კვალიფიკაციით[69]. მაგრამ 40—50-იან წლებში, წამოიზარდა რა მარქსისტ-ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობა, არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება წარსულის მემკვიდრეობისადმი. ამას, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო ძველი სკოლის კადრებისა და ინტელიგენციისადმი პარტიის ლენინური პოლიტიკის მტკიცედ გატარებამ, რაც ხშირად მახინჯდებოდა ინტელიგენციისადმი „რაპპული" და მახაევური დამოკიდებულების რეციდივებით.

---

[67] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1, 1927, გვ. 6.

[68] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში (1893—1903 წწ.), 1957, გვ. 8 (სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თ.ს.ე. ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა).

[69] იხ. „ ძ ვ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ა ა ხ ა ლ ფ ო რ მ ე ბ შ ი" (სტატიების კრებული ამოკრეფილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან, თბილისი, 1932).

ქართველი ისტორიკოსებისა და ეკონომისტების ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დღეს, თითქმის ყველა ძირითადი საკითხი სოციალისტური მოძრაობისა და მარქსიზმის გავრცელების ისტორიიდან მეცნიერულად შესწავლილია.

ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ახალ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით უარყო ა. ჯორჯაძისა და ს. ხუნდაძის ცალმხრივი და მცდარი მოსაზრებანი საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალისტური მოძრაობის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარეს პ. გუგუშვილმა, ლ. გორგილაძემ და სხვებმა.

პ. გუგუშვილმა საქართველოში მარქსიზმის ისტორიის საკითხებს მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა[70]. იგი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში" 1943 წელს, შემდეგ კი სამჯერ გამოიცა ცალკე წიგნად. მას დიდი ინტერესით გამოეხმაურა ქართველ ისტორიკოსთა, ეკონომისტთა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევართა ფართო წრე. პ. გუგუშვილის აღნიშნული ნაშრომი გამოირჩევა მდიდარი ფაქტობრივი მასალითა და მრავალი გონებამახვილური დაკვირვებით, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მარქსიზმის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და განმტკიცების ისტორიის პრობლემაზე ხანგრძლივად მუშაობს ლ. გორგილაძე, მას მარქსიზმის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ქართულ პერიოდიკაში მრავალი ნარკვევი. ლ. გორგილაძემ 1957 წლისათვის დაამთავრა ფუნდამენტალური გამოკვლევა „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან", რომელიც გამოქვეყნდა 1961 წელს[71].

საქართველოში მარქსიზმის ისტორიის საკითხებზე ლ. გორგილაძის შრომები წარმოადგენენ ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგს და ნათელს ჰფენენ მთელ რიგ, ადრე სადაოდ ქცეულ საკითხებს საქართველოში მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიული

---

[70] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე, თბილისი, 1956.

[71] იგი შემოკლებული სახით ორჯერ გამოიცა ჭართულად, სათაურით: „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში".

მოძრაობის ისტორიიდან. ლ. გორგილაძეს მიუღებლად მიაჩნია საქართველოში მარქსისტული მოძრაობის ის „სქემა“[72], რომელიც საყოველთაოდ აღიარებული იყო ადრე ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში. აღნიშნული „სქემის“ საფუძვლად ლ. გორგილაძეს მიაჩნია 1904 წელს მენშევიკური „ისკრის“ № 60 გამოქვეყნებული წერილი „გაზეთ „კვალის“ დახურვა (ფურცელი სოც.-დემ. მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში)“, რაც მისი აზრით დამახინჯებულად წარმოგვიდგენს სოციალ-დემოკრატიის ისტორიას საქართველოში. გარდა ამისა ლ. გორგილაძე აღნიშნულ „სქემაში“ ხედავს შინაგან წინააღმდეგობასაც და ყოველივე ეს საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ უარყოს არსებული „სქემა“ ან მოსაზრება და შესცვალოს იგი ახალი, საკუთარი მოსაზრებით. იგი მიუთითებს რა ამ „სქემის“ შინაგან წინააღმდეგობაზე, წერს:

„ჯერ—ერთი. ლეგალურ მარქსისტებს შეეძლოთ განა მარქსიზმი შემოეტანათ? ორში ერთი: ან ისინი არ იყვნენ ლეგალური მარქსისტები, მაშინ მათ შეეძლოთ მარქსიზმი შემოეტანათ, ან ისინი ლეგალური მარქსისტები იყვნენ, მაგრამ მაშინ მარქსიზმის შემომტანი ვერ იქნებოდნენ.

მეორე. „მესამე დასში“ რევოლუციური უმცირესობა 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა, მაშინ ცხადია, რომ მანამდე „მესამე დასი“ არსებობდა მხოლოდ ე. წ. ლეგალურ-მარქსისტული უმრავლესობის სახით, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ კითხვა ისმის: „მესამე დასი“ პირველი მარქსისტული ორგანიზაცია როგორღა იყო?

მესამე. ამ სქემით მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე „მესამე დასის“ ლეგალურ-მარქსისტულ უმრავლესობაში შედიან... იგივე ითქმის მ. ბოჭორიძეზე, ზ. ჩოდრიშვილზე და სხვ.....

მეოთხე. განა შეიძლება ს. ჯიბლაძე ლეგალურ მარქსისტად გამოვაცხადოთ, მაშინ როცა ი. სტალინს იგი თავის ერთ-ერთ მასწავ-

[72] მენშევიკური „ისკრის“ გავლენით შემუშავებული ოფიციალური სქემა, ლ. გორგილაძის აზრით, მარქსისტული მოძრაობის წარმოშობის ისტორიას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: მარქსიზმი საქართველოში შემოიტანეს მეფის ძალაურობის მიერ რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსახლებულ რუს სოციალ-დემოკრატებმა და საზღვარგარეთ ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა. პირველი მარქსისტული ორგანიზაცია საქართველოში იყო „მესამე დასი“, რომელიც 1893 წ. შეიქმნა; მის უმრავლესობას ლეგალური მარქსისტები შეადგენდნენ 1898 წ. „მესამე დასში“ ჩაისახა და ჩამოყალიბდა „უმცირესობა“-რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი.

ტებლად მიაჩნდა. ხოლო ა. წულუკიძემ „მესამე დასის“ პროგრამის ჯიბლაძისებურ განსაზღვრას „გონიერი სიტყვა“ უწოდა და მასში საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო პროგრამა დაინახა.

დასასრულ, მეხუთე. თუ „მესამე დასი“ 1898 წლამდე ლეგალურ-მარქსისტული ორგანიზაცია იყო, მაშინ უაზრობა გამოდის: თითქოს წულუკიძე, ლ. კეცხოველი და ი. სტალინი ლეგალურ-მარქსისტულ ორგანიზაციაში შესულან.

ზემო თქმულიდან, ჩვენის აზრით — დაასკვნის ლ. გორგილაძე, — ცხადია რომ ჩვენში გაბატონებული სქემა საქართველოში მარქსისტული მოძრაობის წარმოშობის შესახებ ხელოვნურია და ყალბი. იგი გადაკრით უარყოფილ უნდა იქნას“[73].

მარქსიზმის გავრცელება საქართველოში, ლ. გორგილაძის აზრით, იწყება გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მოღვაწეობიდან. და არ არსებობს არავითარი მეორე გზა მისი გავრცელებისათვის საქართველოში. „მესამე დასი“ არ იდგა „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე, იგი წარმოადგენდა პირველ მარქსისტულ ორგანიზაციას საქართველოში, მაგრამ მასში თავიდანვე შეიმჩნეოდა ოპორტუნისტული და რევოლუციური ფრთა; ეს უკანასკნელი საბოლოოდ ჩამოყალიბდა მარქსისტულ-ლენინურ დასად მის შემდეგ, რაც რევოლუციურ მარქსისტთა პირველ თაობას (მ. ცხაკაია, ფ. .მახარაძე და სხვ.) შეუერთდა რევოლუციურ მარქსისტთა მეორე თაობა (ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი), მოწინავე მუშა სოციალ-დემოკრატებთან (ზ. ჩოდრიშვილი, მ. პოპორიძე და სხვ.) ერთად, რომლებიც რუსი სოციალ-დემოკრატების საშუალებით უკვე დაკავშირებულები იყვნენ ვ. ი. ლენინის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირთან“[74].

საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩასახვისა და განვითარების ისტორიას

---

[73] ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში, 1957 წ. (დისერტაცია, ხელნაწერი), გვ. 12—13.

[74] Л. Е. Горгиладзе, К истории марксизма в Грузии (1893—1903 гг.), Автореферат, Тбилиси, 1957, гг. 17—29.

არა ერთი ისტორიკოსი შეეხო[75], მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გავარჩევთ მხოლოდ იმ ავტორთა შრომებს, სადაც სპეციალურადაა განხილული აღნიშნული საკითხი, ან კიდეე, წარმოადგენს რომელიმე ახალი მომენტისადმი ყურადღების გამახვილებას და შეაქვს მნიშვნელოვანი კორექტივი საკითხის გაშუქების თანამედროვე მდგომარეობაში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ნ. სტურუას ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხს[76].

ნ. სტურუას ნაშრომში გაშუქებულია ისტორია ამიერკავკასიელ ლენინელთა ბრძოლისა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული, ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და მისი განმტკიცებისათვის. ნ. სტურუას აზრით, საქართველოში მარქსიზმის იდეის გამავრცელებელნი არ ყოფილან „ლეგალური მარქსისტები", ისინი (ნ. ჟორდანია და სხვ.) საქართველოში ავრცელებდნენ ოპორტუნიზმს და ეწეოდნენ მარქსიზმის რევიზიას. ნ. სტურუას, უპირველეს ყოვლისა, რუსი სოციალ-დემოკრატების დამსახურებად მიაჩნია საქართველოში და ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელება და პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

ნ. სტურუას თავის ნაშრომში ნაჩვენები აქვს, რომ ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობა ვითარდებოდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გავლენით, როგორც მისი, საერთო სარუ-

---

[75] ამ საკითხს ეხება თავიანთ შრომებში ქართველ ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა. მათ შორის აღსანიშნავია: გ. ხაჯაპურიძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955; ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1955; გ. ბრეგაძე, ი. კაკარაია, მ. ცერცვაძე, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, თბილისი, 1955; Н. Чахвашвили, Рабочее революционное движение в Грузии (1870—1904 гг.), Тбилиси, 1958; ს. ბერიძე, მიხა ცხაკაია (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1959; З. Гегешидзе, Ладо Кецховели (биографический очерк), Москва, 1959; მისივე, Георгий Телия (биографический очерк), Тбилиси, 1958 და სხვ.

[76] Н. И. Стуруа, Из истории борьбы за создание и упрочение большевистских организаций Закавказья 1893—1904 гг.), Тбилиси, 1956.

სეთო მოძრაობის შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, ნ. სტურუამ შესძლო ეჩვენებინა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების კავშირი რუსეთის ისეთი პროლეტარული ცენტრების პარტიულ ორგანიზაციებთან, როგორიც იყვნენ პეტერბურგი, მოსკოვი, ოდესა, ხარკოვი, სამარა, და სხვა და, ბოლოს, რაც მთავარია, გვიჩვენა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისადმი ლენინური ხელმძღვანელობა, ის დიდი ზრუნვა და დახმარება, რომელსაც უწევდა ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

ნ. სტურუა არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „მესამე დასმა" იარსება ამიერკავკასიის ბოლშევიკური კომიტეტების 1904 წლის ნოემბრის კონფერენციამდე. ნ. სტურუას აზრით, „მესამე დასი", როგორც მარქსისტული ორგანიზაცია არ არსებობდა 1901—1902 წლიდან, როდესაც იგი დასტოვეს რევოლუციური ფრთის წარმომადგენლებმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის მეცნიერულად დამუშავების საქმეში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა (ლ. ებანოიძე, კ. ივანიძე, ი. კაკარავა, ა. კიკვიძე, ნ. მახარაძე, ვ. ჟვანია, გ. სიხარულიძე, ნ. ჩახვაშვილი, ს. ჩხარტიშვილი, გ. ხაჭაპურიძე), რომელმაც მოამზადა და 1957 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I (1883—1921 წლები)".

ამ წიგნმა მიიპყრო მკითხველი საზოგადოებისა და სპეციალისტების ყურადღება. მას ფართოდ გამოეხმაურა პრესა — ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო, როგორც პარტიული, ისე სამეცნიერო ორგანოები. წიგნმა საერთოდ დადებითი შეფასება მიიღო[77].

---

[77] Г. Брегадзе, П. Тавхелидзе, С. Симонгулов, Ценный труд по истории Комунистической партии Грузии (см. газ. „Заря Востока" от 23 января, 1958 г.); ნ. სტურუა, შემოქმედებითად დავამუშაოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1958 წ., 24 იანვარი); А. В. Лукашов, Н. И. Стуруа, Ш. И Чивадзе, Ценный научный труд (см. журн. „Вопросы истории КПСС", 1957 г., № 4); М. Церцвадзе, А. Мельчин, Очерки истории Комунистической партии Грузии, часть I (1893—1921 гг.) (см. журн. „Комунист", 1958 г., № 2).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახებ შექმნილი ეს წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ მას აწერია „ნარკვევები", წარმოადგენს განმაზოგადებელ ნაშრომს. მასში თავმოყრილი და განზოგადებულია ქართული ისტორიოგრაფიის ყველა საუკეთესო მონაპოვარი, რაც კი შეუქმნია მას მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე.

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" პირველი თავი მიძღვნილია ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი — „მარქსიზმის გავრცელება და პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა საქართველოში (1883—1900 წწ.)" ამ თავის ავტორია ნ. მახარაძე.

ნ. მახარაძე აღნიშნავს, რომ „მესამე დასი" იყო მარქსისტული ორგანიზაცია და რომ მასში თავიდანვე გამოირჩეოდა რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთა. ამავე დროს ნ. მახარაძე „მესამე დასს" არ თვლის საქართველოში ერთადერთ მარქსისტულ ორგანიზაციად, მისი აზრით, „მესამე დასისაგან" დამოუკიდებლად და მის პარალელურად არსებობდნენ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს რუს რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებმა. ნ. მახარაძე „მესამე დასს" აკავშირებს გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფთან, როდესაც აღნიშნავს მის დიდ გავლენას „მესამე დასზე".

ნ. მახარაძე სპეციალურად არ აყენებს საკითხს საქართველოში მარქსიზმის გავრცელების გზებზე, მაგრამ ნაშრომის საერთო შინაარსიდან სჩანს, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოში მარქსიზმის გავრცელების ერთს — რუსეთის გზას, თუმცა დასავლეთ ევროპიდან მარქსისტული ლიტერატურის შემოტანის ფაქტსაც აღნიშნავს[78].

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საკითხს შეეხო ვ. ესაიაშვილიც. მან არსებითად გაიზიარა საქართველოში მარქსიზმის გავრცელების შესახებ ლ. გორგილაძის, ნ. მახარაძისა და სხვათა თვალსაზრისი. იგი წერს: „როცა ლაპარაკია საქართველოში მარქსიზმის შემოტანაზე, უნდა ვგულისხმობდეთ მარქსიზმის შემოტანას.

---

[78] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. ნაწილი I (1883—1921 წლები)", თბილისი, 1957, გვ. 32, 34—35, 42. 44, 50.

საერთოდ რუსეთში, და რადგანაც რუსეთში მარქსიზმის პირველი დროშა აღმართა გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა — ეს მარქსიზმის გავრცელების საერთო სათავე იყო და არავითარი ახალი გზების ძიება საჭირო არ არის“[79].

საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ისტორიის პერიოდიზაციაზე გაამახვილეს ყურადღება ლ. გორგილაძემ, ვ. ესაიაშვილმა და ლ. ებანოიძემ. მათი აზრით მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში იყოფა ორ პერიოდად. პირველი პერიოდი გრძელდება ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ დაარსებამდე, მის შემდეგ კი იწყება მეორე პერიოდი — ლენინური ეტაპი, ან როგორც ლ. გორგილაძე უწოდებს, „მარქსისტულ-ლენინური დასის“ მოღვაწეობის პერიოდი. „საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მეორე პერიოდი, მაღალი ეტაპი, — აღნიშნავს ლ. ებანოიძე, — განუყრელად არის დაკავშირებული რუსეთში კომუნისტური პარტიის ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან და ტიტანურ მოღვაწეობასთან...

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ წარმოადგენდა დიად მაგალითს, რომლის მიხედვით წარიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მშენებლობა საქართველოში. „ბრძოლის კავშირი“ სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა საქართველოში შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს“[80].

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ შესწავლილად და დასაბუთებულად გამოიყურება საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობისათვის არსებული ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიური პირობები. მაგრამ ასევე არ შეიძლება ითქვას მისი წარმოშობისათვის საჭირო იდეური გარემოს შესახებ.

---

[79] ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924), თბილისი, 1959, გვ. 35—36.

[80] ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959, გვ. 42—43.

რ. ჯორჯაძემ, „მესამე დასის“ ოპორტუნისტულმა ფრთამ ნ. ჟორდანიას მეთაურობით და ნაწილობრივ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებიდან ფ. მახარაძემ უარყვეს მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის რაიმე იდეური კავშირი წინამორბედ ქართული საზოგადოებრივი აზრის მოწინავე, პროგრესულ ტრადიციებთან. ს. ხუნდაძემ უარყო სამოციანელთა ტრადიციებთან მარქსიზმის თუ მარქსისტული მოძრაობის კავშირი, მაგრამ იგი იმდენად მჭიდროდ დაუკავშირა ნაროდნიკულ იდეოლოგიასა და ორგანიზაციას, რომ მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატია „ნაროდნიკობის ბეჭებზე აღმოცენებულად“ გამოაცხადა.

ამ საკითხის მეცნიერული გადაწყვეტისადმი ამახვილებენ თავიანთ ყურადღებას ლ. გორგილაძე, პ. რატიანი და სხვები. ლ. გორგილაძე აღნიშნავს რომ „ქართველ რევოლუციურმა მარქსისტებმა შეითვისეს სამოციანელთა საუკეთესო ტრადიციები“[81]. დაახლოებით ასეთივე აზრს ავითარებს პ. რატიანიც[82].

ნ. მახარაძემ აღნიშნა ის დიდი გავლენა, რომელიც მოახდინეს ქართველი მარქსისტების პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე რუსეთის რევოლუციონერ დემოკრატებმა[83], მაგრამ რატომღაც არაფერი თქვა ქართველ სამოციანელთა მემკვიდრეობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციების იმ დიდი მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა მას საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. ამ საკითხს უშუალოდ უკავშირდება მეორე საკითხიც, კერძოდ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ერთხელ მაინც არ გამოსულან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, თუ სახეში არ მივიღებთ ფ. მახარაძის ზოგიერთ მემარცხენულ ხასიათის შეცდომას. ორივე აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად შესწავლილ-გაშუქებული, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს ამ საკითხებზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგებმა საყოველთაო აღიარება.

---

[81] Л. Е. Горгиладзе, К истории марксизма в Грузии (1893—1903 гг.), Автореферат, Тбилиси, 1957, გვ. 33.

[82] П. Ратиани, Илья Чавчавадзе, философские и социально-политические воззрения, М., 1958.

[83] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I (1883—1921 წ.წ.)“, თბ., 1957, გვ. 44.

ქართველი ისტორიკოსების მიერ დღემდე ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიება, არ შეიძლება ითქვას, მთლად სწორი გზით მიიმართებოდეს, ამიტომაც მათი კვლევის შედეგები ხშირად შინაგან წინააღმდეგობათა შემცველია. ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხის მკვლევარმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ „საქართველოში მარქსიზმის დანერგვისა და გავრცელებისათვის აუცილებელი იყო ლიბერალური ნაროდნიკების, „ივერია"-„დროების" მოღვაწეთა საფუძვლიანი გაკრიტიკება, „60-იანი წლების მემკვიდრეობის" სუსტი მხარეების მხილება და პროგრესული რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების დაცვა რეაქციულ-ბურჟუაზიული და ლიბერალური წარყვნისაგან. მაგრამ „მესამე დასის" ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენლები, საერთოდ სამოციანი წლების მოღვაწეთა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის ცალმხრივი და ტენდენციური კრიტიკით დაკმაყოფილდნენ. მათ უკუაგდეს სამოციანელთა მთელი მემკვიდრეობა ამდენად ნ. ჟორდანიასა და სხვათა ცალმხრივი და ტენდენციური გალაშქრება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საზიანო იყო განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მწიფდებოდა ნამდვილად სახალხო რევოლუცია, იგი ხელს უშლიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაკადის შეერთებას პროლეტარიატისა და ყველა დემოკრატიული ძალების ბრძოლის მძლავრ ნაკადთან, ხელს უშლიდა საერთო-სახალხო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აზვირთებას საქართველოში.

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე მთავარი იყო ბრძოლა არა ილია ჭავჭავაძისა და სხვა სამოციანელთა წინააღმდეგ, რომლებმაც 80-იანი წლებიდან ფაქტიურად დატოვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ფრონტი და „ახალი დასის" მოლოდინში იყვნენ, არამედ მათი ეპიგონების წინააღმდეგ, რომლებმაც სამოციანელთა მემკვიდრეობის სუსტი მხარეები კვადრატში აიყვანეს, რითაც წარყვნეს სამოციანელთა სახელოვანი ტრადიციები. სამოციანელთა ეპიგონებმა „თერგდალეულთა" რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები „შინაგნად დამპალი ლიბერალიზმით" და „საერთო ნიადაგის" თეორიის პროპაგანდით შეცვალეს, ხოლო დიადი ეროვ-

ნულ-განმათავისუფლებელი იდეები — ნაციონალიზმის პროპაგანდით.

„60-იანი წლების მემკვიდრეობის“ რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების ერთადერთი თანმიმდევარი და ერთგული დამცველები იყვნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, ვიდრე სხვები საქართველოში. ამიტომ სრულიად არ არის შემთხვევითი ის რომ რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს არა სამოციანელთა წინააღმდეგ, არამედ მათი ეპიგონების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის, აგრეთვე ქართული კულტურისა და განათლების ისტორიის საკითხების შესასწავლად დიდი და ნაყოფიერი შრომა აქვთ გაწეული ისტორიკოსებს— გ. თავზიშვილს, ტრ. ხუნდაძეს, ნ. პაპავას და სხვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ისტორიული ხასიათის გამოკვლევებთან ერთად ქვეყნდება ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ძრავალი მეცნიერული გამოკვლევა, რომლებშიც ლიტერატურის საკითხებთან ერთად შუქდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების ისტორიის აქტუალური საკითხები.

ამრიგად, ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცალკეული პრობლემების მონოგრაფიული შესწავლის გზით მოამზადა ნიადაგი საქართველოს XIX საუკუნის, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გაშალა მუშაობა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დასაწერად. ადრე, 1941 წელს აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსული სახელმძღვანელო, „რომელმაც დადებითი როლი შეასრულა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, უკვე ველარ უპასუხებდა თანამედროვე მოთხოვნილებას. ასე დაიბადა გადაუდებელი საჭიროება ახალი სახელმძღვანელოს შექმნისა, რომელშიაც შეძლებისამებრ აისახებოდა საბჭოური ისტორიოგრაფიის ყველა უკანასკნელი მიღწევა“[14]. ივ. ჯავახიშვილის სახე-

[14] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მე-

ლობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა კოლექტივმა (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი) აკად. ნ. ა. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით გაართვა თავი საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შექმნის საქმეს. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო მაკეტის სახით გამოქვეყნდა 1956 წელს, ხოლო საჯარო განხილვის შედეგად მიღებულ შენიშვნათა გათვალისწინების შემდეგ გამოქვეყნდა 1958 წელს. ამ წიგნში სისტემატური კურსის სახით გადმოცემულია საქართველოს მთელი ისტორია, XIX საუკუნის ისტორიის ჩათვლით, ვიდრე XX საუკუნის დასაწყისამდე.

„საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელომ დადებითი შეფასება მიიღო ქართულსა და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჟურნალი „ვოპროსი ისტორიის" რეცენზენტი ამ სახელმძღვანელოს შესახებ წერდა:

«Следует признать что авторскому коллективу первого тома нового учебного пособия удалось в основном преодолеть недостатки старого учебника и дать ценный в научном отношении исторический труд, раскрывающий с марксистско-ленинских позиции историю грузинского народа и его упорную борьбу за независимость своей родины и сохранение своей многовековой культуры»[85].

ამ სახელმძღვანელოში, შეიძლება ითქვას, პირველად ჰპოვა ძირითადად სწორი და ამომწურავი გაშუქება საქართველოს XIX საუკუნის ისტორიამ. «Особенно широко и подробно изложена,— წერს ჟურ. „ვოპროსი ისტორიის" რეცენზენტი,—история Грузии XIX в., где большое внимание обращено на борьбу против колониального и национального гнета в царской России. На фоне колониальной политики царизма в книге раскрывается как разложение феодальных отношении, так и развитие в Грузии капитализма, образование буржуазной нации и возникновение рабочего движения»[86].

ლიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი — საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 3.

[85] Н. А. Смирнов, История Грузии, т. I (см. жур. „Вопросы истории", 1961, № 10. გვ. 144).

[86] იქვე, გვ. 145).

ამის შემდეგ უნდა აღინიშნოს ა. კიკვიძის ლექციების კურსი „საქართველოს ისტორია“ (XIX—XX სს.), რომლის პირველი ტომი გამოვიდა 1954 წელს, ხოლო მეორე—1959 წელს. ა. კიკვიძეს მეცნიერულად ახსნა და გააშუქა საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორია საქართველოში. მან ძირითადად სწორი კონცეფცია განავითარა კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების შესახებ საქართველოში. გარდა ამისა იგი ძირითადად სწორად აშუქებს XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა ისტორიას, კერძოდ, საქართველოში მარქსიზმის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას.

მიუხედავად აღნიშნული და სხვა დადებითი მომენტებისა, ა. კიკვიძის წიგნს გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც.

უპირველეს ყოვლისა, თვით სისტემისა და პერიოდიზაციის შესახებ. ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძვლად ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები, მისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი უნდა იქნას აღებული. ა. კიკვიძეს, საყოველთაოდ აღიარებულ ამ წესისათვის გვერდი აუვლია და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის საფუძვლად დაუდვია რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ათვისება. უდაოა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევარი წარმოადგენს საქართველოში რუსეთის მეფის ხელისუფლების პოლიტიკური განმტკიცების პერიოდს, ამავე საუკუნის მეორე ნახევარში კი ცარიზმი ახდენს საქართველოს ეკონომიურ ათვისებას, მაგრამ ეს ჯოდი გამოდგება ხალხის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძვლად. ავტორმა ვერ გაითვალისწინა ეს გარემოება, რასაც არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ემოქმედნა XIX საუკუნის ისტორიის კურსის სისტემაზე. ასე მაგალითად, XIX საუკუნის პირველი ნახევრის გადმოცემის დროს ავტორი ძირითადად და უმთავრესად კმაყოფილდება კავკასიის ომების აღწერით, საქართველოში აჯანყებებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებისა და მოვლენების დეტალური გადმოცემით. ქვეყნის საწარმოო ძალთა მდგომარეობა, ეკონომიური განვითარება, სამწუხაროდ, ავტორს ყურადღების გარეშე რჩება. ამ საკითხს ავტორი ყურადღე-

ბას აქცევს იმდენად, რამდენადაც იგი დასჭირდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარების საკითხის გასაშუქებლად.

ა. კიკვიძე არაერთგზის აღნიშნავს საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას, მაგრამ რატომღაც საჭირო სიცხადით ვერ გვიჩვენებს, რომ საქართველო მოექცა რუსეთის ისტორიული განვითარების ორბიტში, რომ XIX საუკუნის რუსეთის ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი ძალაშია საქართველოს მიმართაც. ამით შეიძლება ავხსნათ ა. კიკვიძის მიერ საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძვლად რუსეთისაგან განსხვავებული, მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი ნიშნების აღება.

რუსეთის XIX საუკუნის ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან". ვ .ი. ლენინი წერდა: „გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2. რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3. პროლეტარული—1895 წლიდან დღემდე"[87]. რუსეთის XIX საუკუნის ისტორიის მოცემული პერიოდიზაცია ძირითადად, საერთო ხაზებში ძალაშია XIX საუკუნის საქართველოს მიმართაც. მაგრამ XIX საუკუნის საქართველოს რუსეთისაგან განსხვავებული თავისებურებანიც გააჩნია, იგი ნაციონალურ კითხვასთანაა დაკავშირებული, მითაა პირობადებული. ამ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე უნდა მოეცა ა. კიკვიძეს საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის პერიოდიზაცია.

ა. კიკვიძე თავის წიგნში ძირითადად მართებულად აშუქებს „მესამე დასისა" და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობის საკითხს. მაგრამ გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ მარქსიზმი საქართველოში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ინერგებოდა. სინამდვილეში მარქსიზმი გზას იკაფავდა საქართველოში ლიბერალური ნაროდნიკობის,

[87] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 292.

„ივერია“-„დროების“ ჯგუფისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ცნობილია, აღნიშნულმა ჯგუფებმა უკუაგდეს სამოციანელთა მემკვიდრეობის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები და ხელი ჩასქიდეს მის სუსტ მხარეებს.

ა. კიკვიძის წიგნში არაა გამიჯნული სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნებები, და ამდენად ფაქტებიც. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც ცნობილია, თავისი შინაარსით ბურჟუაზიული მოძრაობაა, მას, ზუსტი გაგებით, ადგილი აქვს მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ხალხის ბურჟუაზიულ ერად ფორმირების დროს და შემდეგ. ამიტომ საქართველოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძებნა შეუძლებელია. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გლეხთა ბრძოლა არის სტიქიური პროტესტი კოლონიური ჩაგვრისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, იგი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობაა.

ა. კიკვიძე ვერ გვიჩვენებს ამომწურავად ქართულ განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ თავისებურებას, რაც მას ახასიათებდა XIX საუკუნის 60—70-იან წლებში. ამ დროს, როგორც ცნობილია, სოციალური და ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთმანეთს ჩაეკონა და რუსი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირში სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას. ეს არის ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი კანონზომიერება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ქართველი ხალხის ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ედგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა სამოციანელები.

ა. კიკვიძემ აღნიშნული ნაკლოვანებანი, რაც მის პირველ წიგნს ახლდა, ძირითადად გაასწორა მეორე წიგნში. მიუხედავად ცალკეულ ნაკლოვანებათა, ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია“ ერთადერთი მარქსისტული წიგნია, სადაც ლექციების კურსის სახითაა გადმოცემული ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი XIX საუკუნის ისტორია.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ეპოქის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში

§ 1. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის ბრძოლის გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში

საქართველოში XX საუკუნის ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის განხილვისას უნდა დავკმაყოფილდეთ იმის ჩვენებით, თუ როგორ არის ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილ-გაშუქებული ამ საუკუნის ცალკეული პერიოდების ძირითადი, განმსაზღვრელი კანონზომიერება, რაც შეეხება კერძო ხასიათის საკითხებს, მათ შესახებ ქართული ისტორიული აზრის განვითარების განხილვა-ჩვენებას, იგი ერთი პიროვნების ძალღონეს აღემატება. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი და კოლექტიური შრომით. ჩვენი ნაშრომი კი წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით გადადგმულს.

საქართველოში XX საუკუნის ისტორია საერთოდ და ზოგად ხაზებში, შეიძლება ითქვას, შესწავლილია. შექმნილია რიგი განმაზოგადებელი შრომები, რომლებიც მოკლედ, მაგრამ ზოგადად გადმოგვცემენ საქართველოს XX საუკუნის ისტორიას. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ მომზადებული კოლექტიური ნაშრომი — „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები". აქ გადმოცემულია საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და კომუნისტური პარტიის ისტორია 1921 წლამდე.

საქართველოს XX საუკუნის მთელმა სამოქალაქო ისტორიამ (საბჭოთა პერიოდის ისტორიის ჩათვლით) პირველად ჰპოვა გაშუ-

ქება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ საშუალო სკოლისათვის მომზადებულ „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში[1]. საქართველოს ისტორიის აღნიშნულ სახელმძღვანელოში, მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის (1900—1958 წწ.) ისტორია გადმოცემულია ძალიან მოკლედ, გაშუქებულია ამ პერიოდის ყველა ძირითადი და საკვანძო საკითხი. ამიერიდან შექმნილია საქართველოს XX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის მოკლე, მაგრამ სისტემატური კურსი, იგი გეგმის როლს მაინც შეასრულებს ამ მიმართულებით გაღრმავებული კვლევა-ძიებისათვის. სწორედ მის საფუძველზე შეიქმნა შესაძლებელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, ავტორთა კოლექტივის მიერ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს დაწერა, რომელიც გამოიცა 1960 წელს[2]. მასში შედარებით ვრცლადაა გაშუქებული საბჭოთა საქართველოს ისტორია 1921 წლიდან ვიდრე 1958 წლამდე ჩათვლით.

საქართველოს ისტორია 1900 წლიდან ვიდრე 1921 წლამდე ლექციების კურსის სახით გადმოცემული აქვს. ა. კიკვიძეს[3]. საქართველოს 1895—1924 წლების ისტორიის ცალკეულ საკითხებზე ვ. ი. ლენინის შეხედულებებს გვაცნობს ვ. ესაიაშვილი თავის ვრცელ მონოგრაფიაში[4].

განვიხილოთ საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ცალკე პერიოდების შესწავლის მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოს ისტორიის ის პერიოდი, რომელიც წინ უძღვის 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას,

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1958.

[2] ი. კაჭარავა, ნ. მახარაძე, ნ. სტურუა, ი. სურგულაძე. საქართველოს ისტორია, ტომი III, დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1960.

[3] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს. წ. II (1861—1921 წწ., თბ., 1959.

[4] ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1959.

შედარებით სუსტადაა გამოკვლეული და შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს პერიოდი ასე თუ ისე შესწავლილი და გაშუქებულია, უმთავრესად რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიის მკვლევართა მიერ და, მხოლოდ ამ კუთხით, ამ თვალთახედვით.

1900—1904 წლების პერიოდი თითქმის არც ერთ ისტორიკოსს არ გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად. უმთავრესად ამ პერიოდს სხვათა შორის ეხებიან ისტორიკოსები, რომლებიც სწავლობენ მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობა-განმტკიცების ისტორიას, ამასთან დაკავშირებით აშუქებენ მას როგორც შესასწავლ ისტორიული პროცესის დამამთავრებელ ეტაპს, ან კიდევ მას ეხებიან და ასე თუ ისე აშუქებენ 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის მკვლევარნი, როგორც მათი კვლევის ობიექტის დასაწყის ეტაპს; არც ერთ ამ შემთხვევაში ის არ არის სპეციალური კვლევის საგანი.

1900—1904 წლების საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები კი, უნდა ითქვას, სათანადოდაა შესწავლილი და გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. კერძოდ, ეს ითქმის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლებისა და აგრარული ურთიერთობის საკითხებზე[8]. აგრეთვე კარგადაა შესწავლილი ამ პერიოდში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების წარმოშობისა და განმტკიცების ისტორია, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის, იმერეთ-სამეგრელოსა და ბათუმის კომიტეტების ჩამოყალიბების ისტორია, მათი საქმიანობა და სხვ.[9].

---

[8] Н. Чахвашвили. Рабочее революционное движение в Грузии, (1870—1904 гг.), Тб., 1958; კ. აფრიდონიძე. 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვა საქართველოში (ავტორეფერატი), 1948; ა. ვერულია, მუშათა კლასის მდგომარეობა და მუშათა მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ (1890—1903 წწ.) (ავტორეფერატი), 1947; ა. ბენდიანიშვილი, რაჭის მაბრის სოფელი 1900-იან წლებში (ავტორეფერატი), 1948; პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890—1914 წწ.), ბათუმი. 1959; ო. ტატიშვილი, მუშათა მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა ბათუმში (1900—1903 წწ.) (იხ. თ. ს. უ. შრომები, ტ. XXXIX, 1950 წ.).

[9] Н. И. Стуруа. Из истории борьбы за создание и упрочение большевистских организации Закавказья (1893—1904 гг.), Тбилиси, 1956; ი. მელქაძე, რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905 წლის რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960; Д. Копалиа-

1900—1904 წლების საქართველოს ისტორიის შედარებით მთლიანი და ვრცელი განმაზოგადებელი ნაშრომი შექმნა ა. კიკვიძემ[7]. იგი შეადგენს ლექციების კურსის ერთ ნაწილს. აქ მოცემულია გაშუქება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო პერიოდისა, როდესაც ქართველი ხალხი გამოდის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის არენაზე მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ამავე პერიოდის შესახებ აგრეთვე განმაზოგადებელი ნაშრომი შექმნა გ. ქვანიამ კ. ივანიძესთან ერთად. ეს ნაშრომი წარმოადგენს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ მეორე თავს[8]. ამ ნაშრომში მეცნიერული გაშუქება ჰპოვა საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიის რიგ საკვანძო საკითხებმა, როგორიცაა მაგალითად, ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის საკითხი, რსდმპ კავკასიის კავშირის ჩამოყალიბება, საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში ბოლშევიკური და მენშევიკური მიმდინარეობათა გაჩენის საკითხი, რსდმპ კავკასიის კავშირის ბოლშევიკური კომიტეტების 1904 წლის ნოემბრის კონფერენციის მნიშვნელობა და სხვა.

* * *

საქართველოს XX საუკუნის ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე არ დაწერილა იმდენი გამოკვლევა, რამდენიც დაიწერა 1905—1907

ნი, Имеретино-Мингрельский комитет Кавказского Союза РСДРП во главе революционной борьбы народных масс в Западной Грузии. 1955; А. Джинджихашвили-Жунжуков, Кавказский Союз РСДРП и всеобщая стачка в Закавказье в июле 1903 г., 1947 (рукопись. дис.); მ. კუბლაშვილი, რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის პირველი კომიტეტის (რევოლუციური მუშაობის შესახებ (1901—1904 წწ.), 1949, დისერტ.); К. Иванидзе, Создание и деятельность Имеретино-Мингрельского комитета Кавказского Союза РСДРП (1903—1905 гг.) (рукопись дис.); შ. გველესიანი, რსდმპ კავკასიის კავშირის ბრძოლა ამიერკავკასიის ნმრომელთა ინტერნაციონალური დარაზმულობისთვის. 1958 წ. (ავტორეფერატი), 1958; Ш. Чачуа, борьба большевистских организаций Грузии за осуществление ленинской аграрной программы (1903—1907 гг.) (Автореферат).

[7] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს., ნაწ. II, თბ., 1959.

[8] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I (1883—1921 წწ.“, თბილისი, 1957, გვ. 74—127.

წლების რევოლუციის პერიოდზე. მაგრამ მათი უმრავლესობა მხოლოდ რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებით კმაყოფილდება, ერის ცხოვრების დანარჩენი მხარე, როგორც აქ, ისე მთელი რევოლუციამდელი (1921 წლის თებერვლამდე) პერიოდის შესწავლისას უყურადღებოდაა, ან თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული.

1905—1907 წლების ისტორიამ ჯერ კიდევ თანამედროვეთა შრომებში ჰპოვა მეცნიერული გაშუქება. ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფეების და თანამებრძოლების შრომები წარმოადგენენ 1905—1907 წლების რევოლუციის ცალკეული საკითხების ბრწყინვალე მარქსისტული გაშუქების მაგალითს, რომელიც ძალიან უადვილებს მკვლევარ-ისტორიკოსებს რევოლუციის რიგი საკითხების მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას.

საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის ძირითადი საკითხების მეცნიერული გაშუქებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის შრომებს, სადაც მოცემულია საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მუშაობის ცალკეული საკითხების მეცნიერული შეფასება[9]. ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა ეს გარემოება და მას თავიდანვე მიექცა ყურადღება. ქართველი ისტორიკოსების—ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის, ი. ხუციშვილის, ლ. ებანოიძის და სხვათა შრომებში 1905—1907 წლების რევოლუციის საკითხები გაშუქებულია ლენინურ დებულებებზე დაყრდნობით. მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში სპეციალურად შეისწავლა თბილისელმა ისტორიკოსმა ა. ნ. მელიხოვმა საკითხი „ვ. ი. ლენინი და 1905 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში“[10], ხოლო 50-იანი წლების ბოლოს ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში

---

[9] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 8, გვ. 30, 67, 232, 434, 497, 666; ტ. 9, გვ. 27, 60, 62, 65, 103, 246, 415—418, 484, 520; ტ. 10, გვ. 127, 173, 388, 402, 476; ტ. 11, გვ. 345; ტ. 12, გვ. 237; ტ. 13, გვ. 447—448; ტ. 16, გვ. 204, 325, 495; ტ. 34, გვ. 195—196, 294, 310—311, 457; Ленинский сборник, ტ. XV, გვ. 245, 249—251; ტ. XVI, გვ. 44, 211; ტ. XXV, გვ. 135; ტ. XXVI, გვ. 3-9 და ა. შ.

[10] А. Н. Мелихов, Ленин и революция 1905 года в Закавказье, Автореферат, Тбилиси, 1940.

ყველავ გაამახვილეს ყურადღება. ვ. ესაიაშვილმა მას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა[11].

საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია, ისე თუ მკვლევარი არ იხელმძღვანელებს იმ შრომებით, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციის პერიოდში შეუქმნიათ ვ. ლენინის თანამებრძოლებსა და მოწაფეებს, რევოლუციის უშუალო მონაწილეებსა და ხელმძღვანელებს.

საქართველოს ისტორიოგრაფიაში ფართოდაა გამოყენებული მათი შრომები. გარდა ამისა მრავალი ისტორიული ნარკვევია დაწერილი ლენინის თანამებრძოლთა მოღვაწეობის შესახებ 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, აგრეთვე მათი შრომების ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის შესახებაც. ამ რიგის შრომებს შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიის მკვლევართა ს. ბერიძის, ე. ახობაძის, ვ. მგალობლიშვილის, ს. სიმონგულოვის, ი. მირცხულავას, გ. გამსახურდიას და სხვათა შრომები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს ეტყობა იმდროინდელი ისტორიული ლიტერატურის საერთო ნაკლი, ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან გამოკვლევებს საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის შესასწავლად.

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის გაძლიერებული შესწავლა დაიწყო 1925 წლიდან, როდესაც აღინიშნა რუსეთის პირველი რევოლუციის 20 წლის თავი. ამ დღიდან დაიწყო გამოქვეყნება რევოლუციის მონაწილეთა მოგონებებისა და ისტორიული საბუთების, ამან ხელი შეუწყო რევოლუციის ისტორიის ცალკეული საკითხების შემდგომ შესწავლას.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიას პირველი მეცნიერული შრომა მიუძღვნა ფ. მახარაძემ. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა ინტერესი რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიისადმი, დაიწერა მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევა და სტატია, რომლებმაც წინ წასწიეს ქართული ისტორიული მეცნიერება. მაგრამ ყოველივე ეს საქმის და-

[11] ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები. თბ., 1959, გვ. 78—142.

საწყისი იყო მხოლოდ, დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაო ჯერ კიდევ წინ ჰქონდა ქართულ ისტორიოგრაფიას.

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესწავლამ უმაგალითო გაქანება მიიღო საქართველოში მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებოდა თავისი სახელოვანი რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. გამოქვეყნდა მრავალი მოგონება, ისტორიული დოკუმენტების კრებულები, ცალკეული მონოგრაფიები, სტატიათა კრებულები და ა. შ.[12]

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიას, ფ. მახარაძის[13] შემდეგ ფუნდამენტალური შრომები, პოპულარული ნარკვევები და მრავალი სტატია უძღვნეს გ. ხაჭაპურიძემ[14], ი. ხუციშვილმა[15], ლ.

---

[12] მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები" (ქართულ და რუსულ ენებზე), თბილისი, 1955; „Авлабарская подпольная типография" (1903—1906 гг.), Тбилиси, 1955; Сборник документов „Революция 1905—1907 Годов в Грузии", Тбилиси, 1956; „Третий съезд РСДРП", Москва, 1955. სტატიების კრებული „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, ტ. 1, 1955; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 57, 1955; სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956; Сборник статьей „Из истории революционных событии в Абхазии в 1905—1907 гг.." Сухуми, 1955; „Революционное движение в Юго-Осетии (1905—1907 гг.)" (Документы и материалы), Сталинири, 1958 და სხვ.

[13] Ф. Махарадзе, Очерки революционного движения в Закавказье, Тифлис, 1927.

[14] გ. ხაჭაპურიძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955; მისივე, Революция 1905—1907 годов в Грузии (жур. „Исторические записки", т. II, 1941; მისივე, Революция 1905—1907 годов в Грузии (Сб. статьей „Революция 1905—1907 годов в национальных районах России", М., 1955 г.).

[15] ი. ხუციშვილი, 1905 წელი ქალაქ გორში (თ. ს. უ. შრომები, ტ. XXXV, 1949); მისივე, Горийский уезд в период революции 1905—1907 годов, Тбилиси, 1950; მისივე, Вооруженное восстание в Грузии в 1905 году (жур. „Исторические записки", т. 49, 1954; მისივე, ერთი ფრიად საყურადღებო საბუთის შესახებ (თ. ს. უ. შრომები, ტ. 57, 1955); მისივე, 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში (მონოგრაფია, თბილისი, 1955 წ.

ებანოიძემ[16], ი. მელქაძემ[17], გ. ქვანიამ[18], გ. ჯამბურიამ[19], ვ. საბახტარაშვილმა[20], ამ სტრიქონების ავტორმა და სხვებმა[21].

დასახელებულ ავტორთა შრომებში განხილულია რევოლუციური მოძრაობის დაწყების, განვითარებისა და დამარცხების თითქმის ყველა საკითხი, თითქმის ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენა, რომელთაც კი ჰქონიათ ადგილი რევოლუციის დროს საქართველოში. ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძისა და ი. ხუციშვილის მონოგრაფიებში კვლევის ობიექტი განხილულია არა რომელიმე კუთხით, არამედ მთლიანად, მთელი თავისი მოცულობით, ამით განსხვავდებიან მათი შრომები 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ დაწერილ სხვა მრავალი შრომისაგან, რომელთაც ქვემოთ გავარჩევთ.

ფ. მახარაძის შრომას „1905 წელი ამიერკავკასიაში" ისტორიული მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც მეცნიერულ გამოკვლევას, არამედ, მასთან ერთად, როგორც პრველ წყაროს 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის[22]. როგორც ცნობილია, ფ. მახარაძე იდგა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის და მარქსიზმისათვის ბრძოლის სათავეებთან. იგი იყო 1905—1907 წლების რევოლუ-

---

[16] ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959.

[17] ი. მელქაძე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1960.

[18] Г. Жвания, Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции. Тбилиси. 1958.

[19] გ. ჯამბურია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1957.

[20] ვ. საბახტარაშვილი; გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წწ., თბილისი, 1959.

[21] ი. ქაჭარავა, იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, ტ. 1, 1955); მისივე, სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 1959.

[22] „В течение трех десятилетий она была почти единственным трудом, дававшим представление о революционном движении 1905—1907 годов в Грузии и Закавказье" (см. Л. И. Эбаноидзе, „Большевистские организаций Грузии в период революции 1905—1907 годов" (Автореферат), Тбилиси, 1959, გვ. 7).

ციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საქართველოში, ამდენად მისი შრომები პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროების მნიშვნელობასაც ინარჩუნებენ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ფ. მახარაძის შრომები დაზღვეული იყოს ზოგიერთი ნაკლისაგან, მაგრამ ისინი რამდენიც არ უნდა იყოს, ჩრდილს ვერ მიაყენებენ ამ დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ლიტერატურულ-მეცნიერულ მემკვიდრეობას, ამიტომ სრულიად არ უნდა გვერიდებოდეს აღნიშვნა იმ ნაკლოვანებათა, რომელიც რიგ შემთხვევაში მისდაუნებლიედ მოსდიოდა ერთ-ერთ პირველ მარქსისტ-პუბლიცისტსა და მოაზროვნეს საქართველოში.

1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ დაწერილ შრომებში ფ. მახარაძე განიხილავს ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას და გვიჩვენებს რევოლუციის განვითარების კანონზომიერ ხასიათს; ცოცხლად და მიმზიდველად აღწერს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის სურათებს; გვიჩვენებს რევოლუციის საყოველთაო-სახალხო ხასიათს და ა. შ. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მთელი სისრულით ვერ გვიჩვენებს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ როლს რევოლუციაში. იგი მისდაუნებლიედ აზვიადებს მენშევიკური ორგანიზაციების როლს რევოლუციაში, მას ავიწყდება, რომ რევოლუციური მასები, სწორედ ბოლშევიკური ტაქტიკური ლოზუნგებით იბრძოდნენ, მაშინ, როდესაც ბოლშევიკები დიდად ჩამორჩებოდნენ რაოდენობრივად მენშევიკებს. გავიხსენოთ თუნდაც საკითხები, რომელთაც ბოლშევიკურად წყვეტდნენ რევოლუციური მასები, ასეთია: ნასაკირალის ბრძოლის, შეიარაღებული „წითელი რაზმების", მთავრობის ორგანოებისადმი ბოიკოტისა და სხვა საკითხები[23].

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის საკითხებზე მეცნიერული შრომების გამოქვეყნებას 1941 წლიდან იწყებს გ. ხაჭაპურიძე. იგი თავის შრომებს აქვეყნებდა ქართულსა და რუსულ (საკავშირო) პრესაში. მან 1941 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", 1955 წელს კვლავ გამოსცა იგი საფუძვლიანად გადამუშავებული სახით, ასე რომ თით-

[23] იხ. ი. კაკაბაძე, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 1959, გვ. 113—121.

ქმის არაფრით ჰგავდა 1941 წლის გამოცემას. ამ ნაშრომში სათანადო ასახვა ჰპოვა ქართული ისტორიოგრაფიის იმ დროინდელმა მიღწევებმა.

გ. ხაჭაპურიძის განსახილველ ნაშრომში წიგნის მოცულობის ერთი მესამედი ნაწილი უჭირავს რევოლუციის წინადროინდელი ეპოქის, რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მუშაობის დახასიათებას, დანარჩენი კი თვით რევოლუციური ბრძოლების ისტორიას. შრომის საერთო მოცულობის გამო ავტორს არ შეიძლებოდა ჰქონოდა საკითხების ამომწურავი გაშუქების პრეტენზია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გ. ხაჭაპურიძის ეს ნაშრომი წარმოადგენს უფრო განმაზოგადებელ ნაშრომს, ვიდრე სპეციალურ გამოკვლევას, მაშინ მისი „მეცნიერულ-პოპულარულ" შრომად გამოცხადება მთლად სწორი არ იქნება. აგრეთვე, არც ის იქნება გასაკვირი, თუ რატომ განიხილავს ავტორი კავკასიის კავშირის მოღვაწეობას „1905 წლის წინახანებში" და არა „რევოლუციის დროს". ზოგიერთი მკვლევარის ასეთი საყვედურები, მხოლოდ სამართლიან გაკვირვებას იწვევს[24]. გ. ხაჭაპურიძის განსახილველ წიგნში ნაჩვენებია რსდმპ კავკასიის კავშირის მოღვაწეობა რევოლუციის წინ, ნაჩვენებია ის, თუ როგორ ამზადებდა იგი მასებს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, ხოლო რევოლუციის პერიოდში რსდმპ კავკასიის კავშირის მოღვაწეობის ცალკე გამოყოფა საერთო რევოლუციური ბრძოლების აღწერისაგან მეთოდოლოგიურად და მეთოდურადაც არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ან იგი შექმნიდა დაუსრულებელ განმეორებათა აუცილებლობას, რასაც ვერ გაუძლებდა მცირე მოცულობის წიგნი, ვერ გაუძლებდა მკითხველიც.

ი. ხუციშვილის ვრცელი მონოგრაფია „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", როგორც ცნობილია ამ თემაზე დაწერილ სხვა შრომებისაგან განსხვავდება საკითხების სისტემატური და დეტალური განხილვით. ი. ხუციშვილის ეს წიგნი მასალებით მდიდარი და საფუძვლიანი გამოკვლევაა 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ საქართველოში. სწორედ ამიტომ მან დადებითი

---

[24] იხ. ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959, გვ. 6—7.

შეფასება მიიღო სამეცნიერო ლიტერატურაში და მკითხველთა წრეებში[28].

ი. ხუციშვილის მონოგრაფია წარმოადგენს ხანგრძლივი შემოქმედებითი კვლევა-ძიების ნაყოფს, რომელშიაც ამომწურავადაა ასახული საქართველოში გაშლილი რევოლუციური მოძრაობის ისტორია, იგი გადმოცემულია თანმიმდევრობით. ავტორმა შედარებით კარგად გვიჩვენა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ი. ხუციშვილმა პირველმა შეისწავლა საქართველოში განლაგებული მეფის არმიაში რევოლუციური გამოსვლების ისტორია (კერძოდ ბათუმში მომხდარი ამბები და სხვ.). ავტორმა კარგად გვიჩვენა საზოგადოების ყველა ფენის დამოკიდებულება რევოლუციისადმი, რითაც ცხადი გახადა საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის სახალხო ხასიათი.

აქვე უნდა აღინიშნოს ი. ხუციშვილის მეორე ნაშრომიც — „შეიარაღებული აჯანყება 1905 წელს საქართველოში", სადაც პირველად გამოიყენა ავტორმა მის მიერ მიკვლეული მ. ცხაკაიას წერილი ვ. ი. ლენინისადმი 1905 წლის 28 ივნისის თარიღით. საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატის რაოდენობას ამ ნაშრომში ავტორი განსაზღვრავს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდისათვის 35 ათასი კაცით, ნაცვლად ადრე აღიარებული რაოდენობისა —25 ათასი კაცისა. ასევე განსაზღვრა ავტორმა გორის მაზრაში მოქმედ წითელ რაზმელთა რაოდენობა 3 ათასამდე კაცით. ამასთან ერთად გააშუქა რევოლუციის პერიოდში წარმოშობილი „რესპუბლიკების" საკითხიც და სხვ.

ზემოთ განხილულ ნაშრომებს, მიუხედავად ყველა იმ დადებითი მომენტებისა, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, გააჩნიათ ზოგიერთი ნაკლიც.

ჯერ ერთი, მეტისმეტად გადატვირთულნი არიან ფაქტიური მასალით (ფ. მახარაძისა და ი. ხუციშვილის შრომები) და თეორიული განზოგადებისათვის ხშირად ადგილი არ რჩება.

---

[28] Л. И. Эбаноидзе, Большевистские организации Грузии в период революции 1905—1907 годов (Автореферат), Тбилиси, 1959, стр. 8; Г. Маргиани, Ценное исследование по истории революции 1905—1907 годов (Труды Телавского гос. педагогического института им. Я. Гогебашвили, т. III, 1959).

მეორე, განხილულ მონოგრაფიებში მთელი სიმრულით არ არის ნაჩვენები საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, რის გამოც საკმარისად არ არის ახსნილი გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში.

და ბოლოს, მესამე, განხილულ მონოგრაფიებს არ გააჩნიათ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის განხილვა-შეფასება და ბოლომდე სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი და სხვ.

ფ. მახარაძისა და ი. ხუციშვილის მონოგრაფიების მიმართ აღნიშნული ნაკლი მეტ-ნაკლებად ახასიათებს ამ თემატიკაზე დაწერილ ყველა შრომას, მაგრამ მათი დადებითი მხარეები კი ძალიან ცოტას.

ამის შემდეგ შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორაა შესწავლილი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ცალკეული პროვინციების, მისი ადმინისტრაციული თუ ავტონომიური ერთეულების რევოლუციაში მონაწილეობის ისტორია.

საქართველოს XX საუკუნის ისტორიის კვლევისა და შესწავლის საქმე უკანასკნელ დრომდე თვითდინებაზე იყო მინდობილი. საილუსტრაციოდ 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა გამოგვადგება. მიმდინარე საუკუნის 40—50-იან წლებში, როდესაც დაიწყო ამ რევოლუციის ისტორიის გაძლიერებული შესწავლა, ზედიზედ ქვეყნდება შრომები, საქართველოში 1905—1907 წლების ისტორიის შესახებ, ამ რევოლუციის ისტორიის შესახებ ცალკეულ ქალაქებსა თუ პროვინციებში, ან კიდევ რევოლუციის ცალკეულ პრობლემებზე. ჩვენში ისტორიული კვლევა-ძიების რაიმე მაკოორდინებელი ცენტრის არსებობის შემთხვევაში ასეთი უსისტემო მუშაობა თავიდან იქნებოდა აცილებული. პირველ რიგში განხორციელდებოდა 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ ჩვენს არქივსაცავებში თავმოყრილი მდიდარი ისტორიული დოკუმენტებისა და მასალების გამოქვეყნება, ასეთი პუბლიკაცია შექმნიდა ისტორიული კვლევა-ძიების მეცნიერულ საფუძვლებს. ამის შემდეგ შეიძლებოდა რევოლუციის ცალკეული პრობლემების შესწავლაზე გადასვლა ან ცალკეული პროვინციებისდამიზედვით რევოლუციის ისტორიის შესწავლა. ყოველივე ეს შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს საქართველოში 1905—1907 წლების რევო-

ლუციის მთლიანი განმაზოგადებელი მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა აღნიშნულ გარემოებათა გამო. ერთდროულად სწარმოებდა ყველა მიმართულებით მუშაობა. ამან კი თავისი დაღი დაასვა საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეს.

ჯერ ერთი, ნაშრომების უმეტესობა, რომლებიც აშუქებენ 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიას საქართველოში, წარმოადგენენ ზოგად მოთხრობას მთლიანად საქართველოში, რევოლუციური მოძრაობის ჩასახვის, მისი განვითარების, რევოლუციური ბრძოლებისა და სხვათა შესახებ. მაგრამ მათში არ არის მოცემული რევოლუციის ცალკეული პრობლემების (აგრარული ურთიერთობათა ხასიათის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, პარტიათა ბრძოლის[28]*, ნაციონალური საკითხის, გლეხთა რევოლუციური კომიტეტების, აჯანყების მომზადებისა და სხვა) ღრმა მეცნიერული გაშუქება, კიდევ მეტი, სპეციალურად დასმულიც არ არის ეს პრობლემები, მას გაკვრით ეხებიან მხოლოდ, ყოველივე ამის გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ შეუსწავლელია მთელი თავისი მოცულობით, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და მასთან დაკავშირებული რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში. ამ მიმართულებით გადაიდგა მხოლოდ პირველი ნაბიჯები.

მეორე, ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ცალკეულ პროვინციებში რევოლუციის ისტორიის ან რევოლუციის ცალკეულ პრობლემათა შესწავლას, უმთავრესად ხასიათდებიან დაბალი თეორიული დონით, ბევრი მათგანი საკითხს იხილავს რევოლუციის სხვა საკითხებისაგან იზოლირებულად, და ამავე დროს ცალკეულ სპეციფიურობათა გაუთვალისწინებლად. ამას ხშირად ავტორებიც გრძნობენ, და რომ თავი დააღწიონ ამ მდგომარეობას, ცდილობენ რაც შეიძლება (თითქოს ეს საქმეს, ნაშრომის თეორიული დონის ამაღლებას შველოდეს) ფართოდ წარმოგვიდგინონ ისტორიული ფონი. ასე მაგალითად, თუ საქმე ეხება რომელიმე მაზრაში ან პროვინციაში რევოლუ-

---

[28]* ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ი. მ ი რ ცხ ულ ა ვ ა ს ნაშრომი — „პოლიტიკური პარტიების ბრძოლა საქართველოში აგრარული პროგრამისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში" (იხ. საზ. მეც. განყ. მ ო ა მ ბ ე, № 1, 1962).

ციის ისტორიის შესწავლას, ავტორი სულ ახლო, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიით იწყებს.

სინამდვილეში, როდესაც საქმე ეხება ერთ მაზრას. ან რევოლუციის რომელიმე ცალკე აღებულ პრობლემას, ისტორიული ფონის ამგვარად გადმოცემა, რომელზედაც მიეუთითეთ, სრულიად ვერ იხსნის ნაშრომს ზემოდ აღნიშნულ ნაკლისაგან. როდესაც კვლევის ობიექტად აღებულია ესა თუ ის მაზრა ან პროვინცია, უპირველეს ყოვლისა, ნაჩვენები უნდა იქნეს აღებულ პროვინციაში რევოლუციის განვითარების ის სპეციფიური ხასიათი, რამაც აიძულა ან დააინტერესა მკვლევარი აეღო სახელდობრ ეს მაზრა, თუ ეს პროვინცია და არა სხვა რომელიმე. გარდა ამისა, როდესაც საქმე ეხება რევოლუციის ისტორიის რომელიმე ცალკე პრობლემის შესწავლას. ისტორიკოსმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვიჩვენოს რევოლუციის ცალკეულ პრობლემათა შორის შინაგანი კავშირი და ურთიერთ განპირობებულობა, რაც ხშირად უგულვებელყოფილია. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული შრომები იმედს იძლევიან, რომ წარმატებით იქნება ეს ნაკლიც დაძლეული.

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ავტორებმა[28], რომლებმაც სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს რევოლუციის განვითარე-

---

[28] გ. პ ა რ კ ა ძ ე, რევოლუციის გარიჟრაჟზე ქართლში, 1932; მ ი ს ი ვ ე, წითელი და შავი რაზმები ქართლში (ჟურ. „პროლეტარული რევოლუცია", № 2, 1940 წ.); მ ი ს ი ვ ე, მასალები ქართლში რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1905—1907 წ., თბილისი, 1955; შ. კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი. 1905—1907 წლების რევოლუცია ქუთაისის გუბერნიაში (თ.ს.უ. დისერტაცია), 1947; А. В. Б о г у ц к а я, Грузия в годы первой русской революции (см. „Известия АН СССР", т. VI, № 6, 1949 г.); ი. შ ა ტ ა რ ა ძ ე, ქუთაისი და მისი მაზრა 1905—1907 წლების რევოლუციაში (თ. ს. უ. დისერტაცია), 1950 წ.); И. Х у ц и ш в и л и, Горийский уезд в период революции 1905—1907 гг., Тбилиси, 1950; მ. მ ი ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობა XX საუკუნის დასაწყისისათვის და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (ისტ. ინსტ. დისერტაცია), 1951 წ.; გ. ა თ ა ნ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, რევოლუციური მოძრაობა კახეთში 1900—1905 წწ. (ისტ. ინსტ. დისერტაცია), 1951 წ.; ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე, 1905 წელი ჭიათურაში. (საიუბილეო კრე-

ბას დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ცალკეულ პროვინციებსა თუ მაზრებში.

საქართველოს ცალკეულ კუთხეთა შორის შედარებით ფართოდაა შესწავლილი დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორია, ქართლისა და კახეთის შესახებ მხოლოდ თითოოროლა ნაშრომი გაგვაჩნია. დავახასიათოთ ზოგიერთი მათგანი, უფრო ტიპიური. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ ზ. გეგეშიძისა და ჩ. გუგუშვილის შრომები.

ზ. გეგეშიძემ მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გვიჩვენა საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამთომადნო მრეწველობის ცენტრის, ჭიათურის მუშათა ბრძოლები რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. როგორც ცნობილია, ჭიათურის მუშათა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ჭიათურის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მის მუშაობას წარმართავდნენ და დიდ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ დიდი ლენინის ქართველი მოწაფეები და თანამებრძოლები. ამის შედეგად, როგორც ავტორი გვიჩვენებს, 1905 წელს ჭიათურა საქართველოში რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთ მძლავრ კერად გადაიქცა. მაგრამ ასევე დამაჯერებლად ვერ გვიჩვენა ავტორმა ჭიათურის მუშათა რევოლუციური ბრძოლის გავლენა ახლო-მახლო რაიონების გლეხთა მოძრაობის მიმართ, აგრეთვე მუშებისა და გლეხების ერთობლივი ბრძოლის შემთხვევები, რაც ხშირი მოვლენა იყო მაშინ ჭიათურის რაიონში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის მაშინდელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრის—თბილისის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორია გააშუქა ჩ. გუგუშვილმა. რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოპეიდან ერთი კონკრეტული საკითხის შერჩევა და შისი ლოკალიზაცია ჭიათურით ან თბილისით,

---

ბელი „1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში“, 1955); ჩ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, 1905 წელი თბილისში (თ.ს.უ. დისერტაცია) 1955 წ.; ვ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წწ., თბილისი, 1959 წ.; ვ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში 1900—1905 წ წ.; (ისტ. ინსტ. დისერტაცია, გამოქვეყნდა ცალკე წიგნად, 1958 წ.).

ფრიად საყურადღებო მოვლენაა რევოლუციათა მეცნიერული შესწავლის ისტორიაში, განსაკუთრებით ჩვენში, საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ჩ. გუგუშვილის მიერ კვლევის ობიექტი ვიწროთაა ლოკალიზებული, მის ნაშრომში საკითხი განხილულია რევოლუციის საერთო ფონზე, საქართველოსა და რუსეთში რევოლუციის განვითარების ძირითად მოვლენებთან ორგანულ კავშირში.

მაგრამ ამასთან ერთად ჩ. გუგუშვილის ნაშრომს გააჩნია ზოგი ნაკლიც, ასე მაგალითად, ავტორს უფრო ფართოდ უნდა ეჩვენებინა დეკემბრის აჯანყების დაწყება და მსვლელობა თბილისში, ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის მოღვაწეობა, მისი შემადგენლობა, ბოლშევიკებისა და მენშევიკების ბრძოლა საგაფიცვო კომიტეტში, ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტისა და ადგილობრივ საგაფიცვო ბიუროების ურთიერთობა, საგაფიცვო კომიტეტის კავშირი რევოლუციურ გლეხობასთან, ჯარის ნაწილებთან და სხვ.

1905—1907 წლის რევოლუციის სოფლად განვითარების საკითხისადმია მიძღვნილი ი. ხუციშვილის, გ. ათანელაშვილის, ვ. სიხარულიძისა და ვ. საბახტარაშვილის შრომები. ვ. სიხარულიძისა და ვ. საბახტარაშვილის შრომებში სამართლიანადაა ყურადღება გამახვილებული იმ მიზეზებზე, რომლებმაც ესოდენ მძაფრი ხასიათი მისცეს გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას დასავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულ ავტორებს შეუსწავლიათ სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრების ეკონომიური და ისტორიული ვითარება, რაც ესოდენ რთულია ჩვენში საერობო სტატისტიკისა და სხვა სათანადო მასალათა უქონლობის გამო. ჩვეულებრივად, ისტორიკოსები ჩვენში, როდესაც ამა თუ იმ კუთხის გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ისტორიას სწავლობენ, გადმოსცემენ საერთოდ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებას და მას გაავრცელებენ ხოლმე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეზე. რასაკვირველია სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების ზოგადი კანონზომიერება ერთია საქართველოს ყველა კუთხისათვის, მაგრამ, როდესაც ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში მომხდარი ესა თუ ის პოლიტიკური მოვლენა გვაინტერესებს, არ არის საკმარისი გამოვდიოდეთ მხოლოდ საერთო კანონზომიერებიდან. საჭიროა აღებული კუთხის მაზრის თუ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის განვითარების თავისებურება, სპეციფიკაც იქნეს გათვალისწინებული. ეს აუცილებელია განსაკუთრებით საქართველო-

ში, სადაც კაპიტალიზმის სუსტად განვითარების გამო მძლავრად იგრძნობოდა ფეოდალიზმის ჭარბი ნაშთები საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. სიხარულიძისა და ვ. საბახტარაშვილის[27] შრომებში ყურადღება გამახვილებულია გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ინსტიტუტის მიმართ. პირველი მას თვლის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოდ, მეორე კი—აჯანყებისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოდ. ამ დებულებას დღეს მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებს.

საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში 1905—1907 წწ. რევოლუციის განვითარების ისტორიის შესწავლას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებში.

აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლა გაცხოველდა განსაკუთრებით 1931 წლის შემდეგ, როცა სოხუმში დაარსდა აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტი (ამჟამად, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი). აფხაზეთში ისტორიული კვლევა-ძიების კერებს, აგრეთვე წარმოადგენენ ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიისა და სკკპ ისტორიის კათედრები, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი და აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

აფხაზეთის ისტორიკოსებს თავიანთი მშობლიური კუთხის XX საუკუნის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდ დახმარებას უწევენ ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძისა და სხვათა მეცნიერული გამოკვლევები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთელი ისტორიის ინსტიტუტი.

აფხაზეთის XX საუკუნის ისტორიიდან შედარებით კარგადაა შესწავლილი 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ისტორიკოსთა კოლექტიური ნაშრომი „Очерки истории Абхазской АССР", რომელიც გა-

---

[27] ვ. საბახტარაშვილის წიგნზე დადებითი რეცენზიები გამოაქვეყნეს ჟურნალებმა „საქართველოს კომუნისტმა" (№ 11, 1960 წ.), „საქართველოს ეკონომისტმა" (№ 6, 1960 წ.). და გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთმა" (1959 წლის დეკემბერი).

ბოიცა 1961 წელს[28]. ამ განმაზოგადებელ წიგნში ძირითადად სწორ, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან არის გაშუქებული აფხაზეთის XX საუკუნის ისტორია (1921 წლამდე). XX საუკუნის ისტორიიდან აქ შედარებით სხვა თავებზე უფრო სრულადაა გაშუქებული 1905—1907 წლების აფხაზეთის ისტორია. ეს პერიოდი საერთოდ კარგადაა შესწავლილი აფხაზეთში[29].

აჭარაში მხარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლას გაცხოველებით ეწევიან სსსრ მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმსა და სახელმწიფო არქივში, აგრეთვე შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიისა და სკკპ ისტორიის კათედრებზე.

აჭარის XX საუკუნის ისტორიიდან ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდი შედარებით კარგადაა გაშუქებული[30].

ხ. ახვლედიანი თავის ნაშრომში—„სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში", სხვა საკითხებთან ერთად, იხილავს აჭარაში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამ საკითხზე

---

[28] ავტორები: ი. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, გ. ძიძარია, შ. ინალ-იპა, მ. ლორთქიფანიძე, მ. ტრაპში, ა. ოლონეცკი.

[29] А. Н. Мелихов, Г. К. Орджоникидзе в Абхазии в 1905 году (см. „Труды Абхазского Государственного Музея." Вып. I, 1947 г.); მისივე, Абхазия в годы первой русской революции (см. сбор. статьей „Из истории революционных событий в Абхазии в 1905—1907 гг.)", г. Сухуми, 1955 г.; А. А. Олонецкий, Крестьянское движение в Абхазии в 1905 —1907 гг. (იქვე); მისივე, Революция 1905—1907 годов Абхазии (сб. статьей „Революция 1905—1907 гг. в национальных районах России," М., 1955 г.); А. О. Тулумджян, Декабрьское вооруженное восстание 1905 года в Сочинском округе (сб. статьей „Из истории революционных событий в Абхазии в 1905—1907 гг).

[30] ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1957; ბ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890—1914 წწ.). ბათუმი, 1959; ვ. სიხარულიძე, ბათუმის მუშათა 1902 წლის ისტორიული დემონსტრაცია (თ.ს.უ. შრომები, ტ. 47, 1952 წ.); ო. ტატიშვილი, მუშათა მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა ბათუმში 1903—1905 წწ. (თ.ს.უ. შრომები, ტ. 39, 1950 წ.); И. С. Чулок, Военно-боевая деятельность большевиков в Батуми в годы первой русской революции, Батуми, 1960; Л. Майрановский, Батумская демонстрация 1902 года. Москва, 1952.

ვრცლად ჩერდება, იგი მაინც ვერ ამოსწურავს ისტორიას იმ დიდი რევოლუციური მოძრაობისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ აჭარაში. მიუხედავად ამისა ხ. ახვლედიანის წიგნმა ჩვენს პრესაში საერთოდ დადებითი შეფასება მიიღო[31].

პ. ცქვიტარიას ნაშრომმა—„აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890—1914 წწ.)", მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებისა, მიიღო საერთოდ დადებითი შეფასება[32]. ი. ჩულოკი თავის ნაშრომში „ბოლშევიკების სამხედრო-საბრძოლო მოღვაწეობა ბათუმში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში", განიხილავს რსდმპ ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობას. შესწავლილია საინტერესო ფაქტი ჯავშნოსან „პოტიომკინის" ურთიერთობისა რსდმპ ბათუმის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციასთან და სხვ. ი. ჩულოკის წიგნი ერთგვარად ავსებს ა. სტეკლოვის ნაშრომს კავკასიის არმიის ჯარისკაცთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ[33].

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა XX საუკუნის ისტორიას წარმატებით სწავლობენ სამხრეთ ოსეთის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტსა და პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიისა და სკკპ ისტორიის კათედრებზე თავმოყრილ ისტორიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრები[34].

---

[31] ი. ჩ ო ლ ო კ ი, ნარკვევები სამხრეთ საქართველოზე (გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", 1957 წლის 23 აგვისტო); ვ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, წიგნი სამხრეთ საქართველოს წარსულზე (ტურ. „მნათობში", № 7, 1957 წ.).

[32] ნ. ჩ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები. (ტურ. „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ა ჭ ა რ ა", № 4, 1960 წ.).

[33] А. С т е к л о в, Революционное движение войсках на Кавказе в период 1905—1907 гг. (Автореферат), Тбилиси, 1958 г.

[34] С. Г. Б е к о е в а, Юго-Осетия в период первой русской революции, Сталинири, 1956 г.; З. Н. В а н е е в, Революционное движение 1905—1907 гг. („Известия юнии", вып. VII, 1955 г.); В. Д. А б а е в, Из истории Юго-Осетии в период первой русской революции 1905—1907 гг. (სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956 წ.); П. В. Д о г у з о в, Революционное движение в Юго-Осетии в конце XIX и начале XX веков, Сталинири, 1960 г.; Н. З. Ц х о в р е б о в, Очерк истории Юго-Осетинской организации Коммунистической партии Грузии, часть I (1905—1921 гг.), Сталинири, 1960.

ს. ბეკოევას ნაშრომი ერთადერთი მონოგრაფიული გამოკვლევაა სამხრეთ-ოსეთში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიახ რომ გვაცნობს. ამ ნაშრომში სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორია განხილულია მთლიანად საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საერთო ფონზე. ს. ბეკოევას ნაშრომი დაწერილია მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე და მასში მეცნიერული განზოგადება ჯეროვან სიმაღლეზე დგას. ასევე მეცნიერულად ღირებულია დანარჩენი შრომები, რომლებიც დამაჯერებლად აშუქებენ სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლების ისტორიას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე, ასე თუ ისე, შესწავლილია რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ძირითადი ჰრობლემებიდან გლეხთა რევოლუციური მოძრაობის, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის, ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის, პროფკავშირული მოძრაობის, ახალგაზრდათა რევოლუციური მოძრაობის, პარტიულ ორგანიზაციათა საგამომცემლო საქმიანობისა და სხვა საკითხები. ამავე თანმიმდევრობით განვიხილავთ ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას.

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის ცალკეული საკითხებიდან შედარებით ყველაზე ვრცლად, თითქმის ამომწურავად შესწავლილია გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორია. ამ საკითხის ყველა მკვლევარი, როგორც წესი, საკითხის მეცნიერულ კვლევას იწყებს რეფორმის შემდგომდროინდელ საქართველოში აგრარული ურთიერთობის ისტორიის შესწავლით და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა მკვლევარი XX საუკუნის დასაწყისის ამ დიდ სოციალური მოძრაობის სათავეს, უპირველესად ყოველისა, პოულობს მაშინ ქვეყნად არსებულ აგრარულ ურთიერთობაში. ამის შესახებ, ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველი მიუთითებდა იე. ჯავახიშვილი. იგი წერდა, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო აგრარული მოძრაობა, მაგრამ, როდესაც გლეხობა დარწმუნდა იმაში, რომ მას პოლიტიკური ძალაუფლების გარეშე არ შეეძლო აგრარული ურთიერთობის თავის სასარგებლოდ გადაჭრა, გლე-

ხელა აგრარულმა მოძრაობამ პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი მიიღო და სახალხო რევოლუციის სახით მოგვევლინა იგი[35].

გლეხთა რევოლუციური მოძრაობას მიუძღვნეს თავიანთი შრომები ქართველი ისტორიკოსების ძველი და ახალი თაობის მრავალმა წარმომადგენელმა, მათ შორის უნდა აღინიშნოს ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის[36], ვ. კალანდაძის[37], ს. ბერიძის[38], მ. ცერცვაძის[39], ა. აბრამოვის[40], ვ. საბახტარაშვილის[41], შ. გორცევის[42], მ. შახნაზაროვის[43], მ. ქიქოძის[44], ვ. სიხარულიძისა[45] და სხვათა შრომები.

ყველა ამ შრომის ღირსებას შეადგენს ის, რომ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავენ გლეხთა მოძრაობის ისტორიას, გვიჩვენებენ მის წარმოშობის პირობებს, მსვლელობას და შემდეგ დამარცხების მიზეზებსაც. მაგრამ არც ერთი ავტორი, თუ სახეში არ მივიღებთ ა. აბრამოვს, სპეციალურად არ სწავლობს მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს გლეხთა მოძრაობის მიმართ, არა აქვთ შესწავლილი აგრეთვე გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ინსტიტუტი სოფლად და სხვ.

---

[35] იხ. „Энциклопедический словарь. Т-за „Бр. И. и И. Гранат и К°-“, 7-ое издание том XVII, стр. 225.

[36] Г. Хачапуридзе, Участие рабочих и крестьян Закавказья в революции 1905—1907 гг. (см. „Доклады и сообщения Института истории АН СССР“, выпуск 9, Москва, 1956 г.); [37] ვ. კალანდაძე. გლეხთა მოძრაობა გურიაში (რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემა), 1904 წ.; [38] ს. ბერიძე. გლეხთა მოძრაობა 1905 წ. გურიაში (ეერნ. „პროლეტარული რევოლუცია“, 1940 წ. № 2), [39] М. Церцвадзе, Крестьянское революционное движение в Грузии в 1905 году (журн. „Вопросы истории“, 1955, № 12); [40] А. Абрамов, Крестьянское революционное движение в Грузии в 1902—1905 гг.“, Ленинград, 1940 г.; [41] В. Д. Сабахтарашвили, Крестьянское движение в Западной Грузии в период декабрьского вооруженного восстания 1905 года“ (см. труды Сухумского государ. педагогического института им. А. М. Горького, т. IX, Сухуми, 1956); [42] Ш. Горцев, Как грузинские крестьяне борются за свободу, Москва, 1906); [43] М. Шахназаров, Крестьянское движение в Грузии и социал-демократия, Москва, 1906.

[44] მ. ქიქოძე, გლეხთა რევოლუციური მოთხოვნები (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956).

[45] ვ. სიხარულიძე. გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში (1900—1905 წ.წ.“ (ავტორეფერატი), თბილისი, 1955 წ.

ცნობილია, რომ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, ჯერ კიდევ თვით რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მაღალი შეფასება მისცა ივ. ჯავახიშვილმა. მისი აზრი ჩვენთვის საინტერესოა არა მხოლოდ როგორც დიდი ისტორიკოსის აზრი, არამედ როგორც თვითმხილველის, თანამედროვის აზრიც. რევოლუციის დღეებში, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერდა: «Ни правительственные должностныя лица, ни суд нигде больше не действовали, всюду была своя администрация свой суд..., — ეს ორგანოები, განაგრძობს ავტორი,—были вполне демократичны и понятны, так как все велось на грузинском языке и подлежало контролю; в этом проявилась организационная способность и многовековая культура грузинского народа»[46]. მიუხედავად ამისა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების საკითხი დიდხანს რჩებოდა შეუსწავლელი. მართალია, მას 1905—1907 წლების რევოლუციის თითქმის ყველა ისტორიკოსი, ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, ა. აბრამოვი, ი. ხუციშვილი, ლ. ებანოიძე და სხვ.) ეხება თავიანთ შრომებში, მაგრამ არა სპეციალურად, მხოლოდ გაკვრით. მათგან შედარებით უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების საკითხს ი. ხუციშვილი[47], ლ. ებანოიძე, და სხვები[48], მაგრამ სპეციალურ გამოკვლევად ამ საკითხზე ვერც მათ შრომებს ჩავთვლით. ასევე ითქმის ვ. ესაიაშვილის ნაშრომზედაც[49], გარდა ამისა ვ. ესაიაშვილის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე არ მიგვაჩნია სწორად.

---

[46] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб., 1906, გვ. 44.

[47] რ. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955.

[48] ლ. ებანოიძეს ამ საკითხზე ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვს განეითარებული. ერთ შემთხვევაში გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს თვლის რევოლუციური „ხელისუფლების ჩანასახად" (იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", ნაწ. 1, 1957, გვ. 161); მეორე შემთხვევაში —„ხელისუფლების ფაქტიურ ორგანოდ" (იხ „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში", 1959 წ. გვ. 232), ამავე წიგნში, რამდენიმე გვერდის შემდეგ. რევოლუციურ კომიტეტებს ახასიათებს როგორც „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დემოკრატიული დიქტატურის ჩანასახს" (იქვე. გვ. 237).

[49] ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1959:.

გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს დასახელებული ავტორები არ განიხილავენ როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ორგანოს, როგორც ხელისუფლების ორგანოს. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ არაა მეცნიერულად შესწავლილი საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის დროს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შექმნის საკითხი. სრულიად არაა საკმარისი ამ მიმართულებით ი. მელქაძის[50], ლ. ებანოიძის[51] და სხვათა მიერ ჩატარებული მუშაობა.

ცნობილია, რომ ესერები უარყოფდნენ რუსეთში მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის არსებობას 1905—1907 წწ. რევოლუციის დროს. ვ. ი. ლენინმა ესერული ნაბოდვარი გააცამტვერა და დაასაბუთა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი 1905—1907 წლების რევოლუციაში ნამდვილად არსებობდა. მაგრამ სხვა საკითხია, საკმარისი აღმოჩნდა თუ არა აღნიშნული კავშირის სიმტკიცე რევოლუციის გამარჯვებისათვის. აგრეთვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი რუსეთის უშველებელ იმპერიაში ყველგან როდი იყო ერთნაირი სიმტკიცის მთელი რიგი ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გამო. ეს გარემოება კარგად გაუთვალისწინებია ვ. ესაიაშვილს თავის ნაშრომში და განსაკუთრებით აღუნიშნავს საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შედარებით უფრო მტკიცე ხასიათი[52], რამაც გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში ხელისუფლების ჩანასახიდან აქცია ხელისუფლების ორგანოებად, მაგრამ ავტორი ამ დასკვნამდე ვერ მივიდა, რაკი ხელი აიღო საკუთარი ამოსავალი დებულების თანმიმდევრულად განვითარებაზე. მან რუსეთის გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებზე რუსულ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისი შაბლონურად გამოიყენა საქართველოს გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხასიათის ასახსნელად.

გლეხთა რევოლუციური კომიტეტები და მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთში, მართალია, უმთავრესად ხელისუფლების ჩანა-

[50] ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი 1905—1907 წლების რევოლუციაში (იხ. საიუბილეო კრებული: „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955).

[51] ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959.

[52] ვ. ე ს ა ი ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83, 84, 85, 86.

სახები იყვნენ, ამას არა ერთიგზის ადასტურებს რუსული ისტორიული ლიტერატურა, მაგრამ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში ნამდვილად ხელისუფლების ორგანოები იყვნენ და არა მხოლოდ მათი ჩანასახები.

ვ. ესაიაშვილს, ახასიათებს რა გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, როგორც ხელისუფლების ჩანასახს, ეს დებულება მექანიკურად გადმოაქვს ვ. ი. ლენინის მიერ 1906 წელს დაწერილი ნაშრომიდან — „ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის"[53]. ხოლო ვ. ი. ლენინის მიერ 1910 წლის 23 მარტს (5 აპრილს), როცა მას უფრო მეტი მასალები ექნებოდა 1905—1907 წლების რევოლუციურ ბრძოლათა გამოცდილების გან. ზოგადებისათვის, დაწერილ ნაშრომში „რისთვის ვიბრძოლოთ?", ვკითხულობთ: „მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში, მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარნი, რომელნიც კაპიტალს გამოგლიჯეს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს. სწრაფწარმავალი „რესპუბლიკები" რუსეთის რამდენიმე ქალაქში,— ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისი იყო"...[54]

აქედან გამოდის შემდეგი:

1) საბჭოები და გლეხთა კომიტეტები, წარმოადგენდნენ ხელისუფლების ორგანოებს, ანხორციელებდნენ პოლიტიკურ ძალაუფლებას.

2) საბჭოები და გლეხთა კომიტეტები, ვიდრე არ გადაქცეულან საოლქო ხელისუფლების, მმართველობის ორგანოებად, წარმოადგენდნენ საოლქო მასშტაბით „პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისს".

3) საბჭოები და გლეხთა კომიტეტები ყველგან კი არ იყვნენ ხელისუფლების ორგანოები და, მაშასადამე, ყველგან კი არ წარმოადგენდნენ „პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისს", არამედ განსაკუთრებულ ადგილებში, რომლებსაც ასახელებდა ვ. ი. ლენინი „ყველა დიდი სამრეწველო ცენტრში", „გ უ რ ი ა შ ი" და სხვა ადგილებში.

---

[53] ვ. ი ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 173.
[54] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ 204.

ამრიგად, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში წარმოადგენდნენ ხელისუფლების ორგანოებს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას, შედარებით მცირე მასშტაბით. ასეთივე ხასიათისა იყო მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთის დიდ სამრეწველო ცენტრებში, ამიტომ წარმოადგენდნენ ისინი „პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისს“ და არა „ხელისუფლების ჩანასახს“. შედარებისათვის: 1917 წელს პეტროგრადის საბჭო იმის გამო, რომ იგი მხოლოდ პეტროგრადისა იყო და არა სრულიად რუსეთისა, „ხელისუფლების ჩანასახს“ კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი იყო ხელისუფლება, უფრო ზუსტად, ხელისუფლების ორგანო და, მაშასადამე, „პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისი“.

საქართველოს გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისადმი დიდი და შეუნელებელი ინტერესის მიუხედავად, ეს ინსტიტუტი დიდხანს რჩებოდა შეუსწავლელი. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მას ყურადღება მიაქცია გ. ჯამბურიამ[55]. მან ახალი მასალების შესწავლის საფუძველზე შედარებით სრული სახით წარმოაჩინა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების სახე, მათი მოღვაწეობა. ასე თუ ისე, დღეს უკვე გვაქვს გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შესახებ სპეციალური გამოკვლევა, მაგრამ ეს მხოლოდ მისი მეცნიერული შესწავლის დასაწყისია, უფრო დიდი და საინტერესო სამუშაო კიდევ წინ არის.

საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორია, შეიძლება ითქვას, საკმარისადაა შესწავლილი. მას მიეძღვნა ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის, ა. კიკვიძისა და სხვათა შრომები[56]. ავტორთა უმრავლესობა არ ამახვილებს ყურადღებას ეროვნული ჩაგვრის იმ ფორმებზე, რომელიც საქართველოს მუშათა კლასის მიმართ

---

55 გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები 1905—1907 წ.წ. რევოლუციის პერიოდში, თბილისი 1957. უნდა ითქვას, რომ გ. ჯამბურია გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს თელის რევოლუციის ხელისუფლების ჩანასახად, რაც სრულიად არ გამომდინარეობს მისი კვლევის საერთო შედეგებიდან.

56 Ф. М а х а р а д з е. Очерки революционного движения в Закавказье, Тбилиси, 1927, მისივე, 1935 წ. ამიერკავკასიაში, თბ., 1932; Ф. М а х а р а д з е и Г. Х а ч а п у р и д з е, Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, Тбилиси, 1932; გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის პირველ რევოლუციაში (სქ. მეცნიერებათა აკადემიის

იყო გამოყენებული. საჭირო კი იყო ამ საკითხის ყოველმხრივი შესწავლა, რაც დიდად გაადვილებდა საქართველოში პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას შორის კავშირის საფუძვლების მეცნიერულ ახსნას.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლს 1905—1907 წლების რევოლუციის განვითარებაში, საერთოდ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ სუსტ უბანს წარმოადგენდა დიდხანს. ამ საკითხს პირველად მიაქცია ყურადღება პ. თაეხელიძემ და საკანდიდატო დისერტაციის თემადაც შეარჩია იგი, რითაც გადადგა პირველი ნაბიჯი საკითხის შესწავლისათვის[57]. 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956); А. Киквидзе, Борьба трудящихся Грузии в период подъема революции 1905 года (см. „50 лет первой русской революции", материалы научной сессии института марксизма-ленинизма при ЦК КССС, Москва, 1956); ხ. გეგეშიძე, 1905 წლის დეკემბრის დღეები საქართველოში (ჟურ. „პროლეტარული რევოლუცია", 1940 წ., № 2); მისივე, 1905 წელი ბიათურაში (იხ. სტატიების კრებული „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955 წ., გვ. 249 — 274); ს. ბერიძე, ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა საქართველოში (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, 1955, წ., № 1); გ. პაპკორია, 1905 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში (ავტორეფერატი), თბილისი, 1955 წ.; ჩ. გუგუშვილი, 1905 წელი თბილისში (საკანდიდატო დისერტაცია, თ. ს. უ. ბიბლიოთეკა),1955; ნ. ვ. სტურუა., 1905 წლის 29 აგვისტო თბილისში (ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია", 1940 წ., № 2); ნ. ჩახვაშვილი, ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, 1905 წელს(იხ. საიუბილეო კრებული: „1905-1907 წწ. რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955 წ.), მისივე, სოფლის მეურნეობის ბუშათა გაფიცვები საქართველოში 1905—1907 წლებში (იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, № 1, 1955 წ.); ჭ. კვანტრე, საქართველოს სამთომადნო მრეწველობის მუშათა ისტორია, თბილისი, 1926; გ. თევზაძე, საქართველოს რკინიგზელ მუშათა რევოლუციური ბრძოლის ისტორიიდან (ავტორეფერატი), თბილისი, 1960 წ.

[57] პ. თაეხელიძე, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1905 წლის რევოლუციაში (ავტორეფერატი), თბილისი, 1959 წ.

ეხებიან ლ. გორგილაძე[58], ა. სურგულაძე[59] და სხვები, მაგრამ არც ერთი ავტორი საკითხის სრულსა და ყოველმხრივ გაშუქებას არ იძლევა, მიუხედავად ამისა ეს იყო მორიგი ნაბიჯი ამ საკითხის კვლევის გზაზე წინ გადადგმული. აღნიშნული საკითხის შედარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამომწურავ გაშუქებას იძლევა ლ. ებანოიძე თავის სადოქტორო დისერტაციაში[60].

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხის სპეციალური მეცნიერული შესწავლა, რომელიც ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარს, მასალებს მოგვცემს იმის გასაგებად, თუ რატომ მიიღო რევოლუციურმა მოძრაობამ ესოდენ მძლავრი ხასიათი საქართველოში, რომელზედაც არა ერთხელ მიუთითებდა პარტიისა და რევოლუციის ბელადი ვ. ი. ლენინი.

1905—1907 წლების რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული, ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის ისტორია კარგად არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხზე დაწერილი და გამოქვეყნებულია არა ერთი სტატია და ისტორიული ნარკვევი[61].

---

[58] ლ. გორგილაძე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში (თ.ს.უ. შრომები, ტ. 57, 1955 წ.).

[59] ა. სურგულაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1905—1907 წლებში (თ.ს.უ. შრომები, ტ. 57. 1955 წ.);

[60] ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში (დისერტაცია, ხელნაწერი, თ. ს. უ. ბიბლიოთეკა), ნაწილი I, 1959 წ.

[61] ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959; ი. მელქაძე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბილისი 1960; Г. Жвания, В. И. Ленин и Кавказский Союз РСДРП, Тбилиси, 1956.

ზ. გეგეშიძე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი (იხ. ჟურ. „საქართველოს კომუნისტი", 1953, № 3), მისივე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა რსდმპ III ყრილობის მოწვევისათვის (იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, 1955, № 1); К. Иванидзе, Создание и деятельность Имеретино-Мингрельского комитета Кавказского Союза

ლ. ებანოიძის მონოგრაფიას საფუძვლად უძევს მისივე ნარკვევი „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში", რომელიც წარმოადგენს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" მესამე თავს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ „ნარკვევებს" მთლიანად და კერძოდ მის მესამე თავს დადებითი შეფასება მისცა პარტიულმა და სამეცნიერო პრესამ[62].

ლ. ებანოიძის მონოგრაფიაში „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციაში" საფუძვლიანად არის გაშუქებული საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მრავალმხრივი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. შრომა დაწერილია მდიდარი ისტორიული წყაროების საფუძველზე.

ლ. ებანოიძე თავის მონოგრაფიაში შედარებით ვრცლად გვიჩვენებს ბოლშევიკების ბრძოლას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის, მაგრამ თვით ბრძოლის შედეგებზე არ იძლევა ამომწურავ პასუხს. განსახილველ წიგნში ვრცლად და საფუძვლიანად არის გაშუქებული ეროვნული საკითხი, რომელსაც უაღრესად დიდი და სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში, კერძოდ, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ასევე ფართოდ არის ავტორის მიერ გაშუქებული ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ. ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ დახმარებისა, რასაც უწევდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს პარტიისა და რევოლუციის ბელადი — ვ. ი. ლენინი. ასევე კარგადაა გაშუქებული ვ. ი. ლენინის მოწაფეებისა და თანამებრძოლების მოღვაწეობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

РСДРП (1903—1905 гг.) (Автореферат), Тбилиси, 1956; Ш. Гвелесиани, Кавказский Союз РСДРП в борьбе за интернациональное сплочение трудящихся Закавказья (Автореферат), Тбилиси, 1958; გ. სიხარულიძე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სათათბიროს ლენინურ-სტალინური ტაქტიკისათვის 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში (დისერტაცია, ხელნაწერი, თ. ს. უ. ბიბლიოთეკა), 1949 წ.; შ. ჭაკუა, ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ლენინური აგრარული პროგრამის განხორციელებისათვის (1903—1907 წწ.) (იხ. თ.ს. უ. შრომები, ტ. 77, 1959 წ.).

[62] იხ. ჟურნ. „Вопросы истории КПСС", 1957 г., М., № 4, გვ. 195—196.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ებანოიძემ შესძლო განეხილა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა რევოლუციის პერიოდში მთელი პარტიის მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირში, რაც ხშირად უჭირდათ 1905—1907 წლების რევოლუციის მკვლევართ. ავტორი შეეცადა ეჩვენებინა საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის თავისებურებანი, რომლებსაც განსაზღვრავდნენ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული, სპეციფიკური პირობები. საერთოდ, ლ. ებანოიძის ნაშრომი სრულად წარმოგვიდგენს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ყოველივე ამის გამოც იყო რომ ლ. ებანოიძის წიგნმა „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში“ მიიღო დადებითი შეფასება ჩვენს პრესაში[63]. აღნიშნული ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, რომელიც ფართოდ და ყოველმხრივ აშუქებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადგილს რუსეთის პირველ რევოლუციაში. შრომაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ მჩაგვრელი და ჩაგრული ერების მშრომელთა კლასობრივი ინტერესების ერთიანობა, მათი ინტერნაციონალური დარაზმულობა და სოლიდარული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ წარმოადგენდა 1905—1907 წლების დიდ სახალხო რევოლუციის ნიშანდობლივ თვისებას.

ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში შესწავლილი აქვს ი. მელქაძეს. მან თავის მონოგრაფიაში „რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში“ დიდი გულმოდგინებითა და ამომწურავად შეისწავლა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ფრიად დიდი და ნაყოფიერი მუშაობა დასავლეთ საქართველოში.

ი. მელქაძის მონოგრაფია დაწერილია უმთავრესად მის მიერ პირველად მიკვლეული მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე.

---

[63] С. Чахвашвили, Ценный вклад (газ. „Заря Востока“ от 30 июня 1960 г.; К. Иванидзе, Результат серьезного исследовательского труда (газ. „Вечерний Тбилиси“, от 27 апреля 1960 г.); გ. ყვანია, მნიშვნელოვანი შენაძენი ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში (გაზ. „კომუნისტი“, 1960 წლის 12 აგვისტო); ფ. ლომაშვილი, მონოგრაფია პარტიის ისტორიის საკითხებზე (ჟურ. „საქართველოს კომუნისტი“, № 9, 1960 წ.).

ავტორს პირადად შეუგროვებია დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის მონაწილეთა მოგონებები და სხვა ისტორიული საბუთები, რომლებიც პირველად იქნა შემოტანილი ქართული ისტორიული მეცნიერების არსენალში.

ი. მელქაძის ნაშრომის ერთ-ერთი ღირსებაა აგრეთვე ისიც, რომ მასში წარმოდგენილია 1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობის თითქმის ყველა გამოჩენილი მონაწილე, ნაჩვენებია მათი პარტიულ-რევოლუციური და საბრძოლო საქმიანობა, ნაჩვენებია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მასების თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. ი. მელქაძის ნაშრომში ყურადღებას იპყრობს ბოლშევიკების ბრძოლა ლენინური აგრარული პროგრამის განხორციელებისათვის. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორია განხილულია მთლიანად საქართველოსა და რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირში, ნაჩვენებია ვ. ი. ლენინისა და რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის მიმართ.

1905—1907 წლების პერიოდში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ზ. გეგეშიძემ. მის სტატიაში „რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი“[64] განხილულია რსდმპ კავკასიის კავშირის მთელი მოღვაწეობის მთავარი და ძირითადი მომენტები, კერძოდ, შესწავლილია ყრილობები, კონფერენციები, საგამომცემლო საქმიანობა, აგრეთვე თბილისის, ბაქოს, ბათუმის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების საქმიანობა, რსდმპ კავკასიის კავშირის ბრძოლა მენშევიკების, ფედარალისტებისა და ესერების წინააღმდეგ და სხვ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიული არქივის ახალი დოკუმენტების გაშოვლინებისა და შესწავლის საფუძველზეა დაწერილი ზ. გეგეშიძის ნაშრომი „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა რსდმპ პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის“[65]. აქ განხილულია: საქარ-

[64] იხ. ჟურ. „საქართველოს კომუნისტი“, 1953, № 3.

[65] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, № 1, 1955.

თეელოს ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკების დეზორგანიზატორული მუშაობის წინააღმდეგ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის, იმერეთ-სამეგრელოს, ბაქოს, თბილისის, ბათუმის და გურიის კომიტეტების მიერ მიღებული რეზოლუციები რსდმპ III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ და სხვ.

ნაშრომებს, რომლებიც მიეძღვნა 1905—1907 წლების პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის შესწავლას ყველას შეტნაკლებად ახასიათებს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მხოლოდ დაგმობის ტენდენცია, რაც სრულიად არაა საკმარისი მეცნიერულ ისტორიოგრაფიაში. ისტორიას, როგორც მეცნიერებას არ შეიძლება არ აინტერესებდეს მოწინააღმდეგის ჩასახვა-გაჩენის, ზრდისა და განვითარების ისტორიული სურათი, მისი თეორიული თუ პროგრამული, ტაქტიკური თუ ორგანიზაციული კრედოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ამომწურავი დახასიათება და მეცნიერული კრიტიკა. ეს კი საუკეთესო საშუალება იქნება ისტორიკოსის ხელში მათი ანტიხალხური ნაციონალისტური და რეაქციული მოღვაწეობისათვის ფარდის ჩამოსახდელად. ასეთი გზით მკვლევარს შეუძლია ისტორიული თხრობა მეცნიერულ დონემდე აიყვანოს და ამავე დროს შეინარჩუნოს უაღრესი პარტიულობაც. ასეთი კვლევის შედეგი უფრო დამაჯერებელი და ქმედითია, ვიდრე იოლი გზით მიღებული კვლევის შედეგები, რაც ემყარება მხოლოდდამხოლოდ ხელაღებით დაგმობის მეთოდს. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ეს ეტაპი უკვე განვლილია. სკკპ XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა დასაბამი მისცეს ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპს.

რუსეთის პირველი რევოლუციის უკანდახევის დღეებში, როგორც ცნობილია, გაძლიერდა მუშათა გაერთიანება პროფესიულ კავშირებში, რაც ჯერ კიდევ 1905 წლის უკანასკნელი თვეებიდან დაიწყო. 1906 წლის ოქტომბრისათვის თბილისში უკვე არსებობდა 30 პროფესიული კავშირი. მათ შექმნეს პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო. საქართველოს მუშათა კლასის პროფკავშირული მოძრაობის სათავეში იდგნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ბოლშევიკურ გავლენას მასებზე. ამიტომ მუშათა კლასის პროფკავშირული მოძრაობის ისტორია, არ შეიძლება არ იპყრობდეს 1905—1907 წლების რევოლუციის მკვლევარ-ისტორიკოსთა ყურადღებას.

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის დროს მუშათა კლასის პროფკავშირული მოძრაობის ისტორიას მიეძღვნა ვ. სტურუას[66], ს. ბერიძის[67] ბ. მაჩაიძის[68] და სხვათა ნარკვევები. არსებობს აგრეთვე სხვადასხვა კრებულები, სადაც მოკლედ, მაგრამ მაინც გაშუქებულია საქართველოს მუშათა კლასის პროფკავშირული მოძრაობის ისტორია. ს. ბერიძის ნაშრომი წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას და შუქს ფენს რიგ საკითხებს პროფკავშირული მოძრაობის ისტორიიდან, კერძოდ, პროფკავშირების ჩამოყალიბების ისტორიას. ამ საქმეში ბოლშევიკების ხელმძღვანელ როლს, პარტიულ ბრძოლას პროფკავშირებში გავლენის მოპოვებისათვის და, ბოლოს, გვიჩვენებს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც პროფკავშირებში ეწეოდნენ ვ. ი. ლენინის სახელოვანი მოწაფეები და თანამებრძოლები.

ყოველი რევოლუციის მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორია ახალგაზრდობა. 1905—1907 წლების რევოლუციაში მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხს სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ნ. ჩახვაშვილმა[69]. ამავე საკითხს ნაწილობრივ აშუქებენ ტ. ხუნდაძის[70], ა. სტეკლოვის[71] ნ. ალაჯალოვას[72] და სხვათა შრომები.

---

[66] გ. სტურუა, პროფმოძრაობის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში, თბილისი, 1937.

[67] ს. ბერიძე, თბილისის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო (1906—1907 წწ.) (იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, № 1, 1948 წ.. მისივე. საქართველოში პროფკავშირების წარმოშობა და განვითარება 1905—1907 წლებში (იხ. საიუბილეო კრებული „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955).

[68] ბ. მაჩაიძე, საქართველოს პროფკავშირები 1905 წელს, თბილისი, 1930.

[69] ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა პირველი რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1941, მისივე, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა ახალი სკოლისათვის, თბილისი, 1955.

[70] ტ. ხუნდაძე. ცარიზმი და სახალხო განათლება თბილისში (1801—1917 წწ.), წიგნი I და II, თბილისი, 1960.

[71] А. П. Стеклов, Революционное движение в войсках Закавказского военного округа (см. сб. статьей „Революционное движение в Армии в годы первой русской революции", М., 1955).

[72] Н. Аладжалова, Военная группа большевиков (см. газ., Заря Востока" от 22-го декабря 1940 г.).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საკითხი საქართველოს ახალგაზრდობის, კერძოდ, მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ 1905—1907 წლების რევოლუციაში, ჯერ კიდევ არაა ამომწურავად და მეცნიერულად შესწავლილი, ეს საკითხი სერიოზული ყურადღების ღირსია და იმად ღირს, რომ მას მიეძღვნას არა ერთი, არამედ რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი. მას ექნება არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ უაღრესად დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელმაც უნდა ამრავლოს თაეის სახელოვან წინაპართა პატრიოტული ტრადიციები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფრონტზე.

1905—1907 წლების პერიოდში საქართველოს ბოლშევიკები დიდსა და ნაყოფიერ საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდნენ. არალეგალური სტამბების გამართვა, პროკლამაციების, გაზეთებისა და ცალკე წიგნების გამოცემა გაძლიერებული ტემპით სწარმოებდა რევოლუციის ბობოქარ დღეებში.

საქართველოს ბოლშევიკებს მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ არალეგალური სტამბებისა და გამოცემათა ორგანიზაციის საქმეში. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ ბოლშევიკური პარტიის დავალებით თბილისიდან პეტერბურგში გაიწვიეს ბეჭდვის საქმის ცნობილი ოსტატები: უ. ჯაში, ს. თოდრია, ვ. ბოლქვაძე, ლ. დუმბაძე, მ. გოგუაძე, მარო გოგუაძე და ტრ. ენუქიძე[73].

ბოლშევიკური საგამომცემლო საქმისა და ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის მეცნიერული ისტორია. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოპარვია ქართველ ისტორიკოსებს და 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის გაძლიერებული შესწავლის დაწყებასთან ერთად ხელი მოჰკიდეს ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესწავლასაც.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საგამომცემლო საქმის, არალეგალური სტამბების მოწყობისა და გამართვის ისტორიის შესწავლას დიდი ენერგია მოანდომა ზ. გეგეშიძემ. 1948 წელს-

---

[73] უ. ჯაში, ძვირფასი ილიჩის ხსოვნა (მოგონება), (იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1926 წლის 21 იანვარი, აგრეთვე, ჟურ. „რევოლუციის მატიანე", № 3 (12), 1925 წ., გვ. 160—161).

მას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიიკუთვნეს შრომისათვის — „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბების ისტორია (1900—1910 წ.)“[74]. 1954 წელს კი სპეციალური ნარკვევი უძღვნა ავლაბრის არალეგალური სტამბის ისტორიას[75]. ამ ნაშრომში განხილულია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ თბილისის ერთ-ერთ რაიონში — ავლაბარში 1903 წლის ბოლოს მოწყობილი არალეგალური სტამბის ისტორია, გაშუქებულია სტამბის კონსპირაციული ბინის აგების პროცესი, სტამბის მუშაობა, ჩამოთვლილია დაბეჭდილი ლიტერატურა და მათი ტირაჟი.

ავლაბრის სტამბა არალეგალური ტექნიკისა და კონსპირაციის თვალსაჩინო ნიმუშს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური არალეგალური ლიტერატურის გამოცემათა მძლავრ ბაზას წარმოადგენდა. ამ სტამბაში დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლთა შრომები, გაზეთები — „პროლეტარიატის ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, ბროშურები და პროკლამაციები. ავლაბრის არალეგალური სტამბა განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში. ორ წელზე მეტ ხანს არსებობდა ავლაბრის არალეგალური სტამბა. ამ დროის განმავლობაში იქ რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე რამდენიმე ასეულ ათას ეგზემპლარად დაბეჭდილი ლიტერატურა ფართოდ ვრცელდებოდა როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ხელს უწყობდა რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილმა ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინური იდეების ღანერგვის, ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

---

74 ნაშრომი დაცულია თ.ს.უ. ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში.

75 ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ავლაბრის არალეგალური სტამბა 1903—1906 წწ. (ისტორიული ნარკვევები), თბილისი, 1959.

საქართველოს ბოლშევიკური არალეგალური სტამბების ისტორიას აშუქებს აგრეთვე დ. მეგრელიძის საინტერესო ნაშრომი[76] და გ. ჟვანიას მეცნიერული გამოკვლევა[77]. მიუხედავად ასეთი ნაყოფიერი მუშაობისა, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ყველა ბოლშევიკური არალეგალური სტამბის ისტორია.

ბოლშევიკების საგამომცემლო საქმიანობაში მთავარი ადგილი ეჭირა პროკლამაციებისა და გაზეთების გამოცემის საქმეს, ე. ი. ისეთ საქმიანობას, რომელიც საშუალებას აძლევდა პარტიას შეენარჩუნებინა და ყოველდღიურად და ყოველ საათობით განემტკიცებინა კავშირი მასებთან. არალეგალური თუ ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი პარტიის ხელში წარმოადგენდა არა მარტო კოლექტიურ პროპაგანდისტსა და აგიტატორს, არამედ კოლექტიურ ორგანიზატორსაც. ამიტომ ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესწავლა განუყრელადაა დაკავშირებული თვით ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლასთან. ამ გარემოებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროზე მიაქცია ყურადღება ისტორიკოსებმა.

საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიას არა ერთი სერიოზული გამოკვლევა მიუძღვნეს ქართველმა ისტორიკოსებმა. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს: გ. ჟვანიას, ს. ბერიძის, ჯ. ვათეიშვილის და სხვ. შრომები[78].

---

[76] დ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. საიდუმლო სტამბები, თბილისი, 1931.

[77] Г. Ж в а н и я, Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции, Тбилиси, 1958, გვ. 313—398.

[78] ს. ბ ე რ ი ძ ე, ბოლშევიკური გაზეთი „ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა“ (იხ. ჟურ. „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა“, 1939 წ., № 1), მ ი ს ი ვ ე, პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი საქართველოში (იხ. ჟურ. „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა“, 1943 წ. № 3); მ ი ს ი ვ ე, ბოლშევიკური გაზეთები „ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა“ და „დ რ ო“ (იხ. ჟურ. „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი“, 1940 წ. № 5), მ ი ს ი ვ ე, სტალინური პროფკავშირული გაზეთი „ ა ხ ა ლ ი დ რ ო ე ბ ა“ (იხ. ჟურ. „Профессиональные союзы“, 1951 წ., № 11); ჯ. ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი, ბოლშევიკური გაზეთი „კავკასიური რაბოჩი ლისტოკ“, თბილისი, 1955; მ ი ს ი ვ ე, Первая легальная газета Закавказских большевиков (იხ. სტატიების კრებული: „Из истории местной большевистской печати“, Москва, 1961); მ ი ს ი ვ ე, ჟურნალ „მოგზაური“ (იხ. ჟურ. „მნათობი“, № 8, 1961).

გ. ქვანიას მონოგრაფია «Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции» გამოვიდა 1958 წელს და წარმოადგენს ავტორის მიერ ბოლშევიკური პრესის ისტორიის დარგში ხანგრძლივი მუშაობის შემაჯამებელ ნაშრომს. მან პარტიულ და სამეცნიერო პრესაში დადებითი შეფასება მიიღო.

საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომის დაწერას, როგორც ცნობილია, სრულიად არ ექცეოდა ყურადღება სკკპ XX ყრილობამდე, რომელმაც დააყენა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მეცნიერული ისტორიის შექმნის გადაუდებელი ამოცანები.

საქართველოს ბოლშევიკური პრესის შესახებ ადრე გამოქვეყნებული საგაზეთო და საჟურნალო სტატიები ვერ იძლევიან ბოლშევიკური პრესის არამც თუ მთელ ისტორიას, არამედ უმეტეს შემთხვევაში იმასაც ვერ ახერხებენ, რომ ამომწურავად, მეცნიერულად გააშუქონ მისი ისტორიის რომელიმე, ცალკე აღებული საკითხი. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი შეიცავს სერიოზულ პრინციპულს და ისტორიული ხასიათის შეცდომებს, ნაკლოვანობებს.

ამ ნაკლოვანებათა შორის მთავარია:

პირველი. პრესის ისტორიისადმი მიძღვნილი სტატიების უმრავლესობა კმაყოფილდებოდა ცალკეული გაზეთების აღწერით, მასში გამოქვეყნებული სტატიების მიმოხილვით.

მეორე. ადგილი ჰქონდა ბოლშევიკური პრესის ისტორიის გაბნილვას მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიისაგან მოწყვეტით, პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოების ისტორიისაგან მოწყვეტით. ამ დარგში მომუშავე ამხანაგები ყოველთვის როდი სარგებლობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, „რომ გ ა ვ ი გ ო თ რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია, უნდა ვიცოდეთ არა მარტო და არა იმდენად სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდებანი, რომელიც თანამედროვე მკითხველს არაფერს ეუბნებიან და მას მხოლოდ თავგზას უბნევენ, არამედ სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა ნაწილთა შ ი ნ ა ა რ ს ი, ხასიათი, იდეური ხაზი“[79].

---

[79] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 297—298.

მესამე. სუსტად შუქდებოდა ბოლშევიკური პრესის გზნვითარების საქმეში იმპერიის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსასლებული სოციალ-დემოკრატების როლი. აგრეთვე, საკმაო სისრულით არ შუქდებოდა ის დიდი დახმარება და მზრუნველობა, რომელსაც იჩენდა ვ. ი. ლენინი საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესისადმი.

აღნიშნული მიზეზების გამო დიდი ხანია იგრძნობოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პრესის ისტორიის შესახებ სრულფასოვანი, მეცნიერული ნაშრომის საჭირობა. ასეთ წიგნზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მიაწოდა მკითხველ საზოგადოებრიობას თავისი დასახელებული მონოგრაფია გ. ყვანიამ. ავტორის მიზანი ძირითადად გამართლებული სჩანს. ეს წიგნი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სერიოზულ მიღწევას წარმოადგენს.

გ. ყვანიამ თავის მონოგრაფიაში, პრესის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების უმნიშვნელოვანეს დებულებებზე დაყრდნობით გააშუქა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის ძირითადი საკითხები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში, პარტიის ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოებთან, პირველ რიგში „ისკრასთან", „ვპერიოდთან" და „პროლეტართან" კავშირში.

გ. ყვანიამ თავის მონოგრაფიაში შედარებით ამომწურავი სახით გვიჩვენა ის წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი, რომელსაც კავკასიელი ლენინელების ხელმძღვანელობით ასრულებდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, ლენინური იდეების პროპაგანდის საქმეში. ხალხთა ფართო მასების შეგნებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ამაღლების, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მათი მობილიზაციის საქმეში.

გ. ყვანიას წიგნში საკმაო დამაჯერებლობითაა ნაჩვენები ბოლშევიკური პრესის როლი პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამისათვის ბრძოლაში, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეში, ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მხილების საქმეში. ავტორის უდაო დამსახურებაა აგრეთვე ჩვენება იმ

ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარებისა, რომელსაც უწევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი, პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოები და იმპერიის ცენტრალური გუბერნიებიდან აქ გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები, საერთოდ რევოლუციურ-პარტიული და, კერძოდ, საგამომცემლო საქმის ორგანიზაციაში.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ გ. ჟვანიას აღნიშნულ მონოგრაფიაში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის ყველა საკითხი, საგამომცემლო მუშაობის დარგში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მდიდარი რევოლუციური გამოცდილება არ არის გადმოცემული ამომწურავად, ერთნაირი სიღრმით და სისრულით. კერძოდ, ეს შეეხება შემდეგ საკითხებს:

ჯერ ერთი, ავტორი კმაყოფილდება პრესის ისტორიის დარგში მომუშავე მკვლევართა ლიტერატურული პროდუქციის საერთო და ზოგადი დახასიათებით, მაშინ, როდესაც აუცილებელი იყო თითოეული ავტორის ღვაწლისა თუ დამსახურების, ანუ მათი შრომების ნაკლოვანებათა დეტალური გარჩევა, ასეთი ისტორიოგრაფიული ნარკვევი ყოველ მეცნიერულ ნაშრომს თან უნდა ახლდეს. ამის გარეშე შეუძლებელია ოდესმე დაიწეროს მეცნიერების განვითარების, მეცნიერული აზრის განვითარების ისტორია.

მეორე. ავტორი, იძლევა რა ბოლშევიკური პრესის ისტორიას მოქმედებაში, ამ მოქმედების სფეროს ხელოვნურად ზღუდავს სულ რამდენიმე პრობლემის (ბრძოლა პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის, ლენინური ტაქტიკისა და სტრატეგიისათვის, მასების რევოლუციური მობილიზაციისა და ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური დარაზმულობისათვის) ფარგლებით. მთელი რიგი პროგრამული, ტაქტიკური, ორგანიზაციული და იდეოლოგიური საკითხები, რომლებიც არა ნაკლებ მწვავე შეტაკებათა უბანს წარმოადგენდნენ პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის სფეროში რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, ავტორს არა აქვს განხილული.

მესამე. ავტორს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა არა აქვს განხილული მენშევიკურ, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პრესასთან დაპირისპირებაში. როგორც ცნობილია, მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციო-

ნალისტურ პარტიებს ამიერკავკასიაში საკმაოდ ძლიერი პრესა ჰქონდათ 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ამიტომ ბოლშევიკებისა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა უმთავრესად პრესის ფურცლებზე სწარმოებდა. მაგრამ გ. ჟვანიას ნაშრომში მოწინააღმდეგე ბანაკის ერთი გაზეთიც კი არ არის დასახელებული, მათ გარჩევა-შეფასებას რომ თავი დავანებოთ[80].

1905—1907 წლების რევოლუციის შესწავლისათვის ქართული ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესწავლაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს ცენტრალური ბოლშევიკური პრესის ისტორიის შესწავლას. იგი განსაკუთრებით დაგვეხმარება იმის შესწავლა-გამორკვევაში თუ როგორ ხორციელდებოდა ცენტრალური ბოლშევიკური პრესის საშუალებით ლენინური ხელმძღვანელობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობისადმი, რევოლუციური მოძრაობისადმი საქართველოში. მაგრამ თვალთახედვის ამ კუთხით ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები, გ. ჟვანიას შემდეგ, გადადგეს მ. ლორთქიფანიძემ[81] და ი. ნატროშვილმა[82]. არის აგრეთვე რამდენიმე სტატია გაზეთების „ისკრას", „ვპერიოდისა" და სხვათა შესახებ. მაგრამ ისინი საერთო მდგომარეობას სრულებით ვერ სცვლიან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არ მოგვეპოვება არც ერთი სპეციალური გამოკვლევა, რომელიც ასახავდეს ქართველი ინტელიგენციის, განსაკუთრებით მისი დემოკრატიული ნაწილის დამოკიდებულებას რევოლუციისადმი. ამ ხარვეზს ოდნავ ავსებს ე. შარაშენიძის ნაშრომი[83]. აქ გამოკვლეულია მხოლოდ ქართველი მწერლების და-

---

[80] ავტორს უნდა მიეუთითოთ ზოგიერთ ცალკე ხასიათის ნაკლზედაც, კერძოდ, განსახილველ მონოგრაფიაში რატომღაც ქართული ბოლშევიკური პრესის არც ერთი მკვლევარი (რ. კალაძე, ს. ბერიძე და სხვ.) არ არის დამოწმებული, არ არის დამოწმებული აგრეთვე დოკუმენტები „Большевистская печать Закавказья и царская цензура" (1905—1907 гг.) (см. журн. „Историк марксист", кн. 3[61], 1937 г.).

[81] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს გლეხთა მოძრაობის ასახვა ცენტრალურ რუსულ პრესაში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. II, 1956).

[82] ი. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ნ ო ვ ა ა ა ე ი ზ ნ ი", თბილისი, 1959.

[83] ე. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ქართული მწერლობა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959.

მოკიდებულება რევოლუციისადმი, მაგრამ მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციის სხვა ფენების მონაწილეობა რევოლუციაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

1905—1907 წლების რევოლუციისადმი ეკლესიისა და კულტის მსახურთა დამოკიდებულების შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ბ. ლომინაძემ[84]. აქ სრულიად ახალი სოსტორიო საბუთების საფუძველზე მხილებულია ეკლესიისა და კულტის მსახურთა რეაქციული როლი რევოლუციის მთელ პერიოდში.

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის მეცნიერული გაშუქებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლუციის გამოჩენილ ხელმძღვანელთა და მონაწილეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. გამოჩენილ წინაპართა დაფასება და მათი სახელის უკვდავყოფა ერის კულტურული სახის უტყუარი ნიშანია. ერი ღირსეულ წინაპართა დაფასებით არა მარტო თავის წმინდა მოვალეობას იხდის, არამედ იგი სჭედს თავის დიად მომავალსაც. იგი სახელოვან წინაპართა მაგალითით ზრდის თავის ახალგაზრდა თაობას, ზრდის მას პატრიოტიზმის, ხალხისადმი უანგარო სამსახურის სულისკვეთებით. ამ მხრივ ჭეშმარიტად დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. მან არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ხელი მოჰკიდა საქართველოს პროფესიონალ რევოლუციონერთა ბიოგრაფიების შედგენასა და გამოქვეყნებას. ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ უკვე მიიღო ლენინური სკოლის პროფესიონალ-რევოლუციონერთა ბიოგრაფიული ნარკვევები[85].

---

[84] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ეკლესიის რეაქციული როლი 1905—1907 წლების რევოლუციაში, თბილისი, 1959.

[85] ა. ა ღ ლ ა ძ ე, „ა. ჯაფარიძე“, 1958; ს. ბ ე რ ი ძ ე, „მიხა ცხაკაია“, 1959; ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე, „ლადო კეცხოველი“, 1956; მ ი ს ი ვ ე, „მიხეილ ბოჭორიძე“, 1957; მ ი ს ი ვ ე, „Георгий Телия“, 1958; ა. გ უ კ ა ს ი ა ნ ი, „მიხეილ დავითაშვილი“, 1957; ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, „ალექსანდრე წულუკიძე“, 1956; კ. ი ვ ა ნ ი ძ ე, „სამუელ ბუაჩიძე“, 1956; რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, „კაპო“, 1957; ნ. მ ა რ გ ა ლ ი ტ ა ძ ე, „ზ. ჩოდრიშვილი“, 1960; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, „ფ. მახარაძე“, 1958; ლ. ს ტ ურ უ ა, „ივანო სტურუა“, 1961; ს. ჩ ხ ა რ ტ ა შ ვ ი ლ ი „გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე“, 1956; მ ი ს ი ვ ე, „სტეფანე გიორგის-ძე შაუმიანი“, 1958.

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის და ,საერთოდ, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის, აგრეთვე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ მომზადებულ და გამოცემულ ბიოგრაფიულ ნარკვევთა კრებულს ოთხას გამოჩენილ რევოლუციონერზე. ეს კრებული შეადგინა ავტორთა კოლექტივმა ს. ბერიძის ხელმძღვანელობით.

ამრიგად, საქართველოს 1905—1907 წლების ისტორია უმთავრესად შესწავლილია რევოლუციური მოძრაობის ისტორიის გაშუქების მიმართულებით, ისე როგორც საქართველოს XX საუკუნის მთელი ისტორია. ასეთივე მდგომარეობაა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების შესაბამის პერიოდების მეცნიერული შესწავლის საქმეშიც. ამიტომ საფუძველს მოკლებულია და საბჭოური ისტორიოგრაფიის მიმართ ბოროტი ცილისწამებაა რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიკოსების (ა. მაზური, გ. შეფტელი) „მტკიცება" საბჭოთა კავშირში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის ჯერ კიდევ უქონლობის შესახებ[88].

* * *

საქართველოს ისტორიის დიდი მონაკვეთი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1907 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე, უკანასკნელ დრომდე სრულიად შეუსწავლელი იყო. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ მოგვეპოვებოდა არც ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა. ეს გამოწვეული იყო უმთავრესად შემდეგი მიზეზებით:

ჯერ ერთი, საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი არ ბრწყინავს რევოლუციურ ბრძოლათა რომანტიკით, რომ ხარბად მიეზიდა მკვლევართა ყურადღება; მეორე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღებას უმთავრესად რევოლუციური მოძრაობის ისტორიას აქცევდნენ, ხოლო ერის ცხოვრების დანარჩენი მხარე დიდხანს

---

[88] A. G. Mazour, Moderu Russian Historiography, 1958, გვ. 249—250. ამ ნაშრომს მოწონებით შეხვდა რეაქციული ბურჟუაზიული პრესა. მას დადებითი შეფასება მისცა მ. შეფტელმა (ჟურ. „The American Slavic and Fast Ruropeer Reviw, 1959, № 2).

რჩებოდა ისტორიკოსთა მეცნიერული ინტერესების სფეროს გარეშე. და, ბოლოს, მესამე, მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებიდან, პიროვნების კულტის ვითარებაში ქართული ისტორიოგრაფია გაძლიერებით სწავლობდა საქართველოს ისტორიის მხოლოდ იმ პერიოდებს, რომლებშიაც მოღვაწეობა უხდებოდა თვით ი. ბ. სტალინს. ამიტომ იმის გამო, რომ აღნიშნულ წლებში ი. ბ. სტალინი უმთავრესად საქართველოსა და ამიერკავკასიის გარეთ იმყოფებოდა, საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი დღესაც მოელის თავის მკვლევარს.

საქართველოს 1907—1917 წლების ისტორიის მეცნიერული შესწავლა დაიწყო მხოლოდ 1954 წლიდან, როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამავე წლის 6 იანვარს დააკალა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერმუშაკთა კოლექტივს ნარკვევების შექმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახებ. პარტიის დავალება წარმატებით შესრულდა. 1957 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", სადაც პირველად ჰპოვა მეცნიერული გაშუქება საქართველოს 1907—1910—1914 წლების ისტორიამ (ავტორები: ნ. ჩახვაშვილი, ა. კიკვიძე, გ. სიხარულიძე), მაგრამ აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესად გაშუქებულ იქნა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის და ბოლშევიკური პარტიის ისტორიის საკითხები.

საქართველოს 1907—1914 წლების ისტორია ჯერ კიდევ არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის საგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა გ. არუთინოვმა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი), რომელმაც შეისწავლა ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური ბრძოლის 1910—1914 წლების ისტორია. გ. არუთინოვმა თავის მონოგრაფიაში[87] მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის შესწავლას, კერძოდ, მან პირველმა შეისწავლა მთელი თავისი სიღრმითა და

[87] Г. А. Арутюнов, Рабочее движение в Закавказье в период нового революционного подъема (1910—1914 гг.). (Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук), Баку, 1961 г.

მოცულობით ჭიათურის მუშათა გაფიცვის ისტორია[88]. 1910—1914 წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიამ გაშუქება ჰპოვა აგრეთვე გ. არუთინოვის დანარჩენ შრომებში[89].

გ. არუთინოვის მონოგრაფიაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია განსაზღვრა იმისა, თუ როდის დაიწყო რევოლუციური აღმავლობა ამიერკავკასიაში. ავტორი მხარს უჭერს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღეს გაბატონებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ რევოლუციური აღმავლობა მთელი რუსეთის მასშტაბით დაიწყო 1910 წელს, რაც, გარდა კონკრეტ-ისტორიული მონაცემებისა ემყარება 1910 წლის დასასრულს ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ „შავრაზმული რეაქციის სრული ბატონობის ხანა გათავდა, იწყება ახალი აღმავლობის ხანა. პროლეტარიატი, რომელიც უკან იხევდა... ძალღონეს იკრებს და შეტევაზე გადასვლას იწყებს“[90]. მაგრამ გ. არუთინოვი, ითვალისწინებს რა ამიერკავკასიის კონკრეტ-ისტორიულ პირობებს, დაასკვნის:

«Оживление рабочего движения в крае (ე ი. ამიერკავკასიაში,ი.კ.) началось значительно позднее чем в центральных района страны. В течение всего 1910 и даже всего 1911 года рабочее движение Закавказья продолжало находиться в угнетенном состоянии, характерном для минувшего периода реакции»... «Если по стране в целом количество стачек в 1911 году было вдвое большим чем в 1910 году, то в Закавказье имело место обратное явление. Здесь оно не только не

---

[88] ჭიათურის მუშათა გაფიცვის ისტორიას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა გ. ა. არუთინოვმა. მაგალითად, «56 дневная стачка чиатурских рабочих в 1913 г.» (жур. «Исторические записки», № 58, 1956); «Чиатурская забастовка», публикация документов (жур. «Исторический архив»; № 1, 1958).

[89] Г. А. Арутюнов, Участие Закавказских большевистских организаций в подготовке VI (Пражской) конференции РСДРП («Известия» АН Армянской ССР (Общественные науки), № 11, 1957); მისივე, Революционное движение и деятельность большевиков в Закавказье (1910—1912 гг.) Ереван, 1959; მისივე, Рабочее движение в Закавказье в 1912—1913 гг.; («Известия» АН Армянской ССР (Общественные науки), № 4, 1959 г.).

[90] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 445.

увеличилось но даже сократилось почти 2,5 раза. Вместе с тем изучение характера закавказских стачек в 1910—1911 г г. показывает, что все они были экономическим и почти исключительно оборонительными.

Из таблицы видно также, что начало оживления рабочего движения в крае относится к 1912 году, а мощный подъем его наступил в 1913 году»[91].

ამის დამადასტურებლად ავტორს მოტანილი აქვს ამონაწერები გაზეთ „სოციალ-დემოკრატიიდან", პარტიულ მოღვაწეთა სტატიებიდან და სტატიკური მონაცემებიც-კი. ასე, მაგალითად, 1910 წლის ბოლოს გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" წერდა: „Рабочее движение на Кавказе именно теперь переживает самый тяжелый, самый острый кризис"[92]. ერთი წლის შემდეგაც მდგომარეობა არ შეცვლილა, ამის შესახებ გაზეთი „ზვეზდა" წერდა: „Нигде общественная жизнь так не задавлена во всех проявлениях, как на „погибельном Кавказе"[93]. 1911 წლის თებერვალში ს. შაუმიანი, ახასიათებდა რა ბაქოს მუშათა მდგომარეობას, წერდა იმის შესახებ, რომ მუშებს „лишают отопления, выгоняют неугодных им крамольников. Все это бакинские рабочие принуждены переносить без всякого активного сопротивления"[94]. ამის საილუსტრაციოდ გ. არუთინოვს მოტანილი აქვს საკუთარი გამოანგარიშებით მიღებული ციფრობრივი მონაცემები (რომელთაც არა აქვთ სიზუსტის პრეტენზია) საგაფიცვო მოძრაობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით 1909 წელს გაფიცულთა რაოდენობამ ამიერკავკასიაში მიაღწია 9771 კაცს, 1910 წელს გაფიცულთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 1006 კაცამდე, ხოლო 1911 წელს გაფიცულთა რაოდენობა უდრიდა 434. 1912 წელს კი მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის დაწყების გამო გაფიცულთა რაოდენობამ მიაღწია

[91] Г. А. Арутюнов, Рабочее движение в Закавказье в период нового революционного подъема (1910—1914 гг.), Баку, 1961, зз. 23, 24.

[92] Газ. «Социал-демократ», № 18, от 29 ноября 1910 г.

[93] Газ. «Звезда», № 61, от 7 октября 1911 г.

[94] Газ. «Рабочая газета», № 3 от 8 и 21 февраля 1911 г.

2.790, იგი განუწყვეტლივ იზრდებოდა, 1914 წელს მიაღწია 88.496 კაცამდე[95].

როგორც ცნობილია, საქართველოში ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა წარმოიშობოდა რუსეთში დაწყებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გავლენით და, ამდენად, შედარებით დაგვიანებითაც. მაგრამ იმის შემდეგაც კი, რაც აღნიშნული მოძრაობა წარსულის კუთვნილება გახდებოდა რუსეთში, იგი, აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინერციით განაგრძობდა არსებობას. საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარების ეს კანონზომიერება არ შეიძლება დავას იწვევდეს. ამდენადაც დამაჯერებელი სჩანს გ. არუთინოვის მოსაზრება ამიერკავკასიაში რევოლუციური აღმავლობის დაწყების თარიღის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულის გამო არ გამოიყურება დამაჯერებლად ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში რევოლუციური აღმავლობის დაწყების თარიღად 1909 წლის[96] ან კიდევ 1910 წლის[97] გამოცხადება. ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, არ არის გათვალისწინებული ამიერკავკასიისა და საქართველოს კონკრეტ-ისტორიული პირობები, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის გამოცოცხლების ტემპები და მასთან დაკავშირებული რევოლუციური მოძრაობისათვის დამახასიათებელი თავისებურება.

საქართველოს 1914—1917 წლების ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით უკეთ არის შესწავლილი და გაშუქებული. საქართველოს 1914—1917 წლების ისტორიამ, უფრო ზუსტად, ამ პერიოდში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური პარტიის ისტორიის საკითხებმა პირველად ჰპოვეს გაშუქება ს. ჩხარტი-

---

[95] Г. А. Арутюнов, დასახელებული ავტორეფერატი, გვ. 23.

[96] М. В. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914—1917 годах, ч. I, Москва, 1957.

[97] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი 1, (1883—1921 წწ)", თბილისი, 1957, გვ. 259.

შვილის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც გამოქვეყნდა 1957 წელს[98]. ამის შემდეგ აღნიშნულ პერიოდის შესწავლაზე იმუშავა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერმუშაკთა კოლექტივმა (ი. კაჭარავა, ს. ჩხარტიშვილი). მან მოამზადა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ნაწილის მეექვსე თავი— „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და რუსეთის მეორე რევოლუციის პერიოდში (1914—1917 წწ.)“.

ს. ჩხარტიშვილის ნაშრომი წარმოადგენს სპეციალურ გამოკვლევას და გვაძლევს პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში არა მარტო რევოლუციური მოძრაობის ისტორიას, არამედ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საქართველოს ამ პერიოდის ისტორიასაც. ს. ჩხარტიშვილის ნაშრომში განსაკუთრებით მაღალ დონეზეა გაშუქებული შემდეგი საკითხები: ომის გავლენა საქართველოს სახალხო მეურნეობაზე, საქართველოს მშრომელების ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა ომის პერიოდში, საქართველოს პოლშევიკური ორგანიზაციები იმპერიალისტური ომის წლებში, ეროვნული საკითხი და ბურჟუაზიისა და მემამულეთა წრეებში ნაციონალისტურ სეპარატისტული ტენდენციების ზრდის საკითხი, თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და სხვ.

ასეთი იყო ის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც დახვდა მ. ცერცვაძეს, რომელმაც უფრო ფართოდ, უფრო ვრცლად შეისწავლა და გააშუქა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორია 1914—1917 წლებში.

მ. ცერცვაძე თავის ნაშრომში[99] არ იძლევა საკითხის ისტორიოგრაფიას. ამიტომ უგულებელყოფილია მეცნიერული მემკვიდრეო-

---

[98] ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1957.

[99] **М. В. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914—1917 годах, ч. I, Москва, 1957.**

ბა, რომელიც დახვდა ავტორს, როდესაც იგი ხელს ჰკიდებდა საქართველოში 1914—1917 წლების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას. მ. ცერცვაძეს თავის წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნული აქვს, რომ საკითხის გარშემო არაფერი არ არსებობს „ს. ჩხარტიშვილის ავტორეფერატის", ა. სტეკლოვის მცირე „სტატიისა"[100] და „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებისა", სადაც 1914—1917 წლების ისტორია გადმოცემულია მხოლოდ 36 გვერდზეო. აქედან გამომდინარე მ. ცერცვაძე აკეთებს დასკვნას: «Естественно эти работы (ლაპარაკია ზემოთ დასახელებულ ნაშრომებზე, ი. კ.) не могут претендовать на то, чтобы исчерпать все вопросы, относящиеся к этой проблеме[101]». მ. ცერცვაძის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება.

«Основная задача автора, —წერს თავის წიგნის წინასიტყვაობაში მ. ცერცვაძე—показать совместную революционную борьбу рабочих, солдат и крестьян в период войны и второй революции, состояние и роль большевистских организаций в этой борьбе. Все остальные вопросы затронутые в работе, подчиняются решению этой основной проблемы»[102].

მაგრამ „ძირითადი ამოცანა", რომელიც მ. ცერცვაძეს დაუსახავს პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილი იყო „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში" ჯერ კიდევ მ. ცერცვაძის განსახილველი წიგნის გამოსვლამდე. ამას თვითონ მ. ცერცვაძე აღნიშნავს იმ რეცენზიაში, რომელიც მან ა. მელჩინთან ერთად დაწერა აღნიშნული „ნარკვევების" შესახებ. აი რას ვკითხულობთ იქ:

«Очерки» подробно освещают деятельность большевиков Грузии в годы первой мировой войны и второй буржуазно-демократической революции в России... Освещая основные события общепартийной истории, авторы в то же время главное внимание уделяют показу рабочего и революционного

---

[100] А. П. Стеклов, Русская армия Кавказского фронта накануне февральской буржуазно-демократической революции (Труды Тбилисского Гос. Педагогического Института им. А. С. Пушкина, т. VIII, 1950).

[101] მ. ცერცვაძის დასახელებული მონოგრაფია, ნ. I, გვ. 5.

[102] იქვე.

движения Грузии, жизни и борьбе грузинских большевиков»[103].

ამრიგად ს. ჩხარტიშვილის დასახელებულ ნაშრომში, აგრეთვე „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში". წინაალმდეგ მ. ცერცვაძის განცხადებისა, საქართველოს 1914—1917 წლების ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და ყველა პრინციპული საკითხი გაშუქებულია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან, გადაწყვეტილია მეცნიერულად. ამის შემდეგ აღნიშნული პერიოდის ყოველ მკვლევარს დარჩენია მხოლოდ ერთი რამ—მოიტანოს დამატებითი ფაქტობრივი მასალა „ნარკვევებში" გადაწყვეტილი ძირითადი პრინციპული საკითხების შემდგომი ილუსტრირებისათვის ან სამოქალაქო ისტორიის ახალი ფაქტების წინ წამოწევისა და გამოჩენისათვის. და, ჩვენ ვფიქრობთ, მ. ცერცვაძემ ეს საქმე ჩინებულად გააკეთა. მან მრავალი ახალი ფაქტობრივი მასალით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა 1914—1917 წლების ისტორიის შესახებ, მაგრამ არც ერთი პრინციპული ხასიათის დებულება ამ პერიოდის ისტორიის შესახებ ადრე წამოყენებული, არ შეუცვლია, პირიქით, კიდევ უფრო შეამაგრა ისინი.

მ. ცერცვაძის ნაშრომის ღირსება, გარდა აღნიშნულისა, კიდეე ის არის, რომ მასში პირველად ჰპოვა გაშუქება ომის წინა პერიოდში კაპიტალიზმის განვითარების საკითხებმა. ავტორმა გვიჩვენა გლეხური მასების პროლეტარიზაციის აჩქარებული პროცესი, კაპიტალიზმისათვის იმპერიალიზმის ეპოქაში დამახასიათებელი ზოგი ნიშანი და სხვა. აგრეთვე ავტორმა შესძლო თითქმის სრულიად შეუსწავლელი საკითხის—კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკური მუშაობისა და რევოლუციური მოძრაობის შესწავლა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს 1917—1918 წლებში საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობის საკითხის გაშუქებისათვის.

საქართველოს 1907—1917 წლების ისტორიის ცალკეული საკითხები გაშუქებულია ისეთ კოლექტიურ ნაშრომებში, როგორიცაა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები", „საქართველოს ისტორია" (დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. II და საშუალო სკოლის სახელმძღვანელო), „თბილისის რევოლუციური წარსული"

---

[103] Жур. «Коммунист», № 2, 1958, გვ. 108—109.

და სხვ. აღნიშნული პერიოდის ცალკეულ საკითხებზე მოგვეპოვება როგორც მონოგრაფიები, ისე საჟურნალო სტატიებიც[104].

ნ. ცხოვრებოვის ნარკვევი წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის ისტორიის 1905 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1921 წლამდე გადმოცემის პირველ ცდას. უნდა ითქვას, რომ 1907—1917 წლების პერიოდი ნ. ცხოვრებოვის წიგნში შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი, ამ პერიოდში პარტიული მუშაობის საერთოდ შესუსტების გამო. ვ. აბაევის ნაშრომი სამხრეთ-ოსეთის ეკონომიური განვითარების ისტორიას გადმოგვცემს და გვაძლევს ბევრი საკითხის მეცნიერულ გაშუქებას. ვ. აბაევის ნაშრომი რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ დაწერილ გამოკვლევების იმ ხარვეზს ავსებს, რაც მათ ხშირათ მოსდგამთ — ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის გაუთვალისწინებლობა.

პ. ცქვიტარიასა და ჯ. ჩხეიძის შრომები აშუქებენ აჭარის ისტორიას პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში. პ. ცქვიტარიას ნაშრომში ეს პერიოდი შედარებით მოკლედ და ზოგად ხაზებშია გაშუქებული. რაც შეეხება ჯ. ჩხეიძის შრომებს იგი სპეციალურად მიძღვნილია აღნიშნულ პერიოდში ბათუმისა და აჭარის ისტორიისადმი.

---

[104] პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 1959; Н. З. Цховребов, Очерк истории Юго-Осетинской организации коммунистической партии Грузии, ч. I (1905—1921 гг.); 1961; В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в период развития капитализма (1864—1921 гг.), ч. II, 1956; А. П. Стеклов, Борьба за пролетарскую революцию на Кавказском фронте в период мировой войны (1914—1918 гг.). (Автореферат) 1948; ჯ. ჩხეიძე, აჭარა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. II, 1958); მისივე, ბათუმი პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში (აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, 1959); ს. ბოკუჩავა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბრძოლა ლიკვიდატორებისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ რეაქციის პერიოდში და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1910—1912 წწ.) (ავტორეფერატი), თბილისი, 1948; ს. ჩაგუნავა, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა პრაღის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის (ავტორეფერატი), თბილისი, 1954.

საქართველოში სოციალ-ისტური რევოლუციის ისტორიული წინამძღვრების მეცნიერული შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის არმიის მორალურ-პოლიტიკური სახის გარკვევას. ამ ამოცანისადმია მიძღვნილი ა. სტეკლოვის ნაშრომი[105], იგი გვიჩვენებს, რომ კავკასიის არმია ერთ-ერთ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ვ. ესაიაშვილის ნაშრომში „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები", მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის სპეციალური გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის მეცნიერული შესწავლისადმი მიძღვნილი, მასში გაშუქება ჰპოვა საქართველოს ისტორიის, კერძოდ 1907—1917 წლის პერიოდის მრავალ მნიშვნელოვანმა საკითხმა. ამიტომ ვ. ესაიაშვილის ნაშრომის ამ ნაწილს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, მით უმეტეს საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდი მეტის მეტად სუსტადაა შესწავლილი და გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ვ. ესაიაშვილი თავის წიგნის მეხუთე თავში განიხილავს საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიას ლიკვიდატორობის, ოტზოვიზმისა და ფილოსოფიური რევიზიონიზმის წინააღმდეგ და გვიჩვენებს ამ ბრძოლაში ვ. ი. ლენინის მიერ გაწეულ დახმარებას საქართველოს ბოლშევიკებისადმი. ახალი დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე ავტორმა დაასაბუთა: 1. რომ ბოგდანოვის გარშემო ატეხილი დავის შესახებ მაშინვე და დაწვრილებით იცოდნენ თბილისის ბოლშევიკებმა; 2. რომ ზოგიერთ თბილისელ ბოლშევიკს მაშინ მიმოწერა ჰქონდა თვით ბოგდანოვთან; 3. რომ ბოგდანოვის პოზიცია დაგმეს და მისი ფილოსოფიური შეხედულებანი უკუაგდეს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებმა და, რომ ბოგდანოვს თითო-ოროლა მიმდევარიც გაჩენია საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებში.

---

[105] საკანდიდატო დისერტაცია დაცული 1948 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში. მისი შემოკლებული ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალში „Вестник военно-научного общества", Тбилиси, 1961, № 1 (5), გვ. 25—28.

გარდა აღნიშნულისა ავტორმა პირველმა განიხილა ქართულ ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ოტზოვისტებისა და ვპერიოდელების წინააღმდეგ.

ავტორმა დაადგინა „ვპერიოდელთა“ „თბილისის წრის“ არსებობის ფაქტი, მაგრამ ვერ გამოარკვია, თუ ვინ შედიოდა ამ წრეში, რაც დამატებით კვლევაძიებას მოითხოვს.

3. ესაიაშვილი ნაშრომის ამავე თავში ეხება „ლიტერატურული ბიუროს“ საკითხს. „ლიტერატურული ბიუროს“ საკითხი, როგორც ცნობილია, ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში არამცთუ სათანადოდ არ იყო გაშუქებული, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებითად შეუსწავლელი და გაურკვეველი იყო. მის შესახებ ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობდა. ზოგიერთის აზრით „ლიტერატურული ბიურო“ მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა ზოგნიც მას მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ცენტრალურ ორგანოდ მიიჩნევდნენ და ა. შ.

3. ესაიაშვილი ახალი დოკუმენტების საფუძველზე აღადგენს „ლიტერატურული ბიუროს“ სრულ სახელწოდებას—„თბილისის მეუმრავლესეთა სალიტერატურო ბიურო“ და, ბოლოს, აკრიტიკებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ლიტერატურული ბიურო“ იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ცენტრი, და ცდილობს დაასაბუთოს, რომ იგი იყო მხოლოდ თბილისელ ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ორგანო. „ლიტერატურული ბიურო“ რომ ფორმალურად თბილისელ ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ორგანო იყო, ამას საკმაოდ ადასტურებს ნაშრომში ავტორის მიერ მოტანილი არგუმენტები, მაგრამ, ჩვენი აზრით, „ლიტერატურული ბიურო“ რომ ფაქტიურად ასრულებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოს როლს, უდაოდ მიგვაჩნია. ეს დებულება მეცნიერულად სწორია, რადგან, თუ ჩვენ უარვყოფთ „ლიტერატურულ ბიუროს“ ხელმძღვანელ როლს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში, მაშინ უნდა ვაღიაროთ:

ჯერ ერთი ის, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიის ერთიანი ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციები დაიშალნენ ცალკეულ ნაციონალურ (ვხმარობთ რესპუბლიკურის მნიშვნელობით), თუ შეიძლება ასე ითქვას, პარტიულ ორ-

განიზაციებად, მაშინ როდესაც მენშევიკური ორგანიზაციები კვლავ რჩებოდნენ გაერთიანებულად, საოლქო კომიტეტით სათავეში;

მეორე, „ლიტერატურული ბიუროს“ მაშინდელი ხელმძღვანელები ყოფილან მხოლოდ თბილისის ან ბაქოს მასშტაბის პარტიული მოღვაწეები. სინამდვილეში კი ისინი იყვნენ მაშინ, სულ ცოტა, მთელი კავკასიის მასშტაბის მოღვაწენი მაინც, რაც ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში უდაოთაა მიჩნეული;

მესამე, რომ თბილისის კომიტეტი ან მისი თანაბარი „ლიტერატურული ბიურო“ მაშინაც კი არ ყოფილა ფაქტიურად კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ცენტრი, როდესაც მასში შედიოდნენ ცნობილი პარტიული მუშაკები, და როდესაც ამიერკავკასიის ბოლშევიკებს არ ჰქონდათ სხვა რაიმე გამაერთიანებელი, ხელმძღვანელი ცენტრი;

მეოთხე, რომ თბილისი არ წარმოადგენდა კავკასიის სამხარეო ცენტრს, მხარის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს, ხოლო თბილისის პარტიული ორგანიზაციები არ წარმოადგენდნენ სამხარეო მასშტაბის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ხშირად მიჰყვებოდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციები.

თუ ყოველივე ამას ჩვენ ვაღიარებთ, მაშინ უდაოდ ჩრდილს მივაყენებთ საქართველოს და თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს. ეს კი, რამდენადაც ვ. ესაიაშვილის ნაშრომის საერთო ხასიათიდან სჩანს, სრულებით არ შეადგენს განსახილველი წიგნის მიზანს. პირიქით, ვ. ესაიაშვილის ნაშრომში საქართველოსა და თბილისის პარტიული ორგანიზაციები ისეთ სიმაღლეზეა, რასაკვირველია, სრულიად დამსახურებულად, აყვანილი, რომ იგი ჯერ კიდევ არც ერთ მკვლევარს ასე არ წარმოუდგენია.

განსახილველი ნაშრომის ამავე თავში ავტორი გვიჩვენებს საქართველოს ბოლშევიკების იმ დიდ ბრძოლას, რომელსაც ეწეოდნენ ისინი პრაღის კონფერენციის მოწვევისა და მისი გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ავტორმა ახალი დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა: 1. დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი რსდმპ საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის ლენინურ გეგმას; 2. სერიოზული მუშაობა გასწიეს ამ კონფე-

რენციის მოწვევის მოსამზადებლად; 3. ენერგიულად იბრძოდნენ პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის; 4. მთელი ამ მუშაობის პერიოდში უაღრესად მჭიდრო და სისტემატური კავშირი ჰქონდათ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ვ. ი. ლენინთან.

ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს უფრო ვრცლად უნდა მოეცა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ცენტრის („კავკასიის ბიუროს") შექმნის ისტორია; ეს საკითხი ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

ვ. ესაიაშვილის ნაშრომში საკმარისად არ არის ახსნილი ის მიზეზები, რომლებმაც დააინტერესეს ვ. ი. ლენინი სპეციალურად და დეტალურად გასცნობოდა ეროვნული საკითხის გაშუქების მდგომარეობას ქართულ პრესაში. საჭირო იყო აგრეთვე გაეშუქებინა ავტორს თუ რას ნიშნავდა 1914 წლის ივნისში მ. დავითაშვილის მიერ სამტრედიაში მ. ტოროშელიძისათვის მიწერილ წერილში შემდეგი სიტყვები: „კარგი იქნება ლადოსთან (ვ. ი. ლენინთან, ი. კ.) პირდაპირი მიმოწერა დავაყენრინოთ (ფ. **მახარაძეს**, ი. კ.), მაგის პოზიციას ილიჩი აუცილებლად უნდა გაეცნოს, რაც შეიძლება დაწვრილებით".

ვ. ესაიაშვილს სპეციალურად შეუსწავლია მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდის ლენინისეული დოკუმენტები და ლენინთან ქართველი კომუნისტების ურთიერთობის მთელი რიგი ახალი მასალები. ამის შედეგად ავტორის მიერ გარკვეულია და ნაშრომში სათანადოდ დასაბუთებული შემდეგი ძირითადი დებულებები: 1. ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ეცნობოდა ომის პერიოდის საქართველოს შესახებ არსებულ ლიტერატურას, კარგად იცნობდა საქართველოს სხვადასხვა პარტიებისა და კლასების დამოკიდებულებას ომისადმი; 2. ვ. ი. ლენინს მიმოწერა და პირადი შეხვედრები ჰქონდა საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებთან, განუმარტავდა მათ ომის ურთულეს საკითხებს, აძლევდა რჩევა-დარიგებასა და მითითებებს პარტიული მუშაობის შესახებ; 3. ვ. ი. ლენინი ულმობლად აკრიტიკებდა და ამხელდა ქართველი მენშევიკების ოპორტუნისტულ, სოციალ-შოვინისტურ პოზიციას ომისადმი დამოკიდებულების საკითხში და ამით ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ომის, ზავისა და რეაო-

ლუციის საკითხებში პარტიის პოლიტიკის გარშემო მასების დარაზმვის საქმეში; 4. საქართველოს კომუნისტები, თავის მხრივ, შეუნელებლად ადევნებდნენ თვალყურს ლენინის გამოსვლებს, მის წერილებს პრესაში, განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ლენინის მითითებებით, კერძოდ მის მიერ 1914 წლის შემოდგომაზე დაწერილ „თეზისებით ომის შესახებ“.

განსახილველი ნაშრომის ამ ნაწილში ავტორს, სამწუხაროდ, დაშვებული აქვს ზოგიერთი უზუსტობა. „ომის დასაწყისშივე საქართველოს მენშევიკებმა გამართეს თათბირი, — ვკითხულობთ ვ. ესაიაშვილის ნაშრომში, — და გადაწყვიტეს ომისადმი ნეიტრალური პოზიცია დაეჭირათ“[106]. საქართველოს მენშევიკები ომის დასაწყისშივე ომის საწინააღმდეგო პოზიციას დაადგნენ, როგორც ეს მშვენივრადაა გაშუქებული ამავე წიგნში[107] და არა ნეიტრალიტეტის პოზიციას. ნეიტრალიტეტის პოზიციას ირჩევდნენ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ თურქეთი მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. ამაზე მიუთითებს ახალსენაკის 1915 წლის ოქტომბრის თათბირის დადგენილებაც, სადაც ვკითხულობთ: „თათბირი მხარს უჭერს ადრინდელ დადგენილებას: მტრის შემოჭრის შემთხვევაში ხალხი იცავს სრულ ნეიტრალიტეტს“[108].

ვ. ესაიაშვილს საინტერესო მასალები აქვს მიკვლეული და გამოყენებული ქართველ ბოლშევიკებთან—ნ. ბუაჩიძესა და ნ. კიკნაძესთან ვ. ი. ლენინის ურთიერთობის შესახებ მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში. მაგრამ ავტორი არ აშუქებს ნ. ბუაჩიძის მოღვაწეობას თურქეთში, რაც ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო.

ბულგარულ ისტორიკოსებმა, როგორც ცნობილია მიაკვლიეს შთელ რიგ ახალ მასალებსა და დოკუმენტებს ვ. ი. ლენინისა და ნ. ბუაჩიძის ურთიერთობის შესახებ[109]. ამ მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ ნ. ბუაჩიძე ვ. ი. ლენინის დავალებით თურქეთიდან გადა-

---

[106] ვ. ესაიაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 238.

[107] იქვე, გვ. 238—240.

[108] ციტირებულია ვ. ესაიაშვილის დასახელებული წიგნის მიხედვით, გვ. 256.

[109] იხ. ი. სამუილოვი, კ. პინკასი, დიდი ლენინის დავალებით. ქართველი რევოლუციონერი სამუელ ბუაჩიძე ბულგარეთში (იხ. გაზ. „კომუნისტი“, № 120, 1959 წლის 27 მაისი).

სულა ბულგარეთში, იქ რევოლუციურ-პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად. ნ. ბუაჩიძემ, როგორც ცნობილია, დიდი როლი შეასრულა ბულგარეთში მარქსისტულ-ლენინური პარტიის ჩამოყალიბების საქმეში. გარდა ამისა იგი ბულგარულ პრესაში გამოდიოდა სტატიებით ომისადმი დამოკიდებულების საკითხებზე. ცნობილია, რომ ბულგარეთის ბურჟუაზიულმა პრესამ ასტეხა განგაში, თითქოს საქართველოს სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერდა რუსეთის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოებს, ნოე ბუაჩიძემ არ დააყოვნა პრესაში გამოსვლა პროტესტით ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ცილისწამების გამო, და სხვა. ამიტომ საჭირო იყო ბუაჩიძის საზღვარგარეთ მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხებიც შეესწავლა და გაეშუქებინა ვ. ესაიაშვილს თავის ნაშრომში.

ქართულ და, საერთოდ, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დიდხანს ბოგინობდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციაზე და რევოლუციის წინა პერიოდზე პოკროვსკის მცდარი შეხედულება. მ. ნ. პოკროვსკი და მისი „სკოლა“ უარყოფდა რევოლუციური აღმავლობას 1917 წლის თებერვლის წინა პერიოდში, უარყოფდა თებერვლის რევოლუციაში ბოლშევიკების ხელმძღვანელ როლს. როგორც ცნობილია, მ. ნ. პოკროვსკის გავლენას ერთხანს ფ. მახარაძეც კი განიცდიდა. ამ გავლენის რეციდივად გვეჩვენება საქართველოში თებერვლის რევოლუციის წინა პერიოდისათვის ფ. მახარაძის მიერ მიცემული შეფასება. იგი წერდა: „შედეგი მენშევიკების... მოღვაწეობისა იყო ის, რომ საქართველოში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინახანებში, 1907—8 წლებიდან დაწყებული, რევოლუციური მოძრაობა თითქმის სრულიად ჩამქრალი იყო. ამ დროს საქართველოში მუშები და გლეხები არა თუ არ ემზადებოდნენ ახალი რევოლუციისათვის, არამედ იმათ საჭიროდაც აღარ მიაჩნდათ ახალი რევოლუცია და არც კი მოელოდნენ მას... იმ დროს, როცა რუსეთის თებერვლის რევოლუციის პირველი ეტაპი უკვე დასრულებული იყო სრული გამარჯვებით, ტფილისში ტელეგრაფის საშუალებით მოდის რაღაც ბუნდოვანი ცნობა — „მთავრობაძე გარდაიცვალაო“[110]. ეს არის მ. ნ. პოკროვსკის მცდარი კონცეფციის გამოძახილი საქართველოში. მ. ნ. პოკროვსკის ეს კონცეფცია ჩვენ ჯერ კიდევ 1940

[110] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 45.

წელს გავაკრიტიკეთ. ამის შესახებ ჩვენ მაშინ ვწერდით, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, როგორც დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა მოითხოვდა ახსნას და მ. ნ. პოკროვსკის, როგორც ისტორიკოსს, უნდა მოეცა ამ ისტორიული ფაქტის მარქსისტულ-ლენინური ახსნა, მით უმეტეს ის თავის თავს მარქსისტ-ისტორიკოსად თვლიდა.

მაგრამ მ. ნ. პოკროვსკი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, ის წერს: „1917 წლის მარტში გაიმარჯვა რევოლუციამ, უეჭველად, ნამდვილმა მუშათა რევოლუციამ“[111]. და შემდეგ დასკვნის: „ამგვარად, თებერვლის რევოლუცია იყო არა მარტო მუშათა რევოლუცია, არა მარტო პროლეტარული რევოლუცია... არამედ სრულიად ობიექტურად, აუცილებლად იყო სოციალისტური რევოლუცია“[112].

როგორც ვხედავთ, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, რომელმაც დაამხო ცარიზმი და ძალაუფლება გადასცა „ბურჟუაზიას და გაბურჟუებულ მემამულეებს“, მ. ნ. პოკროვსკი უწოდებს პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციას.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების პირობათა ანალიზის დროს მ. ნ. პოკროვსკი დგება მცდარ პოზიციაზე, უარყოფს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობას პროლეტარიატისადმი რევოლუციაში, რევოლუცია მიაჩნია მუშათა სტიქიურ ბრძოლად ცარიზმის წინააღმდეგ. „რატომ სწრაფად დაემხო თვითმპყრობელობა, რატომ არ მოხდა ის, რაც მოხდა 1905 წელს, როცა იგი საკმაოდ ხანგრძლივად ინარჩუნებდა წინააღმდეგობის უნარს“?—კითხულობს მ. ნ. პოკროვსკი და უპასუხებს—„დიაღ, იმიტომ, რომ იმ დროს ყველა ვინც უშუალოდ იძლეოდა განკარგულებას; ყველა ემზადებოდა სასახლის ამ გადატრიალების წარმატებისათვის... იმიტომ, რომ საერთოდ მუშებს ანგარიშში არ ღებულობდნენ, იმათგან არაფერს, არავითარ განსაკუთრებულ გამოსელებს არ მოელოდნენ“[113]; და დაასკვნის: „აი, მაშასადამე, რა პირობებმა მოამზადეს შესაძლებლობა პიტერის იმ აჯანყების ასეთი სწრაფი წარ-

---

[111] მ. ნ. პ ო კ რ ო ვ ს კ ი, ნარკვევები რუსეთის XIX და XX საუკუნეების რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, გვ. 111 (რუს. გამ.).

[112] ი ქ ვ ე ი, გვ. 191.

[113] ი ქ ვ ე ი, გვ. 179, 180.

მატებისა, მით უფრო დამახასიათებელი წარმატებისა, რადგან ამ დროს პეტერბურგის ბოლშევიკები ათეული ვერსით იყვნენ დაშორებულნი შეიარაღებული აჯანყებისაგან"[114].

ციტირებულ დებულებაში, ჯერ ერთი, სრულებით შემცდარია ავტორის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს თებერვლის რევოლუციის გამარჯვების მთავარ პირობას წარმოადგენდეს სათათბიროს „პროგრესული ბლოკისა" და ინგლის-საფრანგეთის აგენტების მიერ სასახლის გადატრიალების მზადება. არსებითად ის ასრულებდა დაწყებული ისტორიული საქმის დამაჩქარებლის როლს.

აი, რას წერდა ვ. ი. ლენინი ამის შესახებ: „...თუ ომში დამარცხებამ უარყოფითი ფაქტორის როლი ითამაშა, თუ მან დააჩქარა აფეთქება, სამაგიეროდ ინგლის-საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის კავშირი რუსეთის ოქტომბრისტ-კადეტების კაპიტალთან ისეთი ფაქტორი აღმოჩნდა, რომელმაც ეს კრიზისი დააჩქარა"[115]. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ:

„თუ არა სამი წლის უდიდესი კლასობრივი ბრძოლები და რუსეთის პროლეტარიატის 1905—1907 წლების რევოლუციური ენერგია, შეუძლებელი იქნებოდა ასეთი სწრაფი მეორე რევოლუცია, სწრაფი მისი დაწყებითი ეტაპის რამდენიმე დღეში დამთავრების აზრით"[116].

მ ე ო რ ე, მ. ნ. პოკროვსკი უგულვებელყოფდა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციისათვის მომწიფების ფაქტს, მაშინ, როდესაც ეს ცარიზმისა და ბურჟუაზიისათვისაც უკვე ნათელი იყო. ბურჟუაზია მზადებდა რა სასახლის გადატრიალებას, ამით მას უნდოდა ორი კურდღელი მოეკლა: ჯერ ერთი, დაპატრონებოდა ხელისუფლებას და უზრუნველეყო იმპერიალისტური ომის შემდგომი წარმოება, მეორე — სასახლის ფარგლებში პატარა გადატრიალებით თავიდან აეცილებინა კარს მომდგარი სახალხო რევოლუცია, რომლის ტალღები იზრდებოდა[117].

---

[114] მ. ნ. პ ო კ რ ო ვ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180.

[115] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რჩ. ნაწერები ორ ტომად, 1937 წ. ტ. II, გვ. 7.

[116] ი ქ ვ ე, გვ. 3.

[117] ჟურ. „ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი", № 7, 1940, გვ. 35.

მ ე ს ა მ ე, მ. ნ. პოკროვსკი, იმოწმებდა რა ტროცკისტ შლიაპნიკოვს, ამტკიცებდა, თითქოს ბოლშევიკები ათეული კილომეტრებით იყვნენ დაშორებულნი პეტერბურგის შეიარაღებულ აჯანყებას. უარჰყოფდა ბოლშევიკური პარტიის როლს რევოლუციაში.

ბოლშევიკური პარტია დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ამზადებდა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური შეტევისათვის. პეტერბურგის პროლეტარიატს სათავეში ედგა რსდმპ ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს საერთო ხელმძღვანელობით, რომელიც რაზმავდა მთელ რევოლუციურ ძალებს ომისა და ცარიზმის წინააღმდეგ. ის იყო რევოლუციური მუშაობის სულის ჩამდგმელი არმიის ნაწილებში, სადაც იქმნებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციები და მებრძოლთა ჯგუფები.

მ. ნ. პოკროვსკი, იმოწმებდა რა ტროცკისტ შლიაპნიკოვს, ამტკიცებდა, თითქოს ბოლშევიკები პროლეტარიატს არ მოუწოდებდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისაკენ, არამედ, თითქოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აჯანყების საწინააღმდეგო, განიარაღების დირექტივებსაც კი იძლეოდა.

ნამდვილად კი 1917 წლის 14 და 25 თებერვლის ფურცლებში რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი მოუწოდებდა მუშებს და მთელს დემოკრატიას, მთელი რევოლუციური ძალების მობილიზაციისაკენ, ცარიზმის დამხობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ.

ჯერ კიდევ სტატიაში „წერილები შორიდან" ლენინი წერდა:

„კერენსკი და ჩხეიძე იძულებული გახდნენ ცენტრალური კომიტეტის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის ანგარიში გაეწიათ იმიტომ, რომ მას პროლეტარიატზე, მასებზე გავლენა აქვს. ჩვენი პარტია მასებთან, რევოლუციურ პროლეტარიატთან აღმოჩნდა; ეს მოხდა მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ჩვენი დეპუტატების დაპატიმრებისა და ციმბირს გადასახლებისა ჯერ კიდევ 1914 წელს. მიუხედავად იმ გაოფთრებული დევნისა და დაპატიმრებათა, რასაც განიცდიდა პეტერბურგის კომიტეტი ომის დროს თავის არალეგალური მუშაობისათვის ომის წინააღმდეგ და ცარიზმის წინააღმდეგ"[118].

---

[118] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 413.

როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, ყველაზე უფრო კონსერვატიული და ბურჟუაზიული ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ კორესპონდენტიც კი იძულებული იყო ეღიარებინა ის ფაქტი, რომ რევოლუციური პეტერბურგის მუშებს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. მ. ნ. პოკროვსკი კი ამახინჯებდა ისტორიულ სინამდვილეს.

მ. ნ. პოკროვსკი უარყოფდა ბოლშევიკური პარტიის მუშაობას ჯარის ნაწილებშიც, ის წერდა: „ჩვენ შეგვიძლია სავსებით ეარეყოთ ბოლშევიკური აგიტაციის გავლენა. იგი ჯერ არ იყო, მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გაშლილიყო, იგი ჯერ კიდევ პიტერის პროლეტარიატსაც ვერ დაეუფლა საბოლოოდ[119]. რამდენიმე გვერდის შემდეგ ის უარჰყოფს ბოლშევიკური აგიტაციის საჭიროებასაც კი არმიაში, მისი აზრით: „...არ იყო საჭირო არავითარი ბოლშევიკური აგიტაციე იმისათვის, რომ ანტისაომარი განწყობილების ფართო ტალღა მოსდებოდა ფრონტს“...[120] ბოლშევიკურ პარტიას არასოდეს თვით რეაქციის მძიმე პერიოდშიც კი არ შეუწყვეტია მუშაობა ჯარის ნაწილებში, ომის პერიოდში ბოლშევიკები ჯარს მოუწოდებდნენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისაკენ[121]. როგორც ცნობილია, ბოლშევიკებმა კრონშტადტში შექმნეს „კრონშტადტის სამხედრო ორგანიზაციის მთავარი კოლექტივი“, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიის პეტროგრადის კომიტეტთან.

ამ საკითხზე ამდენს არ შევჩერდებოდით, რომ რეაქციულ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას დღესაც აქედან არ მოჰქონდეს იერიშები საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ. გ. ფონ რაუხი თავის წიგნში „ბოლშევიკური რუსეთის ისტორია“, უარჰყოფს ბოლშევიკების არამარტო ხელმძღვანელობას, არამედ მათს მონაწილეობასაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში[122]. ე. ჰოლცლე ამტკიცებს, არავინ იცოდა თუ რა ლოზუნგებს აყენებდნენ ბოლშევიკე-

---

119 მ. ნ. პოკროვსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 185.

120 იქვე, გვ. 187.

121 ი. კაპარავა, მ. ნ. პოკროვსკის შეცდომების შესახებ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის საკითხებში, იხ. ჟურ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, № 7, 1940 წ., გვ. 34—37).

122 G. von Rauch, Geschichte des bolschewistischen Russland. Wiesbaden, 1955, S. 67.

ბი თებერვლის რევოლუციაშიო[123]. ე. ლემბერგი კი დასძენს, ბოლშევიკები საერთოდ არ იყვნენო მზად რევოლუციისათვის[124]. ასეთივე თვალსაზრისს ავითარებს ამერიკელი ისტორიკოსი რ. პაიპსი და სხვ.[125] ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ეს ნაყალბევი, ამხილა რა საბჭოთა მეცნიერმა ვ. ი. სალოვმა, აღნიშნა, რომ «... это отрицание руководящей роли большевиков в февральской революции, также как и все вымыслы реакционеров о положении в рядах партии и обее тактике в первые недели революции, до приезда В. И. Ленина, представляют собой не что иное, как пересказ давно разоблаченных антиленинских выпадов злейших врагов партии—Троцкого и Шляпникова, сознательно извращавших историю большевизма[126]. არ იქნებოდა ურიგო, ამასთან ერთად აღენიშნა ვ. ი. სალოვს მ. ნ. პოკროვსკის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებაც.

ქართველმა ისტორიკოსებმა — გ. ხაჟაპურიძემ, ა. სურგულაძემ, ვ. ესაიაშვილმა, ს. ჩხარტიშვილმა, ა. კიკვიძემ, მ. ცერცვაძემ და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს 1907—1917 წლების ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ პერიოდის გაშუქებისას ფ. მახარაძის მიერ დაშვებული შეცდომები მათ მიერ უკვე გასწორებულია. მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოვლინებული, შესწავლილი და გაშუქებულია რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ამსახველი ახალი მასალები და დოკუმენტები. დამაჯერებლადაა ნაჩვენები რევოლუციურ მოძრაობაში, 1917 წლის თებერვლამდე და მის შემდგომ პერიოდში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

---

[123] იხ. В. И. Салов, Германская историография октябрьской революции, М., 1960.

[124] იქვე.

[125] R. Pipes, The formation of the Soviet Union (1917—1923), 1954, pp. 50—114.

[126] В. И. Салов, Германская историография октябрьской революции, М., 1960 г. стр. 110.

§ 2. სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის წლები წარმოადგენს საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან ეტაპს. ამიტომ ბუნებრივია, საქართველოსა და ამიერკავკასიის 1917—1921 წლების ისტორიამ თავიდანვე რომ მიიპყრო პოლიტიკურ მოღვაწეთა და მკვლევარ-ისტორიკოსთა ყურადღება. მრავალი დაიწერა და დღესაც ბევრი იწერება შრომები აღნიშნული პერიოდის გაშუქებას რომ ისახავენ მიზნად.

მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ინტერესი 1917—1921 წლების ისტორიისადმი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მაგრამ სრულიად არა ერთი და იგივე მიზნით. ჩვენში მკვლევარ-ისტორიკოსთა ინტერესი აღნიშნული პერიოდისადმი გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული მიზნებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ პიროვნების კულტის დაგმობამ და ცრუმეცნიერული და მავნე წიგნის — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“ მხილებამ შესაძლებელი გახადეს ჩვენში ადრე დოგმად გამოცხადებული ბევრი ისტორიულ-თეორიული დებულების გადასინჯვა და, მაშასადამე, ისტორიული კვლევა-ძიების ახალი მძლავრი აღმავლობა. რაც შეეხება საზღვარგარეთ 1917—1921 წლების ისტორიისადმი ინტერესის გაცხოველებას, იგი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნებითაა ნაკარნახევი.

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ მოინდომა თავისი რეაქციული პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოებისა და პიროვნების კულტის დაგმობის შესახებ, მოინდომა კომუნისტური პარტიის მთელი რევოლუციის შემდგომი პერიოდის მოღვაწეობის პოლიტიკური ხაზის ეპვქვეშ დაყენება, საბჭოთა ხალხებს შორის შუღლის ჩამოგდება, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის სახელის გატეხვა და, ბოლოს, წინამძღვრების შექმნა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხოელ იმპერიალისტთა ჩარევისათ-

ვის. ამავე მიზნით მიმართავს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საქართველოსა და ამიერკავკასიის 1917—1921 წლების ისტორიის ფალსიფიკაციას.

თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1917—1921 წლებში არ არსებობდა რევოლუციური სიტუაცია, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დამპყრობის შესაძლებლობა, რომ არარაობამდე სუსტი იყო ბოლშევიკური პარტია და ხალხი მხოლოდ ბურჟუაზიას მიჰყვებოდა. ბურჟუაზიული ისტორიკოსები, გამოდიან რა აქედან, ცდილობენ დაამტკიცონ ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა შექმნის კანონზომიერება და უარჰყონ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების კანონზომიერი ხასიათი[1]. ასეთი „თეორიებით" მათ სურთ, რაც მთავარია, დააბუთონ ამიერკავკასიის საქმეებში იმპერიალისტური სახელმწიფოთა ჩარევის „უფლება". ამაზე ნათლად მეტყველებს ის სპეციალური მოხსენება, რომელიც შეადგინა ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ შექმნილმა ე. წ. „კერსტენის კომისიამ" „კომუნისტური აგრესიის" გამოკვლევის მიზნით. ეს მოხსენება, რომელიც წარმოადგენს ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ უტიფარ ცილისწამებას, 1954 წლის ბოლოს განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სესიამ და 1955 წელს გამოსცა დიდი ტირაჟით[2].

მაგრამ იყო დრო, როდესაც ამერიკელი ისტორიკოსები და დიპლომატ-პოლიტიკოსები სულ სხვა ჰანგებზე მღეროდნენ. 1917—1921 წლებში, როდესაც ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევის გამართლება სჭირდებოდათ, გულმოდგინეთ ამტკიცებდნენ, სიმართლე რომ ითქვას არც თუ უსაფუძვლოდ, ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციისათვის რეალური პირობების არსებობას 1917 წლიდან, ხალხსა და არმიაში ბოლშევიკური გავლენის სწრაფ ზრდასა და

[1] იხ. R. Pipes, The formation of the Soviet Union. Kommunism and Nationalism, 1917—1923, Cambridge, 1954, p.p. 98—99, 103—104.

[2] იხ. Г. А. Галоян, Социалистическая революция в Закавказье в освещении буржуазной историографии, Москва, 1960, стр. 31—32.

რევოლუციური მოძრაობის განუხრელ აღმავლობის ფაქტს. ამით ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა ლტოლვას ამიერკავკასიისაკენ ასაბუთებდნენ რევოლუციისაგან ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობათა დაცვის საჭიროებით. მაგრამ როგორც იტყვიან, დროება შეიცვალა, ამიერკავკასიაში სოციალისტურმა რევოლუციამ მაინც გაიმარჯვა და აქ, სოციალისტური საზოგადოება აშენდა. უკვე აღარ გამოადგებათ ბურჟუაზიის დაქირავებულ ლაქიებს ძველი საბუთები ამიერკავკასიის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის გასამართლებლად. მათ გაფაციცებით დაიწყეს კომისიებისა და „მეცნიერული" გამოკვლევების შექმნა, რათა დაამტკიცონ, რომ 1917—1921 წლების ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციისათვის არ არსებობდა ხელსაყრელი პირობები და აქ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება არა კანონზომიერია. ეი, რა სჭირდებათ ახლა იმპერიალისტებს! და გაჩნდნენ „ისტორიკოსებიც", რათა იდეოლოგიურად დაასაბუთონ ამიერკავკასიის საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის „უფლება". მაგრამ ასეთ ცდას საკადრისი პასუხი გასცეს არა მარტო საბჭოთა ისტორიკოსებმა, არამედ საზღვარგარეთელ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმაც[3].

---

[3] ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ერთდროულად, 1960 წელს. გამოვიდა ლ. შაპიროს ცილისმწამებლური წიგნი—„საბჭოთა ქვეშრის კომუნისტური პარტია". ამ წიგნზე ინგლისელმა ისტორიკოსმა ე. . როტშტეინმა 1960 წლის ივნისში გამოაქვეყნა რეცენზია ჟურნალში—„Marxism Today", რაც მცირეოდენი შემოკლებით ითარგმნა და დაიბეჭდა ჟურნალში „История СССР". თავის რეცენზიაში ა. როტშტეინი აყენებს კითხვას—„რატომ გამოიცა ეს წიგნი?", და პასუხობს: «Трудно ли догадаться читателю, почему фонд Форда решил помочь в 1956 г. Шапиро написать эту книгу... особенно если учесть, что Шапиро к тому времени уже был автором другой антисоветской работы, на которую он не один раз ссылается? Трудно ли, не слишком напрягая воображение, понять, почему в конце того же года „Life" пригласил английского журналиста написать популярную историю русской революции?... В последнем случае мы знаем ответ: «пришло время бросить вызов ортодоксальному отношению коммунистов к Ленину и революции (см. Alan Moorchead, The RussianRevolution, L., 1958, p. 12). Почему время пришло в 1956 г.? Нет, догадаться не стольуж трудно».. («История СССР», 1961 г. № 3, стр. 197).

ამრიგად, იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი დაქირავებული მჯლაბნელები მეცნიერებაში ადვილად იჩენენ „გულმავიწყობას", როდესაც ამას მოითხოვს მათი მტაცებლური, ანტიხალხური პოლიტიკის ინტერესები. არა მარტო რევოლუციური სიტუაციისა და რევოლუციის კანონზომიერი ხასიათის საკითხთან დაკავშირებით დასჩემდათ იმპერიალისტებს „გულმავიწყობა", არამედ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებითაც:

«Если до 1920 г. империалисты Антанты и США, — წერს გ. გალოიანი, — выступали против независимости закавказских республик, то это диктовалось империалистическими планами оказания поддержки русской белогвардейщине в борьбе против Советской России, а также желанием установить единый мандат США над всем Закавказьем. И если в настоящее время они выступают в «защиту» независимости закавказских республик, то это диктуется желанием доказать «незаконность» установления Советской власти в республиках Закавказья, стремлением восстановить в них буржуазные порядки. Это является не только фальсификацией исторической правды, но и грубым вмешательством империалистов США во внутренние дела народов независимых Советских республик Закавказья»[4].

ამრიგად, ისტორიის ყოველი ფალსიფიკაცია ბურჟუაზიული მეცნიერების ხელში წარმოადგენს სხვის შინაურ საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის იდეოლოგიურ იარაღს.

საქართველოს 1917—1921 წლების ისტორია, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ არ გასულა საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესების სფეროდან. ამდენად იგი ჯერ კიდევ წარმოადგენს იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მოწინავე ცეცხლის ხაზს. ბურჟუაზიულ ობიექტივიზმისაკენ აქ უნებლიე მცირედი გადახრაც კი საგრძნობ რეზონანს იძლევა რეაქციულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამიტომ განსაკუთრებით აღნიშნული პერიოდის მკვლევარს მართებს მტკიცედ და თანმიმდევრულად გაატაროს ლენინური პარტიულობის პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ მოვლენათა ობიექტურად გაშუქების უმაღლეს კანონს. ამ მიმართულებით საბჭოთა

---

[4] Г. А. Галоян, социалистическая революция в Закавказье в освещении буржуазной историографии, М., 1960, стр. 127.

მკვლევარ-ისტორიკოსის გზა დიდი ხნის გაწალდულია. ამ გზას მძლავრ პროექტორივით ანათებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბელადისა და ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის გენიალური შრომები და წერილები, მისი გამოჩენილ მოწაფეთა და თანამებრძოლთა შრომები და დოკუმენტები. ეს ოქროს ფონდი მკვლევარ-ისტორიკოსის ხელში წარმოადგენს ერთადერთ საიმედო გასაღებს 1917—1921 წლების ისტორიის მეცნიერული გაშიფრვისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მაშინდელ მოღვაწეთა ლიტერატურული მემკვიდრეობას აქვს არა მარტო პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა, არამედ დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობაც. ამიტომ ბუნებრივია, რომ აღნიშნულ (1917—1921 წლების) პერიოდის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლები არიან სწორედ ვ. ი. ლენინი და მისი მოწაფე-თანამებრძოლები.

ვ. ი. ლენინის შრომებში, სიტყვებსა და წერილებში მეცნიერულადაა გაშუქებული საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხი. ცალკეული პრობლემების ლენინური გადაწყვეტა საიმედო ამოსავალი გახდა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მთელი ამ ეპოქის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. ვ. ი. ლენინის შრომებში ახსნილია მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მენშევიკების მიერ ძალაუფლების დაპყრობა საქართველოში, მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანტიხალხური, რეაქციული ხასიათი, კლასობრივი ბრძოლის მიმდინარეობა საქართველოში, მენშევიკური საქართველოს კავშირი დასავლეთის იმპერიალისტებთან სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ და სხვ.[6]

ვ. ი. ლენინის მოწაფეებისა და თანამებრძოლთა შრომებში, სიტყვებსა და წერილებში აგრეთვე გაშუქებულია საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. მათი ცალკეული შრომები და შენიშვნები არა მარტო და არა მხოლოდ თეორიულ-მეცნიერული ინტერესებით იყო ნაკარნახევი, არა-

---

[6] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 48; ტ. 28, გვ. 7, 8; ტ. 29, გვ. 645; ტ. 30, გვ. 16, 281; ტ. 31, გვ. 555; ტ. 32, გვ. 176; Ленинский сборник, ტ. XXXIV, გვ. 291, 295, 296. 311 და სხვ.

მედ უმთავრესად პრაქტიკულ-პოლიტიკური ინტერესებითაც. ამიტომ მათი შენიშვნები და შრომები სპეციალური დანიშნულებისაა, შედარებით ვრცელი და საკმაოდ არგუმენტირებულიცაა. ცოტა სხვა ხასიათისაა ფ. მახარაძის ზოგიერთი ნაშრომი[6], აგრეთვე მაჰია ორახელაშვილისა[7] და სხვათა შრომები, რომლებიც დაწერილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ესენი უფრო მეცნიერული გამოკვლევის ხასიათისანი არიან, მაგრამ სრულიად არ არიან ისინი მოკლებულნი პოლიტიკურ მიზანდასახულებას, რომლის გარეშეც ისინი ყოველგვარ ღირებულებას დაკარგავდნენ.

ასე შეიძლება დავახასიათოთ მოკლედ ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც დახვდა საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის მკვლევართ ჩვენში. მაგრამ მათ დახვდათ აგრეთვე მოწინააღმდეგე ბანაკიდან ანტიმარქსისტული, ანტისაბჭოთა ლიტერატურის საკმაოდ მოზრდილი არსენალი. ამ არსენალში წარმოდგენილია ქართული და უცხოური ანტისაბჭოთა ლიტერატურა, ისინი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან საბჭოთა საქართველოსადმი სიძულვილსა და ცილისწამებაში, ჩვენი ხალხის გმირული წარსულის ფალსიფიკაციაში. ისინი „მეცნიერის" ნიღბით გამოდიან და მეტნაკლები უბოდიშოდ ასრულებენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის დაკვეთას, ცდილობენ იდეოლოგიური გამართლება მოუძებნონ ყოველგვარ შესაძლო იმპერიალისტურ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში[7a].

---

[6] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, თბ., 1922; მ ი ს ი ვ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.), თბილისი, 1927.

[7] მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „ამერიკაკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", თბილისი, 1927

[7a] ხ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს დამოუკიდებლობა. თბილისი, 1924; გ. გ ი ო რ გ ა ძ ე. საქართველო, ანტანტა და რუსეთი, თბილისი, 1921; კ. კ ა უ ც კ ი, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 1920; Г. Хундадзе, Советская власть и Грузинское посольство в России; Г. Уротадзе, Образование и консолидация Грузинской демократической республики, Мюнхен, 1956; P. Kentmenn, Der Kaukasus—150 Jahre russischer Herrschaft., Leipzig, 1913: A. Sanders (A. Nikuradze), Kaukasien. Nordkaukasien... Georgien—geschichtlcher Umriss, Munich, 1944; F. Kazemzadeh, The Struggle for Transcaucasie (1917—1921), New-York, 1951; R. Pipes, The formation

მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და დასავლეთის პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერ-ისტორიკოსთა დარტყმების გამო ისინი მიზანს ვერ აღწევენ, დღის სინათლეზეა გამოტანილი მათი პოლიტიკური ზრახვები.

ასეთივე ბედი ეწვია ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაციის მესვეურთა „ლიტერატურულსა" და „მეცნიერულ" საქმიანობას. ყოველივე ეს მხედველობიდან გამორჩა საქართველოს XIX—XX საუკუნეთა ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილველს, ახლად მოვლენილ „მეცნიერს" მინდია ლასხაურს თავის ისტორიოგრაფიულ ნაშრომში, რომელიც მან არც ისე დიდი ხანია შეთითხნა დასავლეთის იმპერიალისტთა საამებლად[8].

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ჩვენ მიერ დასახელებულ წარმომადგენელთა „ნაშრომების" დეტალურ განხილვას აქ ვერ შევუდგებით, იგი სპეციალური გამოკვლევის საგანია. საბჭოთა ისტორიოგრაფიას რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მხილების საქმეში სერიოზული მიღწევები აქვს, რაც ყველა ისტორიკოსისათვის უკვე ცნობილია[9].

---

of the Soviet Union,... 1954; A. Hatschidze, Georgien Unnsbruck, 1926; M. Khomeriki, La Réforme agraire et l'économie rnrale en Georgie, Paris, 1921; K. Chavischvily, Trotski ef la Geordie, Promethe, Paris, IV, № 29, 1929; R. Maurach, Handbuch der Sowietverfassung; G. von Rauch, Russland: Staatliche Finheit und nationale Yielfalt; ეს ორ უკანასკნელი ავტორის შესახებ იხ. В. И. Салов, Германская историография октябрьской революции, М., 1960, стр. 142).

[8] იხ. მ. ლასხაურის დასახელებული „ნარკვევი".

[9] В. И. Салов, Германская историография Великой Октябрьской социалистической революции (см. жур. «Новая и новейшая история», 1957 г. № 4); его же, О фальсификации тактики большевиков в марте-апреле 1917 года западногерманской буржуазной историографией (см. жур. «Вопросы истории», 1959, № 8); его же, Как извращается история советского общества в работах Б. Мейсснера (см. жур. «История СССР», 1959, № 1); Б. Е. Штейн, Некоторые вопросы истории Великой Октябрьской социалистической революции (см. сб. статей «Против буржуазной фальсификации истории советского общества», М., 1960); А. П. Бутенко, Вокруг работы Ровы Люксембург, «Русская революция» (см. жур. «История СССР», 1958, № 2); А. И. Данилов, Немецкие буржуазные историки «либерального на-

საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის პირველი მარქსისტი მკვლევარი ქართველ ისტორიკოსთაგან იყო ფ. მახარაძე. მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა აღნიშნული პერიოდის ისტორიის გაშუქებას. ამ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია პირველ რიგში 1927 წელს გამოქვეყნებული წიგნი „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში".

ფ. მახარაძის ნაშრომი მკვლევართა ყურადღებას იპყრობს არა მარტო თავისი მეცნიერული დონით, არა მარტო როგორც ისტორიული ნარკვევი, არამედ როგორც ისტორიული წყაროც. ფ. მახარაძე იყო 1917—1921 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი. იგი სხვებთან ერთად სათავეში ედგა იმ დიდ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც გაიშალა აქ, საქართველოში ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამის გამო აღნიშნულ მოძრაობაში მოპოვებული წარმატება, დაშვებული შეცდომა თუ მარცხი ფ. მახარაძის ნაშრომში მეცნიერის გულგრილობით (თუ შეიძლება ასე ითქვას პირობითად, თორემ „გულგრილი მეცნიერები" არ არსებულან და არც არსებობენ) არ შეიძლება იყოს გადმოცემული. ეს გარემოება ისტორიკოსებისაგან მოითხოვს ფ. მახარაძისა და სხვა მის თანამედროვე თუ თანამებრძოლ-თანამოკალმეთა[10] შრომებისადმი კრიტიკულ მიდგომას. მაგრამ კრიტიკაცაა და კრიტიკაც. აღნიშნულ ავტორთა შრომები არა ერთხელ გაუკრიტიკებიათ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად

правления» во время первой мировой войны и революции 1918—1919 годов (см. жур. «Новая и новейшая история», 1958, № 5); Б. Спиру, Западногерманские остфоршеры на службе политики реваншизма (см. жур. «История СССР», 1960, № 1); «Против фашистской фальсификации истории» (Сборник статей), М.-Л., 1939.

[10] მ. ორახელაშვილი. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს. თბილისი, 1927; შ. ლეკავა, მოგონებანი საქართველოს ეროსაბჭოების შესახებ, თბილისი, 1927; მისივე, რევოლუციური ბრძოლა და პარტიული მუშაობა, ტ. I, 1933; გ. დევდარიანი, საქართველოს კომკავშირის სათავეებთან, თბილისი, 1927; ა. ურუშაძე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1918 წლებში და ქართველ ეროვნისტ ოპოზიციონერ ბელადების შეცდომათა სათავეები, ქუთაისი, 1927; ვ. ეღენტი, ბოლშევიკური ბრძოლის ათი წელი (1917—1927 წ. წ.), თბილისი, 1931 და სხვ.

განწყობილ ადამიანებს ჩვენში თუ საზღვარგარეთ, ასეთ კრიტიკას, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო ამხანაგურ, მეცნიერულ კრიტიკასთან, რომელსაც მიზნად აქვს მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენა. ფ. მახარაძისა და სხვა მის თანამედროვეთა შრომებში ჩვენ ვაკრიტიკებთ არა ნაშრომის მიზანდასახულებას, არა მის საერთო მიმართულებას ან ავტორის საერთო კონცეფციას, რომელშიაც არაფერია საეჭვო და მიუღებელი საბჭოთა მეცნიერებისათვის, არამედ აღნიშნულ ავტორთა ცალკეულ მოსაზრებებს ამა თუ იმ კონკრეტულ მოვლენას რომ შეეხებიან, რომელთა დაზუსტებაზე და გასწორებაზე ბევრი მათგანიც არ იტყოდა უარს რომ დღეს ცოცხალთა შორის იყვნენ.

ფ. მახარაძის შრომებს, „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში", „საქართველოს მუშათა კლასი 1917—1921 წლებში" და სხვ. მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლისა, დიდი მეცნიერული და თეორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. მიუხედავად ამისა „ფ. მახარაძის ეს შრომები მკვლევარების მიერ არა თუ სათანადოდ არ არის შეფასებული, არამედ ზოგჯერ გვერდაცლილია კიდეც. ნამდვილად კი, მიუხედავად იმისა, რომ ფ. მახარაძეს ჰქონდა ზოგიერთი შეცდომა, ზოგი მისი დებულება მოძველებულიც არის და დაზუსტებასაც მოითხოვს, ეს შრომები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ იმდროინდელი ვითარების მთლიანი სურათი"[11].

1917 წელს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის დაახლოებით სწორ ასახვას წარმოადგენს მამია ორახელაშვილის ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", მაგრამ ცალკეული შეცდომებისაგან, ისე როგორც ფ. მახარაძის შრომები, არც ესაა დაზღვეული, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მშრომელთა გმირული ბრძოლის ისტორიის შესწავლას დიდი შრომა და ენერგია მოანდომა აკად. გ. ხაჭაპურიძემ. აღნიშნული საკითხის კვლევა პირველად მან დააყენა ნამდვილად მეცნიერულ ნიადაგზე. მისი კაპიტალური გამოკვლევა „ქართველი ხალხი საბ-

---

[11] ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში, თბილისი, 1957, გვ. 24.

ჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში" მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან ავტორის გარდაცვალებამდე, რამდენიმეჯერ გამოიცა თბილისსა და მოსკოვში ქართულსა და რუსულ ენებზე. გ. ხაჭაპურიძის ამ ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში[12].

გ. ხაჭაპურიძემ თავის დასახელებულ მონოგრაფიაში საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის ყველა ძირითადი საკითხი, რომელიც კი დააყენა მან, გადასწყვიტა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, მაღალ მეცნიერულ დონეზე. მაგრამ ზოგიერთი საკითხი ავტორმა არ დააყენა, ალბათ მათი, აგრეთვე მეცნიერული გადაწყვეტისათვის, საკმარისი მასალის უქონლობის გამო. გ. ხაჭაპურიძემ მის მიერ ღიად დატოვებული საკითხების მეცნიერული შესწავლისა და გადაწყვეტის ამოცანა უანდერძა თავის მოწაფეებს (ა. სურგულაძე, მ. ცერცვაძე და სხვ.), რომლებმაც, უნდა თქვას, მიუხედავად მცირედი წაბორძიკებისა, ღირსეულად გააგრძელეს მათი მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე.

საქართველოსა და ამიერკავკასიის 1917—1921 წლების ისტორიას ა. სურგულაძემ სამი კაპიტალური გამოკვლევა უძღვნა[13]. ამ ნაშრომებში ა. სურგულაძე დიდძალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, წინამორბედ ავტორებთან შედარებით, აფართოებს წრეს საკითხებისა, რომელთა გაშუქება აუცილებელია 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის. გარდა ამისა ა. სურგულაძე თავის მონოგრაფიებში, განსხვავებით გ. ხაჭაპურიძის ნაშრომისა, რომელიც წარმოადგენდა 1917—1921 წლების უფ-

---

[12] Н. Махарадзе, Победа пролетарской революции в Грузии (см. жур. „Историк Марксист", 1939, № 5—6); ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში (რეცენზია, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1957 წ., № 2); ი. მირცხულავა, Большевики Грузии в боях за победу Советской власти (ჟურ. „ბოლშევიკი", № 1, 1948 წ.).

[13] „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.)", თ.ს.უ. გამოცემა, 1954; „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ). თ.ს.უ. გამოცემა, 1957; „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში", თ.ს.უ. გამოცემა, 1961.

რო პოლიტიკურ ისტორიას, ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლაზე. მაგრამ ვერ ვიტყვით, ეს ამოცანა მთლიანად დაძლეულიყოს ავტორის მიერ. ამ მიმართულებით ავტორის შემდგომი მუშაობა, ალბათ უფრო სასურველ შედეგს გამოიღებს. აქვე უნდა ითქვას, ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს კ. ჩარკვიანის საინტერესო გამოკვლევა მენშევიკური პარტიის ეკონომიური პოლიტიკას რომ შეეხება[14].

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მშრომელთა ბრძოლის ისტორიის ცალკეულ საკითხებს აშუქებს მ. ცერცვაძის ორ ნაწილად გამოცემული მონოგრაფია[15]. პირველ წიგნში ავტორი აშუქებს რევოლუციური მოძრაობის ისტორიას პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, ხოლო მეორე წიგნში — რევოლუციური მოძრაობის ისტორიას 1917 წელში. მიუხედავად იმისა, რომ ვერ გავიზიარებთ ავტორის რიგ ისტორიულ-თეორიულ დებულებას, აღნიშნული მონოგრაფია საინტერესო ნაშრომია, იქ მოტანილია დიდძალი ფაქტობრივი მასალა და კრიტიკულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით ახლებურადაა დაყენებული ბევრი საკითხი, რაც მისასალმებელია, მისი გადაწყვეტის ხარისხისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიმათულების მიუხედავად.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის ისტორიის შესახებ პირველი სპეციალური გამოკვლევა ეკუთვნის გ. ხაჭაპურიძეს. ეს გამოკვლევა შევიდა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში" ორ უკანასკნელ თავად, ერთი—„საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1917 წ. აპრილი—1918 წელი)" და მეორე —„საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში (1918—1921 წ. მარტი)"[16].

---

[14] კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, თბილისი, 1962 წ.

[15] **М. В. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914—1917 гг., ч. I, (1914—1916 гг.) под редакцией И. М. Разгона, Москва, 1957 г., ч. II (1917 г.) под редакцией Ш. К. Чхетия. Тбилиси. 1960 г.**

[16] იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I (1883—1921 წ.)", თბილისი, 1957 წელი, გვ. 374—475.

გ. ხაჭაპურიძის აღნიშნულ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის რიგი საკითხების მეცნიერულად გაშუქებისათვის, მათი შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთლად თავისუფალი არ არის ზოგიერთი ნაკლისაგან. ასე მაგალითად, არაა სპეციალურად დაყენებული და პასუხი პირდაპირ გაცემული ერთ-ერთი ისეთი არსებითი საკითხისადმი, როგორიცაა 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისს საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობის საკითხი, ან საკითხი იმის შესახებ, შეეძლოთ თუ არა მაშინ ბოლშევიკებს ძალაუფლების ხელში აღება. ნაშრომის საერთო ხასიათი ამ კითხვაზე დადებით პასუხს გულისხმობს, მაგრამ ამაზე შემდეგ. „ნარკვევების" ამ ნაწილში ზოგიერთი ისტორიული ფაქტი არა სწორადაა შეფასებული, კერძოდ, ეს ეხება 1917 წლის სექტემბერში სრულიად რუსეთის რკინიგზელთა გაფიცვაში მონაწილეობის მიღებაზე ამიერკავკასიის რკინიგზელთა მიერ უარის განცხადებას[17]. ეს ფაქტი ავტორის მიერ ახსნილია მენშევიკების მნიშვნელოვანი გავლენით ამიერკავკასიის რკინიგზელთა შორის, რაც სწორი არ არის. პარტიის VI ყრილობის შემდეგ, შეიარაღებულ აჯანყებისათვის მზადების პერიოდში, ესერულ-მენშევიკური „ვიკჟელის" მიერ დაწყებულ ეკონომიურ გაფიცვაში მონაწილეობაზე უარის თქმა აიხსნება არა მენშევიკების გავლენით, არამედ, პირიქით, მათი სისუსტით და ბოლშევიკების გავლენით[18].

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის ისტორიას, გ. ხაჭაპურიძის შემდეგ, სპეციალურად იკვლევს გ. ქვანია. მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მდიდარი არქივის გულმოდგინედ შესწავლის შედეგად ისტორიულ-

---

[17] იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. ნაწილი I (1883—1921 წწ.)", თბილისი, 1957, გვ. 396.

[18] ამ საკითხზე ყურადღება გამახვილა პირველად გ. თ ე ე ზ ა ძ ე მ. მან ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა და სათანადო საბუთებით დაამტკიცა „ნარკვევებში" აღნიშნული დებულების შესწორების აუცილებლობა (იხ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. II, 1962 წ.).

პარტიულ ლიტერატურაში შემოიტანა ბევრი საინტერესო დოკუმენტი. ამ დოკუმენტებმა საშუალება მისცა მკვლევარს რიგი საკითხები ახლებურად გაეშუქებინა, ხოლო ზოგიერთი, ისტორიულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული მოსაზრება, ახალი საბუთებით შეემაგრებინა[19].

საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ცენტრის—სამხარეო კომიტეტის მოღვაწეობის ისტორიას გვაცნობენ თ. ცხვედიანისა[20] და კ. ივანიძის[21] შრომები. ასეთი ხასიათის შრომები, პარტიის რომელიმე ხელმძღვანელი ორგანოს მოღვაწეობის ისტორიას რომ გადმოგვცემდნენ, არ გაგვაჩნია, ან თითქმის არ გაგვაჩნია. კომუნისტური პარტიის მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის კი ისინი აუცილებელნი არიან. ასევე საჭიროა შესწავლილ იქნეს ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა ამა თუ იმ პერიოდში საერთოდ და, კერძოდ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის წლებში. ამ მხრივ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა ს. კვაჭაძემ. მან შეისწავლა თბილისის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში და გამოაქვეყნა საინტერესო ნარკვევი[22].

საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის შესახებ, გარდა აღნიშნული მონოგრაფიებისა, გამოქვეყნებულია მეცნიერული ხასიათის მრავალი სტატია, აგრეთვე პოპულარული ხასიათის ბროშურა, დაიწერა დისერტაციები, რომელთა სათითაოდ განხილვა ამჟამად

---

[19] გ. ჭეანია, ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბილისი, 1957.

[20] Т. Н. Цхведиани. Кавказский Краевой Комитет РСДРП(б) и Кавказское бюро ЦК ККП(б) во главе борьбы трудящихся Грузии за победу социалистической революции (1917—1921 гг.), Автореферат, Ереван, 1959 г. იხ. აგრეთვე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1958 წ.

[21] კ. ივანიძე, რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი (სტატიების კრებული—„საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წელი", თბილისი, 1961).

[22] ს. კვაჭაძე, თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში (სტატიების კრებული—„საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წელი", თბილისი, 1961).

შეუძლებლად მიგვაჩნია. მათი ავტორები[23] მეტნაკლები მოცულობით იძლევიან თავიანთ შრომებში 1917—1921 წლების ისტორიას, მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ქვეყნის სამოქალაქო ისტორიის გადმოცემას. მაგრამ იგი, ქვეყნის სამოქალაქო ისტორია ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი; დღემდე თავის მკვლევარს მოელის საქართველოს 1917—1921 წლების ეკონომიკა, კულტურა, იდეოლოგიური ბრძოლა, სახელმწიფო მმართველობის სისტემა, ნაწილობრივ საგარეო ურთიერთობისა და სხვა საკითხები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით უკეთაა შესწავლილი ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ისტორია, რევოლუციური მოძრაობის ისტორია. სამოქალაქო ისტორიის შესწავლის ჩამორჩენა და პარტიული მუშაობისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლის შედარებითი უკეთესი მდგომარეობა

---

[23] ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში (იხ. სტატიათა კრებული —„სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში", თბილისი, 1957); მ ი ს ი ვ ე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში (იხ. „მ ი მ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი", ტ. II, 1951); ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში (იხ. ჟურ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა", 1937); მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან 1917—1921 წწ. (იხ. შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს სახელობის ბათუმის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. II, 1952); გ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში (იხ. სტატიების კრებული, საქ. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1960); ნ. ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი, როგორ იბრძოდნენ ჯარისკაცები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში (იხ. ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი", 1942, № 3); მ ი ს ი ვ ე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოძახილი საქართველოში (იხ. ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი", 1942, № 11 — 12); Н. В. К а д е й ш в и л и, Грузия в период Закавказского комиссариата и сейма (XI — 1917 — май, 1918 г.) (დისერტაცია, 1940 წ., თ.ს.უ. ბიბლიოთეკა); კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საბჭოების როლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში, თბილისი, 1960; დ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1957; მ ი ს ი ვ ე, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში (იხ. სტატიათა კრებული—„საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში", თბილისი, 1957); ს. ბ ე რ ი ძ ე, 1917—1921 წლები საქართველოში (მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა), თბილისი, 1941; ა. მ ო რ გ ო შ ი ა, ს. მ. კიროვის მოღვაწეობა ამიერკავკასიაში, თბილისი 1958.

აიხსნება შემდეგი გარემოებებით: 1. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, მასების რევოლუციურმა ენთუზიაზმმა უმაგალითოდ გაზარდა ინტერესი საკუთარი რევოლუციური წარსულის შესწავლისადმი; 2. კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე, 1922 წელს შექმნა ორგანო („პარტისი"), რომელსაც დაევალა პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლა, ხოლო მისი გაშუქება—ჟურნალი „რევოლუციის მატიანეს", მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მათი საქმე გააგრძელა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა (დღევანდელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი); 3. საქართველოს არა მარტო 1917—1921 წლების, არამედ XX საუკუნის მთელი განვლილი პერიოდის სამოქალაქო ისტორიის მეცნიერული შესწავლა იწყება მხოლოდ 1950 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების ჩამოყალიბებიდან.

* * *

1917—1921 წლებში ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიას ქართველმა ისტორიკოსებმა მიუძღვნეს მრავალი სერიოზული გამოკვლევა, მონოგრაფიის, პოპულარული ბროშურისა თუ მეცნიერული სტატიის სახით.

1917—1921 წლებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, როგორც ცნობილია, იდგნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელები. მათი ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში, მთლიანად საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიას რომ ეხებიან, ვერ ჰპოულობს სათანადო გაშუქებას. ამიტომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომუშავე ისტორიკოსები, ცდილობენ რა ამ ხარვეზის შევსებას, თავიანთ შრომებში მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლის ისტორიას გადმოსცემდნენ, რადგან გულისხმობდნენ რომ რევოლუციური მოძრაობის საერთო საკითხები გაშუქებულია ნაშრომებში მთლიანად საქართველოს რომ შეეხებიან. ორივე შემთხვევაში იბადებოდა საფრთხე საქართველოს

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დამახინჯებისა, რომელსაც წარსულში ვერ აცდა ზოგიერთი ისტორიკოსი. ამის შედეგად საქართველოს მშრომელთა ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტია, წარმოგვიდგენდნენ ცალკეულ ეთნიკურ ერთეულთა მასების ურთიერთ დამოუკიდებელ მოძრაობად, რომელსაც ხელმძღვანელობდა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ინიციატივიანი და მამაცი ბოლშევიკები; მიჩქმალული რჩებოდა საქართველოს მშრომელთა საერთო სოციალური და ეროვნული ინტერესები, ერთიანი ხელმძღვანელობა, რომელსაც ანხორციელებდა საქართველოს კომუნისტური პარტია. ეს გარემოება ჰქმნიდა ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმის წისქვილზე წყლის მიშვების საშიშროებას; როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ აფხაზი და ოსი ხალხების რევოლუციურ ბრძოლას ჩრდილს აყენებდნენ, მას სახავდნენ ანტიქართულ მოძრაობად. საქმეთა ასეთი ვითარება ქართველ, აფხაზი და ოსი ისტორიკოსების მიერ უკვე გამოსწორებულია. ქართული ისტორიოგრაფია დღეს თამამად უდგას მხარში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა წამყვან დარგებს, საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური აღზრდის ინტერესებს რომ ემსახურებიან.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის აფხაზეთის მშრომელთა ბრძოლის ისტორიას არა ერთი საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა გ. ძიძარიამ[24]. მან თავის შრომებში გამოიყენა დიდი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ადრე მიუკვლეველი და ხელუხლებელი იყო. თავის ახალ ნაშრომში „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ნარკვევებში" (1917—1918 წწ.). გ. ძიძარიამ გვიჩვენა აფხაზეთის მშრომელთა ინტერნაციონალური ღარაზმულობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, საქართვე-

[24] გ. ძ ი ძ ა რ ი ა აფხაზეთის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში (საიუბილეო კრებული—„საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში"), თბილისი, 1957; მ ი ს ი ე ვ. Из истории борьбы за Советскую власть в Абхазии в 1918 году («Т р у д ы Абхазского института, 1951 г.); е г о ж е, Из истории установления Советской власти в Абхазии (Жур. «И с т о р и ч е с к и е з а п и с к и», Москва, № 44, 1953): Е г о ж е, Очерки истории борьбы за Советскую власть в Абхазии 1917 — 1918 гг.», (монография), Сухуми, 1958.

ლოს კომუნისტური ორგანიზაციების და, კერძოდ, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლი სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. გ. ძიძარიამ პირველმა ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა ხელისუფლებისათვის აფხაზეთის მშრომელი მასების გმირული ბრძოლის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეს[25].

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიისადმია მიძღვნილი ალ. სოფიასა და ვ. ქარჩავას ნაშრომი—„აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან". ამ ნაშრომში უმთავრესად გაშუქებულია სამურზაყანოს მაზრაში 1919—1921 წლების გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორია. უნდა ითქვას, რომ ავტორებს წარმატებით დაუძლევიათ ადგილობრივი ნასაათის მოვლენების საერთო (რესპუბლიკური თუ საკავშირო) მოვლენათა ფონზე ვანხილვის სიძნელე, ამიტომ საფრთხე, რომელზედაც ჩვენ ზემოთ მივუთითებდით, სრულიად გამორიცხულია. აფხაზეთის 1917—1921 წლების ისტორიის ცალკეული საკითხებისადმი, გარდა აღნიშნულისა, მიძღვნილია სხვა სტატიები და ნარკვევები. აგრეთვე აფხაზეთის 1917—1921 წლების ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და ა. შ.[26]

1957 წლამდე სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში არ მოიპოვებოდა ცოტად თუ ბევრად სერიოზული გამოკვლევა აჭარის 1917—1921 წლების ისტორიის შესახებ. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს მ. ჯიჯეიშვილის ნაშრომი, რომელიც გამოვიდა 1957 წელს და აშუქებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარის მშრომელთა ბრძოლის ისტორიას.

---

[25] იხ. ა. სოფია, ვ. ქარჩავა, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან, სოხუმი, 1961, გვ. 4; აგრეთვე Д. Э. Куправа, А. А. Олонецкий К вопросу изучения истории Абхазии за 40 лет, (рукопись).

[26] Г. Дзидзария, О вооруженном восстании II-го легиона в Сухуми (1919 г.). (Труды Педагогического института им. А. М. Горького, т. 9, 1956); 2. ი. წურწუმია, აგრარული მოძრაობის საკითხისათვის აფხაზეთში 1917—1921 წლებში (სოხუმის მ. გორკის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 9, 1956); Борьба за Советскую власть в Абхазии" (Сб. документов и материалов) (1917—1921 гг.), Сухуми, 1957.

მ. ჯიჯეიშვილი[27] თავის ნაშრომში იძლევა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარის მშრომელთა გმირული ბრძოლის, სწორსა და ძირითადად ამომწურავ სურათს. ავტორი სრულიად ახალ მასალებზე დაყრდნობით გვაცნობს აჭარის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას, ბათუმისა და გურიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ანტიხალხურ საქმიანობას აჭარაში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მ. ჯიჯეიშვილის ნაშრომს ზოგიერთი ნაკლიც გააჩნია, კერძოდ, ნაკლები ყურადღება მხარის ეკონომიური მდგომარეობის მიმართ და სხვ., მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი, ჩვენის აზრით, ეს არ არის. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ნაშრომში შეჩერება რევოლუციური სიტუაციის საკითხზე. საერთოდ არ მიგვაჩნია მართებულად რევოლუციური სიტუაციის ნიშნების ძიება მხოლოდ ერთ მიკრო რაიონში, როგორც იყო მაშინ ბათუმი ანდა აჭარა[28].

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიისადმია მიძღვნილი აგრეთვე პ. ცქვიტარიას ნარკვევი[29]. იგი ზოგიერთი საკითხების გაშუქებისას ავსებს მ. ჯიჯეიშვილის ნაშრომს, რომელმაც დადებითი შეფასება მიიღო პარტიულ პრესაში[30]. მაგრამ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია ჯერ კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას, მას უნდა მიეცეს ორგანიზებული, გეგმაზომიერი მუშაობის ხასიათი, რისთვისაც საჭიროა, პირველ რიგში, შეიქმნეს აჭარის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში ისტორიის, კერძოდ საბჭოთა აჭარის ისტორიის განყოფილება.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია შედარებით უკეთაა შესწავლილი სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ-ოსეთის მშრომელ-

---

[27] მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, 1957.

[28] ი ქ ვ ე, გვ. 32, 44, 58 და სხვ.

[29] პ. ც ქ ვ ი ტ ა რ ი ა, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (იხ. სტატიების კრებული—„საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში", ბათუმი, 1958).

[30] იხ. რეცენზიები მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ი ს (ჟურ. „საქართველოს კომუნისტი", 1957 წ. № 12), ტ. თ ა ვ ა ძ ი ს (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957 წ. 27 აგვისტო), პ. ც ქ ვ ი ტ ა რ ი ა ს ი (გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1957 წ. 5 ოქტომბერი).

თა გმირული ბრძოლა მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. მან სამართლიანად მიიპყრო ისტორიკოსთა ყურადღება, თუმცა ვერ ვიტყვით, იგი ჯერ კიდევ ამომწურავად იყოს მათ მიერ გაშუქებული.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის სამხრეთ ოსეთის მშრომელთა გმირული ბრძოლის ისტორიას ხანგრძლივად სწავლობდა ი. ნიკონოვი, მან თავისი კვლევის შედეგები გადმოსცა წიგნში. გლეხთა აჯანყებებს რომ აშუქებენ სამხრეთ ოსეთში[31]. ი. ნიკონოვი თავის ნაშრომში იძლევა სამხრეთ ოსეთის რევოლუციამდელი გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის მოკლე, მაგრამ დამაჯერებელ დახასიათებას; მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა და მთელი საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ერთობლივ ბრძოლას მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ. ი. ნიკონოვის ნაშრომი წარმოადგენს სამხრეთ-ოსეთის აღნიშნული პერიოდის შესახებ პირველ მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის (1905—1921 წწ.) მოკლე კონსპექტური სახით გადმოცემის ცდას წარმოადგენს ნ. ცხოვრებოვის ნარკვევი[32]. მიუხედავად წიგნის ზოგიერთი ნაკლოვანებისა, იგი მაინც მისასალმებელი მოვლენაა, როგორც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ისტორიის შესწავლის პირველი ცდა. აღსანიშნავია, რომ ავტორი აკრიტიკებს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში ნაციონალური მომენტის წინ წამოწევისა და სოციალური მომენტის მიჩქმალვის ანტიმარქსისტულ ცდას[33], ცდას, რომელიც წყალს ასხამს ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმის წისქვილზე.

---

[31] И. Д. Никонов, Крестьянские восстания в Юго-Осетии в 1917—1920 гг., Сталинири, 1956.

[32] Н. З. Цховребов, Очерк истории Юго-Осетинской организации коммунистической партии Грузии, ч. I (1905—1921 гг.), Сталинири, 1961.

[33] «Необходимо отметить, —წერს ნ. ცხოვრებოვი,— что деятельности Национального Совета Юго-Осетии отдельные авторы дают немарксист-

საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩ. ვანეევისა და პ. დოგუზოვის[34], ნ. ცხოვრებოვისა და ბ. პლიევის[35], ვ. სანაკოევის[36], ზ. ჯიოევის[37], ვ. აბაევის[38] და სხვათა გამოკვლევებმა, აგრეთვე დოკუმენტებისა და მასალების რიგი კრებულების გამოცემამ[39].

საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის, კერძოდ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის ისტორიის მეცნიერუ-

---

скую оценку. Вот что пишет о Национальном Совете Юго-Осетии писатель Н. Д. Гаглоев:

«В состав Национального Совета входили фракции большевиков, меньшевиков и эсеров. Каждая из этих партии отстаивала интересы своей партии, но все они одинаково понимали чаяния народа и находили общий язык» (Н. Гаглоев. Сквозь огонь, Сталинири, 1957, стр. 271).

Национальный Совета требовал автономию для Юго-Осетии. Но какую автономию? — вот в чем суть вопроса. Он требовал не советскую, а буржуазную автономию. А разве трудящиеся Южной Осетии за буржуазную автономию проливали свою кровь?» (Н. З. Цховребов, Очерк истории Юго-Осетинской организации Коммунистической партии Грузии, ч. I, Сталинири, 1961, стр. 80).

[34] З. Н. Вансев и П. В. Догузов, Из истории борьбы трудящихся Юго-Осетии за Советскую власть, Сталинири, 1957.

[35] Н. З. Цховребов и Б. З. Плиев, Борьба трудящихся Юго-Осетии за установление Советской власти (1917—1921 гг.); (Известия ЮОНИИ АН ГССР, Вып. 8, 1957).

[36] В. А. Санакоев, Гражданская война в Юго-Осетии в 1917—1921 гг., в воспоминаниях и документах (Известия ЮОНИИ АН ГССР, Вып. II, 1935;

[37] З. А. Джиоев, Из истории борьбы трудящихся Юго-Осетии за установление Советской власти (Труды Сталинирского педагогического института, т. III, 1957).

[38] В. Д. Абаев, Социально-экономические предпосылки борьбы трудящихся Юго-Осетии за советскую власть (Известия ЮОНИИ АН ГССР, вып. VIII, 1957. მისივე, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის (საიუბილეო კრებული—„სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში", თბილისი, 1957).

[39] «Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии 1917—1921 гг.», Сталинири, 1957; «Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть 1917—1921 гг.» (Документы и материалы), Сталинири, 1960, и т. д.

ლი შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხურ აჯანყებათა შესწავლას რესპუბლიკის არა მარტო ავტონომიურ ერთეულებში, არამედ ცალკეულ მაზრებსა და რაიონებშიც კი. ამ მიმართულებით, უნდა ითქვას ქართველ მკვლევარ-ისტორიკოსთა სასახელოდ, ცოტა როდია გაკეთებული. მათ, სრულიად სამართლიანად, გამოიჩინეს დიდი ინტერესი სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, დუშეთისა და სხვ. გლეხურ აჯანყებებისადმი. დაიწერა ბევრი კარგი გამოკვლევა-დისერტაცია, სტატია და სხვ., რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენენ იმ დიდ ბრძოლებს, რომლებიც გააჩაღა საქართველოს გლეხობამ 1918 წლის გაზაფხულიდანვე მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ საქართველოს, თითქმის ყველა კუთხეში.

საქართველოში გლეხური აჯანყებებისადმი მიძღვნილი შრომები ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სერიოზული შენაძენია. მათში აისახა ქართული საბჭოთა მარქსისტული ისტორიოგრაფიის სამი უკანასკნელი ათეული წლების მდგომარეობა და განვითარების დონე.

მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებების ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, მიუხედავად ზოგიერთი მათთვის დამახასიათებელი კერძო ხასიათის ნაკლოვანებათა, დამაჯერებლადაა ნაჩვენები: 1. საქართველოს გლეხთა მძიმე მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე; 2. მენშევიკური მთავრობის ბურჟუაზიულ-ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკა; 3. გლეხთა რევოლუციური ბრძოლის სოციალისტური და ინტერნაციონალური ხასიათი; 4. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში და 5. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განმათავისუფლებელი მისია საქართველოს მაგალითზე[40].

---

[40] ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, საშა გეგეჭკორი და სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1918 წელს (სტატიების კრებული—„საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავი"), თბილისი, 1941; ა. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, გლეხთა აჯანყება დუშეთის მაზრაში (დისერტაცია, ხელნაწერი, თ.ს.უ. ბიბლიოთეკა. 1948 წ.) გამოიცა ცალკე წიგნად 1957 წ.; ნ. ს ტ ურ უ ა, დუშეთის მაზრის მშრომელთა მონაწილეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვერ ვიტყოდით ამომწურავი, მაგრამ მაინც მრავალმხრივი გაშუქება ჰპოვა საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციურმა, კომუნისტურმა მოძრაობამ. საქართველოს ახალგაზრდობის დიდმა რევოლუციურმა ტრადიციებმა განაპირობეს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბება 1917 წლიდანვე საქართველოში. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა ლენინური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით გმირულ ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიულ-მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ.

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ჩასახვის და განვითარების, მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ მისი გმირული ბრძოლის ისტორიას გადმოგვცემენ გ. დევდარიანისა[41] და ე. ასტვაცატუროვის[42] შრომები, სადაც დიდი და მრავალმხრივ საინტერესო ფაქტებია მოტანილი. მაგრამ მათი ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ნაკლია ის, რომ მათში საკმარისად არ არის ნაჩვენები კომკავშირის მოღვაწეობაში პარტიის ხელმძღვანელი როლი. მიუსედავად აღნიშნული ნაკლისა ისინი დიდძალ ისტორიულ მასალას შეიცავენ და უდაოდ ხელს უწყობენ კომკავშირის მეცნიერული ისტორიის შექმნას.

შ რ ო მ ე ბ ი. ტ. III, 1958): ს. ბ ე რ ი ძ ე, საჩხერის რაიონის გლეხთა აჯანყება 1918 წელს (სტატიების კრებული „საქართველოში სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავი"), თბილისი, 1941; მ. ბ ე რ ძ ე ნ ლ ი, გლეხთა აჯანყებები შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში 1918 წელს (დისერტაცია, ხელნაწერი ისტ. ინსტ. ბიბლიოთეკა, 1955 წ.). ნ. ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი. ლეჩხუმის მაზრის გლეხთა აჯანყება 1918 წელს (სტატიების კრებული —„საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავი"), თბილისი, 1941; ს. ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1919 წელს (დისერტაცია, ხელნაწერი, 1950 წ.); მ. ბ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ქუთაისის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ქუთაისი, 1961; ვ. ქ ა რ ჩ ა ვ ა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1961; გ. ყ ე ფ რ ა შ ვ ი ლ ი, ლეჩხუმის გლეხთა აჯანყების ზოგიერთი მომენტი (იხ. ჟურ. „ბოლშევიკი", 1938 წ. № 9).

[41] გ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი, საქართველოს კომკავშირის სათავეებთან, თბილისი, 1927; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კომკავშირის ათი წლის თავი (თეზისები, მოწონებული საქ. აღკკს კ-ს მიერ) თბილისი, 1927.

[42] ე. ა ს ტ ვ ა ც ა ტ უ რ ო ვ ი, საქართველოს კომკავშირის გმირული წარსულიდან, თბილისი, 1933.

საქართველოს კომკავშირის ისტორიას მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნეს გ. ქვანიამ და ა. იმედაშვილმა. გ. ქვანიას ნარკვევი —„საქართველოს კომკავშირი—პარტიის თანაშემწე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში" გამოვიდა 1957 წელს. აქ ავტორმა დასძლია ადრინდელ, მსგავს ნაშრომებისათვის დამახასიათებელი არსებითი ხასიათის ნაკლი, მთელი მეცნიერული დამაჯერებლობით აჩვენა პარტიის როლი კომკავშირული ორგანიზაციების ჩასახვასა და განვითარებაში, მის მოღვაწეობაში. მაგრამ გ. ქვანიას ნაშრომს, ავტორისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, დაჰყვა ზოგი მნიშვნელოვანი ნაკლიც, კერძოდ, მასში არ არის დასახელებული საქართველოს კომკავშირის პირველი თაობის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, რომელთაც მცირედი ღვაწლი როდი მიუძღვით საქართველოს კომკავშირის ჩასახვისა და განვითარების საქმეში.

ა. იმედაშვილის ნაშრომი —„საქართველოს კომკავშირი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში", წარმოდგენილი იყო როგორც საკანდიდატო დისერტაცია 1961 წელს[43].

სკკპ XXI და XXII ყრილობებმა ერთხელ კიდევ გაამახვილეს პარტიის ყურადღება ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხზე. ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის წარმატებით გადაჭრის საქმეში ნ. ს. ხრუშჩოვმა ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაუთმო ახალგაზრდობის მიერ საკუთარი ქვეყნის ისტორიის, რევოლუციურ მოძრაობათა ისტორიის შესწავლას. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდობის მიერ კომკავშირის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა განუზომლად გაიზარდა. კომკავშირის ისტორიის შესწავლა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის მიერ კომკავშირის გმირული და პატრიოტული ტრადიციების დაცვასა და მის გამრავლებას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ფრონტზე. ასეთ კვლევებში ა. იმედაშვილის ნაშრომი უაღრესად აქტუალური და ფრიად საჭირო გამოკვლევაა.

ა. იმედაშვილს თავის ნაშრომში უნდა გაეთვალისწინებია, რომ ახალგაზრდობის (და საერთოდ, რევოლუციური ბრძოლის ისტო-

---

[43] А. Н. Имедашвили, Комсомол Грузии в борьбе за победу социалистической революции (Автореферат диссертационного труда на соискание ученой степени кандидата исторических наук). Тбилиси, 1961 г.

რიის გადმოცემისას არ არის საკმარისი ამ ისტორიის დაყოფა ცალკეული პერიოდების მიხედვით. სასურველია მისი დაყოფა ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების მიხედვით (იდეური ბრძოლა, საგაზეთო მოძრაობა, შეიარაღებული ბრძოლა და სხვ.) ან კიდევ რევოლუციურ მოძრაობაში სოციალური ჯგუფების მონაწილეობის მიხედვით (მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშა ახალგაზრდობის, გლეხური ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობანი) და სხვა. ასეთ შემთხვევაში ნაშრომის მეცნიერული დონე უდავოდ მაღლდება და მკითხველისათვისაც უფრო ადვილი ასათვისებელი და დასამახსოვრებელი იქნება არა მარტო ფაქტობრივი მასალა, არამედ ბევრი განმაზოგადებელი დასკვნაც, რაც აღნიშნული არქიტექტონიკით აგებულ ნაშრომში არც თუ ისე მცირე იქნება, თუ იგი მეცნიერულის პრეტენზიით მოგვევლინება.

ა. იმედაშვილი თავის გამოკვლევაში წერს: „თბილისის „სპარტაკის" ორგანიზაციების პირველი კონფერენციის (1919 წლის 31 მარტი,—ი. კ.) ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩან ორგანიზაციულად საბოლოოდ გააფორმა კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი ორგანიზაცია თბილისსა და საქართველოში"[44]. ამრიგად, ა. იმედაშვილი, ისე როგორც ზოგიერთი სხვაც, საქართველოს კომკავშირის დასაბამად მიიჩნევს 1919 წელს. მაგრამ განსახილველ ნაშრომში ეს დამაჯერებლად არ არის ნაჩვენები, დასაბუთებული. როგორც ცნობილია, საქართველოში 1919 წლამდე არსებობდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი". რა მოხდა 1919 წლის 31 მარტს? განსახილველი ნაშრომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოხდა „სპარტაკის" „გარდაქმნა" „კომკავშირად", ე. ი. მოხდა სახელწოდების გამოცვლა. ისინი თავიანთი სოციალური შემადგენლობით, მიზნებითა და ამოცანებით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. ამიტომ საქართველოს კომკავშირის დაარსების თარიღად, ჩვენის აზრით, უნდა მივიჩნიოთ 1917 წლის 3 სექტემბერი—„სპარტაკის" ჩამოყალიბების დრო.

* * *

საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიის მეცნიერულ ავლევას ისტორიკოსები და ეკონომისტები აწარმოებენ ცალკეული

[44] ა. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომკავშირი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (ხელნაწერი, ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა), 1960, გვ. 32.

პრობლემების შესწავლის გზითაც. განსაკუთრებით გამახვილებულ იქნა ყურადღება მენშევიკური მთავრობის აგრარული, ნაციონალური და საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი, კერძოდ, უცხოელ ოკუპანტების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიისადმი.

მენშევიკური მთავრობის აგრარული, ნაციონალური და საგარეო პოლიტიკა მენშევიკურ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილია როგორც „დემოკრატიული" რესპუბლიკის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი. სინამდვილეში, მენშევიკებმა საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, შესძლეს მხოლოდ ბურჟუაზიული აგრარული რეფორმის გატარება, ეროვნულ პოლიტიკაში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის დამკვიდრება, საგარეო პოლიტიკაში—იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინაშე მლიქვნელობა. ვნახოთ ცალ-ცალკე, თუ რას წარმოადგენდა მათი „დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი" აგრარულ, ნაციონალურ და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

დავიწყოთ აგრარული პოლიტიკიდან. ჯერ კიდევ 1917 წლის 12 აპრილის მოწოდებით აცნობა ხალხს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომ აგრარული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოხდებოდა დამფუძნებელი კრების მიერ. სხვისი საკუთრების მიტაცება,—ნათქვამი იყო მოწოდებაში,—მემამულეთა თუ სახელმწიფო ტყეების თვითნებური გაჩეხვა, ყოველგვარი ძალადობა და თვითნებური მოქმედება აბსოლუტურად დაუშვებელია, როგორც ხალხის მტრებისათვის სასარგებლო არეულობის გამომწვევი.

გადასახადები და ბაჟები უნდა იქნეს გადახდილი ძველებურად, სანამ ისინი არ იქნებიან შეცვლილი ახლებით[16]. მაგრამ „ოზაკომის" ნოწოდებას არ შეეძლო გლეხობის დამშვიდება. მან ვერ შეაჩერა გლეხობის მიერ სოფლად დაწყებული მემამულეთა მიწების რევოლუციური გადანაწილება. გლეხობა ქმნიდა „მიწის კომიტეტებს" და ახდენდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას, უარს აცხადებს საიჯარო გადასახადზე დ სხვ.

მემამულეები საგანგებო კომიტეტისაგან მოითხოვდნენ მათი საკუთრების დაცვას გლეხობისაგან. საგანგებო კომიტეტი და ა. ჩხეიანელი რევოლუციური გლეხობის დასჯას მოითხოვდნენ „კანონის

---

[16] გაზ. «Известия Советов рабочих и солдатских депутатов», № 13, 13 апреля, 1917.

მთელი სისასტიკით", მაგრამ მათი ადგილობრივი ხელისუფლება უმწეო იყო რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ. ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა" ნიღაბს ხდიდა რა „ოზაკომს", იგი ამავე დროს ამხელდა გლეხთა დეპუტატების საბჭოს პოლიტიკას: „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სავსებით გამოხატავს და იცავს მემამულეების ინტერესებს, —ვკითხულობთ გაზეთში, — ე. ი. იგი ემსახურება კონტრრევოლუციურ კლასს. იგი წინააღმდეგია არა მარტო იმისა, რომ მიწები გლეხობის ხელში გადავიდეს, არამედ იმისაც კი, რომ გლეხებს რაიმე შეღავათი მიეცეს მემამულის მხრით რაიმე შევიწროებისაგან. თავისთავად იგულისხმება, რომ აქ გასაკვირალი არაფერია, ვინაიდან ამიერკავკასიის კომიტეტი კოალიციური სამინისტროს ორგანოა, და ასრულებს იმას, რასაც მას მთავრობა უბრძანებს. მაგრამ გასაკვირალია მეორე გარემოება, სახელდობრ, ის, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც ვალდებულია გლეხების ინტერესი დაიცვას, ამ საქმეში პილატესავით ხელს იბანს, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს. ეს საბჭო, როგორც სჩანს, სავსებით შეუბოჭავს და თავისი გავლენისათვის დაუმორჩილებია დროებითს მთავრობას, რომელიც კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესებს ემსახურება"[46].

ბოლშევიკებმა თავიდანვე ამხილეს დროებითი მთავრობისა და მისი ადგილობრივი ორგანოს „ოზაკომის" კონტრრევოლუციური საქმიანობა. ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ" 1917 წლის 9 მაისს გადმობეჭდა გაზ. „პრავდის" მოწინავე სტატია „მიწა გლეხებს", სადაც ვკითხულობთ: „...ჩვენ მივმართავთ გლეხებს, მთელი რუსეთის მთელ ღარიბ გლეხობას—თავის საკუთარ ხელში აიღოს თავისი საქმე და წინ წასწიოს იგი.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ დაირაზმონ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებში ,სათემო, სამაზრო და სხვ.); მათი საშუალებით ხელში ჩაიგდონ მემამულეთა მიწები და თავისი ნებით დაამუშაონ ისინი ორგანიზებული წესით.

ჩვენ მოვუწოდებთ გააკეთონ ეს დაუყოვნებლივ,—არ დაელოდნენ დამფუძნებელ კრებას და ყურადღება არ მიაქციონ მინისტრთა რეაქციულ აკრძალვებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩარხის ტრიალს".

---

[46] გზა. „ბ რ ძ ო ლ ა, № 13, 1917, 27 აგვისტო.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა გლეხთა რევოლუციური ბრძოლა, უფრო და უფრო დიდი და ფართო მასშტაბით ახდენდნენ მემამულეთა მიწების კონფისკაციას. აღნიშნული სტატიის შემდეგ „კავკაზსკი რაბოჩიმ“ მოათავსა მთელი რიგი პარტიული დოკუმენტები და სტატიები, რომლებიც გარკვევით აყალიბებდნენ ბოლშევიკების პოზიციას აგრარულ საკითხში, რაც საქართველოს გლეხობას აიარაღებდა მემამულურ მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი პროგრამით.

1917 წლის 21 ივლისს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების პირველი ყრილობა. ყრილობაზე გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა მენშევიკებს და სხვა ბურჟუაზიულ პარტიებს. ამიტომ ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციებს მენშევიკური პარტიის დაღი აზის. მიუხედავად ამისა ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია მიწის საკითხის შესახებ შედარებით უფრო გამოხატავს რევოლუციური გლეხობის ინტერესებს, ვიდრე მთელი მენშევიკური აგრარული კანონმდებლობა. „ამიერკავკასიის გლეხთა დელეგატების სიეზდმა, განიხილა რა მიწის საკითხი,—ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში,—საჭიროდ სცნო ახლავე გარკვეულ იქნას გზა იმ დამფუძნებელ კრებაზე ძირითადად გადასაჭრელად, აგრეთვე დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზოგიერთი პრაქტიკული ზომები მიწების საქმის ადგილობრივ მოსაწესრიგებლად... ყველა სახაზინო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწები უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ და.... ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცეს სრულს განკარგულებაში... ყველა კერძო მესაკუთრეების (მემამულეებისა და მსხვილი გლეხების) მიწები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმაზე მეტია, გადაეცემა უსასყიდლოდ ამ ორგანოებს“[47].

ამის შემდეგ, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა 27 ივლისს სპეციალური ცირკულიარით გააფრთხილა საგუბერნიო და სამაზრო კომისრები: „1. არ დაუშვან გლეხთა თვითნებური მოქმედება, 2. დასაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით ურჩობაში შენიშნული გლეხები, 3. შეაჩერონ მიწის კომიტეტების მოქმედება, 4. გადაან-

[47] „ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების პირველი ყრილობა თბილისში“, 1917, გვ. 8—9.

დევინონ გლეხებს საიჯარო და სხვა გადასახადები მემამულე-თავადაზნაურთა სასარგებლოდ“ და ა. შ.[48] მაგრამ მთავრობის რეპრესიები მიზანს ვერ აღწევდნენ.

მრავალჭირნახული გლეხობა კელავ თვითნებურად ინაწილებდა ურთიერთშორის მემამულეთა მიწებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი გახდა ლენინური დეკრეტი მიწის შესახებ. ამან უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა იქონია საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობაზე. მან ახალი ძალით გააჩაღა ბრძოლა მიწისათვის, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მხოლოდ მისგან მოელოდა იგი მთელ მიწას და მთელ თავისუფლებას.

მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა. ამიერკავკასიის კომისარიატი ეძებდა გამოსავალს. მან 1917 წლის 16 დეკემბერს გამოსცა აგრარული დებულება, რომელიც ათავისუფლებდა დროებითვალდებულ გლეხებს გამოსასყიდი გადასახადისაგან, მაგრამ არა 1917 წლიდან, არამედ 1918 წლის 1 იანვრიდან, ე. ი. გლეხებს უნდა გადაეხადათ 1917 წლის გადასახადი, მიწის რეფორმის ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა დებულების მიერ მიწის ნორმის განუსაზღვრელობის გამო. დებულების შემდგენთ არც აინტერესებდათ მიწის რეფორმის ჩატარება. აღნიშნული დებულება წარმოადგენდა ლიტონ დეკლარაციას, გლეხობის დროებით დაშოშმინების საშუალებას.

აგრარული რეფორმის გატარება სცადა ამიერკავკასიის სეიმმა. მან 1918 წლის 7 მარტის კანონით განსაზღვრა მიწის შემდეგი ნორმა: ა) 7 დესეტინა, კულტურულ მეურნეობათა რაიონში; ბ) 15 დესეტინა, მარცვლეულ (ხორბალი) მეურნეობათა რაიონში; გ) 40 დესეტინა, მესაქონლეობის რაიონში; ამ მუხლისადმი დართული შენიშვნა უფლებას იძლევა ცალკეული შემთხვევებისათვის მიწის ნორმების გადიდებისას შესაბამისად 10,20 და 50 დესეტინამდე. მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატ კანონმდებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ვერ დააკმაყოფილებდა რევოლუციურ გლეხობას, და რომ ისინი კელავ განაგრძობდნენ თითქმის ხელუხლებლად დატოვებულ თავადაზნაურ-მემამულეთა მიწების ურთიერთშორის თვითნებურ განაწილებას.

---

[48] ПА ГФ ИМЛ, ф. 2, д. 196, л. 17.

კონტრრევოლუციური ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ოდნავ შენელებისათვისაც კი. 1918 წლიდან ახალი ძალით გაჩაღდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები.

1918 წლის 7 მარტის კანონით მიწის ისეთი ნორმები იყო დადგენილი, რომ მემამულე-თავადაზნაურთა ინტერესები თითქმის არ ილახებოდა, ხოლო მიწას დანატრებული გლეხობა თითქმის არაფერს არ ღებულობდა. სხვადასხვა ხარისხისა და კატეგორიის მიწებისათვის დადგენილი 7, 15, 40 დესეტინიანი ნორმა სრულებით არ შეეხებოდა ქართველ მემამულე-თავადაზნაურთა უმეტეს ნაწილს. როგორც ცნობილია, 1905 წლისათვის საქართველოში 8 დესეტინამდე მიწა ჰქონდა მიწათმფლობელთა 53 პროცენტს, ე. ი. 7 დესეტინიანი ნორმა ხელუხლებელს ტოვებდა მიწათმფლობელთა 53 პროცენტს. ხოლო მიწათმფლობელთა 75 პროცენტს 15 დესეტინაზე ზეით მიწა არა ჰქონდა, ე. ი. 15 დესეტინიანი ნორმა მიწათმფლობელთა უმნიშვნელო ნაწილის ინტერესებს ოდნავ საგრძნობლად თუ შეეხებოდა მხოლოდ. ამიტომ მენშევიკების აგრარულმა რეფორმამ მემამულე თავადაზნაურთ ჩამოართვა მხოლოდ 621.696 დესეტინა მიწა, აქედან კულტურული მიწა იყო მხოლოდ 177 ათასამდე დესეტინა, 21 ათასზე მეტი დესეტინა იყო სრულიად უვარგისი მეურნეობისათვის. გარდა ამისა მენშევიკების აგრარული რეფორმა არ შეხებია აფხაზეთისა და აჭარის მემამულეებს. მენშევიკური რეფორმის შემდეგ ქართველ თავადაზნაურობას შერჩა კიდევ 1.363.580 დესეტინა საუკეთესო მიწა, საუკეთესო იმიტომ, რომ აღნიშნული კანონი მათ ანიჭებდა უფლებას შერჩევით დაეთმოთ სახელმწიფოსათვის „ზედმეტი" ნაკვეთი. რასაკვირველია, თავადაზნაურობამ ისარგებლა რა ამ უფლებით, სახელმწიფოს „დაუთმო" დავალიანებული (დაგირავებული) და უვარგისი მიწები.

1919 წლის 1 იანვრისათვის ქუთაისისა და თბილისის საადგილმამულო ბანკებში დაგირავებული იყო 208.881 დესეტინა მიწა, ხოლო დაგირავებული მიწების ვალი უდრიდა 7.628.826 მანეთს. მიწის რეფორმის შემდეგ ეს ვალი სახელმწიფოზე გადავიდა. სახელმწიფომ კი კონფისკაციით ჩამორთმეული მიწებიდან 85.419 დესეტინა გლეხებს მიჰყიდა 25.808.604 მანეთად. აღებული ფულით დაფარა თავადაზნაურთა დავალიანება. განმეორდა ის, რაც 1864—1871 წლებში მოხდა საქართველოში. გლეხებს კვლავ მოუხდათ გამოსას-

ყიდის გადახდა. თავადაზნაურობამ მენშევიკური მიწის რეფორმით თავი დააღწია დავალიანებას.

მენშევიკური აგრარული რეფორმა წმინდა ბურჟუაზიული რეფორმა იყო და მას, რასაკვირველია, სრულებით არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მშრომელი გლეხობის ინტერესები.

1919 წლის 23 იანვარს საქართველოს პარლამენტს მენშევიკებმა მიიღებინეს კანონი, რომლითაც მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები კერძო საკუთრებად ეძლეოდა გლეხებს სასყიდლის გადახდის საფუძველზე. „ჩვენ ვაძლევთ გლეხობას მიწას კერძო საკუთრებათ ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში“ აცხადებდნენ მენშევიკები ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში[49]. ეს იყო მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების დაკანონება.

მენშევიკური აგრარული პოლიტიკა აშკარა წინააღმდეგობას აწყდებოდა გლეხობის მხრივ. მენშევიკების მიწათმოქმედების მინისტრი იძულებული იყო 1920 წლის მაისში სპეციალური განკარგულება გაეცა მთავრობის სათანადო აგენტებისადმი მემამულეთა მიწების ხელშეუხლებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების მიღების შესახებ. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. გლეხობამ მთელ რიგ ადგილებში შეადგინეს „ყანის მუშათა კავშირები“ და ორგანიზებულად დაიწყეს მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება..

მენშევიკების აგრარულ „რეფორმებს“ ნიღაბი ჩამოხადა მ. ცხაკაიამ 1920 წელს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიით — „კომუნისტების მუშაობა საქართველოში“. მ. ცხაკაია წერდა: „მენშევიკების აგრარული პროგრამით მოტყუებულნი ღატაკ გლეხების მასები, მთელი პროლეტარიატი შეგნებული ელემენტების (იგულისხმება კომუნისტები, ი. კ.) მეთაურობით გულში ღრმად ჩამარხული იმედით ელიან „ბოლშევიკების მოვლინებას, თვით „ობივატელებიც“ კი შეპნატრიან, რათა ისტორიამ დაიჩქაროს თავისი განაჩენი, ვინაიდან ისინიც ბოლშევიზმს აუცილებლად რაცხავენ“[50]

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ახალი კომუნისტი“, ამხელდა რა მენშევიკური აგრა-

---

[49] იხ. „სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი“. გამოც. საქ. სდმპ ც. კომიტეტისა. 1919, გვ. 27.

[50] მ. ცხაკაიას აღნიშნული სტატია „პრავდიდან“ გადმობეჭდა გაზეთმ „ახალი კომუნისტი“ (1920 წ., 20 სექტემბერი, № 50.)

რული რეფორმის ბურჟუაზიულ ხასიათს, აქვეყნებდა სამეგრელოდან კორესპონდენციას, სადაც ვკითხულობთ: „აგრარული რეფორმა, როგორც ვიცით საქართველოში გატარდა. შედეგი ისევე ძველებურია: ღარიბი დარჩა ღარიბად, და კულაკ-ვაჭარი კიდევ უკეთესად... აგრარულ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებაა, მაგრამ ადმინისტრაციის მათრახები მზადაა... ექსცესები მაინც არის: გალახვა, დასახიჩრება და საჩივრები კი აუარებელი.

გული კვდება როდესაც ხედავ, რომ დღევანდელი მემამულე (ყოფ. თავ. აზნ.) ცხენით დადის თავის მამულებზე ღალის ასაკრეფად"[51].

ამის შემდეგ რეაქციულ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას და მენშევიკურ-კონტრრევოლუციურ ემიგრაციას[52] სრულიად არ აწუხებთ სირცხვილის გრძნობა, ამტკიცონ მენშევიკური მთავრობის მიერ აგრარული საკითხის მართებული გადაწყვეტა.

მენშევიკური მთავრობის აგრარული „რეფორმა" და საერთოდ მისი ეკონომიური პოლიტიკა საფუძვლიანად გააკრიტიკეს და ამხილეს ქართველმა ისტორიკოსებმა და ეკონომისტებმა[53].

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ნაციონალური პოლიტიკაც არ პასუხობდა ქართველი ხალხის ინტერესებს, უფრო მეტიც, იგი აშკარად ანტიხალხური იყო. ქართველი მენშევიკები საქართველოში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ იყენებდნენ პირწავარდნილ ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკას. ძირს უთხრიდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობას. ასევე ძირს უთხრიდნენ საქართველოსა და რუსეთს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირ-ურთიერთობას, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას.

---

[51] გაზ. „ახალი კომუნისტი, № 48, 1920, 19 სექტემბერი.

[52] ნ. ხომერიკი, სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი, თბილისი, 1919.

[53] გ. ხაჭაპურიძე, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, თბილისი, 1957; კ. ორაგველიძე, ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა", თბილისი, 1927. კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. თბილისი, 1962; ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, წ. II; თბ., 1961.

1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა, როგორც ცნობილია, იმპერიალისტების წაქეზებით ამიერკავკასია მოწყვიტა საბჭოთა რუსეთს და „დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად" გამოაცხადა.

ქართველი მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიული პარტიები, როგორც ცნობილია, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის გამოყოფისა რუსეთისაგან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები და სხვა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიები მოითხოვდნენ „საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ-საზღვრებში აღდგენილ ავტონომიურ საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციას"[54]. ხოლო მის შემდეგ, რაც რუსეთში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, მენშევიკებმა და სხვა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა ფრონტი იცვალეს და საქვეყნოდ განაცხადეს: „ჩვენ გვღუპავს რუსეთი, რომ ჩვენს შემოქმედებას ბორკილს ადებს და გვაჩანაგებს. ჩვენ საკმარისი ძალა, ნიჭი, სურვილი გვაქვს დამოუკიდებელი არსებობისათვის და აღარ გვსურს სხვის მოწყალებას შეეყურებდეთო"[55]. ამიტომ მართალი იყო ს. ორჯონიკიძე, როდესაც განაცხადა 1921 წლის აპრილში ბაქოს საბჭოს სხდომაზე: „კავკასიის რესპუბლიკათა მდგომარეობის შესახებ" მოხსენებაში: „კლასობრივმა პრინციპებმა და არა ნაციონალურმა მიიყვანა განაპირა ქვეყნები რუსეთიდან ჩაპოშორებამდე"[56].

1918 წლის 26 მაისს, მის შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და სეიმი დაითხოვეს, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოაცხადეს მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა. ამიერკავკასიის ბურჟუაზიული რესპუბლიკები შეუდგნენ თავიანთ ნაციონალისტური პოლიტიკის განხორციელებას. საქართველოს „დამოუკიდებლობა" 28 მაისს სცნო იმპერიალისტურმა გერმანიამ. 4 ივნისის ხელშეკრულებით საქართველოს მიწაწყლის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის განკარ-

---

[54] გაზ. „ქართული გაზეთი", № 30, 1917 წ., გვ. 5.
[55] იქვე, № 36, 1917 წლის 25 ნოემბერი, გვ. 3.
[56] გაზ. „კომუნისტი", № 43, 1921 წლის 23 აპრილი.

გულებაში გადავიდა. ეროვნული ღალატის მენშევიკურ პოლიტიკას უკეთესი შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა. უფრო მეტიც, მენშევიკური მთავრობის მოწვევით ივნისში შემოვიდნენ გერმანელთა ჯარები, მათ მთელი საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს. გერმანელებს სურდათ საქართველოში მონარქიის აღდგენა — უსაქმოდ დარჩენილი რომელიმე გერმანელი პრინცის გამეფება.

მენშევიკ ხელისუფალთა და გერმანელ ოკუპანტთა თარეშმა კიდევ გააუარესა მშრომელთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. გაძლიერებულ ნაციონალურ ჩაგვრას ქართველმა ხალხმა რევოლუციური ბრძოლის შემდგომი გაძლიერებით უპასუხა.

1918 წლის მეორე ნახევარში მასობრივი და მრისხანე ხასიათი მიიღო რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში. ადგილი ჰქონდა გაფიცვებს თბილისში, ფოთში, ტყიბულსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. გლეხთა აჯანყების ალში გაეხვია სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის, დუშეთის, გორის, ბორჩალოს და სხვა მაზრები. მენშევიკებმა გლეხთა აჯანყებები გერმანელ ოკუპანტთა დახმარებით სისხლის მორევში ჩააბრჩვეს.

გერმანიაში 1918 წლის ნოემბერში მონარქიის დამხობის შემდეგ გერმანელთა ჯარები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო. მენშევიკებმა მალე ახალი ბატონი მოძებნეს. გერმანელთა ადგილი საქართველოში ინგლისელმა იმპერიალისტებმა დაიკავეს.

მენშევიკური მთავრობის რეაქციულმა ღონისძიებამ—რუსეთსა და საქართველოს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიური კავშირის გაწყვეტამ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა საქართველოს ეკონომიკას. შეწყდა რუსეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან იაფი პურის შემოტანა. ამ დროისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიას სჭირდებოდა 40 მილიონი ფუთი პურეულის შემოტანა[67]. მაგრამ, მენშევიკურმა მთავრობამ, გაწყვიტა რა კავშირი რევოლუციურ ჩრდილოეთთან, ამით უარი თქვა პურეულის იმპორტზე.

სასურსათო კრიზისი დღითიდღე მწვავდებოდა საქართველოში. გლეხობამ ხელი მიჰყო სახნავ-სათესი ფართობის გადიდებას ტექნი-

---

[67] ვ. გ ო გ ო ბ ე ლ ი, მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 161.

კური და სხვა. კულტურების ხარჯზე. ბევრგან დაიხნა ისეთი ადგილები, რომლებიც არასდროს არ ყოფილა დამუშავებული. ერთ-ერთი ეკონომიური მიმომხილველი სამართლიანად წერდა, როდესაც ახასიათებდა საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას, კერძოდ სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, რომ „რუსეთის იაფი პური ხელს უწყობდა ჩვენში... სოფლის მეურნეობის უმაღლესი კულტურის განვითარებას", მაგრამ საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტის გამო „სურსათის საარაკო სიძვირემ და ნაკლებობამ ერთი ასად და ათასად ასწია სახნავ-სათესი მიწის ფასი, რომლებმაც მთლად დაჩრდილეს და გააქარწყლეს კულტურული მამულები"[58]. „სოფლად,— განაგრძობს იგივე მიმომხილველი, — ბევრგან გააპარტახეს კულტურული ადგილები: ვენახები, ბაღები და სხვა, რომლებიც გადაჩნეს გლეხებმა. შიმშილობამ და მომავლის საზარელმა აჩრდილმა შვილივით ნაზარდი ნამყენები ბევრგან ძირფესვიანად ამოაყრევინეს გლეხებს"[59].

ასეთი იყო ჯერჯერობით მენშევიკების ბატონობის შედეგი, მაგრამ მათ ბატონობას უფრო მძიმე შედეგებიც მოჰყვა. ბაღ-ვენახების გაჩეხვა და კულტურულ მეურნეობათა გაპარტახება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობისა და საერთოდ სოფლის მთელი საწარმოო ძალების გაჩანაგების პირობებში ვერ იხსნიდა მოსახლეობას შიმშილისაგან.

შიმშილობამ მასობრივი ხასიათი მიიღო 1920 წელს. მენშევიკურ მთავრობას სოფლებიდან და ქალაქებიდან მოსდიოდა უამრავი ცნობები, რომლებიც აღწერდნენ მასობრივი შიმშილობისა და შიმშილობისაგან სიკვდილის შემთხვევებს, მოსალოდნელ გამოსვლებს მთავრობის წინააღმდეგ და სხვა. მაგრამ მთავრობა უძლური იყო მიეღო რაიმე გადამწყვეტი ზომები, იგი ყრუდ რჩებოდა სახალხო დრტვინის წინაშე. „თეკლათი დამშეულია—ატყობინებდნენ მენშევიკურ მთავრობას დეპეშით — სამოცდაათი პროცენტი მოითხოვს დახმარებას. იყო შიმშილით სიკვდილის შემთხვევა... მოსალოდნელია შიმშილობის ნიადაგზე გამოსვლები"[60].

---

[58] ეურ. „საქართველოს ეკონომისტი", 1918 წ. № 4, გვ. 4.
[59] იქვე.
[60] ЦГИА ГССР, ф. 24, д. 232, л. 34.

1920 წლის 20 მარტს ახალციხიდან, ატყობინებდნენ მთავრობას „დამშეული ხალხი მოდის ერობაში. დილიდან საღამომდე ტირიან. მდგომარეობა აუტანელია. შესაძლებელია შიმშილის ნიადაგზე არეულობა“[61].

ასეთივე ცნობებს ღებულობდა მთავრობა ქუთაისიდან, შორაპნიდან, სენაკიდან, რაჭიდან და სხვა ადგილებიდან. გაზეთ „ახალი კომუნისტის“ კორესპონდენტი იტყობინებოდა სენაკის მაზრიდან: „მთელი სენაკის მაზრაში შიმშილობა მძვინვარებს; ახალ სენაკში, ძველ სენაკში, თეკლათში, ჭალადიდში, აბაშაში, ქვალონში, ბანძაში, ნაოღალევში, ნოქალაქევში, გეჯეთში, ეკში, უშაფათში და ყველა დანარჩენ სოფლებში მცხოვრებნი უმეტეს ნაწილად ხილით იკვებებიან... ეს ფაქტია დაურღვეველი, უკვე არის ავადმყოფობის ნიშანი... სასოწარკვეთილებას წარმოადგენს, როდესაც ხედავ 15—20 ვერსტის სიშორიდან მოდიან მშიერი სოფლელები სენაკში, რათა ერობიდან მიიღონ 10—15 გირვანქა სიმინდი. საცოდავ სანახაობას წარმოადგენენ ქალები, რომლებიც შვილებიანად დაეხეტებიან მშიერნი და შველას თხოულობენ... ხსნა არსად არის: გლეხები ამას გრძნობენ და თავის ოჯახის ბურჯს ხარებს, ძროხებს, კამეჩებს და სხვა შინაურ ცხოველებს ჰყიდიან, რომ ეგებ იხსნან ოჯახი დაღუპვისაგან... ჰყიდიან ავეჯეულობას და ყველაფერს, რაც კი ოჯახში მოეპოვებათ“...[62]

ასეთივე ცნობები ქვეყნდებოდა პრესაში შორაპნიდან, ოზურგეთიდან, სიღნაღიდან, თელავიდან, ზუგდიდიდან, სამტრედიიდან და სხვა მაზრებიდან.

მენშევიკური საქართველოს კატასტროფიულ მდგომარეობას მენშევიკური ხელისუფლებაც ვერ ფარავდა. მენშევიკური გაზეთი „ბორბა“ 1920 წლის 19 დეკემბერს წერდა: „რესპუბლიკა განიცდის ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მძიმე აუტანელ ტვირთად აწვება მშრომელებს“, „განსაკუთრებულ მძიმე უღლად აწევს ეს კრიზისი მშრომელ ხალხს — წერდა მეორე მენშევიკური გაზეთი „ერთობა“, იმავე წლის 9 დეკემბერს — დღეს ბაზარზე ვაკხანალიაა, რომლის გამკლავება არ შეუძლია მომხმარებელ მუშას. სიღატაკეში ჩავარდნილი მასა ნერვიულობს“. ოპოზიციურ პარტიათა გა-

[61] ЦГИА ГССР, ф. 24, д. 232, л. 39.
[62] გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 27, 1920 წ. 26 აგვისტო.

ზეთები კი უფრო დეტალურად ხატავდნენ მაშინდელი საქართველოს დუხჭირ ეკონომიურ მდგომარეობას.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური ნაციონალური პოლიტიკა, მისი მავნე ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები მეცნიერული სიღრმითა და სიცხადითაა მხილებული ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფე-თანამებრძოლთა შრომებში. ამ შრომებმა წინ წასწიეს ქართული ისტორიოგრაფიის მიერ მენშევიკური ნაციონალური პოლიტიკისა და მისი შედეგების მეცნიერული შესწავლა-გაშუქების საქმე. ამ მიმართულებით მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ მეტად ეფექტური შედეგები მისცა ქართველ ისტორიკოსებს—გ. ნაპაპურიძეს, ა. სურგულაძეს, ლ. ებანოიძეს[63], ე. ბურჯანაძეს[64] და სხვებს.

მორიგი პრობლემა, რომელსაც საბჭოთა ისტორიკოსები 1917—1921 წლების ისტორიიდან სწავლობენ, არის უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის საკითხი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამ საკითხის შესწავლას არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, არამედ უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკისადმი, რამდენადაც მასთანაა დაკავშირებული უცხოელი ოკუპანტების თარეში საქართველოში, დიდ ინტერესს იჩენს თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეაქციული ისტორიოგრაფია.

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია და მენშევიკური საქართველოს ყოფილი პოლიტიკური მოღვაწენი, ქართული ემიგრაციის ლიდერებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ერთხმად უარყოფენ საქართველოში უცხოელთა ოკუპაციის ფაქტს. 1921 წელს მენშევიკი გრ. გიორგაძე, ეკამათებოდა რა ბოლშევიკებს და აგრეთვე მემარცხენე ფედერალისტებს — თ. ღლონტსა და შ. ნუცუბიძეს, „აშტკიცებდა“, რომ საქართველოში მხოლოდ თურქების წინააღმდეგ მოუწვევიათ გერმანელები, და ისინი, თითქოს არასდროს არ ჩარეულან საქართველოს საშინაო საქმეებში. გერმანიის დამარცხების

---

[63] ლ. ებანოიძე. მენშევიკების დიქტატურის აგრესიული ნაციონალიზმი მეზობელ ერებისადმი (ყურ. „ბოლშევიკი“. № 2, 1938).

[64] Е. Бурджанадзе, Борьба коммунистов Закавказья за осуществление национальной политики партии 1917—1924 гг. (Автореферат). Кутаиси, 1958.

შემდეგ საქართველოს ემუქრებოდა დენიკინი, რომლის წინააღმდეგაც მოუწვევიათ მისივე „მტკიცებით“ ანტანტა, და თურმე „არც ანტანტა ერეოდა საქართველოს შინაურ საქმეებში“, რის გამოც, თითქოს შესაძლებელი გამხდარა მენშევიკური საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის დაცვა[65].

საბჭოთა მთავრობასთან საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი გაბრიელ ხუნდაძეც[66] ასეთივე გაშუქებას აძლევდა უცხოელთა ოკუპაციას საქართველოში. მისი „მტკიცებით“ ბრესტის საზაო ხელშეკრულებამ აიძულა საქართველო ეძია გერმანიის ორიენტაცია. მენშევიკური მთავრობის ეს პოლიტიკა თავის დროზე ამხილა სტ. შაუმიანმა, იგი ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე 1918 წლის 7 ივნისს ამბობდა: „Эта политика подготовлялась за долго. Недаром же Онкашвили заявил в Сейме, что русская ориентация есть ориентация реакционная и что нужно искать другую ориентацию, а Чхеидзе поддержал заявление, что лучше идти в обятия Турции, чем большевиков. Когда человек позволяет себе такие выражения, то причем здесь Брестский договор?“[67]

ზ. ავალიშვილიც ისე, როგორც გიორგაძე, ხუნდაძე და სხვანი, უფრო „დასაბუთებულად“, უფრო „მეცნიერულად“ ცდილობს უარჰყოს უცხოელთა ოკუპაციის ფაქტი საქართველოში[68].

ვ. ი. ლენინმა, ბოლშევიკებმა მაშინვე ამხილეს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური საგარეო პოლიტიკა. ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლისათვის ამოსავალი გახდა ვ. ი. ლენინის შენიშვნები, რომელსაც იგი აკეთებდა მენშევიკური საგარეო პოლიტიკის გამო. აი რას წერდა ვ. ი. ლენინი ქართველი მენშევიკებისა და გერმანელ იმპერიალისტთა კავშირის შესახებ, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ:

---

[65] გ. გიორგაძე, საქართველო, ანტანტა და რუსეთი, თბილისი, 1921, გვ. 5—8.

[66] Г. Хундадзе, Советская власть и грузинское посольство в России, 1920.

[67] С. Г. Шаумян, Избранные произведения, М., 1958, т. 2, стр. 297.

[68] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა, თბილისი, 1928.

„თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"...[69]

ვ. ი. ლენინის ეს და სხვა შენიშვნები, აგრეთვე მისი ბოწაფეებისა და თანამებრძოლების, გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შრომები საფუძვლად დაედო საბჭოთა ისტორიკოსების შრომებს, უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის ისტორიას რომ აშუქებენ არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთლიანად საბჭოთა ქვეყანაში[70].

საბჭოთა ავტორებმა ფარდა ასაღეს იმპერიალიზმის მეხოტბე ისტორიკოსთა ნაყალბევს. „მრავალრიცხოვანმა დოკუმენტურმა ლიტერატურამ, საარქივო მასალების, მემუარული ლიტერატურის, საგამომცემლო და უცხოური პერიოდული პრესის ღრმა შესწავლის სა-

[69] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 18.

[70] Б. Э. Штейн, «Русский вопрос» на Парижской мирной конференции (1919—1920 гг.), 1949; Ф. Д. Волков, Крах английской политики интервенции и дипломатической изоляции Советского Государства, 1954; А. Е. Кунина, Провал американских планов завоевания мирового господства в 1917—1921 гг., М., 1954; А. Березкин, США — активный организатор и участник Военной интервенции против Советской России (1918—1920 гг.), М., 1952; А. Ф. Кузьмин, Крушение последнего похода Антанты, М., 1958; А. Гулыга, А. Геронимус, Крах антисоветской интервенции США (1918—1920), М., 1952; В. И. Адамия. Из истории английской интервенции в Грузии (1918—1921 гг.), Сухуми, 1961; Г. Гамбашидзе, Из истории политики США в отношении Грузии (1917—1920 гг.), Тбилиси, 1960; მ ი ხ ი ვ ე. საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან (1918 — 1921 წწ.), თბილისი, 1961. М. И. Найдель, Ю. В. Согомонов, К истории интервенции США в Закавказье в 1917—1921 гг. (жур. «История СССР» № 3, 1961); Д. Енукидзе, Крах империалистической интервенции в Закавказье, Тбилиси, 1954; А. Б. Кадишев, Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960; С. Маглакелидзе, Англо-американские интервенты в Грузии (сб. документов), Тбилиси, 1953; მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე, გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს, თბილისი, 1942; შ. ლ ო მ ს ა ძ ე, თურქ აგრესორების კრახი საქართველოში სსრ კავშირის სამოქალაქო ომის დროს (დისერტაცია, ხელნაწერი 1954).

ფუძველზე დაწერილმა მონოგრაფიულმა ნაშრომებმა აღადგინეს საბჭოთა კავშირსა და ამიერკავკასიაში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის სრული სურათი, შუქი მოფინეს იმ გააფთრებულ ბრძოლას, რომელსაც იმპერიალიზმი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებისათვის, რუსეთში მონარქიული რეჟიმის აღდგენისათვის, რუსეთის განაპირა მხარეების კოლონიური დაპყრობისათვის"[71].

საქართველოში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის ისტორიისადმი მიძღვნილი დ. ენუქიძის დასახელებული გამოკვლევა წარმოადგენს აღნიშნულ საკითხზე ერთ-ერთ საინტერესო გამოკვლევას, რომელიც ემყარება დიდძალ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურას, მაგრამ მას ახასიათებს მენშევიკური მთავრობის ანტიეროვნული საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ისტორიის ეპიური თხრობა, იგი მოკლებულია მძაფრ მამხილებელ ხასიათს, რის გამოც ნაშრომს გადაჰკრავს ობიექტივისტური ელფერი. დ. ენუქიძის ნაშრომში ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლის ისტორიის გაშუქებას[72].

საქართველოში ინგლისელთა ინტერვენციისა და მის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის ისტორიის მეცნიერულ გაშუქებას წარმოადგენს ვ. ადამიას გამოკვლევა „საქართველოში ინგლისელთა ინტერვენციის ისტორიიდან" (1961 წ.). ვ. ადამიას ნაშრომი აქტუალური ხასიათისაა. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, იმპერიალისტური ინტერვენციის ისტორიის ფალსიფიკაცია უცხოეთში უკვე ორმოცწელზე მეტია რაც წარმოებს, იგი ამჟამადაც გრძელდება შეუნელებელი ძალით. ინგლისის ბურჟუაზიული რეაქციული ისტორიოგრაფია თავგამოდებით ცდილობს უარჰყოს საქვეყნოდ ცნობილი ფაქტი იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი იყო ანტისაბჭოთა ინტერვენციის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორი 1917—1921 წლებში. ამ მხრივ ვ. ადამიას ნაშრომი ეხმაურება თანამედროვეობას და ნიღაბს

---

[71] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, წიგნი II, თბილისი, 1961, გვ. 70.

[72] იხ. ჟურ. „История СССР", № 3, 1961, გვ. 172

ადის ინგლისის იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს წარმატებით დაუძლევია ანალოგიური ხასიათის ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ნაკლი და კარგად დაუკავშირებია საქართველოს საკითხი ამიერკავკასიის საკითხთან, ხოლო ეს უკანასკნელი საბჭოთა რუსეთის მაშინდელ ისტორიულ ვითარებასთან, საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა—საერთაშორისო ვითარებასთან, საქართველოსადმი იმპერიალისტური სახელმწიფოების განსაკუთრებით კი ინგლისის, მტაცებლური პოლიტიკის ანალიზთან.

ვ. ადამიას ნაშრომი უთუოდ მოიგებდა, რომ ავტორს დეტალურად განეხილა 1915—1917 წლებში დადებული საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომელთა მიხედვითაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ინაწილებდნენ ახლო აღმოსავლეთში თურქეთის საჰფლობელოებს, 1917 წლის დეკემბრის ანტისაბჭოთა ხელშეკრულება უკრაინისა და კავკასიის მიტაცების შესახებ და, ბოლოს, 1918 წლის მუდროსის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისმა ოფიციალურად მოითხოვა ამიერკავკასიის ოკუპაციის უფლება და დაიკავა კიდეც ეს მხარე შეიარაღებული ძალებით. გარდა ამისა, ვ. ადამიას ნაშრომში ვერ ჰპოვა სრული ასახვა იმ ბრძოლამ, რომელიც წარმოებდა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ამიერკავკასიისათვის[73]. მიუხედავად ამისა, ვ. ადამიას ნაშრომი ერთ-ერთი სერიოზული ნაშრომია საქართველოში ინგლისელთა ინტერვენციის ისტორიისადმი მიძღვნილი.

საქართველოში ამერიკელ იმპერიალისტთა მტაცებლური საქმიანობის ისტორიას გადმოგვცემს, ამერიკის მმართველი წრეების თაღლითურ მაქინაციებს ამხელს გ. ღამბაშიძის საკანდიდატო დისერტაცია[74]. ეს მონოგრაფია წარმოადგენს საქართველოს მიმართ ამერიკის იმპერიალისტური პოლიტიკის მხილების პირველ ცდას.

---

[73] იხ. გ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ი ს რეცენზია ვ. ადამიას წიგნზე (იხ. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1962 წლის 16 თებერვალი).

[74] Г. Гамбашидзе. Из истории политики США в отношении Грузии (1917—1920 гг), Тбилиси, 1960.

გ. ღამბაშიძის ნაშრომი, ისე როგორც ვ. ადამიას აღნიშნული ნაშრომი, დაწერილია მდიდარი საარქივო და ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე. რიგი საინტერესო დოკუმენტი, მათ შორის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, პირველად გ. ღამბაშიძის მიერაა გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ დოკუმენტების საფუძველზე ავტორმა კარგად შესძლო ემხილებინა ამერიკელ იმპერიალისტთა ანტისაბჭოთა ზრახვები, მათი მტაცებლური გეგმები საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ და ამ გეგმების განხორციელებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მზაკვრული ღონისძიებანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ენუქიძე, ვ. ადამია, გ. ღამბაშიძე და სხვა ავტორები, უცხოელთა ინტერვენციის ისტორიას რომ იკვლევენ საქართველოში, კმაყოფილდებიან მხოლოდ რამდენიმე უცხოელი ავტორის კრიტიკით, მაშინ როდესაც ბურჟუაზიულ-რეაქციულ ისტორიოგრაფიაში ისინი არც თუ ისე ცოტანი არიან, ხოლო რაც შეეხება მენშევიკური საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდეოლოგებს, 1917—1920 წლებში მათ მიერ აქ გამოცემულ წიგნებს, ,ბერეთელ ქართველ ემიგრანტთა ანტისაბჭოთა ლიტერატურას, ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად გაკრიტიკებული და მხილებული[75]. ეს საყვედური შეეხება არა მარტო ზემოდ დასახელებულ ავტო-

[75] ნ. ჟორდანია, ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში, თბ., 1917; მისივე, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, თბ., 1918; ივ. რამიშვილი, ეროვნული თვითმმართველობა, 1917; ა. ჩხენკელი, სიტყვა, წარმოთქმული პეტროგრადში დემოკრატიულ თათბირზე საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით, თბ., 1917; ბ. სურგულაძე, საქართველოს თავისუფლებისაკენ, სტამბოლი, 1917; მისივე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1918; მისივე, საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918; ს. ფირცხალავა, ეროვნება და ეროვნული თავისუფლება, თბ., 1918; ლ. შენგელია, რა არის მიწის სოციალიზაცია, 1917; გ. ჟორდანია, აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვს ავტონომია, თბილისი, 1917; ალ. ასათიანი, მიწის საკითხი საქართველოში, თბილისი, 1918; ნ. ჯორჯიკია, სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია, თბილისი, 1918; გრ. რცხილაძე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა, თბილისი 1917 და სხვ.

ებს, არამად 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ყველა კვლევარს მეტნაკლებად.

ერის ამა თუ იმ პერიოდის ისტორიის მეცნიერული კვლევა და შესწავლა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, თუ იგი კმაყოფილდება კლასობრივი ბრძოლის მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური და პოლიტიკური ფორმების ისტორიით და უყურადღებოდ სტოვებს კლასთა შორის იდეურ ბრძოლას, იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებს. ამ ნაკლისაგან არ არის თავისუფალი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული მეცნიერული ლიტერატურა. ამიტომ მასში ვერ ვნახავთ საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიების წარმომადგენელთა პროგრამული ხასიათის ლიტერატურული გამოსვლების მეცნიერულ-კრიტიკულ განხილვას. მაგრამ მათი გაკრიტიკება არც თუ ისე ადვილია. იგი შეიძლება იქცეს დასახელებულ ავტორთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეების პოპულარიზაციად, თუ მკვლევარს არ აღმოაჩნდება მაღალი მეცნიერული მომზადება და პუბლიცისტის შახვილი პოლიტიკური ალღო. ასეთი საფრთხის გამო დღემდე ჩვენი ისტორიკოსები არჩევდნენ მოწინააღმდეგეთა ლიტერატურული პროდუქციის ხელაღებით დაგმობას, რაც გაცილებით იოლია, ვიდრე მისი მეცნიერულ-კრიტიკული განხილვა. დღეს კი სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა მყარია, ისე როგორც არასოდეს, და ქართული ისტორიოგრაფიის ნოწიფულობის თანამედროვე პირობებში ისტორიული კვლევა-ძიების პრიმიტიული მეთოდები მოწონებას ნამდვილად ვერ დაიმსახურებენ.

* * *

საქართველოს 1917—1921 წლების ისტორიიდან მკვლევარ-ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ორი ძირითადი საკითხი: 1. არსებობდა თუ არა საქართველოში ორხელისუფლებიანობა და 2. არსებობდა თუ არა 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში უშუალო რევოლუციური სიტუაცია, ან უფრო ზუსტად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა საქართველოში.

რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები; რომელიც წარმოადგენდა

პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას. ამავე დროს შეიქმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, რომელიც წარმოადგენდა ბურჟუაზიის დიქტატურას. საბჭოს ესერულ-მენშევიკურმა ლიდერებმა ნებაყოფლობით დაუთმეს ხელისუფლება ბურჟუაზიას, როცა ვალდებულება იკისრეს მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის. ამას ჩვენი პარტიის ისტორიკოსები ეძახიან ორი დიქტატურის „მეტისმეტად ორიგინალურ გადახლართვას"[76]. მოხდა თუ არა ასე საქართველოსა და ამიერკავკასიაში? ამ კითხვაზე პასუხის მიხედვით ჩვენს ისტორიოგრაფიაში ორი ძირითადი დაჯგუფება ჩამოყალიბდა. ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი[77] უარყოფდა, და ზოგიერთი აქედან დღესაც უარყოფს ორხელისუფლებიანობის არსებობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მაგრამ ისტორიკოსთა ეს ჯგუფი თავის მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორ ქვეჯგუფად იყოფა: ერთნი (ს. სეფი, ქ. რაჰველიშვილი და სხვ.) ფიქრობდნენ, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მთელი ძალაუფლება ხელთ იგდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა, ხოლო ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი საბჭოების უბრალო დანამატს წარმოადგენდა. ამდენად ბურჟუაზიის დიქტატურას, მათი აზრით, საბჭოები ახორციელებდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მეორენი (ე. ბურჭულაძე, მ. ცერცვაძე, ი. მირცხულავა და სხვ.) კი ამტკიცებენ პირიქით, მის შემდეგ, რაც ესერულ-მენშევიკურმა საბჭოებმა აღიარეს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის ხელისუფლება, და რაც მას ნებაყოფლობით გადასცეს ძალაუფლება, ისინი (საბჭოები) გახდნენ უძალაუფლებონი, ამდენად

---

[76] იხ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 252.

[77] С. К. Сеф, Борьба за октябрь в Закавказье, Тбилиси, 1933; ქრ. რაჰველიშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, თბილისი, 1925, გვ. 224; ე. ბურჭულაძე, იყო თუ არა ორხელისუფლებიანობა საქართველოში 1917 წელს (ჟურ. „მნათობი", № 7, 1958 წ.); М. Церцвадзе, А. Мельчин, „Очерки истории коммунистической партии Грузии (1883—1921 гг.), ч. I" (რეცენზია, იხ. ჟურ. „Коммунист", № 2, 1958); ი. მირცხულავა, რეცენზია გ. ხაჰაპურიძის წიგნზე (ჟურ. „ბოლშევიკი", № 1, 1948 წ.) (იხ. აგრეთვე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაწ. II, 1961).

ბურჟუაზიის დიქტატურას, მათი აზრით, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი ახორციელებდა ხოლო საბჭოები მის უბრალო დანამატს წარმოადგენდნენ.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობის არსებობის საკითხზე სწორ თვალსაზრისს იცავს ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი[78]. ამ ჯგუფის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ერთი მხრივ, საბჭოების სახით ამიერკავკასიაში და, მაშასადამე, საქართველოშიც შეიქმნა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოს—ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატის სახით—ბურჟუაზიის დიქტატურა. ამავე დროს აღნიშნავენ ამიერკავკასიის საბჭოების სისუსტეს პეტროგრადის საბჭოებთან შედარებით.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობისა და რევოლუციური სიტუაციის არსებობის საკითხს მიეძღვნა 1958 წლის ნოემბერს ქალაქ ბაქოში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილების „ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის" პრობლემის სამეცნიერო საბჭოს სესია[79].

საქართველოში ორხელისუფლებიანობისა და რევოლუციური სიტუაციის საკითხს მიეძღვნა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიე-

---

[78] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, თბილისი, 1955; ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.). თბილისი, 1957; ვ. ე ს ა ი ა შ ვ ი ლ ი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1959; გ. ქ ვ ა ნ ი ა, ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბილისი, 1957; ნ. ს ტ ე რ ნ ა, სიტყვა ბაქოს სამეცნიერო სესიაზე 1958 წ. (ტურ. „Вопросы Истории", № 6, 1959); ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში (სტატიების კრებული „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში", 1957); ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი და ი. კ ა ჟ ა რ ა ვ ა, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", ნაწ. I, თავი VI, 1957; აგრეთვე, ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1957.

[79] იხ. „С е с с и я Н а у ч н о г о С о в е т а отделения исторических наук АН СССР по проблеме „Октябрьская Революция", совместно с институтами истории АН Азербайджанской ССР, Армянской ССР и Гру-

რებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია 1959 წლის დეკემბერში[30].

ბაქოს სამეცნიერო სესიაზე გაირკვა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობის არსებობის უარყოფა ემყარებოდა მხარის ისტორიული განვითარების სპეციფიკის გაზვიადებას, რაც მიჩნეულ იქნა საკითხის არა მარქსისტულ დაყენებად და აღინიშნა, რომ მაშინ ამიერკავკასიასა და რუსეთში ძალაში იყო რევოლუციის განვითარების ერთი და იგივე ობიექტური კანონზომიერება.

სამეცნიერო სესიაზე საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიკოსთა უმრავლესობა შეთანხმდა იმაზე, რომ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ისე როგორც ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, წარმოადგენდა არა მხოლოდ პეტროგრადის და არა მხოლოდ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას, არამედ იგი იყო ცენტრალური ხელისუფლება რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა ნაწილისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე ისტორიკოსები, რომლებიც უარყოფდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობის არსებობის ფაქტს, იშველიებდნენ შემდეგ არგუმენტებს: 1. საბჭოები საქართველოსა და ამიერკავკასიაში იქმნებოდნენ არა ბარიკადებზე, არამედ „ზემოდან", ამდენად ისინი არ წარმოადგენდნენ მუშათა კლასის რევოლუციური შემოქმედების ნაყოფს; 2 საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოები ესერებმა და მენშევიკებმა, მოიპოვეს რა მათში უდიდესი უმრავლესობა, თავიდანვე გადააქციეს ბურჟუაზიული ხელისუფლების დანაგატად. მათ ნებაყოფლობით დაუთმეს ძალაუფლება ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს. ამიტომ საბჭოები აქ რევოლუციის განვითარებას კი არ უწყობდნენ ხელს, არამედ პირიქით, აფერხებდნენ მას; 3. საქართველოში ხელისუფლება თავიდანვე იყო კოალიციური,

---

зинской ССР, посвященная проблеме Социалистической революции в Закавказии, Тезисы докладов 1958 г. სესიის მოკლე ანგარიში, იხ. ჟურ. „Вопросы истории", № 6, 1959).

[30] იხ. სამეცნიერო სესიის ანგარიში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაწ. II, 1961.

რუსეთში კი მხოლოდ 1917 წლის მაისიდან და, ბოლოს, 4. საქართველოში არც მენშევიკური და არც ბოლშევიკური პარტიის ლიდერები არ აღიარებდნენ მაშინ ორხელისუფლებიანობის არსებობას, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის დიქტატურას ხედავდნენ აქ.

გავარჩიოთ თითოეული არგუმენტი ცალ-ცალკე. პირველი არგუმენტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საფუძვლიან არგუმენტად, იგი მეტისმეტად უსუსურია, რას ნიშნავს საბჭოების „ზემოდან" შექმნა? იგი ხომ არ შეუქმნია მთავრობის რომელიმე ზემდგომ ორგანოს? რასაკვირველია, არა. 1917 წლის მარტის პირველ დღეებში საბჭოების შექმნა თბილისსა და საქართველოში ბოლშევიკების ინიციატივით დაიწყო. რატომ ჰგონიათ საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობის მოწინააღმდეგეებს ბოლშევიკური ორგანიზაციები „ზემდგომი" ორგანოები? ან იქნებ ჰგონიათ, 1917 წელს საბჭოები რუსეთში ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გარეშე, სტიქიურად იქმნებოდა? ვფიქრობთ, ამ საკითხზე კამათი უხერხულიც კია[81].

მეორე არგუმენტი არაფერს ახალს არ გვატყობინებს საქართველოსა და ამიერკავკასიის საბჭოების შესახებ. ამ არგუმენტში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საბჭოებმა ნებაყოფლობით გადასცეს ძალაუფლება ბურჟუაზიის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. განა ასე არ მოიქცნენ საბჭოები რუსეთში? მაგრამ რა შეიცვალა ამით ორი დიქტატურის არსებობის ფაქტში? თამამად შეიძლება ითქვას, არაფერი. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოში: „საბჭოს ესერულ-მენშევიკურმა ლიდერებმა ნებაყოფლობით დაუთმეს ხელისუფლება ბურჟუაზიას, როცა ვალდებულება იკისრეს მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის, შეიქმნა მეტისმეტად ორიგინალური გ ა დ ა ხ ლ ა რ თ ვ ა ო რ ი დ ი ქ ტ ა ტ ო რ ი ს ა: ბ ურ ჟ უ ა ზ ი ის დ ი ქ ტ ა ტ ო რ ი ს ა დ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ა გ ლ ე ხ ო ბ ის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დ ი ქ ტ ა ტ ო რ ი ს ა.

---

[81] იხ. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", თბილისი, 1959, გვ. 250.

ბურჟუაზიამ რომ ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება, ეს აიხსნება რიგი გარემოებებით[82]. როგორც ვხედავთ, საბჭოების მიერ დროებითი მთავრობისათვის ძალაუფლების ნებაყოფლობით დათმობას არ მოუხსნია რუსეთში ორხელისუფლებიანობა; სახელმძღვანელოში ახსნილია ის გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბურჟუაზიას „ხელთ ეგდო სახელმწიფო ძალაუფლება". ყოველივე ეს ძალაშია საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართაც.

ამრიგად, ის გარემოება, რომ საბჭოებმა ნებაყოფლობით დაუთმეს ძალაუფლება ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას და მის ადგილობრივ ორგანოებს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბჭოების გადაქცევას ბურჟუაზიული ხელისუფლების დანამატად. სწორად აღნიშნავდნენ ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომ საქართველოში „საბჭოები მასების ზეგავლენით ატარებდნენ მთელ რიგ რევოლუციურ ღონისძიებებს: ზღუდავდნენ გარკვეულ ფარგლებში კაპიტალისტთა და მემამულეთა თვითნებობას, ებრძოდნენ სპეკულანტებს, გზავნიდნენ სასურსათო კომიტეტებში თავიანთ წარმომადგენლებს, იბრძოდნენ პირველი მოთხოვნილების საგნების ნიხრის დარღვევის წინააღმდეგ. მუშები, ჯარისკაცები და გლეხობა საბჭოებს თავის ორგანოებად თვლიდა, ხშირად უგზავნიდა მათ მხურვალე მისალმებებს და უწევდა მატერიალურ დახმარებას (გაზ; „უწყებები", №№ 25, 28; „ერთობა", №№ 10, 24; „კავკაზსკი რაბოჩი", №№ 3, 21 და სხვ)"[83]. საბჭო რომ არ იყო განსაკუთრებული კომიტეტის „დანამატი" ამაზე კიდევ ერთი დოკუმენტიც მიუთითებს. 1917 წლის 19—21 მარტს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების ყრილობა, რომელმაც თავის დადგენილებაში ჩაწერა: „წინადადება მიეცეს დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ კომისრებს, რომ მმართველობის ყველა სფეროში შეთანხმებულად იმოქმედონ საგუბერნიო და ქალაქთა აღმასრულებელ კომიტეტებსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოსთან ერთად"[84]. როგორც ვხედავთ, საბჭოები არც ისე ადვილად თმობდნენ ძალაუფლებას, როგორც ზოგიერთ ისტორიკოსს ჰგონია.

---

[82] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 252.

[83] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაწ. II, 1961, გვ. 175.

[84] გაზ. „ერთობა", №6, 1917 წელი.

ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე სრულიად მართებულად აღნიშნავდნენ, რომ „მენშევიკურმა და ესერულმა საბჭოებმა ჩვენშიც ფაქტიურად ბურჟუაზიას ჩააბარეს პოზიციები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხელისუფლების მონაწილენი იყვნენ, თვით საბჭოებიც აცხადებდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ". თბილისის საბჭო მონაწილეობდა ისეთი საკითხების მოგვარებაში, რომლებიც ეხებოდნენ დროებით მთავრობასთან და მის კომისრებთან დამოკიდებულებას, რკინიგზის მოძრაობის რეგულირებას, მუშათა კომისიების შექმნას, მუშათა და კაპიტალისტთა შორის საკონფლიქტო საკითხების მოგვარებას, ქალაქის დაცვას, მილიციის შემადგენლობიდან ყოფილ პოლიციელთა განდევნას და სხვ...

მაგრამ „ოზაკომიც", რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი თვლის ერთადერთ ხელისუფლებად ამიერკავკასიაში, სუსტი ორგანო იყო. მას ხშირად უხდებოდა დაუსრულებელი დებატების გამართვა და ამის შემდეგაც საკითხები გადაუჭრელი რჩებოდა. „განსაკუთრებული კომიტეტი" ებრძოდა საბჭოებს, რომლებიც რეალურად არსებობდნენ: ცნობილია, რომ „ოზაკომის" ხელმძღვანელები პაპაჯანოვი, ხარლამოვი და ჯაფაროვი ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის ყრილობაზე, სადაც საბჭოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, 1917 წლის მარტში აცხადებდნენ, რომ „ჩვენი რწმუნება ფართო მასშტაბისაა"; „ვეტოს უფლება ჩვენ გვეკუთვნის და მას ჩვენ არავის არ დავუთმობთ", „თუ თქვენ არ ენდობით დროებით მთავრობას, განაცხადეთ და ჩვენ წავალთ" და სხვ. „ოზაკომი" იცავდა თავის რწმუნებებს საბჭოებისაგან, ებრძოდა მათ, მაგრამ გადამჭრელი ღონისძიებების მიღებას მათ წინააღმდეგ ვერ ახერხებდა, რადგან იცოდა, რომ საბჭოების უკან იდგნენ მასები"[35].

მესამე არგუმენტი, რომელიც მოაქვთ საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობის უარმყოფელ ისტორიკოსებს, კერძოდ, შ. ცერცვაძეს, მათ სასარგებლოდ არაფერს არ ლაპარაკობს, პირიქით, იგი მიუთითებს საბჭოებზე როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ძლიერება-

[35] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაწ. II, 1961, გვ. 178.

ზე, იგი მიუთითებს ბურჟუაზიის დიქტატურის სისუსტეზე საქართველოში და არა მის განუყოფელ ბატონობაზე. კოალიციური მთავრობა რუსეთში შეიქმნა მასების რევოლუციური დაწოლის შედეგად, მთავრობის კრიზისის გამო 1917 წლის მაისში, ჩვენში ასეთი კოალიციური ხელისუფლება თავიდანვე შეიქმნა, რაც საბჭოების, რომლის ზურგს უკან იდგა რევოლუციური მასები, ბურჟუაზიის ხელისუფლების დანამატის სახით არსებობაზე კი არ მიუთითებს, არამედ მასზე, როგორც ერთ-ერთ რეალურ ხელისუფლებაზე.

მეოთხე არგუმენტიც არ გამოდგება საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობის უარყოფისათვის. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობის მოწინააღმდეგენი უმთავრესად ეყრდნობოდნენ მენშევიკური პარტიის ლიდერთა ცალკეულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ საბჭოები საქართველოში არ წარმოადგენდნენ ხელისუფლებას. მენშევიკური პარტიის ზოგიერთი ლიდერის აღნიშნული განცხადებანი გამოხატავდა მათ მისწრაფებას, სურვილს საბჭოები არ გამხდარიყვნენ ხელისუფლების ორგანოებად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მენშევიკ-ლიდერთა აღნიშნულ განცხადებების უკან დგას მთელი მათი ტაქტიკური და პროგრამული არსენალი. კრიტიკული თვალით უნდა შეეხედოთ არა მარტო მენშევიკ-ლიდერთა მოწმობას, არამედ ზოგიერთ ბოლშევიკ-ლიდერის მოწმობასაც კი, მაგალითად, ფილიპე მახარაძე იმდენად გაიტაცა მენშევიკების წინააღმდეგ პრძოლამ, რომ საბჭოები სალაყბოდ გამოაცხადა. მაგრამ საქმე ისაა, რომ პოლემიკით გატაცებისას ყველას როდი შეუძლია დაიცვას ზომიერება და ამ საკითხს ვერ ასცდა ფ. მახარაძეც. ამის გათვალისწინება მკვლევარ-ისტორიკოსისათვის აუცილებელია. ამიტომ იმის დასამტკიცებლად რომ საბჭოები საქართველოში ფაქტიურად არ წარმოადგენდენ ხელისუფლების ორგანოებს, არ გამოდგება არც მენშევიკების, არც ფ. მახარაძის დამოწმება, მით უმეტეს ფ. მახარაძე ამ საკითხში როდი იდგა თანმიმდევრულ პოზიციაზე, როგორც ამას შემდეგ ვნახავთ.

საქართველოში საბჭოები ფაქტიურად რომ ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ ამის ნათელსაყოფად საკმარისია ორიოდე ფაქტის აღნიშვნა. ჯერ ერთი, 1918 წლის მაისში ი. ბ. სტალინი

ამბობდა: „გეგეჭკორი მართალი იყო, როცა ამიერკავკასიის დეპუტატთა საბჭოებსა და კომისარიატს განუცხადა: «იცით თუ არა თქვენ, რომ კომისარიატი და დეპუტატთა საბჭოები ფიქციად იქცნენ, ვინაიდან მთელი ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა ნაციონალური საბჭოების ხელში, რომლებსაც თავიანთი ნაციონალური პოლკები ჰყავთ» (თხზ. ტ. 4, გვ. 95). აქედან გამოდის სულ ცოტა სამი რამ: 1. რომ საბჭოები ყოველთვის კი არ იყვნენ „ფიქცია", როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ისინი ასეთებად იქცნენ ეროვნული საბჭოებისა და ეროვნული პოლკების შექმნის შემდეგ, 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში, 2. რომ მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერიც კი არ თვლიდა საბჭოებს თავიდანვე „ფიქციად" და, ბოლოს, 3. ი. ბ. სტალინი ორივე ამ დასკვნას ეთანხმება და იზიარებს. დაახლოებით ამასვე ადასტურებს ფ. მახარაძე, მიუხედავად მთელი თავისი უარყოფითი დამოკიდებულებისა მენშევიკურ-ესერული საბჭოებისადმი, როდესაც წერს: „1917 წლის ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში იწყება ჩამოყალიბება ჯარის ეროვნული ნაწილებისა... სამხედრო ეროვნული ნაწილების შექმნამ გამოიწვია ეროვნული სამხედრო საბჭოების ორგანიზაცია.

ამრიგად, ერთი მხრით, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, მათი ცენტრები და გაერთიანებანი, ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, რომლებმაც ძალაუფლებაზე ნებაყოფლობით უარი განაცხადეს და ის დაუთმეს ამიერკავკასიის კომისარიატს და ქალაქის თვითმმართველობებს, თითონ კი უმთავრესად მეთვალყურეების როლს ასრულებდნენ, — მეორე მხრით, ამიერკავკასიის კომისარიატი, არსებითად ყოველივე გავლენას მოკლებული, და დაბადებითვე უდღეური და სხვადასხვა ეროვნული საბჭოები, რომელთა ფაქტიური ძალა და გავლენა თანდათან მატულობდა. ასეთ პირობებში ძალაუფლების საკითხი თანდათან და სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა და რთულდებოდა. ფაქტიურად ძალაუფლებას ეპატრონებოდნენ ეროვნული საბჭოები, რომელთაც ემორჩილებოდნენ ეროვნული ჯარები, — ერთადერთი რეალური ძალა იმ დროს...

ამგვარად, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ის ორგანო, — ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის კომისარიატი, — რომელიც მოწოდებული იყო მთავრობის ფუნქციების შესასრულებლად, სრულებით

უძლური გამოდგა. ეს იძულებული იყო ეღიარებინა თვით ამ მთავრობის თავმჯდომარეს — ევგ. გეგეჭკორს, რომელმაც შემდეგში, ამიერკავკასიის სეიმის ერთ-ერთ სხდომაზე, თავის მოხსენებაში, ამიერკავკასიის კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, პირდაპირ განაცხადა ეს და განმარტა, რომ ეს მოხდა იმიტომ, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებაში არ იყო არავითარი სამხედრო ძალა, რომ საჭიროების დროს შესძლებოდა მასზე დაყრდნობა"[86].

1918 წლის 8 და 9 ივნისს ნ. ჟორდანიამ და ი. წერეთელმა საბჭოებს მიაღებინეს რეზოლუცია, რომლითაც საბჭოებმა მთელი ძალაუფლება ფორმალურადაც და ფაქტიურადაც გადასცეს მენშევიკურ მთავრობას. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ საბჭოები ჯერ კიდევ ფლობდნენ ძალაუფლებას, მაგრამ ფლობდნენ ისე, რომ მენშევიკური მთავრობის გვერდით მისი არსებობა მენშევიკებს შეუძლებლად მოსჩვენებიათ და დიდი ენერგიის დახარჯვით საბჭოები იძულებული გაუხდიათ ოფიციალურად აეღოთ ხელი ძალაუფლებაზე. ამრიგად, ორხელისუფლებიანობა, არსებობდა რუსეთში, იგი ძალაში იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართაც. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ორხელისუფლებიანობა, მიუხედავად საბჭოების მეტნაკლები სიძლიერისა, არსებობდა ყველგან, რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა ნაწილში. ამის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე წერს: „ზოგიერთი ისტორიკოსი, იმოწმებს რა საქართველოს ისტორიული განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებს, უარყოფს ორხელისუფლებიანობის არსებობას საქართველოში. მათი თვალსაზრისით საბჭოები საქართველოში მათი გაჩენის მომენტიდან თითქოს გახდნენ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მხოლოდ დანამატი. ეს თვალსაზრისი ახალი როდია. ისტორიულ ლიტერატურაში იგი პირველად გაჩნდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, მაგრამ უკვე მაშინ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მხარდაჭერას ვერ პოულობს იგი ახლაც. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკე-

[86] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 69—70.

ბის ისტორიკოსები, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელ სესიაში, რომელიც 1958 წლის დამლევს ბაქოში გაიმართა, ფაქტების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს საქართველოს არ განუცდია ორხელისუფლებიანობა"[87].

მეორე საკითხი, რომელიც დავას იწვევს ისტორიკოსთა შორის, ეს არის საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში უშუალო რევოლუციური სიტუაციის არსებობის, ან უფრო მარტივად, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღების, ე. ი. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი.

1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკების მიერ შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობას ვერ ხედავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ზოგიერთი მაშინდელი ხელმძღვანელი.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მაშინ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მათი აზრით, არ არსებობდა საკმაო პირობები, კერძოდ. 1. სუსტი იყო პარტიის კავშირი მასებთან, 2. საბჭოებში უმრავლესობა ჯერ კიდევ მენშევიკებსა და ესერებს ეკუთვნოდათ, 3. რუსეთის არმიის გამოყენება ძალაუფლების ასაღებად ამიერკავკასიაში, ეროვნული თვალსაზრისით, გაუმართლებელი იქნებოდა, 4. ამიერკავკასია კონტრრევოლუციის მტრულ გარემოცვაში იყო და, ბოლოს, 5. ძალაუფლების აღების შემთხვევაში მისი შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა ბოლშევიკებისათვის. ხელმძღვანელობდნენ რა ასეთი მოსაზრებებით, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელთა უმრავლესობამ, უარი განაცხადა აჯანყების გზით ძალაუფლების დაპყრობაზე და კურსი აიღო სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიან განვითარებაზე.

---

[87] ვ. ბ. მ ე ტ ა ვ ა ნ ა ძ ე, საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობის ზოგიერთი საკითხი (გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1961 წლის 5 მაისი. პირველად გამოქვეყნდა ჟურ. „Вопросы истории, КПСС", № 2, 1961).

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელთა მიერ აღებულ ტაქტიკურ კურსს, როგორც ირკვევა, კმაყოფილებით არ შეხვედრია ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად ვ. ი. ლენინი. ამაზე მიუთითებენ შემდეგი ფაქტები: 1. კ. ცინცაძის საუბარი ვ. ი. ლენინთან თბილისის არსენალის მენშევიკებისათვის უბრძოლველად ჩაბარების შესახებ, რასაც პარტიის ბელადის გულისწყრომა გამოუწვევია[88], 2. თბილისის არსენალის დაკარგვის შემდეგ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას სერიოზულად მიუპყრია რუსეთის საბჭოთა მთავრობის ყურადღება, რის გამოც რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 16 დეკემბერს განიხილა კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი და კავკასიის დროებითი საგანგებო კომისრად დანიშნა ს. შაუმიანი. იგი ჩამოვიდა თბილისში და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას 1918 წლის იანვრიდან, და ბოლოს, 3. ფ. მახარაძის წერილი ან «მოხსენებითი ბარათი" ვ. ი. ლენინისადმი. ამ „მოხსენებით ბარათში" აღწერილია საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური პარტიის მდგომარეობა 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან მოყოლებული, ვიდრე 1920 წლამდე. „მოხსენებით ბარათს" აქვს თავისი მართლების ხასიათი[89].

---

[88] იხ. М. Орахелашвили, Закавказские большевистские организации в 1917 г., Тбилиси, 1927, стр. 51, см. также А. Стеклов, борьба за Тифлисский арсенал в ноябре 1917 г. (жур. „Вестник военно-научного общества", № 1 (5), Тбилиси, 1961 г., стр. 25—27).

[89] ვ. ესაიაშვილი ამ გარემოებას უყურადღებოდ სტოვებს და წერს: „მასში სხვათაშორის, ახსნილია ის ფაქტი, თუ რატომ არ მოხერხდა ოქტომბრის რევოლუციის დღეებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მახარაძე ობიექტური ფაქტების (ფაქტი თავისთავად ყველა ობიექტურია, ი. კ.) საფუძველზე უჩვენებს ლენინს, რომ მაშინ არ არსებობდა საამისო პირობები. ამ მხრივ ფ. მახარაძეს ეს წერილი კიდევ ერთი დოკუმენტია, რომელიც უარყოფს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ იმ ზოგიერთ არა სწორ შეხედულებას, რომ თითქოს ოქტომბრის დღეებში საქართველოში არსებობდა რევოლუციური გადატრიალების შესაძლებლობა, მაგრამ იგი გამოუყენებული ვერ იქნა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1958, გვ. 301—302). ჩვენი აზრით, საკირო იყო აღნიშნული „მოხსენებითი ბარათისადმი" კრიტიკული მიდგომა, ჯერ ერთი, თუნდაც იმის გამო, რომ მას აქვს თავისმართლების ხასიათი და, მეორეც „მოხსენებითი ბარათის" ავტორია არა სხვა ვინმე, არამედ ერთერთი ის მოღვაწე, რო-

საკითხი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისს საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ისტორიულ ლიტერატურაში პირველად დასვეს მ. ორახელაშვილმა[90] და ამბ. ურუშაძემ[91]. მათ ამ კითხვაზე ძირითადად დადებითი პასუხი გასცეს. ამასთან დაკავშირებით ამბ. ურუშაძემ პირველმა დასდო ბრალი საქართველოს კომუნისტური პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელს ოპორტუნიზმში. ამ გარემოებას, მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში ხელი ჩასჭიდა ავანტიურისტმა ბერიამ და წიგნში—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის", ეითომდა მეცნიერული ინტერესებით, ჩირქი მოსცხო საქართველოს კომუნისტური პარტიის ძველი თაობის მრავალ გამოჩენილ მოღვაწეს. მათ ბრალი დასდო მუშათა კლასისადმი ღალატსა და ოპორტუნიზმში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გამოჩენილ მოღვაწეთა უნებლიე შეცდომა, რაც აიხსნება ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან კავშირის დამყარების სიძნელით 1917 წლის მეორე ნახევარში და ქვეყნად შექმნილი რთული ისტორიული ვითარებით, ავანტიურისტის მიერ გამოყენებულ იქნა თავისი ბოროტი ზრახვებისათვის — ანგარიში გაეწორებია პარტიის ბევრი გამოჩენილი მოღვაწისათვის, რომლებიც ზღუდავდნენ მის კარიერისტულ-ავანტიურისტულ მისწრაფებებს. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია მკვლევარ-ისტორიკოსთა, ყველა პატიოსანი კომუნისტისა და მთელი ქართველი ინტელიგენციის სამართლიანი გულისწყრომა და აღშფოთება. ავანტიურისტი დაგვიანებით, მაგრამ მაინც იქნა მხილებული. დაგმობილ იქნა მისი ავტორობით ცნობილი მავნე და ცრუმეცნიერული წიგნაკიც. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საკვლევ-სამეცნიერო და, საერთოდ, შემოქმედებითი მუშაობისათვის. გაკრიტიკებულ და გადასინჯულ იქნა მრავალი ისტორიულ-თეორიული დებულება, აღნი-

---

მელსაც სხვებთან ერთად ბრალად დებდნენ ძალაუფლების დაპყრობისათვის ხელსაყრელი მომენტის გაშვებას.

[90] მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, თბილისი, 1927.

[91] ამბ. ურუშაძე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921 წ.წ. ქუთაისი, 1927.

შნული მავნე წიგნაკის გავლენით დამკვიდრებული საზოგადოებათმეცნიერებაში, კერძოდ ისტორიოგრაფიაში. ასეთ ვითარებაში წონასწორობის შენარჩუნება ძნელი გახდა ზოგიერთი მკვლევარ-ისტორიკოსისათვის. ასე მაგალითად, ა. სურგულაძემ, ვ. ესაიაშვილმა, ნ. მახარაძემ და სხვებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ქართული ისტორიული მეცნიერებიდან პიროვნების კულტისა და ბერიას წიგნაკის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად, მაგრამ ვერც თუ მთლად სწორად მოზომეს და ჯოხი მეორე მხარეს, მეორე უკიდურესობისაკენ გადაღუნეს. იმის ნაცვლად, რომ დაესაბუთებინათ საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის დაგვიანება არ იყო ვინმეს, „ოპორტუნიზმისა" და „გამცემლობის" შედეგი, არამედ იგი იყო ობიექტური და რიგი სუბიექტური ხასიათის გარემოებათა გადახლართვის შედეგი, დაიწყეს სოციალისტური რევოლუციის განვითარების ადგილობრივი სპეციფიკის გაზვიადება და პარტიულ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შ ე ც დ ო მ ა თ ა უარყოფა. ყველაფერი „ობიექტურ პირობებს" გადააბრალეს, უარყვეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში, და ამ გზით შეეცადნენ. ჩვენი პარტიის ზოგიერთი მოღვაწის მიერ დაშვებული შეცდომის სწორ, მარქსისტულ-ლენინურ ტაქტიკურ ნაბიჯად გამოცხადებას. კარგია, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა დაგმეს ავანტიურისტ ბერიას მავნე წიგნაკის შედეგად ისტორიული მოვლენების ახსნისას დამკვიდრებული მეცნიერული კვლევის სუბიექტური მეთოდი, იდეალისტური სუბიექტივიზმი, მაგრამ ცუდია, როდესაც მათდა უნებლიედ გზას უკაფავენ მეცნიერებში ისტორიულ ფატალიზმს.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის დაგვიანების მიზეზების ახსნა როგორც მარტოდმარტო ობიექტური ფაქტორებით არ შეიძლება, ასევე შეუძლებელია აიხსნას იგი მარტოდმარტო სუბიექტური ხასიათის ფაქტორებითაც. ამის შესახებ სრულიად მართებულად წერდა ვ. პ. მეკავანაძე:

„ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში საკმაოდ ღრმად არ შუქდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემებიც, როგორიც არის შეფასება ამიერკავკასიის პოლიტიკური სიტუაციისა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პერიოდში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შეფერხების მიზეზები. ზოგიერთი ის-

ტორიკოსი თავს არიდებს ამიერკავკასიის საშინაო და საგარეო მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ამარტივებს საქმეს და საბ-ჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შეფერხების მიზეზებად თვლის მ ხ ო ლ ო დ ადგილობრივი პარტორგანიზაციებისა და ცალკეული ხელმძღვანელების შეცდომებს. ასეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი ზერელე დამოკიდებულებას შედეგად მოსდევს სერიოზული შეცდომები და მეცნიერული საკითხების გადაჭრისადმი პარტიული მიდგომის დაკარგვა"[92].

შევეხოთ საკითხს უფრო კონკრეტულად.

საქართველოში 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფისათვის ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებულ ავტორებს მოაქვთ შემდეგი არგუმენტები: 1. საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამ დროს რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა თანფარდობაში უპირატესობა კონტრრევოლუციის მხარეზე იყო; 2. მხარის მოსახლეობის მრავალეროვნულობისა და წვრილბურჟუაზიული სტიქიის სიმძლავრის გამო მასების დიდი ნაწილი მენშევიკებისა და ესერების, აგრეთვე სხვა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენას განიცდიდნენ; 3. ბოლშევიკური ორგანიზაციების ქსელი ჯერ კიდევ სუსტად იყო გაშლილი; 4. ოქტომბრის რევოლუციის დიადი ღონისძიებანი მასების სასიცოცხლო ინტერესების დასაკმაყოფილებლად რომ გატარდა, ჯერ კიდევ არ იყო ამიერკავკასიის მოსახლეობამდე დაყვანილი, რის გამოც მათ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ სჯეროდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა დაპირებები; 5. ამიერკავკასია კონტრრევოლუციის რკალით იყო შემოზღუდული; 6. კავკასიის არმია არ წარმოადგენდა რევოლუციურ ძალას და მისი გამოყენება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული; 7. კიდეც რომ მოეხერხებინათ ბოლშევიკებს ძალაუფლების აღება, მას ასეთ ვითარებაში ვერ შეინარჩუნებდნენ[93]. ყოველივე ამის გამო, დაასკვნიან დასახელებული ავტორები, 1917 წლის ბოლოსა და 1918

---

[92] ვ. ბ. მ ე ვ ა ნ ა ძ ე, საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობის ზოგიერთი საკითხი (გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1961 წლის 5 მაისი (ხაზგასმა ჩვენია, ი. კ.).

[93] იხ. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, თბილისი, 1961, გვ. 44, 46, 47. ჩვენ მხოლოდ ამ ნაშრომზე მიეთითებთ, რამდენადაც აქ სხვაზე უფრო მკვეთრად და რელიეფურადაა აღნიშნული თვალსაზრისი გადმოცემული. ავტ.

წლის დასაწყისში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ტაქტიკას იცავდა, რაც სრულიად შეესაბამებოდა მაშინ ამიერკავკასიაში არსებული კონკრეტ-ისტორიულ ვითარებას.

ამ არგუმენტებისათვის ანგარიშგაუწევლობა და მტკიცება 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესაძლებლობისა, აღნიშნულ ისტორიკოსთა აზრით, ნიშნავს: 1. საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიული განვითარების სპეციფიკის უგულვებელყოფას; 2. სოციალისტური რევოლუციის დაგვიანების მიზეზად ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელების ერთი ნაწილის შეცდომათა მიჩნევას და მათი გამოცხადებას „ოპორტუნისტებად“ და „კაპიტულანტებად“; 3. მეცნიერული კვლევა-ძიების კვლავ „საკალდებულო სქემებში“ მოქცევას და ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯებას.

ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი (გ. ხაჭაპურიძე, მ. ცერცვაძე, გ. ჟვანია და სხვ.), საქართველოში სოციალისტური რევოლუციის დაგვიანების მიზეზად აცხადებს, არა მარტო ადგილობრივი პარტიულ ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის შეცდომას (და არა „კაპიტულანტობას“ და „ოპორტუნიზმს“), არამედ კონკრეტ-ისტორიულ პირობებსაც. ამის შემდეგ ისინი პირველი ჯგუფის ისტორიკოსთა ზემოთ ჩამოყალიბებულ არგუმენტებს უპირისპირებენ საკუთარ დებულებებსა და საბუთებს. აი ისინიც:

1. არ არსებობს საბუთები, რომლებიც ამტკიცებდნენ (ყოველშემთხვევაში, ა. სურგულაძესა და მის მომხრეებს თავიანთ შრომებში ისინი არ მოაქვთ) საქართველოსა და ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციის ძალთა უპირატესობას რევოლუციის ძალებთან შედარებით. პირიქით, არსებობს საბუთები და მოწმობანი, რომლებიც წათელჰყოფენ რევოლუციის ძალთა უპირატესობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მათგან მოვიტანოთ რამდენიმე და მხოლოდ დამახასიათებელი:

ა. მენშევიკების მიერ 1917 წლის ნოემბერში არსენალის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული ვითარება, საალყო წესები, ბოლშევიკური გაზეთების დარბევა და სხვა მეტყველებენ იმაზე, რომ ისინი მოელოდნენ ბოლშევიკების შეიარაღებულ გამოსვლას, შიშს გრძნობდნენ რევოლუციის ძალების წინაშე. განა ცდებოდნენ მენშე-

ვიკები და ამაოდ ასტეხეს განგაში? არ არსებობს ამის დამამტკიცებელი საბუთი. ბოლშევიკების ხელმძღვანელთა განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი იარაღით ხელში გამოსვლას არ აპირებდნენ, მოწინააღმდეგეს, რასაკვირველია, საბუთად ვერ გამოადგებოდა. მშვიდად დაძინებისათვის; ჩვენ დღეს გვჯერა, რომ მაშინ ბოლშევიკები უკეთ, მათი ხელმძღვანელთა უმრავლესობა, მართლაც არ აპირებდა შეიარაღებულ გამოსვლას, მაგრამ ამას ხომ შეცდომად უთვლიან მათ! რაც შეეხება მენშევიკებს, ისინი ვერ ენდობოდნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელ ორგანოთა განცხადებას, მის გულწრფელობას, რაკი რევოლუციური პარტიას, როგორც ცნობილია, არ შეუძლია თავისი საჯანყებო მოღვაწეობა გაამჟღავნოს.

ბ. მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემაში „საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია" (პარიზი, 1933 წ.) დადასტურებულია ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღების შესაძლებლობა 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში.

გ. ამერიკის კონსული კავკასიაში ვ. სმიტი 1917 წლის 9 ნოემბერს ტელეგრაფით ატყობინებდა ვაშინგტონში სახელმწიფო მდივანს რ. ლანსინგს მთელ ამიერკავკასიაში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობაზე. ამ „საფრთხის" თავიდან ასაცილებლად ის მოითხოვდა „ამიერკავკასიის მთავრობის" შექმნას და მის დაფინანსებას 10 მილიონ დოლარით. ერთი თვის შემდეგ, იგივე სმიტი ატყობინებდა იმავე ლანსინგს: „დღეს ამიერკავკასიის პრემიერმინისტრმა მაცნობა, რომ თუ იგი დაუყოვნებლივ არ მიიღებს 60 მილიონ მანეთს, ეს გამოიწვევს ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების დაპყრობასო"[94].

დ. ფ. შახარაძე ამიერკავკასიაში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ტაქტიკას იზიარებდა, იგი აჯანყების მომხრე არ ყოფილა. ამიტომ მისი მოწმობა რევოლუციური და კონტრრევოლუციური ძალთა თანაფარდობის შესახებ, ყველა სხვა მოწმობაზე უფრო საიმედოა, მას ვერ დავსწამებთ რევოლუციური ვითარების გაზვიადებას. აი, რას წერს იგი: „ბოლშევიკები არ ემზადებოდნენ ამისათვის(აჯანყებისათვის, ი. კ.) და არც სწადდათ ადგილობრივი საბჭოს წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა მათ ჰყავდათ საკმაო ძალა, რომ გაემარჯვნათ".

[94] იხ. ჟურნ. „История СССР", № 3, 1961, გვ. 29, 30.

შემდეგ. „რევოლუცია, მიუხედავად მენშევიკებისა და ესერების გაიძვერობისა და ღალატისა, თანდათან ღრმავდებოდა, ის იბრებოდა შიგ მასაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აკლდა სათანადო ხელმძღვანელობა ბოლშევიკური პარტიის მხრივ“.

შემდეგ. „...რევოლუციურმა მოძრაობამ 1917 წლის მიწურულში და 1918 წლის დასაწყისში მოულოდნელად თავი იჩინა სოფლად გლეხებში“[95]. შემდეგ 1919 წელს ვ. ი. ლენინისადმი მიწერილ წერილში ა. მიქოიანი წერდა: „შინაგანი საზოგადოებრივი ძალების — რევოლუციურ-საბჭოური და კონტრრევოლუციურ-მენშევიკური ძალების თანაშეფარდება საქართველოში იყო და რჩება ჩვენს სასარგებლოდ“[96].

შემდეგ. მ. ორახელაშვილი წერდა, რომ სამხარეო კომიტეტი საკითხს არ აყენებდა (აჯანყების გზით ძალაუფლების აღების შესახებ), არა იმიტომ, რომ მას დაუშვებლად სთვლიდა, არამედ მაშინ ჯერ კიდევ ყველა მოელოდა კრიზისის მშვიდობიანად გადაჭრას, მაგრამ ეს იმედი სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდაო[97].

ამრიგად, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების 1917 წლის ნოემბერ-დეკემბრის კონტრრევოლუციური ღონისძიებანი, უფრო გვიან მენშევიკური ემიგრაციის აღიარება, კავკასიაში ამერიკელი ელჩის—სმიტის გაცხოველებული მიმოწერა ამერიკის სახელმწიფო მდივანთან და, ბოლოს, ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წერილები და შრომები, სრულიად ცხადჰყოფენ, რომ ამიერკავკასიაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში არ იგრძნობოდა კონტრრევოლუციის უპირატესობა.

2. ა. სურგულაძე და სხვა მისი თანამოაზრენი სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ შემფერხებელ ფაქტორად მიიჩნევენ ამიერკავკასიისა და საქართველოს მოსახლეობის ჭრელ ეროვნულ შემადგენლობას და მძლავრ წვრილბურჟუაზიულ სტიქიას. ისინი არსად არ ხსნიან, თუ როგორ აფერხებდა მოსახლეობის ჭრელი ეროვნული შემადგენლობა რევოლუციის განვითარებას, განსაკუთრე-

---

[95] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 72, 88, 105.

[96] ციტირებულია ვ. ესაიაშვილის დასახელებული წიგნის მიხედვით, გვ. 299.

[97] იხ. მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, თბილისი, 1927.

ბით 1917—1918 წლების მიჯნაზე, სანამ ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ამიერკავკასიაში ეროვნული ატმოსფეროს მოწამლვა ნაციონალ-შოვინიზმით ბურჟუაზიულ პარტიებს, რაც შეეხება „წვრილბურჟუაზიულ“ სტიქიას, უნდა აღინიშნოს ჯერ ერთი, განა ნაკლები იყო ეს „სტიქია“ რუსეთის პროვინციებში, სადაც რევოლუცია ტრიუმფალური მარშით ვრცელდებოდა, მეორე, განა მუშებზე ნაკლებ თავგამოდებით ებრძოდა მენშევიკურ მთავრობას საქართველოში „წვრილბურჟუაზიული სტიქია“—გლეხობა? რასაკვირველია არა! მესამე, აზერბაიჯანში სომხეთსა და ბუხარაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გამო ვ. ი. ლენინი 1920 წელს, სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე ამბობდა: „...რესპუბლიკები იმის დამამტკიცებელი და დამადასტურებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების იდეები და პრინციპები მისაწვდომი და დაუყოვნებლივ განსახორციელებელია არა მარტო მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, არა მარტო ისეთი სოციალური დასაყრდენით, როგორიც პროლეტარიატია, არამედ ისეთი საფუძვლითაც, როგორიც გლეხობაა“[98]. და ბოლოს, აღნიშნული ისტორიკოსები მიუთითებენ ბოლშევიკების სუსტ გავლენაზე მასებში ესერ-მენშევიკებთან შედარებით. მაგრამ რას აკეთებდა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მასების დაპყრობისათვის, რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნისათვის, ამაზე ზოგიერთ ისტორიკოსს უმძიმს პასუხის გაცემა. პარტიის VI ყრილობის შემდეგ, როდესაც კურსი აღებული იყო შეიარაღებული აჯანყებისაკენ, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ტაქტიკა ამიერკავკასიაში განა ხელს შეუწყობდა სოციალისტური რევოლუციისათვის პოლიტიკური არმიის შექმნას? რასაკვირველია არა. არც ამას აქცევენ ზოგიერთები ყურადღებას.

3. ა. სურგულაძე, და ზოგიერთი სხვაც, აღნიშნავს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სისუსტეს, მასებზე მენშევიკებისა და ესერების დიდ გავლენას და ა. შ., მაგრამ მოუსმინოთ ისევ ფ. მახარაძეს: „კავკასიის არმიის პირველმა ყრილობამ ყველას დაანახვა, რომ თუმცა თვით ყრილობაზე ბოლშევიკ-დელეგატების რიცხვი მეტად მცირე იყო, მაგრამ ბოლშევიკების გავლენა იქ საკმარისად საგრძნობი იყო. ეს აიხსნებოდა იმით, რომ იმ დროს, საერთოდ ბოლშევიზმი—ლენინიზმი საოცრად იზრდებოდა“. შემდეგ-

[98] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 31, გვ. 602.

„შემდეგი ფაქტი, რომელიც მოწმობდა ბოლშევიზმის გავლენის ზრდას მასაში იყო 25 ივნისის თავისუფლების მოედანზე... გამართული მიტინგი. ის მოაწყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ. მიტინგი ჩატარდა ბოლშევიკური ლოზუნგებით“.

შემდეგ „ტფილისის ორგანიზაციას ჰქონდა საკმარისად დიდი გავლენაც არა მარტო ჯარისკაცებში, არამედ მუშებშიაც“.

შემდეგ ფ. მახარაძე, გადმოსცემს ფაქტებს იმის შესახებ, თუ როგორ იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, მაგრამ იქვე შენიშნავს: „მართალია ისინიც სწრაფად იზრდებოდნენ, მაგრამ შედარებით მენშევიკებთან, ბოლშევიკური ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ“[99]. მაგრამ მემარცხენე ესერებთან ერთად, რომლებიც ასე თუ ისე მაინც წარმოადგენდნენ დემოკრატიას, ბოლშევიკებს შეეძლოთ ძალთა წონასწორობა თავიანთ სასარგებლოდ გადმოეხარათ. ასეც მოხდა კავკასიის არმიის მეორე ყრილობაზე 1917 წლის დეკემბერში.

საქართველოს და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობის დახასიათებისათვის ვ. ესაიაშვილს თავის წიგნში უკრიტიკოდ მოაქვს ამონაწერი ვ. ი. ლენინისადმი ფ. მახარაძის მიერ 1920 წელს გაგზავნილი „მოხსენებითი ბარათიდან“, სადაც ვკითხულობთ: „მართალია, ჯერ კიდევ 1917 წელს, განსაკუთრებით მეორე ნახევარში ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები საკმაოდ საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ღრმად გადგმული ფესვები მუშათა და განსაკუთრებით გლეხთა მასებში“. აქ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. ფ. მახარაძე ამტკიცებს, პარტიული ორგანიზაციები „საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენო“ და ამავე დროს აღნიშნავს, რომ მას „ფესვები ღრმად არ ჰქონდა გადგმული მასებშიო“. ხომ არ შეიძლებოდა ფ. მახარაძეს დავიწყებოდა, რომ პარტიის, მისი ორგანიზაციების სიძლიერე სწორედ მასებთან კავშირშია? არა, არ შეიძლებოდა! მაშ რა მოხდა? საქმე იმაშია, რომ ფ. მახარაძეს სურს შეამსუბუქოს ამიერკავკასიის პარტიული სამხარეო ცენტრის მიერ დაშ-

[99] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1927, გვ. 85, 88.

ვებული შეცდომის (მე ხაზს ვუსვამ, შეცდომის და არა „ოპორტუნიზმის", არა „კაპიტულანტობის", როგორც ეს სურდა ადრე დაეხატა ჩვენს ზოგიერთ ისტორიკოსს) სიმძიმე.

4. ა. სურგულაძე, ვ. ესაიაშვილი და სხვები თავიანთ შრომებში აკრიტიკებენ იმ მკვლევართ, რომელთაც კავკასიის არმია მიუჩნევიათ „სავსებით ბოლშევიზებულად", და ამდენად რევოლუციის საიმედო დასაყრდენად. ორივე მხარის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ არმია 1917 წლის ნოემბერს პეტროგრადშიაც კი არ იყო „სავსებით ბოლშევიზებული", ეს არც აუცილებელი იყო და არც შესაძლებელი მაშინ.

ისტორიკოსები, რომლებიც უარყოფენ ძალაუფლების ასაღებად 1917 წელს კავკასიის არმიის გამოყენების შესაძლებლობას, უმთავრესად ეყრდნობიან ფ. მახარაძის ცნობილ „მოხსენებით ბარათს". როგორც ცნობილია, ფ. მახარაძე თავისი მოხსენებითი ბარათით" ცდილობს დააჯეროს ვ. ი. ლენინი, რომ კავკასიის ფრონტის ჯარების გამოყენება რევოლუციური გადატრიალებისათვის, მიუხედავად მმართველობისადმი მათი ოპოზიციური განწყობილებისა, შეუძლებელი იყო. კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა ოპოზიციურობას ფ. მახარაძე ხსნის იმით, რომ ა. ამიერკავკასიის ხელისუფლებამ შექმნა ეროვნული ნაწილები, ბ. ამიერკავკასიის ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს. გ. ამიერკავკასიის ხელისუფლება კავკასიის ფრონტის ჯარებს საშუალებას არ აძლევდა წასულიყვნენ კავკასიიდან სამშობლოში, ე. ი. არ ახდენდნენ მათ დემობილიზაციას. ფ. მახარაძეს აღნიშნული მომენტები არ მიაჩნდა საკმარისად სოციალისტური გადატრიალებისათვის კავკასიის არმიის გამოსაყენებლად. თუ ფ. მახარაძის თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ რუსეთში არ შეიძლებოდა არც ერთი არმიის გამოყენება სოციალისტური რევოლუციისათვის. მახარაძე წერს: „საკმარისი იყო ამიერკავკასიის კომისარიატს მიეცა მათთვის ვაგონები და ტანსაცმელი, რომ ჯარისკაცებს გაგრილებოდათ ოპოზიციური განწყობილება". მაგრამ როგორც თავის დროზე ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას, ასევე კავკასიის ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, სანამ ის ასეთად რჩებოდა, არ შეეძლო ომის შეწყვეტა არმიის დემობილიზაცია, ჯარისკაცებისათვის ტანსაცმელის მიცემა და სპეციალური ვაგონებით ცოლშვილში გასტუმრება.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში კავკასიის არმია რომ იყო ერთ-ერთი სერიოზული ძალა, რომლის გამოყენებითაც შეეძლოთ ბოლშევიკებს ძალაუფლების აღება, ამას ერთხმად აღიარებდნენ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა ლიდერები, ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა ერთი ნაწილი.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები კავკასიის არმიას რომ ბოლშევიკების საიმედო დასაყრდენად თვლიდნენ ამის საუკეთესო საბუთად გამოგვადგება საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ბიუროს ერთ-ერთი ოფიციალური გამოცემა, სადაც პირდაპირაა ნათქვამი კავკასიის „გაბოლშევიკებულ არმიაზე", და რომ ბოლშევიკებს ჰქონდათ რეალური შესაძლებლობა ძალაუფლების დაპყრობისა მაშინდელ ამიერკავკასიაში[100]. ბურჟუაზიული ისტორიკოსებიდან შეიძლება დავასახელოთ ფ. კაზემზადე, მისი აზრით, ერთადერთ შეიარაღებულ ძალას ამიერკავკასიაში წარმოადგენდა რუსეთის ნახევარ მილიონიანი არმია, ამ არმიის გამოყენება არ ისურვეს ბოლშევიკებმა, რაც მათი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახდაო[101]. რ. პაიპსი კავკასიის არმიას ახასიათებს, როგორც რევოლუციურად, ბოლშევიკურად განწყობილ არმიას, რომლითაც ბოლშევიკებს შეეძლოთ ძალაუფლების დაპყრობა, ზოგიერთ სხვა გარემოებას რომ არ შეეშალაო მათთვის ხელი[102].

კავკასიის არმიას თვლიდნენ რევოლუციურ ძალად და ბოლშევიკებით საუკეთესო დასაყრდენად მიაჩნდათ იგი სტ. შაუმიანს, თ. ეღენტს[103], ა. ურუშაძეს[104] და სხვებს. და ბოლოს, თვით არმიის მორალური და პოლიტიკური განწყობილების, არმიაში ბოლშევიკების მოღვაწეობის, ჯარისკაცთა დეპუტატების საქმიანობის, სადელეგატო კრების მოღვაწეობისა და სხვათა ამსახველი მასალები ეს

---

[100] „საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია", პარიზი, 1922.

[101] F. Kazemzadeh, The struggle for Trauskaucassia (1917—1921), London—New-Uork.,1951, გვ. 42—60.

[102] R. Pipes, The formatiou of The Soviet Union... 1954, გვ. 105.

[103] იხ. თ. ეღენტი, ბოლშევიკური ბრძოლის ათი წელი (1917—1927 წ.) თბილისი, 1931, გვ. 35—40, 45.

[104] ა. ურუშაძე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921 წლებში, ქ. ქუთაისი, 1927, გვ. 60—65.

დოკუმენტები ცხადზე უცხადესად წარმოგვიდგენენ კავკასიის არმიას, როგორც რევოლუციის შეიარაღებულ ძალას[105].

ასეთი იყო კონკრეტ-ისტორიული ვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. იბადება კითხვა — მოითხოვდა თუ არა იგი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისაგან მთელი პარტიის ტაქტიკური გეზისაგან განსხვავებულ ტაქტიკურ ღონისძიებებს? ჩვენის აზრით, არა, არ მოითხოვდა. ყველა ის არგუმენტი, რომლებითაც „ამართლებდნენ" ა. სურგულაძე და სხვები ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრების 1917 წლის დასასრულისა და 1918 წლის დასაწყისის ტაქტიკას, როგორც ვნახეთ, ვერ არიან დამაჯერებელნი. მათგან გამოტანილი თეორიული დასკვნები შეუძლებელია მეცნიერულის პრეტენზიით გამოდიოდნენ.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის შემდეგ, განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ გეზის აღება რევოლუციის მშვიდობიან განვითარებაზე ოომ შეცდომაა, ამას ვერავითარი არგუმენტებით ვერ ვუარყოფთ.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობაზე თავის დადგენილებაში ჩასწერა: „სწორი ლოზუნგი ამჟამად შეიძლება იყოს მხოლოდ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის სრული ლიკვიდაცია"[106], და აიღო კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ყრილობაზე არავის, მათ შორის კავკასიის დელეგატებსაც არ განუცხადებიათ, რომ ეს დადგენილება კავკასიაზე არ გაევრცელებინათ. იგი აღიარებულ იქნა სავალდებულოდ ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის.

შემდეგ, 1917 წლის 5 (18) აგვისტოს შედგა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მან განიხილა საკითხი „ოლქების მიხედვით ფუნქციების განაწილების" შესახებ და დაადგინა: მიმაგრებულ იქნას კავკასიაზე მორიგეობით ორი: ჯაფარიძე (ალიოშა) და

---

[105] იხ. «Борьба за победу Советской власти в Грузии», документы и материалы (1917—1921 гг.), Тбилиси, 1958, документы: №№ 4, 9, 17, 23, 24, 25, 27, 84, 90, 92, 94, 100, 101, 108, 120, 128, 136, 143, 162, 168, 169, 175, 177, 178, 179, 183 и т. д.

[106] სკკპ რეზოლუციებში..., ტ. I, გვ. 477.

შაუმიანი[107]. ამ „ფუნქციების განაწილებას“ და ოლქებზე ცენტრალური კომიტეტის წევრთა მიმაგრებას სხვა დანიშნულება არ ჰქონდათ, თუ არა შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

შემდეგ. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 ოქტომბრის ისტორიულ გადაწყვეტილებაში ჩაწერილია: „ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებული აჯანყება გარდუვალია და სავსებით მომწიფებულია, და წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი“[108]. ამიერკავკასიისათვის, როგორც ვხედავთ, გამონაკლისი არც აქაა დაშვებული.

შემდეგ. 1917 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოების II ყრილობამ მიიღო მიმართვა მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი, სადაც ვკითხულობთ: «Съезд постановляет: вся власть на местах переходит к Советам рабочих, солдатских и крестьянских депутатов, которые и должны обеспечить подлинный революционный порядок»[109] ან კიდევ: «Рабочие, солдаты и крестьяне всюду на местах должны поступить по примеру петроградских рабочих и солдат»[110]. არც აქაა ლაპარაკი ამიერკავკასიისათვის რაიმე გამონაკლისზე.

შემდეგ. 1917 წლის ნოემბერში სახალხო კომისარიატთა საბჭომ ადგილებზე დაგზავნა დირექტივა, სადაც ვკითხულობთ: «Рабочие, солдаты и крестьяне должны понять, что теперь власть вся сверху донизу принадлежит им. Осуществлять эту власть они могут через Советы Рабочих, солдатских и крестьянских депутатов. Не ожидайте товарищи, указании сверху, не ждите предписаний, а сами на практике осуществляйте эту власть... Только вы сами на местах сможете себе помочь, а правительственная власть будет убирать препятствия и помагать вам отбивать атаки сторонников помещиков

---

[107] იხ. «Протоколы, центрального комитета РСДРП(б)». Москва. 1958, გვ. 6.

[108] სკკპ რეზოლუციები... ტ. I, გვ. 506.

[109] Съезды Советов, документы (1917—1936 гг.), т. I, გვ. 8.

[110] იქვე, გვ. 16.

и капиталистов путем издания общих законов... Резолюции все написаны, пора действовать»[111].

ყველა მოტანილი დოკუმენტი იმას გვიჩვენებს, რომ არ იყო გამოსაკლისი დაშვებული არც ერთი პარტიული ორგანიზაციისათვის, მათ წინაშე ერთი და იგივე ამოცანა იდგა — აჯანყების გზით ძალაუფლების აღების ამოცანა.

რუსეთი და ამიერკავკასია ერთი სოციალ-ეკონომიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ მთელი ას წელზე მეტი. რუსეთის კაპიტალიზმა კავკასია ჩაითრია მსოფლიო საქონელბრუნვაში და მოახდინა მისი ადგილობრივ თავისებურებათა ნიველირება[112], ამიტომ იყო რომ ვ. ი. ლენინი წერდა: „ვიდრე სხვადასხვა ერი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობს, მათ ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიური, უფლებრივი და საყოფაცხოვრებო ხასიათის მილიონობით და მილიარდობით ძაფი“[113]. «Поэтому, — სამართლიანად შენიშნავს გ. გალოიანი, — вопрос об объективных предпосылках победы Октябрьской революции в Закавказье нельзя искусственно отделить от экономического и политического развития России в целом. Отделяя Закавказье от России и преувеличивая его местные особенности, буржуазные фальсификаторы, верные своей субъективистской идеологии, отрицают влияние борьбы русского революционного рабочего класса на трудящиеся массы края, что, в сущности, приводит к отрицанию закономерности социалистической революции в Закавказье»[114].

ქართველი ხალხის პროგრესული მოღვაწენი, ფანსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, თერგდალეულები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ.), ნაროდნიკები (ივ. ჯაბადარი, შ. დავითაშვილი და სხვ.) და, ბოლოს, ქართველი მარქსისტები, ვ. ი. ლენინის მოწაფეები და თანამებრძოლები ერთხმად აღიარებდნენ რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობასა და

---

111 ЦГАОР и СС, ф. 130, оп. 6, д. 16, л. 9. ციტირებული ბ. ბოროდეცკის სტატიის მიხედვით (იხ. ჟურნ. „Вопросы истории“, № 8, 1955).

112 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

113 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 602.

114 Г. А. Галоян, Социалистическая революция в Закавказье в освещении буржуазной историографии, М., 1960, стр. 24.

განუყოფლობას. ეს იყო მათი არა მარტო კეთილი სურვილები, არამედ იგი ემყარებოდა რუსეთისა და საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების ღრმა მეცნიერულ ანალიზს და გამომდინარეობდა რუსეთისა და საქართველოს სოციალ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ერთიანობის აღიარებიდან. ამ პოზიციებიდან საბჭოთა ისტორიკოსების უკან დახევა და საქართველოსათვის რაღაც განსაკუთრებულ თავისებურებათა ძიება, რომელსაც მივუყევართ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერი ხასიათის უარყოფამდე, გაუგებარია. მაგრამ სრულიად გასაგებია, როდესაც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები—რ. პაიპსი, ფ. კაზემზადე და სხვები სჩადიან. მათი უახლოესი მიზანია სოციალისტური რევოლუციის შემთხვევითი ხასიათის დამტკიცება, კერძოდ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში; საბოლოო მიზანი კი საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ საქმეებში ჩარევის, ინტერვენციის უფლების „მეცნიერული“ დასაბუთება. საშუალება—უარყოფა საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეგნებული რევოლუციური მოძრაობისა, რომელსაც სათავეში ედგა, როგორც მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა —ბოლშევიკური პარტია [115]. ასეთ მტკიცებისათვის ჯერ კიდევ რენეგატმა კაუცკიმ მისცა ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას იარაღი, ზოგად მეთოდოლოგიას თავი რომ დავანებოთ, კონკრეტული დებულების სახითაც, რომელიც წარმოადგნდა სინამდვილის დამახინჯებას. იგი წერდა: „ცარიზმის დამხობის შემდეგ ამ განაპირა ქვეყნებში (მათ შორის გულისხმობდა საქართველოსაც,— ი. კ.). რევოლუციურ მოძრაობას ბოლშევიკური ხასიათი არ მიუღია“[116].

რიჩარდ პაიპსის აზრით: 1917 წელს ამიერკავკასიაში ადგილი არ ქონია რევოლუციურ გამოსვლებს, იგი მხოლოდ 1918 წლიდან იწყებდა რუსეთის არმიის გავლენით. ქართველები და სომხები ლოიალურად იყვნენ განწყობილნი დროებითი მთავრობისადმი. ბოლშევიკებს სურდათ სეიმის დასამხობად და ძალაუფლების ასაღებად მათ

[115] ამასვე ცდილობენ მენშევიკები და ესერები, მათი აზრით ბოლშევიკები იყენენ „слепыми орудиями слепого процесса фатального движения масс влево“ (см. газ. „Дело народа“ от 26 октября 1917 г.). აქაც იგრძნობა იდეური ნათესაობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასა და ესერულ-მენშევიკურ კონტრრევოლუციას შორის.

[116] კ. კაუცკი, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 1920, გვ. 15.

მიერ გადაბირებული კავკასიის არმიის გამოყენება, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან ბოლშევიკებმა არმიას ვერ მოუწოდეს საბჭოების წინააღმდეგ.

ამრიგად, ბურჟუაზიულ-რეაქციულ ისტორიოგრაფიას საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ფაქტის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობისა და კანონზომიერების უარყოფა, არა მარტო 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში, არამედ თვით 1920—1921 წლებშიაც კი სჭირდება არა მეცნიერული ინტერესებისათვის, არამედ იმპერიალისტების ბინძური პოლიტიკური მიზნებისათვის, იმისათვის, რომ „დაასაბუთონ" ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის არა კანონზომიერი და შემთხვევითი ხასიათი, როგორც რუსეთიდან რევოლუციის „ექსპორტის" შედეგი, რაც მათი აზრით, ხელფეხს გაუხსნიდა იმპერიალისტურ ინტერვენციას ამიერკავკასიაში, დაგვიხატავდა მათ „გარედან თავს მოხვეული" პოლიტიკური რეჟიმისაგან ამიერკავკასიის ხალხთა „განმათავისუფლებლად".

მაგრამ იმპერიალისტებს ამიერკავკასია ეცოტავებათ, ამიტომ ისინი ასევე განიხილავენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხს მთლიანად საბჭოთა კავშირში, იგი აქაც არა კანონზომიერ, შემთხვევით მოვლენად მიაჩნიათ. მათ „თეორიულად" და „მეცნიერულად" ზურგს უმაგრებენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ რ. პაიპსი და ფ. კაზემზადე, აგრეთვე გ. ფონ რაუხი, თ. ლაუე, ბ. მეისნერი და სხვები. გ. ფონ რაუხის აზრით რუსეთი ისტორიულ აუცილებლობას არ მიუყვანია ბოლშევიზმთან[117], თ. ლაუე- რუსეთში, როგორც ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მიზეზს ქვეყნის გარეთ ეძებს[118]. ბ. მეისნერი უარყოფს რუსეთის მომწიფებას რევოლუციისათვის და ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას შემთხვევით მოვლენად აცხადებს[119].

ასე ამზადებდნენ იდეოლოგიურად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციას. მაგრამ ამაოდ, საერთაშორისო იმპერია-

---

[117] იხ. G. von Rauch, Geschichte des bolschevistischen Russland. გვ. 15.

[118] იხ. ჟურ. „Lahrbücher für Geschichte Osteuropas". 1956, ტ. 4, რვ. 2, გვ. 138.

[119] B. Meissner, Sovietrussland zwischen Revolution und Restaurazion. Köln, 1956, გვ. 22.

ლიზმის ბედი გადაწყვეტილია. როდესაც აქედან არაფერი გამოვიდა, ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა ფრონტი იცვალა. მათ კარგად ახსოვთ გერმანიის, უნგრეთის და ბულგარეთის ოთხი ათეული წლის წინანდელი რევოლუციური ამბები, ისინი ვერასდროს ვერ დაივიწყებენ „შემთხვევითი“ რევოლუციების ძლევამოსილებას აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში. საჭირო გახდა მათთვის „კომუნიზმის აჩრდილს“ რომელიც დღეს რეალურ ძალად იქცა, გზა გადუღობონ, მოახდინონ მისი ლოკალიზაცია აღნიშნულ ქვეყნებში. მაგრამ იარაღი? იგიც აღმოჩნდა, სხვა საკითხია, თუ რამდენად საიმედოა ის იმპერიალისტების ხელში. ეს არის იდეოლოგიაში — სოციალისტური რევოლუციის გამოცხადება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ, ნაციონალურ მოვლენად, რომელიც მხოლოდ რუსეთისათვისაა დამახასიათებელი და კანონზომიერი, და რომ მისთვის ანგლო-საქსურ ქვეყნებში ისტორიულად გამორიცხულია რაიმე ობიექტური და სუბიექტური ხელშემწყობი ფაქტორების არსებობა, რევოლუციის კანონზომიერების აღიარება მხოლოდ რუსეთისათვის და სხვა. პოლიტიკაში—ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია და ახალი იმპერიალისტური ომების მზადება. მაგრამ იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური და პოლიტიკური მარცხი გარდუვალია. განვითარების მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთიანობის უარყოფით ის ვერ იხსნის დასავლეთს სოციალისტური რევოლუციისაგან. იგი კაცობრიობის პროგრესული განვითარების გარდუვალი ისტორიული კანონზომიერებაა. რენეგატმა ა. როზენბერგმა ვერ იხსნა გერმანია, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წმინდა ნაციონალურ მოვლენად გამოცხადებით, როდესაც მის დასაბუთებას მთელი წიგნი, „ბოლშევიზმის ისტორია“ მოანდომა[120]. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წმინდა რუსულ, ნაციონალურ მოვლენად გამოცხადება ჰქონდა მიზნად ჯერ კიდევ 1924 წელს გერმანელ ისტორიკოსს ე. ჰანიშს, როდესაც იგი ამტკიცებდა სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერ (რასაკვირველია რუსეთისათვის) ხასიათს. იგი წერდა: „ის, რომ რუსეთის რევოლუცია წარმოადგენს არა შემთხვევით, არამედ აუცილებელ მოვლენას, ალბად, დღეს სერიოზულად ამაზე. არავინ დაიწყებს დ-

[120] В. И. Салов, Германская историография Октябрьской революции, Москва, 1960, стр. 65.

ვასო"[121]. როგორც სჩანს, სოციალისტური რევოლუციის შემთხვევითი ხასიათის მტკიცება უკვე არ გამრადგებათ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დაუჯერებელია „შემთხვევითი" მოვლენის" შედეგი — სოციალისტური წყობილება ასე განმტკიცდეს და ვითარდებოდეს, როგორც ეს ხდებოდა და ხდება ჩვენში. მეორეც, არაა გამორიცხული ასეთი „შემთხვევითი" მოვლენები სხვაგანაც განმეორდეს, და მისი შედეგები იმავე გზით განვითარდეს, რა გზითაც ჩვენში, საბჭოთა კავშირში ვითარდებიან „შემთხვევითი" რევოლუციის შედეგები. ამიტომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი არჩევს, აღიაროს სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერება, მაგრამ მხოლოდ რუსეთისათვის, ამით დასავლეთი გამოჰყოს განვითარების მსოფლიო ისტორიული პროცესისაგან, რაც თვით ამ პროცესის უარყოფას ნიშნავს, ეს კი ყოველთვის იყო რეაქციული ცდა, ვისთანაც არ უნდა იყოს იგი, თვით „სლავოფილობიდან" მოყოლებული, რუსული ნაროდნიკობის ჩათვლით, თანამედროვე ნორმანებით თუ ჰანიშებით გათაევებული. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყოველი ცდა განწირულია. სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმი კაცობრიობის ისტორიული განვითარების გარდუვალი ეტაპია. „გამოცდილებამ დაამტკიცა,— ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ პროლეტარული რევოლუციის ზოგიერთ ფრიად არსებით საკითხში ყველა ქვეყანას გარდუვალად მოელის ის, რაც განვლო რუსეთმა"[122].

ამრიგად, რუსეთსა და საქართველოში, როგორც ყველასათვის ცნობილია, ერთიდაიგივე კანონზომიერება მოქმედებდა. ამდენად

---

[121] ვერ დავეთანხმებით ვ. ი. სალოვს იმაში, რომ თითქოს „признание необходимости русской революции было нужно деятелям бреславльского Восточноевропейского института лишь для того, чтобы включить ее изучение в систему „остфортунга" (იხ. მისი მონოგრაფია: Германская историография Октябрьской революции, стр. 44). ამისათვის ე. ჰანიშს მთელი თეორიის შექმნა არ დასჭირდებოდა, ვინაიდან რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შესწავლა გერმანიაში უკვე აღიარებული მოვლენა იყო. როგორც თვით სალოვის მონოგრაფიიდან ჩანს, გერმანიაში „რუსეთის შემსწავლელი საზოგადოება" ჩამოყალიბდა 1913 წელს, „ბოლშევიზმის შესწავლისა და კრიტიკის ცენტრი"— 1918 წელს, კენიგსბერგის უნივერსიტეტთან „აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტი"—1922 წელს, „რუსეთის საკვლევი ინსტიტუტი"—1923 წელს, „უკრაინის საკვლევი ინსტიტუტი"—1925 წელს და ა. შ.

[122] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 31, გვ. 17.

მცდარია საქართველოსა და ამიერკავკასიის გამოთიშვა სოციალისტური რევოლუციის განვითარების საერთო კანონზომიერებიდან და აქ რაღაც გადამწყვეტი ხასიათის თავისებურებათა ძიება. ამას შეუძლია მიიყვანოს მკვლევარი ნაციონალური სოციალიზმის იდეამდე; და მართლაც, ის პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც გადაჭარბებულ ეროვნულ თავისებურებათა ძიებამ გაიტაცა, „ნაციონალ-უკლონიზმამდე" მივიდნენ 1921—1923 წლებში.

კითხვა იბადება, რად სჭირდებათ ჩვენს ამხანაგებს, კომუნისტ ისტორიკოსებს ა. სურგულაძეს, ვ. ესაიაშვილს, ნ. მახარაძეს და სხვებს იმის მტკიცება, რომ არ იყო მომწიფებული სოციალისტური რევოლუცია ამიერკავკასიაში. ე. ი. არ იყო მასების რევოლუციური ბრძოლა და არარაობამდე სუსტი იყო ბოლშევიკური ორგანიზაციები? ამაზე პასუხს იძლევა თვით ა. სურგულაძე, იგი წერს: „მოვლენების შესწავლამ ამიერკავკასიის მასშტაბით, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ტაქტიკური ხაზის ანალიზმა და ისტორიული კვლევა-ძიების საქმეში სავალდებულო საქმეებიდან განთავისუფლებამ გვიკარნახა აღგვედგინა ისტორიული ჭეშმარიტება ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების; თვალსაჩინო ხელმძღვანელებისათვის ჩამოგვერეცხა ის ლაქა, რაც მათ სავსებით დაუმსახურებლად ჰქონდათ მოცხებული"[123].

მკვლევარის განზრახვა მისასალმებელია, მაგრამ მისი განხორციელების გზა, მეთოდი უვარგისი. პარტიისა და ხალხის მტერმა ბერიამ ცილი დასწამა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გამოჩენილ ხელმძღვანელებს, როდესაც ისინი გამოაცხადა „ოპორტუნისტებად" და „კაპიტულანტებად", ამ ცილისწამების გაქარწყლება ნამდვილად მისასალმებელია. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? რა გზით უნდა მოვახდინოთ უდანაშაულოდ შეურაცხოფილთა რეაბილიტაცია? აი აქ, ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი ღრმად ვერ ჩაწვდა საკითხის არსს და იოლი გზით მოინდომა დიდი და ნამდვილად კეთილშობილური ამოცანის გადაჭრა. მათ ჰგონიათ, უდანაშაულოდ შეურაცხყოფილი რამდენიმე ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის რეაბილიტაციისათვის საჭირო იყოს დამტკიცება იმისა, რომ 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში

[123] ა. სურგულაძე. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, თბილისი, 1961, წიგნი II, გვ. 36.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში არ არსებობდა ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღების შესაძლებლობა, რადგან, როგორც თვითონ წერენ, მუშათა კლასი და გლეხობა ბურჟუაზიულ პარტიებს მიჰყვებოდა, ბოლშევიკური ორგანიზაციები არარაობამდე სუსტნი იყვნენ, კავკასიის ფრონტის არმია საშიში ძალა იყო და რევოლუციისათვის გამოუსადეგარი. მაგრამ აქედან რა გამოდის? სხვა არაფერი, თუ არა „ჩამორეცხო ლაქა" საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების რამდენიმე ხელმძღვანელ მუშაკს და ეს ჭუჭყიანი ნარეცხი გადაასხა ამიერკავკასიის რევოლუციურ მუშათა კლასსა და გლეხობას, მთელს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს.

ამის შემდეგ ა. სურგულაძეს და მის მომხრეებს არა აქვთ უფლება გ. ხაჭაპურიძის, მ. ცერცვაძის, გ. ჟვანიასა და სხვათა თვალსაზრისი დაახასიათონ როგორც „...საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოვლინება, რაც ჯადაჭრით უნდა იქნეს აღკვეთილი"[124]. აქ კომენტარები ზედმეტია, მკითხველი თვითონაც მიხვდება თუ რა უნდა „აღიკვეთოს ჯადაჭრით".

ა. სურგულაძე, აკრიტიკებს რა მ. ცერცვაძისა და სხვათა ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს, აღნიშნავს: ასეთ თვალსაზრისს „ყოვლად გაუმართლებელი სუბიექტივიზმის დაღი აზის. ისე გამოდის, თითქოს სამხარეო ცენტრი, რომელიც სულ 6—7 კაცისაგან შედგებოდა, აფერხებდა ამუხრუჭებდა სოციალისტური რევოლუციის საქმეს, ხოლო ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ბრმად მიჰყვებოდნენ ამ გზას. გამოდის, რომ სამხარეო ცენტრის ეს შეცდომები თავის დროზე ვერავინ ვერ ამოიცნო და ვერ დასაჯა ისინი". ჩვენ აქ სუბიექტივიზმს ვერ ვხედავთ. რატომ ჰგონია ა. სურგულაძეს, რომ პარტიულ ხელმძღვანელ მუშაკებს, ბელადებს და, მით უფრო, პარტიის ხელმძღვანელ ცენტრს (ამ შემთხვევაში სამხარეო კომიტეტს), თუ სწორად ვერ განსაზღვრავენ პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკას კონკრეტ-ისტორიული პირობებისათვის, არ შეუძლიათ „შეაფერ-

---

[124] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში ,თბილისი, 1961, გვ. 52.

ხონ", „დაამუხრუჭონ" რევოლუციის საქმე? მაგრამ ჩვენ აქ არ შეეუდგებით ისტორიაში პიროვნების როლის, რევოლუციაში ბელადეზის როლის გარკვევას, ეს ისედაც ცნობილია ყველასათვის. მათ შეუძლიათ შეაფერხონ, დააგვიანონ ან დაჩქარონ ისტორიული პროცესი, და ჩვენს კერძო შემთხვევაში, სხვა არაფერზეა ლაპარაკი, თუ არა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დაგვიანების მიზეზებზე ამიერკავკასიაში. სწორედ სამხარეო ცენტრის შეცდომებმა, სხვა გარემოებებთან ერთად შეაგვიანეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ეს შეცდომები თავის დროზე შეიგნო იმავე სამხარეო ცენტრის უმცირესობამ. იგი ცნობილი გახდა ჩვენი პარტიის ბელადისათვისაც. და შალე საკანადო ზომებიც იქნა მიღებული, მაგალითად: სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა საკითხი ამიერკავკასიაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ და აქ საგანგებო კომისრად ს. შაუმიანი დანიშნა, ვ. ი. ლენინმა არ მოუსმინა კ. ცინცაძის მიერ თავის მართლებას არსენალის მეწშევიკებისათვის ჩაბარების გამო და სხვა. მაგრამ დასჯით არავინ დაუსჯიათ, რადგან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ვ. ი. ლენინი საქართველოსა და ამიერკავკასიაში ძალაუფლების აღებისათვის ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვებას სთვლიდა მაშინდელი ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის შეცდომად, არც მეტი და არც ნაკლები. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ვ. ი. ლენინი ამ შეცდომას ხსნიდნენ ობიექტური მიზეზებით და არა „ოპორტუნიზმით", არა ვინმეს „კაპიტულანტობით" ან კიდევ „გამცემლობით", წინააღმდეგ შემთხვევაში ვ. ი. ლენინი მტრების მიმართ ულმობელი იქნებოდა, მათ სასტიკად დასჯიდა. აი, ამ გზით, დაშვებულ შეცდომათა ობიექტური მიზეზების მოძებნით უნდა წარმართულიყო მეცნიერული კვლევა-ძიება, უნდა მოძებნილიყო ობიექტური მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ადგილობრივი პარტიული ცენტრისა და მისი ზოგიერთი წევრის შეცდომა. ეს იქნებოდა საუკეთესო გზა, გზა მეცნიერულად გამართული და პოლიტიკურად მომგებიანი უდანაშაულოდ შეურაცხყოფილთა რეაბილიტაციისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, ისტორიკოსთა აქ დასახელებულ არც ერთ ჯგუფს ამ გზით კვლევა ჯერ არ უწარმოებია. ეს კი აუცილებელ და გაღაუდებელ ამოცანად დგას ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

საქართველოში უშუალო რევოლუციურ სიტუაციის, ან უფრო მარტივად, 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომი გაგრძელება. აჯამებდა რა აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგებს ვ. პ. მეავანაძე წერდა: „კვლევის ერთერთ ცენტრალურ და ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხი. მართალია, ამ თემას უკვე მიძღვნილი ჰქონდა ბევრი წიგნი და სტატია, მაგრამ მთელი რიგი საკვანძო მომენტები საკმაოდ ღრმად და ისტორიულად ზუსტად ჯერ კიდევ არ იყო გაშუქებული“[125].

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია მკვლევარმა შეისწავლოს: საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიული გამოცდილება, კერძოდ, პარიზისა და ბაქოს კომუნის ისტორიული გამოცდილება. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ კ. მარქსის ბრწყინვალე წერილები ლ. კუგელმანისადმი. „რა მოქნილობა, რა ისტორიული ინიციატივა, რა თავგანწირვის უნარია ამ პარიზელებში, — წერდა მარქსი, — ექვსი თვის შიმშილობისა და ნგრევის შემდეგ... ისინი ჯანყდებიან, პრუსიელი ხიშტებით გარშემორტყმულნი... მტერი თითქოს პარიზის ჭიშკართან არ მდგარიყოს. ისტორიამ არ იცის ამგვარი სიდიადის მაგალითი... პარიზის ახლანდელი აჯანყება... ჩვენი პარტიის ბრწყინვალე ღვაწლს წარმოადგენს, — თუნდაც იგი დათრგუნვილ იქნეს ძველი საზოგადოების მგლების, ღორებისა და სულმოაბალი ძაღლების მიერ“[126]. ამ საკითხს კვლავ უბრუნდებოდა მარქსი ხუთი დღის შემდეგ, 1871 წლის 17 აპრილის წერილში კუგელმანისადმი. იგი წერდა: „მსოფლიო ისტორიის გაკეთება ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა, ბრძოლას რომ მხო-

---

125 ვ. პ. მეავანაძე, საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობის ზოგიერთი საკითხი (გაზ. „კომუნისტი“, 1961 წ., 5 მაისი).

126 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950. გვ. 561 (ხაზგასმა ჩვენია—ი. კ.).

ლოდ შეუმცდარი ხელშემწყობი შანსების პირობით იწყებდნენ. მეორე მხრივ, ისტორიას ძალიან მისტიკური ხასიათი ექნებოდა, „შემთხვევითობანი" რომ არავითარ როლს არ თამაშობდნენ. ეს შემთხვევითობანი, რა თქმა უნდა, განვითარების თვით საერთო მსვლელობაში შედიან და მათ კვლავ სხვა შემთხვევითობანი აწონასწორებენ. მაგრამ დაჩქარება და დაყოვნება ძალიან არის დამოკიდებული ამგვარ „შემთხვევითობათაგან", რომლებშიაც მონაწილეობას იღებს აგრეთვე ისეთი „შემთხვევა", როგორიცაა ადამიანთა ხასიათი, ის ადამიანებისა, რომლებიც დასაწყისში სათავეში უდგანან მოძრაობას"[127]. ერთ-ერთ გადამწყვეტ არახელსაყრელ „შემთხვევად" მარქსი კომუნარებისათვის თვლიდა პრუსიელთა მიერ აღმართულ ხიშტებს ზედ პარიზის კარებთან. ამიტომ პარიზელები აღმოჩნდნენ ალტერნატივის წინაშე: ან „მიეღოთ ბრძოლა ან უბრძოლველად დამორჩილებოდნენ. მუშათა კლასის დემორალიზაცია უკანასკნელ შემთხვევაში უფრო დიდი უბედურება იქნებოდა, ვიდრე „წინამძღოლთა" დაღუპვა, რამდენიც არ უნდა იყოს მათი რიცხვი"[128]. მარქსის წერილებიდან ამოწერილ ამ გენიალურ შენიშვნებში, ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მუდამ უნდა ახსოვდეს საქართველოს ისტორიის, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მკვლევარს. აი, რატომ არ მოსვლია აზრად არც ერთ მარქსისტსა და არც ერთ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს პარიზის კომუნისათვის, ბაქოს კომუნისათვის ჩრდილი მიეყენებინა იმის გამო, რომ ისინი განწირული აღმოჩდნენ, აი, რატომ არ დაუდანაშაულებიათ პარიზისა და ბაქოს გმირი პროლეტარები „ცაზე იერიშის ძიტანისათვის". ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ მკვლევრებმა, რომლებიც მზად არიან გაამართლონ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ზოგიერთ ხელმძღვანელთა მიერ დაშვებული შეცდომა და ყველაფერი „ობიექტურ" პირობებს გადააბრალონ, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. საჭიროა აგრეთვე შესწავლილ იქნეს ადგილობრივი ხასიათის შემდეგი გარემოებანი: ჩვენი აზრით პირველ რიგში შესას-

[127] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, იქვე, გვ. 562.
[128] იქვე, გვ. 562 (ხაზგასმა ჩვენია—ი. კ.).

წავლია: 1. კავკასიის არმიის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა[129]; 2. ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის უნარიანობა და მასებთან მათი კავშირი; 3. საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ იჩენდა გლეხობა რევოლუციური ბრძოლის უფრო დიდ უნარს, რაც შეიარაღებულ აჯანყებებში გამოიხატა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ვიდრე სახელოვანი რევოლუციური წარსულის მქონე საქართველოს მუშათა კლასი; 4. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა 1917—1921 წლებში და, ბოლოს, 5. ეროვნული მომენტის მნიშვნელობა უშუალო რევოლუციური სიტუაციის მომზადების საქმეში, ხელისუფლებისათვის ბრძოლის მომენტში. აქ აღნიშნულ საკითხებს ჯერ კიდევ აკლიათ მეცნიერული შესწავლა. რაც უდაოდ აფერხებს საქართველოში უშუალო რევოლუციური სიტუაციის არსებობის საკითხზე ნათელ, მეცნიერულ შეხედულებათა ჩამოყალიბებას[130].

ამრიგად, მტკიცება იმისა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1917 წლის დასასრულსა და 1918 წლის დასაწყისში არ იყო პირობები ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღებისა, ნიშნავს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის, ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობისა და კავკასიის რევოლუციური არმიის როლის დაკნინებას, ადგილობრივი სპეციფიკის გაზვიადებას, რუსეთისა და ამიერკავკასიის ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერების უარყოფას და ამით ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის არაკანონზომიერი ხასიათის აღიარებას, ყოველივე ეს მეცნიერულად უსუსურია და პოლიტიკურად წამგებიანი.

---

[129] ამ მიმართულებით ა. სტეკლოვის, მ. ცერცვაძისა და ა. სურგულაძის მიერ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

[130] იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. V, ნაწ. II, 1961, გვ. 181—182

თავი მეხუთე

საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი, თვისობრივად განსხვავებული ეტაპი დაიწყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, 1921 წლიდან, როდესაც დაემხო ბურჟუაზიული ეკონომიური ურთიერთობანი და მისი პოლიტიკური ზედნაშენი—ბურჟუაზიული სახელმწიფო ყველა თავისი ატრიბუტით.

ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციით დამთავრდა ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა საზოგადოების წინა ისტორია და დასაბამი მიეცა ადამიანთა საზოგადოების ნამდვილ ისტორიას, როდესაც ადამიანები, მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულნი, შეგნებულად ქმნიან საკუთარ ისტორიას, აპორციელებენ რა მეცნიერული სოციალიზმის თეორიას,—აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, ისტორიის არც თუ ისე დიდ დროის მონაკვეთში მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, წარმატებით ააშენა სოციალიზმი და ასევე წარმატებით აშენებს კომუნიზმს—კაცობრიობის საუკეთესო მომავალს. ქართველი ხალხის ეს დიდი შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის ნამდვილი ისტორია მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას, სოციალისტური მშენებლობის მდიდარ ისტორიულ გამოცდილებათა მეცნიერულ განზოგადებას, არა მარტო იმიტომ, რომ იგი დაეხმარება თვით ჩვენს ხალხს: კიდევ უფრო განუმტკიცებს მას რწმენას საკუთარი შემოქმედებითი შრომისადმი და სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი, არამედ იმიტომაც, რომ იგი დიდსა და სერიოზულ დახმარებას აღმოუჩენს ყველა ხალხს, რომელიც კი დაადგება სოციალისტური განვითარების გზას. ეს არის კომუნისტური პარტიის პროგრესული მოთხოვნა, „ინტენსიუ-

რად უნდა ვითარდებოდეს კვლევითი მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, — ნათქვამია ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში, — რომლებიც შეადგენენ საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს. ამ დარგში მთავარია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განზოგადება, სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების და კომუნიზმად მისი გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა გამოკვლევა, კომუნისტური აღზრდის პრობლემების დამუშავება"[1]. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებათა მეცნიერების წინაშე პარტიის მიერ ასეთი კარდინალური ამოცანებია დაყენებული, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების შენებლობის ისტორია ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი არა მარტო ქართულ, არამედ, საერთოდ საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ. ამიტომ ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსები დიდ ვალში არიან ახალი საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სისტემატური და გეგმაზომიერი შესწავლა დაიწყო მხოლოდ მის შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილება.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების ჩოლვაწეობის პირველი პერიოდი ხასიათდება ისტორიული დოკუმენტების შეგროვებით, მათი კლასიფიკაციითა და ცალკეული პერიოდების მიხედვით დოკუმენტთა კრებულების შედგენით. ამასთან ერთად განყოფილება აწარმოებდა მუშაობას საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ცალკეულ სამეცნიერო პრობლემების შესასწავლად, განმაზოგადებელი ნაშრომების შესაქმნელად და სახელმძღვანელოების მოსამზადებლად.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა მეცნიერმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ხაჭაპურიძემ. პირველი მეცნიერული შრომები საბჭოთა საქართველოს ისტორიის შე-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (მიღებული სკკპ XXII ყრილობის მიერ), თბილისი, 1961, გვ. 141.

სახებ ეკუთვნის გ. ხაჭაპურიძის კალამს. მან თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში —„ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში“[2], გვიჩვენა ქართველი ხალხის არა მარტო გმირული ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, არამედ ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი შრომაც საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადებში აღდგენისათვის. ამ წიგნში სათანადო მეცნიერული გაშუქება ჰპოვა ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვანმა ეტაპმა —ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების—ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ეტაპმა. გ. ხაჭაპურიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ მოკლე ისტორიული ნარკვევი „საბჭოთა საქართველო“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა 1948 წელს.

გ. ხაჭაპურიძის გამოკვლევები წარმოადგენენ საბჭოთა საქართველოს მეცნიერული ისტორიის ფუძემდებლურ შრომებს. გ. ხაჭაპურიძის მიერ დაწყებულ საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი ჭრაკალრიცხოვანი მოწაფეები.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის შედარებით ყველაზე უკეთ შესწავლილ პერიოდებს წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა (1921—1925 წწ.) და დიდი სამამულო ომის (1941—1945 წწ.) პერიოდები. საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის ისტორიის დანარჩენი მონაკვეთები ჯერ კიდევ არ არიან მონოგრაფიული წესით შესწავლილნი.

საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის (1921—1925 წწ.) ისტორიის შედარებით ამომწურავ გაშუქებას იძლევა ჩვენი მონოგრაფია „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.)“, რომელიც გამოქვეყნდა 1958 წელს. მასში მოცემულია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიტიკა, მხილებულია თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსთა მიერ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის ცდა, საქართველოს ისტორიის აღდგენითი პერიოდის ძირითადი საკითხები აღნიშნულ მონოგრაფიაში განხილულია სსრ

[2] იგი რამდენიმეჯერ გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე და ასევე რამდენიმეჯერ ოდნავ შეცვლილი სახელწოდებით.

კავშირის ხალხთა ისტორიის საერთო ფონზე და მასთან მჭიდრო კავშირში. გარდა ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში სრულადაა ასახული მასში საქართველოს მაშინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მონოგრაფიაში ფართოდ ვერ ჰპოვა გაშუქება ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მშენებელთა მოწინავე წარმომადგენლებმა. ქართულმა პრესამ აღნიშნული მონოგრაფია დადებითად შეაფასა[3].

განვიხილოთ საქართველოს 1921—1925 წლების ისტორიის ცალკეული საკითხების მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის საკითხები შედარებით საფუძვლიანად არის შესწავლილი[4].

---

[3] იხ. დ. გ ე ვ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (ტურ. „მ ნ ა თ ო ბ ი", 1958 წ., № 10); ვ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე. მონოგრაფია საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხებზე (ტურ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ო ნ ო მ ი ს ტ ი", 1958 წ. № 10); გ. ე ვ ა ნ ი ა, სასარგებლო მეცნიერული ნაშრომი (ტურ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1958 წ. № 8); ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, ნაშრომი საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდზე (გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1958 წლის 18 იელისი); С. Чхартишвили, Ценный труд по истории Советской Грузии (газ. „Заря Востока", от 20 августа 1958 г.).

[4] В. Мерквиладзе, В. И. Ленин и строительство основ советской национальной государственности, Тбилиси, 1959 г.; ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შ რ ო მ ე ბ ი, ტ. XXII, 1960 წ.). И. Д. Ахалая, Ревкомы Абхазии (вступительная статья); Сухуми, 1961 г.; ლ. თ ო ი ძ ე, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები საქართველოში (სტატიების კრებული „საბჭოთა საქართველოსა და კომუნისტური პარტიის 40 წელი", თბ., 1941 წ.), მ ი ს ი ვ ე, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების პირველი საბჭოები საქართველოში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახ.-მეც. განყოფილების მ ო ა მ ბ ე. № 1, 1961 წ.), ე. ჯ ი ქ ი ა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტები (იხ. საქ. საარქიო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი, №1 (3), 1959 წ.); ი. კ ა ტ ა რ ა ვ ა, საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიიდან (რევკომების პერიოდი) („მ ე ა მ ბ ი ო ნ ე ლ ი", ტ. III, 1953 წ.); ნ. ე რ ე მ ო ვ ი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბილისი. 1960 წ.; მ ი ს ი ვ ე. ერთი მნიშვნელოვანი თარიღის შესახებ (ტურ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", № 3, 1960 წ.); მ ი ს ი ვ ე, საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა და საქართველოს სსრ პირველი

საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ისტორიიდან უკანასკნელ პერიოდში მეცნიერული დავის საგანი გახდა საქართველოს რევკომების (1921—1922 წწ.) დანიშნულებისა და მისი ხასიათის საკითხი. ჩვენ მიერ ჯერ კიდევ 1953 წელს გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ რევკომების სისტემა საქართველოში წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას. ეს მოსაზრება უფრო გაშლილი სახით გამოვთქვით ჩვენს ზემოთ განხილულ მონოგრაფიაში.

საქართველოში 1921 წლის თებერვლიდან დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოები კი შეიქმნენ 1922 წლის დასაწყისში, ამ პერიოდში შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა (შინაარსი) არსებულიყო რაიმე სახელმწიფოებრივი ფორმის გარეშე და ამ ფორმას, ჩვენის აზრით წარმოადგენდა რევკომების სისტემა. ეს თვალსაზრისი ზოგიერთმა ისტორიკოსმა და იურისტმა არ გაიზიარა[5]. მათი აზრით, რევკომები ყველა საბჭოსა რესპუბლიკაში ყოველთვის ერთიდაიგივე ხასიათის მატარებელნი იყვნენ, ისინი არსად არ გამოუცხადებიათ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, ამიტომ მხოლოდ საქართველოს მიმართ რევკომების სისტემის აღიარება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ, თუნდაც გარდამავალი ხასიათის ფორმად, არ არის მართებული. გარდა ამისა, აღნიშნავენ ისინი, ისტორიულადაც პროლეტარიატის დიქტატურის მხოლოდ ორი ფორმაა ცნობილი — საბჭოები და სახალხო დემოკრატია, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორეტიკოსებს რევკომების სისტემა არ დაუსახელებიათ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, დაასკვნიან ისინი. მაგრამ ამ შემთხვევაში, მათდასაყურადღებოდ უნდა ითქვას, ჯერ ერთი, რომ რევკომები ყველგან ერთიდაიგივე ხასიათისა და, მაშასადამე, ერთიდაიგივე დანიშნულებისა არ ყოფილან და, მეორეც, პასუხგაუცემელი რჩება საკითხი, თუ რა სახელმწიფოებრივი ფორ-

---

კონსტიტუციის მიღება (თსუ შრომები, ტ. 79, 1959 წ.), უ. ბახტაძე, საქართველოს რევკომები (ჟურ. „მნათობი", № 12, 1960 წ.); ნ. სუმბაძე, რევკომების საკითხისათვის საქართველოში (თსუ შრომები, № 79, 1959 წ).

[5] ი. მირცხულავა, საქართველოს კონსტიტუციის ისტორია (ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 6, 1961 წ.); უ. ბახტაძე, საქართველოს რევკომები (ჟურ. „მნათობი", № 12, 1960).

მით ხორციელდებოდა საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურა 1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის თებერვლამდე.

საყურადღებოა ის, რომ, ჯერ კიდევ მაშინ, 1921—1922 წლებში, როდესაც არ არსებობდნენ საბჭოები, მენშევიკებსა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ვერ გაეგოთ რევკომების სისტემის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის მნიშვნელობა და ამიტომ 1921 წელს თებერვალს საქართველოში დამყარებულ რეჟიმს ისინი „საოკუპაციო რეჟიმს“ უწოდებდნენ. ამიტომ ის ამხანაგები, რომლებიც უარყოფენ რევკომების სისტემას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გადამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას, მათდაუნებლიედ წყალს ასხამენ ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე.

ისტორიულ მეცნიერებაში პარტიულობის ლენინური პრინციპი საკითხისადმი პოლიტიკური მიდგომის უპირატესობასაც გულისხმობს უპირველესად ყოვლისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის როდია შესაძლებელი რეალური, მრავალფეროვანი და სისხლსავსე ცხოვრების ამომწურავი გაშუქება გაქვავებული ციტატებით თუ ფორმულებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეიძლება ითქვას, საფუძვლიანადაა შესწავლილი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების ისტორია. მხილებულია ნაციონალ-უკლონიზმის ანტიპარტიული ხასიათი, დამტკიცებულია, რომ ნაციონალ-უკლონისტები წინააღმდეგი იყვნენ არა მარტო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა, არამედ თვით სსრ კავშირის შექმნისაც კი, რამდენადაც ისინი ყოველგვარი სახელმწიფოებრივი გაერთიანების აუცილებელ პირობად აცხადებდნენ თითოეული რესპუბლიკისათვის „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის“ შენარჩუნებას.

1921—1925 წლების ისტორიიდან ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორია ყველაზე უფრო ამომწურავადაა გაშუქებული ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში*. ჩვენს შრომებში, ამიერკავ-

* ი. მელქაძე, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის, თბილისი, 1954 წ.; ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1959 წ., კ. წერეთელი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციისათვის, თბილისი, 1961 წ.; У. Сидамонидзе, К ист-

კასიის ფედერაციის შექმნის ისტორიის გაშუქებას რომ ისახავენ მიზნად, ახლებურად დასმულია რამდენიმე საკითხი:

ჯერ ერთი, განხილულია საბჭოთა რუსეთის. ფედერაციასთან შედარებით ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის სიძნელენი და მათ შორის აღნიშნულია შემდეგი ძირითადი ხასიათის სიძნელენი: ა) საბჭოთა რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებში არ ჰქონია ადგილი ნაციონალისტურ გადახრას, ისე როგორც მას ექონდა ადგილი აქ, ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში. ამ ნაციონალისტური გადახრის დაძლევისა და დამარცხების გარეშე შეუძლებელი იყო ამიერკავკასიაში ერთი, ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა.

ბ) საბჭოთა რუსეთის ფედერაციას ჰქმნიდნენ ხალხები, რომელთაც წინათ არ ჰქონიათ არც სახელმწიფოებრივი არსებობა და არც ავტონომია (ვ. ი. ლენინი), ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციაში შედიოდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში ფედერაცია ნიშნავდა უფლებების გაფართოებას იმ ცალკეულ ეროვნებათა, რომლებიც ადრე განიცდიდნენ ცარისტულ უნიტარიზმს, რადგან წინათ გაბატონებულ რუს ხალხთან ისინი ამჟამად შედიოდნენ ფედერაციაში, როგორც თანასწორნი თანასწორთან. ხოლო მეორე შემთხვევაში ამიერკავკასიის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ფედერაციაში შესვლა, როგორც ეროვნებათა სახელმწიფოებრივი კავშირის ერთ-ერთი ფორმა, ნიშნავდა სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთგვარ შეზღუდვას სამოკავშირო ხელშეკრულების ფარგლებში. გ) საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში შემავალ ხალხებს არ მიუღიათ წარსულიდან ისეთი მძიმე მემკვიდრეობა, როგორიც მიიღო ამიერკავკასიის ხალხებმა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიების ბატონობისა და უცხოელთა სამწლიანი ოკუპაციის შედეგად.

მეორე, აქ საკითხი ეხება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების ფორმასა და ხასიათს. ამიერკავ-

---

ории Закавказской федерации советских республик (жур. „История СССР", 1961 г., № 1); ი. კაკაბარაძე, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955 წ.); მისივე. საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბილისი, 1958 წ. (მონოგრაფია).

კასიაში, როგორც ცნობილია, შეიქმნა ერთი ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც თავისი ფორმით განსხვავდება საბჭოთა რუსეთის ფედერაციისაგან. საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში რესპუბლიკებისა და ოლქების გაერთიანება მოხდა „ავტონომიზაციის" ფორმით, ე. ი. საბჭოთა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტები იყვნენ სუვერენული რესპუბლიკები, რომლებმაც ნებაყოფლობით გადასცეს თავიანთი სუვერენული უფლებების ნაწილი ფედერალურ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ასეთი შესაძლებლობა დღემდე გაუგებარია ბურჟუაზიული ისტორიკოსებისა და სახელმწიფო და სამართლის თეორიის მკვლევართათვის[7]. ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები არ იწოდებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკებად, არამედ იწოდებოდნენ მხოლოდ სახელშეკრულებო (договорными) რესპუბლიკებად, მათ ფედერაციიდან ცალმხრივი აქტით გასვლის უფლება არ ჰქონდათ, როგორც ეს ისტორიკოსს ე. ტოკარჟევსკის წარმოუდგენია[8].

მესამე, საკითხი ეხება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის ხასიათს. როგორც ცნობილია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნისათვის დაემთხვა პარტიის ბრძოლას ყველა საბჭოთა რესპუბლიკის საკავშირო გაერთიანებისათვის. ეს წარმოადგენდა რა გამაერთიანებელი მოძრაობის ფორმასა და ხასიათს, აღვნიშნეთ ორი ძირითადი მომენტი: ა) ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკები მიისწრაფოდნენ საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებისაკენ და ბ) საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული გაერთიანების ფორმა და ა. შ.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომათაგან გამოირჩევა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული უ. სიდამონიძის ნაშრომი, სადაც არა ერთი საკითხია ახლებურად დასმული და გადაწყვეტილი. ნაციონალურ საკითხს აშუქებენ აგრეთვე ვ.

---

[7] იხ. R. Pipes, The formation of the Soviet Union, გვ. 353—354; П. Милюков, Национальный вопрос, Прага, 1925, и др.

[8] Е. А. Токаржевский, Очерки истории Советского Азербайджана (1921—1925 гг.), Баку, 1956, стр. 96.

მერკვილაძის[9], კ. შელიას[10], კ. წერეთლის, ე. ბურჯანაძის[11], მ. აღაჯანოვის[12] და სხვათა შრომები. ამავე საკითხს ეხება რუსი ავტორი ს. ი. იაკუბოვსკაია თავის ნაშრომში „Строительство союзной советской социалистической республики" (1960 წ.). ს. იაკუბოვსკაია აქ განიხილავს საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების ფორმებს[13], მაგრამ რატომღაც უყურადღებოდ სტოვებს ფედერაციის იმ ფორმას, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიაში. ეჭვს გარეშეა, რომ ფედერაციული მშენებლობის ამიერკავკასიური გამოცდილება გათვალისწინებულ იქნა თავის დროზე, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთ, საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებისას.

გარდა ამისა, ს. იაკუბოვსკაია სწორად ვერ აფასებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილებას „ავტონომიზაციის" შესახებ. იგი მას პრინციპულად სწორ დადგენილებად მიაჩნია[14], რისთვისაც იგი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული[15]. დაახლოებით მსგავსივე შეცდომა დაუშვა კ. წერეთელმაც ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებულ ნაშრომში[16].

საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენის ისტორია გაშუქებულია მეტნაკლები სისრულითა და სისწორით იმდროინდელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შრომებში[17], რომელთაც პირველწყაროს მნიშვნელობაც აქვთ უდაოდ.

---

[9] ვ. მერკვილაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის, თბილისი, 1957.

[10] კ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის (1921—1926 წწ.), თბილისი, 1957.

[11] ე. ბურჯანაძე, ამიერკავკასიის კომუნისტების ბრძოლა პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის (1917—1924 წწ.) (დისერტაცია, თ. ს. უ. 1956 წ.).

[12] **М. В. Агаджанов, Г. К. Орджоникидзе в борьбе за осуществление национальной политики коммунистической партии в Закавказье (1921 — 1926 гг.), Тбилиси, 1960.**

[13] იხ. ს. იაკუბოვსკაიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 25.

[14] იქვე, გვ. 48—49, 145.

[15] იხ. ჟურნ. „История СССР", № 3, 1961, გვ. 171—172.

[16] იხ. კ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 173.

[17] ფ. მახარაძე, გეგმიანი მეურნეობა და სახელმწიფო-საგეგმო კომისიის ამოცანები, თბილისი, 1924; მ. მგალობლიშვილი, ჭიათურის შავი ქვის კონ-

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის ისტორიას არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნეს საბჭოთა ისტორიკოსებმა და ეკონომისტებმა[18].

საბჭოთა საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშრომელთა დაძაბული შრომის ისტორია გადმოცემულია ჩვენს დასახელებულ მონოგრაფიაში. აქ გამახვილებულია ყურადღება საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისა და გატარების თავისებურებებზე. ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე ჩვენ მივედით გარკვეულ დასკვნამდე: საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის შითითებებით ჩვენი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ. ძირითადად მართებულად ახორციელებდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლენინურ კურსს. მაგრამ ისინი ყოველთვის როდი ითვალისწინებდნენ, როგორც საჭირო იყო, საქართველოს ისტორიული განვითარების ყველა თავისებურებას. ასე მაგალითად, არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ საქართველოს არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის პერიოდი, და 1921 წლის ზაფხულში, თითქმის წინასწარი მოსამზადებელი სამუ-

---

ცესია. თბილისი, 1925; ს. გოდაბრელიძე. მეშვიდ საკითხი მუნშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს. თბილისი, 1921; მ ი ს ი ვ ე. საწარმოო და ეკონომიური თათბირები, თბილისი, 1927; **В. Чичинадзе и Мелик-Пашаев, Земо Авчальская Гидроэлектростанция, Тбилиси, 1924; А. Еркомайшвили, Продовольственный налог в Грузии ,Тбилиси, 1921.**

[18] ი. კაკარაგა, დასახელებული ნაშრომი: ლ. დავითაძე. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები აჭარაში (იხ. სტატიების კრებული—„საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში", ბათუმი, 1961); კ. ორაგველიძე. „მაკრატლის" შესახებ, თბილისი, 1924; ე. ჯიქია, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის ისტორიიდან (იხ. საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები ტ. VI, ნარკვ. II, 1962); მ ი ს ი ვ ე, კომუნისტურ შაბათობათა ისტორიისათვის საქართველოში (იხ. ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 8, 1962); ნ. ჩაფიძე. ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორიიდან (იხ. საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნარკვ. II, 1962 წ.); **А. Э. Куправа, Крестьянство Абхазии в годы восстановительного периода (1921 — 1925 гг.), Сухуми, 1955; З. Н. Ванеев, Революционная земельная реформа в Юго-Осетии (1921—1927 гг.);** შ. ბ ე ბ ე შ ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან ხუშაობაზე გადასვლის პერიოდში (1921—1925 წწ.) (დისერტაცია, თ. ს. უ. 1954).

შაოთა გარეშე, შემოღებულ იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ღაწესდა სასურსათო-ნატურალური გადასახადი, თუმცა ეს ღონისძიება არ წარმოადგენდა აუცილებელს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისათვის საქართველოში.

როგორც ცნობილია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების პირველი და მთავარი ღონისძიება იყო სასურსათო გაწერის გაუქმება. სასურსათო გადასახადი კი წარმოადგენდა „სასურსათო გაწერის გაუქმების უბრალო დამატებას" და ნაკარნახევი იყო დამამზადებელი ორგანიზაციების სისუსტით, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს, აგრეთვე, ფულის მიმოქცევის მოწესრიგების ინტერესებით; ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების მეორე მთავარი ღონისძიება იყო ნედლეულისა და სურსათის დამზადების დაკისრება სამომხმარებლო კოოპერაციისათვის; მესამე მთავარი ღონისძიება იყო სახელმწიფო ბანკის შექმნა ფულის მიმოქცევის მოსაწესრიგებლად და, ბოლოს, მეოთხე მთავარი ღონისძიება იყო სახელმწიფო საწარმოთა გადასვლა სამეურნეო ანგარიშიანობაზე. ყველა ეს ღონისძიება ერთად აღებული წარმოადგენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას.

საბჭოთა რუსეთში სასურსათო გადასახადს კმაყოფილებით შეხვდა გლეხობა, ჩვენში კი მან გლეხობის უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ამიტომ საქართველოში სასურსათო-ნატურალურმა გადასახადმა ვერ გაამართლა თავისი თავი. შესაძლებელი გახდა სასურსათო-ნატურალური გადასახადიდან მოსალოდნელი შემოსავლის მხოლოდ ერთი მეათედის მიღება. ამიტომ აღნიშნულმა გადასახადმა არა თუ არ გააძლიერა საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერა სოფლის მეურნეობის ნატურალიზაცია. ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა 1922 წლისათვის საგადასახადო კანონის შემუშავებისას. ახალმა საგადასახადო კანონმა გლეხობას ნება დართო გადაეხადა სასურსათო-ნატურალური გადასახადი ფულადი ექვივალენტით. ამ გარემოებისათვის ქართულ ისტორიულსა და ეკონომიურ მეცნიერებას არ მიუქცევია სათანადო ყურადღება[19].

---

[19] ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, თითქოს „ნატურალური" და „სასურსათო" გადასახადი სხვადასხვა გადასახადია.

საქართველოს 1921—1922 წლების ისტორიის მეცნიერულ გაშუქებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვ. ესაიაშვილის მონოგრაფიამ—„ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები", რომელიც გამოქვეყნდა 1959 წელს თბილისში. ავტორი აქ გვიჩვენებს ვ. ი. ლენინის წერილებისა და მათში ჩამოყალიბებული ფუძემდებლურ დებულებების მნიშვნელობას საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობისათვის, მაგრამ ვ. ესაიაშვილი არ არის მართალი, როდესაც აცხადებს, თითქოს მისი მონოგრაფიის გამოსვლამდე „სათანადოდ არ ყოფილა გაშუქებული ვ. ი.

წარმოადგენდეს (იხ. ა. კ ა ტ ა ბ ა ძ ე, საქართველოს სსრ ფინანსების სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.) (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. II, 1947 წ. და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ.". თბილისი, 1961, პროფ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს რედაქციით). ამ უკანასკნელში ვკითხულობთ: „1921 წლის 7 სექტემბრის დეკრეტით შემოღებულ იქნა სასურსათო გადასახადი, რომელიც 1922 წლის 10 მაისის დეკრეტით შეიცვალა ნატურალური გადასახადით" (იქვე, გვ. 157). აქ აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში ადგილი ჰქონდა არა ორი სხვადასხვა სახის გადასახადს, არამედ ერთს, სურსათზე დადებული გადასახადის ნატურა-გადახდევინებას. სურსათზე გადასახადი დაწესდა 1921 წლის ზაფხულში, სხვა და სხვა სახის პროდუქტზე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დეკრეტით: კერძოდ, პურზე, ხორცზე, ღვინოზე, კარაქზე. ყველზე. მატყლზე და სხვა, სულ 11 სახის პროდუქტზე (იხ. ЦГАОРСС ГССР, ф. 60[с], д. 2133, л. 259). სხვა და სხვა პროდუქტზე დადებული გადასახადის ნატურალური გადახდევინება ძნელი ხდებოდა, ამის გამო მთლიანად მისი აკრეფა ვერ მოხერხდა, ამასთან ერთად იგი გლეხობის სამეურნეო ინიციატივას ზღუდავდა, პარტიამ და ხელისუფლებამ საჭიროდ ჩასთვალა საგადასახადო პოლიტიკის გამარტივება. აი, იმ დეკრეტში, თუ დადგენილებაში (1922 წ. 10 მაისის), რომელიც ახალი, ნატურალური გადასახადის დამწესებელ დეკრეტად მიიჩნიათ ჩვენს ეკონომისტებს, ვკითხულობთ შემდეგს: „ყ ვ ე ლ ა ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ი ს ა დ ა გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, აგრეთვე იმ პირნით, რომ გლეხობას მიეცეს მეტი თავისუფლება სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების საქმეში, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აცხადებს:

1. „ნატურალური გადასახადი, რომელიც სოფლის მეურნეს მოუწევს. ამიერიდან გამოანგარიშებულ უნდა იქნეს სიმინდისა და ხორბლის ერთეულში". ამის შესასრულებლად საქ. სახ. კომ. საბჭოს დაევალა შეიმუშაოს პროექტი „დეკრეტისა „ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ, ნაცვლად ამჟამად მოქმედი სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადასახადის ცალკე დეკრეტებისა" (იხ. გაზ. „კომუნისტი" 1922 წლის 13 მაისი), ამ, № 4 დადგენილების ნაწ-

ლენინის როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის როლი"[20]. გამოდის რა აქედან, ვ. ესაიაშვილი მიზნად ისახავს ვ. ი. ლენინის უკვე ცნობილი და რიგი ახლად მოპოვებული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე რამდენადმე მაინც შეავსოს, მისი აზრით, არსებული ხარვეზი ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიის მეცნიერულად შესწავლასა და გაშუქებაში. ავტორის მიზანი მიღწეული იქნებოდა, რომ მას მეცნიერულ ლიტერატურაში შემოეტანა ისეთი ახალი ლენინური დოკუმენტები, რომლებიც ოდნავად მაინც შესცვლიდნენ უკვე ცნობილი ლენინური დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებულ მოსაზრებებს ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ავტორის მიერ მოტანილი ახალი ლენინური დოკუმენტები იმავეს ადასტურებენ, რასაც უკვე ცნობილი დოკუმენტების საფუძველზე ამტკიცებდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსები.

1921—1925 წლების საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ისტორია სუსტადაა შესწავლილი. ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევები თითქმის არ გაგვაჩნია. იგი მეტნაკლები სისრულითაა გარჩეული ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ შრომებში. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მაშინდელ გამოჩენილ მოღვაწეთა სიტყვებსა და მოხსენებებში მდიდარი და ფრიად საყურადღებო მასალაა მოცემული კლასობრივი ბრძოლის ისტორიის მეცნიერული გაშუქებისათვის. სუსტადაა შესწავლილი აგრეთვე აღდგენით პერიოდ-

ლობრივ შეცვლის შესახებ საქ. სსრ. ცაკ. პრეზიდიუმმა 1922 წლის 20 მაისს მიიღო დადგენილება, № 6, რომლითაც პირველ მუხლში დაემატა გლეხის უჯლების შესახებ ნატურალური გადასახადის ფულადი ექვივალენტით შეცვლაზე (იხ. გაზ. „კომუნისტი" 1922 წ. 24 მაისი). 1922 წლის 10 მაისის დადგენილების თანახმად. 1922 წლის 20 ივნისს გამოიცა დეკრეტი № 5, სადაც ეკითხულობთ: „1. ნაცვლად 1921—1922 წწ. არსებული ნატურალური გადასახადებისა პურის პროდუქტებზე, კარტოფილზე, ბოსტნეულზე, ხილზე, ღვინოზე, ხორცზე, მატყლზე და მერძეობის პროდუქტებზე, 1922—1923 სასოფლო-სამეურნეო წელს შემოღებულ იქნეს ერთიანი ნატურალური გადასახადი სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე" და ა. შ. (იხ. გაზ. „კომუნისტი" 1922 წლის 24 ივნისი) (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, ი. კ.). ამრიგად საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს არა ორ, არამედ ერთ გადასახადთან, რომელიც დადებული იყო სურსათზე და იხდეინებოდა ნატურით. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ რკპ (ბ) X ყრილობის მიერ სასურსათო გაწერის „შემდეგ დაწესებულ გადასახადს ეწოდა არა „სასურსათო გადასახადი", არამედ „ნატურალური გადასახადი" (იხ. სკკპ რეზოლუციებში, ტ. I, გვ. 724).

[20] იხ. ვ. ესაიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 376—377.

ში კულტურული მშენებლობის ისტორია. მხოლოდ პირველი ნაბიჯია ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიის მეცნიერული შესწავლისაკენ გადადგმული[21].

ასეთია საქართველოს 1921—1925 წლების ისტორიის მეცნიერული შესწავლის არასრული სურათი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდის ზოგიერთი საკითხი კვლავ მოელის თავის მკვლევარს, არ შეიძლება ამ პერიოდზე ითქვას, რომ იგი შეუსწავლელია. ყოველივე ეს ჩვენ ფუფუნებად მოგვეჩვენება შემდგომი პერიოდების შესწავლის მდგომარეობასთან შედარებით.

საქართველოს ისტორიის 1926—1941 წლების პერიოდი, ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი ფრიადმნიშვნელოვანი ეტაპი, თითქმის შეუსწავლელია, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის მაშინდელ გამოჩენილ ხელძღვანელთა სიტყვებს, მოხსენებებსა და შრომებს, რომელთაც უპირატესად პირველი წყაროების მნიშვნელობა აქვთ. მათ შორის შეიძლება დასახელებულ იქნან მ. ცხაკაიას[22], ფ. მახარაძის[23], მ. ორა-

---

[21] ც. კალანდაძე, კულტურული მშენებლობის ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში (1921—1925 წწ.) (სკ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I. 1955); З. П. Бабунашвили, Культурное строительство в Грузии в восстановительный период (1921—1925 гг.), Тбилиси (Автореферат), 1955; გ. კიკნაძე, ნარკვევები სკოლის ისტორიიდან საბჭოთა საქართველოში (1921—1928 წ.წ.), თბილისი, 1959; Б. В. Плиев, О культурном строительстве; в Юго-Осетии в восстановительный период (1921—1925 гг.) („Известия ЮОНИИ", вып. 10, 1960 г.); А. Э. Куправа, Из истории культурного строительства в советской Абхазии, Сухуми, 1961; А. К. Адлейба, К Истории культурного строительства в Абхазии, Сухуми, 1961.

[22] მ. ცხაკაია, სოციალისტური მშენებლობა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები საქართველოში, თბილისი, 1930.

[23] ფ. მახარაძე, საქართველოს სახალხო მეურნეობა (საქართველოს მთავრობის ანგარიში), თბილისი, 1929, მისივე, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, თბილისი, 1929, მისივე; საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანები, თბილისი, 1929.

ხელაშვილის[24], მ. კახიანის[25], ს. მამულიას[26], ლ. ღოღობერიძისა[27] და სხვათა შრომები, რომლებიც შეიცავენ მდიდარ ფაქტობივ მასალებსა და იძლევიან სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ გამოცდილებათა მარქსისტულ-ლენინურ განზოგადებებს, მაგრამ ისინი არ არიან თავისუფალნი ზოგიერთი შეცდომებისაგანაც.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ისტორიისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი შრომები დაგვიტოვეს საქართველოს მაშინდელი საბჭოთა და სამეურნეო დარგის ცნობილმა მოღვაწეებმა[27ª]. ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევებით გაამდიდრა ქართული ეკონომიური და ისტორიული ლიტერატურა კ. ორაგველიძემ[28].

ქართველი ისტორიკოსების მიერ საქართველოს 1926—1941 წლების ისტორიის მხოლოდ ცალკეული პრობლემებია მონოგრაფიულად შესწავლილი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, თითქმის ყველაფერი გაკეთებულია მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებში. უნდა ითქვას, რომ ეს წლები ფრიადნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ის-

---

[24] მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ფედერაციის 10 წელი, თბილისი, 1932; მისივე, О наших задачах идеологическом фронте, Тбилиси, 1929.

[25] მ. კახიანი, პარტია და ტროცკისტულ-უკლონისტური ოპოზიცია საქართველოში, თბილისი, 1927, მისივე, საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებისა და ნაკლის შესახებ საქართველოში; მისივე, К годовщине социалистического соревнования, Тбилиси, 1930.

[26] ს. მამულია, აგიტაციის, პროპაგანდისა და კულტურული მშენებლობის ამოცანები საქართველოში, თბილისი, 1929; მისივე, საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები, თბ., 1931.

[27] ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბილისი, 1927.

[27ª] კ. ქაცარავა, ორ ფრონტზე გაშლილი ბრძოლით სკოლის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის, თბილისი, 1932, მისივე, ამიერკავკასიის უედერაციის ათი წელი და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები თბილისის სკოლებში, თბილისი, 1932. В. Чичинадзе, Абашская ГЭС, Тбилиси, 1928; Его же, Пути развития энергохозяйства ЗСФСР, 1933; ს. გოდაბრელიძე, სოციალისტური შეჯიბრება, თბილისი, 1930; ვ. ცაგარელი, სასოფლო-სამეურნეო კომუნები საქართველოში და სხვ.

[28] კ. ორაგველიძე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, თბილისი, 1929; მისივე, რეკონსტრუქციის პრობლემები, თბილისი, 1930 და სხვ.

ტორიოგრაფიისათვის. ამ პერიოდში შეიქმნა და გამოქვეყნდა რამდენიმე მონოგრაფია[29]. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

მ. ნათმელაძის მონოგრაფიაში დახასიათებულია 1928—1932 წლებში საქართველოს მრეწველობის განვითარების მდგომარეობა. და ნაჩვენებია საქართველოს მუშათა კლასის ზრდა, მასში მომხდარი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები. ვ. რეხვიაშვილის ნაშრომი კი გვიჩვენებს მთელი ქართველი ხალხის (მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის) თავდადებულ შრომას პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას გვაცნობს ს. შარიქაძის მონოგრაფია. აქ ავტორს განხილული ქვს შემდეგი საკითხები: პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები და მეორე ხუთწლედის ამოცანები, მუშათა კლასის ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და განვითარებისათვის და, ბოლოს, მეორე ხუთწლედის შესრულების შედეგები. თ. ჟღენტის ნაშრომი აშუქებს აფხაზეთის ერთერთი სოფლის კოლმეურნე გლეხობის ისტორიას საკოლმეურნეო მოძრაობის მთელ ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. ა. კიკვიძის ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების

---

[29] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში, თბილისი, 1961; ი. კ ო დ უ ა, საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, თბილისი, 1950; მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე. საქართველოს მუშათა კლასი მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1958; ვ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მშრომელები პირველი ხუთწლედისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1959; ს. შ ა რ ი ქ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში (1933—1937 წ.წ.), თბილისი, 1959; Т. Жгенти, История колхоза им. В. И. Ленина села Окуми Гальского района Абхазской АССР, Сухуми, 1955; გ. კ უ პ რ ე ი შ ვ ი ლ ი. სოციალურ-ეკონომიური ცვლილებანი სოფლად, თბილისი, 1949; Б. З. П л и е в. Простейшие виды сельско-хозяйственной кооперации растениеводство Юго-Осетии („И з в е с т и я ЮОНИИ", вып. 9), 1958; ა. ე ბ რ ა ლ ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკები საქ. კპ (ბ). VIII ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, დისერტაცია, თ. ს. უ., 1952; მ. ბ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა და საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება (დისერტაცია, თ. ს. უ., 1956).

შექმნისა და განმტკიცების ისტორიის მონოგრაფიული წესით შესწავლის პირველ ცდას.

საქართველოს ისტორიის 1941—1945 წლების ისტორიისადმი თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენმა ისტორიკოსებმა. აქ მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: ჯერ ერთი, მეცნიერული შესწავლის ობიექტი გახდა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში, მეორე, ქართველი ხალხის მონაწილეობა ჰიტლერელი ურდოების წინააღმდეგ დიდ განმათავისუფლებელ ომში და, ბოლოს, მესამე, ქართველების მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ რაიონებში გაშლილ პარტიზანულ მოძრაობასა და ევროპის ქვეყნებში დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში. ვერ ვიტყვით ყველა ეს მიმართულება ერთნაირად ამომწურავად იყოს შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიეძღვნა არა ერთი მონოგრაფია[30]. განვიხილოთ ზოგი მათგანი.

---

[30] ა. იოსელიანი, საქართველოს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წწ.). თბილისი, 1958; მისივე, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (ტრანსპორტის მუშაკთა პატრიოტიზმი დიდი სამამულო ომის პერიოდში), თბილისი, 1957; მ. ბარამია, ქართველი ხალხის მონაწილეობა კავკასიის დაცვაში, თბილისი, 1960; მ. ქოჩიაშვილი, ქართველ პარტიზანები ჰოლანდიაში, თბილისი, 1948; მისივე, გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურება ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან (გიზელის ბრძოლა) (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1954). Б. З. Плиев, Трудящиеся Юго-Осетии в период Великой Отечественной войны, Сталинири, 1957; დ. გვრიტიშვილი, ქართველი სტალინგრადელები, თბილისი, 1944; ნ. ჭეიშვილი, ქართველი მებრძოლები ბერლინისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1953; მისივე, ქართველები იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1953; А. Абшилава, Сыны Абхазии — Герой Советского Союза, Сухуми, 1962; Его же, Трудящиеся Очамчирского района Абхазской АССР в годы Великой Отечественной войны (1941 — 1945 гг.) Сухуми, 1960; ნ. ჩახვაშვილი, ქართველი კომკავშირლები სამამულო ომის ფრონტებზე, თბილისი, 1946; ქ. ანთიძე, საქართველოს ქალთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1958; ო. აბუთიძე საქართველოს კომკავშირის შრომითი მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ) (ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XX), 1959; В. Д. Бегизов, Сыны Юго-Осетинского народа в Великой Отечественной войне Советского Союза („Изве-

ა. იოსელიანის მონოგრაფია ყველაზე სრული და საფუძვლიანი გამოკვლევაა საქართველოს 1941—1945 წლების ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის. აქ ავტორი საქართველოს 1941—1945 წლების ისტორიას გადმოსცემს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის საერთო ფონზე და უმთავრესად იკვლევს ზურგში ქართველი ხალხის თავდადებული შრომის საკითხებს, გვიჩვენებს საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შრომით მამაცობას. გარდა ამისა ა. იოსელიანის მონოგრაფია ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართველი ხალხის შვილთა მამაცობისა და თავდადებული ბრძოლების შესახებ სამამულო ომის ფრონტებზე. ა. იოსელიანის მონოგრაფიას დადებითი შეფასება მისცა ქართულმა პრესამ[31].

ა. იოსელიანის მონოგრაფიას გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანებაც. ნაშრომი ყოველთვის ვერ იძლევა სწორსა და მართებულ წარმოდგენას საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე, იგი ჰქმნის არასწორ წარმოდგენას ომის პერიოდში საქართველოში სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის შესახებ, თითქმის არაფერს გვეუბნება ომის პირობებში ქვეყნად არსებულ სიძნელეებზე და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს ვერ ფარავს მის დადებით მომენტებს და მეცნიერულ ღირსებას.

ა. აბშილავას ნაშრომში ნაჩვენებია ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა საქმიანობა დიდი სამამულო ომის პერიოდში. ეს ის პერიო-

---

стия ЮОНИИ", вып. 5), Сталинири, 1946; Г. Т. Черкезия, Трудящиеся Абхазии в годы Великой Отечественной войны (1941 — 1945 гг.), Сухуми, 1962; М. К. Делба, Интеллигенция Абхазии в годы Великой Отечественной войны, Сухуми, 1959; Ш. С. Начкебия, Краткие сведения об истребительных батальонах Абхазии (Труды Аб. И. Я. Л. И. АН ГССР, т. XXX, Сухуми, 1960 г.).

[31] ე. ბურჭულაძე. ქ. ანთაძე, ისტორია ასე მოგვითხრობს (გაზ. „ლომონისტი", 1959 წლის 9 დეკემბერი); А. Нуцубидзе, Ценная монография (газ. „Заря Востока" 14 ноября, 1954 г.); ვ. ჯიჯეიშვილი, მეცნიერულ-პარტიული ლიტერატურის ახალი შენაძენი (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1959 წლის 24 თებერვალი); ბ. ბლიევი, ძვირფასი გამოკვლევა (გაზ. „საბჭოთა ოსეთი" 1959 წ. 1 სექტემბერი); ა. ღლონტი, ქართველთა სიმამაცის მატიანე (გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", 1959 წლის 15 მაისი) და სხვ.

დია, როდესაც ავტორს ოჩამჩირის რაიონში უხდებოდა მუშაობა, როგორც ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს. ამდენად ა. აბშილავას ნაშრომი არა მარტო მეცნიერული კვლევის შედეგია, არამედ უშუალოდ განცდილის განზოგადებისა და სისტემაში მოყვანის შედეგიც. მაგრამ ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაიბადოს ეჭვი: საკმარისია თუ არა ერთი რაიონის 4 წლის ისტორია სპეციალური ისტორიული მონოგრაფიისათვის? ჩვენ ვიტყოდით დიახ, სრულიად საკმარისია, თუ თვით ნაშრომის, მონოგრაფიის შესრულების ხარისხი დაიმსახურებს მოწონებას, თუ ერთი რომელიმე რაიონის „პატარა სურათი" გამოდგება „დიდი საკითხების გამოსარკვევად".

აქ, ჩვენ მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა მოვიგონოთ ერთი პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო ისტორია ვ. ი. ლენინის ცხოვრებიდან, მისი მოღვაწეობიდან. 1918 წლის ბოლოს გაზეთ „ბედნოტას" რედაქტორმა ვ. ი. ლენინს გადასცა ერთ-ერთი საშაზრო მუშაკის — ალექსანდრე ტოდორსკის წიგნი: „ერთი წელი შაშხანითა და გუთნით". იგი ლენინს მოეწონა და „შესანიშნავი წიგნი" უწოდა და, ბოლოს, უძღვნა მას სტატია ფრიად საყურადღებო სათაურით: „პატარა სურათი დიდი საკითხების გამოსარკვევად". აი, რას წერდა ვ. ი. ლენინი ა. ტოდორსკის წიგნის შესახებ:

„ავტორი აგვიწერს ვესეგონსკის მაჭრაში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობისათვის წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელთა მოღვაწეობის ერთი წლის გამოცდილებას, — ჯერ სამოქალაქო ომს, ადგილობრივი კულაკობის აჯანყებას და მის ჩახშობას, შემდეგ „ცხოვრების მშვიდობიან მშენებლობას"... რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ეს წიგნი და ვისურვოთ, რათა მასაში და მასასთან მომუშავე, ნამდვილი ცხოვრების შიგ შუაგულში მომქმედ მუშაკთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მოჰკიდოს ხელი თავისი გამოცდილების აღწერას. რამდენიმე ასეული ან თუნდაც რამდენიმე ათეული საუკეთესო, უაღრესად მართალი მეტად სადა, საგულისხმო ფაქტიური შენაარსით მეტად მდიდარი ასეთი აღწერის გამოცემა შეუდარებლად უფრო სასარგებლო იქნებოდა სოციალიზმის საქმისათვის, ვიდრე ბევრი საგაზეთო თუ საჟურნალო ნაშრომი და წიგნი გაწაფული ლიტერატურებისა, რომლებიც ძალიან ხშირად ქაღალდის იქით ცხოვრებას ვერ ხედავენ"[32].

[32] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 482—483.

ყოველივე ის, რაც ვ. ი. ლენინმა სთქვა ტოდორსკის წიგნზე, ჩვენ თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ა. აბშილავას წიგნის მიმართაც. რამდენად ოჩამჩირის 4 წლის ისტორია ავტორის მიერ წარმოდგენილი, ყოველმხრივ მოწონებას იმსახურებს. ამდენად ეჭვი, საკმარისია თუ არა ერთი რაიონის ისტორია სპეციალური ისტორიული მონოგრაფიისათვის, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ა. აბშილავას ნაშრომში დამაჯერებლადაა მოთხრობილი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში ოჩამჩირის რაიონის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შრომითი მამაცობა, მათი პატრიოტული მოღვაწეობა, რაც უპირველესად ყოვლისა გამოვლინდა ფრონტისადმი დახმარებაში, ფრონტელთა ოჯახებისა და ევაკუირებულ საბჭოთა ადამიანებისადმი დახმარებაში და ა. შ.

გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ გაშლილ სახალხო-პარტიზანულ და წინააღმდეგობის მოძრაობებში ქართველ მეომართა გმირულ მონაწილეობაზე მოგვითხრობენ მ. ქოჩიაშვილის[32*], ნ. ჭეიშვილისა და სხვათა შრომები.

ჰოლანდიაში (კუნძულ ტექსელზე) ქართველ პარტიზანთა აჯანყებამ თავიდანვე მიიპყრო საბჭოთა და უცხოეთის საზოგადოებრიობის ყურადღება. ამის შესახებ ცნობები გამოაქვეყნა გაზეთებმა „პრავდამ" (1946 წლის 6 ივნისს, 1949 წლის 5 მაისს, 1953 წლის 17 ნოემბერს), „იზვესტიამ" (1953 წლის 5 მაისს), „კომუნისტმა" (1946 წლის 20, 22, 23 თებერვალს, 5, 6 და 9 მარტს, 1949 წლის 23

32* მ. ქ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომს „ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში" ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა პრესა და სამეცნიერო წრეები. გამოქვეყნდა რეცენზიები: ს. ა. კ ო კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ს, ნაშრომი ჰოლანდიაში მომქმედ ქართველ პარტიზანებზე (გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1949 წლის 23 ივლისი), Д. Д а р а х в е л и д з е, Грузины—партизаны в Голандии (газ. „З а р я В о с т о к а", от 2 декабря 1949 г.), გ. ხ ა ჭ ა რ ა ი ა, ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში (გაზ. „ს ა ბ ჭ ო თ ა ო ს ე თ ი", 1950 წლის 22 თებერვალი) და სხვ.

მ. ქოჩიაშვილის წიგნმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ჰოლანდიის მეცნიერულ და ლიტერატურულ წრეებში. ამ წიგნისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა ამსტერდამის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კათედრის პროფესორმა, დოქტორ კარლ ებელინგმა, აგრეთვე მწერალმა ი. ვან დერ ვლისსმა, რომელმაც ჰოლანდიაში (კუნძულ ტექსელზე) ქართველ მებრძოლთა აჯანყებისადმი მიძღვნილ წიგნის („ტრაგედია ტექსელზე") მეხუთე გამოცემაში, 1956 წელს ფართო კომენტარი გაუკეთა მ. ქოჩიაშვილის აღნიშნულ ნაშრომს და თავის მონოგრაფიის 24-ე გვერდზე მისი სატიტულო გვერდის ფოტო პირიც მოათავსა.

ივლისს და სხვ.), „ზარია ვოსტოკამ“ (1946 წლის 16 ივნისს, 1949 წლის 2 დეკემბერს), ჟურნალმა „სოვეტსკი ვოინმა“ (1949 წ. № 24).

ტექსელის აჯანყების შესახებ მასალები და დოკუმენტები გამოქვეყნდა აგრეთვე დოკუმენტთა კრებულში „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის პერიოდში“ (რუსულ ენაზე, 1947 წ. ტომი III, გვ. 285—292).

ტექსელის ამბები ფართოდაა გაშუქებული აგრეთვე საზღვარგარეთულ გამოცემებში: ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ჰარლემის ორგანიზაციის № 2 ბიულეტენში (იხ. „პრავდა“ 1945 წლის 6 ივნისი) ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში („დე ვაარჰეიდ“ 1945 წლის №№ 23, 48, 1960 წლის №№ 79, 83), წიგნში „ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა“ (რუსულ ენაზე, 1959 წ. გვ. 95), ჰოლანდია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორგანოში, ჟურნალ „ჰოლანდია—სსრკ“ (1960 წლის № 10) და სხვ.

ტექსელის ამბებისადმი ესოდენ დიდი ყურადღება გამოწვეულია არა მარტო ქართველ მეომართა გმირული ბრძოლების რომანტიკით, არამედ უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური და ეროვნული ინტერესებით. ჩვენც ამიტომ ვუთმობთ ასე დიდ ადგილს მ. ქოჩიაშვილის წიგნის განხილვას. მ. ქოჩიაშვილმა მდიდარი ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე გვიჩვენა საბჭოთა მებრძოლების შეცდომა, რაც საბჭოთა მეომრის ნათელ სახელს ჩრდილს აყენებდა უდაოდ. მაგრამ ამავე დროს ავტორმა, გულმოდგინედ შეისწავლა რა როგორც საბჭოთა, ისე უცხოური წყაროები, გვიჩვენა ქართველი მეომრების გმირული თავდადება და ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, როდესაც გმირმა მებრძოლებმა საკუთარი სისხლით გამოისყიდეს თავიანთი შეცდომები. ყოველივე ეს საჭირო იყო სცოდნოდა საბჭოთა მკითხველს და იგი გააცნო მას კიდეც მ. ქოჩიაშვილის წიგნმა. ამ წიგნში კარგადაა კონკრეტული მაგალითით ნაჩვენები ინგლისელთა მიერ სამოკავშირო ვალდებულებების უხეში დარღვევის შემთხვევა და, ბოლოს, ნაჩვენებია ჰოლანდიელი ხალხისა და ქართული ბატალიონის ურთიერთობის მაგალითზე ის დიდი სიყვარული, რომლითაც სამამულო ომის შედეგად კიდევ უფრო განიმსჭვალა მთელი მსოფლიოს მშრომელები საბჭოთა კავშირისადმი და მისი გმირი არმიისადმი.

ამრიგად, საქართველოს 1941—1945 წლების ისტორია, აღდგენითი პერიოდის (1921—1925 წწ.) ისტორიის შემდეგ ყველაზე უკეთაა შესწავლილი. ამ პერიოდის შესახებ, როგორც ვნახეთ ბევრი სეზრიოზული გამოკვლევა შეიქმნა, მაგრამ მათ, ზოგიერთის გამოკლებით, ყველა დადებით მომენტებთან ერთად აბსოლუტურად ისტორიული წყაროებისადმი არა კრიტიკული მიდგომა, დაბალი თეორიული დონე, სუსტი მეცნიერული განზოგადებანი და გადმოცემის პუბლიცისტურ-პროპაგანდისტული მანერა.

საქართველოს ისტორიის ომის შემდგომი პერიოდი ითქმის სრულიად შეუსწავლელია. მოვლენებით და ამბებით მეტად მდიდარი ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთის შესწავლა, მხოლოდ დასაწყის ეტაპშია. ეს ჩამორჩენა უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ამ პერიოდში ისტორიული მოვლენების გაგებისათვის დამახასიათებელი დინამიურობით. მასების ისტორიულ შემოქმედებას დიდად ჩამორჩება მეცნიერების შემეცნებითი მოღვაწეობა. ამიტომ ძნელია თავბრუდამხვევი ტემპებით განვითარებადი მოვლენებისა და ამბების აღქმა და მეცნიერული განზოგადება ისტორიის უახლოეს პერიოდზე მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართათვის. ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი, თითო-ოროლა ნარკვევი ამ პერიოდისადმი მიძღვნილი ამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს[23].

---

[23] Т. Жгенти, Колхозное крестьянство Абхазской АССР в борьбе за восстановление и развитие сельского хозяйства в послевоенный период (1945—1958 гг.), Тбилиси, 1960; ბ. პატარაია, ჩაის საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობის საკითხი, ბათუმი, 1959; ე. გონგაძე, „თეთრი წყარო, მისი ახლო წარსული და აწმყო" (დისერტაცია, ისტორიის ინსტიტუტი, 1960 წ.); ლ. დონაშვილი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცებისათვის მეხუთე ხუთწლედში (გორის რაიონის მაგალითზე), 1959; ს. ნუცუბიძე, საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის საქართველოში, 1950; უ. ობოლაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1950; გ. ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასსრ, ბათუმი, 1958; მ. სიმონია, საშუალო პედაგოგიური განათლება საქართველოში, თბილისი, 1957; ვ. ნარსია, საბჭოთა სკოლის განვითარება აფხაზეთში, სოხუმი, 1958; ი. ურუშაძე, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება, თბილისი, 1961; პ. ხუციშვილი, ქართული სამუსიკო კულტურა, თბილისი, 1961; კ. გოგოძე, ქართული საბჭოთა კინომა-

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი, როგორც სჩანს, მონოგრაფიულად ჯერ კიდევ შეუსწავლელია, რაც ფრიად აძნელებს საბჭოთა საქართველოს შესახებ მაღალხარისხოვან, განმაზოგადებელ მეცნიერული შრომების შექმნას. ამის პიუხედავად, უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები განმაზოგადებელი შრომების შესაქმნელად.

საბჭოთა საქართველოს სოციალური ისტორია თითქმის სრულიად შეუსწავლელია. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ხარვეზის შევსებას ხელს შეუწყობდა მ. გორკის ინიციატივით მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში დაწყებული მოძრაობა ქარხანა-ფაბრიკების ისტორიის შესაქმნელად. მას ქართველი ისტორიკოსები და ეკონომისტებიც (პ. გუგუშვილი, ზ. გეგეშიძე და სხვ.) გამოეხმაურნენ. მაგრამ ამ მიმართულებით ძალიან ცოტა გაკეთდა, მას ომმაც შეუშალა ხელი. მაგრამ ომის შემდეგ საბჭოთა ისტორიკოსებმა კვლავ გაამახვილეს ყურადღება ქარხანა-ფაბრიკების, საერთოდ კი მუშათა კლასის ისტორიის საკითხებისადმი. ამ მიმართულებით რუსულმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ქართული ისტორიოგრაფია კი სულ რამდენიმე ნაშრომს მოითვლის საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის საკითხებზე[24]. ამასთან ერთად ისინი მიძღვნილია უმთავრესად საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის ცალკეული საკითხებისადმი, ან ცალკეული პერიოდებისადმი. ამიტომ საქართველოს მუშათა კლასის მთლიანი ისტორიის ამსახველი, განმაზოგადებელი ნაშრომის საჭიროება დიდი ხანია იგრძნობა. ამ საჭიროებას ნაწილობრივ აკმაყოფილებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1961 წელს გამოცემული მ. ნათმელაძისა

ტოგრაფიის განვითარების გზები, თბილისი, 1959; ს. ჭილაია, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები, თბილისი, 1960.

[24] ა. იოსელიანი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (ტრანსპორტის მუშაკთა პატრიოტიზმი დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.), თბილისი, 1957; მ. ნათმელაძე. საქართველოს მუშათა კლასი მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1958; ს. შარიქაძე, საქ. მუშათა კლასი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, თბ., 1959; ქ. თოფურიძე, საქ. მუშათა კლასის ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის (1921—1925) (ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. V, ნარკვ. II, 1964.) და სხვ.

და ნ. სტურუას მონოგრაფია[35]. ამ მონოგრაფიაში მოკლედ გადმოცემულია საქართველოს მუშათა კლასის მთელი ორმოცი წლის ისტორია. მასში კარგადაა ნაჩვენები სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე მუშათა კლასის გმირული შრომისა და პრძოლის ფორმები და მეთოდები, რომელსაც იგი იყენებდა ორმოცი წლის მანძილზე სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. ავტორები მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენებენ საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობაში მომხდარ რაოდენობრივსა და თვისობრივ ცვლილებებს, რომლებიც საბოლოო ანგარიშში ამზადებენ პირობებს ჩვენს საზოგადოებაში ყოველგვარ კლასობრივ განსხვავებულობათა ლიკვიდაციისათვის. ამასთან ერთად მონოგრაფიაში მოტანილია საინტერესო მასალა მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაში საქართველოს მუშათა კლასის როლისა და დამსახურების, საქართველოს მუშათა კლასისადმი რუსეთის მუშათა კლასის ძმური დახმარების მაჩვენებელი. მაგრამ ამ მონოგრაფიას გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც. -მცირე მოცულობის ნაშრომისათვის ჭარბად წარმოდგენილი ფაქტობრივი (სტატისტიკური და სხვა) მასალა არაა ყოველთვის საჭირო თეორიულ განზოგადებებთან დაკავშირებული, ნაშრომს ალაგ-ალაგ დოგმატიზმის დაღიც აზის უდაოდ[35ª]. მ. ნათმელაძისა და ნ. სტურუას ნაშრომი როგორც მუშათა კლასის ისტორიის მონოგრაფიული გამოკვლევის პირველი ცდა, დახმარებას გაუწევს ქართული ისტორიოგრაფიის ამ უბანზე მომუშავე ახალგაზრდა მკვლევართ.

საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის საკითხებს აშუქებს თავის მონოგრაფიაში ა. გუნია. მან ამ საყურადღებო გამოკვლევაში დიდძალი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული განზოგადების საფუძველზე მოგვცა მთელი რიგი მეცნიერულად ღირებული დასკვნები და დებულებები[35ბ].

ქართველი ისტორიკოსების მიერ არა ერთი და ორი განმაზოგადებელი ნაშრომი შეიქმნა საქართველოს მშრომელთა კომუნისტუ-

---

[35] М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа, Из истории рабочего класса Грузии, Тбилиси, 1961.

[35ª] იხ. ჟურ. „Коммунист", 1963, № 1. გვ. 17.

[35ᵇ] А. Гуния, Воспроизводство рабочей силы промышленности Грузинской ССР, Тбилиси, 1961.

ი სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე, ხალხთა მეგობრობის გა-ნმტკიცებისა და სოციალისტური ერის ფორმირების საკითხებზე[36].

ქართველი სოციალისტური ერის ისტორიის შესახებ ერთ-ერთ სერიოზულ განმაზოგადებელ ნაშრომს წარმოადგენს გ. პრეგაძის მონოგრაფია—„ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის". ამ წიგნს ფართოდ გამოეხმაურა პარტიული და სამეცნიერო პრესა, მან საერთოდ დადებითი შეფასება მიიღო[37]. გ. ბრეგაძის ამ ნაშრომში გამოკვლეულია ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული პროცესი, ნაჩვენებია ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბების ისტორიული წანამძღვრები. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მნიშვნელობა, სოციალისტური

---

[36] Г. В. Хачапуридзе, О формировании и развитии Грузинской социалистической нации (См. Труды объединенной научной сессии по общественным наукам, Баку, 1957.). გ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის, თბილისი, 1959; მ ი ს ი ვ ე, სოციალისტური ერების ინტერნაციონალური თანამეგობრობა, თბილისი, 1960; გ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ოქტომბრის რევოლუცია და ქართული სოციალისტური ერის წარმოშობა და განვითარება, თბილისი, 1957; გ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველია, თბილისი, 1954; ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, ხალხთა მეგობრობის დროშით, თბილისი, 1957; გ. ე რ ე მ ო ვ ი, მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სუვერენული უფლებების შემდგომი გაფართოება (ჟურ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ი" 1956, № 9); ფ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა სოციალიზმის ეპოქაში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. V, ნაკ. II, 1961); ე. ა ხ ო ბ ა ძ ე, ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა ბრძოლასა და შრომაში, თბილისი, 1961.

[37] А. Агладзе, Ценный труд о грузинской нации (газ. «Вечерний Тбилиси», от 14 октября 1959 г.); Г. Жвания, Ценная монография (газ. «Заря Востока» от 30 октября 1959 г.); К. Антидзе, Ценный труд о грузинской социалистической нации (газ. «Молодой сталинец» от 5 января 1960 г.); ს შ ა რ ი ქ ა ძ ე, მონოგრაფია ქართული სოციალისტური ერის შესახებ (ჟურნ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ა ღ ზ რ დ ი ს ა თ ვ ი ს", 1959, №12); მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, გამოკვლევა ქართველი სოციალისტური ერის შესახებ (გაზ. „ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1959 წ. 21 ნოემბერი), ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, ნაშრომი ქართველი სოციალისტური ერის შესახებ (ჟურ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1959 წ. № 11); ა. ი რ ბ ა ხ ი ა ნ ი, გამოკვლევა ქართველი სოციალისტური ერის შესახებ (ჟურ. „მ ო ა მ ბ ე", 1961 წ., № 1).

წარმოების წესის დამკვიდრებისა და კულტურული რევოლუციის განხორციელების როლი ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში; გაშუქებულია ის ძირითადი ცელილებები, რომლებიც მოხდა ქართველი ერის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების შინაარსში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში. გ. ბრეგაძის აღნიშნული ნაშრომი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, რომელიც მას თან დაჰყვა, როგორც ფრიად რთულსა და ბრაგალმხრივი საკითხის პირველი მონოგრაფიული შესწავლის ცდას, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოკვლევას.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ ძალიან ცოტა გაგვაჩნია განმაზოგადებელი ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევები. ქართული ისტორიოგრაფიის ეს ჩამორჩენა, უპირველესად ყოვლისა, საგრძნობი გახდა მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს დაევალა საშუალო სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა. საქართველოს ისტორიის ადრე გამოცემული სახელმძღვანელოები მოიცავდნენ პერიოდს მხოლოდ XX საუკუნემდე. საჭირო იყო სახელმძღვანელოსათვის საქართველოს XX საუკუნის ისტორიის დაწერა, იგი დაევალა ამ სტრიქონების ავტორს. ამის შემდეგ ავტორთა კოლექტივმა ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით შექმნა საშუალო სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1958 წლამდე ჩათვლით[38].

საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის დახმარების აღმოჩენისა და საქართველოს ისტორიის შედარებით გაღრმავებული შესწავლისათვის საჭირო გახდა დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადება და გამოცემა. ეს საქმე კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს დაევალა. მან მოამზადა სამ ტომად და გამოსცა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო. მესამე

---

[38] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ე. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ი. ლ ა ბ ა ქ ა რ ა ვ ა, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, ჰ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VII—X კლასებისათვის, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1958.

ტომი, რომელიც გამოვიდა 1960 წელს, მთლიანად მიეძღვნა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიას[39].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა მრავალი ისტორიული და ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის ნარკვევი, სადაც ასახულია საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორია. ამ ნაშრომთა შორის უნდა აღინიშნოს პ. გუგუშვილის რედაქციით ქართულ და რუსულ ენებზე გამოსული „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", ს. შარიქაძის ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის ნარკვევი — „საბჭოთა საქართველოს 40 წელი", რომელიც გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ქართულ ენაზე, ჩვენი მოკლე ისტორიული ნარკვევი — „საბჭოთა საქართველო", რომელიც 1961 წელს გამოსცეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა-აკადემიებმა სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე[40] და სხვა მრავალი საცნობარო ხასიათის ლიტერატურა, სადაც ასახულია საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევები 40 წლის მანძილზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა კოლექტივის (პ. გუგუშვილის, ი. ბაჯაძის, ა. კაკაბაძისა და ა. ნუცუბიძის) მიერ შექმნილი წიგნი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წ.წ.", რომელიც გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ 1961 წელს პ. გუგუშვილის რედაქციით. ამ წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ გაიმარჯვა სოციალისტურმა ეკონომიურმა წყობამ კაპიტალისტურზე, ამასთან დაკავშირებით ნაჩვენებია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა და მათი ბრძოლა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის საწარმოო-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

---

[39] ი. კაჭარავა, ნ. მახარაძე, ნ. სტურუა, ა. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1960.

[40] იხ. Г. Л. Еганов, Ю. М. Качарава, Советская Грузия (краткий очерк), Издательство АН Арм. ССР, 1961 (Известия Академии Наук Армянской ССР, общественные науки, № 5, 1961 г.).

ასეთია, მოკლედ საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც სჩანს, საქართველოს ისტორიკოსები ჯერ კიდევ ბალში არიან კომუნიზმის მშენებელი ქართველი ხალხის წინაშე. ამიტომ სრულიად დროულად დააყენა საქართველოს ისტორიკოსების წინაშე გადაუდებელი ამოცანები საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელმა ვ. პ. მჟავანაძემ, როდესაც აღნიშნა, რომ: „ახლა საქართველოს ისტორიკოსების პირველი რიგის ამოცანაა შესწავლა სოციალიზმის ეპოქისა, რომელიც გაცილებით უფრო სუსტად არის გამოკვლეული, ვიდრე რევოლუციამდელი პერიოდი. ამჟამად ამ საკითხის დამუშავებას საკმაოდ ფართო გაქანება მიეცა, ამასთან მკვლევართა ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს დიდი სამამულო ომის წლები და ომისშემდგომი პერიოდი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა რამ არის გაკეთებული. ჩვენში ჯერ კიდევ მეტისმეტად ცოტაა ნაშრომები, რომლებიც შეიცავენ . კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პრობლემების, თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების მეცნიერულად დამუშავებას. ამ პრობლემების გამოკვლევას უნდა მივაპყროთ ყურადღება არა მარტო პარტიის ისტორიკოსებისა, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა წარმომადგენლებისაც, პირველ რიგში ეკონომისტებისა და ფილოსოფოსებისა“[41].

სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ქართული ისტორიოგრაფიის, ქართველი ისტორიკოსების წინაშე დაისახა რიგი გადაუდებელი ამოცანა. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა შექმნან თანამედროვეობის მეცნიერული ისტორია, კომუნიზმის მშენებლობის შთამაგონებელი ისტორია. ეს ისტორია უნდა იყოს არა დუნე, არამედ მგზნებარე, ბოლშევიკური პუბლიცისტიკის ცეცხლით გაღვივებული მოთხრობა საბჭოთა ადამიანების დიდ და საგმირო საქმეებზე, იგი უნდა აღაგზნებდეს მასებს ახალი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე. ასეთ ამოცანას უსახავდა ჯერ კიდევ 1905 წელს ვ. ი. ლენინი ბოლშევიკ

---

41 ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე, „საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობის ზოგიერთი საკითხი (გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ 1961 წლის 5 მაისი).

პუბლიცისტებსა და თანამედროვეობის ისტორიკოსებს. იგი წერდა: „ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებს და გმირ-პროლეტარებს იქ, მოქმედების ადგილზე, — ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყოთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხების და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები"[42].

ამრიგად, ქართველი ისტორიკოსების წინაშე დღეს გადაუდებელი ამოცანა სდგას: შექმნას საბჭოთა პერიოდის საქართველოს მეცნიერული ისტორია. ამას მოითხოვს არა მარტო მეცნიერული შემეცნების ინტერესები, არამედ საბჭოთა ხალხის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის, კომუნიზმის მშენებელი ხალხისადმი დახმარების ინტერესები. „ყველაზე მშვენიერია ადამიანის შრომა, — ამბობდა სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი, — და არ არის იმაზე უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე მართლათ ვუჩვენოთ ახალი ადამიანი — მშრომელი, მისი სულიერი ინტერესების სიმდიდრე, მისი ბრძოლა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ. ჩვენ საბჭოთა ადამიანებს უნდა მივსცეთ წარმტაცა ნაწარმოებნი, რომლებიც ასახავენ კომუნისტური შრომის რომანტიკას, უნერგავენ ინიციატივასა და სიმტკიცეს მიზნის მიღწევაში"[43].

ამასთან ერთად, საბჭოთა პერიოდის საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნას მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილების სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებისათვის გაზიარებისა და ჩვენი სახელოვანი ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის მხილების, უკუგდების ინტერესები.

საბჭოთა საზოგადოების ისტორია იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი მოწინავე ხაზია დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში საბოლოოდ იმარჯვებს და მკვიდრდება

---

[42] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 108.

[43] ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII ყრილობას, თბილისი, 1961, გვ. 119—120.

ახალი ცხოვრება — სოციალიზმი და კომუნიზმი, როდესაც მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს იერიში მიაქვთ იმპერიალიზმის საყრდენების წინააღმდეგ, როდესაც წარმატებით იმსხვრევა კოლონიალიზმის სამარცხვინო ბორკილები. ასეთ ვითარებაში მობილიზებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის მთელი არსენალი სოციალიზმისა და დემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბურჟუაზიული რეაქცია დღეს ცივი ომის სამსახურისათვის იყენებს სოციალურ მეცნიერებებს, განსაკუთრებით კი ფილოსოფიასა და ისტორიას. ბურჟუაზიული რეაქციული სოციოლოგიას, თანამედროვე რევიზიონიზმისა და რეფორმიზმის წარმომადგენლებს, უპირველეს ყოვლისა, იერიში მიაქვთ საზოგადოებრივი განვითარების როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესის მარქსისტულ-ლენინური გაგების წინააღმდეგ. უარყოფენ ისტორიული განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს და გვთავაზობენ ვოლუნტარიზმს, ან კიდევ უარყოფენ ისტორიაში სუბიექტური ფაქტორის როლს, კერძოდ, მის უფრო და უფრო მზარდ როლს სოციალისტურ მშენებლობაში და გვთავაზობენ ფატალიზმს. მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგია წარმატებით იბრძვის ორივე ფრონტზე და ნიღაბს ხდის განწირული იმპერიალიზმის იდეურ მეაბჯრეებს. „საზოგადოებრივი მეცნიერებანი, — ნათქვამია კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში, — კვლავაც გადაჭრით უნდა ილაშქრებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მემარჯვენე სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების სიწმინდეს“[44].

ადამიანთა საზოგადოებაში, კერძოდ, სოციალისტურ საზოგადოებაში ობიექტურ კანონთა გამოყენების საკითხი დიდ ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბ-

[44] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (მიღებული სკკპ XXII ყრილობის მიერ), თბილისი, 1961, გვ. 142.

ჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მაგრამ აღნიშნული საკითხისადმი ინტერესს ყველგან სხვადასხვა ისტორიული ვითარება განაპირობებს და, ამდენად, იგი ყველგან ერთნაირად როდი შუქდება. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როდესაც საჭირო გახდა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა დასაბუთება ახალი ისტორიული გამოცდილების მეცნიერული განზოგადების საფუძველზე. განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ობიექტური კანონების საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოყენების პრობლემისადმი ინტერესი გამოიწვია კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი ეპოქის კანონზომიერებათა შესწავლის აუცილებლობამ, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენების აუცილებლობამ. მაგრამ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში თავი იჩინა აღნიშნული პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გაგებიდან ნებსითი თუ უნებლიე გადახვევამ: ზოგ რესპუბლიკაში თავი იჩინა საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური კანონებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭებისა და ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი საერთო, ზოგად კანონზომიერებათა მიჩქმალვის ცდამ, ზოგ რესპუბლიკაში კი, პირიქით, სპეციფიურობის უარყოფისა და მხოლოდ და მხოლოდ საერთოსა და ზოგადისადმი ყურადღების გამახვილებამ, მათი გაზვიადებამ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის შიშით დიდი ხანია უარყვეს საზოგადოების ისტორიული განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი და აქედან გამომდინარე საზოგადოების შესახებ მეცნიერების არსებობის შესაძლებლობაც.

ბურჟუაზიული ფილოსოფია ამახინჯებს და აყალბებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ხასიათსა და განვითარების კანონზომიერებას. მისი ისეთი წარმომადგენლები, როგორიც არიან ანრი შამბრი. მერლო-პონტი და სხვები, გულმოდგინეთ „გვიმტკიცებენ“ რომ საბჭოთა კავშირში „მოკვდა დიალექტიკა“, რადგან ჩვენში

არ არსებობენ ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, რის გამოც, მათი აზრით, გამქრალია საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალები, არ არის კონფლიქტი, მაშასადამე, არ არის დიალექტიკა, დაასკვნიან ისინი. ბურჟუაზიული ფილოსოფია ასევე გულმოდგინედ ამახინჯებს ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის საკითხს. მაგალითად ჟან ივ-კალვეზი, ალექსანდრე კოჟევი, ანდრე მირაკი და სხვ. სუბიექტური იდეალისტური პოზიციებიდან ცდილობენ უარყონ ობიექტური დიალექტიკა, რაც გამიზნულია იმის დასამტკიცებლად: 1. რომ ბუნებასა და საზოგადოებაში დიალექტიკა შეაქვს სუბიექტს და ამიტომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა არ არის აუცილებელი და ობიექტური კანონზომიერება; 2. რომ სუბიექტური და ობიექტური აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი მომენტებია და ამიტომ ყველა ფორმაციის განვითარების უნივერსალური კანონია გადაუჭრელი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი; 3. მაგრამ თუ სუბიექტი და ობიექტი არ არიან წინააღმდეგობრივი, არამედ წარმოადგენენ აბსოლუტური იგივეობის განსხვავებულ მომენტებს, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, დიალექტიკის არსი ყოფილა არა წინააღმდეგობათა ბრძოლა, არამედ მათი შერწყმა, კომპრომისი. აქედან კლასთა ბრძოლის უარყოფა და სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდის პროპაგანდა. ასეთია თანამედროვე რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის თეორიული საფუძვლები.

ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის საკითხთანაა დაკავშირებული, აგრეთვე საკითხი, საზოგადოებრივ განვითარებაში სტიქიურობისა და შეგნებულობის ადგილისა და როლის შესახებ. ბურჟუაზიული სოციოლოგია, თანამედროვე რევიზიონისტები და ოპორტუნისტები არც აქ ღალატობენ თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებს და თავგამოდებით ებრძვიან აღნიშნული პრობლემის მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას.

საზოგადოებრივ განვითარებაში სტიქიურობისა და შეგნებულობის მომენტების გაშუქებისას თვით საბჭოთა მკვლევარებმაც დაუშვეს ზოგიერთი შეცდომა. მაგალითად ვ. პ. ტუგარინოვის აზრით ანტაგონისტურ საზოგადოებაში ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედება სტიქიური ხასიათისაა იმიტომ, რომ ისინი შეუცნობე-

ლნი არიან ადამიანის მიერ[45], ეს კი ნიშნავს ობიექტურისა და სტიქიურის გაიგივებას. საბჭოთა ლიტერატურაში მეორე უკიდურესობასაც ჰქონდა ადგილი. იყო გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ანტაგონისტურ ფორმაციაში გაბატონებული, ექსპლოატატორული კლასები შეგნებულად იყენებენ საზოგადოების განვითარების ეკონომიურ კანონებს[46]. ასეთი მიდგომა საეჭვოს ხდის იმ ფაქტს, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქმნის შესაძლებლობას საზოგადოების პრინციპულად განსხვავებული, შეგნებული გზით განვითარებისათვის. ამ ფაქტზე მიუთითებდა ჯერ კიდევ კ. მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში".

ბურჟუაზიული სოციოლოგიის თანამედროვე წარმომადგენლებს (კარლ ფედერნს, ჩესტერ ბოულსის, გ. ბეკკერს, ა. ბოსკოფს, რ. მერტონს და სხვ.), არ ესმით რა სუბიექტისა და ობიექტის, სტიქიურისა და ცნობიერის დიალექტიკა, მარქსიზმის წინაშე აყენებენ ალტერნატივას: ან ისტორიას ქმნიან თვით ადამიანები შეგნებულად და, მაშინ ადგილი არ რჩება ობიექტურ კანონზომიერებისათვისო, ან ისტორია იქმნება ობიექტური კანონებით და, მაშინ ადგილი არ რჩება ადამიანთა შეგნებული მოქმედებისათვისო. როგორც ცნობილია. ანტაგონისტურ საზოგადოებაში, სადაც განვითარებას აქვს სტიქიური ხასიათი, არაა გამორიცხული ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობისაგან. პირველ შემთხვევაში ადამიანები, მხოლოდ უახლოესი მიზნების გათვალისწინებიდან გამოდიან, ხოლო მეორე შემთხვევაში ადამიანები, მიისწრაფიან რა კონკრეტული ამოცანისაკენ, არ შეუძლიათ არ ფიქრობდნენ მთელი საზოგადოების შორეულ ამოცანებზედაც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატერიალური დოვლათის მწარმოებელ ცალკეულ ადამიანებს დეტალებში შეეძლოთ წარმოიდგინონ თავიანთი მოქმედების საზოგადოებრივი შედეგები (მაგალითად, სტახანოვი და სტახანოვური მოძრაობის საზოგადოებრივი შედეგი, გაგანოვა და გაგანოვური მოძრაობის საზოგადოებრივი შედეგი, კომუნისტური

---

[45] В. П. Тугаринов. Законы объективного мира, их познание и использование, Ленинград, 1955, стр. 157, 177, 178.

[46] Жур. «Вопросы экономики», 1954, № 3, стр. 4.

შრომის ბრიგადების ინიციატორები და ამ მოძრაობის საზოგადოებრივი შედეგი და ა. შ.).

სოციალისტურ საზოგადოებაში, როგორც ცნობილია, ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა მთლიანად ვერ გამორიცხავს სტიქიურობას სოციალისტური საზოგადოების განვითარებიდან. მაგალითად, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში სტიქიურობის წყარო იყო ჩვენი ქვეყნის ხუთწყობიანობა. მაგრამ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგაც კი არ ქრება მთლიანად სტიქიურობა. ამ ჯერად სტიქიურობა დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ძველის გადმონაშთებთან როგორც ადამიანთა შეგნებაში, ისე ეკონომიურ ურთიერთობაში, კაპიტალისტური სამყაროს არსებობასთან და სხვ. უნდა ითქვას, რომ სხვა სუბიექტური ხასიათის წყაროებიც არსებობს სტიქიურობის გამოვლინებისათვის.

სუბიექტური ფაქტორის როლის, შეგნებულობის როლის უარყოფა და ისტორიული პროცესისათვის ფატალური ხასიათის მინიჭება თანამედროვე რევიზიონიზმის თეორიული საფუძველია. ამის ტიპიური დადასტურებაა ედუარდ კარდელის მოხსენება—„იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის როლი სოციალისტურ მშენებლობაში". როგორც ცნობილია, იუგოსლავი რევიზიონისტები (ე. კარდელი, მ. პეროვიჩი, ბ. ელიჩი, მ. ტოდოროვიჩი და სხვ.) უარყოფენ პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში, უარყოფენ სახალხო მეურნეობის გეგმიან საწყისებს, თითქოს ადგილებისადმი „ეკონომიური თავისუფლებისა და განვითარების სტიმულის" უზრუნველსაყოფად. ისინი კიდევ უფრო შორს მიდიან, მათი აზრით, მთელი რიგი ქვეყნებისათვის სტიქიური, ევოლუციური გადასვლა სოციალიზმზე „ევროპული ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასიკური პოლიტიკური მექანიზმის გზით, არა მარტო შესაძლებელია, არამედ უკვე ხდება რეალურ ფაქტადო" და ა. შ.

ასეთივე რევიზიონისტულ გამოსვლას ჰქონდა ადგილი უნგრეთშიც (ნ. ტამაში, პ. ერდეში, ი. კორნაი, პ. დიერდი და სხვ.) ესენიც უარყოფენ სახალხო მეურნეობის გეგმიან საწყისებს, მოითხოვენ სახალხო მეურნეობის ფართო დეცენტრალიზაციას, სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქციის ლიკვიდაციას და სხვ. ასეთი თეორიები ფართოდ ვრცელდებოდა უნგრეთში 1956 წლის ამბების წინ, და იგი, ერთ-ერთი საბჭოთა ფილოსო-

ფოსის მოსწრებული თქმით, გახდა „თავისებური თეორიული უვერტიურა უნგრეთის ამბებისათვის". სტიქიურობის თეორიას ავითარებდნენ აგრეთვე პოლონელი რევიზიონისტები—ვ. ბრუსი, ი. პოპკევიჩი, ე. ლიპინსკი და სხვები. ასეთივე ტიპის რევიზიონისტები აღმოჩნდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც—ა. ბენარი, ფ. ბერენსი და სხვები[47].

ასეთია ის თეორიული ბაზა, რასაც ემყარება თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ფალსიფიკაციის დროს. დღეს გააფთრებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში ბურჟუაზია მზადაა ყოველივე და ყველაფერი გააყალბოს, ამის გარეშე მას ხომ არსებობაც გაუჭირდებოდა, რადგან ფალსიფიკატორული საქმიანობა მისთვის თითქმის თანდაყოლილი თვისებაა. ამიტომ იყო ფ. ენგელსი რომ წერდა: „ბურჟუაზია ყველაფერს საქონლად აქცევს და, მაშასადამე, ისტორიასაც, თვით მისი ბუნების შესაბამისად, მისი არსებობის პირობების შესაბამისად თვისებად აქვს ყოველგვარი საქონლის გაყალბება: იგი ისტორიასაც აყალბებდა, ყველზე მეტ გასამრჯელოს ხომ ისეთი თხზულებისათვის იძლევიან, რომელშიც ისტორიის გაყალბება ყველაზე უფრო შეესაბამება ბურჟუაზიის ინტერესებს"[48].

რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგებმა და ისტორიოგრაფიაში შეხიზნულმა თანამედროვე რევიზიონისტებმა თავიანთი ფალსიფიკატორული და ცილისმწამებლური საქმიანობის ობიექტად აირჩიეს ჩვენი სამშობლოს ისტორია, განსაკუთრებით კი სოციალისტური საზოგადოების ისტორია. ამიტომ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის, რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არა მარტო მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ამოცანაა, არამედ მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გან-

---

[47] იხ. დაწვრილებით: «О закономерностях возникновения и развития социалистического общества», под общей редакцией: П. Н. Федосеева, А. И. Соболева, И. П. Цамеряна, Москва, 1960; Диалектика развития социалистического общества», под общей редакцией М. М. Розенталя, Москва, 1961.

[48] «Архив Маркса-Энгельса», т. 10, Москва. 1948, стр 104.

ხორციელებისათვის მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიას ორი საშუალება მაინც გააჩნია: ჯერ ეთი, დროზე და საფუძვლიანად ამ-ხილოს ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა ყოველი გამოხდომა და, მეორე, შექმნას საბჭოთა საზოგადოების მეცნიერული ისტორია, სადაც დამაჯერებლად, მეცნიერულად იქნება ნაჩვენები საბჭოთა საზოგადოების განვითარების ძირითად კანონზომიერებათა განხორციელების ისტორია. მხოლოდ ამ გზით შეძლებს ისტორიული მეცნიერება საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერი ხასიათის ჩვენებას. ეს იქნება საუკეთესო პასუხი საბჭოთა საზოგადოების ბურჟუაზიული ფალსიფიკატორებისათვის.

დღეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე დგას საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის რიგი ძირითადი და საკვანძო საკითხები, რომლებიც პირველ რიგში მოითხოვენ მეცნიერულ გამოკვლევასა და გაშუქებას. მათ შორის უნდა აღინიშნოს მთავარი: ახალი ტიპის პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის ისტორია, ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციული გაერთიანებისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში მათი შესვლის ისტორია. ამ საკითხებზე თითქოს ბევრი დაწერილა ჩვენი ისტორიკოსების მიერ, მაგრამ არა-ხაკლები უწერიათ ბურჟუაზიულ ისტორიკოსებსაც; მათი „შრომები“ ჯერ კიდევ არ გამხდარა საფუძვლიანი და ამომწურავი, მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის საგანი. საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოს პირველი ეტაპის სახელმწიფოებრივი ფორმის საკითხი, საბჭოთა ფედერაციისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საკითხები ჯერ კიდევ არ არიან მეცნიერულად შესწავლილი. მათი შესწავლა აუცილებელია, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის თეორიაში მთელი რიგი საკითხები ახლებურადაა დაყენებული[49].

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერული გაშუქებისათვის აუცილებელია სახალხო მეურნეობის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა. ეს ხშირად ეკონომიური მეცნიერების ამოცანად მიაჩნიათ, რაც ძირშივე მცდარია. იგი მხოლოდ ხალხის, ერის ეკონომიური ისტორიაა და ამდენად ისტორიული მეცნიერების კვლევის სფეროში შემოდის. მართალია, არის შემთხვევები, როდე-

[49] იხ. Ц. Березовский, Некоторые проблемы территориального верховенства, Москва, 1961.

საც მხოლოდ ეკონომისტებს ანდობენ სახალხო მეურნეობის ისტორიის წერას. მაგრამ მათი ხელიდან გამოსული სახალხო მეურნეობის ისტორია (წინედველობაში გვაქვს საბჭოთა პერიოდის ისტორია) იმაზე მიუთითებს, რომ ეს დავალება მათ ძალღონეს აღემატება. სახალხო მეურნეობის საბჭოთა პერიოდის ისტორია არ შეიძლება გადმოცემულ იქნას საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირის გარეშე, ქვეყნად მიმდინარე კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლების გათვალისწინების გარეშე, როგორც ეს დღემდე ახასიათებს ეკონომისტების მიერ მომზადებულ ნაშრომებს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ისტორიისადმი მიძღვნილთ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ რეაქციულ ისტორიოგრაფიას განსაკუთრებით გააფთრებული იერიშები მოაქვს საბჭოთა კავშირში აგრარული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ცდილობენ დაამტკიცონ, ჯერ ერთი ის, რომ ბოლშევიკების აგრარულ პროგრამას გლეხობა არ მიჰყვებოდა და ამიტომ ბოლშევიკები იძულებული იყვნენ ესერების აგრარული პროგრამა განეხორციელებინათ რევოლუციის პირველ დღეებში; მეორე, რომ ძალას ინარჩუნებს წვრილგლეხური მეურნეობის სიმტკიცის თეორია და მარქსიზმ-ლენინიზმი ძალაშია მხოლოდ მრეწველობის სფეროში, სოფლის მეურნეობაში იმის გამო, რომ იქ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსაზოგადოებას, მარქსიზმ-ლენინიზმი გამოუსადეგარია და, ბოლოს, მესამე, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა სოციალ-ეკონომიური და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის.

ამერიკელი სოციოლოგი დ. მიტრანი[30] აყალბებს ბოლშევიკური პარტიის აგრარულ პოლიტიკასა და აგრარული გარდაქმნების ისტორიას. მისი მტკიცებით, სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებში ბოლშევიკების აგრარულ პროგრამას მხარს არ უჭერდა გლეხობა და ამიტომ ისინი (ბოლშევიკები) იძულებულნი ყოფილან ესერების აგრარული პროგრამა განეხორციელებინათ. საბჭოთა ლიტერატურაში მიტრანის სრულიად შეუსაბამო მტკიცება. სამწუხაროდ საფუძვლიანად ვერ იქნა გაკრიტიკებული. მის წინააღმდეგ გ. შარაპოვის გამოსვლას აკლია არგუმენტირება და, მაშასადამე, დამა-

[30] D. Mitrany, Marxismus und Bauerntum, 1956.

ჯერებლობა. გ. შარაპოვი მიტრანის საპასუხოდ აღნიშნავს, რომ ესერების აგრარული პროგრამა არ ვარგოდა, მაგრამ მავნე არ იყო რევოლუციისათვის, ამიტომ წავიდა ბოლშევიკები დათმობაზე და დაკმაყოფილეს გლეხების მოთხოვნა გათანაბრებული მიწათსარგებლობის (уравнительное землепользование) შესახებ[51]. ჩვენის აზრით, აქ სრულიად არ არის მხილებული მიტრანის ცილისმწამებლური გამოხდომა, პირიქით ზოგიერთ ნაწილში მისი დადასტურებაცაა. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ ასეთი „ბრძოლა" სარგებლობის მომტანი არაა, გარდა ზიანისა. ამიტომ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ, კერძოდ კი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის გადაუდებელი ამოცანაა აგრარულ გარდაქმნათა ისტორიის მეცნიერული გაშუქება, რაც ნიადაგს გამოაცლიდა საკითხის ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციას. საქართველოში აგრარული ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ისტორია, ბოლშევიკური აგრარული პროგრამისათვის ბრძოლის ისტორია და, დასასრულ, აგრარული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის ისტორია ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი. აღნიშნული საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის გარეშე ძნელია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია და ისტორიოგრაფია ცდილობს კვლავ გააცოცხლოს დავიდის, ჰერცის, ბულგაკოვის, ჩერნოვისა და სხვათა თეორია წვრილგლეხურ მეურნეობათა გამძლეობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა და დაასამარა საბოლოოდ, როგორც რეაქციული და ანტიმეცნიერული თეორია. ამ თეორიის დაგვიანებულ დამცველებად გვევლინებიან დღეს დ. მიტრანი[52], ჰ. დინერშტეინი[53] და სხვები. მათთვის საუკეთესო პასუხი იქნება რუსეთსა და საქართველოში რევოლუციამდელი გლეხურ მეურნეობათა მდგომარეობის შესწავლა, რაც აშკარად

[51] იხ. Г. В. Шарапов, Против извращений истории аграрных преобразований в первые годы советской власти в современной буржуазной историографии (жур. «Вопросы истории», 1959 г., № 7).

[52] D. Mitrany, Marx against the Peasant. 1951.

[53] H. Dinerstein, Communism and the Russian Peasant, 1955.

გვიჩვენებდა, სოფლის მეურნეობაში კაპიტალის კონცენტრაციის ბაზინ მიმდინარე სწრაფ პროცესს. გლეხურ მეურნეობათა მდგომარეობის შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, საკოლმეურნეო წყობილებამდელ რუსეთსა და საქართველოში, აგრეთვე საინტერესო მასალებს მოგვცემდა წვრილგლეხურ მეურნეობათა გამძლეობის თეორიის წინააღმდეგ. დასასრულ, საკოლმეურნეო წყობილების მეცნიერული ისტორიის შექმნა კი საუკეთესო დადასტურება იქნებოდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა გლეხობის შესახებ. ყველა ამ საკითხის შესწავლა და განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნა საბჭოთა ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია და ისტორიოგრაფია უარყოფს ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილებისათვის სოციალური და ეკონომიური პირობების არსებობას. ჯერ ერთი, ისინი უარყოფენ გლეხის სოციალისტურ ბუნებას და მასში ხედავენ მხოლოდ კერძო მესაკუთრულ ბუნებას. ამის გამო, მათი აზრით, მარქსიზმი მტრულადაა განწყობილი გლეხობისადმი. აქ ისინი მარქსიზმის ფუძემდებლებსაც კი „იშველიებენ". ასე მაგალითად, კ. ა. ვიტტფოგელი აღნიშნავს, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" გლეხობა „რეაქციული ძალებს შორისაა" დასახელებული. მას ვერ გაუგია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ავტორები რომ გლეხობას საერთოდ, ყოველგვარი პირობების გარეშე კი არ აცხადებენ „რეაქციულად", არამედ, იმდენად, რამდენადაც ის, ისე როგორც საშუალო ფენების სხვა წარმომადგენლები, ცდილობს შეინარჩუნოს თავისი არსებობა როგორც წვრილმა მესაკუთრემ. მ. ფეინსდოფს გლეხობისადმი მარქსიზმის მტრული დამოკიდებულების მაჩვენებელი ჰგონია ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ წვრილი გლეხური მეურნეობანი ყოველ წუთსა და ყოველ წამს, მასობრივი მასშტაბით წარმოშობენ კაპიტალისტურ ელემენტებს, ხოლო ამერიკელი სოციოლოგი ჯ. ბერგამინი, მარქსიზმ-ლენინიზმის „ანტიგლეხური" არსის დასაბუთებისათვის მიმართავს ცნობილ მარქსისტულ დებულებას სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში გლეხობის საკითხის დაქვემდებარებული ხასიათის შესახებ[54]. ამ მოსაზრებების სერიოზული განხილვა ზედმეტად მიგვაჩნია,

[54] იხ. А. А. Барсов, В. С. Васюков, Зарубежная антимарксистская историография коллективизации сельского хозяйства и развития колхозного строя в СССР (на правах рукописи), Москва, 1961, стр. 9—11.

მათი უსუსურობა მოსწავლეებისათვისაც კი ცხადზე უცხადესია.

ამრიგად, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისა და სოციოლოგიის მიხედვით გამოდის: პირველი, რაკი გლეხობა, მათი აზრით, ანტი-სოციალისტურადაა განწყობილი, და იგი, მხოლოდ კერძომესაკუთრეა, მათი კოლმეურნეობებში ნებაყოფლობითი გაერთიანება შეუძლებელია. ამიტომ, მათი აზრით, საბჭოთა კავშირში ადგილი ჰქონდა გლეხობის მიმართ ძალდატანებას კოლექტივიზაციის პერიოდში. პარტიის პოლიტიკის ცალკეულ გამრუდებას, ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს ბურჟუაზიული ისტორიკოსები ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკურ სისტემად აცხადებენ, რითაც სურთ სახელი გაუტეხონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკას.

მეორე, ბურჟუაზიული სოციოლოგია და ისტორიოგრაფია აბდენს საბჭოთა კავშირში განხორციელებული კოლექტივიზაციის პოლიტიკის დაპირისპირებას მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებასთან სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ, კერძოდ, რსინი წინააღმდეგობას ხედავენ ვ. ი. ლენინის კოოპერატიულ გეგმასა და კოლექტივიზაციის საბჭოთა პოლიტიკას შორის. ფრანგი ისტორიკოსი შარლ ბუვიე აღნიშნავს, რომ კოლექტიური მეურნეობანი ვ. ი. ლენინს არ ჰქონდა გათვალისწინებული. იგი იმოწმებს ლენინის ნაშრომს „კოოპერაციის შესახებ", სადაც მართლაც არაა პირდაპირი მითითება საწარმოო კოოპერირების შესახებ[55]. მაგრამ ვ. ი. ლენინი მარტო ამ ნაშრომში ხომ არ აყალიბებს თავის კოოპერაციულ გეგმას? რასაკვირველია, არა. ახალი ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისთანავე წამოაყენა ვ. ი. ლენინმა თავისი კოოპერატიული გეგმა, იმ პროგრამულ ნაშრომში, რომელსაც ჰქვია „სასურსათო გადასახადის შესახებ". ვ. ი. ლენინმა აქ ჩამოაყალიბა იდეა მარტივი კოოპერაციის საწარმოო კოოპერაციაში გადაზრდის შესახებ[56]. შ. ბუვიეს „თეორიას" იზიარებენ ამ უკანასკნელ დროს რთელი რიგი ბურჟუაზიული ავტორები[57].

---

[55] Ch. Bouvier, La Collectivisation de l'agriculture: URSS—Chine—Democraties Populaires, Paris, 1958.

[56] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32.

[57] იხ. ა. ა. ბარსოვისა და ვ. ს. ვასიუკოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 32—33.

მესამე, თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია და ისტორიოგრაფია უარყოფს საბჭოთა სოფელში გლეხობის სოციალურ დიფერენციაციას. ისინი კულაკობას ხელოვნურად გამოგონილ ფენად მიიჩნევენ, ამერიკულ მასშტაბით ისინი მხოლოდ ღარიბი ფერმერები იყვნენო, ამტკიცებენ ბურჟუაზიული „სპეციალისტები". მათ არ ესმით კულაკობის სოციალური ბუნება. ან არ სურთ ამის გაგება: ყოველივე ეს წარმოადგენს მემარჯვენე-ოპორტუნისტული ნაყალბევის დაგვიანებულ გამოძახილს კაპიტალის ტყვეობაში მყოფი კლეხური მასების დასაფრთხობად.

მეოთხე, თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია და ისტორიოგრაფია უარყოფს საბჭოთა ქვეყანაში მთლიანი კოლექტივიზაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას, ე. ი. მათ წარმომადგენელთა (ფ. მოსლი, მ. ფეინსდოფი და სხვ.) აზრით, საბჭოთა კავშირში მთლიანი კოლექტივიზაცია ჩატარდა მოუმზადებლად. ესეც მემარჯვენე-ოპორტუნისტული ნაყალბევის დაგვიანებული გამოძახილია.

მეხუთე, თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის თითქმის ყველა წარმომადგენელი (გ. ფონ-რაუხი[58], პროკოპოვიჩი[59], ვრონსკი[60], შილლერი[61] და სხვა ზემოთ დასახელებული ავტორები) ერთში არიან შეთანხმებულნი: რადაც არ უნდა დაუჯდეთ, უარყონ სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული კანონზომიერება საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის მეცნიერული ისტორიის შექმნა, სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული კანონზომიერებათა დასაბუთება. ამ მიმართულებით ყველაზე ნაკლებია გაკეთებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული ამოცანის წარმატებით

---

[58] G. von Rasuch, Geschichte des bolschewistischen Russland, Wiesbaden, 1955.

[59] С. Н. Прокопович, Народное хозяйство СССР, Нью-Йорк, изд. им. Чехова, т. I, 1952.

[60] H. Wronski, Le trudoden, Paris, 1957.

[61] O. Schiller, Die Laudwirtschaft des Sowjetunion 1917—1959, Tübingen, 1960; მისივე., Die Krise der Soziolistischen Landwirtschaft in der Sowjetunion, Berlin, 1933.

გადაწყვეტისა და თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის გამოლაშქრებათა უკუსაგდებად საჭიროა შესწავლილ იქნეს:

პირველი, კოლმეურნე გლეხობის ისტორია, გლეხთა კლასში მომხდარი თვისობრივი ცვლილებები, კოლმეურნეობებისაკენ გლეხობის მასობრივი ლტოლვა, საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიის პოლიტიკის გამრუდებათა მიზეზები და შედეგები;

მეორე, ლენინური კოოპერატიული გეგმის განხორციელებისათვის ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის ისტორია, ამ ბრძოლის ეტაპები და მისი თავისებურებანი საქართველოში;

მესამე, სოფლად სოციალურ ძალთა თანაფარდობა საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებამდე, გლეხური მოსახლეობის სოციალური დიფერენციის პროცესი, სოფლად კლასობრივი ბრძოლის ისტორია და კულაკობის როგორც კლასის წინააღმდეგ ბრძოლის კანონზომიერი ხასიათი, ანტიპარტიული ელემენტების წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორია;

მეოთხე, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონე და მდგომარეობა, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმატებათა მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისათვის და სხვ.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერებაა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის მაქსიმალური გამოვლინება და განვითარება. საქართველოში ამ კანონზომიერების მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად, უპირველესად ყოვლისა, შესწავლილი უნდა იქნეს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის ისტორია. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სოციალისტური შრომის ფორმებისა და მეთოდების ისტორია.

საბჭოთა საზოგადოების მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის აუცილებელია შესწავლილ იქნას აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის განვითარების ზოგიერთი კანონზომიერება საქართველოში, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორია, კულტურული რევოლუციის ისტორია, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ისტორია და სხვ.

ისტორიული მოვლენები, რაც უფრო ახლოს არიან ისინი თანამედროვეობასთან, მით უფრო რთულდება მათი შესწავლა, მაგრამ

ოგი შეუძლებელი არ არის. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღებული ისტორიკოსისათვის სრულიად შესაძლებელია ამ გზაზე არსებული ყველა დაბრკოლების დაძლევა და მეცნიერული ისტორიის შექმნა. ამიტომ სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერული გაშუქება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მათ შორის მეგობრობად გარდაქმნის ისტორიის შესწავლა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის ისტორიის შესწავლა და სხვა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მეცნიერულმა შესწავლამ უნდა გვიჩვენოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. ამასთან ერთად სათანადოდ უნდა გაშუქდეს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი ჩვენი ხალხის დიდ ისტორიულ შემოქმედებაში.

ამ ძირითადი და არსებითი საკითხების გარდა სხვა მრავალი კერძო საკითხია შესასწავლი, ასე მაგალითად, ქარხანა-ფაბრიკების ისტორია, მოწინავე კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ისტორია, რასაც თან უნდა ახლდეს მათი გამოცდილებათა მეცნიერული განზოგადება. შესასწავლია აგრეთვე სოციალისტური ქალაქების ისტორია, სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, მოწინავე ადამიანთა, სოციალისტური შრომის ნოვატორთა საქმიანობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, საბჭოთა საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა და ა. შ.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ამოცანაა: 1. დაიცვას ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლითა და თავდადებული შრომით შექმნილი სახელოვანი ისტორია ბურჟუაზიული ფალსიფიკაციისაგან, უკუაგდოს ამ ფრონტზე რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გააფთრებული შემოტევა, 2. დაეხმაროს, სოციალისტური მშენებლობის დადებით გამოცდილებათა პოპულარიზაციისა და მეცნიერული განზოგადების გზით, დღეს კომუნიზმის მშენებელ ხალხს თანამედროვეობის პირველი რიგის, გადაუდებელი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში; 3. ხელი შეუწყოს საბჭოთა ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდა

ფაობის კომუნისტურ აღზრდას, მათ აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით; ხელი შეუწყოს ქართველ ხალხში ეროვნული სიამაყის გრძნობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, იმ შეგნების დამკვიდრებას, რომ ქართველი ხალხი ხელცარიელი და სხვისი შემყურე კი არ მიდის კომუნიზმისაკენ, არამედ წარსულის დიდი კულტურული ნემკვიდრეობით დატვირთული, ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის მდიდარი გამოცდილებით აღჭურვილი, თანასწორუფლებიან ხალხებთან ერთად შვიდმილიან ნაბიჯებით მიიმართება წინ, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისაკენ[62].

---

[62] სსრ კავშირისა და საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობისა და ამ დარგში ისტორიული მეცნიერების ამოცანების შესახებ იხილეთ: М. П. Ким, О состоянии разработки истории социалистического и коммунистического строительства и задачах советской исторической науки; Э. А. Ахобадзе, О состоянии разработки истории Грузии Советского периода (в кн. «Историография социалистического и коммунистического строительства в СССР», сб. статей по материалам сессии научного совета, Москва, 1962).

ბოლოსიტყვა

წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნება გათვალისწინებული გვქონდა ორ წიგნად, საერთო სათაურით: „მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის საკითხები“, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ეს ვერ შევძელით. მათი ერთ წიგნად გაერთიანებამ გვაიძულა მოგვეხდინა ზოგიერთი ნაწილის სახელდახელოდ გადაკეთება და, ბოლოს, თითქმის ყველა ნაწილის ერთი მესამედით შემცირება.

ჩვენი ნაშრომის პირვანდელი ვარიანტიდან მთლიანად ამოვიღეთ შემდეგი თავები: „რუსეთის რევოლუციონერ დემოკრატთა სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებანი“, „მარქსისტული სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის დამკვიდრება რუსეთში“, „ისტორიული მეცნიერების ლენინური ეტაპი“, „ისტორია და თანამედროვეობა“, „ისტორიული მეცნიერება და პოლიტიკა“, „სკკპ ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში“ და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელი გახდა ახლანდელი სათაურით მიგვეწოდებინა იგი მკითხველთათვის.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორიის პრობლემების მეცნიერული გაშუქების თანამედროვე მდგომარეობის მონოგრაფიული წესით შესწავლის პირველ ცდას. მასზე უარყოფითი გავლენა იქონია. უდავოდ ზემოთ აღნიშნულმა მანიპულაციამ. გარდა ამისა, დაწყების სიძნელე შეუძლებელი იყო არ დასტყობოდა ამ ნაშრომს, რის გამოც იგი არ იქნება თავისუფალი ზოგიერთი სხვა ნაკლოვანებისაგანაც, რომელთა გასწორების საშუალებას, თუ კი ოდესმე შევძელით ამ წიგნის მეორედ გამოცემა, ვიმედოვნებთ, რომ მოგვცემს მკითხველთა სამართლიანი შენიშვნები. მანამ კი, დიდი ქართველი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა არს ჩვენი ესე ქმნული დამყენებელი უმჯობესისა თქვენისა“.

ავტორი

საკუთარ სახელთა საძიებელი[1]

ა

აბაევი ვ. —294, 324. 355.
აბაშიძე კ. —139, 140, 249.
აბზიანიძე გ. —257.
აბრამოვი ა. —296, 297.
აბუთიძე ო. —428.
აბულაძე გ. —436.
აბშილავა ა. —428, 429, 431.
აბხაზი ი. —42, 237.
ადამია ვ. —373—376.
ადლეიბა ა. —425.
აეალოვი ზ. —213, 214, 341, 372.
აევნარიუსი რ. —91.
ათანელაშვილი გ. —289, 291.
ალაჯალოვა ნ. —307.
ალექსიშვილი მ. —222.
ანთელავა ი. —202, 231, 234, 242, 292.
ანთიძე ქ. —428, 429, 436.
ანჩაბაძე ზ. —198, 202, 229, 292.
ართილაყვა ა. —356.
არუთინოვი გ. —317, 320.
ასათიანი ა. —376.
ასტვაცატუროვი ე. —357.
აფაქიძე ა. —198.
აფრიდონიძე კ. —278.
ალაჯანოვი მ. —420.
ალლაძე ა. —315, 346.
ახალაია ი. —415.
ახვლედიანი ხ. 293, 294.
ახობაძე ე. 281, 436, 455.

ბ

ბაბილოძე გ. —433.
ბაბუნაშვილი ზ. —425.
ბაგრატიონ-მუხრანსკი გ. 62, 66, 237.
ბარათაშვილი ნ. —41, 42, 210, 237; 238.
ბარამია მ. —428.
ბარსოვი ა. —450, 451.
ბატონიშვილი დ. —215, 216.
ბაუერი ო. —165, 167.
ბაქრაძე გ. —245.
ბაქრაძე დ. —13. 14. 16. 20-27, 29, 30, 33, 34, 66. 167, 178, 203, 204.
ბახტაძე ვ. —257.
ბახტაძე უ. —416.
ბაჯაძე ი. —438
ბებელი ა. —138.
ბეგიზოვი ვ. —428.
ბეკერი გ. —444.
ბეკოეევა ს. —294, 295.
ბენარი ა. —446.
ბენდიანიშვილი ა. 247, 278.
ბერაძე ს. —239.
ბერგამინი ჯ. —450.
ბერდიაევი ნ. —78, 83.
ბერეზკინა ა. —373.
ბერეზოვსკი ც. —447.
ბერენსი ფ. —446.
ბერიძე ვ. —7.
ბერიძე ს. —198, 265, 281. 286, 296. 301, 307, 310, 314—316, 349, 356.

---

[1] საკუთარ სახელთა საძიებელი შეადგინა. დ ა ლ ი კ ე კ ე ლ ი ძ ე მ.

ბერნშტეინი ე. —78, 132.
ბერეე ა. —211.
ბერძენიშვილი ლ. 241.
ბერძენიშვილი ნ. —42, 176. 177, 181, 182, 185, 186, 189, 195, 196, 207, 212. 221, 225, 236, 237, 271, 272, 277, 437, 438.
ბერძელი მ. —357.
ბინიაშვილი მ. —357, 427.
ბლანი ლ. —178.
ბოგდანოვი ა. —83, 88, 90, 91, 325.
ბოგუცკაია ა. —289.
ბოკლი ჰ. —24, 25, 178.
ბოკუჩავა ს. —324.
ბოლქვაძე ვ. —308.
ბოსკოფი ა. —444.
ბოულსი ჩ. —444.
ბოცვაძე ი. —27, 64.
ბოჭორიძე მ. —263, 264.
ბრეგაძე გ. —265, 266, 436, 437.
ბრეგვაძე ა. —222.
ბროსსე მ. —170.
ბრუნეტიერი ფ. —139.
ბრუსი ვ. —446.
ბუაჩიძე ნ. —329, 330.
ბულგაკოვი ს. —78, 449.
ბუვიე შ. —451.
ბურჭულაძე ე. —378, 429.
ბურჯანაძე გ. —371, 420.
ბუტენკო ა. —343.
ბუტკოვი პ. —211.

ვ

გაბაშვილი ვ. —30, 47, 198, 202.
გაბისონია გ. —194.
გაბრიჩიძე გ. —373.
გაგლოევი ნ. —355.
გაგოიძე ვ. —47, 252, 253, 257.
გალოანი გ. —337, 339, 401.
გამსახურდია გ. —281.
გამსახურდია კ. —17.
გამყრელიძე გ. —190, 191.
გაფრინდაშვილი მ.-28, 29, 34, 44. 257.
გეგეშიძე ზ. —198, 265, 289, 290, 301, 302, 305, 308, 309, 315, 434.
გეგეშიძე შ. —421.
გეგეჭკორი ე. —384, 386.
გეგეჭკორი ს. —356.
გერონიმუსი ა. —373.
გერცენი ა. —26,46.
გეელესიანი შ. —279, 302.
გვრიტიშვილი დ.-185, 198, 202, 415, 428.
გიორგაძე გ. —248, 341, 371, 372.
გობეჯიშვილი გ. —198.
გოგიჩაიშვილი ფ. —243.
გოგებაშვილი ი. —20, 21, 54, 55—57, 59—61, 177, 178.
გოგელია შ. —92, 93.
გოგიავა გ. —7.
გოგოლაძე დ. —245.
გოგოლაძე ვ. —232, 294.
გოგოძე კ. —433.
გოგუაძე მ. —308.
გოდაბრელიძე ს. —420, 426.
გოზალიშვილი გ. —294.
გომართელი ივ. —84.
გონგაძე ვ. —433.
გორგასალი ვ. —63.
გორგილაძე ლ. —75, 84, 94, 99, 101, 104, 105, 131, 198, 202, 248, 251, 254, 255, 261, 264, 267, 269, 302.
გორდელაძე კ. —192.
გორკი მ. —45, 434.
გორცევი შ. —296.
გოცაძე მ. —198, 234.
გრანოესკი ტ. —16, 25, 26.
გრიგოლია კ. —198.
გრიშაშვილი ი. —210.
გუგუშვილი პ. —20, 136, 228, 229, 239, 243, 244, 257, 262, 268, 423, 434, 438.
გუგუშვილი ჩ. —290, 291, 301.
გუკასიანი ა. —315.
გულიგა ა. —373.
გუნია ა. —435.

დ

დავიდი ე. —78, 449.
დავითაშვილი მ. —168, 328.
დავითაშვილი შ. —60, 401.
დანელია ს. —165.
დანილოვი ა. —342.
დარახველიძე დ. —431.
დარვინი ჩ. —85.
დარჩიაშვილი ლ. —96, 164.
დევდარიანი გ. —191, 193, 343, 357.
დელბა მ. —428.
დიერდი ა. —445.
დინერშტეინი ჰ. —449.
დოგუზოვი პ. —294, 355.
დოდაშვილი ს. —210, 234, 235.
დონაძე ვ. —73.
დონდუა ე. —186, 221, 271, 272, 277, 437.
დონჯაშვილი ლ. —433.
დრეპერი —67, 68.
დუბროვინი ნ.——211.
დუდუჩავა დ. —193.
დუმბაძე მ. —25-27, 29, 198, 202, 221—224, 228—231, 271, 272, 277, 308, 349, 437.

ე

ებანოიძე ლ. —198, 266, 268, 280, 282, 283, 285—288, 302—304, 315, 371, 436.
ებრალიძე ა. —427.
ეგანოვი გ. —438.
ელიჩი ბ. —445.
ენგელსი ფ. —75, 77, 83, 85, 136—138, 213, 410, 446.
ენუქიძე დ. —373, 374, 376.
ენუქიძე ტრ. —308.
ერდეში ჰ. —445.
ერეკლე მეორე —42, 63, 215, 222, 237, 238.
ერემოვი გ. —415, 436.
ერისთავი გ. —45.
ერისთავი დ. —27.
ერისთავ-შარვაშიძე ნ. —215.
ერქომაიშვილი ა. —193, 194, 421.
ესაიაშვილი ვ. —136, 138, 158, 167, 268, 277, 281, 297—299, 325—330, 335, 379, 388, 390, 394, 396, 397, 406, 417, 423, 424.

ვ

ვათეიშვილი ა. —7.
ვათეიშვილი ჯ. —310.
ვანეევი ზ. —239, 243, 294, 355, 421.
ვაჟა-ფშაველა —20, 28, 29, 35, 36, 45, 59, 68, 69.
ვასიუკოვი კ. —450, 451.
ვაშაყმაძე ი. —192.
ვაჩეიშვილი ა. —190.
ვახანია ვ. —28, 66, 86.
ვერელია ა. —278.
ვეშაპელი გ. —116.
ვიტტფოგელი კ. —450.
ვოლკოვი ფ. —373.
ვოლტმანი ლ. —78.
ვოსტორგოვი —66.
ვრონსკი ჰ. —452.

ზ

ზაქარაია გ. —431.
ზაქარიაძე გ. —252.
ზურაბაშვილი დ. —65.

თ

თავაძე ი. —77.
თავაძე ტ. —353.
თაკდგირიძე ნ. —122.
თაკზიშვილი გ. —271.
თაკხელიძე პ. —198, 266, 301.
თალაკვაძე ს. —193, 194.
თარგამაძე კ. —201.
თევზაძე გ. —301, 347.
თოდრია ს. —308

თოიძე ლ. —415.
თოფერიძე ქ. —434.

ი

იაკუბოვსკაია ს. —420.
ივანიძე კ. —266, 279, 302, 304, 315, 348.
იმედაშვილი ა. —357—359.
იმნაიშვილი რ. —315.
ინალ-იპა შ. —292.
ინგოროყვა პ. —41, 43, 49.
ითოსელიანი ა. —14, 73, 218, 428, 429, 434.
ისარლიშვილი ლ. —208.

კ

კადიშევი ნ. —373.
კაკაბაძე ა. —423, 438.
კალანდარიშვილი შ. —289.
კალანდაძე ა. —198.
კალანდაძე ვ. —296.
კალანდაძე ც.—231, 425.
კალაძე რ. —194, 314.
კალეეზი ჟ. —443.
კანტი ე. —78. 81.
კარდელი ე. —445.
კაპანელი კ. —44, 251, 252.
კაუცკი კ. —137, 138, 341, 402.
კახიანი მ. —425.
კეზელი დ. —256.
კეკელიძე დ. —7.
კეკელიძე კ. —181.
კენტმენი პ. —341.
კერენსკი ა. —333.
კეცხოველი ლ. —138, 153, 154, 264.
კეცხოველი ნ. —191.
კვანტრე ქ. —301.
კვაჭაძე ს. —348.
კიკვიძე ა. —23, 24, 27, 29, 34, 73, 198, 202, 222, 228, 233, 236, 253, 254. 265, 266. 273—275, 277, 279, 300, 301, 317. 335, 426, 427.
კიკნაძე გ. —425.
კიკნაძე ნ. —329.
კილაბერია მ. —94.
კიში მ. —30. 455.
კიროვი ს. —349.
კოდუა ი. —426.
კოკილაშვილი ს. —431.
კოლეოვი პ. —407.
კონტი ო. —68.
კონსიდერანი ვ. —77.
კოპალიანი დ. —278.
კოტეევი ა. — 443.
კორნაი ი. —445.
კუბლაშვილი გ. —279.
კუგელმანი ლ. —85, 409.
კუზმინი ა. —373.
კუნინი ა. —373.
კუპრაია ა. —7, 352, 421, 425.
კუპრეიშვილი გ. —427.

ლ

ლაბრიოლა ა. —141, 144.
ლავროვი პ. —115, 116.
ლანგე ფ. —85.
ლანსინგი რ. —393.
ლასხაური მ. —6, 226, 227, 233, 342.
ლასხიშვილი გ. —98, 102, 103, 106.
ლაუე თ. —403.
ლაფარგი პ. —137, 138.
ლემბერგი ე. —335.
ლემონჯავა დ. —233.
ლენინი ვ. ი. —38, 84, 85, 90, 91, 93—95, 135—138, 155, 156, 168, 169, 194, 219, 243, 245, 255, 257, 259, 264, 266, 268, 274, 277, 280, 281, 286, 298, 299, 303, 305, 309, 311, 313, 318, 325, 328, 329, 332, 335, 340, 372, 373, 388, 394—397, 401, 405, 408, 417, 418, 421, 423, 424, 430, 439, 440, 449, 451.
ლეჟავა შ. —343.
ლერმონტოვი მ. —219.

ლიბკნეხტი კ. —138.
ლიბკნეხტი ვ. —138.
ლიონიძე ს. —42, 237, 238.
ლიპინსკი გ. —446.
ლომაშვილი ფ. —304.
ლომთათიძე გ.—198.
ლომინაძე ბ. —315.
ლომსაძე შ. —373.
ლორთქიფანიძე მ. —198, 292, 314.
ლორთქიფანიძე ო. —257.
ლუზინი ი. —83.
ლუკაშოვი ა. —266.
ლუქსემბურგი რ. —342.

მ

მაზური ა. — 6, 316.
მაირანოვსკი ლ. —293.
მაიაშვილი გ. —249.
მაისაია ი. —201.
მაისნერი გ. —403.
მალთესი ტ. —85.
მამულაშვილი ა. (ლალიონი)—151, 152.
მამულია ს. —425.
მარგალიტაძე ნ. —315.
მარგიანი გ. —7, 247, 286.
მარი ნ. —177, 192, 226.
მარკოვა ო. —212, 221.
მატარაძე ი. —289.
მაურახი რ. —342.
მარქსი კ. —75, 83—85, 136—138, 150, 151, 158, 213, 241, 260, 261, 263, 409, 410, 444.
მაღლაკელიძე ს. —373.
მაჩაიძე ბ. —307.
მაკარაძე ვ. —198.
მახარაძე ნ. —166, 169, 212, 225, 236, 250, 267, 269, 349, 390, 406, 438.
მახარაძე ფ. —72, 78, 82, 137—141, 145—148, 151, 153, 156, 159—162, 165, 166, 169—171, 178, 179, 191, 192, 195, 206, 207, 218, 220, 227, 239, 243, 250, 251, 253, 264, 269, 280—284, 286, 287, 293, 296, 297, 328, 330, 335, 341, 343, 344, 384, 386, 388, 393—397, 420, 425.
მახი ე. —90, 91.
მგალობლიშვილი გ. —420.
მგალობლიშვილი ვ. —281.
მეგრელაძე დ. —310.
მეგრელი დ. —178.
მეგრელიშვილი გ. —257.
მეისნერი გ. —342.
მელიქიშვილი გ. —198, 202, 221, 271, 272, 277, 437.
მელიქ-ფაშაევი —421.
მელიხოვი ა. —280, 293.
მელქაძე ი. —194, 198, 278, 283, 298, 302, 304, 305, 349, 356, 415, 417.
მერკვილაძე ვ. —415, 420.
მერტონი რ. —444.
მესხი ს. —12, 24, 29, 33, 44, 49, 56, 58, 61, 62, 64, 203, 249.
მესხია შ. —195, 198, 202, 221, 272, 277, 437.
მეძველია კ. —248.
მილიუკოვი პ. —419.
მირაკი ა. —443.
მირცხულავა ი. —281, 345, 378, 416.
მიტრანი დ. —448, 449.
მიქელაძე დ. —105.
მიქოიანი ა. —394.
მიხაილოვსკი ნ. —116.
მიხელაშვილი მ. —289.
მოლეშოტი ი. —150.
მორგოშია ა. —349.
მოსლი ფ. —452.
მოჩალოვი კ. —244.
მეავანაძე ვ. პ. —386, 387, 390, 391, 409, 439.

ნ

ნათაძე გ. —182, 191, 205.
ნათმელაძე მ. —353, 426, 427, 434, 435.

ნაიდელი მ. —373.
ნანეიშვილი ა. —98.
ნანიტაშვილი ბ. —201.
ნარსია ე. —433.
ნატროშვილი ი. —314.
ნაცელიშვილი ნ. —245, 246.
ნაჭყეპია შ. —428.
ნიბერი ბ. —178.
ნიკოლაიშვილი გ. —247.
ნიკოლაძე ა. —257.
ნიკოლაძე ნ. —38, 44, 46, 61, 99, 100, 101, 176, 203, 249, 252, 253, 260.
ნიკონოვი ი. —354.
ნინოშვილი ე. —97, 151.
ნიჟარაძე ნ. —7.
ნიცშე ფ. —83.
ნორაკიძე ა. —257.
ნუცუბიძე ა. —429, 438.
ნუცუბიძე ს. —433.
ნუცუბიძე შ. —190, 371.

ო

ობოლაძე ე. —433.
ოლონეცკი ა. —239, 292, 352.
ორაგველიძე კ. —182, 183, 192, 366, 394, 421, 426.
ორახელაშვილი მ. —192, 341, 342, 388, 389, 394, 425.
ორბელიანი გ. —42, 43, 237.
ორჯონიკიძე ე. —246.
ოსტეალდი ვ. —83, 87, 90, 91, 141.

პ

პაიპსი რ. —335. 337, 341, 398, 402, 403, 419.
პაიჭაძე გ. —198.
პაპაეა ნ. —271.
პარკაძე გ. —289.
პატარაია პ. —433.
პაჭკორია გ. —301.
პინკასი კ. —329.
პლეხანოვი გ. —34, 75, 136, 264, 267, 268.
პლიევი ბ. —7, 355, 425, 427—429.
პოკროვსკი მ. —196, 198, 218, 219, 330, 331—335.
პოლიექტოვი მ. —190, 191, 208.
პოპკევიჩი ი. —446.
პოტო ვ. —211.
პროკოპოვიჩი ს. —452.
პუშკინი ა. —239.

ჟ

ჟვანია გ. —198, 266. 279, 282, 283, 302, 310, 311—314, 347, 348, 357, 358. 379, 392, 407, 415, 436.
ჟორდანია გ. —376.
ჟორდანია ნ. —71, 96, 101, 106, 126, 127, 163, 164, 194, 249. 260, 265, 270, 376, 386.
ჟუნეუკოვი ი. —279.
ჟღენტი ვ. —343.
ჟღენტი თ. —398, 427, 433.

რ

რამიშვილი ი. —376.
რამიშვილი ნ. —96.
რატიანი პ. —42, 47, 60, 63, 198, 221, 234, 248, 253, 269, 272, 277, 437.
რაუხი გ. —334, 335, 403, 452.
რაჭველიშვილი ქ. —378.
რეხვიაშვილი ვ. —427.
როდიონოვი პ. —407.
როდონაია ნ. —247.
როზენბერგი ა.—404.
როტშტეინი ა. —338.
რუნუა ი. —294.
რცხილაძე გ. —121, 376.

ს

საბახტარაშვილი ვ. —282, 283, 290—292, 296.

სალოვი ვ. —335, 342, 404.
სამუელოვი ი. —329.
სანაკოევი პ. —355.
სანდერსი პ. —341.
საღარაძე მ. — 93, 102, 104, 105.
საყვარელიძე პ. —167.
სვეი ს. —378.
სიდამონიძე უ. —402, 417, 419, 436.
ჩიმონგულოვი ს. —198, 266, 281.
სიმონია მ. —433.
სიჭინავა ვ. —247.
სიხარულიძე გ. —266, 302, 317, 349, 436.
სიხარულიძე ვ. —290—293, 296.
სმირნოვი ნ. —272.
სმიტი ვ. — 393, 394.
სობოლევა ა. —446.
სოგომონოვი ი. 373.
სოლოვიოვი ს. —190.
სოლომონ მეორე —225.
სპენსერი ჰ. —62, 69.
სოფია ა. —352.
სტალინი ი. ბ. —69, 70.
სტეკლოვი ა. —294, 307, 322, 324. 325, 388, 411.
სტეფანიშვილი ნ. —7.
სტრუვე პ. —78, 83, 103,
სტურუა გ. —307.
სტურუა ლ. —315.
სტურუა ნ. —265, 266, 277, 278, 301, 356, 379, 435, 438.
სტურუა ნ. ვ. —301.
სუმბაძე ნ. —416.
სურგულაძე აბ. —232, 246.
სურგულაძე აკ. —198, 202, 277, 301, 302, 335, 344, 345, 366, 371, 374, 379, 390—392, 394, 395, 397, 399, 406, 407, 411, 438.
სურგულაძე ჰ. —376.

ტ

ტამაში ნ. —445.
ტატიშვილი ო. —278, 293.
ტიერი ო. —178.
ტოგონიძე ვ. —233.
ტოდოროეიჩი მ. —445.
ტოდორსკი ჰ. —430.
ტოკარევსკი. ე. —419.
ტოროშელიძე მ. —168, 191, 193, 328.
ტრაპში მ —292.
ტროცკი ლ. —335.
ტუგარინოვი ვ. —443, 444.
ტულუმჯიანი ა. —293.
ტყეშელაშვილი ნ. —245.

უ

უმიკაშვილი ჰ. —63.
უთურაშვილი ი. —246.
ურატაძე გ. —341.
ურუშაძე ა. —343, 389, 391, 398.
ურუშაძე ი. —433.

ფ

ფადეევი ა. —30.
ფანცხავა ა. —231, 245.
ფანცხავა ი. (ფხა)—12. 21, 25, 76, 77, 84, 101, 104, 106. 127, 128.
ფანცხავა რ. (ხომლელი) —99—101.
ფედერნი კ. —444.
ფედოსეევი ნ. —446.
ფეინსდოფი მ. —450, 452.
ფირცხალავა ს. (ალამი)—121, 165, 376.
ფირცხალაიშვილი ა. —191, 222, 244, 247.
ფოერბახი ლ. —150.
ფურცელაძე ა. —22, 24, 27, 28, 66, 68, 86, 176.

ქ

ქადეიშვილი ნ. —349.
ქაზემ-ზადე ფ. —341, 398, 402.

ქარჩავა ვ. —352, 357.
ქაცარავა კ.—426.
ქიქოძე გან. —66.
ქიქოძე მ. —296.
ქოიავა ნ. —190.
ქოჩიაშვილი მ. —428, 431, 432.
ქუთელია ა. —77, 234, 254, 257.

ღ

ღამბაშიძე ვ. —7, 373, 375, 376.
ღარიბაშვილი ნ. —194.
ღლონტი ა. —429.
ღლონტი თ. —371.
ღოლობერიძე ლ. —425.

ყ

ყაუხჩიშვილი თ. —198.
ყურაშვილი გ. —357.

შ

შავიშვილი კ. —342.
შაპირო ლ. —338.
შარაპოვი გ. —449.
შარაშენიძე ე. —314.
შარიქაძე ს. —427, 434, 436, 438.
შაუმიანი ს. —168, 319, 372, 388, 398, 399, 408.
შახნაზაროვი მ. —296.
შელია კ. —420.
შენგელია ლ. —376.
შესტაკოვი ა. —218, 219.
შეფტელი გ. —316.
შველიძე ზ. —198, 248, 256, 257.
შილერი ო. —452.
შლიაპნიკოვი —333, 335.
შპრინგერი რ. —165, 167.
შტეინბერგი ს. —78.
შტეინი გ. —342, 373.

ჩ

ჩაგუნავა ს. —324.
ჩადუნელი ვ. —257.
ჩაკვეტაძე დ. —73.
ჩარკვიანი კ. —346, 366.
ჩაფიძე ნ. —421.
ჩახვაშვილი ნ. —198, 266, 278, 294, 301, 304, 307, 317, 349, 357, 428.
ჩახვაძე ზ. —193.
ჩერნოვი ე. —449.
ჩერქეზია გ. —428.
ჩერქეზია ე. —201.
ჩერქეზიშვილი ე. —77, 78, 80, 92, 150.
ჩივაძე შ. —266.
ჩიტაია გ. —99.
ჩიქობავა ნ. —415.
ჩიქოვანი ლ. —137.
ჩიქოვანი ს. —201.
ჩიჩერინი ბ. —190.
ჩოდრიშვილი ზ. —263.
ჩულოკი ი. —293, 294.
ჩხარტიშვილი ს. —198, 266, 315, 320-322, 335. 379, 415, 436.
ჩხეიძე კ. —333, 372.
ჩხეიძე ჯ. —324.
ჩხენკელი ა. —83, 128, 129, 164, 376.
ჩხეტია შ. —228, 233, 239, 244, 247.

ც

ცაგარელი ა. —215.
ცაგარელი ვ. —426.
ცამერიანი ი. —446.
ცეროცვაძე მ. —265, 266, 296, 321, 322, 323, 335, 345, 346, 378, 383, 392, 407, 411.
ცეტკინი კ. —138.
ცინცაძე ი. —221, 222.
ცინცაძე კ. —388. 408.
ცქეიტარია ბ. —278, 293, 294, 324, 353.
ცხაკაია მ. —138, 192, 263, 264, 286, 365, 425.
ცხვედიანი თ —348.
ცხოვრებოვი ნ. —294, 324, 354, 355.

ძ

ძიძარია გ. —234, 242, 292, 351, 352.

წ

წერეთელი ა. —16, 17, 29, 38, 45, 46, 50, 51, 54, 56, 57, 60, 61, 65, 66, 71, 72, 176, 203, 238, 250, 251, 253, 275, 401.

წერეთელი გ. —20, 21, 28, 35, 44, 46, 50, 52, 61, 62, 99, 101, 106, 157, 176, 203, 249, 252, 253.

წერეთელი ე. —7.

წერეთელი ვ. —106.

წერეთელი ი. —386.

წერეთელი კ. —349. 417, 420.

წერეთელი მ. —86—90, 114, 128, 129—133.

წულუკიძე ა. —77, 94, 95, 97, 109, 115, 116, 125, 135, 138, 141—145, 149, 151—160, 264

წურწუმია ი. —352.

ჭ

ჭავჭავაძე ა. —208,—211, 237,

ჭავჭავაძე გ. —208—215.

ჭავჭავაძე ი.—7, 14—21, 26—45, 47—50, 52—55, 57—61, 63, 64, 66—68, 70—73, 111—113, 116, 176, 184, 185, 203, 238, 241, 250—254, 269, 270, 274, 275, 401.

ჭაჭუა შ. —279, 303.

ჭეიშვილი ნ. —428, 431.

ჭილაია ს. —434.

ჭიჭინაძე ვ. —421, 426.

ჭეჭინაძე ზ.— 66, 208.

ჭონქაძე დ. —39.

ხ

ხანთაძე შ. —231.

ხარმანდარიანი ს. —407.

ხაჩიძე ა. —342.

ხაჭაპურიძე გ. —191, 195, 200, 201, 206, 207, 221, 227, 228, 233—236, 239, 243, 265, 266, 280, 282—285, 293, 296, 297, 300, 335, 344—347, 366, 378, 379, 392, 407, 413, 414, 436.

ხახანაშვილი ა. —208, 215, 249.

ხელთუფლიშვილი მ. —211, 213, 287.

ხიზანიშვილი ნ. (ბლებსი) —98, 99, 102, 105, 249.

ხომერიკი მ. —342.

ხოშტარია ე. —232, 245.

ხრუშჩოვი ნ. ს. —358, 440.

ხუნდაძე გ. —341, 372.

ხუნდაძე ს. —47, 191, 207, 227, 229, 248, 249, 251—253, 260—262, 269.

ხუნდაძე ტრ. —271, 307.

ხურცილავა ს. —357.

ხუჭუა მ. —65.

ხუჭუა პ. —433.

ჯ

ჯაბადარი ი. —60, 66-68, 72, 256, 401,

ჯავახიშვილი ი. —20, 21, 30, 68, 73, 177—180, 182—187, 189—191, 196—198, 205, 215—217, 221, 248, 259, 277, 295, 297.

ჯამბურია გ. —282, 283, 300.

ჯანაშია ს. —12, 13, 186, 195—197, 201, 205, 221, 248, 271.

ჯაფარიძე ა. —399.

ჯაში უ. —307, 308.

ჯაჯანაშვილი ა. —93.

ჯიბლაძე გ. —197.

ჯიბლაძე დ. —349.

ჯიბლაძე ვ. —415.
ჯიბლაძე ს. —151, 263.
ჯიოევი ზ. —355.
ჯიქია ვ. —415, 421.
ჯიჯეიშვილი ნ. —7, 352, 353, 429, 436.
ჯორჯაძე ა. —14, 15, 50, 61, 72, 75, 78—82, 93—96, 102, 109—127, 129—131, 133, 146—148, 154, 155, 157, 160, 162—164, 214, 249, 256, 260—262, 269.
ჯორჯიკია ნ. —376.

ჰ

ჰანიში ე. —404, 405.
ჰეგელი ბ. —80, 149.
ჰერცი ფ. —78, 449.
ჰოლცლე ე. —334, 335.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
ავტორისაგან	5

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის სათავეებთან საქართველოში

თავი პირველი — რევოლუციურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფია	11
თავი მეორე — მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩასახვა და განვითარება	
§ 1. იდეური გარემო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში	74
§ 2. მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის სათავეებთან	134

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე

თავი პირველი — სამეცნიერო დაწესებულებანი და ისტორიული კვლევა-ძიების ორგანიზაცია	175
თავი მეორე — ფეოდალურ ურთიერთობათა როლევის ეპოქის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში	203
თავი მესამე — ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამარჯვებისა და განმტკიცების ეპოქის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში	239
თავი მეოთხე — იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ეპოქის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში	
§ 1. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის ბრძოლის გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში	276
§ 2. სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში	336
თავი მეხუთე — საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში	412
ბოლოსიტყვა	456
საკუთარ სახელთა საძიებელი	457

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
44	19 ზემ.	მიზანი	საბოლოო მიზანი
132	4 ზემ.	სახელმწიფოებრიობა,	სახელმწიფოებრიობას,
245	5 ქვ.	დამუშავებული	დამმუშავებელი
247	7 ქვ.	რუსეთის შეერთება	რუსეთთან შეერთება
313	2 ზემ.	ბელშევიკების	ბოლშევიკებს
318	18 ზემ.	района страны	районах страны
398	13—14 ქვ.	ბოლშევიკებით	ბოლშევიკების
412	1 ქვ.	პროგრესული	პროგრამული
430	3 ქვ.	ლიტერატურებისა,	ლიტერატორებისა,

Юрий Михайлович Качарава

ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი ვ. ჯიქია
გამომცემლობის რედაქტორი აკ. იაკობაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი რ. ფეიქრიშვილი

გადაეცა წარმოებას 9.8.1962; ანაწყობის ზომა 6×9,5; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 24.12.1962; ქაღალდის ზომა 60×84 1/16;
ქაღალდის ფურცელი 14,59; საბეჭდი ფურცელი 28,64; საავტორო
ფურცელი 24,31; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 25,26;
შეკვეთა 1022; უე 03615; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 81 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5